

180
1984/2


სურათები



1984

საქართველოს
საზღაპროთა

6





სურსათი



6

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
აღმანახი

ქართული
ლიტერატურა

(63)

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

ნოემბერი
დეკემბერი

1984

ზინაარსი

პროზა და პოეზია

იური ტრიფონოვი. სახლი სანაპიროზე. მოთხრობა. თარგმნა ეთერ ევკალმაძემ	8
იუსტინას მარცინკევიჩუსი. შინდაუბი. დრამატული პოემა. დასახრული. თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ	118
ჰანრიხ ზიოლი. შკაცო. სახლი. რომანი. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა თენგიზ პატარაიამ	134
რევაზ ასაევი. ნართული ფანდური. ლექსი. თარგმნა გივი ძნელაძემ	275

წერილები

თომას მანი. ფანტაზია გოეთეზე. გერმანულიდან თარგმნა რუსულიდან დვინეფაძემ	276
პერსი ბიუში უელი. პოეზიის დაცვა. ინგლისურიდან თარგმნა ლია ადამიამ	296
სამუელ ტაილორ კოლრიჯი. საუბარი მაგიდასთან. ინგლისურიდან თარგმნა ლია ადამიამ	302
ლილი ჯილაური. რომე კლანდონი.	305
ლელა იაკოვიშვილი. გოეთე და მეცნიერება.	310
ავთანდილ ვარტაგავა. იუზოსლავიელი კრიმტივიისტი. 317	317

მთავარი რედაქტორი:
მუსხრან მაჭავარიანი

პ. მჭ. მდივანი:

ნანა დარჩია

ხარეჯექციის კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მუნა ბაჭრაძე

ბატანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

მეგალი თოდუა

ნოდარ აბაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კობახიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიშნიაშვილი

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიკიძე

რუსუდან ქეზულაძე

იორაჟ ქვეციანიძე

ნიკო შრასაშვილი

გივი ძნელაძე

დავით წერეთელი

ნუზარ წერეთელი

თამაზ წიგვიძაძე

რეზო ბერიშვილი

«САУНДЖЕ»

**ДВУХМЕСЯЧНЫЙ
АЛЬМАНАХ
ВСЕМИРНОЙ
ЛИТЕРАТУРЫ**

**НА
ГРУЗИНСКОМ
ЯЗЫКЕ**

1984

№ 6

СОЮЗ

**ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ**

ГЛАВНАЯ

**РЕДАКЦИОННАЯ
КОЛЛЕГИЯ ПО
ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ**

И

**ЛИТЕРАТУРНЫМ
ВЗАИМОСВЯЗЯМ**



გარეკანზე: ივანე ზენერაძე. ცენტრალური სოფელი.

90

მხატვრული რედაქტორი ან. თოდუა. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი.
გამომცემი ნანა ბარათია

ჩვენი მიხამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გაღ. წარმ. 3. 10. 84 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 28. 11. 84 წ., ქაღალდის ზომა 70 X 108¹/₃₂.
სააღრ. თ. 25,58. სისტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,75. ტირ. 10.000, შეკვ. № 2223,
ფასი 1 მან. 60 კპბ.

საქ. კბ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

იური ტრიუმფი

სახლი სანაკიროზე



ქართული
ბიზნეს-საბუღალტრო

მთხრობა

თარგმნა პირი კეჭელიძე

17770
027.11

ახლა იმ ბიჭებიდან ამქვეყნად აღარავინ არის. ვინ რომელი დაი-
ღუბა, ვინ ავადმყოფობამ იმსხვერპლა, ვინაც უგზო-უკვლოდ
დაიკარგა. ზოგი თუმცა ცოცხალია, მაგრამ სულ სხვა ადამიანად იქცა. ჰოდა,
ახლა რაიმე ჯადოსნური ძალის წყალობით ეს სხვა ადამიანები იმ უკვე გამ-
ქრალ, ფლანელის ხალათსა და რეზინისპირიან ტილოს ფეხსაცმელში გამო-
წყობილ ჭაბუკებს რომ შეხვდნენ, სალაპარაკო საგანსაც ვერ გამონახავენ.
ალბათ იმასაც ვერ მიხვდებიან, საკუთარ თავს რომ შეხვდნენ.

თუმცა ღმერთმა კარგად ამყოფოთ! მათ არა სცალიათ, ისინი მიფრინა-
ვენ, მიცურავენ, დინებას მიჰყვებიან, წყალს მიარღვევენ, იხვეტენ, ბოჭავენ,
სულ წინ და წინ მიიწევენ, სულ უფრო სწრაფად და სწრაფად, დღიდან
დღემდე, წლიდან წლამდე: იცვლება ნაპირები, უკან იხევენ მთები, მეჩხერ-
დება და იძარცვება ტყეები, ყოძრალდება ზეცა, ახლოვდება სიცოცხე. უნდა
იჩქარონ, იჩქარონ — უკან მოხედვის ღონეც აღარ არის შეხედონ იმას, რაც
შეჩერდა და გაირინდა ცისკიდურზე შერჩენილ ღრუბლის ფთილასავით.

1972 წლის ზაფხულში მოსკოვი ხვატისა და კვამლის ბულისაგან იხუთე-
ბოდა. გლებოვი კი, თითქოს განგებო, სწორედ ახლა უნდა ყოფილიყო ქა-
ლაქში. კოოპერატიულ ბინაში გადასვლას ელოდებოდა. ჰოდა, აი, აგვისტოს
ერთ თაკარა დღეს გლებოვი სადღაც დასაკარგავში, კოპტევის ბაზრის მან-
ლობლად, ახალი რაიონის ავეჯის მაღაზიას ეწვია. ეს უჩვეულო ამბავიც იქ
მოხდა. გლებოვი ადამისდროინდელ ძმაკაცს შეხვდა, თუმცა სახელი კი და-
ავიწყდა მისი. მაღაზიაში მაგიდის შესაძენად მივიდა. მიასწავლეს, სწორედ
იქ შეიძლებაო მაგიდის ყიდვა, მაგრამ კერძოდ სად, ჯერ საიდუმლო გახლ-
დათ. მხოლოდ აღწერით იცოდა, მედალიონებიანი, ანტიკვარული მაგიდა რომ
იყო, სულ მთლად იმ წითელი ხის სკამების სადარი, ახალი ბინისათვის ამ
ერთი წლის წინ მარინამ რომ შეიძინა. ვილაცამ უთხრა, კოპტევის ბაზრის
მახლობლად ავეჯის მაღაზიაში ვინმე ეფიმი მუშაობს და იმან იცის, ეს მაგიდა
სად არისო. გლებოვი ნასადილევს, გაგანია სიცხეში მივიდა, მანქანა ჩრდილ-

ქ. შარტის ხ. ს. სსრ
საბუღალტრო-ბიზნეს-საბუღალტრო
თარგმნა კეჭელიძე

ში დააყენა და თვითონ მაღაზიისაკენ გაემართა. შესასვლელის წინ, ტროტუარზე ნაგვისა და შესაფუთი ქაღალდების გროვაში, ახლახან გადმოტვირთული თუ დასატვირთად გამზადებული კარადები, ტახტები და რაღაც სხვა ამდაგვარი ბითურობა იდგა. დაბორილებდნენ სახედაღვრემილი მყიდველები, ტაქსის შოფრები, ულაზათოდ ჩაცმული მუშები, სამ მანეთად ქოჭვლებს მომსახურებობაზე რომ იყვნენ ყაბულს. გლებოვმა ეფიმი იკითხა: უკანა ეზოში იქნებაო, რომ უპასუხეს, მაღაზია გადაჭრა. მაღაზიაში დახუთული პაერისა და სპირტიანი ლაქის სუნისაგან სუნთქვა ჭირდა. გლებოვი ვაწრო კარით უკატრიელ ეზოში გავიდა. ვიღაც მუშა კედლის ჩრდილში ჩაცუცქულიყო და თვლემდა. „თქვენ ეფიმი ხომ არა ხართ?“ — ჰკითხა გლებოვმა. მუშამ ამღვრეული მზერა შეავლო მრისხანედ და ნიკაპი როგორღაც ზიზლით ჩაეჩუტა, რაც უთუოდ „არა“-ს ნიშნავდა. ამ ოდნავ ჩაჩუტული ნიკაპითა და კიდევ რაღაც სხვა შეუცნობელის წყალობით გლებოვი უეცრად მიხვდა, რომ ნაბახურევზე ისევ გადაკვრის სურვილითა და სიცხით მისიკვდილებული, ავეჯის ეს ბედკრული „მტვირთავი“ მისი ძველისძველი მეგობარი იყო. მაგრამ თვლებით კი არ მიხვდა, არა, მიხვდა რაღაც სხვა ნიშნით, გულმა უკარნახა. მხოლოდ საშინელება ის გახლდათ, რომ ასე მშვენივრად იცოდა, ვინ იყო, და სახელი მაინც არ აგონდებოდა! ამიტომაც ჩაუვარდა ენა, ჭრაჭუნა სანდლებზე ირხეოდა და მთელი მონდომებით ცდილობდა სახელის გახსენებას. უეცრად მთელი ცხოვრება დააცხრა თავს. მაგრამ სახელი? ის უცნაური, სასაცილო და იმავ დროს ბავშვური სახელი, თავისთავად ერთადერთი და განუმეორებელი. უსახელო მეგობარმა ისევ თვლემა დააპირა, კეპი ცხვირზე ჩამოიფხატა, თავი გადასწია და ყბა ჩამოიგდო.

აღელვებული გლებოვი გაეცალა, ეფიმის ძებნაში ხან აქეთ მიდგა, ხან იქით. მერე უკანა კარით ისევ მაღაზიაში შევიდა. იქაც მიიკითხ-მოიკითხა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, კვალს ვეღარ მიაგნო. ურჩიეს, დაუცადეთო, მაგრამ დაცდა არ შეეძლო, გუნებაში სულ იმ უპირო ადამიანებს უკურთხებდა. ბოლოს ისევ მზის გულზე, ეზოში გავიდა, სადაც ასე გააოცა და საგონებელში ჩააგდო შულეპამ. ჰო, რა თქმა უნდა: შულეპა იყო. ლიოვკა შულეპნიკოვი! მგონი, კიდევაც უთხრა ვიღაცამ, შულეპა დაგლახდა, გასაცოდავდაო. მაგრამ ამ ზომამდე? ავეჯის მტვირთაობამდე? უნდოდა მეგობრულად, ამხანაგურად გამოსაუბრებოდა, გაეგო მისი ცხოვრების ავ-კარგი, თან ეფიმიზედაც ეკითხა.

— ლევ... — უთხრა გლებოვმა არცთუ მთლად მტკიცე ხმით, როცა ჩრდილში კვლავინდებურად ჩაცუცქულ კაცს მიუახლოვდა. კაცი ახლა აღარ თვლემდა, ეზოს სიღრმეში რაღაცას მისჩერებოდა და ტუჩებით პაპიროსს ნერწყვავდა. მერე კი უფრო ხმამაღლა და რიხიანად დაუმატა: — შულეპა!

კაცმა კვლავ ამღვრეული მზერა შეავლო და შეტრიალდა.

რა თქმა უნდა, ლიოვკაა, შულეპნიკოვი, მხოლოდ საოცრად დაბერებული, მოღვენთილი, ცხოვრებისაგან განაწამები, შეჭალარავებული ლოთიფოთური ულვაშებით, თავის თავს რომ სულაც არ ჰგავდა და მაინც თითქოს კვლავ შეუცვლელი, ისეთივე თავხედი და სულელურად ამაყი, როგორიც წინათ იყო. ვითომ მისცეს ფული გადასაკრავად ნაბახუსევზე? გლებოვმა შარვლის ჯიბეში თითებით ფული მოიძია. ჰო, რომ ეთხოვა, ერთ ოთხ მანეთს დაუნანებლად მისცემდა, მაგრამ კაცი ზედაც არ უყურებდა. გლებოვი, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა, შევცდი და ეს ტიპი შულეპნიკოვი სულაც არ არისო.

მაგრამ უმაღლეს თითქო გაბრაზებით, საკმაოდ მოსურიდებლად და უხეშად ჰკითხა, ისე როგორც საერთოდ სჩვეოდა თანამშრომლებთან ლაპარაკი:

— შენ რა, ვითომ ვერა მცნობ? ლიოვკა!

შულეპნიკოვმა ნამწვი გადმოაფურთხა, გლებოვისათვის არც შეუხედავს, ისე წამოდგა და ბარბაციით გასწია შუა ეზოსაკენ. სადაც კონსტანტინე გლემოტვირთვას იწყებდნენ. უსიამოდ გაოცებული გლებოვი ქუჩაში გავიდა. არა, იგი ლიოვკა შულეპას შესახედობასა და მის დაგლახებას არ გაუკვირვებია, იმან გააოცა, რომ ლიოვკამ არ ისურვა მისი ცნობა. ყველაყველა, მაგრამ ლიოვკას რაღა ჰქონდა გლებოვთან სასაყვედურო. განა გლებოვი იყო რამეში დამნაშავე, ან თუნდაც ვინმე სხვა. აქ ყველაფერი დროის ბრალი იყო. სუყველაფერი. ჰოდა, კეთილინებოს და დროს ნულარ მიცსალმება. აი, ისევ უეცარი მოგონება: სულ ადრინდელი, ლატაკური და სულელური გახსენება. სახლი სანაპიროზე, დათოვლილი ეზოები, მავთულზე ჩამოკონწიალებული ელექტროფარნები, აგურის კედელთან გამართული მუშტი-კრივები. შულეპა მრავალსახიერი ბიჭი იყო, როგორღაც ფენებად იშლებოდა, თუმცა არც ერთი ფენა ერთმანეთს არ ჰგავდა. მაგრამ აი, იქ კი, აგურის კედელთან თოვლის ნამქერში ჩხუბი, ჩხუბი დასისხლიანებამდე, ხრინწიან ამოძახილამდე — „გნებდები“, მერე დიდსა და თბილ სახლში სიფრიფანა ფინჯნებით ჩაის განცხრომით მირთმევა, აი, ეს კი ალბათ მართლაც ნამდვილი იყო. თუმცა ვინ იცის, სხვადასხვა დროში სინამდვილე სხვადასხვაგვარად ჩანს.

გულწრფელად რომ ვთქვათ, გლებოვს ეზიზღებოდა ის დრო, იმიტომ რომ ის მისი ბავშვობა იყო.

სალამოს, როცა მარინას იმდღევანდელ ამბებს უყვებოდა, საოცრად ნერვიულობდა და ღელავდა, იმიტომ კი არა, რომ შეხვდა მეგობარს, რომელმაც მისი ცნობა არ ისურვა. არა, გაღიზიანდა, ისეთ უპასუხისმგებლო ადამიანთან რომ უხდებოდა ურთიერთობა, როგორიც ეფიმი იყო. ქვეყნისას რომ დაგპირდება და არაფერს არ გაგიკეთებს, ან დაავიწყდება ან სულაც ფეხებზე დაგიკიდებს, მედალიონებიანი ანტიკვარული მაგიდა კი სხვის ხელში აღმოჩნდება.

ლამის გასათევად აგარაკზე გაემგზავრნენ, იქ კი დიდი მღელვარება დაუხვდათ. სიდედრ-სიმამრს არ ეძინათ, თუმცა საკმაოდ გვიან იყო. თურმე დილით მარგოშა ტოლმაჩოვს მოტოციკლში ჩაუჯდა და სადღაც წავიდა. მთელი დღე არ დაურეკავს, მხოლოდ აგერ გვიან, სალამოს ცხრა საათზე უცნობებია, ვერნადსკის გამზირზე, მხატვრის სახელოსნოში ვარ და ნუ იღელვებთ, თორმეტ საათს არ გადავაცილებ, ისევ ტოლმაჩოვი მომიყვანსო. გლებოვი გაცეცხლდა: „მოტოციკლით? შუალამისას? მაინც რატომ არ უთხარით იმ უტვინო გოგოს, რამ შეგშალა, ახლავე შინ გაჩნდი-თქო?“ სიდედრ-სიმამრი პიესის სასაცილო ბებრებივით რაღაცას უადგილოდ და უაზროდ ბუტბუტებდნენ.

— მე საგულდაგულოდ ვრწყავდი ვადიმ ლექსანიჩ, იმათ კი წყალი გადაკეტეს... ასე რომ, სამმართველოში უნდა...

გლებოვმა ხელი ჩაიქნია და მეორე სართულზე, კაბინეტში ავიდა. მხუთვარება გვიან ღამითაც არ შენელდა. ბალიდან დაგვალული ფოთლების მხურვალეება მოდიოდა. გლებოვმა წამალი დალია და ტახტზე გაუხდელად წამოწვა. თუ ყველაფერი კეთილად დამთავრდება და ქალიშვილი შინ ცოცხალი

მოაღწევს, უსათუოდ ამალამვე მოელაპარაკება, უნდა როგორმე თვალი აუხილოს, შეაგნებინოს იმ ტოლმაჩოვის არარაობა.

პირველის ნახევარზე გაისმა მოტოციკლის ტყაცანი. გლებოვს გულზე მოეშვა, ქალიშვილის ხმამალალი ქაქანი რომ გაიგონა და მაშინვე საოცრად დამშვიდდა. შვილთან მოლაპარაკების სურვილიც კი გაუქრა და ტაბტზე ლოგინის გაშლა დაიწყო, იცოდა, ცოლი შეუალამემდე არ გაეგნებოდა მარგოშასთან ლაქლაქს.

მაგრამ უეცრად ორივენი მოურიდებლად, შურდულივით შემოიჭრნენ ჯერ ისევ განათებულ კაბინეტში. თეთრტრუსებიან გლებოვს ცალი ფეხი ტაბტის წინ დაგებულ ფარდაზე ედგა, ცალი კი ზედ ტაბტზე და პატარა მაკრატლით თითებზე ფრჩხილებს იჭრიდა.

ფერდაკარგულმა ცოლმა როგორღაც საწყლად წარმოთქვა:

— შენ იცი, მარგოშა თხოვდება, ტოლმაჩოვს მიჰყვება.

— რას მეუბნები! — გლებოვს თითქოს შეეშინდაო, თუმცა სინამდვილეში არ შეშინებია, ესაა, რომ მარინა იყო მართლაც საცოდავი შესახედი. — მაინც როდის?

— თორმეტი დღის შემდეგ, როცა მივლინებიდან დაბრუნდება, — სულმოუთქმელად მიაყარა მარგოშამ, თითქოს ამ ჩქარი ლაპარაკით საქმის გარდუვალობას და შეუცვლელობას უსვამდა ხაზს, მოსახდენი მოხდებოო, თან იღიმებოდა, პატარა ფუნთულალოყებიანი ბავშვური სახე, ნამცეცა ცხვირი, სათვალე, დედასავით შავი, მრგვალი თვალები — ყველაფერი უბრწყინავდა, უელავდა ბედნიერებით დაბრმავებულს. მარგოშა მამას მიჯარდა და გადაკოცნა. გლებოვს ღვინის სუნი ეცა. მაშინვე ლოგინში შეიძვრა და ზეწარი წაიფარა. არ ესიამოვნა, მოწიფულმა ქალიშვილმა ტრუსების ამარას რომ შემოუსწრო, უფრო მეტად ის არ ესიამოვნა, თვითონ ქალიშვილს რომ არ ეუხერხულა, თითქოს ვერც კი ამჩნევსო მამის სიშიშვლეს, თუმცა ახლა იგი ვერაფერს ამჩნევდა. არაა მაინც გასაოცარი ინტანტილიზმია. ეს სულელი დღაპი კი მამაკაცთან დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას აპირებდა, უფრო სწორად, ვიღაც ნაძირალასთან.

— მაინც რომელი მივლინებიდან? განა ტოლმაჩოვი სადმე მუშაობს?

— როგორ არ მუშაობს, წიგნის მაღაზიაში, გამყიდველია.

— წიგნის მაღაზიაში? გამყიდველია? — გაოცებისაგან გლებოვმა ზეწარში შემაღული ორივე ხელი ზევით ამოსწია. ეს უკვე რაღაც ახალი იყო, აქ რაღაც ხრიკი იმალებოდა.

— პო, მაგრამ რატომ აქამდე არ გითქვამს, აკი იმას ირწმუნებოდნი, მხატვარიო, რაღაც სურათებსა და სასანთლეებს გვაჩვენებდი...

— როგორ არა, მარგოშამ გვითხრა, სადაც მუშაობდა. გვითხრა, როგორ არ გვითხრა, — დაუდასტურა სიმართლის მოყვარულმა მარინამ. — მაგრამ საქმე ეს არ არის....

— დედიკო, რა ძალიან მიყვარხართ! — წამოიძახა მარგოშამ, დედა გადაკოცნა და გადაიკისკისა. — მამა, დღეს შენ რაღაც ფერმკრთალი მეჩვენები! თავს როგორა გრძნობ?

— ამჟამად სად ბრძანდება საქმრო?

— მამიკო, გეხვეწები, ნურაფერზე ნუ იფიქრებ, ნუ დაღონდები!

წიგნის მაღაზიის გამყიდველი. ამაზე მეტი უიზრო და შეუსაბამო რა

შეიძლება იყოს, რა ხანია არ უნახავს ასეთი ბედნიერი თვალები, არ გაუგონია ასეთი უაზრო სიცილი.

— მარგოშა, იქნებ მიპასუხო, მაინც სად აპირებთ ცხოვრებას?

— ვანა ეს ასე მნიშვნელოვანია? — სიცილით თქვა მარგოშამ.

— პო, გვინდა ვიცოდეთ, მეცა და მამაშენმაც.

— აჰ, თქვენ გინდათ იცოდეთ? ცნობისმოყვარეობა გაწუხებთ? — კვლავ ახითხითდა მარგოშა. — ისე, აქ ვიცხოვრებთო, რომ ვთქვათ, ვითომ ცუდი იქნება? თქვენ არ დაგვეთანხმებით?

— ყოველ დილით ხუთ საათზე აღგები და ავტობუსს გაჰყვები?

— დედა, ეს ყველაფერი ხომ წერილმანებია, რაღაც სისულელე...

უეცრად დედა-შვილი გაუჩინარდა. გლებოვმა დაბლა ჩასული ქალების ხმას მიაყურადა. მალე მათ საუბარს სიდერ-სიმამრის ყრუ ბუბუნიც მიემატა. გლებოვს გულს უღრღნიდა მომავალი ამბების წარმოდგენა და სასწრაფოდ საძინებელი დალია, იქნებ მალე დამეძინოსო. უეცრად სანუგეშო ფიქრმა გაურბინა: „იქნებ ცუდიც არაფერი იქნეს. დაე, ყველაფერი თავისი გზით წავიდეს. როგორც ყოველთვის. გაეყრებიან ერთი წლის შემდეგ, ეს იქნება და ეს, რაც უნდა, ისა ქნან“. გლებოვმა ფიქრი სხვა ამბებზე გადაიტანა.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე ტელეფონის ზარი გაისმა. მითვლემილ გლებოვს ბრაზი მოერია, გული აუბაგუნდა, მარჯვედ, ბიჭივით წამოხტა ტახტიდან და მაგიდაზე მდგარ ტელეფონს მივარდა. უნდოდა დაესწრო, ვიდრე დაბლა მარგოშა აიღებდა ყურმილს, და თავხედისათვის სეირი ეჩვენებინა! დარწმუნებული იყო, ტოლმაჩოვი რეკავდა.

უეცრად უცნობი, როგორღაც მოღვენთილი, ხულიგნური ხმა გაიგონა.

— გამარჯობა, დუნია, ახალი წელი... ვერ მიცანი? ჰა? — ხრიწინებდა ხულიგანი. — ხან მცნობ, ხან ვერ მცნობ. ჰაი შე დუნდუკო! რომელი საათიაო? ვთქვათ, და მეორეა დაწყებული, მერე რა, დიდი ამბავი, ბაღების დროა. ინტელიგენცია ჯერ კიდევ ფეხზეა... საკითხებს წყვეტს... აქ ახლა მე და ერთი კაცი ვსხედვართ... გახსოვს, როგორი ფინური პატარა დანები მქონდა?

— მახსოვს, — უპასუხა გლებოვმა. მართლაც მოაგონდა; შულეპას ხუთი სულ სხვადასხვა ზომის დანა ჰქონდა. ყველაზე პატარა პაპიროსის ღეროს ოდენა იყო. დანები ლიოვკას სკოლაში მოჰქონდა და ტრაბახით იკლებდა იჭაურობას. ის კი არა, ფოლადის პრილა, ძელისტარიანი დამბაჩაც კი ჰქონდა, ნამდვილისაგან ვერ გაარჩევდი.

კაბინეტში მარინა შემოვიდა და შეშინებული სახით ჰკითხა: „ვინ არის?“ — გლებოვმა თვალი ჩაუკრა და ხელი ჩაიჭნია: არაფერი, სისულელე, ისე, ტყუილად რეკავენო. რატომღაც გაეხარდა, შულეპნიკოვმა რომ დაურეკა.

— კეთილი, ეგრე იყოს, ძილი ნებისა, ძვირფასო ამხანაგო... მაპატიე, რომ შეგაწუხე... შენი ტელეფონის ნომერს სამი საათია ვაძებნინებ ცნობათა ბიუროს. გესმის? აი, დღეს რომ მოხვედი, შენი ცნობა არ მინდოდა. რა ჩემ ფეხებად მინდა-მეთქი? საოცრად შემეზიზღე. ხომ გაიგე, ვადაკა. ღმერთმანი, ნამდვილს გეუბნები: საოცრად შემეზიზღე.

— მაინც რატომ? — მთქნარებით ჰკითხა გლებოვმა.

— თავად ვიცი რო? შენ ჩემთვის ცუდი მართლა არაფერი გაგიკეთებია.

შენ თუ იქ დოქტორი ხარ, დირექტორი, ძალი თუ მამაძალი, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ეს მე არ მაწუხებს. მე სხვა ყალიბისა ვარ. მერე, როცა სამუშაოდან დავბრუნდი და ჩემს საქმეებს შევუდექი, ვიფიქრე: დღეს რატომ ვაწყენინე ვადა გლებიჩს-მეთქი? ვინ იცის, რა უნდოდა ამას? ვიფიქრე: მეორედ მოსვლისას იქნებ აღარც დავუხვდე... მე ახლა ერთ-სამსწლით სხვა ქვეყანაში მგზავნიან...

„ჰოი, ღმერთო! — გაიფიქრა გლებოვმა. — თურმე სიკვდილამდე...“

— ლევ, თუ შეიძლება, ხვალ დამირეკე.

— არა, ხვალ არ დავირეკავ. მხოლოდ დღეს. შენ რა, მინისტრი ხარ? ხვალ დამირეკეო! ხედავ, რა დიდი ვინმე ყოფილა. არავითარი ხვალ. ჭკუაზე აფრაკად ხომ არა ხარ, გლებოვ, როგორ მელაპარაკები! ან ენა როგორ მოგიტრიალდა? შენი ტელეფონი სამი საათი ვეძებე, ჰოდა, აი, ჩვენ ორნი ვართ, მე და ის... დიპლომატური კორპუსიდან არის, შესანიშნავი ვაჟკაცია... შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობათა ბიუროს მეშვეობით... ვადა, დედაჩემი გახსოვს?

მახსოვსო, უთხრა გლებოვმა, ის იყო იმის თქმასაც აპირებდა, მამაშენიც მახსოვს, უფრო სწორად მამინაცვალი, კიდევ უფრო სწორად, ორი მამინაცვალიო, რომ ყურმილში წკარუნნი და წყვეტილი ზარი მოისმა.

მარინა ქმარს ისევ შიშით მისჩერებოდა.

— არაფერი, რაღაც სისულელე. ეს ის კაცია, დღეს ავეჯის მაღაზიაში რომ შემხვდა... — ფეხშიშველი გლებოვი საწერ მაგიდასთან იდგა და ჩაფიქრებული ტელეფონის აპარატს მისჩერებოდა. — არა, ნამდვილად გიჟია... ვითომ რატომ დამირეკა?

დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინ ვადიმ ალექსანდროვიჩ გლებოვი სულაც არ იყო ასე მსუქანი, შემოლოტებული, ქალივით ძუძუებიანი კაცი. არც სქელი ბარკლები ჰქონდა, არც უზარმაზარი მუცელი და არც ჩამოყრილი მხრები, რის გამოც ხელი აიღო მზა კოსტიუმების ყიდვაზე და ახლა მხოლოდ თერძებთან იკერავს, რადგან პიჯაკი ორმოცდათორმეტი ზომისა რგებს, ხოლო შარვალი ორმოცდათექვსმეტის ვიწრო აქვს, ზოგჯერ ორმოცდათვრამეტსაც კი ყიდულობს. დიახ, მაშინ არც ზედა და ქვედა ყბა ჰქონდა ხელოვნური კბილების ხიდებით დამშვენებული, არც ეჭიმები ნახულობდნენ კარდიოგრამაში ცვლილებებს, რაც გულის აშკარა უკმარისობას და სტენოკარდიის დასაწყისს მოასწავებს. არ იცოდა, რა იყო დილაობით მტანჯველი გულმძარვა, თავბრუსხვევა და საერთოდ ჯანის გატეხა. მაშინ მისი ღვიძლი ნორმალურად მუშაობდა, ჰამდა მსუქან კერძებს, არცთუ მთლად ახალ ხორცს. აბა, ღვინოსა და არაყს ხომ თავის გუნებაზე სვამდა, არავითარ მოსალოდნელ შედეგზე არა ფიქრობდა. მისთვის უცხო იყო წელის ტკივილი, ახლა რომ დაძაბულობას, ვაციებას თუ, ღმერთმა უწყის, რას აღარ მიაწერენ, არ აშინებდა მდინარე მოსკოვის მხარულით გადაცურვა, თანაც ყველაზე ფართო ადგილას, შეეძლო ოთხი საათი შეუსვენებლივ ეთამაშა ფრენბურთი. ერთი ფეხმარდი, გრძელთმიანი, ძვალტყავა ყმაწვილი იყო და თავისი მრგვალი სათვალით სამოცდაათიანელ რაზნოჩინელს მიაგავდა. ხშირად ყოფილა უკაპიკოდ, პურის ფულს ვაგზალზე მზიდავად მუშაობით თუ მოსკოვის ეზოებში შემის ჩეხვით მოულობდა. შიმშილობამ დაკლექების შიში აჭამა და ყირიმშიაც კი გაგზავნეს.

მაგრამ ყველაფერმა კეთილად ჩაიარა. მაშინ მამაც ცოცხალი იყო, დეიდა პოლიაც და ბებიაც, ყველანი ერთად სანაპიროზე ერთი პატარა სანდოს მეორე სართულზე ცხოვრობდნენ. მათ გარდა იქ კიდევ ექვსი ოჯახი ბინადრობდა, სამხარეულოში შვიდი მაგიდა იდგა. უყვარდა გოგოებთან სიმღერა, არც ვადიმ ალექსანდროვიჩი ერქვა, უბრალოდ ხან გლებიჩს ეძახდნენ. მათ ბატონას. სიღარიბით შეწუხებული და ძილგამკრთალი სწორედ იმაზე ოცნებობდა, რასაც შემდეგ მიაღწია, მაგრამ ამან სიხარული აღარ მოუტანა, რადგან საოცრად ბევრი ძალა და ის აუნაზღაურებელი რამ წაართვა, რასაც ცხოვრება ჰქვია. იმ დროს, თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ იყო ასეთი პროფესორი, გვარად განჩუკი, იყო სონია, იყო ანტონი და შულეპად წოდებული ლიოვკა შულეპნიკოვი, მათ მეზობლად ცხოვრობდა ვადიმ ალექსანდროვიჩი. იყვნენ კიდევ სხვებიც, მერე ნელ-ნელა რომ გაქრნენ, და იყო თვითონ, მუხლუხასავით შეუხედავი ბიჭი, ახლა ასე რომ არა ჰგავს საკუთარ თავს. აბა მარინას ხსენებაც ხომ არსად იყო.

მარინა ახლა სადღაც იქ, აივანზე ზის და არყის ხეების ჩრდილში მრგვლად გამოჭრილი თეთრი ქალაღებით თავდახურულ მურაბიანი შუშის ქილების ყელს ძაფებს ახვევს და ბავშვური ხელით გულდაგულ აწერს: „ხურტკმელი 72“, „ხენდრო 72“. ანტონი რა ხანია აღარ არის ამ ქვეყანაზე, აღარც სონიაა. პროფესორი განჩუკისაც არაფერი ისმის, ალბათ აღარც ის არის და, თუ არის კიდევ, რა მკვდარი და რა ცოცხალი. ლიოვკა შულეპნიკოვი კი ზის ავეჯის მაღაზიის ეზოს ჩრდილში, ზურგით კედელს მიყრდნობილს კბილებში პაპიროსი გაუჩრია და თვლემს: იგივე სიზმრები, მაღალჭერიანი დიდი ოთახები, ოცდაათიანი წლების ნარინჯისფერი ვეებერთელა აბაყურები...

გეგონება, თეატრიაო: გამოსვლა პირველი, გამოსვლა მეორე, მესამე, მეთვრამეტე. ყოველ გამოსვლაზე ადამიანი ოდნავ შეცვლილია, გამოსვლებს შორის გადის წლები, ათწლეულები. აი, უეცრად შულეპნიკოვი ინსტიტუტში გამოჩნდა, ეს მეორე გამოსვლა გახლდათ. ისე ბუნებრივად და მარჯვედ ამოყვინთა მივიწყებიდან, როგორც მხოლოდ სიცოცხლის პირველ ნახევარში ხდება. როცა გეგონება, რომ ყველაფერი ისე მიდის, როგორც ჩაფიქრებული იყო. გამოჩნდა რატომღაც მესამე კურსზე. რაც შეეხება განჩუკს და ყველა სხვა დანარჩენებთან დაკავშირებულ ამბებს, იგი მეოთხე კურსსა და მეხუთის დასაწყისს ეკუთვნის. შულეპნიკოვი აუხსნელი სისწრაფით იქცა მოღვაწედ, თუმცა რატომ აუხსნელი: ზურგს უკან უზარმაზარი შესაძლებლობების მქონე მაშინაცვალე ედგა. მაგრამ ეს ამბავი ბევრისათვის როდი იყო ცნობილი. გლებოვმა და სონიამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცოდნენ და მათთვის შულეპნიკოვი ისევ იმ ბავშვად, კეთილ შულეპადაც დარჩა. ყველას ეგონა, რომ მონხერხებული, გამძრომ-გამომძრომი ყმაწვილი იყო და გამალებითაც იკეთებდა კარიერას: შულეპნიკოვი ბიუროში, შულეპნიკოვი კომიტეტში, შულეპნიკოვი აქ, შულეპნიკოვი იქ, თან რჩეული გოგოებიც წამოაგო ანკესზე. სინამდვილეში ერთი დოყლაპია, ნამდვილი ბოთე ვინმე იყო. მაგრამ თავიდან ვერავინ ვერ გაუგო და ამიტომაც ბევრს აღიზიანებდა. ერთხელ დერეფანში გლებოვს ხარკოველი ბრგე ბიჭი, გვარად სმიგა მიუახლოვდა და უთხრა: „გლებოვ, ამბობენ, რომ შენ და ეულიატნიკოვი სკოლაში ერთად სწავლობდით?“ „დიახ, ვსწავლობდით, ოღონდ გვარს ნუ ამახინჯებ, ეს ცუდია“, — უპასუხა გლებოვმა. „კეთილი, გვარს აღარ დავეუმახინჯებთ, მაგრამ სიფათს კი ნამდვი-

ლად, — დაექადნა სმიგა, — ჰოდა, გადაეცა იმ შენს ექვლიაბივეს ჩვენი ჯგუფის გოგოებს ნუ ეკურკურება, თორემ ძვალს რბილად შეპყვებით.

რამდენიმე დღის შემდეგ აუდიტორიაში ცხვირ-პირდასიებული სმიგა გამოეცხადათ, გეგონებოდა, კბილი სტკივა და ლოყა დაუწყებდა ლიოვკა კი საოცარ ამბავს ჰყვებოდა: „ჩემთვის საპირფარეოში ვიყავი და უეცრად ეს სპილო დამაცხრა, თან გააფთრებით დამყვიროდა: „ხომ გაგაფრთხილე, შენადირო, შენა, მაგრამ ჩვენი არ შეისმინე!“ ერთი სიტყვით, რალაცას ბოდავდა, მეც ავიღე და სამბოს ილეთით ისე მოვცელე, თავით უნიტაზი გახეთქა“.

გლებოვმა ლიოვკას ცრუპენტელობის ამბავი იცოდა და, რა თქმა უნდა, არ დაუჯერა, მაგრამ მერე გახეთქილი უნიტაზი რომ ნახა, სმიგას სასტიკი დამარცხებაც იწამა და ყველა ის ფანტასტიკური ამბებიც, შულეპნიკოვი თავისად რომ ასალებდა: თითქოს ომის დროს დაამთავრა რაღაც საიდუმლო სკოლა, სადაც სწავლობდა სროლას, დანის მოქნევას, შიშველი ხელებით კაცის კვლას, უცხო ენებს, რომ მერე გერმანიის ღრმა ზურგში საიდუმლო საქმიანობას ეწეოდა და რომ მხოლოდ კუჭის წყლულის გაჩენის გამო იქნა დემობილიზებული. მონაყოლი, რასაკვირველია, საექვო იყო, რადგან გერმანიული ენა შულეპნიკოვმა ცუდად იცოდა, ვერც დანებს ხმარობდა მაინცდამაინც მარჯვედ და საერთოდაც ერთი მყვირალა, მოურიღებელი, პატარ-პატარა ტყუილების მოყვარული ყმაწვილი იყო და სულაც არ ესადაგებოდა იმ კაცის სახეს, რაღაც თავს ასალებდა. გლებოვმა ასეთი დასკვნა გამოიტანა: ლიოვკა ალბათ მართლა სწავლობდა იმ საიდუმლო სკოლაში (მაშინაცვალმა მოაწყო) და პოლკოვნიკ ლოურენსობასაც აპირებდა. მაგრამ ვერ მიაართვეს. ხოლო ის სმიგა, ადრე რომ ყოყლოჩინობდა და ლიოვკა დასანახად ეზიზღებოდა, მერე მისი უერთგულესი ხელქვეითი და განუყრელი თანამესუფრე გახდა, ერთი წლის შემდეგ კი, როცა მაშინაცვალმა ლიოვკას ნადავლი ავტომანქანა BMW აჩუქა და ამ ალუბლისფერი, ბაღლინჯოს ფორმის დრანდულეტით ინსტიტუტში მოქანდებოდა, ღარიბ სტუდენტობას მარტო შური კი არ ახრჩობდა, ლამის მეტყველების უნარიც ეკარგებოდა, სმიგა ყველგან თან სდევდა ლიოვკას, ეგზავნებოდა მაღაზიებში აცნობდა გოგოებს, რომლებთანაც ჯერ თვითონ აბამდა ნაცნობობის ქსელს.

იმ წლებში ლიოვკა შულეპნიკოვთან დამოკიდებულებას — მისი უცნაური და ჭირვეული ბედის აღზევებისას — ორგვარი სახე ჰქონდა: მონური სამსახური ან ბოროტი შური. ლიოვკას ყველაზე ძველი მეგობარი გლებოვი არასოდეს ყოფილა მისი მონა თვით უმცროს კლასებშიაც კი, როცა თითქმის ყველა უძვრება მდიდარ და ღონიერ ბიჭებს. გლებოვმა არც ინსტიტუტში ისურვა მისი ამალის გენერლობა, თუმცა ცდუნება ერთობ დიდი იყო. შულეპნიკოვის ირგვლივ ქუჩდებოდა სახელდახელო ჯგუფები, ჩქეფდა რაღაც სულ სხვაგვარი ცხოვრება: აგარაკები, ავტომანქანები, თეატრები, სპორტსმენები. იმ ხანებში გაჩნდა შაიბიანი ჰოკეი ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, „კანადური ჰოკეი“, ანდა უბრალოდ „კანადა“. გატაცება მოდური იყო და, წარმოიდგინეთ, ნატიფიც. სტადიონებზე მოგრიალდებოდნენ ციგეიკის ჭურჭებში გამოწყობილი ქალები, თახვისჭურჭებიანი მამაკაცები. შულეპნიკოვი მფრინავთა გუნდის ვიღაც სახელგანთქმულ მოთამაშეებს ელოლიავებოდა. გლებოვს ძალიანაც ხიბლავდა ეს წარმტაცი ცხოვრება, ცოტა არ იყოს, მოჩვენებითს რომ ჰგავდა. თვითონ შულეპნიკოვი, ძველი მეგობრობის ეშხით,

კეთილად იყო განწყობილი და თავისკენ ეძახდა, მაგრამ გლებოვს მაინც შორს ეჭირა თავი: განა მარტო თავმოყვარეობა ან მიტმასნვის შიში სწევდა უკან, არა, ეს იყო გლებოვის თანდაყოლილი სიფრთხილე, ზოგჯერ სრულიად უმიზნოდ, ისე, ქვეშეცნეულად რომ გაუჩნდებოდა ხოლმე. შულენბიკოვი წყალობასავით სთავაზობდა: „გლებიჩ, შენზე მოთხოვნილებაა!“ — უკან წიშნავდა, რომ ლიოვკას წრის რომელიღაც ქალიშვილმა თვალი დაადგა გლებოვს. აქ განსაკუთრებული არაფერი იყო, მაშინდელი გამოთქმა რომ ვიხმართ, გოგოებს იგი „ევასებოდათ“, — მისი გაცნობა უნდოდათ, ანდა სულაც ლიოვკა ტყუოდა, არავითარი მოთხოვნილება არ იყო, უბრალოდ, სურდა მეგობარსაც ეგება ამქვეყნიური სიამენი. ლიოვკა ამხანაგური კაცი იყო. გლებოვი თავს არიდებდა. ათასგვარ რაღაცას ჩმახავდა. სონიას იმიზეზებდა: სონია მელოდებოა, სონია ავად არისო, სინამდვილეში თავდაცვის ფარული მექანიზმი მუშაობდა და ეს მართლაც გასაოცარი იყო, რადგან იმ დროს არავის შეეძლო მოახლოებულ კატასტროფის წარმოდგენა! მაგრამ ის, რისგანაც გლებოვმა თავი ვერ იხსნა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე სტანჯავდა, ადრეული წლებიდან მოკადრებული — ღრმად ჩაბუდებული, წყენა გახლდათ...

მისი ვერც დაძლევა შეძლო და ვერც მასზე ამაღლება. განუკურნებელი სენივით ხან მაგრად შემოუტევედა, ხან თითქოს ქრებოდა, ხან კი ისე გაავდებოდა, მოთმენა ჭირდა. მაგალითად, რატომ იმას ყველაფერი, ესეც, ისიც, თან ასე იოლად, ოღონდ მოისურვე და თუნდა შიშველი ხელებით აიღე, გეგონება, უზენაესი განჩინებით ებოძა? გლებოვი კი უნდა გაიჭაჭოს, ყველაფერი თავისი ოფლით, ძვალთ თუ ტყავით მოიპოვოს. როცა მიაღწევს, ძარღვებიც დაწვეტილი ექნება და კანიც გასქელებული.

ეს წამება, რომელსაც შეიძლება შეუსაბამობის ტანჯვა-წამება ეწოდოს, იმ შორეულ დროს დაიწყო, როცა მეხუთე თუ მეექვსე კლასში სწავლობდა, სწორედ მაშინ, როცა შულევა სანაპიროს დიდ სახლში გადმოვიდა... გლებოვი კი დაბადებიდანვე თავის ორსართულიან ფუნდუკში ცხოვრობდა, იმ მთელი ქალაქისა თუ მთელი ქვეყნის მსგავსი ათასფანჯრიანი ნაცრისფერი სახლის გვერდით. ეს წაფერდებული, ეკლესიის უკან მიყრუებულ კუნჭულში მიყუჩული, ალაგ-ალაგ სახურავჩაწოლილი, წინა მხრიდან ოთხსვეტიანი სახლი მეზობელი ქუჩის მცხოვრებლებში „დერიუგინის ფუნდუკად“ იყო ცნობილი. თვითონ ამ შესახვევსაც, სადაც ეს გვერდმოქცეული მშვენიერება იდგა, დერიუგინის სახელი ერქვა. ნაცრისფერი, უზარმაზარი სახლი კი თავს ადგა მთელ შესახვევს, დილაობით მზეს ეჩრდილებოდა, საღამოობით კი ზემოდან აფრქვევდა რადიოსა და პატეფონის მუსიკას. აქ, ცისქვეშა სართულებში, თითქოს სულ სხვა ცხოვრება დუღდა, ვიდრე ქვემოთ, იმ ნაყარნუყარა, ძველი ასწლიანი, ტრადიციით ყვითლად შეღებილ ქოხმახებში. ესეც შენი შეუსაბამობა! ზოგი ვერ ამჩნევდა, ზოგს ფეხებზე ეკიდა, ზოგსაც კანონიერად, სამართლიანად მიაჩნდა. გლებოვს კი პატარობიდანვე სულს უშანთავდა შური თუ რაღაც სხვა რამ გრძნობა. მამა კანფეტის ძველისძველ ქარხანაში ხელოსან-ქიმიკოსად მუშაობდა, დედაც შრომობდა, ესეც იყო და ისიც, ჯამში კი არაფერი, განათლება არ ჰქონდა. ხან კერავდა, ხან კანტორებში მუშაობდა, ხანაც კინოთეატრში მებილეთე იყო. სწორედ დედის კინოთეატრში მუშაობა (მოსკოვოვრეცკის შესახვევის ერთ-ერთ უღარიბეს კინოთეატრში) გლებოვის არცთუ მცირე სიამაყის საგანსა და დიდ

შეღავათსაც წარმოადგენდა: ყოველნაირი ფილმის ნახვა შეეძლო უბილეთოდ დღის საათებში, როცა მაყურებელი ცოტა იყო, ამხანაგის შეყვანასაც ახერხებდა, ზოგჯერ ორისაც კი, თუ, რა თქმა უნდა, დედა კარგ გუნებაზე იყო.

სწორედ ეს უპირატესობა გახლდათ კლასში გლებოვის სინკლირის საფუძველი, რასაც ბიჭი მეტად გონიერად და ანგარიშიანად იყენებდა. იმ ბიჭებს პატივებდა, ვისი მეგობრობითაც იყო დაინტერესებული ან ვისგანაც სანაცვლოდ რაღაცას ელოდა, ზოგს კარგახნობით ალოდინებდა, დაპირებებით კვებავდა, ვიდრე მოწყალებას მოიღებდა, ზოგიერთ არამზადას კი ამ წყალობას საერთოდ არც არგუნებდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, გლებოვის ძალაუფლება — თუ ძალაუფლება არა, ავტორიტეტი — ნამდვილად შეურყეველი რჩებოდა, ვიდრე კლასს ლიოვკა შულება არ მოევიდნო. ლიოვკა დიდ სახლში გარეუბნიდან თუ სულაც სხვა ქალაქიდან გადმოვიდა. მისმა გამოჩენამ თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — ბიჭს ტყავის შარვალის ეცვა! პირველ დღეებში თავი ქედმაღლურად ეჭირა, თავისი ცისფერი თვალებით როგორღაც მინაბულად, აგდებით იყურებოდა კარავის გამოსაუბრებია, მერხზე სულაც გოგოს მიუჯდა. გაკვეთილების დროს აუტანლად აჭრაჭუნებდა იმ თავის ტყავის შარვალს. ამიტომაც გადაწყვიტეს ჰკუთვნეს ესწავლებინათ, უფრო სწორად, დაემცირებინათ, კიდევ უფრო სწორად — შეერცხვინათ. ბიჭებში არსებობდა ასეთი ანგარიშსწორება, რასაც სახელად „ოპოპო“ ერქვა. ვანწირულს სკოლის უკანა ეზოში შეათრევდნენ. „ოპოპოს“ ძახილით ჯგროდ მისცვივდებოდნენ და შარვალს ძალისძალიად ჩახდიდნენ. აი, სწორედ ასეთი რამ დაუპირეს ახალმოსულ შულებასაც. მერედა რა ნეტარება იქნებოდა უცნაურად მოჭრაჭუნე შარვლის ჩახდა. წინასწარ გაფრთხილებული გოგოები კი ფანჯრიდან ყველაფერს დაინახავდნენ. გლებოვი მხურვალედ უჭერდა მხარს შულებასთან ანგარიშსწორებას — საერთოდ, არ მოსწონდა ხოლმე დიდ სახლში მცხოვრებნი — მაგრამ სულ ბოლო წუთებში მონაწილეობის მიღება გადაიფიქრა. ვინ იცის, იქნებ შერცხვა კიდევ. გლებოვი უკანა კიბისაკენ გამავალ კართან იდგა და იქიდან იყურებოდა.

ბიჭებმა გაკვეთილების შემდეგ ლიოვკა უკანა ეზოში გაიხმეს — ისინი ხუთნი იყვნენ: დათვა, სიავა, მანიუნია და კიდევ ვიღაც — ლიოვკას გარს შემოერთყვნენ და რაღაცაზე შეეღავენ. მერე უეცრად კლასის ყოჩი, უძლეველი დათვა ლიოვკას ყელში სწვდა და გულაღმა დასცა. „ოპოპოს“ ძახილით დანარჩენებიც მაშინვე მისცვივდნენ. ლიოვკა გაუძალიანდა, ფეხებს იქნევდა, მაგრამ აბა რას გახდებოდა. მაშინვე მოთრგუნეს. ერთ-ერთი ბიჭი მკერდზეც კი შეაჯდა. უეცრად ისეთი ძლიერი ბათქის ხმა გაისმა, გეგონებოდა, ავტომანქანის სალტე გასკდაო. ხუთივე ბიჭი აქეთ-იქით მიიფარცხა, ლიოვკა ფეხზე წამოდგა. ტყავის შარვალის ისევ ეცვა, ხელში დამბაჩა ეჭირა და ერთხელ კიდევ გაისროლა ჰაერში. ირგვლივ დენტის სუნი დატრიალდა. თავზარდამცემი იყო ეს წუთი. გლებოვმა იგრძნო, ფეხები რომ ეკეცებოდა. თვალეზდაქაჩული დათვა მისკენ მორბოდა, ხელისკვრით გზიდან ჩამოიშორა და საფეხურებგამოტოვებით მალლა კიბეზე ავარდა.

მერე გამოირკვა, რომ შულებანიკოვს სათამაშო დამბაჩა, „პუგაჩი“ ჰქონია, ძალიან ლამაზი, უცხოური „პუგაჩი“, რომელიც საგანგებო ფისტონებით ისროდა და ნამდვილი დამბაჩის ხმას გამოსცემდა. ამ ამბიდან შულებანიკოვი გამარჯვებული გამოვიდა, თავდამსხმელებმა კი სირცხვილი ჰამეს. მერე ყო-

ველნაირად ცდილობდნენ ამ შესანიშნავი დამბახის მფლობელს შერიგებოდნენ. ასეთი იარაღის წყალობით მთელი სანაპიროს ეზოების ბატონ-პატრონობა შეიძლებოდა... გლებოვს შულეპასთან დაძმაცაცების მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე სხვას. იგი ხომ ამ თავდასხმაში არ მონაწილეობდა. თვითონ შულეპნიკოვიც არ ცდილა შურისძიებას, ის კი არა, მგონი, კმაყოფილიც იყო, ახლა რომ ასე ელაციცებოდნენ და „პუგაჩის“ ერთ გასროლაში ლამის საცხოვრებელი მიეცათ. მაგრამ საქმე ასე ადვილად არ დამთავრებულა. სრულიად მოულოდნელად კლასში სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და მილიციელი შემოვიდნენ. დირექტორმა ყვირილი დაიწყო, ავაზაკები უნდა დაისაჯონო. ისე იყო განრისხებული, ვეღარ იცნობდით. აროდეს რომ არ უყვირია, ისე ყვიროდა, ფერდაკარგულს ლოყები უთრთოდა, დაუნდობელი სახე ჰქონდა. სასწავლო ნაწილის გამგემ ამ თავდასხმას მავნებლური უწოდა. მილიციელი, მართალია, ჩუმად იჯდა, მაგრამ მისი იქ ყოფნა დასაზარავად კმაროდა.

დირექტორი ბანდიტების გვარების დასახელებას ითხოვდა. შულეპნიკოვი არ ასახელებდა. ასე უთხრა: „ბნელი“ მომიწყვეს, ვინ იყო, ვერ გავარჩიე, უეცრად გაიფანტნენო. მერე დირექტორი კიდევ ორჯერ შემოვიდა, მაგრამ უკვე უშილიციელოდ. დირექტორი გვარად მეშკოვერი გახლდათ, ეს უცნაური გვარი მისი თვალების ქვეშ დაკიდული ტომრებისაგან წარმომდგარი გეგონებოდა. გრძელი, თეთრი სახე ჰქონდა, თვალებს ქვემოთ თეთრი, შესიებული რგოლები ეკიდა. საოცრად ნერვიულობდა, სხვა მასწავლებლებივით სკამზე მშვიდად ჯდომას ვერ ახერხებდა, დაფის წინ მომართულივით მიმორბოდა. კლასის დამრიგებელი, მეტსახელად „საყვირა“ — არავის არ უყვარდა. მაგრამ დირექტორი კი მართლაც შეგეცოდებოდა, ისე დაბეჩავებული ჩანდა.

— მეგობრებო, მე გთხოვთ ვაეკაცობა გამოიჩინოთ. დიახ, დამალვა ვაეკაცობა არ არის, პირიქით, დამნაშავეთა გაცხადებაა. — მაგრამ მისი მიტკლისფერი სახე და ჩაწყვეტილი ხმა ვაეკაცობაზე არ მეტყველებდა.

ამ მოხუცი, ავადმყოფი კაცისადმი დიდი თანაგრძნობის მიუხედავად კლასი მაინც დუმდა. დუმდა შულეპაც. მერე ბავშვებს მოუყვა: შინ მამამ დამსაჯა, მთელი საღამო სააბაზანოში გამომამწყვდია, იქ კი საშინლად ბნელოდა და ტარაკანები დარბოდნენო. მამაც თავდამსხმელთა გვარების დასახელებას სთხოვდა, მაგრამ შულეპამ არავინ დაასახელა, არავინ გასცა.

ასე და ამრიგად, ლიოვკა შულეპნიკოვი, რომელსაც საქვეყნოდ გამასხარავენას უპირებდნენ, უეცრად გმირად იქცა. ალბათ ამ ტყავის შარვლის, „პუგაჩის“, მისი გმირული საქციელის გამო გაუჩნდა (ერთმა გოგომ შულეპას ლექსიც კი უძღვნა) გლებოვს რაღაც ტყვიისებური, სულის სიღრმეში ჩაძირული სიმძიმე... იმიტომ, რომ ერთ კაცს ყველაფერი არ უნდა ჰქონდეს. აქ, თუ გნებავთ, ბუნებაც ამხედრდება და ისიც, რასაც ბედისწერა ჰქვია. ლიოვკა შულეპნიკოვმა მერე იწვინა ბედისწერის ეს ამხედრება, თავის საწყალ ტყავზე იგრძნო ამ ურჩხულის კბილები. მაშინ კი, ბავშვობის ტკბილ ბურანში, გაფიქრებაც არავის შეეძლო, რომ ოდესმე ეს ყველაფერი აყირავდებოდა. მხოლოდ გლებოვი გრძნობდა რაღაცას — ახლა ზუსტად ვერ განსაზღვრავ, სახელდობრ, რას, ის კია, ძილში შემოჭრილი ცხადი ხმებივით შემაშფოთებელს. არა, შური სულაც არ არის ის წვრილმანი, საზიზღარი გრძნობა, რო-

გორადაც წარმოგვიდგენია. შური ამხედრებული ბუნების ნაწილია, იგი წინასწარი ნიშანია, მგრძობიარე სულებს რომ არ უნდა გამოეხროს და მაინც არავინ არის შურიან კაცზე უბედური. არ შეიძლება იმაზე დიდი უბედურების წარმოდგენა, რაც გლებოვს დაატყდა მის თითქოსდა წყვეტაზე საზეიმო წამს.

ბიზლიჩისეა

ხიდის გადაღმა, პაწაწკინტელა კინოთეატრში ძველ სურათს „ცისფერ ექსპრესს“ უჩვენებდნენ: სისხლისმღვრელი შეტაკებები, სროლა, მკვლელობა. ყველას ეს ფილმი აბოდებდა, მის ნახვას ოცნებობდნენ, მაგრამ ბავშვებს ფილმის ნახვა ეკრძალებოდა. გლებოვი დედამ შეიყვანა. სურათი, რასაკვირველია, უსაშველოდ კარგი იყო. ასაკეც სკამზე მჯდარ გლებოვს მთელი საათ-ნახევარი ციებანივით აყრიალებდა. რა თქმა უნდა, სურათს კიდევ ბევრჯერ ნახავდა. ახლა კი დადგა გლებოვის ბატონობის ხანა. თუ არ გლებოვი, სხვა ვხვით არ მოხერხდებოდა ამ შესანიშნავი, სწორუბოვარი სურათის ნახვა. სურათის მთელი ეშხი ის გახლდათ, რომ თეთრები ესხმოდნენ წითლების მატარებლებს, მხეცურად უსწორდებოდნენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, მაგრამ ბოლოს მაინც წითლები იმარჯვებდნენ. ყველა ეს შეჯახება, სროლა და დავიდარაბა ხდებოდა ვაგონებში, ვაგონების საბურავებზე და დაბლა, გამალებით მიმავალი მატარებლის ბორბლებთან. სულელი ხალხი სურათს არ ეტანებოდა, კინოთეატრის პატარა დარბაზი დღის საათებში ცარიელი იყო.

გლებოვი თვითონ არჩევდა ხოლმე ერთ ან ორ განსაკუთრებით ღირსეულ ამხანაგს და გაკვეთილების შემდეგ თავის გადაწყვეტილებას უზიარებდა. ბიჭებიც კისრისტეხით გადარბოდნენ ხიდს, რომ სეანსზე არ დაგვიანებოდათ. დედას ოთხი, ხუთი ბავშვის შეშვებაც შეეძლო, მაგრამ გლებოვი თავს იფასებდა ან რა ერქარებოდა. უნდოდა შულეპაც შეხვეწნოდა, სხვებივით დაღრეჯოდა, წამიყვანე, მანახეო, ბიჭი კი ყურსაც არ აპარტყუნებდა.

ერთხელ როგორღაც აგდებულად უთხრა:

— დიდი ამბავი, ეგ სურათი ასჯერა მაქვს ნანახი!

ეს კი, რასაკვირველია, ნაღდი ტყუილი თქვა. გაკვეთილების დროს გლებოვი გუნებაში ტყბებოდა მთხოვნელთა შერჩევა-გადარჩევით: ერთი ბიჭი საფრანგეთის კოლონიების სერიას სთავაზობდა, მანიუნია მამასთან ერთად დოღზე წაყვანას ჰპირდებოდა, იყო კიდევ სხვა დაპირებებიც. მაგრამ წარმოდგინეთ, იყო მუქარაც. ერთმა გოგომ ბარათი მისწერა და სეანსზე წაყვანისათვის კოცნას შეჰპირდა. ბარათმა ააღელვა გლებოვი. არც გოგოსაგან მიელო როდესმე ბარათი და არც კოცნის გემო იცოდა. იმ გოგოს დინა ერქვა, გვარად კალმიკოვა იყო. მეტსახელად კი აბაყურას ეძახდნენ. ეს შავთვალ-წარბა, ლოყებდაქლაქა, მრგვალი, ჩადრუგუნებული გოგო დიდი ვერაფერ შესახედავი იყო. გლებოვი გოგოს ზედაც არ უყურებდა, მაგრამ მერე სამუდამოდ დაამახსოვრდა.

ბარათის წაკითხვისას ელეთმელეთმა დაუარა, შიში იგრძნო. უკან მოხედვა კი არა, გარბევისაც კი შეეშინდა, დინა ორი მერხის უკან იჯდა. ბარათი მყისვე ნაკუწებად აქცია, თან გონებაში პასუხს ალაგებდა: როგორ მოვიქცე? რა თქმა უნდა, შეეძლო ეთქვა: „კი ბატონო, კინოში წაგიყვან, მაგრამ კოცნა სავალდებულო არ არის“. თუმცა ასეთი პასუხი შესაძლოა საწყენადაც დარჩენოდა. რაც მთავარია, გოგო უსაშველოდ მსუქანი იყო, ნაღდი ქონტრესტი. ისე კი, საოცრად მარდად დარბოდა, ფიზკულტურის გაკვეთილზე სხვა გოგო-

ებსაც უსწრებდა. შესანიშნავად დადიოდა ძელზე. არც ბაგირზე გამბაზობდა ცუდად. ჟოლოსფერი, უშველებელი, ფურჩალიანი ტრუსი ეცვა ხოლმე, ვილაცამ „აბაჟურს“ მიაძგვანა და მეტსახელი აბაჟურაც აქედან წამოვიდა. ასეთი სვეტა კირილოვას ან სონია განჩუკს რომ გამოეგზავნა, ფუფუნულად მოღვლა ვარება მაშინ უნდა გენახა. გლებოვს სვეტა მზეთუნახავად დაეჭყნებინა და გოგოსაც თავი ამაყად ეჭირა, მოქნილსა და ტანკენარ სვეტას სქელი, მუჭი ქერა ნაწნავები ეყარა და ყოველთვის ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ძალიან დიდი საიდუმლოება მხოლოდ მან იცოდა. სონია განჩუკი სილამაზით არა, მაგრამ რაღაც სხვა ხიბლით იზიდავდა. იქნებ იმითაც, რომ სონიას მამა პროფესორი განჩუკი სამოქალაქო ომის გმირი იყო და მის კაბინეტში, სადაც ერთხელ სონიამ მალულად შეიყვანა, კედლებზე ხანჯლები, თოფები და თურქული ხმალი ეკიდა. აი, სვეტა ან სონია რომ შეჰპირებოდნენ კოცნას! მაგრამ ჩიხში სწორედ დინკა აბაჟურამ მიაძწყვდია.

და მაინც შესვენების დროს, როცა მარტო მდგარი დინა დაინახა — ფანჯრის რაფას ზურგით მიყრდნობილი მოლიმარი გოგო ჰერს მისჩერებოდა — სწრაფად მიუახლოვდა და ყურთან წაუჩურჩულა:

— თუ გინდა, დღეს შემიძლია წაგიყვანო. სელაპა და ქიმიუსიც მომყვებიან... — მერე წამით დადუმდა და ისევ დასძინა: — რა თქმა უნდა, თუ გინდა...

— მინდა, — მიუგო სახემცინარმა გოგომ, ისე რომ ჰერისათვის თვალი არ მოუშორებია.

— მხოლოდ იცოდე, ნურავის გაუჩერდები, თორემ დაგვაგვიანდება. სამის ნახევრისათვის იქ უნდა ვიყოთ. ხელდახელ ჩაიცივი და მოვკურცხლოთ. ვასაგებია? — ბიჭი ცივად ლაპარაკობდა, არავითარი სანტიმენტი არ იგრძნობოდა.

კინოში სენსის დროს დინამ გლებოვს ყურში უჩურჩულა:

— შინ მივდივარ!

ბიჭი გაოცდა. „ცისფერი ექსპრესის“ მთავარი სროლა და დავიდარაბა ჯერ კიდევ წინ იყო და გლებოვიც მეათეჯერ აპირებდა ნახვას. დინამ ჩურჩულითვე განუმარტა: მუცელი ამტკივდა. მერე წამოდგა და დარბაზიდან გავიდა. გლებოვი ერთხანს ჩაფიქრდა, ბოლოს ადგა და თვითონაც გაჰყვა. თუმცა მთლად ნათლად არ იცოდა, რატომ გაედევნა. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, თავს შებოჭილად გრძნობდნენ. კრინტი არ დაუძრავთ. დინა ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თითქმის მირბოდა, გლებოვიც ასევე ჩქარი სვლით მიჰყვებოდა გვერდით. ასე მდუმარედ გაირბინეს შესახვევი და სანაპიროზე გავიდნენ. ხიდის ქვეშ წყალი შავი იყო და ორთქლი ასდიოდა. მდინარეზე აქა-იქ ჯერ კიდევ დაცურავდა ყინულის ნამსხვრევები. იდგა აპრილი, ვერ გაარკვევდი, ციოდა თუ თბილოდა. მაგრამ გლებოვს თითქოს კბილებიც უკაწკაწებდა და მთელი ტანიც კანკალებდა. ახლა ძალიანაც უნდოდა, დინას რომ ეკოცნა, მაგრამ არ იცოდა, როგორ შეეხსენებინა. მაშ, ტყუილად ხომ არ გამოვარდა ქუჩაში, სურათიც კი ვეღარ ნახა ბოლომდე. მერედა, როგორ მოხერხებულად გამოვიდა, სელაპა და ქიმიუსი კინოში დარჩნენ, თორემ აქეთობისას ოთხივენი იქნებოდნენ და უხერხული გამოვიდოდა.

გლებოვი მალიმალ ცერად გახედავდა ხოლმე დინკა აბაჟურას, ხედავდა მის ალაქლაქებულ ლოყას, აპრეხილ ცხვირსა და მოციგურავის შალის ქუდი-

დან გადმოყრილ შავი თმის კულულებს. გრძობდა, ჩქარი სიარულისაგან გოგოს სუნთქვა რომ აუჩქარდა და გაბუსხული ტუჩებიც გაეშალა. გლებოვს სიამოვნებდა ეს თვალთვალი. მართალია, დინკა აბაყურა დუღრუცანაც გახლდათ და არცთუ ძალიან ლამაზი, მაგრამ ახლა იგი მისი კულულებით თვითონ გოგომაც ხომ ასე ინდომა. ბიჭის გულს ბაგაბუვი გაუღვიძლა. მუშტავდა. უეცრად დინამ ნაბიჯი შეანელა. გლებოვმაც უკლო სვლას. ერთი ძველი, ოთხსართულიანი სახლის წინ იდგნენ. მაგრამ ეს არ იყო დინკას სახლი, იგი იქით, პოლიანკაზე ცხოვრობდა. დინკამ სადარბაზოს მძიმე კარი შეაღო და უკანმოუხედავად შევიდა. გლებოვიც უკან მიჰყვა. გოგომ კიბე აირბინა, შეუჩერებლივ აიარა მეორე, მესამე, მეოთხე სართული. გლებოვი უკან მისდევდა. მეოთხე სართულიდან მალლა, სხვენისაკენ უფრო ვიწრო კიბე აღიოდა. დინკა ამ კიბეზედაც ავიდა. გლებოვი არც ახლა ჩამორჩენია. სხვენის წინ დაბალი, ბნელი, აყროლებული შესასვლელი დაუხვდათ.

აქოშინებული დინა ბიჭისაკენ შემობრუნდა და უთხრა:

— აბა!

— რა? — იკითხა სუნთქვაშეკრულმა ბიჭმა.

— შეგიძლია მაკოცო.

— რატომ მე, როცა შენ შემპირდი?

— სულელი! — წამოიყვირა დინამ.

ერთხანს ასე უჩუმრად იდგნენ, ნელ-ნელა უწყნარდებოდათ სულისქცევა. გოგონას წასვლა არ უნდოდა და ერთხელ კიდევ ჩუმად წაულაპარაკა:

— ოი, რა სულელი ხარ...

გლებოვმა მტკიცედ გადაწყვიტა დანაპირებს დალოდებოდა. გავიდა ალბათ ერთი სამი წუთი, ხმაამოუღებლივ, გაუნძრევლად იდგნენ. მერე სხვენისკენ მიმავალ კარს იქით ღონეგამოცლილი კატის კნავილი მოისმა და რაღაცამ სწრაფად გაიშლიგინა. ორივეს გაეცინა. უეცრად დინა თავისი მსუქანი, მზურგალე სახით ბიჭისაკენ წაიწია და გლებოვმა ერთი წამით ტუჩებთან ნამიანი, ასხლეტილი შეხება იგრძნო. ეს იყო გლებოვის პირველი კოცნა. განსაკუთრებული სიამოვნება არ განუცდია, უბრალოდ შეება იგრძნო. მაშინვე თავქვე დაეშვნენ და იქვე, სადარბაზოსთან დაშორდნენ ერთმანეთს. დინას მარჯვნივ უნდა შეეხვია, პოლიანკისაკენ, ბიჭს კი ხიდი ჰქონდა გადასარბენი.


ერთი თუ ორი დღის შემდეგ, როცა გლებოვის ძლიერება უფრო საჩინო გახდა, სწორედ მაშინ იგემა დამარცხება. შულეპნიკოვმა, გაკვეთილების შემდეგ, მთელი ბიჭები შინ წაიყვანა. იმ დიდ სახლში გლებოვი არაერთხელ ყოფილა: ხან სელაპას სწვევია მეთუე სართულზე, საიდანაც მთელი კრიმსკის ხიდი და პარკის ხეები მოჩანს, ზაფხულობით იმასაც კი დაინახავ, როგორ ბრუნავს პარკში უზარმაზარი ბორბალი. ხან ჩიმიუსს წაჰყოლია, ისიც იმავე სადარბაზოში, ერთი სართულით ქვევით ცხოვრობს, სელაპასთან ერთად რამდენჯერ აივანზე „ალამ-ბაწრიანი კავშირი“ უთამაშია. ყოფილა სონია განჩუკთანაც, აბა, ანტონის პატარა ბინაში, იქვე, პირველ სართულზე, ხომ ყოფილა და ყოფილა. იქ მხოლოდ ანტონი და მისი დედა, ანა გეორგიევნა ცხოვრობდნენ. გულახდილად რომ ითქვას, დიდი სახლის მობინადრეთაგან გლებოვს ყველაზე უფრო ანტონ ოვჩინიკოვი მოსწონდა. იგი ოვჩინიკოვს, არც მეტი და არც ნაკლები, გენიოსად თვლიდა და არცთუ მარტო გლებოვს,

ბევრს მიაჩნდა ასე. ანტონი მუსიკოსი იყო, ვერდის ტრფიალი. ოპერა „აიდას“ თავიდან ბოლომდე ზეპირად გიმღერებდა, ანტონი სკოლის ყველაზე კარგი მხატვარიც იყო: განსაკუთრებით კარგად აკვარელით შესრულებული ისტორიული შენობები გამოსდიოდა. ტუშით კი კომპოზიტორების პროფილებს ხატავდა. თხზავდა ფანტასტიკურსა და მეცნიერულ რომანებსაც. არქეოლოგიური სიძველეებისა და მღვიმე-გამოქვაბულების ამბებიც კარგად აცნობიერებდა. ანტონი გატაცებული გახლდათ აგრეთვე პალეონტოლოგიით, ოკეანოგრაფიით, გეოგრაფიითა და ნაწილობრივ მინერალოგიით. გლებოვს მარტო ანტონის გენიალური შესაძლებლობები კი არ ხიბლავდა, აჯადოებდა მისი საოცარი მოკრძალება. ანტონისათვის უცხო იყო ტრახანი და ყოყოჩობა, იმ დიდი სახლის მობინადრეთაგან განსხვავებით, რომელთა სულშიც თუნდა მცირე ზომით მაინც იჭდა გლებოვისათვის ეგზომ საძულველი მედიდურობა. ანტონი სადად ცხოვრობდა, სახელმწიფო, უბრალო ავეჯით გაწყობილ ერთთაბიან ბინაში. არც გერმანული წაღები ჰქონდა, არც შალის ფინური სვიტრები, არც ტყავის ბუდეში ჩასმული, საკვირველი პატარ-პატარა დანები და არც საკლასო ოთახში სუნის დამყენებელი, პაპიროსის ქაღალდში გახვეული შაშხისა თუ ყველის ბუტერბროტები მოჰქონდა.

გლებოვს მაინცდამაინც არ სიამოვნებდა დიდ სახლში მცხოვრებ ბავშვებთან სიარული, თუმცა არ სიამოვნებდა კი არა, უბრალოდ, ერთგვარი შიში ახლდა იქ მისვლას. სადარბაზოების მელიფტეები როგორღაც დაეჭვებით შესცქეროდნენ და ყოველთვის ჰკითხავდნენ ხოლმე: „ვისთან მიდიხარ?“ — შენც უნდა გეთქვა გვარი და ბინის ნომერი. ზოგჯერ მელიფტე ბინაში დარგკვითაც არკვევდა, მართლა ელოდნენ თუ არა ასეთ და ასეთ კაცს. ჰოდა აი, ამ გამორკვევამდე იქ დგომა და ცდა ვერაფერი სიამოვნება იყო. ტელეფონით მოსაუბრე მელიფტეს თან ცალი თვალი აქეთ ჰქონდა, გეგონება, ეშინია, გლებოვმა თავი არ დუროთოს და ლიფტში უნებართვოდ არ შევარდესო. გლებოვი დანაშაულზე წასწრებულ ავაზაკივით გრძნობდა თავს, ხანდახან არც ის იცოდა, რას უპასუხებდნენ იმ ბინიდან. სელაპას ერთი ყრუანჩელა შინამოსამსახურე ჰყავდა, ვერც ვერას გააგებინებდი და ვერც ვერას გაგაგებინებდა, ხოლო ქიმიუსთან ხშირად ყურმილს ბებია იღებდა. ეს ყოველად მავნე დედაბერი შვილიშვილს გასაქანს არ აძლევდა, ფხიზლად დარაჯობდა. აკი ერთხელ უთხრა კიდეც მელიფტეს: გლებოვი არ გამოუშვა, ქიმიუსს გაკვეთილები არ მოუმზადებიაო. მხოლოდ ანტონთან მისვლას არ ახლდა ეს საწამებელი დაკითხვა-გამოკითხვა. იგი პირველ სართულზე ცხოვრობდა და მელიფტეც გლებოვს მხოლოდ პირქუში ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, როგორ რეკავდა ზარს და კარს როგორ უღებდნენ. გლებოვმა ისიც კი შეამჩნია, რომ ამ სახლში მცხოვრებ ბავშვებსაც კი ეშინოდათ მელიფტეებისა და ცდილობდნენ რაც შეიძლება ჩქარა გასხლტომოდნენ.

მაგრამ აი, ლიოვკა შულებნიკოვს, ამ სახლის არცთუ დიდი ხნის მკვიდრს, სულ სხვაგვარად ეჭირა თავი. მისი სადარბაზოს მელიფტე ეს მოლუშული, ლაწვებჩამოხლეწილი, სათვალისანი კაცი თავის დაქნევით ბიჭს პირველი მიესალმა, ის კი არა, ტელეფონიან მაგიდიდან კიდევაც წამოიწია. მაგრამ შულებპამ გვერდზე ისე ჩაუარა, ყურადღებაც არ მიაქცია. ლიფტში ხუთნი შეძვრნენ, კარი ძლივს დაიკეტა. მელიფტემ შეჩერება სცადა, როგორღაც გაუბედავად გაიხუმრა კიდეც: „ახალგაზრდებო, სადმე სართულებს შორის არ გაეჩხიროთ!“

12
13
14



ლიოვკა თავმოწონედ გაეპასუხა: „არა უშავს! გავრისკავთ!“ ყველა ერთხმად აღრიალდა: „გავრისკავთ! ვცდით! შევამოწმებთ, რამდენი კაცი გყვანა შეუძლია!“ — სათვალთან მელიფტეს სახეზე შიში შეაცივდა, ბიჭებით სავსე ლიფტი რომ დაიძრა.

შულეპნიკოვის უზარმაზარმა ბინამ ვაოცა გლებოვი და მისი მეგობრები და დარბაზები მუზეუმს მიაგავდა. ბიჭებმა იქაც განაგრძეს ატაცებული, გიჟმაჟი თამაში. გაიხადეს წალები და გაპრიალებულ პარკეტზე წინდებით სრიალი დაიწყეს, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ხარხარებდნენ, დიდი ყვირილ-ხივილი და მხიარულება ედგათ. უეცრად გაიღო თეთრი, დაბინდულშუშიანი კარი და პირში პაპიროსგარჭობილი მოხუცი ქალი გამოვიდა. „ეს რა ყაჩაღობაა? ახლავე შეწყვიტეთ! ჩაიციეთ წალები და საბავშვო ოთახში მოუსვით!“ — მკაცრად წარმოთქვა ქალმა. ლიოვკა აბუხლუნდა, მაგრამ მაინც დამორჩილდა. ბიჭებმა პკითხეს: „ეს არის დედაშენი? — „არა, ეს აგნესაა, — უპასუხა ლიოვკამ, — დედას ფრანგულს ასწავლის და დედასთან ენატანიობს. დამაცადოს, ერთხელაც იქნება დარიშხანით მოეწამლავ, ანდა სულაც გავაუპატიურებ.“ ყველას სიცილი წასკდა, სიცილს გაოცებაც ახლდა, იტყვის, მაგრამ რას იტყვის! ისე კი, უწმაწურ სიტყვებს ბიჭები სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გაოქმე ხმა-რობდნენ, მაგრამ ამ სიტყვის სათქმელად ენა მაინც არავის მოუტრიალდი-ბოდა, თუმცა მისი მნიშვნელობა ყველამ კარგად იცოდა. ლიოვკამ კი ის, ლაღად და თავისუფლად დაუკავშირა თავისი თავი ამ პაპიროსგარჭობილ მოხუც ქალს. რაც უფრო აშკარად გრძობდა გლებოვი ლიოვკა შულეპნიკოვის ამ განსაკუთრებულ თვისებებს, მით უფრო ძლიერად ელექტებოდა სულის სიღრმეში ის რაღაც მწველი და მძიმე, რომელიც შემდეგ ტყვიად იქცა. შულეპნიკოვი კი ბავშვობის სულელური წლებიდანვე მიეჩვია ამ სიტყვის უაზროდ წამოყრანტალებას, როგორც ყასიდ მუქარასა თუ ისე, უბრალო ხუმრობას და შემდეგ, სტუდენტობის დროსაც იმეორებდა, როცა კაი გვარიანი ოყლაყი იყო. განაწყენდებოდა თუ არა ინსტიტუტში რომელიმე მასწავლებელზე, მაშინვე შეაგინებდა: „არ დამიწერს სამიანს და გავაუპატიურებ“.

საბავშვო ოთახი ბამბუკის რაღაც უცნაური ავეჯით იყო გაწყობილი, იატაკზე ნოხები ეფინა, კედლებზე ველოსიპედის ბორბლები და მოკრივის ხელთათმანები ეკიდა, იქვე იყო შუშის უზარმაზარი გლობუსი, რომელიც მხოლოდ მაშინ ტრიალებდა, როცა შიგ ნათურა აენთებოდა. ფანჯრის რაფაზე კი სამფეხა სადგამზე მჭიდროდ დამაგრებული, ძველებური უცნაური ჭოგრიტი იდგა. როგორც ლიოვკამ თქვა, საღამოობით თურმე მშვენიერად ატარებდა დროს გაღმა მხარის ფანჯრების თვალთვალში. სწორედ ამ ოთახში დაიმსხვრა გლებოვის ისედაც არცთუ მყარი ძალაუფლება, მაგრამ ეს მის ვარდა არავის შეუმჩნევია. ლიოვკამ კინოაპარატი გამოიტანა, კედელზე ზეწარი ჩამოკიდა და „ცისფერი ექსპრესის“ ჩვენება დაიწყო: აპარატი რახ-რახებდა, ძველი ლენტი წყდებოდა, წარწერები გაურკვეველად ლიცლიცებდა, მაგრამ კინომ მაინც საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. გლებოვი კი რაღაც უეცარსა და ღრმა შეურაცხყოფას გრძობდა — დასწყევლოს ეშმაკმა, — ფიქრობდა გუნებაში, — მაინც რატომ უნდა პკონდეს ერთ ადამიანს ყველ-ფერი, აბსოლუტურად ყველაფერი? სხვას კი იმ ერთადერთს ართმევენ, რითაც ოდნავ მაინც შეუძლია თავის მოწონება, და იმას აძლევენ, ვისაც ყვე-

ლაფერი აქვს. გავიდა ხანი და გლებოვიც თანდათან შეეგუა ამას. ადამიანი ყველაფერს ეგუება, თვით უმძიმეს ტვირთსაც კი. აი, მზიდავეები თცდაათ კილოგრამ ზედმეტ ტვირთს წამოიკიდებენ და მიაქვთ, ეგუებიან.

გლებოვი შეეჩვია დიდ სახლს, მთელ შესახვევს რომ ჩრდილში იქცევდა, შეეჩვია მის სადარბაზოებს, მელიფტებს. იმასაც, რომ საღამოებში ჩაიხე პატიყებდნენ. ლიოვკა შულეპას დედას, ალინა ფეოდოროვნას, შეეძლო ჩანგლით მოესინჯა ტორტის ნაჭერი, განზე გაეწია და ეთქვა: „ჩემი აზრით, ეს ტორტი ძველია“. ტორტიც, რასაკვირველია, უკანვე მიჰქონდათ. როცა ასეთ მბავს გლებოვი პირველად შეესწრო, გაოცდა, ტორტი და ძველი? ეს სიტყვები მტკნარ სისულელედ ეჩვენა. ბიჭი შინ ტორტს იშვიათად, ვინმეს დაბადების დღეზე თუ გაუსინჯაედა გემოს. არავის მოსდიოდა აზრად მისი სიახლისა თუ სიძველის შემოწმება, თვალის უსწრაფესად სანსლავდნენ. ტორტი ყოველთვის ახალი იყო, საოცრად ახალი, ვარდისფერი კრემის ყვავილებით მორთული და ფუმფულა.

გლებოვი თავის სახლსაც მიეჩვია. როცა იმ დიდი სახლიდან ბრუნდებოდა, პირველ ხანებში გული როგორღაც უმძიმდებოდა, თითქოს გარეშე კაცის თვალით გახედავდა თავის ჩაშავებულბათქაშიან, წაფერდებულ პატარა სახლს. აღიოდა ჩაბნელებულ კიბეზე, თან ფრთხილადაც უნდა ევლო, ალაგ-ალაგ ამოცვნილ საფეხურებს რომ არ წამოსდებოდა. მიაღგებოდა ძველ, დაკონკილ საბანივით უამრავი ფირფიტებით, წარწერებით, ზარების ღიღებით აჭრელებულ კარს. ცხვირში ეცემოდა ოთახებში დატრიალებული ნავთქურების სუნი, ბაკში ყოველთვის რაღაც დუღდა, ვიღაც უსათუოდ ხარშავდა კომბოსტოს. ხელებს იბანდა ყოფილ სააბაზანო ოთახში. თვით აბაზანაში კი აღარც არავინ იბანდა და არც არავინ რეცხავდა. აბაზანა დახურული იყო, ზემოდან ფიცრები ჰქონდა გადაწყობილი, ფიცრებზე კი მობინადრეთა ვარცლები და ტაშტები ელაგა. დიან, ყოველივე ამას ხედავდა და გრძნობდა ლიოვკა შულეპნიკოვისაგან თუ დიდ სახლში მცხოვრებ რომელიმე ამზანაგისაგან მობრუნებული. მერე თანდათან ყველაფერი მიხელდა, შერბილდა და ისე აღარ უკაწრავდა გულს.

ლიოვკასაგან მობრუნებული გლებოვი აღგზნებული ყვებოდა, როგორი ჭალი ეკიდა შულეპნიკოვების სასადილო ოთახში და რა განიერი დერეფანი ჰქონდა, ველოსიპედითაც რომ შეგეძლო განავარდება, თან როგორი კანფეტები მოართვეს ჩაიზე. გლებოვი უფრო კოლოფის სიდიდემ გააოცა, ვიდრე კანფეტებმა. დაინტერესებული დედა და ბებია ხან რას ეკითხებოდნენ იმ დიდი სახლისას და ხან რას. უეცრად საუბარში მამაც ჩაერია, გლებოვს თვალი ჩაუკრა და თქვა:

— დაიცათ, მე მინდა ვიცოდე, თქვენ რა, იმ დიდ სახლში გინდათ ცხოვრება?

— რატომაც არა? ძალიანაც მინდა საკუთარი დერეფანი, — წარმოთქვა დედამ.

— მე კი აბა მხოლოდ ის მინდა, ქვაბების ჩხარაჩხური არ მესმოდეს, — თქვა ბებო ნილამ. საწყალი ქალი გაწამებული იყო, მოპირდაპირე ოთახში მცხოვრები მეზობლის ქალი სამუშაოდან გვიან ბრუნდებოდა და ღამის თორმეტი საათისათვის აუტყდებოდა ოთახსა და სამზარეულოს შორის წინ და უკან წრიალი თუ ქვაბების რაჩხუნი. ბებო ნილა, ზედ კართან, ზანდუკზე

აწვა და მეზობლის ქალის აქეთ-იქით სირბილი და ფხაკური ძილს უფრთხობდა.

— აბა რა გითხრათ? ჩემო ჭრელო ვარიებო, სულელო დიაცებო.

ასეთი ხუმრობა იცოდა მამამ, სრულიად უბოროტე გამაყვანებელი. დედას ალერსით „ნაცარა ვარიასაც“ კი ეძახდა. ქალებიც თითქმის უწყენდებოდნენ, ხელებსაც აუქნევდნენ, მაგრამ დედა გულით არასოდეს უჯავრდებოდა.

მამა ისევ თავისას გაიძახოდა და ბიჭს თვალის პაჭუნით ეუბნებოდა:

— არა, დემიჩ. შეხე ერთი ამ კრუხებს... ამ უჭკუო დედლებს... ნუთუ მართლა არ გესმით, რომ საკუთარი დერეფნის გარეშე კაცი უფრო ლიად ცხოვრობს? ხოლო ქვაბების ჩხაკუნი ეს ხომ მუსიკაა! აბა მე ათას ორასი მანეთიც რომ მომცენ, იმ სახლში არ გადავიდოდი...

მართალია, მამა ყოველთვის როგორღაც აგდებულად, ხუმრობით ექილიკებოდა დედას, ბებიასა თუ დეიდა პოლიას, ცოტას დასცინოდა, ცოტას ამასხარავებდა, ზოგჯერ აშინებდა კიდევ. მაგრამ მაინც ძნელი შესაცნობი იყო, მართლა ლაპარაკობდა, თუ ისე, პამპულობდა. ჭეშმარიტი სინამდვილე გლეხოვმა მოგვიანებით შეიცნო, მას შემდეგ, როცა დაკაცდა: არა, მამა სულაც არ იყო ქარაფშუტა კაცი და არც ისეთი ხუმარა. ყველაფერი ეს, მოგონილი, შინაურული თეატრი იყო. მამის შინაგანი ბუნების ფარული დერძი, რომელიც გარშემოც იგრაგნებოდა ყველაფერი, გახლდათ ის ძლიერი თვისება, რასაც სიფრთხილე ჰქვია. მისი თითქოსდა ხუმრობით, როგორღაც აგდებულად ნათქვამი სიტყვები — „ჩემო შვილებო, იცხოვრეთ ტრამეის წესის მიხედვით — თავს ნუ გამოჰყოფთ!“ ეს გაფრთხილება ლაზღანდარობა სულაც არ გახლდათ. აქ იყო ფარული სიბრძნე, რომელსაც იგი ნელ-ნელა, მოკრძალებით, თითქოსდა შეუგნებლად შთაგაგონებდა. მაინც რატომ არ უნდა გამოჰყოფოთ თავი? მამას ეს ყველაფერი მისდათავად ყველაზე მთავრად მიაჩნდა. იქნებ გულსხუთვასავით ახრჩობდა რაღაც ძველისძველი გაუნელებელი შიშო. იგი დედაზე გვარიანად უფროსი იყო, ბერიკაცს მიაგავდა, თმახუჭუჭა ქალარა ბერიკაცს, თუმცა ჯერ ორმოცდაათიც არ შესრულებოდა. მაგრამ ამ ორმოცდაათ წელიწადს ხომ მხოლოდ ბრძოლა, გაჭირვება და ქანცის გაწყვეტა ერქვა. მამა მეტად ხელმოკლე ოჯახიდან იყო, მისი მამა დუქსის ქარხანაში კანტორის მოსამსახურედ მუშაობდა, მამის ძმა, ძია ნიკოლაი, მფრინავი იყო. გერმანიასთან ომში დაღუპული ერთ-ერთი პირველი რუსი მფრინავი. ოჯახი მისით ამაყობდა, თავმოსაწონი სხვა არა. ჰქონდა რა, გამოსაჩენ ადვილზე ეკიდა გიმნაზიელის ქუდიანი ძია ნიკოლაის სურათი.

თანდათან მტკიცდებოდა ლიოვკა შულეპნიკოვთან მეგობრობა. კაცმა არ იცის რატომ, მაგრამ გლეხოვს თვითონ ლიოვკა ეტმასნებოდა, შინ პატიყებდა, ჩუქნიდა იმ წიგნებს, რაც არ მოსწონდა, თუმცა მას არც ერთი წიგნიც არ მოსწონდა. იქნებ ბიჭი ამ წიგნებს მამის ბიბლიოთეკიდანაც აძვრენდა, რადგან ზოგიერთს ლურჯი ბეჭედი ესვა, რომელზედაც ჩაქუჩმომარჯვებული კაცი და მზის სხივები იყო გამოსახული, წარწერით: „ა. ვ. შ.-ს წიგნებიდან“. — ამ ყმაწვილურ მეგობრობასაც მამა რაღაც შიშით უყურებდა და ერთთავად არიგებდა: „თავს ნუ გამოჰყოფ!“ იმ სახლში სიარულს მოუკელი, ლიოვკასთან მეგობრობაზე თავს ნუ გამოიდებო, იმიტომ რომ „შულეპნიკოვს ცხოვრებაში თავისი გზა აქვს, შენ შენი, არევა არ არის საჭირო“.

რატომღაც ეგონა, რომ ლიოვკა შულეპნიკოვს მალე მოსწყინდებოდა

გლებოვი ან კიდევ უფრო უარესი, მოსწყინდებოდათ მის მშობლებს და ამას რალაც უსიამოვნება მოჰყვებოდა. რალაც შინაგანი ალლოთი ამას გლებოვიც გრძნობდა და არც თვითონ სურდა იმ დიდ სახლში სიარული და მაინც ყოველთვის მიდიოდა, როცა ეძახდნენ, ზოგჯერ დაუძახებლად ეკლავნენ იმდენი მიმზიდველი და უჩვეულო რამ ელოდა. რაზე ალაბსა უძახდნენ ის და ანტონი, ნაირ-ნაირი წიგნები გამოჰქონდა მამის კარადებიდან სონია განჩუკს, ათასგვარი საოცრებებით იწონებდა თავს შულევა. შინ კი ყველაფერი, ყოველგვარი წერილმანი ნაცნობი და მოსაწყენი იყო.

მამა გაჭრილად არაფერს ეუბნებოდა, მხოლოდ ხუმრობით, გადაკრულად თუ ეტყოდა რამეს. გლებოვს კი უნდოდა მამას გარკვევით ეთქვა თავისი აზრი შულეპნიკოვზე.

— რატომ ამბობ ასე? რა არ მოგწონს შულეპასი?

იმ მიზეზზე, რის გამოც არ მოსწონდა გლებოვს შულევა, უფრო სწორად, იმ საზიზღარ გრძნობაზე, ტყვიასავით რომ აწვა ბიჭს გულზე, მამამ არაფერი იცოდა. მას რალაც სხვა ანგარიში ჰქონდა. იგი თავს არიდებდა ახსნა-განმარტებას ანდა სულაც ისევ მასხრობაში ატარებდა: „არა, მე წინააღმდეგი არა ვარ იმ შენი ლიოვკასა თუ შულეპასი — რას ეძახი, კარგად არც ვიცი. ისე გირჩევ, შერქმეულ სახელს მოეშვი, ნამდვილი სახელი დაუძახე, ლევი. საქმე ის არის, რომ იგი ცუდად გაზრდილი ყმაწვილია. მაგალითად, მადლობაააც კი არ ამბობს, როცა ჩაის მირთმევის შემდეგ სუფრიდან დგება“.

რასაკვირველია, მამა ეშმაკობდა. ლიოვკა რალაც სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ მოსწონდა, თუმცა როცა ლიოვკა სტუმრად მოდიოდა, მამა, ძალიან ალერსიანად და როგორც დიდ კაცს, საოცარი თავაზით ექცეოდა, თან ფრიად შთამაგონებლად „ლევს“ ეძახდა, რაზედაც გლებოვს გულიანად ეცინებოდა. ამას გარდა, ლიოვკას თანდასწრებით მამა რატომღაც ენად გაიკრიფებოდა ხოლმე, მსჯელობდა ნაირ-ნაირ თემებზე და, რაც გლებოვს ყველაზე მეტად ეჩოთირებოდა, შიგადაშიგ ტყუილებსა და ტრაბახს ურევდა.

ერაზხელ, როცა ძია ნიკოლაის ამბებს იხსენებდა, ასეთი რამ თქვა:

— იგი იყო პირველი რუსი მფრინავი, რომელმაც ერთ ბრძოლაში სამი აეროპლანი ჩამოაგდო, რომელთა შორისაც ცნობილი ასისის, გრაფ ფონ შვერინის აეროპლანიც ერიო. გრაფის აეროპლანი დაიმსხვრა, მაგრამ რალაც სასწაულით თვითონ გრაფი ცოცხალი დარჩა და ისევ განაგრძო ფრენა, თან განუცხადებია: ჩემი მიზანია, კვლავ შევხვდე ჰაერში იმ რუს მფრინავს და სამაგიერო მივუზლოო. ეს ამბავი ყველა გაზეთმა დაბეჭდა.

გლებოვი უსმენდა და უხერხულობისაგან ალარ იცოდა, რა ექნა. მამა კი განაგრძობდა:

— ეს ამბავი შენც კი არ იცი, შენთვისაც არ მიაშინია.

ლიოვკა შულეპნიკოვმა კი ჩაურთო:

— მაშინ თქვენ თქვით, ჩემმა მამამ ორი აეროპლანი ჩამოაგდოო.

— მე? ეს შეუძლებელია! არ შეიძლება ორი მეთქვა. აბა მაშინ რა რეკორდი იქნებოდა. ორი თვითმფრინავის ჩამოგდება რეკორდი არ არის. საქმეც ის არის, რომ ერთ ბრძოლაში სამი აეროპლანი ჩამოაგდო...

სხვა დროს კი უკვე საკუთარ ამბებს მოჰყვა — როგორ მსახურობდა

სამოქალაქო ომის დროს, კიროვის ხელმძღვანელობით, სადღაც კავკასიაში (კავკასიაში იგი მართლა მსახურობდა) და მერე კავალერისტად რაზმთან ერთად როგორ გადავიდა სპარსეთში და როგორ ნახა ცეცხლთყვანისმცემლები. იქით ლიოვკა შულეპნიკოვმა გამოაცხო ტყუილები, თითქოს მის მამას თბილისში საკუთარი ხელით მოეკლას ფაკირი. მერე ისევე მსხამს — განაგრძო. ჩრდილოეთ ინდოეთში ფაკირმა ჩემ თვალწინ ჯადოსნური ხე ამოხარდაო (მამა ჩრდილოეთში ნაღდად არ ყოფილა), ლიოვკამ კი სულ მთლად გააფრინა, — მამაჩემმა ერთხელ ფაკირების ბრბო შეიპყრო და დილეგში ჩაყარა, რათა დილით დაეხვრიტა, როგორც ინგლისის მოსყიდული ჯაშუშები. მაგრამ როცა დილით დილეგში ჩავიდნენ, ხუთი ბაყაყის მეტი არაფერი დაუხვდათ. ფაკირიც სწორედ ხუთი იყო.

— ჰოდა, სწორედ ის ბაყაყები უნდა დაეხვრიტათ, — თქვა მამამ.

— ასეც მოიქცნენ, — დაუდასტურა ლიოვკამ, — მაგრამ იცით, რა ძნელია ბაყაყების დახვრეტა, ისიც დილეგში?

მამა იცინოდა, თან მოწონების ნიშნად ეშმაკურად თითს უქნევდა:

— შენ, როგორც ვხედავ, ლევ, ფანტაზიები გყვარებია! ეს კარგია, მომწონს. ხუმრობა იქით იყოს და, მე მართლა მინახავს ფაკირები, ცოცხალი ფაკირები... პირველად, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩრდილოეთ ინდოეთში ვნახე. მეორედ კი აქ, ჩვენთან, მოსკოვში, სტრასტნი ბულვარზე...

იასინი ერთმანეთს რალაციით ჰგავდნენ, მამა და ლიოვკა შულეპნიკოვი. ამიტომაც გამოსდიოდათ ასე აწყობილი და მარჯვე საუბრები. გლებოვს კი არ მოეწონა, ტყუილმა გააღიზიანა. იმან კი არა, მამამ შიგადაშიგ ტყუილები რომ გაუროია, არა, ზურგს უკან რომ სხვა იყო და პირში სხვა. აკი უთხრა კიდევ:

— კი მაგრამ, შენ ხომ ლიოვკა არ მოგწონს, რატომ იქცევი ასე? ისეთ-ნაირად უღიმი და ესაუბრები... გეგოშება, შენი უფროსი იყოს...

ამ სიტყვების გაგონებაზე მამა გაცეცხლდა. იგი საერთოდ ბრაზიანი და მყვირალა კაცი არ იყო, ახლა კი აყვირდა:

— შეხედე ამ ლაწირაკს! შენიშვნების მოცემა არ დამიწყოს! ო, ეს თავხედი ლლაპი, ესა! — დიახ, „თავხედი ლლაპი“ გახლდათ მისი საყვარელი გამოთქმა. — მე ვიცინით, რალაციებს გიყვებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ზრდილი კაცი ვარ. ეს თქვენ ხართ ასე მიჩვეულები: ლიოვკა! დიმკა! ეი! შენ! ქათა! წარმოუდგენელი თავხედობაა — შენიშვნები აძლიო საკუთარ მამას.

ისეთნაირად გაცეცხლდა, დედასა და ბებია ნილასთანაც კი დაასმინა. ესანიც, რასაკვირველია, გლებოვს მისცვივდნენ, თუმცა ლამით ბიჭმა თეჯირს იქიდან დედ-მამის ჩურჩულს მოაჰკრა ყური:

— შენც ამ თავქარიან ბიჭს რა საუბრებს უმართავ...

— ჰო, რა თავხედია, მამას ჰკუას ასწავლის!

— შენც ნუ ეფინები, როგორც კაი, რა ქვია იმას...

— სულელები ხართ! არ გესმით!

მერე ერთი-ორი დღის შემდეგ, როცა ბრაზი გაუწედა, მამამ მშვიდად აუხსნა:

— აი, იმაზე მინდოდა, ამას წინათ რომ მიოხარი... თითქოს იმ შენს ლიოვკას, როგორც დიდ და წარჩინებულ პიროვნებას, ისე ვექცეოდი... შენ წარმოიდგინე, ჰკვიანურად შეგინიშნავს! დიახ, არის კიდევ, არა, ლიოვკა კი არა, მისი მამა ნამდვილად დიდი ვინმეა, თუმცა მე არც ვიცნობ, თვალითაც

არ მინახავს. იმიტომ რომ ირგვლივ ყველაფერი არეულია, ერთმანეთზე გადახლართული...

ძალევე დადასტურდა: მართლაც ყველაფერი ერთიმეორეზე იყო გადაჭაჭვული უეცრად დეიდა პოლიას ქმარს, ძია ვალოდიას ქმარს და მამას. მამა, იფიქრეს: შეიძლება თუ არა ლიოჯკას მამის, შულეპის ქმარს მემკვიდრეობით რამე დავეხმაროთ? ძია ვალოდია და დეიდა პოლია იაკიმანკაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ლამის ყოველდღე ჩვენთან გამოვხვდნენ, განსაკუთრებით დეიდა პოლია. დედასა და ბებიას ძალიან უყვარდათ იგი. პოლია ყველაზე ლამაზ, ყველაზე იბბლიან ქალად ითვლებოდა. კარგ ადგილას მუშაობდა — სათამაშოების ფაბრიკის მოდელიორი გახლდათ. ძია ვალოდია კი სტამბაში აკოთამშყობი იყო. და აი, სწორედ ძია ვალოდიას შეემთხვა უსიამოვნება, ლამის მავნებლობას აბრალებდნენ. დეიდა პოლია ტიროდა:

— ტონია, აბა ვოჯკა რა მავნებელია? იგი ხომ მარტო თავის საკუთარ თავს ვნებს, მეტს არავის...

საკუთარ თავს კი მართლა ძალიან ვნებდა, ლოთი იყო. მამა ერთთავად საყვედურობდა. დედა და ბებია პოლიას ხან საყვედურს ეუბნებოდნენ, ხანაც იბრალებდნენ:

— სწორედ შენა ხარ დამნაშავე, შე სულელი შენა, შენ გაათამამე! აბა, თავად რატომ ყიდულობ მისთვის სასმელს?

— არა ჯობია, შინ დალიოს, ვიდრე ქუჩაში, ვისთანაც მოხვდება? — თავს იმართლებდა დეიდა პოლია.

დედა და ბებია კი უმტკიცებდნენ. სწორედ სმამ შეამთხვია მთელი ეს უსიამოვნებაო, მაგრამ დეიდა პოლია არ ეთანხმებოდა:

— არა, ეს სხვა ადამიანებმა დალუპეს, ხომ იცით, რა კაცია.

დაახ, იგი მართლა კარგი კაცი იყო, ყოვლად უეშმაკო. გლებოვი ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა, რომ ასეთ გულჩვილ და უეშმაკო ადამიანებს სხვებისათვის მხოლოდ უბედურება მოაქვთ: დეიდა პოლია ტიროდა, ბებია ნილა იტანჯებოდა. დედა მხოლოდ ამაზედა ფიქრობდა, მამა ილანძლებოდა. გლებოვისათვის გაზაფხულზე ველოსიპედის ყიდვას აპირებდნენ, მაგრამ ახლა დედამ უარი უთხრა. ფული არა გვაქვს, პოლინას უნდა დავეხმაროთ.

და აი, უეცრად მოიფიქრეს: ლიოჯკას მამას ვთხოვოთო...

ხან თითის ქნევით ემუქრებოდა: შენთვის იყავ, თავი შორს გექიროს, ნუ აეტორღილებით, ახლა კი საშველად სწორედ ლიოჯკასთან გარბიან. ბიჩკების ამბავმა კი მართლა ყველა გააოცა.

ბიჩკები ანუ ბიჩკოვების მხიარული ოჯახი გლებოვის სახლში ბატონებით ცხოვრობდნენ. მათი ყველას ეშინოდა, გარშემო ყველას უცაცხანებდნენ, ყველაფერს თავისი სურვილით, თავის გუნებაზე აკეთებდნენ. საღამო ხან, დაკეტავდნენ სამზარეულოს და შიგ არავის უშვებდნენ. გინდ მილიციაში გაქცეულიყავი და გინდ სად. მოხუცი ბიჩკოვი სემიონ გერვასიევიჩი ტყავს აყროლებულ წყალში ალბობდა, ფეხსაცმელების მკერავი, მეწაღე კაცი გახლდათ. ყველაზე ძვირფასი, მოდური ფეხსაცმელების მკერავი, უფრო სწორად, თვითონ კი არ კერავდა, სწვას აძლევდა შესაკერად. თავად მხოლოდ მუშტრებსა და ტყავს შოულობდა. სამზარეულოს დამლაშობით დაკეტვის გამო უამრავი უსიამოვნება და აყალმაყალი იყო. განსაკუთრებით ის მეზობელი ცხარობდა, პირდაპირ ოთახში რომ ცხოვრობდა და ღამე გვიან ბრუნ-

დებოდა. გლებოვის დედაც გამოთქვამდა თავის აღშფოთებას: — „ერთი რომ აქაურობა ყარს და მეორეც ასეთი თვითნებობა!“ ხანდახან ყვირდით გამოუვარდებოდა კიდევ:

— მე თქვენ გიჩვენებთ! რა უფლებით!

მოხუცი სემიონ გერვასიევიჩი დაბალი, ბოხი ხმით დიწყუნდა: „ბუ-ბუ-ბუ“. მამა უხალისოდ გამოლოდდებოდა ხოლმე დერეფანში. წამიც და მთელი ბიჩკოვები ერთბაშად გამოეფინებოდნენ თავიანთი „დარბაზიდან“ — იმ დიდ ოთახს, სადაც ექვსი ბიჩკოვი ცხოვრობდა, რატომღაც დარბაზს ეძახდნენ — და ეს ბუ-ბუ-ბუ იქცეოდა ერთიან გუგუნად, გევონებოდა, ჭეჭა-ჭუხილი ატყდა და თქეშიც წამოვიდაო. მაგრამ ყველაზე საძაგლები მაინც მინკა და ტარანკა იყვნენ. ათი წლის ტარანკა მესამე კლასის მოსწავლე იყო, თხუთმეტი წლის მინკა კი მეხუთე კლასში ორჯერ დარჩა, სკოლიდან გამოაგდეს და არსადაც აღარ სწავლობდა. მერე სადღაც სამუშაოზე შეგირდად მოეწყო, მაგრამ ასიც მიატოვა. ახლა არავინ იცოდა, რა საქმიანობას ეწეოდა, ერთთავად პარკის საბილიარდოში ეგდო, ვინ იცის, იქნებ ქურდებთანაც ამხანაგობდა.

მინკა ბიჩკოვი ანუ იგივე ხვრებიკა, დერიუგინის შესახვევისა და იმ მთელი უბნის ბიჭების უგვირგვინო მეფე გახლდათ. თანაც ბოროტი მეფე. მასთან შეხვედრისა ეშინოდათ, ყველამ იცოდა, ხელცარიელი რომ არ დადიოდა.

უეცრად, გაკვეთილების შემდეგ, სკოლაში მოვარდებოდა და გამოკითხვას იწყებდა:

— ვინ ცემა გუშინ ტარასა? კიბეზე ვინ ტკიცა? შენ, საზიზღარო?

მინკამ მშვენივრად იცოდა, ვინც იყო, ეს ხომ თვითონ ტარანკამ შესჩივლა ან სულაც ტყუილი მოიგონა. იმ სურათიდან ტარანკას ხელის ხლებას ყველა ერიდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ იყვნენ მინკას არმცნობი, საქმეში ჩაუხედავი ბიჭები. მოსალოდნელ საშიშ შედეგს რომ ვერ ითვალისწინებდნენ და ტარანკას თავხედურ საქციელს უბესუხოდ არ ტოვებდნენ. ხან წაართყამდნენ, ხანაც წკიპურტს წაჭკრავდნენ, რის შედეგადაც მინკას თავისი მსხვერპლი ეზოში ძალისძალით გაპყავდა და იქ, აგურის კედელთან, საატრეკ სამსჯავროს უწყობდა.

— მაინც როგორ გაბედე, შე ძაღლის ლეკვო, ჩემი ძმის ხელის ხლება? სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია?

ფალავანი იურკა დათვა, რომელსაც მეათეკლასელებისაც კი არ ეშინოდა, მინკამ საშინლად დაამცირა და გაანადგურა ყველას წინაშე. ზურგს უკან ხელები გადაუგრიხა. გამწარებულმა ბიჭმა შეჰყვირა, მაგრამ მინკამ ახლა უფრო ძლიერად გადაუტრიალა, ისე ძლიერად, ბიჭი მუხლებზე დაეცა. უტიფარი მინკა კი დაჰყვიროდა:

— აბა თქვი, მაპატიე, ტარას ალექსევიჩი, თუ რამ გაწყენინე... მეტს აღარასოდეს გაკვიმეორებ!

ტარანკა კი, ეს წაწითალოწამწამებიანი, გაღუული, ბენტეოა ბაჭი იქვე იდგა და იკრიჭებოდა. საწყალი დათვა რაც შეეძლო ითმენდა, კუნცსოდა, კბილებს აკრაჭუნებდა, თავს აქნევდა, არა და არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბიჩკოვმა მაინც სძლია. ტარანკაც მიუახლოვდა და ფეხები ზედ სახეზე მიადო. მინკა კი თავისას განაგრძობდა:

— აბა თქვი ჩქარა, შე გველის წიწილო, შენა. გესმის? თორემ იცოდე, მაგ ხელებს მიგამტვრევ!

დათვამაც ძლივს გასაგონად წაილულლულა:

— მაპატიე, ტარას ალექსეევიჩ... — და სხვა მისთანანი. დათვას არავინ გამოქომაგებია: დიდ ბიჭებთან ეზოში არავინ იყო და აბა პატარები რას შებედავდნენ? მინკა ბიჩოკის გლებოვსაც კი ეშინოდა, თუმცა მთლად ისე არა, როგორც სხვებს. ასე თუ ისე, მაინც მეზობელი იყო. ხან რაღაცას სთხოვდა, ხანაც თავად აძლევდა. ზოგჯერ გლებოვი სადღაც სულის სიღრმეში კიდევაც ამოყობდა: ყველა უფრთხოდა დერიუგინის შესახვევში სიარულს, მინკა ბიჩოკისა და მისი ბანდის გადამკიდე, მაშინ როცა გლებოვს არაფრისაც არ ეშინოდა, როცა უნდოდა მაშინ გაივლიდა, თუნდ გვიან საღამოს და თუნდაც ღამით, თითსაც ვერავინ დააკარებდა. ამ თავის უპირატესობას გლებოვი ცხადად ვრძნობდა, ის კი არა, იმასაც ხვდებოდა, — თუმცა ამას სირცხვილით საკუთარ თავსაც არ უმქლავნებდა, — რომ გაჭირვების უამს შესაძლოა თვითონაც ტარანკად ქცეულიყო. მინკა უსათუოდ გამოექომაგებოდა. ყველას სვირს უჩვენებდა, მის თავს არავის დააჩაგვრინებდა. მაგრამ გლებოვს მინკასთან არავინ დაუსმენია. საერთოდაც მინკას მეზობლობით არ უსარგებლია, რადგან იმ ფარული თვითკმაყოფილების მიღმა სულ სხვა რამ იმალებოდა — შიში, სულის გამფრთხობი შიში, ისეთი, რომლის მსგავსი ჯერ არავის განუცდილა, ვინაიდან გლებოვის მსგავსად არავინ იცნობდა ყველა ამ ბიჩოკს. მათი ხმის გაგონებაზე დედას ფერი მისდიოდა. ბებია კი პირჯვრის წერას მოჰყვებოდა ხოლმე.

დედა ხომ სულ იმას ეჩიჩინებოდა:

— დეთის გულისათვის, არც მინკას და არც ტარანკას სიახლოვეს არ გაეკარო...

ჰო, მაგრამ აბა როგორ არ გაეკაროს, როცა თვითონ ეტენებიან? მიდი და თუ ბიჭი ხარ, ნუ გაეკარები...

მინკას და ტარანკას ერთი დაც ჰყავდათ, თექვსმეტი წლის ვერა. გოგონა ფაბრიკაში მუშაობდა. შესახედავად დიდ ქალს ჰგავდა ან იქნებ გლებოვს ეჩვენებოდა ასე — ერთიანად ჩასუქებულს, საოცრად აბზეკილი ძუძუები ჰქონდა, ჭრატუნა ფეხსაცმელები ეცვა ხოლმე და ყოველთვის ოდეკოლონის მძაფრი სუნი ასდიოდა.

ტარანკა გლებოვს დერეფანში გამოიხმობდა და შეუჩნდებოდა:

— გინდა შიშველი ვერკა განახო? მომეცი ოცი კაპიკი!

გლებოვს არ უნდოდა, სულაც არ აინტერესებდა შიშველი ვერას ნახვა, ამაზე ფიქრიც კი უსიამო შეგრძნებას ჰგვრიდა, ან ის ოცი კაპიკი საიდან მოეტანა? დედისათვის მოეპარა თუ ბებია ნილასათვის ეთხოვა? მაგრამ ეს მავნე ტარანკა არ ეშვებოდა, ძალლით ემუქრებოდა: ბიჩოკებს დიდი შავი ძალლი ჰყავდათ. ძალლს აბდულა ერქვა და მინკას საკუთრებად ითვლებოდა. აბდულა გლებოვს შეჩვეული იყო, მაგრამ თუ წააქეზებდნენ, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ჰოდა, აი ბიჭები სააბაზანო ოთახში შედიოდნენ, ფიცარზე დადგმულ ტაშტს დაბლა ჩამოდგამდნენ, ფიცარს ტაბურეტს ადგამდნენ და გლებოვიც მალლა ადიოდა. ზემოთ კი „დარბაზში“ გამივალი ფანჯარა იყო. ფანჯარას იქითა მხარეს ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. ტარანკა შიგნიდან ფარდას გადასწევდა და გლებოვიც დაუბრკოლებლად ჰვრეტდა, როგორ იბანდა ვერა

ტანს ოთახის შუაგულში დადგმულ ვარცლში. ვერა რატომღაც ტარანკას არ ერიდებოდა და გლებოვიც ყველაფერს ხედავდა...

მერე ტარანკა ტკიპასავით აეკრობოდა, გინდა თუ არა, ახლავე ოცი კაპიკი ჩამოყაჭეო. ბიჩკოვებმა საერთოდ ასე იცოდნენ — ახლავე. ამ წუთში მოიტაო. რამდენჯერ შემოსულა ოთახში განერვიულე ~~ბიჩკოვებმა~~ ~~შარდაცემულა~~ დედა:

ბიჩკოვებმა

— ალევტინა ისევ საკერავ მანქანას მთხოვს... რა ვუთხრა?

ალევტინა მინკას, ტარანკას და ვერას დედა გახლდათ, უფროსი ბიჩკოვის ცოლი. საკერავი მანქანის თხოვება დედას არ უნდოდა, ხან რას მოიმჩიებდა, ხან რას, ფეხს ითრევდა, ეშმაკობდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ალევტინას მაინც თავისი გაჰქონდა. ბიჩკოვებისაგან თავის დაღწევა ყოველად შეუძლებელი იყო.

მათი მეფობა კი ასე დამთავრდა. ერთ მშვენიერ დღეს დერიუგინის შესახვევში ანტონმა და ლიოვკამ შემოირბინეს. რატომ მორბოდნენ, კაცმა არ იცის, გლებოვთან არ მოდიოდნენ. შესაძლოა დერიუგინის შესახვევით არხის სანაპიროსაკენ უნდოდათ ეზო-ეზო გადასვლა. ბიჩკებმა ნიშანში ამოიღეს, ჯერ ტარანკა გამოუშვეს თავისი სულელური შეკითხვებით: — ეი, შენ, ბიჭო, სიფ-ხო-არ? ეს კი ნიშნავდა: სიფათში მოდება ხომ არ გინდა? დიახ, ეს იყო საჩხუბრად გამოწვევის ნიშანი. ბიჩკებს, რა თქმა უნდა, ტარანკასათვის სიტყვა არ შეუბრუნებიათ, ისე, უბრალოდ, გზიდან ჩამოიშორეს და ის იყო ისევ გაქცევას აპირებდნენ, რომ სადარბაზოდან ბიჩკოვების მთელი ხროვა გამოცვივდა — სცენარის მიხედვით სწორედ ასე ჰქონდათ ჩაფიქრებული — გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, ვილაცამ აბდულაც წაასისინა. ძალს, მგონი, არც არავისთვის უკბენია, მაგრამ ბავშვები დაზაფრა და ტანსაცმელი შემოაგლიჯა. ლიოვკას რა უჭირდა, მაგრამ აი, ანტონისათვის ტანსაცმლის შემოფლეთა ვერ იყო მთლად ადვილი ამბავი. მეორე დღეს გლებოვის სახლს ვილაც ტყავის გრძელპალტოიანი კაცი მოადგა და პირდაპირ „დარბაზის“ კარზე მიაკაკუნა. შიგნიდან აბდულას გაავეებული ყეფა მოისმა.

შინ მოხუცი სემიონ გერვასიევიჩი, ალევტინა და ტარანკა იყვნენ. გლებოვებს ესმოდათ რაღაც ხმაური, დავა, ალევტინა ყვიროდა, ძალლი ყეფდა. გლებოვს ოთახიდან ცხვირი არ გამოაყოფინეს, საერთოდ გლებოვების ოჯახმა გადაწყვიტა გარეთ არ გამოეჩედათ, გასუსულები ისხდნენ და აყურადებდნენ. შემდეგ კი უეცრად სამი გასროლის ხმა გაისმა. როგორც ამბობდნენ, ლოგინის ქვეშ შემძვრალი აბდულა ვერა და ვერ გამოიყვანესო.

გლებოვის თვალში აბდულა ძალიან დაეცა: რა უშიშარი და გაბედული ეგონა ეგ ძალლი, მხდალი და მშიშარა კი გამოდგა. გლებოვს შეეცოდა აბდულა, შეეცოდა ბიჩკოვები, განსაკუთრებით აქვითინებული ალევტინა თავისი ტარანკათი, მაგრამ სახლში ყველას უხაროდა. აბდულას დაღუპვის შემდეგ ბიჩკოვების ოჯახის საქმე სულ უკულმა წავიდა. მინკა ქურდობისათვის დააპატიმრეს. მოხუცი სემიონ გერვასიევიჩი შუა ეზოში დაეცა და საავადმყოფოში წაიყვანეს. სულ მალე მთელი ოჯახიც სადღაც გადაიკარგა. გეგონება, ქარმა წარიტაცაო. ორად გაყოფილ და ახლად შპალიერგაკრულ „დარბაზში“ პომრანჩინსკების მშვიდი ოჯახი გადმოვიდა. ცოლ-ქმარი თავიანთი პატარა ლიუბათი. ახალი მეზობლები დერეფანში თავგებივით უჩუმრად დასუნსულდებდნენ და ერთმანეთს ლამის ჩურჩულით ესაუბრებოდნენ.

მახსოვს ბავშვობის ათასი წვრილანი სისულელე, აღმოჩენა თუ დაკარგვა. ის, თუ როგორ ვიტანჯებოდი, როცა ვინმე არ დამიკლდიდა და სკოლაში სხვას გაჰყვებოდა. მახსოვს აფთიაქის სახლის სხვა ადგილას გადატანა. მახსოვს, ეზოებში ერთთავად ნოტიო პაერი და მდინარის სუნი რომ იდგამდინარის ეს სუნი თვითონ ოთახებშიც, განსაკუთრებით მამაჩემის დედა ოთახში ტრიალებდა. ხოლო როცა ხიდზე ტრამვაი გადიოდა, ლითონის ელარუნი და ბორბლების ღრჭიალიც მოისმოდა.

მახსოვს ხიდის უზარმაზარი გვერდითა კიბის ერთი სულის მოთქმით არბენა; საღამო ხანს თალის ქვეშ დერიუგინელ მოთარეშე ძმაბიჭობასთან პირისპირ შეხვედრა, კოიოტების ხროვასავით რომ გამორბოდნენ კინოდან, და შენც დამჯილული ხელებით, შიშისაგან გახევებული რომ მიდიოდი მათთან შესაყრელად.

ო, ეს წამიერი დიდების წყურვილი! ქვეყნიერება ნამცეცა იყო, ოთხი თუ ხუთი ადამიანი — ანტონი, ქიმიუსი, სელაპა, პო, იქნებ კიდევ სონია და ლიოვა, რა თქმა უნდა, ის სასაცილო იარიკიც. აი, ამ კოსმოსში დულდა ჩვენი მთავარი გულისთქმა: დაამტკიცო შენი. ყველაფერი შეუღარებულა იყო. **სიცოცხლეში** პირველად გამოვვარდი შესვენების დროს მზით გაჩახახებულ სანაპიროს ასფალტზე. სიცოცხლეში პირველად მიეხვდი, რომ გაზაფხული — უბრალოდ ქარია, რომ შეგამცივნებს და კბილების კაწკაწს აგიტებს. ვიღაც გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი, მოკლექურთუკიანი კაცი, თავზე ქალის დიდი, აგურისფერი ბერეტი რომ ეხურა, ტროტუარზე ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. უეცრად შეჩერდა, ჩვენი სკოლის კარზე მიკრული აბრა წაიკითხა და ხმამაღლა იყვირა:

— ეს არ შეიძლება! ბუნებაში ეს არ უნდა მოხდეს! თქვენ გესმით? — მაგრამ ჩვენ სანაპიროს მოაჯირთან შიშით მიყუყულებს კი არ გვიყვიროდა, არამედ ვიღაც სხვას, უხილავს, ვისაც ნაცრად აქცევდა სიძულვილით საგსე მისი მზერა. — საშუალო სკოლა ლონო! რომელი ლონო? რა სისულელეა? ღმერთო ჩემო, უწყიან კია, რასა სჩადიან?

კიდევ სხვა, ასევე მრისხანე წამოყვირება და თვალების ბრიალი. უეცრად ამ კაცმა ისკუპა და გალავნის გრანიტის ვიწრო მოაჯირს შეახტა, მერე რამდენიმე ნაბიჯი ისე მსუბუქად გადადგა, გეგონება, ტროტუარზე დადისო. ჩვენ ხმა ჩაგვიწყდა, დაზაფრულ გოგოებს ყვირილი აღმოხდათ. ბერეტიანმა კაცმა თითქოს ახლალა შეგვნიშნა, შეჩერდა, ზემოდან გადმოგვხედა და წარმოთქვა:

— საცოდავი ბავშვები!

მერე მთვარეულის ნაბიჯით მოაჯირზე რამდენიმე მეტრი გაიბინა, მკვირცხლად ჩამოხტა და მოსკვორეჩკის ხიდისაკენ გაჰქუსლა... სიცოცხლეში პირველად ვნახე გიჟი. მისმა ნახვამ ყველა გააოგნა. კარგა გვარიანად რომ დაგვცილდა, მხოლოდ მერე აგვიტყდა საშინელი ხარხარი. უეცრად ქიმიუსი გრანიტის მოაჯირს მიუახლოვდა და ზედ აბობლდა, თან ხელებს იშველიებდა. აშკარად ვხედავდით, ეშინოდა, წელშიაც ვერ გაიმართა, მაგრამ მაინც პირველი იგი შედგა მოაჯირზე, მიიღო ტანჯულის სიფათი, ხელი ასწია და ხმამაღლა დაიყვირა:

— საცოდავი ბავშვები! — წამიც და ქიმიუსი ქვაფენილს ტომარასავით დაებერტყა. ყველანი ვხარხარებდით. მაგრამ ანაზღად ტუჩებმოკუმული, სა-

ხეგაფითრებული ანტონ ოეჩინიკოვიც მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა მოაჯირს და ისიც მალლა აძვრა. მერე წელში გაიმართა და ნამდვილი კამბახივით ხელები გაშალა...

ყველამ იცოდა, რომ ანტონი ბრტყელტერფიანიც იყო და აბლომხედველიც. ის კი არა, ზოგჯერ ბნედაც ემართებოდა, მაგრამ ეგვიპტის მეუჩერებია. ყველა გაგვაოცა ამ უგუნურებამ... ისე გვეჩვენა, თითქოს იმ მოაჯირზე სიარული და სირბილიც კი საოცრად ადვილი რამ იყო. ანტონის კვალს მიჰყვა ჩასუქებული, ბუნთულა ქორიკა, მეტსახელად სელაპა, ისიც მალლა გრანიტის მოაჯირზე აბობლდა და წელში მოხრილი, მაიმუნივით გაჩოჩილდა, მაგრამ როცა ასფალტზე გადმოხტა, ფეხები მოეკეცა და მუხლებით დაეცა. მერე ავძვერი მე და სულ ბოლოს იარიკი.

როგორც აღმოჩნდა, ეს არც ისე ძნელი ამბავი იყო. მთავარია, არაფერზე არ უნდა გეფიქრა და მხოლოდ ფეხქვეშ, მოაჯირის წვრილი ბილიკისათვის გეცქირა. ამ საშინელი სიზმრისაგან ნიკფედის¹ შეშფოთებულმა შეძახილმა გამოგვიყვანა. ალბათ ამ შეძახებამ იხსნა საწყალი იარიკი, ეს ყველაზე უნიათო და უმწეო ბიჭი მთელ ჩვენს ძმაკაცობაში, იარიკს არც სირბილი შეეძლო, არც ჩხუბი და არც სკოლის უკანა ეზოში „შეპირაპირება“, სადაც ხელჩართული დუელები იმართებოდა „სისხლის პირველ გადმოთქრიალებამდე“. იარიკი წითელთმიანი, თეთრი სახის საოცრად დონდლო ბიჭი იყო. ფრენის უცოდინარ ჩიტსა ჰგავდა. იარიკს ურტყამდნენ ცემაზე გაფაციცებული ჩხუბისთავა სხვაკლასელი ბიჭები. მაცდური ნადავლი იყო: ამოდენა და ასეთი დოყლო. ერთხელ მესამეკლასულმაც კი სცემა. საქმე ის გახლდათ, რომ იარიკს საერთოდ არ შეეძლო ვინმესთვის დაერტყა, თითებს მუშტად ვერ კუმშავდა, ამიტომაც არავის ეწინააღმდეგებოდა, მაშინაც კი, როცა თავს პატარები ესხმოდნენ. ჩვენ კი სულ მის დაცვაში ვიყავით. მისი გულისათვის კაი მაგარი ჩხუბებიც გაგვიმართხს. იგი ხომ ჩვენი კლასელი იყო და, ვინც მასზე ხელს აიღებდა, ჩვენ შეურაცხვეყოფდა და ჩვენთან ჰქონდა საქმე. უეცრად ვილაც იყვირებდა: იარკას სცემენ! და ჩვენც თავ-პირის მტვრევით ხან მეორე სართულზე ავრბოდით, ხან მესამეზე, ზოგჯერ სახლის სხვენზეც ავასკდებოდით, ხან ტანვარჯიშის დარბაზში შევრბოდით და ხანაც სკოლის ეზოში გავცვივდებოდით, სადაც ის არამზადები თავის საკუთრებასავით ექცეოდნენ ჩვენს იარიკს: ან სადმე კუთხეში ურტყამდნენ ან სულაც ვირივით წაღუნავდნენ და ოყლაყ ბიჭებს მხრებით ათრევიანებდნენ. მაგრამ მაშინ, სანაპიროზე, როცა იგი განწირული სახით მოაჯირს მიუახლოვდა, თავისი გრძელი ფეხები მუხლებში მოხარა და მალლა ასვლა დააპირა, ჩვენ გავისუსეთ მხიარული გართობის მოლოდინში, უსაშველო ცნობისმოყვარეობით შევცქეროდით, მაშინ როცა უდაოდ წყალში ჩავარდნა და დახრჩობა ელოდა.

აი, სწორედ მაშინ დაიწყო ნებისყოფის გამოცდა. მას შემდეგ, რაც მოაჯირზე სიარული კი არა, სირბილიც კი ვისწავლეთ თითქმის მთელმა ძმაკაცობამ, ერთი ბიჭის გამოკლებით, რომელიც ერთ ფეხს მიათრევდა და ფიზკულტურიდან განთავისუფლებული იყო, ანტონმა სხვა გამოცდა გამოიგონა — სალამოს მთელი დერიუგინის შესახვევი გავიაროთო. ეს იყო კუნძულის ყველაზე საზიზლარი ადგილი და არა მარტო კუნძულის, მთელი ზამოს-

¹ ნიკფედი — შემოკლებით ნიკოლაი ფეოდოროვიჩი.

კვორეჩიესი. იქ ყოველთვის საეჭვო ხალხი იყრიდა თავს. წმინდაწყლის ავაზაკები. ვისთვისაც ამქვეყნად წმინდა არაფერი არსებობს, ფიცის გამტეხნი, ვაჭართა მშვიდობიანი ქარავნების ამოხრებლები, ავანტურისტები, ერთი სიტყვით, მეკობრეთა დაახლოებით ისეთი ბანდა, ცალფეხა სილვერი რომ მეთაურობდა. შესახვევში მოხვედრილ ყველა პატარა ბიჭს უსინდესოდ ძარცვავდნენ. ვის ორშაურიანს წაგლეჯდნენ, ვის სამშაურიანს, ვისაც კიდევ ჭაყვას. მშობლები სასტიკად უკრძალავდნენ ბავშვებს იქით სიარულს.

მაგრამ სამაგიეროდ თუ ისინი მოხვდებოდნენ ჩვენს ეზოებში! ანტონი ჩიუ-ჩიტსუს მიხედვით ვარჯიშობდა. მთელი წვრთნა იმას გულისხმობდა, რომ დიდიდან საღამომდე — შესვენებებზე, გაკვეთილებზე, შინ, წიგნის კითხვისას თუ რადიოთი მუსიკის მოსმენის დროს მარჯვენა ხელისგულის კიდე რაიმე მაგარი საგნისათვის უნდა გერტყა და გერტყა. ხელისგული რკინასავით უნდა გამაგრებულიყო. ანტონი ამ საქმიანობას ხელისგულის შეჩავშვნას ეძახდა. იმ ბიჭს, თავისი არაადამიანური სიმტკიცისა და თვითღისციბლინის წყალობით, ისე როგორც ყველაფერი სხვა, შეჩავშვნის საქმეც შესანიშნავად გამოსდიოდა. ორიოდ თვის შემდეგ ხელისგული მაგარი კოჭრებით დაეფარა. არც ერთ ჩვენგანს არ ეყოფოდა საამისო მოთმინება. ჰოდა, როცა ის არამზადები სადარბაზოდან გამოცვივდნენ, გზა გადაჭრილობეს და ერთმა მათგანმა, ხარად წოდებულმა, უკვე საულვაშე შეღინღლულმა ჯანიანმა ახმახმა მინკამ — ერთ დროს ჩვენი სკოლის მოსწავლემ — თავხედურად გვკითხა: — „მაინც რა დაგკარგვიათ აქ? ვადკასთან მოეხეტებით?“ — „არა!“ — უპასუხა ანტონმა. ანტონი და ლიოვკა ზოგჯერ დადიოდნენ გლებოვთან. მათი აზრით, იგი არა უშავს რა ბიჭი იყო, და არც ისეთი დუნდუკი. ჩვენი კლასის ბიჭების უმრავლესობა, რასაკვირველია, დუნდუკები იყვნენ. მაგრამ ახლა ანტონმა გადაჭრით უპასუხა „არა“, თუმცა ვადკასთან მივდივართო, რომ ეთქვა, თითს არ დააკარებდნენ. ვადკა და ხარი ერთ ბინაში ცხოვრობდნენ. ანდა სულაც ხმამალლა რომ დაეყვირა, „ეი, ბატონა!“ — ვადკა გლებოვს ბატონას ეძახდნენ — და ვადკას ფანჯრიდან გამოეხედა, ჩხუბი, რასაკვირველია, არ მოხდებოდა.

საქმეც ის იყო, ანტონმა ეს ყველაფერი ჩვენი ნებისყოფის გამოსაცდელად მოიგონა და ამ გამოცდის შემსუბუქება არ უნდა გვეცადა. ლიოვკა შულეპნიკოვმა განგებ არ წამოიღო „ბუგაჩი“. საწყალი ანტონ ოვჩინიკოვი არ გახლდათ გოლიათის გარეგნობის პატრონი. — ეს მხოლოდ მერე, ამ ჩხუბის შემდეგ დაირბა მასზე ლეგენდები. იგი ერთი, ჯმუჩი, ტანდაბალი ბიჭი იყო, კლასში თითქმის ყველაზე დაბალი. თან ჯანმრთელობის გამოწრთობის მიზნით, მაგარ აცივებამდე, მოკლე შარვლით დადიოდა და სულ მთლად პატარა ბიჭსა ჰგავდა. ვინც ახლოს არ იცნობდა, ერთი უღონო ლაწირაკი ეგონებოდა. თუ კინოში ან სადმე სამოგზაუროდ ქალაქგარეთ მიდიოდა, ყოველთვის სათვალეს იკეთებდა. მაშინაც, შესახვევში, სათვალით იყო. ნელ-ნელა შემოჩენა რომ დაგვიწყეს — ერთს ფეხი დაუდეს, მეორეს წაპკრეს, ანტონს ცხვირიდან სათვალის აგლეჯა დაუპირეს, აი, მაშინ მოხდა რაღაც წარმოუდგენელი. ყუმბარის გასკდომის მსგავსი. ანტონმა მომხდურს ხელისგულის კიდე მუცელში ჩაარტყა და იქვე ჩაკეცა. დაარტყა მეორეს, ისიც იქვე გადააწვინა. მოუქნია მესამესაც... ისე პარტყაპურტყით, უხმოდ, ხელის გაუნძრევლად ცვიოდნენ, გეგონებოდა, საკუთარი სურვილით ეპერტყებიანო ცირკის ხალი-

ჩაზე კარგად გაწვრთნილი ტაკიმასხარებივით... ეს მართლაც ზღაპრული წამები იყო... ბოლოს, რასაკვირველია, მაინც იმათ მიგვბეგვეს... თან ძაღლიც პყავდათ... თავშეხვეული ანტონი მერე მთელი ერთი თვე შინ იწვა... და მაინც რაღაც უსაშველოდ გვიხაროდა! რა გვიხაროდა? ეს გრძნობები უცნობურია და აუხსნელი. ვნახულობდით მწოლიარე ანტონს პირველმა ბნელ ბინაში. ამ ოთახებში მზე არასოდეს შედიოდა. კედლებზე, კომპოზიტორების პორტრეტების გვერდით, თვითონ ანტონის მიერ აკვარელით შესრულებული სურათები ეკიდა. პიანინოს თავზე დადგმულ ხის სქელი ჩარჩოდან სამხრეებზე რომბებიანი, სუფთად პირგაპარსული ახალგაზრდა კაცის სურათი შემოგვცქეროდა. — ეს შუა აზიაში ბასმაჩების ხელით მოკლული ანტონის მამა იყო. რადიო ერთთავად ჩართული ჰქონდათ, საწერი მაგიდის საიდუმლო უჯრაში კი წვრილად ნაწერი, ორმოცდათხუთმეტკაპიკიანი სქელი რვეულების მთელი დასტა ელაგა, აბაზანაში შარიშური გაუდიოდათ გაზეთებზე მორიალე ტარაკნებს — იმ სადარბაზოს ყველა ბინაში ტარაკნები იყო. სამზარეულოში ვჭამდით მარილმოყრილ ცივ კარტოფილს და დიდ-დიდ ნაჭრებად დაჭრილ შესანიშნავ შავ პურს. გულიანად ვხარხარებდით, ვფანტაზიორობდით, ვიხსენებდით, ვოცნებობდით, სულელებივით რაღაც გვიხაროდა...

შინ ისევ ძია ვალოდიაზე ლაპარაკობდნენ: შეიძლებოდა თუ არა შულეპნიკოვის მამისათვის ეთხოვათ დახმარება? ისე ჩანდა, თითქოს ის კაცი ყოვლისშემძლე იყო. ლაპარაკს ყოველთვის დედა იწყებდა. მამა ყოყმანობდა. „როგორ შეიძლება ადამიანის ასე დავალდებულება, — აღელვებით იტყოდა ხოლმე, — შულეპნიკოვისათვის ეს ისეთი წვრილმანი საქმეა, თხოვაც უხერხულია“. დედა არ ეპუებოდა: „ეს იმიტომ, რომ შენ ვალოდია არასოდეს გყვარებია, ჩემთვის კი ღვიძლია. პოლინა და ბავშვები მეცოდებიან. არა, მე უსათუოდ უნდა ვთხოვო ლიოვკას, იქნებ მამას მოელაპარაკოს“.

— აბა მე გიკრძალავ ამის გაკეთებას! — ერთხელაც იყვირა გულმოსულმა მამამ.

დედა იშვიათად ეკამათებოდა მამას, მაგრამ ყველაფერს მაინც თავის გუნებაზე აკეთებდა. ერთ საღამოს ლიოვკა შულეპამ მოირბინა — გლებოვის ალგებრის დავალებების ამოხსნაში ეხმარებოდა, თუ სულაც ისე, სალაცოდ და სატრაბახოდ მოვიდა — მერე ჩაისაც მიუსხდნენ, თან ბლითები დააყოლეს. ლიოვკას უყვარდა გლებოვებთან ჩაის დაღევა. შინაურებს საყვედურობდა, ბლითებს არ ყიდულობენო. უეცრად დედა ვალოდიაზე ალაპარაკდა, საქმის გაგებასა და გარკვევას თხოვდა. ჩემი აზრით, რაღაც გაუგებრობააო, უმტკიცებდა. ლიოვკა ადვილად დაეთანხმა: „კაი, ბატონო, ვეტყვი მამაჩემს“. დედამ წინასწარ დაწერილი გვარი და სახელი მიაწოდა. გლებოვმა თითქმის ფიზიკურად შეიგრძნო, როგორ დაიძაბა მამა, კოვზით ჭიქაში შექარს რომ ურევდა. უეცრად შეწყდა კოვზის ჩხაკუნიც და ხელის რხევაც. მამამ თავი ჩაჭინდრა და გაირინდა. დედა კი იღიმებოდა, თვალები უბრწყინავდა. გლებოვს რომ მიუახლოვდა, ბიჭს ღვინის სუნი ეცა. კაცმა რომ თქვას, დიდად არც ბიჭს მოეწონა დედის საქციელი, შულეპა ხომ მისი ამხანაგია და, თუ რამ სათხოვარი ჰქონდათ, ეს მას, გლებოვს უნდა გაეკეთებინა.

ლიოვკა წავიდა თუ არა, მამამ საყვედურები დააყარა:

— მაინც როგორ არა გრცხვენია? შენ მთვრალი ხარ! მთვრალმა გაუბილაპარაკი. — დედა, რასაკვირველია, უარზე იდგა, მთვრალი სულაც არა ვარ, აბა რა სისულელეს ჩმახავო. დედა მთვრალი მართლაც არ იყო, ცოტა გადაეკრა სითამამისათვის. მამა განრისხდა, ყვიროდა, რომ იგი არაფერ შუაშია და ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე უარს აცხადებს. გაურკვეველად რა პასუხისმგებლობას გულისხმობდა, რა საფრთხე იყო მოსალოდნელი მამამ საერთოდ იცოდა გაურკვეველად დამუქრება. ასე აღელვებული მამა გლებოვს იწვიათად თუ უნახავს. უზომოდ აღშფოთებული მაგიდას მუშტებს უბრახუნებდა და რაღაცას გაურკვეველად ყვიროდა: „შე თქვენთვის ყველაფერი! ყოველი ნაბიჯი! თქვენ კი, ეშმაკმა წაგიღოთ! ბატისტვინებო!“ მხოლოდ შემდეგ მიხვდა გლებოვი, რომ მამას შეეშინდა. მამა ზოგჯერ მართლა იმაზე როდი ჯავრობდა, რასაც ხმამაღლა ამბობდა. ჭეშმარიტ მიზეზს ამოხსნა სჭირდებოდა. ეს კი საკმაოდ ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელიც იყო. აი, ახლაც დედას იმ ერთი სირჩა სასმელისათვის უჯავრდებოდა, საჩქარმაჩქაროდ რომ გადაეკრა, მიზეზი ნათლად სხვა იყო: ძია ვალოდიას საქმის თაობაზე თხოვნამ განარისხა. მან ხომ გადაჭრით აუკრძალა! დედამ კი არ გაუგონა.

მხოლოდ მერე, ყვირილით რომ გული იჭერა, თითქოს სხვათა შორის გაუფრია:

— რაც შეეხება ვალოდკას საქმეს, ნაღდი სისულელეა... ან კი ენა როგორ მოვიტრიალდა, შე სულელლო შენაჭ...
დედა ატირდა. განრისხებულმა მამამ კარი გაიჯახუნა და სადღაც წავიდა. ბებო ნილამ კი გლებოვს მშვიდად უთხრა:

— დიმა, გენაცვალე, იმ შენს ლიოვკას შეახსენე. აქ იყვირებენ თუ არ იყვირებენ, ეშინიათ თუ არ ეშინიათ, მიხმარება მაინც საჭიროა...
ბებო ნილას ყოველთვის შეეძლო სადად, მშვიდად ლაპარაკი, მაშინაც, როცა მის გარშემო ყვიროდნენ და სისულელეებს როშავდნენ. გლებოვს უყვარდა ეს პატარა, მოკუნტული მოხუცი, მის კეფაზე კობტად მოხვეულ თეთრი თმის პატარა კონა და მოყვითალო, ერთიანად დაღარული სახე. სახლში შეუსვენებლივ ფუსფუსებდა, წინ და უკან დაფაჩუნობდა, ხან რას აკეთებდა, ხან რას. მთელი ოჯახი მის კისერზე იყო, დილიდან საღამომდე ფეხზე იდგა. გლებოვის აზრით, სწორედ ბებო ნილა იყო ერთადერთი ადამიანი, ვინაც ხან და ხან მაინც უგებდა.

ერთ სუსხიან და ყინვიან დღეს გლებოვი ლიოვკა შულეპას ოთახში იჯდა და ჭადრაკს თამაშობდა. იქვე იყო მათი მესამე ამხანაგიც. თამაშობდნენ გასკლაზე. უფროად კარი გაიღო და ლიოვკას მამა შემოვიდა. უფროს შულეპნიკოვს გლებოვი იწვიათად ხედავდა, სულ რაღაც სამჯერ თუ ოთხჯერ ენახა. როგორც ლიოვკა ამბობდა, მამამისი ოცდაოთხი საათი მუშაობდა, შინ ვერასოდეს ნახავდი, ძილითაც კი სამუშაოზე ეძინა. ლიოვკა ამ კაცს მამას ეძახდა, თუმცა მამინაცვალი კი იყო. უცნაური, ორმაგი გვარის პატრონი მისი ღვიძლი მამა მოკვდა თუ რაღაც იდუმალად გაქრა ლიოვკას ცხოვრებიდან. პროხოროვ-პლუნგე გახლდათ ლიოვკას ღვიძლი მამის გვარი. დაახლოებით ოცი წლის შემდეგ ლიოვკამ თავისი ნამდვილი გვარი — პროხორი დაიბრუნა, ყოველგვარი პლუნგეს გარეშე, მაგრამ ეს იყო უკვე სულ სხვა ცხოვრების დროს. ისე, შულეპნიკოვსა და არარსებობიდან წარმომდგარი პროხოროვ-პლუნგეს შორის — უფრო სწორად, მის სახელს შორის — კიდევ

იყო მესამე მამა — გვარად ფივეისკი, თუ ფლავიცი. ლიოვკას მამებში გარკვევა არცთუ ადვილი საქმე გახლდათ. მაგრამ აი, დედა კი ყოველთვის ერთი ჰყავდა. ეს ქალი მართლაც იშვიათი ვინმე იყო! ლიოვკას მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით, იგი დიდა თავადების, ბარიატინსკების შთამომავალი გახლდათ.

ალინა ფეოდოროვნა მალალი, შავგვრემანი ქალი იყო, ამასი გამოხედვა და მკაცრი ლაპარაკი ჰქონდა. გლებოვის აზრით, ოჯახის უფროსი სწორედ ის გახლდათ და ლიოვკასაც მამაზე მეტად მისი ეშინოდა. ბოიარინა მოროზოვასაც ჰგავდა ცოტათი და პიკის ქალსაც. თვითონ შულეპნიკოვი, ლიოვკას მამინაცვალი, ერთი შეუხედავი. თვალდაჭყეტილი, ტანდაბალი კაცი იყო. ყოველთვის ჩუმად ლაპარაკობდა. გლებოვს აოცებდა ამ კაცის სისხლისაგან დაცლილი სახე. ასეთი ფერმკრთალი, უმოძრაო სახე მეტად არც ენახა. ნაცრისფერ გიმნასტურაზე ვერცხლისბალთიანი კავკასიური წვრილი ქამარი ჰქონდა შემოკრული. ეცვა ასევე ნაცრისფერი გალიფე და ტყავის ჩექმები. ჰოდა, სწორედ ეს კაცი შემოვიდა ოთახში, ცოტა ხანს ჭადრაკის თამაშს უყურა და იკითხა:

— მგონი, თქვენა ხართ ვადიმ გლებოვი, არა?

გლებოვმა თავი დაუქნია.

— ერთი წუთით გამომყევით.

გლებოვი შეყოყმანდა. დაენანა მოსაგებ პოზიციაში პარტიის მიტოვება, ორი ზედმეტი მხედარი ჰყავდა.

— მორჩა! ფრე! — წამოიყვირა ლიოვკამ და ფიგურები არია.

რა ეშმაკი და უსამართლო ადამიანია ეს შულეპა, ფიქრობდა დაღონებული გლებოვი და მის მამინაცვალს უხმოდ მისდევდა, იმას რას წარმოიდგენდა, რაც იქ გაიგონა.

— დაჯექი!

გლებოვი მუქი ალუბლისფერი ტყავის რბილ სავარძელში ჩაჯდა, მაგრამ ისე ღრმად ჩაეფლო, იფიქრა, ორმოში ჩავვარდიო და, ცოტა არ იყოს, შეშინდა კიდევ, მაგრამ მალევე მოეგო გონს, გასწორდა და მოხერხებულად დაჯდა.

— ლევმა დედათქვენის წერილი გადმომცა, — დაიწყო მამინაცვალმა, ცხვირზე სათვალე გაიკეთა და წაიკითხა: — ბურმისტროვი ვლადიმერ გრიგორიევიჩი. ეს თქვენი ნათესავია? ნამდვილად ვეცდები, თუ შევძელი, რაიმეს გაგიგებთ, თუ არადა, ბრალსაც ნუ დამდებთ. ახლა, ჩემი მხრივ, მეც მაქვს სათხოვარი, ვადიმ!

უზარმაზარ მაგიდას მიმჯდარი უფროსი შულეპნიკოვი საოცრად პატარა ჩანდა, მხრებმოშვებულს თავი ჩაექნდრა და ქალაღის ფურცელზე რალაცას ხატავდა.

— ერთი ეს მითხარი, ვადიმ, ვინ იყო სკოლის ეზოში ჩემს შვილზე ავაზაკური თავდასხმის წამომწყები?

გლებოვი გაშეშდა. ასეთ შეკითხვას ნამდვილად არ ელოდა. ეს ამბავი დიდი ხნის დავიწყებული ეგონა, მას შემდეგ ხომ რამდენიმე თვე გავიდა! ერთ-ერთი მოთავე ხომ თვითონაც იყო, მაგრამ ბოლო წუთებში აზრი შეიცვალა, გადაწყვიტა ამ საქმეში არ გარეულოყო. თუმცა ხომ შეეძლო ვინმეს გაეცა, მართალი ეთქვა, — გლებოვმა ეს ყველაფერი უეცრად გაიაზრა და,

ცოტა არ იყოს, შეშინდა, შულეპნიკოვმა იგრძნო, ბიჭი რომ შეშფოტდა, ენას რომ ველარ ძრავდა.

— ჩემს შეილზე თავდასხმა უბრალო ამბავი არ გეგონოთ, მკაცრად წარმოთქვა შულეპნიკოვმა, — საქმე ჯგუფურია, მაგრამ ხომ ჩვენი შოთხევენი, წამომწყებნი. თქვი, ვინ არიან?

— არ ვიცი, — ჩუმად წაიბუტბუტა გლებოვმა. ბიჭი ცუდად გახდა. იმდენად ცუდად, რომ მუცელი აუწრიალდა და საშინლად ასტიკვდა. შულეპას მამინაცვალის ბრაზიან კაცს არ ჰგავდა, არც ყვიროდა და არც იგინებოდა, მაგრამ მის ჩუმ ლაპარაკსა და ღია ფერის წამოკარკლულ თვალებში იყო რაღაც ისეთი, რის გამოც რბილ სავარძელში ჯდომაც კი აუტანელი შეიქნა. გლებოვი მიხვდა, გამოსავალი აღარ იყო, უნდა ეთქვა. ვინ იცის, იქნებ ძია ვალოდიას ბედიც ამაზე იყო დამოკიდებული. გლებოვმა ეშმაკობა იხმარა, მინკასა და ტარანკაზე ალაპარაკდა, მაგრამ ლიოვკას მამინაცვალმა მკაცრად მოუჭრა:

— მათი ამბავი დამთავრებულია, ეს აღარავის აინტერესებს. შენ ის მიტხარი, ვინ იყო სკოლის ეზოში თავდასხმის მოთავე? მათ შესახებ არაფერი ვიცით და დაუსჯელადაც დასეირნობენ. — გლებოვი იტანჯებოდა, ყოყმანობდა, ენა არ უტრიალდებოდა, გამბედაობა არა ჰყოფნიდა. ერთხანს ასე მდუმარედ ისხდნენ, მერე უეცრად გლებოვს მუცელში რაღაც ხმაურით აუბუყბუყდა. ეს ისე მოულოდნელი და სამარცხვინო რაღაც იყო, გლებოვი მოიკუნტა, თავი მხრებში ჩარგო და გაირინდა. ბუყბუყი არ ცხრებოდა. ლიოვკას მამინაცვალს მისთვის არც შეუხედავს, ისე თქვა:

— იცით, ლიოვკას აქვს ერთი დიდი ნაკლი — ძალიან ჯიუტია. შეჯდა ჯორზე და ყალბი მეგობრობის ხათრით ჩვენებას არ იძლევა. შენ უთუოდ იცი, რომ იგი ჩემი ღვიძლი შვილი არ არის, ლიოვკა აღინა ფეოდოროვნას ვაჟია. დიახ, სწორედ ეს ამბავი ართულებს საქმეს. მე არ შემიძლია ძალა ვიხმარო. რა ვქნა? ჰოდა, აი, ვადიმ, შენ უნდა დამეხმარო, ვალდებული ხარ დამეხმარო. უკვე თორმეტი წლის ბიჭი ხარ, მოწიფული ყმაწვილი. ეჭვი არ არის, ზვდები, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ყოველივე. დიახ, ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია, — თქვა მამინაცვალმა და თითი მალლა შთამბეჭდავად ასწია.

გლებოვს მუცლის ყურყურმა გადაუარა, თუმცა მაინც ეშინოდა, ისევ არ დამეწყოსო. სწორედ ამ შიშმა დააფქვევინა: დაასახელა დათვა, მართლაც მთავარი ჩხუბისთავი. გლებოვს დათვა არ უყვარდა. თავისი ღონიერი მკლავით გასულდიდებული ბიჭი ისე ტყუილუბრალოდ წამოართყამდა გლებოვს, ვითომდა არაფერიო. დაასახელა მანიუნიაც, ეს ყველასათვის ცნობილი ხარბი, საერთოდ კი ალბათ სწორად მოიქცა — დაისჯებოდნენ ცუდი ბიჭები. მაგრამ მაინც მეტად უსიამოვნო გრძნობა დარჩა, თითქოს ვიღაც გასცაო. თუმცა მხოლოდ სიმართლე, ნაღდი სიმართლე თქვა. და ეს მწარე გრძნობა კიი ხანს არ განელეზბია, ალბათ რამდენიმე დღესაც კი.

მერე ერთხელ როგორღაც გლებოვთან ლიოვკა მოვიდა და თქვა, მამამ დამაბარა გადმოგცემთ, ძია ვალოდიას თაობაზე ვერაფერი გავარკვიეო. განსაკუთრებით არავინ განაწყენებულა, ისედაც აშკარა იყო, რომ ვერაფერი გაახერხა. ძია ვალოდიას ჩრდილოეთში უკრეს თავი და უკვე წერილიც მოვიდა იქიდან. დათვასა და მანიუნიას ცუდი არაფერი მოსვლიათ. დათვას მშობლები სამუშაოდ სადღაც სხვაგან გადაიყვანეს, ოჯახი მოსკოვიდან გა-

დავიდა და დათვაც თან წაიყვანეს. მანიუნია კი, როგორც ძალიან ცუდი მოწაფე, სკოლიდან გარიცხეს, მოხვდა „სატყეო სკოლაში“, მაგრამ მალე გამოიქცა და ქურდებს დაუძმავდა. მთელი ომის დრო, როგორც სინხლის სამართლის დამნაშავემ, ბანაკებში გაატარა. იმ გაზაფხულზე კვლავ უფრო ამბავი მოხდა: როცა მანიუნია სკოლიდან გარიცხეს, დიდი სახდრის ქუჩაში ამოვიდა, ლიოვკას ჩაუსაფრდა და კაი გვარიანად დააღლილა. ამბობდნენ, ვილაც გოგოს გულისათვისო, მაგრამ გლებოვმა ხომ იცოდა, რატომაც.

ეს ყველაფერი ისე შორეულ ამბებად იქცა, ისე აირ-დაირია, დაიბინდა, დამპალი ქსოვილივით დაიძენდა, რომ ახლა ვეღარც გაარკვევ: სინამდვილეში როგორ იყო? ან ეს რატომ მოხდა, ან ის? რატომ მოიქცა მაშინ ასე და არა სხვაგვარად? ყოვლად სულელური ამბები კი მშვენივრად გამახსოვრდება. უბრწუნადნი და უკვდავნი არიან, მაგალითად, მუცლის ყურყური. ან თუნდაც რა შემორჩა მეხსიერებას იმისაგან, რაც შემდეგ მოხდა, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ბედმა ინსტიტუტში კვლავ ლიოვკა შულეპნიკოვი შეახვედრა, შეახვედრა სონიასა და მის მამას, პროფესორ განჩუკს? რა ჩაეჭვდა პრიალათაიან რკინის ლურსმანივით? ისევ და ისევ სისულელე: თუ რა ხარბად ჭამდა პროფესორი განჩუკი გორკის ქუჩის საშაქარლამოში ნამცხვარ „ნაპოლეონს“, სწორედ იმ კრების შემდეგ, სადაც იგი გაანადგურეს და მიწასთან გაასწორეს. შემთხვევით ჩავლილმა გლებოვმა ამას ფანჯრიდან მოჰკრა თვალი.

ორმოცდაშვიდი წლის შემოდგომაზე, ინსტიტუტის ეზოში გლებოვმა ლიოვკა შულეპნიკოვი დაინახა, მაშინვე იცნო, თუმცა ამ შვიდი წლის მანძილზე სულ სხვა კაცად ქცეულიყო — მაღალ. დიდშუბლა ყმაწვილს ნაადრევად შემელოტებული თმა და ქდალი, ოთხკუთხა, კავკასიური უღვაშები ჰქონდა. არა, მართო იმიტომ კი არა, რომ მაშინ ასე იყო მოდაში, უბრალოდ ცხოვრების ნირს, ხასიათს გამოხატავდა, წარმოიდგინეთ, მსოფლმხედველობასაც კი. გლებოვს გაკვირვებისა და ცნობისმოყვარეობის გარდა პირველივე წამს იმ მივიწყებულმა ტყვიასავით მძიმე გრძნობამ გაჰკრა გულში, რაც სამუდამოდ შულეპნიკოვთან იყო დაკავშირებული. ისინი ხარხარებდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, მუშტებს უბაგუნებდნენ, მხიარულად ყვიროდნენ: „ნეტა ვინაა ეს კაცი? ვინაა ეს ტიპი? აქ რა უნდა?“ გლებოვი იმ თავისი განუყრელი კოვბოური პიჯაკითა და დაკემსილი შარვლით ცხოვრების ამ ნებიერის გვერდით ღარიბ ნათესავს მიაგავდა. შულეპნიკოვს კი ყავისფერი ტყავის ამერიკული შესანიშნავი ქურთუკი ეცვა. ასეთ ქურთუკს საკომისიო მაღაზიაში თუ წააწყდებოდი და ისიც ცეცხლის ფასად. გლებოვს ოცნებაც არ შეეძლო ამნაირ ქურთუკზე და მაინც ოცნებობდა. ასეთი ამერიკული ქურთუკის შექმნას განსაკუთრებით მაშინ ნატრობდა, სონია განჩუკთან რომ მიდიოდა, სადაც რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა და გლებოვი არცთუ ისე თავისუფლად გრძნობდა თავს, თუმცა სონიას ძველი მეგობარი გახლდათ. ქურთუკი მართლაც რომ ელეგანტური, პრაქტიკული, ვაჟკაცური, მოდური იყო. დასწყევლოს ეშმაკმა, რას არ მისცემდა ასეთ ჩასაცმელში. აი, ახლაც ლიოვკასთან საუბრისას თვალს ვერ სწყვეტდა ტყავის რბილ ნაკეცებს. ლიოვკა ჰყვებოდა გერმანიაზე, თავის უიღბლო ქორწინებაზე, მამაზე, იმ სახლზე, სადაც ახლა ცხოვრობდა: ტელეგრაფის პირდაპირ, კოქტეილ-ჰოლთან. გლებოვიც უყვებოდა რაღაცებს. ლაპარაკობდნენ საოცრად უხეშად, ასევე უხეშ

ამბებზე, ომს ამოებერტყა მათში ყველაფერი ბალღური, ყოველ შემთხვევაში, მათ ასე ეგონათ.

სინამდვილეში კი ისევ ბაღლები იყვნენ.

— რა ძალიან კარგი ქურთუკი გაცვია. სად შეიძლება ასეთი რამ იშოვოს კაცმა? — უეცრად ჰკითხა გლებოვმა.

— ქურთუკი? კი ბატონო, ეს რა დიდი საქმეა.

— არა, მე მართლა გეკითხები. სად ვიშოვი?

— მამაჩემს ვთხოვ და იგი ეტყვის, ვისაც საჭიროა...

ორი საათის შემდეგ კოქტეილ-პოლის მაღალ საჯდომებზე იყვნენ შესკუპულნი. გლებოვი აქ პირველად იყო. უხერხული და უცნაური ეჩვენა ეს ქანდარის მსგავსი საჯდომები. ქაჩავდნენ პაპიროსს, აქნევდნენ ფეხებს, წრუპავდნენ მაგარზე მაგარ „კობლერს“ და ნელ-ნელა ითვრებოდნენ. უყვებოდნენ ერთმანეთს იმ გაფრენილი შვიდი წლის მშფოთვარე ამბებს. მოსაყოლი კი, გიყვარდეს, ბევრი ჰქონდათ. გლებოვი ევაკუაციის დროს გლაზოვოში ცხოვრობდა. დედა ქუჩაში მოკვდა — გული გაუჩერდა. გლებოვი ამ დროს ტყეში ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა, დედისა არაფერი იცოდა. ლიოვკა დიპლომატური დავალებით სტამბულში ჩააფრინეს. იქიდან სხვისი პასპორტით ვენაში გადაისროლეს. გლებოვი ტყიდან დედის დაკრძალვის შემდეგ დაბრუნდა, ფილტვების ანთებით გახდა ავად. კინაღამ სული გააცხო, ბებონილამ მოუარა და უპატრონა. მერე ფრონტიდან დაბრუნდა თავში დაჭრილი მამა, რომელსაც აღარავითარი გონებრივი საქმიანობა აღარ შეეძლო და საამქროში მტვირთავად დაიწყო მუშაობა. სელაბა ლენინგრადის მისადგომებთან დაიღუპა. დათვა, ნაფოტა და ქიმიუსი, ღმერთმა უწყის, სად არიან. აქეთ-იქით მიმოიფანტნენ იმ დიდი სახლის ბინადარნი. სონია განჩუკის გარდა იმ სახლში აღარავინ დარჩა. შულეპას ცოლი — მარია იტალიელი იყო, იშვიათი სილამაზის პატრონი ქალი. გლაზოვოში ხალხი შიმშილით იხოცებოდა. გლებოვი ბალახის სუპსა და რკოს ჩაის სმას მიეჩვია. მარია შვიდი წლით უფროსი იყო შულეპაზე. ლიოვკას ერთ დროს მასზე უფროსი ქალები ხიბლავდა, მერე კი მოსწყინდა. რატომღაც კომპლექსიანები ხდებოდნენ. აბა გლებოვის ქალები მასზე უმცროსები იყვნენ. დიან, ყველა, ყველა მისი ქალი უმცროსი იყო, გარდა ერთისა, მაგრამ გიყვარდეს, ის ერთი იყო! თუმცა ეს შემდეგ, სხვა დროისათვის გადავდოთ, გრძელი ამბავია.

მაინც როდის დაიღუპა ანტონი? ამბობენ, ორმოცდაორის გაზაფხულზეო. გასაკვირია, ფრონტზე როგორ წაიყვანეს: იგი ხომ ავადმყოფი ბიჭი იყო, ანლომხედველი, ბნედიანი. თან ძალიან ცუდად ესმოდა. რას ამბობ, ანტონსა ცუდად ესმოდა? რა თქმა უნდა, ცუდად, ერთთავად პირველ მერხზე იჯდა, თუ ვერ გაიგონებდა, გამეორებას ითხოვდა. კი მაგრამ, გასაოცრად მუსიკალური რომ იყო? ოპერა „აიდა“ თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა. მერე რა? ანდა ბეთპოვენი? აი, ვინ არის დასანანი და — ანტონშკა. იგი გენიალური ადამიანი იყო. რა თქმა უნდა, გენიოსი, ნაღდი გენიოსი, თანაც ლეონარდოს ყაიდის. აბსოლუტური გენიოსი, სადაო რომ არაფერი იყო. უნდა ვინახულოთ მისი დედა, ამბობენ, ევაკუაციის დროს უსაშველოდ უჭირდათო. დედამისი ისევ იქ ცხოვრობს, იმავე ოთახში, შუა ეზოს პირველ სართულზე, ტარაკანე-ბიან სადარბაზოში. ლიოვკამ მეკავშირეთა ჯარების ინტენდანტი მოკლა, საქმე ტრიბუნალს გადასცეს, ჩამოხრჩობა ემუქრებოდა, მაგრამ შემდეგ გაირკვა,

რომ ის ინტენდანტი აბვერთან დაკავშირებული ბნელი პიროვნება იყო. ლიოვკას ორდენის მიცემა დაუბირეს. თუმცა შემდეგ მაინც არ მისცეს, როგორც ჩანდა, ეს ყველაფერი აშკარა ტყუილი იყო, მაგრამ მაშინ გლებოვს მისი ყველაფერი სჯეროდა, უხაროდა, შუღლებას რომ შეხვდა. მზარს იწოდებოდა „კობლერის“ ზედმეტი ბოთლის შესაძენად უკანასკნელი ფული გაუღო, მაგრამ არ კი დასჭირდა. ფული ლიოვკამ გადაიხადა. ის ტყავის ქურთუკი კი მაინც ძალიან უნდოდა.

მერე ტელეგრაფის შენობის მახლობლად იყიალეს, უხირდებოდნენ გამვლელებს, ცდილობდნენ ქალებთან გამოლაპარაკებას, გაცნობას, მილიციელიც როგორღაც დანდობილად იმზირებოდა. ლიოვკა ტრაბახობდა:

— შიში ნუ გაქვს, მე აქ ყველა მიცნობს! სული იმიტომ უდგათ, მე არ ვეხები...

მრისხანედ წარბშეკრული ლიოვკა მილიციელს თითის ქნევით ემუქრებოდა. მერე მასთან მეოთხე სართულზე ავიდნენ. იქაც დალიეს, ლიოვკას დედა, ალინა ფეოდოროვნა, ისევ ისეთი დარჩენილიყო, როგორც ომამდე იყო, გასაოცარია! ირგვლივ ყველაფერი ასე შეიცვალა. ლიოვკა ბრგე, მელოტ კაცად იქცა, გლებოვის დედა მოკვდა, თვითონაც რამდენჯერ კინალამ წერილი წაიღო იმ ქვეყანას, ჯერ გლაზოვოში ფილტვების ანთებით ავადმყოფობისას, მერე კიდევ აეროდრომის დაბომბვის დროს, საერთოდაც რამდენი ადამიანი დაიღუპა და გაქრა, ლოვკას დედა კი ძველებური ეშხით იღვრებდა შავგვრემან, გამხდარ სახეს, აბოლებდა პაპიროსს, გეზად იცქირებოდა და უცნაურად ჭუტავდა თვალებს.

— მაპატიე, ვადიმ, ეს სულელური კითხვა, ცოლი ხომ არ შეგირთავს? ყოჩად, შენ ყოველთვის ჭკუადამჯდარი ბიჭი იყავი. ხომ არა გწყინს, „შენობით“ რომ მოგმართავ?

ხმაც უცვლელი შერჩენოდა: ხრინწიანი, ზანტი, ოდნავ დაღანა. ხომ ასეთი მომხიბვლელი ქალი იყო და დიდად ჭკვიანიც. — ლიოვკაც ამბობდა: „ნამდვილად ქედს ვიხრი დედაჩემის წინაშე. დიდად ნიჭიერი ქალია, მაგრამ აი, ხასიათი კი ივანე მრისხანისა აქვს“ — ისე კი შეეძლო შენობითაც არ მოემართა. გლებოვი ცდილობდა ღირსეულად მოქცეულიყო. მოკლედ პასუხობდა, თავდაჭერილად იღიმებოდა. ნოხებს, სურათებსა და ყოველ ნაბიჯზე გამოდგმულ სამშვენისებს ზედ არ უყურებდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც ამჩნევსო. მერე, როცა ცოტა მიიხედ-მოიხედა, აღმოჩნდა, რომ ოთახების მოწყობილობა შესამჩნევად განსხვავდებოდა დიდი სახლის მორთულობისაგან: მეტი სიმდიდრე და ფუფუნება იგრძნობოდა, ჭარბობდა ძველებური ნივთები და რატომღაც ბევრი რამ ზღვასთან დაკავშირებული. კარადის თავზე აფრიანი ნავების მოდელები ელაგა, აქეთ, ჩარჩოში ზღვა ეკიდა, იქით აივაზოვსკის ყაიდის სურათი, საზღვაო ომი ჩანდა — როგორც მერე გაირკვა, მართლაც აივაზოვსკის სურათი ყოფილა — კედლებს მოოქროვილი ღუზებიც ამშვენებდა. პოდა აი, უეცრად გლებოვმა იკითხა:

— თქვენს ძველ ნივთებს ველარ ვცნობ, ალინა ფეოდოროვნა, თითქოს ყველაფერი შეგიცვლიათ?

რა თქმა უნდა, გვარიანად „ნაყლაპი“ რომ არ ყოფილიყო, ასეთ თავხედურ, მოურიდებელ კითხვას ვერ გაბედავდა. მაგრამ რა ექნა, თითქოს შიგნიდან უბიძგებდა რალაცა: თქვი, გინდა თუ არა, თქვიო. საწყალი ადამიანები

ომის დროს სულის გასატანად ყოველგვარ მონაგარს ყიდდნენ. ბებო ნილამაც ხომ გაყიდა ვერცხლის კოვზები, ვერცხლის საჭიქე, პატარა წიხრი, თავშალი — ერთი სიტყვით, მოსკოვიდან წამოღებული ყველა ნივთი, რასაც კი ოდნავ ღირებულება გააჩნდა. ის კი არა, მკერდიდან ჯვარიც ეფეფეჯა — მიიტომ რომ გლებოვი კვდებოდა. ბაზარზე ერთ ლიტრ რძეს დაახლოებით ერთ კოვზის ფასი ჰქონდა. — აქ კი ახალი სიმდიდრე, თუნდაც აივაზოვსკი. ხუმრობა საქმეა აივაზოვსკის შეძენა. კედელს განგებ მიუახლოვდა და სურათს ხელოვნების დიდ მცოდნესავით დაუწყო თვალთვლება. ლიოვკა იცინოდა:

— რა დაკვირვებულობა! ხედავ, დედა, მთვრალი უძახე შენ და ყველაფერი კი შენიშნა.

— ძველები ამბობდნენ, — წარმოთქვა ალინა ფეოდოროვნამ, — მდინარის ერთსა და იმავე ნაკადში ორჯერ ვერ შეხვალ. ასეა ვგონებ, არა? ხომ არ ვცდები, ყმაწვილებო? შენ, დიმა, ჩვენს ნაკადში, — ქალმა ხელი ჯერ გულზე მიიდო და შერე ვაჟისაკენ გაიშვირა, ესაოდა, ჩვენ ერთნი ვართო, — დაახლოებით რომელ წელს შემოხვედი? როცა იმ საშინელ სახლში გადმოვედით ოცდა მერამდენე...

— რა მნიშვნელობა აქვს, ათი წლის წინ, — თქვა გლებოვმა. — მაგრამ მე მშვენივრად მახსოვს თქვენი ბინა. მაგონდება, სასადილო ოთახში უზარმაზარი, წითელი ხის ბუფეტი იდგა, რომლის ზედა ნაწილი წვრილ, ხვეულ სვეტებს ეყრდნობოდა. ბუფეტის თითოეულ კარს კი მაიოლკის მომრგვალო სურათები ამშვენებდა. მწყემსი ბიჭები, ძროხები, ა?

— ჰო, გვქონდა ასეთი ბუფეტი, — დაუდასტურა ალინა ფეოდოროვნამ. — მე დამავიწყდა კიდეც, შენ კი გახსოვს.

— ყოჩაღ! — თქვა ლიოვკამ და გლებოვს მხარზე ხელი დაჰკრა. — საოცარი დაკვირვება, დიდებული მეხსიერება. შეგიძლია იმუშაო. რეკომენდაციას მე მოგცემ...

მერე, როცა ოთახში მარტონი დარჩნენ, ლიოვკამ აუხსნა: ალინა ფეოდოროვნას ახლა სხვა ქმარი ჰყავს. შულეპნიკოვი მოკვდა. ეს ბინა მთელი თავისი ბარგი-ბარხანით ალინა ფეოდოროვნას ახალი ქმრის, ფლავიციკის თუ ფივეისკის საკუთრებაა. ესეც დიდი კაცია. სწორედ ეგ ირკვევდა შულეპნიკოვის საქმეს: შულეპნიკოვი უცნაურად გარდაიცვალა, მანქანაში იპოვეს მკვდარი, თანაც დაკეტილ გარაჟში. კაცმა არ იცის, დივერსია იყო, გაზით მოწამლეს თუ გულმა უმტყუნა. იგი ხომ მთელი ლამეები მუშაობდა. ჰოდა ი, ფივეისკი იძიებდა შულეპნიკოვის საქმეს და დედაჩემიც იქ გაიცნო. გლებოვმა კინალამ ჰკითხა: ჰო მაგრამ, იმ ძველი ბინიდან ბარგი რატომ არ გადმოიტანეთ ამ ფივეისკისთანო? აქ რაღაც გაურკვეველობა იყო. ლიოვკას ცხოვრებაში მართლაც ბევრი რამ იყო გაურკვეველი. ჯობდა არ გეკითხა. როგორც ლიოვკამ თქვა, ახალი „მამიკო“ არაა ცუდი კაცი. ყოფილ მეზღვაურს გადაკვრაც უყვარს და ბალერინებთან დროსტარებაც. ერთხელ მეც წამიყვანა იმ მსახიობებთან და მშვენიერი დროც გავატარეთ, თუმცა ცოტა ბებრულად. ფივეისკი, მართალია, სამოცი წლისაა, მაგრამ კენჭივითაა. გლებოვმა ჰკითხა: „კი მაგრამ დედაშენი როგორ ეგუება იმ ბალერინების ამბავს?“ ლიოვკამ მხრები აიჩეჩა: „დედაჩემმა აბა რა იცის? ეს წმინდა მამაკაცური საქმეა“.

გლებოვი უსმენდა და გაოცებას იყო, საკუთარ თავს თვითონვე ამშვიდებდა: ჯანდაბას მაგათი თავი, იცხოვრონ, როგორც ეცხოვრებათ. მაგრამ

არა, მაინც აღერდილი იყო, რაღაც აღიზიანებდა, თოქოს ძველი იარა ექავებოდა. მერე ეს ფივეისკი გლებოვმა ერთი სამჯერ გორკის ქუჩაზე, მათ ბინაში ნახა, ერთხელაც კიდევ სტადიონზე. ყველაფერთან ერთად ეს კაცი ფეხბურთის უსაშველო გულშემატკივარიც იყო. რომელიღაც გუნდს განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა და თავისი დიდი ნაცნობობის წყალობით სხვა გუნდებიდან საუკეთესო მოთამაშეები გადმოჰყავდა. იყო დრო, ლიოვკაც ერთობოდა ამ სისულელეებით. ეს ახალი „მამიკო“ მაღალი, წარმოსადეგი კაცი გახლდათ, ლაპარაკობდა გამაყრუებლად ხმამაღლა, ხელს რომ ჩამოგართმევდა, იფიქრებდი, დაზგაში მომემწყვდო. ერთიანად გამელოტებული, ლაპლაპა, ბირთვივით თავი და ზაპოროჟიელის უღვაშები ჰქონდა. თან ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. ერთი სიტყვით, ტიპი იყო.

ის დიდი სახლი, ასე ბევრს რომ ნიშნავდა გლებოვის ადრინდელ ცხოვრებაში, ასე რომ თრგუნავდა, აწამებდა, ალაფროთოვანებდა და რაღაც ფარული ანდამატივით თავისკენ იზიდავდა, — ახლა, ომის დამთავრების შემდეგ ჩრდილში აღმოჩნდა. სონია განჩუკის მეტი აღარც არავინ ცხოვრობდა იქ და აბა ვისთან მისულიყო. მერე, როცა იმ სახლში სიარული განაახლა, სონიასთან როდი მიდიოდა — სონია დიდხანს დარჩა, ასე ვთქვათ. ბავშვობის საკუთრებად, რაც სხვა ყველაფერთან ერთად მშვიდად, წყნარად მიინავლა მის სულში, ზედმეტად იქცა და წლების სიმძიმემ დაავიწყა. — მიდიოდა მის პროფესორ მამასთან. ეს იყო გლებოვის მიერ ადვილად და აუჩქარებლად აღმოჩენილი უბრალო დამთხვევა. ინსტიტუტში თითქმის ხახვევარი წლის მოწყობილი იყო, როცა გადაწყვიტა პროფესორისათვის გაემხილა: მე თქვენ, ასე ვთქვათ, გიცნობთ, ნიკოლაი ვასილიევიჩ. თქვენთან სახლშიც დავდიოდი. პროფესორი ამ დროს რაღაც წიგნს ფურცლავდა და როგორღაც უგულისყუროდ წარმოთქვა: მართლა, რახ მეუბნები? იმჯერად ყველაფერი ამით დამთავრდა. ვერ მიხვდა თუ მიხვედრა არ ისურვა.

გლებოვი ძალიან არ განაწყენებულა. გადაწყვიტა კიდევ შეეხსენებინა, — მაგრამ სონიას გამო არა, სონია სულაც არ აინტერესებდა, თვითონ განჩუკი იყო მნიშვნელოვანი პიროვნება და, როგორც გლებოვმა გაისიგრძეგანა, მისთვის მეტად საჭირო. ჰოდა აი, მეცადინეობის შემდეგ დრო შეარჩია და სონიასთან მოკითხვა დააბარა.

— თქვენ საიდან იცნობთ სონიჩკას? — გაიკვირვა განჩუკმა.

— მე ხომ ვიამბეთ, ნიკოლაი ვასილიევიჩ...

— რა თქვით? როგორ? ჰო, მართლა! სწორია, მომაგონდა, ჩვენი სახლი მუდამ სავსე იყო ყმაწვილებით, თქვენც მომაგონდით.

— ფილოსოფოსების ის თეთრ-თეთრი, პატარ-პატარა ბიუსტები კიდევ გიდგათ კაბინეტში?

— შეხედე შენ, ბიუსტებიც კი ახსოვს. — კმაყოფილი პროფესორი იღიმებოდა. ცხოვრება თანდათან გვარდებოდა. სასურსათო წიგნაკები ჯერ არ გაუქმებულა, მაგრამ ხალისი მატულობდა. — კი, ბიუსტები დგანან! გაუძღეს ომს, ევაკუაციას, გაჭირვებას, ადამიანებისა და იდეების დაღუპვას, ტყუილად კი არ არიან ფილოსოფოსები. — განჩუკს რატომღაც ძალიან გაუხარდა, წამოწითლდა კიდევ, როცა გლებოვმა ბიუსტები უხსენა. უფრო მეტად გაუხარდა, ვიდრე მაშინ სონიას ხსენება, და უმაღლვე შინ მიიპატიყა: — შემოიარეთ ჩვენთან, ჩაი დავლიოთ, სონიჩკას ესიაგონებთ... — და აი, სონია-

დანაც მოფრინდა მოკითხვა, მერე მოპატიუბაც. განჩუკი ხშირად ავადმყოფობდა, მასთან მიდიოდნენ საკონსულტაციოდ, ზოგჯერ სავნის ჩასათვლელადაც.

სონია მალალი, ფერმკრთალი ქალიშვილი დამდგარიყო, უფროსი ვაჟის დარი ეთქმოდა, მკრთალი, სავსე ტუჩები და დიდი ღია ცისფერი თვალები ჰქონდა. სიკეთითა და ყურადღებით სავსე თვალები. სონია უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობდა.

— ვადა, რა მოხდა? რითი ავხსნა? — იყო მისი პირველი სიტყვები გქვსწლიანი განშორების შემდეგ. — მაინც ასე რატომ დაიკარგე?

განშორებისას თითქოს სამუდამო მეგობრობა შეჰფიცეს ერთმანეთს. მაგრამ მათი ურთიერთობა მაშინაც და ახლაც ნაღდად ამხანაგური იყო, სწორი, როგორც კედელი. სონია მხოლოდ დამატება განლდათ იმ მრავალსახოვანი, მზიური ხანისა, რასაც ზავშვობა ერქვა. ახლა რომ პროფესორ განჩუკს არ შეხვედროდა, სონიას სახეს სამუდამოდ შთანთქავდა მივიწყების უფსკრული. გლებოვი ახლა პროფესორის კაბინეტში წითელი ხის მოხრილ-ზურგიან დივანზე იჯდა, — მაშინ ასეთი დივნები შემსყიდველ მაღაზიებში შეშასავით იყიდებოდა, ახლა რომ ვერა ფასად ვეღარ შეიძენ, — და სიამოვნებით ესაუბრებოდა თვითონ პროფესორს, ლაპარაკობდნენ ლიტერატურას დამგზავრებულ ადამიანებზე, ფორმალისტებზე, რაკპელებზე, პროლეტარულ-ტურელებზე და სხვა ბევრ ისეთ რამეზე, რაც გლებოვს მაშინ ისე ძალიან აინტერესებდა. პროფესორმა უამრავი წვრილმანი იცოდა. განსაკუთრებით კარგად ახსოვდა ოცი-ოცდაათიანი წლების ყოველგვარი გადახრები და ლიტერატურული ბრძოლების პერიპეტეიები. მეტყველებდა მკაფიოდ და მტკიცედ. „მაშინ მაგრად შევუტით ბესპალოვშინას... ეს იყო რეციდივი და მაგარი დარტყმაც დაგვჭირდა... გიყვარდეს, იმათ ომი გავუჩაღეთ...“ დიახ, მაშინ ნამდვილი ომი იყო და არა ლიტერატურული კამათი. ჭეშმარიტება სისხლისმღვრელ ჩეხვაში ყალიბდებოდა. გლებოვი მოკრძალებით უსმენდა, გონების თვალთ ხედავდა იმჟამინდელ ხმლების ტრიალს, ავტორიტეტების ჩეხვას, აქაფებულ ზღვაში გადასროლილ ნაირ-ნაირ წიგნებს. ეს კერკეტა, ლოყებლაჟლაჟა, ფუნთულა მოხუცი დევეგმირად, მორკინლად, ერუსლან ლაზარევიჩად ეჩვენებოდა. თუმცა ერთგვარად ალბათ ასეც იყო. გლებოვს ძალიან მოსწონდა პროფესორის კაბინეტში ჩაის მირთმევა, მოგონებები, ინტიმურობა. — „თან იცი, როგორ განვაიარაღეთ? როგორც სწავლული, იგი ნაღდი არარაობა იყო, მაგრამ ერთი წარჩინებული ქალის წყალობით მაგრად იდგა ფეხზე... გლებოვს სიამოვნებდა ნოხებისა თუ წიგნების სურნელება. მაგიდის უზარმაზარი აბაჟურისაგან მალლა, ჭერზე არეკლილი წრე. მოსწონდა ლამის ჭერამდე წიგნების ჯავშანში ჩასმული კედლები. სულ მთლად ზემოთ კი, ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული, თაბაშირის თეთრი, პატარა ბიუსტები. სად იდგა პლატონი, სად არისტოტელე? ქვემოდან ვერც გაარჩევდი. უსაშველოდ მაღალჭერიანი სახლი იყო, ისეთი კი არა, ახლა რომ აშენებენ. გლებოვის აზრით, ქვემოდან განუსხვავებელი ეს თეთრი ქანდაკებები გერმანიაში ინფლაციის დროს იყო შექმნილი, როცა ჭაბუკი განჩუკი, სულ ცოტა ხნის წინ ცხენოსანი გვარდიის მეომარი, პოლიტგანყოფილების პოეტი, ჯარისკაცთა მიტინგების ორატორი, გიმნაზიური გულმოდგინებით ისწრაფოდა მეცნიერებისაკენ, — ეს პაწაწკინტელა ბერძნებიც მონაწილეობდნენ ამ

ბრძოლებში, ჩეხდნენ, ანგრევდნენ, ააშკარავებდნენ, განიარაღების ბრძანებებს იძლეოდნენ.

ნელ-ნელა, ხელახლა შეძვრა გლებოვი იმ დიდ სახლის გარემოში. სადარბაზოებს მელიფტები უკვე აღარ ჰყავდა, თითქოს მობინადრენიც გამოცვლილიყვნენ: შესახედავადაც უფრო უბრალონი ჩანდნენ და კლარც მეტყველება ჰქონდათ ისეთი. მაგრამ აი, ლიფტებში კი კვლავინდებურად იდგა ნაირ-ნაირი სურნელება: მწვადების, თევზეულის, ტომატის, ზოგჯერ ძვირადღირებული პაპიროსებისა თუ ძაღლების. ომის წლებში გლებოვი ძაღლებს გადაეჩვია. ძაღლებიც ბავშვობასთან ერთად უკან დარჩა, ისე როგორც მრგვალვაფლიანი ნაყინი, მდინარეში ბანაობა და ათასი სხვა სისულელე. უკანასკნელი წლების მანძილზე გლებოვმა ძაღლი ასე ახლოს განჩუკების სადარბაზოს ლიფტში ნახა და ყურადღებითაც შეათვალიერა. ეს იყო უზარმაზარი მოყვითალო-მოშავო კარგად ნაპატიები გერმანული ნაგაზი. ძაღლი ლიფტის უკანა კედელთან, სარკის ქვეშ მოკრძალებით, მაგრამ ღირსეულად ჩამჯდარიყო და თვითონაც არა ნაკლები ყურადღებით ათვალიერებდა გლებოვს. ძაღლი თასმით ეჭირა თავშალმოხვეულ მობუზულ მოხუც ქალს. ამ უზარმაზარი ნაგაზის მოკრძალებამ და გაწვრთნილობამ გააოცა გლებოვი. მაგრამ მის დაუხამხამებელ კაკლისებურ თვალებში გლებოვმა თითქოს მშვიდი უპირატესობაც ამოიკითხა: იგი ხომ ამ სახლის ბინადარი იყო, თვითონ კი სტუმარი. გლებოვს რატომღაც ძაღლის მოაღერება მოუნდა. ეს იყო უნებური სწრაფვა, ბავშვობიდან შემორჩენილი გულუბრყვილო ჩვევა. გლებოვმა ხელი გასწია, მაგრამ ძაღლმა შეუღრინა, თავი გააქნია და კბილები დააკრა-ჭუნა. „არ გაბედო! იდექი შენთვის! — ეწერა მის შავსა და მედიდურ დრუნჩზე. — ამ სახლში რომ გიშვებენ და ლიფტით მგზავრობ, სულაც არ ნიშნავს, თითქოს შინაური იყო“. გლებოვი მეცხრე სართულის კიბის მოედანზე გუნებაწამხდარი გამოვიდა.

— თქვენი ლიფტი ძაღლს სუნად ყარს, — შესვლისთანავე მიაბალა სონიას.

ღიან, იყო წუთები, სონიას განაწყენება და წაკბენა რომ სურდა.

გლებოვი მაშინ გაჭირვებით ცხოვრობდა, მშვიერიც იყო და ყველაფერს დახარბებულიც, როგორც ბევრი სხვა ნაღდი ლატაკი. ზედმეტი წყვილი არც წალა ჰქონდა, არც პერანგი და არც პალსტუხი. არადა, სულ შიოდა. ყველგან, ინსტიტუტშიაც და სტუმრადაც ის არმიული, ქველი კიტელი ეცვა. და არა მარტო იმიტომ, რომ ომამდელი ტანსაცმელი აღარ რგებდა და ახლის ყიდვის სახსარი არა ჰქონდა, არამედ იმიტომაც, რომ არ დავიწყებოდათ მისი იქ ყოფნა. ომის უკანასკნელ წელს იგი ჯარში გაიწვიეს და ბათ-ში მსახურობდა, აეროდრომის მომსახურე ნაწილში. დედის სიკვდილის შემდეგ სახლი გამოყრუვდა. მამა ღვინოს მიეძალა. ოჯახის მთელი სიმძიმე მას დააწვა. საოცარი, ნეტა როგორ უძღვებოდა მთელი ოჯახის საქმეს, სად ჰქონდა ამდენი ძალა და ღონე. კვირაში ერთხელ ბებო ნილა თავისი ჩანთით დანილოვის ბაზარში ტრამვაით მიემგზავრებოდა. ყიდულობდა მწვანილს, გამხმარ სოკოს, მჭაუნას, ასკილს. მაინც რამდენი ასკილის ჩაი აქვს დაღეული. ახლა რა უნდა მისცენ, ეგ სასმელი პირში ჩაუშვას. მაშინ კი ბებო ნილა ნამთვრალევეზეც ახერხებდა მისთვის ასკილის სასარგებლო ცივი ჩაის მიჩეჩებას: „დალიე, დიმოჩკა, ასკილი, გულზე მოგეშვება, სასარგებლოა...“ ნეტა რა სარგებლობა ჰქონდა! თუმ-

ცა ალბათ ჰქონდა კიდევ, ისევე როგორც მთელ იმ დერიუგინის შესახვევის ცხოვრებას, იმ აკლდამასავით გრძელ ოთახს. აბა როგორ გადარჩენ, როგორ გამოაღწიეს ცოცხლებმა. ბებო ნილა თანდათან მოიკაცვა, ჩაჩუმდა, ჩაცხრა, მიწისაკენ ჩახარა თავი. მამა ზედმეტ სამუშაოს იღებდა, განუკვეთა ნახევარზე მუშაობდა. სწორედ მაშინ დაიწყო მისი ავადმყოფობა. თუმცა თანდათან არა ემჩნეოდა რა, გაიჩინა ვიღაც მეგობრები. იყო ერთ სირბილსა და ფაციფუცში. შაბათობით უკანასკნელი გროშებით იაფფასიან რესტორნებსა თუ სერპუხოვის ბარს აკითხავდა...

განჩუკებთან მისვლისას მრისხანე, აკადემიურ გამოშეტყველებას იღებდა. პირველად თითქოს ყველაფერი ისე, ალაღბედზე კეთდებოდა. სონია ხელსაც კი უშლიდა. უნდოდა მამისათვის მოეცილებინა, თავის საუბარში ჩაეთრია, ამხანაგებისაკენ, უმაქნისობისაკენ გამოეზიდა.

გლებოვი თანდათან დაფრთხა. ნუთუ საწყალ სონკას რაიმეს იმედ აქვს? — ფიქრობდა გუნებაში, არა, მისი მიაღერსება აზრდაც არ მოსულია. პროფესიულ, სასწავლო ჩარჩოებში მოქცეული პროგრამის გარდა არაფერზე უოცნებია. თუმცა გლებოვს საკუთარ თავზე აღრევე განუმტკიცდა შეხედულება, რომ იგი ქალებისათვის საშიში ყმაწვილი იყო. ყველაფერი იმ ორმოცი წლის ქალისაგან დაიწყო, ევაკუაციაში რომ შეხვდა. პირველად ეგონა, იმ ქალსაც ისევე ცოტა ხნით სჭირდებოდა მისი თავი, როგორც თვითონ მას ეს ქალი. მაგრამ შემდეგ აზვირთდა ვნებები, სულელური მუქარები. ღმერთო ჩემო, რა შიში ჭამა მაშინ! ჰოდა, მიხვდა, ფხიზლად ყოფნა იყო საჭირო, რომ ამდაგვარი თამაში შესაძლოა ცუდად დამთავრდეს. გლებოვმა საკუთარ თავში აღმოაჩინა, და არცთუ თვითკმაყოფილების გარეშე, რადიო-აქტიურობის ერთგვარი მარაგი, რასაც სწორედ ქალები ეწირებოდნენ. ყველა, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ერთგვარი ყაიდის ქალები კი ნაღდად. მისი ეშიი განსაკუთრებით დამღუპველად მოქმედებდა ინტელიგენტური პროფესიის მქონე მასზე უფროს ქალებზე. თუმცა მისი მომხიბვლელობის ხლართებს ვერც ახალგაზრდები გაექცნენ, არცთუ ძალიან ლამაზები, ხშირად სათვალეანები.

სწორედ ამიტომ აფრთხობდა სონიას კეთილი, ღია ცისფერი თვალების ციმციმი, სავსე, გაბუსხული ტუჩების ნაზი ღიმილი. სონიას სტუმრიანობა უყვარდა. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტები, მისი კურსელი მეგობრები, ბრწყინვალე, თვალისმომჭრელად ჩაცმული, კისკისა, მოდის ამყოლი მოტიკტიკე გოგონები. ზოგი უმაღლვე მტკივნეულად ჩაუნისკარტებდა. გლებოვს დარბაისლურად ეჭირა თავი. იცოდა, ასეთ ქალებზე მისი გამოსხივება არ მოქმედებდა.

სემინარის მდივნად გახდომის შემდეგ გლებოვი კვირას აღარ უშვებდა, განჩუკებთან არ მისულიყო. პროფესორი ბუზლუნა, გულმავიწყი და, მართალი თუ გინდათ, ერთი უთავბოლო კაცი იყო. ზოგჯერ სულელური შეკამათებებიც მოსდიოდათ. გაგიღებდა პიუჟამიანი პროფესორი კარს და თვალებს გაკვირვებით მოწკურავდა: „კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მე ხომ ორშაბათს დაგიბარეთ?“ „როგორ გეკადრებათ, ნიკოლაი ვასილიევიჩ, თქვენ შაბათი ბრძანეთ...“ — „აბა როგორ შემეძლო შაბათი მეთქვა, როცა...“ — „არა, მე ძალიან კარგად მახსოვს!“ ეს ყველაფერი ხდებოდა კართან, კიბეზე. გლებოვი ნერვულობდა, თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ წამიც და განჩუკს ქო-

რივით დააცხრებოდა სონია: „მამა, არა გრცხვენია, როგორ შეიძლება კაცის ასე კართან გაჩერება! ზომ არ შეიშალე!“ ისე კი, განჩუქს ყრველთვის სიამოვნებდა გლებოვის მოსვლა, მაშინვე რაღაცას დაავალებდა, გამოიყენებდა. განსაკუთრებული სიმპათიით მას შემდეგ განეწყო, როცა გლებოვი განჩუქს მნიშვნელოვანი პირადი სამუშაოსათვის მთელი ბიბლიოგრაფიის შეუდგინა, თან საოცრად სწრაფად და კარგად. განჩუქს გული აუჩუყდა. გლებოვი არ გამოტყდომია, ღამეები რომ ათენა. ნამდვილად არ იყო ვალდებული ასე გადაედო თავი, საერთოდაც არ ეხებოდა ამ ბიბლიოგრაფიის შედგენა, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოიჩვენა, ეს თავდადება გენიალურად სასარგებლო გამოდგა.

სონიასთან რაღაც საღამოს წვეულება იყო. მთელი მისი პრანჭიკელა გოგოებისა და სხვადასხვა ყაიდის ჭაბუკთა თავყრილობა. როგორც იმ დროს სჩვეოდათ, საყურადღებოდ და სავაჭროდ პროფესორის ბინაში ვინ და საიდან აღარ შემოეხეტა, ერთ-ერთ პრანჭიკელას თავისი ნაცნობები მოეწვია, იმათ კიდევ თავისი და ასე. გიყვარდეს, პროფესორის დიდებული სასტუმრო ოთახი ბარე ორმოცდაათ კაცს იტევდა. ახლა ასეთი ოთახების ხსენებაც აღარ არის. ინდივიდუალური პროექტით ნაგებ ზოგიერთ კოოპერაციულ სახლში თუ წააწყდები სადმე. მოსულიყვნენ ჭაბუკი მუსიკოსები, ვილაც მოჭადრაკე, იყო პოეტიც, სტუდენტურ საღამოებზე თუნუქივით ლექსებს გამაყრუებლად რომ აჟღარუნებდა — იმ დროს რატომღაც ეს ლექსები მუსიკად ეჩვენებოდათ. იყვნენ, რა თქმა უნდა, უფერული, მყვირალა, მორცხვი, ურცხვი სტუდიოზუსებიც. პოეტს არავინ ელოდა, ისე უეცრად მოევლინათ. მას არც არავინ იცნობდა, გარდა ერთი ყმაწვილისა, რომელსაც თავის მხრივ ერთ-ერთ პრანჭიკელასთან მხოლოდ საღამოთ ნაცნობობა ჰქონდა და სონიასთან პირველად იყო.

პოეტმა სასტუმრო ოთახში შემოსვლისთანავე, ისე რომ, ჯერ საღამოც არ ეთქვა, ხმამაღლა იკითხა: „სად არის აქ საჭირო ოთახი?“ მაშინვე აღფრთოვანებული ჩურჩული გაისმა: „პოეტი... ფრაპირებს...“ ის ლექსები, მთელი საღამო ყურები რომ გამოუჭედა ყველას, მეხსიერებას არ შერჩა, მაგრამ აი, ფეხსადგილზე... ეს პოეტი ახლაც, უკვე ოცდაათი წლის შემდეგ, ძველებურად აჟღარუნებს თუნუქს, მაგრამ ეს ლექსები მუსიკად უკვე აღარავის ეჩვენება. თუნუქი თუნუქად დარჩა, რომელიღაც სტუდიოზუსმა კლავიშები ააგრიალა და გამკივანი ხმით წამოიწყო:

Вини-цианский мавр Отелло
Один домишко посещал...

სხვებმაც ერთხმად და მხიარულად დაავუგუნეს:

Шекспир заметил! Это дело!
И водевильчик накропал...

ამ სისულელეს მაშინ დიდი მოწონება ჰქონდა. ხმის ჩახლეჩამდე, ცრემლის ღენამდე გაპყვიროდნენ:

Девчонку звали Дездемона,
Лицом что белая луна,

На генеральские погоны,
Да и эх польстилася она.

მაინც რა იყო ამ უაზრობაში გზნების წამკიდებელი, რა ვითრობდა გულს, თავადაც რომ გსიამოვნებდა და სხვისთვისაც გსურდა საკუთარი სიბარულის გაზიარება? თუმცა განჩუკების ამდაგვარ სუფრებზე კეთილად მოდიმარი, ფერმკრთალი და ჩუმი სონიას ირგვლივ სხვაგვარი ჰანგებიც ისმოდა. შემოვიდოდა ნიკოლაი ვასილიევიჩი, მიუჯდებოდა ახალგაზრდებს და ლიმონის კანზე დაყენებულ არყის სასმელს გადაპკრავდა. სუფრას მიუჯდებოდა სონიას დედაც, იულია მიხაილოვნა. ბერიკაცი ჩანგალს დირიჟორივით მაღლა აიქნევდა და მთელი სუფრა ხმაშეწყობილად ამღერდებოდა: «По долинам и по взгорьям шла дивизия вперед» ან კიდევ: «Там, вдали за рекой».

სონიას საათობით შეეძლო ჩუმად ჯდომა, სხვების მოსმენა, ამოუკვეთელი პოლიპების გამო სანახევროდ პირმოუკუშავს. გლებოვს ერთხელ ასეთმა აზრმაც გაუბრინა, რომ სონია ვილაციისთვის შესანიშნავი ცოლი იქნებოდა, ყველაზე ბრწყინვალე ცოლი ამქვეყნად. რამდენი დიდებული თვისების პატრონი ქალი იყო. მარტო პირმოუკუშავი დუმილი რად ღირდა. ეს აზრი როგორღაც გაფანტულად, უცხოდ გაუჩნდა, საკუთარ თავთან დაუკავშირებლად. გაიფიქრა ისიც, რომ „სონია ლიოვკასაც ჩინებულ მეუღლეობას გაუწევდა“. ამ იდეამ ერთხანს მართლა გაიტაცა, სჯეროდა, რომ სონიას ნამდვილად შეეძლო კეთილი გავლენა მოეხდინა იმ ბრიყვ ლიოვკაზე. ის კი, თავის მხრივ, ცოტას მაინც დააცხრობდა სონიას ცისფერ თვალთა ელვარებას, გლებოვს რომ აგრერიგად აშინებდა. მას ხომ არაფრით, სრულიად არაფრით არ შეეძლო ქალისათვის ეპასუხა! ერთხელაც არ გასჩენია სურვილი ბნელ კუთხეში სონიას მიმწყვდევისა, მაშინ როცა სხვა ქალიშვილები ხშირად უღვიძებდნენ ასეთ წადილს. თვით სონიასთან სტუმრად მყოფნიც კი. აი, თუნდაც სონიას ინსტიტუტელი მეგობარი, მკვრივი, შავთვალა გოგო — ღმერთო, რა ერქვა? ჰო, სახელი დაავიწყდა, სამაგიეროდ, მეხსიერებაში მტკიცედ ჩაებეჭდა მისი მკვრივი მხრები და ბნელი გარდერობის ფუმფულა ქურქებს შორის წამიერი, ქურდული ალერსი...

მართლაც ასე იყო: ერთთან სიმხდალე ბოჭავდა, ქვავდებოდა, სხვასთან კი უეცრად, ღმერთმა უწყის, რატომ და რისგან, საოცრად თავხედდებოდა, აიწყვეტდა, საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. ის შავთვალა, მკვრივი გოგო მაშინვე გამოარჩია. სონიას კი თითქოს საგულდაგულო ჯავშანი ეცვა, მასთან არც თავშეკავება სჭირდებოდა და არც გათამამება. სრულიად არ აღელვებდა. მერე, მერე. კი დადგა დრო, როცა ეს ყველაფერი მოუხდა. ბოლოს სონია აღელვებდა კიდევ, მაგრამ მანამდე ალბათ ორი წელი გავიდა.

იმ წვეულებაზე, პოეტი ლექსებს რომ კითხულობდა — დასაწყისი სწორედ მაშინ გაკრთა — საოცრად ბევრი ღვინო შეისვა, ხალხი დათვრა, მასპინძლები შეშინდნენ. მამაკაცები გასაბოლებლად კიბის ბაქანზე გადიოდნენ. იყო ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელი, რა თქმა უნდა, აღარ ახსოვს, სარბიელზე მეტად აღარ გამოჩენილა. ეს გაჩეჩილი, ლაშმოხეული, სათვალისანი კაცი უსაშველოდ დიდი ტანისა იყო. შტანგისტი გეგონებოდა. ჰოდა, სწორედ ამ კაცმა კიბის ბაქანზე მოსაწევად გამოსულ მამაკაცებს რალაცნაირი, წვრილი ხმით ჰკითხა:

— ბიჭებო, ვერ გამოვიცანი, ამ ჩვენს დიასახლისს ვინ ეშიშაქება?

— თვითონ სონიას?

მაშინდელი ქარგონის მიხედვით „ეშიშაქება“ დაახლოებით იმასვე ნიშნავდა, რასაც ახლა „ეთომარება“ ნიშნავს. უბრალოდ აინტერესებდა, ადგილი თავისუფალი იყო თუ არა. შეკითხვა უხეშად და უადგილოდ გაიხმა. ყველას ეჩოთირა, მხრები აიჩეჩეს. უეცრად ერთმა სტუდიოზუსმა გლებოვისაკენ გაიქნია თავი.

— მგონი, ამხანაგი დიმა.

— მე? — გაიკვირვა გლებოვმა. — აი, ახალი ამბავი!

გლებოვს არ ესიამოვნა: ამჩნევდნენ იმას, რასაც თვითონ ვერა გრძნობდა. რისი ნასახიც არ არსებობდა, გამოდის, რომ მაინც არსებობდა? რატომღაც მოჰყვა, სკოლაში სონიასთან ერთად ვსწავლობდით.

— ჰოდა, სულ ტყუილად, ბიჭებო! — კვლავ განაგრძო იმ ყმაწვილმა და ბინის გაღებულ კარისაკენ გაიხედა, — ამისთანა კოშკის დათრევა... ვერ მოვიწონებთ. თვითონაც არა უშავს გოგოა. არა თუ? ტურგენევის ჭალებს ჰგავს.

— ხმა ჩაიკმინდე, პირუტყვო, — შეუტია ვილაყამ.

ყმაწვილი განაწყენდა, ნამწვი მოიქნია და ბინაში შევიდა. იგი არ მოეწონათ.

— ვინ მოიყვანა ეგ დრუნჩა?

— ეშმაკმა უწყის. მგონი, ლიტერატურულიდან არის.

— მოდი მივბეგვოთ?

შეთანხმდნენ. ერთი მაშინვე შეაგზავნეს მისი კიბის ბაქანზე გამოსაძახებლად, მაგრამ გამოვიდა კარგა ხნის დაგვიანებით და თანაც მარტო. მიხვდა, ცემას რომ უპირებთ და არ წამომყვაო. არა უშავს, მერე მივტყეპავთ, ვერსად გაგვექცევა. განსაკუთრებით მოჰადრებდა ფახიფუხობდა. ყველა გვარიანად იყო ნაყლაპი. გლებოვი კი უეცრად და რაღაც უჩვეულოდ გამოფხიზლდა. გამოაფხიზლა იმ ყმაწვილის იდიოტურად წამოსროლილმა სიტყვამ. „არა, იგი სულელი არ არის, ეს ჩვენ ვართ სულელები“, — გაიფიქრა გლებოვმა და მისი მიბეგვის სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერდა, ყოველ შემთხვევაში, თუ მიბეგვის არა, აქედან გაგდების მაინც. „ხედავ შენ, დათრევა არ მომინდომა, ერთი ამ დათრევს დამიხედეთ!“

ბრაზმორეული გლებოვი სასტუმრო ოთახში შევიდა. სათვალის მიბეგვა ვერ მოხერხდა. სულ რაღაც ნახევარ საათში სრულიად უგონოდ დათვრა. სტუმრები პირველის ნახევარზე გამოეთხოვეს ერთმანეთს, მეტროს ბოლო მატარებლის მისწრების იმედით. ყველა წავიდ-წამოვიდა, მაგრამ იმ დრუნჩა სათვალის არათუ ფეხზე დაყენება, გაქანებაც ვერ შეძლეს. დივანზე შესაზარად გათხლაშულს, ყველას დასანახად გამოეშვირა თავისი საცოდავი, დაკემსილ-დაკერებული სტუდენტური შარვალი. ზევით აქაჩულ პერანგსა და შარვლის ქამარს შორის კი მუქი, შიშველი მუცელი და ჭიპი მოუჩანდა. დივნის მუთაქიდან თავჩამოვარდნილი საშინლად ხვრინავდა. როგორც გამოირკვა, ის ბიჭი, ვინაც იგი მოიყვანა, რა ხანია გაჰყოლოდა სონიას ერთ პრანჭიკელა მეგობარს. ისიც კი არ იცოდნენ, სახელად რა ერქვა. განჩუკები დაიბნენ. შინამოსამსახურე ვასიონამ, მილიცია გამოვიძახოთო, დაიჩემა. იულია მიხაილოვნამ, ოცდაათი წლის მანძილზე აღმოუფხვრე-

ლი თავისი გერმანული გულუბრყვილობით, მძინარის გვერდზე ჭიქით სო-
დიანი წყლისა და პირამიდონის აბის დაღება მოინდომა. ვასიონა ბუზლუნებ-
და: „რა ჭირად უნდა შენი პირამიდონი... შუალამეზე წამობორობდა და
კარადებს სულ ლაწალუწს აუტეხს...“ მოხუცი ნიკოლაი ვასილივიჩი კი
ძველი ჰუსარული მეთოდით ყურების მოსრესის მომხრე იყო. მაგრამ იმ გა-
მომთვრალ რეგვენს სწორედ სონია დაუდგა ქომაგად და, ხელი არ ახლოთო,
განაცხადა,

— ნუთუ არ გეცოდებათ? შეხეთ, რა ლამაზი სახე აქვს, რა საყვარელი,
ბულდოგივით ყბები...

გლებოვმა მასპინძლებს გადაჭრით შესთავაზა: ყოველი შემთხვევისათვის,
მე აქ დავრჩები. აქვე, ამ სასტუმრო ოთახში გასაშლელ საწოლზე წამოვწევი.
ამას ასევე დივანზე ეძინოს, მხოლოდ ფეხსაცმელები გავხადოთო.

ასე დარჩა გლებოვი ღამით სონიას ბინაში, დიდხანს ვერც დაიძინა,
მხოლოდ იმიტომ, რომ სონიაზე უკვე სხვაგვარად ფიქრობდა. ვერა და ვერ
დაიძინა, ფიქრებმა წაიღო. წასთვლემდა, რაღაც მოკლე, აბნეული სიზმრები
წაეჩვენებოდა და ისევ ეღვიძებოდა. თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა.
სონიას თავის ოთახში მაგრად კარჩაკეტილს ეძინა, ლოთი არც გარხეულა და
მაინც იმ ღამით გლებოვის არსებაში რაღაც მოხდა — დილით სულ სხვა კაცი
ადგა. მიხვდა, სონიას შეყვარება რომ შეეძლო... არა, ეს გრძნობა ჯერ არ
სწვეოდა, მაგრამ იგი გზაში იყო, სამხრეთიდან ნელად მონაბერ თბილ დინე-
ბასავით იგრძნობოდა მისი მოახლოება. ამინდი ჯერ არ შეცვლილიყო, მაგრამ
სახსრებდაავადებული ადამიანები გრძნობენ ამ სიახლოვეს. განთიადისას,
დაახლოებით, ექვსი საათისათვის გამომთვრალი სტუმარი აწრიალდა, მერე
დივნიდან წამოდგა და, როგორც ვასიონამ იწინასწარმეტყველა, ბურტყუნითა
და სლოკინით ოთახში ბოროალი დაიწყო. გლებოვმა მაშინვე შემოსას-
ვლელში გაათრია, თავზე ქუდი ჩამოაფხატა და გარეთ გაგდება დაუპირა.
სტუმარი გაუძალიანდა, ერთმანეთს სულ ჩურჩულით აგინებდნენ.

— სად მაგდებ შე მტარვალო, შენა! მე წასასვლელიც არსადა მაქვს...

— საიდანაც მოსულხარ, იქითკენ მოუსვი.

— საიდან მოვედი? შეგიძლია მიხვდე, რას წერდა ფიოდორ მიხაილოვიჩ
დოსტოევსკი... როცა ადამიანს არსად წასასვლელი არა აქვს...

იმ ხანებში მართლაც იყვნენ, ასე ეთქვათ, სანახევროდ მათხოვარი სტუ-
დენტები, თითქმის ქუჩურ ცხოვრებას რომ ეწეოდნენ: ერთთავად რომ რი-
ცხავდნენ და აგდებდნენ. ჰოდა, ისინიც წანწალებდნენ ნაცნობებსა თუ ერთი
საერთო საცხოვრებლიდან მეორე საერთო საცხოვრებელში, ღამეებს სადგუ-
რებში ათენებდნენ. სინანულით უცქერდნენ „კოშკებს“, საიდანაც ასე აპან-
ლურებდნენ, გლებოვი კაი ნახევარი საათი ეღავა და, როგორც იქნა, გააგდო.
მერე სასტუმრო ოთახში შებრუნდა და ისევ შეწვა. ერთი საათის შემდეგ
ოთახში ხალათიანმა სონიამ გაიარა და გლებოვმა ქალის ნაზ კოჭებს შეავლო
თვალი. ცოტა ხნის შემდეგ სონიამ ისევ შემოიხედა და იკითხა:

— ის კაცი რა იქნა?

— გავაპანლურე, — უთხრა გლებოვმა და მოხრილი მუხლი აიქნია,
უკანალში ამორტყმის ნიშნად.

გლებოვი თავს გმირად თვლიდა, უძლურთა დამცველად.

სრულიად მოულოდნელად სონია გაწყრა.

— მაინც ვინ გთხოვა? წასვლა არ უნდოდა?

— არა, არ უნდოდა, მთელი საათი ვეჭაჯგურე შემოსასვლელში.

— და მაინც გააგდე? რა საქაგლობაა, დიშკა, როგორ არა გრცხვენია! გააგდო მშიერი კაცი. იქნებ წასასვლელიც არსად ჰქონდა.

— არ ჰქონდა, იმიტომ რომ ნაძირალაა...

— მე არ ვიცი, რა არის ნაძირალა.

— მე კი ვიცი. მე სწორედ ამ ნაძირალებში ვცხოვრობ. მთელი დერიუგინის შესახვევი — ერთიანად ნაძირალების ბუდეა.

სონია უცხო, უნდო თვალებით მისჩერებოდა გლებოვს, თავი უკმაყოფილოდ გადააქნია და თავის ოთახში შევიდა. გლებოვი დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. იქნებ სულაც წასულიყო? გააკვირვა სონიას განაწყენებამ. მერე, როცა უფრო დაუახლოვდა და კარგად გაიცნო, მიხვდა, მისი ხასიათის მთავარი თვისება სხვებისადმი ყოველად განურჩეველი, ავადმყოფურად მგრძნობიარე სიბრალოული იყო. ებრალებოდა ყველა, გამვლელი თუ გამომვლელი. მისი ასეთი ხასიათი ზოგჯერ საოცრად მომაბეზრებელი, აუტანელიც კი ჩანდა. მაგრამ მერე შეეჩვია, უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა. სონიას პირველი შეგრძნება ადამიანებთან თუ ცხოვრებასთან შეჯახებისას მხოლოდ სიბრალოული იყო. გლებოვი ბოლოს დასცინოდა კიდევ: „ოი, ისე მეცოდება ის საწყალი ხულიგანი, ტრამვაის გაჩერებასთან სამი კაცი რომ მიბეგვა... წარმოგიდგენია, რა გუნებაზე იქნება...“ თვითონ სონიაც გრძნობდა თავისი ხასიათის უაზრობას და თავადაც იტანჯებოდა.

მერე, როცა სამზარეულოში ფანჯარასთან მოხერხებულად მიდგმულ მრგვალ პატარა მაგიდას ორნი მიუსხდნენ, სონია შეცბუნებული ჩანდა და დილანდელი უკმეხობის გამო თავის მართლებას მოჰყვა: „აი, თუნდაც ჩაი მაინც რომ მიგერთმია...“, — „არა უშავს, ასედაც კარგი იყო“, — უპასუხა გლებოვმა, თან ქვემოთ გაწოლილ ზუზარმაზარ ხიდს დაჰყურებდა, რომელზედაც გარბოდნენ მანქანები, მიბობლავდა ტრამვაი, ხედავდა გაღმა მხარის გაღაფანს, სასახლეებს, ნაძვებს, გუმბათებს. ყველაფერი გასაოცრად ხატოვანი იყო და ასეთი სიმაღლისათვის უჩვეულოდ ნათლად, ცოცხლად მოჩანდა. დაჰყურებდა გლებოვი ამ სილამაზეს და თან იმაზე ფიქრობდა, რომ მის ცხოვრებაში, როგორც ჩანდა, რაღაც ახალი იწყებოდა.

ყოველ ცისმარე დილას საუზმისას ჩიტის თვალსაწიერიდან ხედავდე დიდებულ სასახლეებს! გებრალებოდეს ყველა, უკლებლივ ყველა, ვინც იქ, დაბლა, ბეტონის რკალზე ჭიანჭველებივით რიალებს! ყველაფერი ეს სიზმარცხადად ერთმანეთში არეული წუხანდელი აზრების გაგრძელება იყო.

— იცი, რა გითხრა? ვიჯობს მე შემიბრალო, — უეცრად წარმოთქვა გლებოვმა.

— აკი გიბრალებ კიდევ. — ქალმა ლოყაზე ხელი მოუსვა, — მაგრამ შენ როგორღაც დაუდევარი, აფორიაქებული კაცი ხარ...

გლებოვმა განჩუკებთან სიარულს მოუხშირა, ლამის ყოველდღე იქ იყო. ხან პროფესორს სტუმრობდა, ხანაც სონიას. მოხუცი ადრე „ვადიმ ალექსანდროვიჩს“ ეძახდა, ახლა კი დიშად გაიშინაურა. საღამომობით, როცა სასეირნოდ გარეთ გადიოდა, გლებოვსაც სთავაზობდა, გამომყევო. პროფესორი თავის კრაველის ქუდს რომ დაიხურავდა, თეთრ, შოკოლადისფერი ტყავით გაწყობილ თექურებში ჩააკვებებდა ფეხებს და გრძელკალთიან, მელიის ბეწვ-

მოვლებულ ქურქს ჩაიცვამდა, ოსტროვსკის პიესის ვაჭარს ემსგავსებოდა ხოლმე. მაგრამ საღამოობით უკაცრიელ სანაპიროზე დინჯი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მოსეირნე ეს „ვაჭარი“ ყვებოდა პოლონეთის ლაშქრობებზე, კაზაკურისა და ოფიცრული ჩეხვის განსხვავებაზე, წვრილბურჯუაზიულ სტიქიასა და ანარქისტულ ელემენტებთან დაუნდობელ ბრძოლებზე, მსჯელობდა ლუ-ნაჩარსკის დახლართულ თეორიებზე, პოკროვსკის დაბნეულობაზე, გორკის მერყეობაზე, ალექსეი ტოლსტოის შეცდომებზე: ნიკოლაი ვასილიევიჩი ყველას იცნობდა, ერთად უსვიათ ჩაი, ყოფილა მათთან აგარაკებზე, რაც მთავარია, უკლებლივ ყველაზე, თვით ისეთ სახელოვან კაცზე, როგორც გორკი იყო, მართალია, მოწიწებით, მაგრამ ერთგვარი ფარული უპირატესობით ლაპარაკობდა, თითქოს რაღაც სხვა დამატებითი ამბების მცოდნე ყოფილიყო. „ალექსეი მაქსიმოვიჩს რომ ბოლომდე შეეცნო...“ ისე უბრალოდ იტყოდა, ვითომც არაფერიო, ან კიდევ „მე მაშინ ავუხსენი ალექსეი ნიკოლაევიჩს...“

გლებოვი დიდი ყურადღებით უსმენდა განჩუკს. მისთვის ყველაფერი საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. ზოგჯერ ისეთ საოცარ რაღაცას იტყო-და, კაცს პირდაპირ გააოგნებდა. მაგალითად, ბრუსკოვოში თავისი აგარაკისა და მასთან დაკავშირებული სიძნელეების ამბებს რომ უყვებოდა (გზის ას-ფალტირებას უღვთოდ აჭიანურებდა ადგილობრივი სოფლსაბჭო), სრულიად მოულოდნელად ასე დაამთავრა: „ხუთი წლის შემდეგ ყოველი საბჭოთა მო-ქალაქე აგარაკის მფლობელი იქნება“. გლებოვი გაოცდა, მაგრამ არ შესი-ტყვებია.

იდგა ოცდახუთგრადუსიანი, მძაფრი ყინვით გათანგული საღამოები, როცა ჭკვიანი ხალხი შინ ჯდომას ირჩევს ხოლმე, მაგრამ ნიკოლაი ვა-სილიევიჩი ზუსტად ცხრა საათზე ყელზე შარფს იხვევდა, თავის ვაჭრულ ბეწვის ქურქში გაეხვეოდა და მომთხოვნი ხმით იტყოდა: „თქვენ გამომყვე-ბით?“ მერე როგორ არ უნდოდა ამ ყინვაში გარეთ გასვლა! სულ სხვა საქმეა, სწრაფად, ეზო-ეზო გადაჭრა შენი შესახვევი და შინ შევარდე და სულ სხვაა ისეირნო ამ მოლიპულ სანაპიროზე... გლებოვი განწირული კაცის მზადყოფ-ნით პასუხობდა: „რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მე მზად ვარ!“ მობუზული გლებოვი კანკალებდა მამის ძველი პალტოსაგან გადაკეთებულ სტუდენტურ პალტოში. სირბილის უინს იოკებდა და მოხუცის გვერდით მოზომილი, მოკ-ლე-მოკლე ნაბიჯებით სეირნობდა. და ეს მაშინ, როცა თვითონ მოხუცი ტკბი-ლად ფშვინავდა თავის ბუხარით გაღულუნებულ ქურქში. „შენე, რა თავ-კერძაა! — ბრაზდებოდა ზოგჯერ გლებოვი. — აბა იმას თუ იფიქრებს...“ თუმცა ჰქონდა კიდევ სხვა მოსაზრებაც: იქნებ საგანგებოდ გაჰყავს სახლიდან, სონიასთან მარტოდ რომ არ დარჩეს?

ვასიონამ კი სულ სხვა აზრი მიაწოდა. ეს ეშმაკი ქალი ყოველგვარ წვრილმანს ამჩნევდა და ერთხელაც თანაგრძნობით ჰკითხა: „მაინც რას და-გათრევს? მე მგონი, მცველად მიყავხარ...“ „ის არის ჩემი მცველი თუ მე მისი?“ — ჰკითხა გლებოვმა. ვასიონამ თავისთვის ჩაიხურჩულა: „აბა რა ვიცი, ასეთი ქურქიანები არ უყვართ ხოლმე...“

ყოფილა შემთხვევა, როცა სასეირნოდ სონიაც გაჰყოლიათ. ზოგჯერ განჩუკების უახლოესი ადამიანი კუნო ივანოვიჩიც დამგზავრებიან. შინაუ-რულად ამ კაცს კუნიკს ეძახდნენ. იგი ნიკოლაი ვასილიევიჩის თანაშემწე იყო აკადემიაში. განჩუკებთან ნათესავით მიღებული. გლებოვმა შეამჩნია,

რომ ნიკოლაი ვასილიევიჩი არცთუ დიდი ხალხით ხვდებოდა სონიას სასეირნოდ გაყოლის სურვილს, ხოლო კუნო ივანოვიჩს, თუ იგი საერთოდ მოახერხებდა ატორლიალებას, ზედაც არ უყურებდა. თუმცა საქმის არსი სრულიად მარტივი იყო: როცა მოხუცს მხოლოდ გლებოვი ახლდა, იგი შევერმეტყველებდა, ენამზიანობდა, გაუჩერებლად ყვებოდა ამბებს, ინსუენებდა წერსულს. ხოლო როცა გვერდით სონია ედგა, როგორღაც ჩაიფერებოდა მისთვის. სონიას შეეძლო მამისათვის მკაცრად ეთქვა: „მამა, გაჩუმდი, შენთვის არ შეიძლება ყინვაში ლაპარაკი“, ანდა „მამა, რა ერთსა და იმავეს იმეორებ“.

იულია მიხაილოვნას კი არ უყვარდა ქუჩები, ავტომობილები, ქარი, ყინვა. ქალს სტენოკარდია სჭირდა, ხშირად ავადმყოფობდა და მეცადინეობებსაც ხშირად აცდენდა. იულია მიხაილოვნა სწორედ იმ ინსტიტუტში ასწავლიდა გერმანულს, სადაც გლებოვი სწავლობდა, ნიკოლაი ვასილიევიჩი კი კათედრას ხელმძღვანელობდა. მართალია, ამ ქალმა რუსეთში არცთუ ერთი ათეული წელი გაატარა, მაგრამ მაინც როგორღაც ხეშეშ, მოუდრეკავ გერმანულად დარჩა. რუსულსაც შესამჩნევი გერმანული აქცენტით ლაპარაკობდა. მისი მამა ჰამბურგის აჯანყების დროს დაიღუპა. იულია მიხაილოვნამ ურთიერთობა შეინარჩუნა ათას ჭირსა და უბედურება გამოვლილ ზოგიერთ გერმანულ თუ ავსტრიულ ანტიფაშისტ მოხუცთან. ეს მოხუცები ხანდახან განჩუყებს სტუმრობდნენ ხოლმე. კუნო ივანოვიჩიც ამ წრიდან გახლდათ. ომამდე გარდაცვლილი კუნოს დედა იულია მიხაილოვნას ვენის უნივერსიტეტელი მეგობარი იყო. განჩუყებაც ადრიდანვე მფარველობდნენ ყმაწვილს, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე იცნობდნენ. კუნიკ, კუნიკ, კუნიკ, კუნიკ! ისე უფრო ძალის სახელი გეგონებოდა. პაწაწკინტელა, ნებიერი, ჭირვეული აკვიანთვალეა ფინიასი.

— კუნიკს უნდა ვაჭამოთ! — იტყოდა ხოლმე სონია.

— სთხოვეთ კუნიკს... დაურეკეთ კუნიკს... კუნიკი ბილეთებზე გააგზავნეთ, მხოლოდ მორიდებით უთხარით, არ ეწყინოს...

კუნიკი გამხდარი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი ყმაწვილი იყო. თავი როგორღაც დაბლა, წახრილად ეჭირა, გეგონება, ვინმეს აყურადებსო, თუმცა არასდროს არავისთვის მიუყურადებია. ის კი არა, ხშირად ისიც არ ესმოდა, როცა მას მიმართავდნენ. იმ პატარა წახრილ თავს წამდაუწუმ მალლა იქნევდა და უკან იყრიდა საკმაოდ გრძელსა და მოწითალო გერმანულ თმას. ალბათ ტიკი თუ სჭირდა, პირველ ხანებში გლებოვს სურავანდიანიც კი ეგონა.

საერთოდ გლებოვს კუნიკი არ მოსწონდა. რაღაცნაირი, საოცრად უტყვი, უცხვირპირო, ავადმყოფური კაცი იყო, თავისთვის არცთუ უჭკუო. კუნიკი მარტო ცხოვრობდა. განჩუყები გამუდმებით სწუხდნენ: ნეტა ავად ხომ არ გახდა? რამე ხომ არ სჭირდება? რატომღაც მიაჩნდათ, ყოველთვის დახმარებას საჭიროებდა, რომ უბედური იყო. ერთიც კია, პირმოკუმულ, ჩამომხმარ, მწუხარე სახეზე გარკვევით ეწერა: „უბედური ვარ“. მაინც რატომ ხართ უბედური?

ერთხელ ვახშმობისას გლებოვმა ჟურნალში დაბეჭდილ კუნიკის წერილზე ფრთხილად ჩამოაგდო საუბარი. კარგა ხანია ესმოდა: კუნიკმა ჟურნალში წერილი მიიტანა, რედაქცია შესწორებას ითხოვს და კუნიკი არ თანხმდება, არნახულ პრინციპულობას იჩენსო. ჰყვებოდნენ იმასაც, თითქოს რედაქციასთან ბრძოლისას რაღაც უმაღლეს ინსტანციებს მიაღწია და თავისი მაინც

გ ა ი ტ ა ნ ა ო. ნაშრომს მეცნიერების დიდ მოვლენად თვლიდნენ. ამ ამბის თაობაზე განსაკუთრებით იულია მიხაილოვნა ფაციფუცობდა. გლებოვმა წერილი წაიკითხა და, მისი აზრით, ნაშრომი მხოლოდ საშუალო შეფასების იმსახურებდა, გამორჩეულობისა არა ეცხო რა. იქნებ მხოლოდ ის, რომ რაღაც ფართული გუმანით იგრძნობდი, რუსული ენა ავტორისათვის, შემოქმედით რომ არ იყო. ნაშრომს საერთო მოგუდულობა და უძარღვოება და აი, ვანშობისას სწორედ ამ წერილზე ჩამოაგდო ლაპარაკი: სამწუხაროდ, ისტორიულ-ლიტერატურული ნაშრომები ხშირად ლიტერატურისაგან დაშორებული ენით იწერებაო... ნიკოლაი ვასილიევიჩმა გლებოვს დაუჭირა მხარი, ბევრი რამ თქვეს, ბევრი იმსჯელეს. მხოლოდ შემდეგ, დიდი სიფრთხილით და მოიარებით გლებოვმა კუნიკის ნაშრომიდან ორი-სამი მაგალითი მოიყვანა. მაგალითები მართლაც ენის სტილსა და სულში ჩაუწვდომლობის ამჟამად დასტური იყო.

ნიკოლაი ვასილიევიჩი იცინოდა, სონია იღიმებოდა, მხოლოდ იულია მიხაილოვნამ უთხრა ცივად: „ასე ბოროტი ვაკრიტიკება პირში უნდა შეგვქლოს“. გლებოვი არწმუნებდა, ჩემს შენიშვნებში სიბოროტის ნასახიაც არააო, იულია მიხაილოვნა შეეპაექრა:

— არა ხართ მართალი, დიმა, ნუ თვალთმაქცობთ. რატომ ის არა თქვით, მთლიანად როგორ აფასებთ კუნო ივანოვიჩის ნაშრომს?

გლებოვმა მხრები აწურა და აბუტბუტდა:

— როგორ ვაფასებ? სიმართლე გნებავთ? არც აღფრთოვანებული ვარ და არც...

— ო! მაშასადამე, მე მართალი ვყოფილვარ! — იულია მიხაილოვნამ ამაყად, შემტევად ასწია თითი, — ნება მიბოძეთ გკითხოთ...

მაგრამ აქ სონია ჩაერია და დედას სიტყვა გააწყვეტინა: — ვითომ რა, გლებოვს უფლება არა აქვს განჩუკების ოჯახისაგან განსხვავებული აზრი იქონიოს? რა საჭიროა ასეთი თავდასხმა? — მეტე ნიკოლაი ვასილიევიჩმაც დაურთო, განჩუკების ოჯახშიაც არ არისო ერთიანი აზრი. იულია მიხაილოვნამ პასუხად ასე მოახსენა — თავდასხმები და შეტაკებები, ძველი კავალერისტის ნიკოლაი ვასილიევიჩის საქმეა, მე სულაც არა ვარ ამ ამბების ტრფიალი, ხმლის ქნევა არ მიყვარსო.

— და მაინც იქნევ და ზოგჯერ საკმაოდ ძლიერადაც, — ისევ შეეპასუხა სონია.

ახლა აღარც გლებოვი იყო კმაყოფილი, ასეთი საუბარი რომ ჩამოაგდო. ეს ნაზი, შესახედავად საოცრად სუსტი, ავადმყოფი, წვრილხელება, მიტკალივით თეთრი სახის ქალი მართლაც უსამველოდ ჯიუტი გახლდათ. შეეძლო ეკამათა და თავისი bis zum Schluss ლამის გულის წასვლამდე ვმტკიცებინა. პირველყოვლისა, კრიტიკა ობიექტური უნდა იყოს, ჯერ ნაშრომის მთლიანი შეფასებაა საჭირო, რწყილები კი მეტე მოიძებნოს. კუნიკმა შესანიშნავი წვრილი დაწერა, გააშუქა უმნიშვნელოვანესი საკითხები; თუ რა საშიშროებას წარმოადგენს წვრილბურჟუაზიული სტიქია, სწორედ ახლა, გამარჯვების მობოვებისა და ასეთი დიდი დამაბულობის შემდეგ, როცა ადამიანებს სულის მოთქმა და დასვენება სურს, წვრილბურჟუაზიული ემოციების აფეთქება და ცნობიერების დამუხრუჭებაა მოსალოდნელი. ამ საშიშროების შეუფასებლობა ყოვლად დაუშვებელიაო.

კუნიკის წერილში გლებოვს ამდაგვარი არაფერი ამოუკითხავს. გაბედუ-
ლება მოიკრიბა და ქალს მორიდებით შეეპასუხა:

— მაპატიეთ, იულია მიხაილოვნა, წერილის ენის თაობაზე გამოთქმუ-
ლი ჩემი ორიოდ შენიშვნა იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სათანადოდ ვერ
ვაფასებ წვრილბურჟუაზიულ საშიშროებას.

— სწორედაც რომ! — წარმოთქვა ნიკოლაი ვასილიევიჩმა და მაგიდას
მუშტი დაჭრა. ლაპარაკი ნელინელ ხუმრობაში გადაჰყავდა, — დასწყევლოს
ემმაკმა, ერთი მეორესაგან როდი გამომდინარეობს.

— არა, თქვენ ჯეროვნად ვერ აფასებთ ბურჟუაზიულ საშიშროებას, —
კვლავ წარმოთქვა იულია მიხაილოვნამ, ქალი სულაც არ იყო ხუმრობის
გუნებაზე.

— კი, მაგრამ, საიდან დაასკვნით ეს ყოველივე?

— ახლავე მოგახსენებთ. გულახდილად გნებავთ? მე თქვენ დიდი ხანია
გამჩნევთ... — დაიწყო ქალმა და ისეთი წარმოდგენელი, გასაოცარი სისუ-
ლელეები დააფრქვია, გლებოვი გაოგნდა. თურმე იგი რაღაც განსაკუთრებუ-
ლი ყურადღებით ათვალეირებს განჩუკების ბინას, სამზარეულოში მდგარ
მაცივარს, საბარგო ლიფტის კარს. თურმე ერთხელ ბრუსკოვოს აგარაკის
მთელი ავ-კარგი დაწვრილებით გამოუკითხავს — რამდენი ოთახია, არის თუ
არა წყალი გაყვანილი, რა ფართისაა საკარმიდამო ნაკვეთი, ერთი სიტყვით,
თითქოს კაი მუშტარი ყოფილიყოს...

— დედა! რას ამბობ, რას? — წამოიყვირა შეწუხებულმა სონიამ.

— მე იმას ვამბობ, რასაც ახლანდელ ახალგაზრდებს ვამჩნევ, — თქვა
უტეხმა ქალმა, თავისი პრინციპულობის გადამკიდეს უკვე სულის ხუთვა რომ
დაწყდა. — ეს ეხება არა მარტო დიმას. დიმასადმი მე სწორედ ძალიან
კარგადა ვარ განწყობილი და სულაც არა მსურს მისი განაწყენება. შენ ნუ
გეშინია, ჩვენი ურთიერთობა ისეთივე დარჩება. საქმე ის არის, რომ ამას
სხვებსაც ვამჩნევ: განსაკუთრებულ გატაცებას ნივთების, კეთილმოწყობის,
საერთოდ ქონებისადმი, იმისადმი; რასაც გერმანელები *das Gut*-ს ეძახიან,
რუსები კი დოვლათს. რატომ? რა ჭირად გინდათ ეს ბინა? — ქალმა მხრები
აიჩეჩა და საოცარი ზიზღით, თითქმის სიძულვილით მოავლო თვალი
ოთახს. — თქვენ გგონიათ იმ თქვენი ბის სახლის პატარა ოთახში ვერ იშრო-
მებთ? ბედნიერი ვერ იქნებით?

— შენ რატომ არ გადადიხარ ამ სახლიდან იმ ფიცრულში? — ჩაურთო
სონიამ.

— მე რატომ უნდა გადავიდე? ჩემთვის სულ ერთია, სად ვიცხოვრებ,
სრასახლში თუ ხის ქოხში, ოღონდ ჩემი შინაგანი მოთხოვნილების მიხედვით
უნდა ვიცხოვრო...

იულია მიხაილოვნა მართალი აღმოჩნდა, მისი და გლებოვის ურთიერ-
ობა ამ უცნაურ მხილებათა შემდეგ ნამდვილად არ გაუარესებულა. გლე-
ბოვმაც არ შეიმჩნია განაწყენება, მიხვდა, რაშიაც იყო საქმე: სონიას დედა
კუნიკს განსაკუთრებულის სიმპათიით უყურებდა, მგონი „სულაც იდეალურ
სიძედ ესახებოდა, მაგრამ სონია ამ საკითხის თაობაზე სულ სხვა აზრისა იყო
გლებოვს მტკივანზე ფეხის დაჭერა გამოუვიდა.

გლებოვი რაღაც შინაგანი, ფარული თვითკმაყოფილებით გრძნობდა,
რომ იულია მიხაილოვნას გაღიზიანება, მისი წაკბენანი მხოლოდ იმაზე მეტყ-

ველებდა, რომ სასწორი მისკენ იყო გადმოხრილი. მეტად უცნაურად ეჩვენა წვრილბურთუაზიულ ცოდვებთან დაკავშირებული მსჯელობა. ერთი წუთითაც არ უგრძვნია თავი დამნაშავედ. კარგით ერთი, ვითომ მართალ გულით კითქვა? კარგად გათამაშებული ხუმრობა ხომ არ იყო? თვითონ განჩუქიც ტყუილად როდი დუმდა და ქირქილებდა. მაშ ის წითელი ხის მსგავსად გაპრიანებული და კაცის სიმაღლის ოდენა სარკედატანებული ლიფტისკენ არის? იულია მიხაილოვნა ხომ იმ მეცხრე სართულზე ფეხით არ აღიოდა, ლიფტით სეირნობდა ზევით-ქვევით, უმზერდა საკუთარ თავს იმ დიდ სარკეში, ყნოსავდა ძვირფასი პაპიროსების, ძვირფასი ძაღლების და საერთოდ ძვირფასი საგნების სუნს. თუმცა დაბლა, სადარბაზოში უკვე ვეღარ შეხვდებოდით ფორმისქუდიან თვალმარჯვე მელიფტეებს, მაგრამ მონჯლრეულ სავარძელში თექურებიანი დედაბერი ხომ მაინც იჯდა და თავისი მოგუდული ხმით ყოველ შემსვლელს ეკითხებოდა: „თქვენ რომელ ბინაში მიხვალთ?“ ბრუსკოვოში ჰქონდათ სახლი, მართალია, დამპალპარმალნიანი, აფიცრული ფანჯრებითა და დაუმთავრებელი მეორე სართულით, თავისი მოუვლელით უსიამო შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა, მაგრამ ის ოთხასმეტრიანი ნაკვეთი, ლობე, ფიჭვები, ბაღია თუ აივანს შემოგრაგნილი უსურვაზი განა ის საძულველი კერძო საკუთრება არ იყო, სწორედ ის das Gut-ი, საიდანაც ბოსტნის კვლიდან ამოხეტქილ ნახვივით მოიწევდა შხამიანი ხე.

გაზაფხულობით, როცა სააგარაკო სეზონი იწყებოდა, განჩუქების ოჯახი ბრუსკოვოს მიემგზავრებოდა, ეგრეთ წოდებულ სააგარაკო კვირაობაზე: მუშაობდა ყველა, მუშაობდნენ ბაღში, სახლში თუ ბაღიაში. მაგრამ როგორ მუშაობდნენ! იულია მიხაილოვნა თავისი ავადმყოფობის გამო მხოლოდ უმწეოდ ფორიაქობდა და უთავბოლო შენიშვნებით სხვებს გულს უწყალებდა, სონია ზარმაციც იყო და უგერგილოც, რაც შეეხება ნიკოლაი ვასილიევიჩს, თავის ძველ წიგნებსა და ნაწერებს რომ მიადგებოდა, კაბინეტიდან ცხვირს აღარ ჰყოფდა. მთელი საქმიანობა საწყალ ვასიონას კისერზე იყო. ეხმარებოდათ კიდევ განჩუქების „პობედაზე“ დღეგამოშვებით მომუშავე მძლოლი ანიკეევიც. ეს ხანში შესული, პირქუში კაცი ომამდე თვითონ ყოფილა რალაცის უფროსი, მაგრამ საქმე ცუდად წასვლია და ახლა შოფრობდა. იგი ყველაფერს ნელა აკეთებდა, ზანტად დადიოდა, მძიმე სამუშაოსაგან მოხერხებულად იძვრენდა თავს, იოლ საქმეს ირჩევდა, საათობით ბუჯურობდა: შეეძლო მთელი ნახევარი დღე აბაჯურის დაკიდებასა თუ ჭიშკარზე ფიცრის მიჭედებაში გაეყვანა. ერთხელ გლებოვს ეზოში ურიკათი ნაგავი გაჰქონდა — ეს თვითონ შესთავაზა ნიკოლაი ვასილიევიჩს. აგარაკზე წამოგყვები, მოგეხმარებიო, ერთი სული ჰქონდა ენახა მათი აგარაკი. — ანიკეევიცა ყურში წასჩურჩულა: „ნაგავი იმ დედაკაცმა გადაყაროს! ნაგავზე ხომ არ მორიგებიხარ?“ ალბათ გლებოვი დაქირავებული მუშა ეგონა...

ზაფხულს მოჰყვა განშორება, ყუბანი, მიყრუებულ, მთიან სტანიცებში მუშაობა და მოულოდნელი, ჭეშმარიტი დარდი სონიას მონატრებისა. აი, მაშინ კი მიხვდა გლებოვი, სახუმროდ რომ აღარ ჰქონდა საქმე.

იმ თბილი ზამთრის, ახალი წლის წინა დღეს სტუდენტების მთელი გუნდი ბრუსკოვოში ავიდა. დაათბეს სახლი, ბაღში მღგარი ნაძვის ხე ელექტროფარნებით მორთეს. მართლაც კარგი სანახაობა იყო... ლიოკა შულეპნიკოვი მათ წრეში სწორედ მაშინ გამოჩნდა პირველად. იგი ინსტიტუტში ერთი წლის

დაგვიანებით მოეწყო და როგორღაც განცალკევებით, თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. არავინ უწყობდა, სად და როგორ. „მე, კიბლინგის კატასავით, ჩემ ხოშხე დავსეირნობ“, — ამბობდა ხოლმე საკუთარ თავზე. ბრუსკოვოში საოცრად ლამაზი გოგონა მოიყოლა, გოგონას სტელა ერქვა. იგი ახლად დაარსებული, მაგრამ მოსკოვში უკვე კარგად ცნობილი „ბერეჟნიკის“ მოცეკვავე გახლდათ. ჰქონდათ რაღაც გრძელი, უსაშველო კამათი. ყვიროდნენ. ღრიალებდნენ, ლამის ჩხუბამდე მივიდა საქმე. ყველაფერი კი იმ ენათმეცნიერ ასტრუგიდან დაიწყო, მაშინ გვარიანად რომ წაამუშავეს. კამათი მართლაც ანექ-დოტურად დაიწყო: რა ფერის ნიფხავი ეცვა ასტრუგსო? ნამდვილი მიზეზი, რა თქმა უნდა, სულ სხვა იყო. სრულიად, სრულიად სხვა! არც ის საწყალი ასტრუგი იყო არაფერ შუაში. სხვათა შორის, იგი განჩუკების კაცი გახლდათ. მაგრამ იმ დღეს არც ამას ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა. ეტყობა, რაღაც ბოღმა დაგროვებოდათ, თვალის ერთი გადავლებით შეუმჩნეველი, და ვულკანივით უეცრად ამოხეთქა. როგორც ყოველთვის, ლიოვკა შულეპნიკოვი იყო ახლაც გამაღიზიანებელი, მაგრამ თავისი ქარაფშუტობის წყალობით ამას თვითონ ვერ ამჩნევდა. ჰქონდათ ბევრი არაყი, მისაჭმელი კი თითქმის არაფერი. ჩვეულებრივი სტუდენტური ალიაქოთი. ერთმანეთში აირია ყველაფერ — შიმშილი, დაღლილობა, სესიების წინა დაძაბულობა და ის ვულკანური რაღაც, თავისთვის ფარულად, შიგნით რომ უთუხთუხებდათ.

იყო ერთი მეტად უსიამოვნო ყმაწვილი, გვარად ჩერემისინი. იგი გლეზოვის მეგობრად არ ითვლებოდა, მაგრამ იმ ჭრელ ხროვაში სხვებთან ერთად ისიც მოხვდა — ვინც ფული ჩამოდო, კარგიც ის იყო. დაახლოებით ოცი კაცი შეგროვდა. თითქოს დიდი სახლი და დიდი ეზო ჰქონდათ, თუნდა ას კაცს ექვიფა. გამოვიდა კი სივიწროვე და აყალმაყალი. სწორედ ამ ჩერემისინმა, როცა სიტყვა ასტრუგზე ჩამოვარდა ასეთი რამ თქვა: თითქოს ასტრუგს ჩათვლის ღროს მისთვის ეკითხოს „რა არის მორფემა?“ ჩერემისინმა არ იცოდა. ასტრუგმა უთხრა: „როგორ შეიძლება ენა იცოდეთ, როცა არ იცით, რა არის მორფემა?“ ახლა ჩერემისინმა ჰკითხა: „აბა რა არის ყარტაყურტა?“ ასტრუგმა მხრები აიჩეჩა. ჩერემისინმა ისევ ჰკითხა: „მაშინ ეს მითხარით, რა არის მიდმოება?“ ასტრუგს არც ეს სცოდნია. „მაინც ვერ გამოგია, პროფესორო, როგორ შეიძლება იცოდეთ ენა, როცა ასეთი უბრალო სიტყვები არ იცით? ჩვენთან იგი დიდმაც იცის და პატარამაც. ყარტაყურტა დაახლოებით იგივეა, რაც ნაძირალა, ხოლო მიდმოება კი ის არის, რაც მე და თქვენ გამოგვივიდა — აბდაუბდა“. ასტრუგმა გაიცინა, ხელი ჩაიქნია და სიმიანი დაუწერა.

— ისე კი სწორი ქნეს, ის ასტრუგი რომ გააპანლურეს, — დაამთავრა თავისი ნაამბობი ჩერემისინმა. — მლიქვნელი კაცი იყო, გარეგნულად თითქოს არ იმჩნევდა, მაგრამ ნაღდად მლიქვნელი იყო. მწიგნობრული ენა იქნებ იცოდა კიდევ, მაგრამ აი, ხალხურისა კი არა გაეგებოდა რა.

მერე ერთმა გოგომაც დასძინა:

— მე არ ვიცი, იმან რა იცოდა და რა არა, მაგრამ ის კი ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან მეტად აღარ იქნება, თორემ პირდაპირ გულს მირევდა: დაჯდებოდა სკამზე, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და ფეხის ქნევას მოჰყვებოდა, შარ-

ვალი რატომღაც ყოველთვის მალლა ეწეოდა და წინდაში ჩატანებული ცისფერი საცვალი მოუჩანდა. ფუი, რა საზიზღრობა იყო! — გოგო, ზიზღის ნიშნად უსიამოდ დაიჭყანა, — პირდაპირ ვერ ვუყურებდი, თვალები უნდა დაგეხუჭა... და არც თავში შედიოდა რამე... — ჩერემისინი ხარხარებდა.

— სწორია, სწორი, მასე იყო, მხოლოდ პარდონ, ცისფერი კი არა, თეთრი საცვალი ეცვა. ცისფერი რაღაც არ მახსოვს...

— ჰოდა, ახლა დაჯდეს შინ და აქნიოს ფეხი, — დასძინა ისევ იმ გოგომ. დაიწყო შელრენ-შემოდრენა, კინკლაობა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვარიანად გამოთვრნენ, ალბათ უფრო იმის გამო, ასე ჭრელი ახალგაზრდობა რომ შეჯგუფდა და არა მეგობრები. მოვიდა ყველა ვინც კი მოსვლა მოახერხა. აქეთ სონიას პრანჭიკელა მეგობრები და მათი ნაცნობები, იქით გლებოვის ძმაკაცები, ახლა კიდევ ჩერემისინივით სრულიად შემთხვევითი, დაუპატიჟებელი ყმაწვილკაცობა. ყველაფერი ეს გუდგუდებდა, თუბთუხებდა, ვარვარდებოდა. ერთმანეთს ეცნობოდნენ, სვამდნენ ბრუდერშრაფტს, მაშინვე უსაშველო მეგობრობას ეფიცებოდნენ და იმავე წამში გააფთრებით სამტროდ იზიდებოდნენ. თავაწყვეტით კამათობდნენ. სონიას რომელიღაც დაქალმა დაცინვა დაუწყო იმ გოგოს, ასტრუგის საცვალი რამ გახსენებინაო. ლიოვკა შულეპნიკოვმაც უხეშად შეაწყვეტინა ჩერემისინს: ადრე ასტრუგს ელაქუცებოდი, ახლა კი მასხრად იგდებ, ჩალის ფასი აქვს მაგ შენს საქციელსო! ლიოვკა სულაც არ იყო ასეთი პრინციპული და ასტრუგის ბედიც ფეხებზე ეკიდა, — გლებოვი ლიოვკას მოხარშულს იცნობდა! — მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ყმაწვილის თავაშვებულობამ თუ რაღაც სხვამ საოცრად გააღიზიანა. ან კი რა გამოცნობა უნდოდა, ჩერემისინი ხომ იმ „ბერიოზკელ“ ლამაზმანს მიუჩოჩდა. რატომ იქცეოდა ასე? როგორც დავის შემდეგ გაირკვა, ლიოვკას გასაბრაზებლად, მის ჯინაზე. დიახ, ლიოვკა ეზიზღებოდა არა მარტო მას. „ეზიზღები მთელ ჩვენს ბიჭებს, — ყვიროდა ბრაზისაგან გაფითრებული დაწვმალალი ჩერემისინი, — კაპიკად არავის უღირხარ, მთელი შენი მანქანებით, შენი მამიკოებითა და დედიკოებით! ჩვენთვის ნული ხარ და მეტი არაფერი! ფუი!“ — თავაწყვეტილმა ჩერემისინმა ლიოვკასაკენ გადააფურთხა. იქნებ მართლა არც მიუფურთხებია. მაგრამ ისე გააკეთა, მივაფურთხეო. ლამაზმა სტელამ შეჰკივლა. ლიოვკა მაგიდაზე აიჭრა და საჩხუბრად გაიქაჩა, მაგრამ დააკავეს. აშკარა იყო, დიდი ჩხუბი ატყდებოდა. ჩერემისინს საერთო საცხოვრებლიდან ორი ძმაკაცი ახლდა. გლებოვი იმ ბიჭებს კარგად იცნობდა. ერთი სულაც მისი ჯგუფელი იყო, მშვიდი და არცთუ ცუდი ყმაწვილი, მაგრამ ახლა ყველა უზომოდ მთვრალი იყო. ვიდრე მაგიდას უსხდნენ, დაახლოებით ღამის ორ საათამდე, თავს როგორღაც იკავენდნენ, მაგრამ აი, წამოდგნენ, სკამები აარახუნეს და ნელ-ნელა გაიფანტნენ. ვინ მეორე სართულის ოთახებს მოეფინა, ვინ თოვლში, ეზოში გავარდა. აი, სწორედ ამ თოვლში მოხდა, რაც მოხდა... იქიდან ისევ სახლში შემოვარდნენ, შეიქნა იატაკებზე გორვა, სკამების ლეწვა, ქალების კივილი, მინების მსხვრევა. ასე იყო თუ ისე, გლებოვი თავს მასპინძლად გრძნობდა, ცდილობდა მოჩხუბრების გაშველებას, მაგრამ არც ძალიან გაბედულად, რისთვისაც დაისაჯა კიდევ: ვილაცამ იდაყვი შიგთვალში მიაფარა და გვარიანადაც ჩაულურჯა. საწყალ ლიოვკას ცხვირი გვერდზე მოუქციეს და კარგა ხანს ასე ცხვირმოქცეული დადიოდა. ამბობდნენ, ლამაზ სტელას თავი გმირულად ეჭირა, თავისი კავალერის დასაცავად ფეხ-

საცმელი წაიძრო და მომხვდურთ ქუსლებს უჩაქუნებდა, განსაკუთრებით სათვალეებს უმიზნებდაო. როგორც კი ინათა, ყველამ ელექტრომატარებლისაკენ მოუსვა, ერთმანეთის შეხედვისა რცხვენოდათ, დილის საუზმეზე აღარავინ დარჩენილა. ვინ როგორ დაზარალდა, ეს მხოლოდ ერთ-ერთმა დღეს ინსტიტუტში გაირკვა, მორიგი გამოცდის საკონსულტაციოდ ჩაიწვი შეხვდნენ ერთმანეთს.

ღიახ, მაშინ ბრუსკოვოში, როცა ყველანი გაქრნენ და მარტო სონია და გლებოვი დარჩნენ, რაღაც განსაკუთრებული ვითარება შეიქნა. აღარ ყინავდა, ჩუმად ბარდნიდა მხოლოდ. სონია და გლებოვი ეზოში გამოვიდნენ და ნიჩბებით ბილიკი გაკვალეს. ბინდდებოდა, თუმცა დღევ ბინდიანი იყო. ცეცხლი ადრე დაანთეს. რამდენიმე საათი სახლის დალაგებას მოუხდნენ, საოცრად დაიდალნენ. სონია სახლის მოწესრიგებას ჩქარობდა, შიშობდა, მშობლები ჩამოვლენო. მერე ისხდნენ სამზარეულოში და თიხის ფინჯნებით ჩაის სვამდნენ, მშობლები არ ჩამოვიდნენ. შოკოლადისფერი ფინჯნები საოცრად მძიმე იყო, ჩაი კი უზომოდ გემრიელი. ეს თიხის ფინჯნები გლებოვს სამუდამოდ დაამახსოვრდა. სონია ცოტა ხნით ნათხოვარი ჭურჭლის დასაბრუნებლად მეზობლებთან გადავიდა. გლებოვი მალლა, მანსარდაში ყველაზე თბილ ოთახში მოკალათდა. ბაღში გამავალი ფანჯარა ღია იყო, იდგა თოვლისა და ნადვის სუნნი, თვითონ კი მუთაქებიან, ფოჩებშემოვლებულ ძველებურ დივანზე იწვა. მკლავები თავქვეშ შემოეწყო და დრო-ყამისაგან ჩამუქებულ ჭერს, მანსარდის კედლის ფიცრებს შორის გამოჩრილ ქეჩებს, კედელზე დაკიდულ ფოტოსურათებსა და მინის ქვეშ მოქცეულ პატარა ძველებურ გრავიურას მისჩერებოდა, რომელზედაც რუსეთ-თურქეთის ომის ერთ-ერთი სცენა იყო აღბეჭდილი. და აი, უეცრად, თავში სისხლმა აასხა, იგრძნო, რომ ეს ყველაფერი შეიძლება მისად ქცეულიყო, იქნებ უკვე ახლაც — როცა ამას ჯერ ვერავინ ხვდებოდა, როცა მხოლოდ მან იცის, — ეს კოჩრებიანი გაყვითლებული ძელები, ქეჩები, ფოტოსურათები, ფანჯრის ჭრატუნა ჩარჩო, თოვლით დაზნექილი სახურავი სწორედ მას ეკუთვნის!

უეცრად რაღაცის გადაკვრა მოუხდა, თუნდაც ერთი ყლუბის, თუნდაც ძველი ლუდის. მაშინვე დაბლა ჩავიდა, ყველგან დაძებნა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. კვლავ უჩუმრად ბარდნიდა. სონია რომ დაბრუნდა, გლებოვმა ძალის უცნაური მოზღვავება იგრძნო. ქალს თვალები უბრწყინავდა, ფიფქებისაგან ლოყები დანამოდა. გლებოვი კოცნიდა ქალის გათოშილ ლოყებს, ბაგეებს, გათოშილ თითებს, ბუტბუტებდა, რომ უმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია, იგრძნო რაღაც ისეთი, რაც სონიასთან არასოდეს განუცდია, და უხაროდა. სონია ატირდა: „რატომ დავკარგეთ მთელი დღე?“ თუმცა ჯერ კიდევ ადრე იყო, საღამოს შეიღო საათი თუ იქნებოდა. ლოგინი იქვე, მანსარდაში დივანზე გაშალეს, სინათლე ჩააქრეს და ერთმანეთს ტიტვლები ჩაეკონენ, წამის მოთმენაც აღარ შეეძლოთ. ცოტა ხნის შემდეგ უეცრად ქვემოთ, კარზე ბრახუნი ატყდა. ჯერ პარმალის მხრიდან აბრახუნეს, მერე ვერანდის კარს აუტეხეს ბრაგაბრუგი. ეტყობა, ქეიფის ეშხში შესული ბიჭები ღრეობის გასაგრძელებლად მობრუნდნენ. აბრახუნებდნენ შეუპოვრად, ისმოდა, როგორ დააბოტებდა თოვლში სახლის ირგვლივ ორი თუ სამი კაცი, როგორ საუბრობდნენ, ბჭობდნენ. მერე ვიღაც აყვირდა: „ვადიმ! გაგვიღე!“ მოისმა ქალის ხმაც: „სონეჩკა, ეს ჩვენა ვართ“. ბოლოს მხიარულად შეპყვირეს: „ეი, ღამე რაღა

უნდა აკეთოთ?“ ყველა ხარხარებდა. გლებოვმა ხმები ვერ იცნო, ვერ მიხვდა, ვინ იყვნენ. სონიამ ჩასვლა და კარის გაღება დააპირა, მაგრამ გლებოვმა არ დაანება: „ჩუმად იწექი“. გლებოვი ეხვეოდა ქალის მორჩილ სხეულს, გამხდარ მხრებსა და ზურგს, მის სხეულს სიმძიმე არა ჰქონდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს სხეული მას ეკუთვნოდა, ეკუთვნოდა მთელი თავისი ავსება-დრღებით, ძველი სახლით, ნაძვებით, თოვლით. ჰოდა, კოცნიდა, ეხვეოდა, როგორც სურდა და სიამოვნებდა, მაგრამ ჩუმად და უხმაუროდ. დაბლა კი ერთხანს აბრაბუნეს, იქოთქოთეს, იგინეს და ბოლოს წავიდნენ.

იმ ღამით სახლი აუტანლად დათბა. გლებოვმა არ იცოდა, საქვაბე როგორ გაეხურებინა და უზომოდ ბევრი ქვანახშირი შეჰყარა. ბინაში ისეთი სიცხე დადგა, თვალიც ველარ მოხუჭეს. ყველა ფანჯარა მოაფრიალეს, მაგრამ ვერც ამან უშველა. გარეთაც თბილოდა, ნამდვილი გამოზაფხული გეგონებოდა. ბრაგაბრუგით ეცემოდა სახურავიდან დაცურებული თოვლი, ფანჯრის ქვემოთ ხომ ერთთავად წვეთავდა, წანწკარებდა. გლებოვმა და სონიამ საბანი გადაიხადეს და ზეწარზე შიშვლები იწვნენ. სიცხისაგან შეღონებულნი, ჩუმი ხმით საუბრობდნენ, უკვე რიდი აღარა ჰქონდათ ერთმანეთისა. „როდის შეგიყვარდი?“ — ჰკითხა ქალმა. გლებოვს პასუხის გაცემა გაუძნელდა, ვერ შეძლო ზუსტად ეთქვა. მგონი, სულაც ახალი ამბავი იყო, მაგრამ ეს აღარ უთხრა.

— რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ მოხდა...

— რა თქმა უნდა, — ჩურჩულებდა ბედნიერი ქალი. — უბრალოდ იმიტომ გკითხე, რომ თავად მე ძალიან კარგად მახსოვს... შენ კი შეგეძლო დაგვიწყნოდა.

— შენ? შენ როდისღა? — ახლა გლებოვმა შეუბრუნა კითხვა.

პასუხად გლებოვმა გასაოცარი რამ გაიგონა: თურმე ჯერ კიდევ შეექვსე კლასში, როცა წითურა იარიკისა და ანტოშა ოვჩინიკოვის თანხლებით პირველად მივიდა სონიასთან და საოცრად ჰკვიანი კატის ამბავი მოჰყვა, თუ როგორ იპოვა ავადმყოფი კნუტი გზაზე და ახლა ეს კატა რა დიდის ამბით მოაცილებს ხოლმე სკოლაში მომავალს სანაპირომდე. სონიამ ისიც თქვა, ამ კატის სანახავად სახლშიაც წაგყვებით. გლებოვს ეს ყველაფერი სრულიად არ ახსოვდა.

— და კიდევ, — კვლავ განაგრძობდა სონია, — შენდამი სიყვარულის ერთი მოზღვავებაც მახსოვს... ეს იყო წამიერი გრძნობა, მაგრამ საოცრად მწვავე, მტკივნეული და როგორღაც ტკბილი. მახსოვს ცხადად და გარკვევით... გეცვა ყავისფერი, აი, ასეთი ქამრიანი ქურთუკი, ახალი არ იყო, მაგრამ შენს ტანზე სხვა დროს არ მენახა და ამიტომ შეგამჩნიე. ისედაც ყოველთვის ყურადღებით გაკვირდებოდი. ჰოდა, ფანჯარასთან რომ მიდექი, შეგამჩნიე, ქურთუკს უკანა მხარეს, ფაქიზად ამოკემსილი საკერებელი ედო, კაიხელა საკერებელი, დახლოებით, რვეულის ფურცლის ოდენა. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ შემეყვარდი იმ წამში!

გლებოვს სონიას სიტყვები გულში მოხვდა. ნეტა რა იყო შესაყვარებელი? მაგრამ წყენა არ გამოუთქვამს, ისე ხმადაბლა ჩაილაპარაკა მხოლოდ:

— ბებიაჩემმა იცოდა ასეთი გენიალური დაკერება...

— აჰ, ეს ბებიას ხელობა იყო? — ცხოველი ინტერესით ჩაეკითხა სონია: — მე კი ყოველთვის მეგონა, რომ დედაშენმა იცოდა ასეთი ხელსაქმე.

მერე გლებოვმა შეამჩნია, რომ სონია მისი ბავშვობის სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებისადმი რაღაც გასაოცარ დაინტერესებას იჩენდა, ეკითხებოდა მისი მამისა თუ დედის ამბებს, იძიებდა წარსულის ძველი სახეებს, არა საჭირო წვრილმანებს. იმ დაკვირვებულმა ქურთუქმა სონიას თურმე საოცარი სურვილი აღუძრა, ეშოვა სადმე ფული, ეყიდა ახალი ქურთუქი და შეეგზავნა წარწერით: „უცნობი მეგობრისაგან“ და კიდევ ერთი გლებოვთან დაკავშირებული მეტისმეტად ძლიერი შთაბეჭდილება: „შიშისა და სიყვარულის წამიერი შერწყმა. ეს მოხდა მაშინ, როცა სონიამ მის აივანზე მდგარი გლებოვი დაინახა. თვალი ჰკიდა მოაჯირზე გადაკიდულ, უფსკრულში ჩასავარდნად განწირულ ქიმიუსს. დაინახა გლებოვის გაშეშებული, ცოცხალმკვდარი სახე. გეგონებოდა, თითქოს უკვე დაბლა, ქვაფენილზე ეგდო. ჰო, ეს მართლაც საშინელი წამი იყო! ნეტა მას თუ ახსოვს? რა თქმა უნდა, ემახსოვრება. მესსიერებაში სამუდამოდ იბეჭდება ბავშვური უგუნურება.“

— ჰო, მქონდა კიდევ პატარ-პატარა დარდები, — განაგრძო ისევ სონიამ, — აი, თუნდაც ის ამბავი, როცა შენ იმ სულელი თამარა მიშჩენკოთი იყავი გატაცებული... — ამის გაგონებაზე გლებოვი მართლა ახარხარდა — რომელი თამარა მიშჩენკო? ის დუდრუქანა, უზარმაზარი გოგო, ყვავილებიან ბუჩქს რომ მიაგავდა? — იცინოდნენ, მხიარულებდნენ. ერთმანეთს პირსახოცით უმშრალებდნენ სიცხისაგან გაოფლილ სხეულებს.

მეორე დღეს, მგონი, კვირა იყო, ჩამოვიდნენ სონიას მშობლები და ვასიონა. გლებოვი შიშობდა, დედ-მამა უსათუოდ მიხვდებოდა ქალიშვილის ამბავს, და უარესისათვის მოემზადა. ეგონა, ამის გამოცნობას დიდი მიხვედრილობა არა სჭირდებოდა, მაგრამ სონიას იმდენად ბუნებრივად და მშვიდად ეჭირა თავი, ისე მხიარულად შეხვდა მშობლებს, ისეთი სიყვარულითა და ყურადღებით ექცეოდა, აზრდაც არაფერი მოსვლიათ. სონიას საქციელმა გლებოვი სადღაც გააოცა კიდევ. არა, სონიას მშობლები მაინც ბოთები იყვნენ, საკუთარი საქმეებით რეტდასწმული, კეთილი, წესიერი ბოთები, თანაც ორივე ერთი ყაიდისა.

მაგრამ ვასიონას მახვილ თვალსაც რომ გამოეპარა? თუმცა მერე, პირველი მაინც ის მიხვდა.

ნიკოლაი ვასილიევიჩი იმ დღეს გუნებაზე ვერ იყო, მოლუშული იჯდა და ყურადღებაც არაფრისთვის მიუქცევია. სადილზეც საერთო უხალისობა იგრძნობოდა. იქნებ ჩემი აქ ყოფნა იწვევს ამ დამუნჯებასო, გაიფიქრა გლებოვმა და სონიას უჩურჩულა: წავიდე? სონიამ თავი გააქნია.

— არავითარ შემთხვევაში! შენ აქ არაფერ შუაში ხარ, მამაჩემი სხვა რაღაცაზეა განაწყენებული.

ნასადილევს ისა და სონია სასეირნოდ წავიდნენ. საღამო ხანს მოხუცმა ერთი-ორი საათი წაიძინა, მოღბა, ალაპარაკდა და თავისი უგუნებობის მიზეზიც გაამჟღავნა: — დიახ, სწორედ იმ ასტრუგის გამო ვარ ასე. გუშინ იმიტომ ვერ ჩამოვედით, რომ უეცრად ასტრუგები გვეწვივნენ — ბორის ლვოვიჩი თავისი მეუღლით. აბა როგორ არ მიგველო ეს განადგურებული, მიწასთან გასწორებული ხალხი. ამ ახალ წელს მათი მოუპატიჟებლობა არ შეიძლებოდა. ასტრუგი დაწვრილებით მოგვიყვა ყველაფერს. ნიკოლაი ვასილიევიჩი არ დასწრებია იმ სამეცნიერო საბჭოს, სადაც ასტრუგი განადგურეს და სადაც არსებითად გამოიკვეთა საქმის მომავალი არსი.

— წარმოვიდგენიათ, დიმი, რა სისაძაგლეა: მე მივლინებაში ვაბრუნდით, — ლაპარაკობდა განჩუკი და, გლებოვისაყენ მიბრუნებული, სულ უფრო და უფრო ცხარდებოდა, მაშინ, როცა იუღია მიხაილოვნა სახისა თუ ხელის მოძრაობით, სინანულით საესე შორისდებულებით მხოლოდ ჩემას უკვლილობდა, წყნარად ელაპარაკა, ან სულაც შეეწყვიტა საუბარი. — თქვენ ხომ განსოვთ, მაშინ სამკვირანახვევარი პრალაში რომ ვიყავი. არქივში ვმუშაობდი, პოდა, ისარგებლეს ჩემი არ ყოფნიო...

— მაშა, ვითომ რაში სჭირდებოდათ შენი არყოფნა?

— როგორ თუ რაში? სასაცილოა! მე რომ იქ ვყოფილიყავი, უსათუოდ გამოვიდოდი და საკმაოდ მკაცრადაც.

— იმათაც ეს უნდოდათ, — ჩაურთო იუღია მიხაილოვნამ.

— თუ ქალი ხარ, თავი დამანებე! შენ ვერა ხვდები!

— სწორედაც რომ ვხვდები. ეს შენ ვერ ხვდები. შენ იქ იშვიათად დადიხარ, მე კი ყოველდღე იქა ვარ. არა, სულაც არ იქნებოდნენ წინააღმდეგი, ამ საქმეში თუ ჩაერეოდი.

— მე ისედაც ჩავერევი! — წამოიყვირა განჩუკმა.

— ახლა უკვე აზრი აღარა აქვს. აბსოლუტურად sinnios.

— ვნახოთ!

მოხუცი ისევ მოიღუშა, გაიბუსხა, მაგიდიდან წამოდგა, ჩაის სმა მიატოვა და თავის პატარა კაბინეტში გავიდა. სონია და გლებოვი კრაჭუნა კრებით მანსარდაში ავიდნენ. სონიამ კარი დაკეტა. სინათლე არ აუნთია, გლებოვთან ისე მიიბინა. ქალი კოცნიდა და თან ეჩურჩულებოდა:

— როგორ მებრალება ასტრუგი! საწყალი, საწყალი, საწყალი, საწყალი ჩემი ასტრუგი... ყოველი „საწყალის“ წარმოთქმას თან კოცნას აყოლებდა.

— მეც ძალიან, — ჩურჩულითვე ბასუხობდა გლებოვი და ქალს ლაღიწთან ფოსოს უკოცნიდა. — მეც ძალიან მეცოდება.

— უბრალოდ ვერ გამომითქვამს, რა ძალიან მეცოდება ასტრუგი...

— მეც...

სონია მთელი ძალით იხუტებდა თავისი სუსტი ხელებით. გლებოვი ვალერსებოდა ქალის ზურგს, ბეჭებს, თეპოებს, ყველაფერს, რაც ახლა მისი საკუთრება იყო. ქვემოდან ამოდიოდა საუბრის ხმა და ჭურჭლის ჩხარუნი, ვასიონა და იუღია მიხაილოვნა საქმიანობდნენ. მერე იუღია მიხაილოვნას ძაბილი გაისმა:

— სონია!

ქალი მაშინვე მოშორდა გლებოვს და ჩუმად წარმოთქვა:

— ჩვენ აქ ვსულელდებით, მე კი მართლა გულით მეცოდება... არ იფიქრო, ვტყუოდე. აი, თუ მოვა, შენ უფრო ახლოს გაიცნობ...

ნეტა რაში მჭირდება? — გაიფიქრა გუნებაში გლებოვმა.

ქვემოდან უკვე გაჯავრებული ძაბილი მოისმა:

— სონია, რაშია საქმე?

ქალმა ერთხელ კიდევ აკოცა და ქუსლების ბაკაბუკით კიბეზე დაეშვა. სინათლე არც გლებოვს აუნთია, ფანჯარას მიუახლოვდა და ხელისგულის მირტყმით გაალო. სახეზე ტუის სიცივე და სიბნელე შეეფრქვა. იქვე, ფანჯრის წინ, ნაძვის მძიმე ტოტი ირხეოდა. თავზე რომ სქელი თოვლის ქუდი ედო და ამ უკუჩნეთში ოდნავლა კიაფობდა.

„ეს ტოტიც ჩემია“, — გაიფიქრა ფანჯარასთან მდგარმა გლეხოვმა და პაერი ღრმად ჩაისუნთქა.

მეორე დღით ანიკეევი ამოვიდა. განჩუკი ვასიონათურთ რამდენიმე დღით აგარაკზე რჩებოდა. მოსკოვში სამნი უნდა წაეყვანა, დიდუღუღის საუზმის დროს საუბარი ისევ ასტრუგზე ჩამოვარდა. იულია მიხაილოვანამ სიტყვა:

— აი, თქვენ, დიმა, ერთთავად რომ დუმხართ, როგორ აფასებთ ბორის ლვოვიჩს? როგორც მასწავლებელს?

— მიძნელდება რაიმე ვთქვა. ჩვენ მხოლოდ ნახევარ წელიწადს გვიკითხავდა. დოსტოევსკის სპეცკურსი მიჰყავდა...

— მე სწორედ ეს მინდოდა მცოდნოდა! — თითქოს ზეიმით წარმოთქვა იულია მიხაილოვანამ. — ასეთი ორჭოფული შეფასება ბევრ რამეზე მეტყველებს. მხოლოდ ნახევარ წელიწადს! დიახ, ნახევარი წელი — ეს დიდი დროა. შენ კი, განჩუკ, ყოველთვის ასეთი მიკერძოებული ხარ, გადაჭარბებული შეფასება გიყვარს.

— მაინც რისი გადაჭარბება მიყვარს?

— რისა და უსიამოვნებისა და უსამართლობის. ვითომ რატომ არ შეიძლება ბორისის კრიტიკაში სიმართლე ერიოს? რა ასეთი იდეალური, უზადო, უნაკლო ადამიანია? ჩემი აზრით, ნაკლიც აქვს და არცთუ მცირე. უფრო სწორად, საკმაოდ დიდი ნაკლიც.

როცა იულია მიხაილოვანა აღელვებით ლაპარაკობდა, შესამჩნევი ხლებოდა მისი რუსულად მეტყველების ზოგიერთი ნაკლი. ყველაფერს სწორად წარმოთქვამდა, ვერც გრამატიკულ შეცდომაში გამოიჭერდით და ვერც ლექსიკურში, მაგრამ რაღაც ძნელად შესამჩნევი უზუსტობა მაინც ეპარებოდა. განერვებულებული იულია მიხაილოვანა ასტრუგის ნაკლოვანებათა განმარტებას მოჰყვა: ვერ შეძლო აუდიტორიის მოხიბვლა, მთელი ნახევარი წლის მანძილზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მდგახდინა. თვითონ მასწავლებელია და მშვენივრად იცის, — თუნდაც სანაძლეოსაც დადებს, — რომ ახალგაზრდულ აუდიტორიას სულ რაღაც ორი აკადემიური საათის განმავლობაში მოხიბლავს და დაიპყრობს. მეტი დრო ნამდვილად არ დასჭირდება. სტუდენტობა შინამდე გამოედევნება. დაუწყებენ ტელეფონით რეკვას, დღესასწაულების დღეებში ყვავილებს მიუძღვნიან. დიახ, ორი საათის შემდეგ!

დოინჯშემოყრილი იულია მიხაილოვანა ქმარსა და გლეხოვს თითქოს ქედმაღლურადაც კი ელაპარაკებოდა, ისე კი ნაღდ სიმართლეს ამბობდა. სტუდენტებს მართლაც უყვარდათ იგი. ბოლოს იულია მიხაილოვანა ასტრუგის კიდევ ერთ ნაკლს გადასწვდა: ტრაბახი და თავისი ცოდნით თავის მოწონება უყვარს. საერთოდ, ასტრუგიცა და განსაკუთრებით მისი ცოლი ვერა ყოყლოჩინობენ კიდევ. უსაშველოდ დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე. მაინც საკითხავია, რითი უნდა იწონებდნენ თავს განჩუკის წინაშე? სასაცილოა და მეტი არაფერი. ახლა, რა თქმა უნდა, ცოდონი არიან. ჭეშმარიტ საქმიანობას მოწყვეტილი ასტრუგი შესაძლოა ჩაიფერფლოს, ჩაიკარგოს. აბა ვერა ხომ უსათუოდ ჩაჭკნება, თავმოწონების შესაძლებლობა თუ არ ექნა...

სონია უსმენდა დედას და სათნოდ, თანაგრძნობით უღიმოდა, ისე, უფროსები რომ უსმენენ ხოლმე ბავშვების ტიტინს. ნიკოლაი ლვოვიჩს აღარ სურდა კამათის გაგრძელება და ანიკეევს მიუბრუნდა, კართან რომ იდგა და გასაღებებს მოუთმენლად აჩხარუნებდა.

— ივან გრიგორევიჩი, თქვენ მაინც ნუ გაამაყდებით! შემოგვიერთდით, ჩაიზე დაგვეწვიეთ...

მაგრამ საბოლოო წერტილის დასმა მაინც იულია მიხაილოვნამ ისურვა:

— არა, ჩემო მეგობრებო, ცოტა იქეთ გახედვით საჭერო, უფროთ შორს, შორს! სამწუხაროდ, ნამდვილია, რომ ისინი განჩუკის ფაფეღან ქრუფელებას ოცნებობენ, ისიც ნაღვლია, რომ ბორისი კრიტიკას ადვილად უნაწყენდება და კარგ სამიზნესაც წარმოადგენს.

— მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც ჩავერევი ამ საქმეში, — სწრაფად წარმოთქვა ნიკოლაი ვასილიევიჩმა... — ახლა კი კმარა ამაზე!

მანქანაში ასე ჩასხდნენ: წინ, ანიკეევის გვერდით, იულია მიხაილოვნა დაჯდა, უკან გლებოვი და სონია მოთავსდნენ, გვერდით კი დიდ სუფრაში გახვეული გასარეცხი თეთრეულის ფუთა მოიდეს. იულია მიხაილოვნას ენა არ გაუჩერებია. ყვებოდა ინსტიტუტის საოცრად ჩახლართულ ამბებს, რა-ზედაც განჩუკს წარმოდგენაც არა ჰქონდა. ჩვენს დირექტორს არ უყვარს განჩუკი — ქალი პირშიაც და პირს უკანაც ქმარს განჩუკად იხსენიებდა — იშიტომ რომ განჩუკი დამოუკიდებელად კაცია, იმას ვერ უბრძანებ, მეტიმეტად გამოჩენილი პიროვნებაა. სასწავლო ნაწილის გამგე დოროდნოვი ნამდვილი არარაობაა, იმას როგორ დაუვიწყებს, განჩუკმა მხარი რომ არ დაუჭირა მის სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებულ ავანტიურას. იმათ ძველი ანგარიშებიც აქვთ. ამ ადამიანების ოცნებაა როგორმე მოაშორონ განჩუკი კათედრის გამგის თანამდებობას, მაგრამ აბა სცადონ ერთი! ეს არც ისე ადვილი საქმეა. ძველი კომუნისტია, სამოქალაქო ომის მონაწილე, ას ოთხმოცე დაბეჭდილი შრომის ავტორი, რვა ევროპულ და შვიდ აზიურ ენაზე მთარგმნელი... რაც შეეხება მის მოწაფე ბორის ასტრუგს, იგი ძალიან მარჯვე იარაღია საიმისოდ... გლებოვი და სონია იულია მიხაილოვნას უგულისყუროდ უსმენდნენ. მთელი გზა ერთმანეთს თითებით ეალერსებოდნენ: გლებოვი მარჯვენა ხელით, ხოლო ფანჯარასთან მჯდარი სონია მარცხენათი. გლებოვს მაღიმაღ თეთრეულის ფუთის ხელის წაღებაც უხდებოდა, დამუხრუჭებისას დაბლა რომ არ გადმოვარდნილიყო. გლებოვი ხედავდა სონიას ალექსილს, ამჩნევდა, ხმაც რომ უთრთოდა, როცა დედას შიგა და შიგ თითო-ორიოლა სიტყვით უდასტურებდა: „ჰო, დედა... რა თქმა უნდა, დედა... შენ მართალი ხარ...“

— და მაინც, სონეჩკა, ჩემი სურვილია განჩუკი ინსტიტუტიდან წამოვიდეს. ა? შენ რას იტყვი? — იულია მიხაილოვნა მოულოდნელად მოტრიალდა და სონიას შეხედა. შვილის სახემ თითქოს განაცვიფრა ქალი. უმაღვე შეტრიალდა და ხმა აღარ ამოუღია.

სონიას დედისათვის პასუხი არ გაუცია.

მოსკოვს რომ მიუახლოვდნენ, მხოლოდ მაშინლა გაეპასუხა:

— დედა, შენ იქნებ მართალიცა ხარ, მაგრამ მამა იქიდან არაფრით არ წამოვა...

აგარაკზე გატარებული ის ღამე, როცა ყველაფერი ღებებოდა, როცა თოვლი ხათქახუთქით ცვიოდა სახურავიდან და სიციხისაგან სუნთქვა ჭირდა... ახლა ასევე ცხადად ედგა თვალწინ მანქანაში მჯდარ სონიას. გლებოვს ახლაც ახსოვს ის ღამე ოცდახუთი წლის შემდეგ, თუმცა ჯობდა დავიწყნოდა. იყო კიდევ სხვა ღამეებიც. მათ არაფერი აბრკოლებდათ, არც იანყარი, არც

გამოცდები, არც მოძრაობის შემაფერხებელი, მკაცრი ყინვები. მაინც აღი-
 ოდნენ ბრუსკოვოში, იმიტომ რომ იქ ხელს არავინ უშლიდათ და გამოცდე-
 ბისათვისაც უკეთ ემზადებოდნენ. მგზავრობდნენ ყოველთვის
 ელექტრომატარებლით, სირბილ-სირბილით გადაჭრიდნენ ხოლმე გაყინულ
 ტყეს და სულმოუთქმელად შევარდებოდნენ სარდაფების ქალიშვილებულ
 სახლში. მაგრამ აი, ორი საათიც და ოთახებში სითბო ისადგურებდა. გლებოვი
 სულ იმას ფიქრობდა: ნუთუ სონიას მშობლები ვერაფერს ამჩნევენ, ვერა-
 ფერს ხვდებიან? ისინი ხომ სხვადასხვა დროს ჩასაბარებელ სხვადასხვა საგ-
 ნებში ემზადებოდნენ. სინამდვილეში სისულელე იყო. გავარდე ქალაქიდან,
 ორი საათი გზას მოანდომო, დაჯდე იქ სხვადასხვა ოთახში და რაღაცები იზე-
 პირო. მართალია, მშობლებს იმას ეუბნებოდნენ, რამდენიმე კაცი მივდივარ-
 თო, მაგრამ წარმოუდგენელი იყო არ შეემჩნიათ, თუ რა ძალიან შეიცვალა
 სონია! თუმცა, როგორც ჩანს, ვერ ხედავდნენ, ვერ ამჩნევდნენ. სონიაც
 დაბეჯითებით აცხადებდა: ვერა, ვერ ამჩნევენო.

ის კი არა, სონიამ რაღაც საგანი რომ ვერ ჩათვალა და ეს მარცხი თვი-
 თონ სიცილით მოჰყვა, არც დედას და არც მამას არაფრად ჩაუგდიათ, მიუხე-
 დავად იმისა, რომ საგნის ჩაუთვლელობაც და ამ ამბის სიცილით მოყოლაც
 სონიასათვის მეტად უჩვეულო ამბავი იყო. ის, რომ სონია საგანს ჩააბარებ-
 და და მაინც ფრიადოსანი იქნებოდა, მშობლებს საეჭვოდ არ მიაჩნდათ. ეს
 ყველაფერი ბუნებრივად, ღვთით ჰქონდათ მონიჭებული, ისევე როგორც
 სახის მკრთალი ფერი. ამაში კი ჭეშმარიტად მართლები იყვნენ. დიახ, ისინი
 იცნობდნენ საკუთარ ქალიშვილს. სონიამ ის საგნებიც კი ჩააბარა, გამოცდის
 დილას ჰაიპარად რომ გადაიკითხა. სტუდენტები სესიების დროს ჩვეულებ-
 რივ ღამით შეცადინებოდნენ. სონია და გლებოვი კი ღამეებს სხვა საქმეებზე
 ხარჯავდნენ. აკი გამოჰყვა კიდევ გლებოვს კუდები.

მაგრამ გლებოვის აზრით, ის, რაც დანვარში ხდებოდა, იყო მისი ყველაზე
 მთავარი გამოცდა, ყველა სხვა დანარჩენზე მთავარი.

პირველად ვასიონამ იაზრა. ეს უსაშველოდ გამხდარი, ყვითელი, ძვალ-
 ტყავა სახის ქალი გლებოვს შუა საუკუნეების დროინდელ ნახატებს —
 ცელიან სიკვდილს ახსენებდა. ჰოდა. სწორედ ამ ქალმა, თითქოს მართლა
 ცელი მოუქნიაო, ერთ მშვენიერ დღეს სონიას უთხრა — გლებოვი იქვე ახ-
 ლოს იდგა და ყური მოჰკრა — თუმცა სწორედ მის გასაგონად ითქვა:

— ეგ ზედსიძე ფეხებს არასოდეს იწმენდს, ისე შემოლაჯუნდება, გე-
 გონება, სამიკიტნოშიაო...

— რაო, რა თქვით, ვასიონა? — ჰკითხა გლებოვმა და ქალს მიუახლოვდა.

— აბა რა ვიცი, ასე იტყვიან ხოლმე... — წაბურტყუნა ქალმა.

სულ მთლად ფერწასული სონია დედაბერს მოეხვია.

— ასე რატომ, ძვირფასო გადია? შენ ხომ კეთილი ქალი ხარ, მე ხომ
 ვიცი...

იანვრის ბოლოს საშინლად აფორიაქებული სონია გლებოვს გამოუტყდა,
 უბედურება დაგვატყდა, საიდუმლოება გაგვიმჟღავნდაო: სრულიად მოუ-
 ლოდნელად, რაღაცების წამოსაღებად, აგარაკზე ასული იულია მიხაილოვანა
 მათი ურთიერთობის დამამტკიცებელ, უტყუარ საბუთს გადააწყდა. დაბნეუ-
 ლობისა თუ უყურადღებობის შედეგად დატოვებულ აშკარა საბუთს. — ჩქა-
 რობდნენ ელექტრომატარებელზე აგვიანდებოდათ. მერედა რა? მართალია,

დედა ყოველთვის კიცხავს მამის უცნაურ მიაშიტობასა და სიბეჭეს, მაგრამ არანაკლებ მიაშიტია თვითონ. დედა ერთთავად გაუბრის უსიამოვნო ამბებს. უნებურად იცილებს თავიდან, როგორც შინაური სირაქლემა. ჰოდა, აი, რა დასკვნა გამოიტანა: „სონია, ერთი უსიამოვნო ამბავი უნდა გინახოს! ჩვენს აგარაკზე ვიღაც უცხო პირებს გაუთევიათ ღამე. არა, წაღებით არაფერია წაღებული და მოპარული, უბრალოდ ღამის გასათევად მოსულან“. — „რას ამბობ, დედა!“ — შეშინდა სონია. „ჰო, სამწუხაროდ, ასეა. არსებობს ფრიად ულამაზო საბუთი, მამას არ ვეტყვი, ტყუილუბრალოდ რატომ უნდა ავად დელო. ამ ამბავს მაინც არაფერი ეშველება“.

გლებოვი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ თქვა: მაშინ რა, თუ იულია მიხაილოვნა ყველაფერს მშვენივრად მიხვდა და ასე ქარაგმულად განგებ გვამცნო? გლებოვს უბედურების მომასწავებელი აქ არაფერი არ დაუნახავს, ან რა ვალდებული არიან საიდუმლო ასე წმინდად შეინახონ. მათ ხომ უკვე ცოლქმრობა გადაწყვიტეს, ამას არაფერი შეცვლის, დროის საქმეა მხოლოდ. ახლა, ექვსი თვის თუ ერთი წლის შემდეგ, რა მნიშვნელობა აქვს?

იგი გულწრფელად ფიქრობდა ასე, იმიტომ, რომ ეგონა, მტკიცე და საბოლოო იყო ეს გადაწყვეტილება, სხვათაგან არც შეიძლებოდა. მათი სიახლოვე სულ უფრო და უფრო მყარი ხდებოდა, ერთ დღესაც ველარ აღამებდა უსონიოდ. ახლა, როცა ამდენი წელი ამორებს იმ ზამთარს, დინჯად შეუძლია განსაჯოს: რა იყო იგი? ბუნებრივად, თანდათანობით მომწიფებული ჭეშმარიტი სიყვარული თუ ანგინასავით უეცრად თავს დამტყდარი ჭაბუკური, ხორციელი სიშმაგე? ალბათ უფრო მეორე. ბრმა, უაზრო, უკანმოუხედავი რაღაც, ასე რომ არ ჰგავდა მას, თუკი საერთოდ საკუთარი თავი სცნობია. მთავარი ის გახლდათ, რომ არც თვითონ სონია ჰგავდა იმ ქალს, როგორსაც იყო შეჩვეული, როგორსაც წლების მანძილზე შეეთვისა. მისი მდუმარება, მორცხვობა, უნდობლობა — ყველაფერი ეს შორეულ წარსულს ეკუთვნოდა, მხოლოდ მორჩილება და სიკეთე შერჩენოდა ძველებური.

მახსოვს, როგორ მაწვალებდა და მაინც როგორ მიყვარდა ეს ბიჭი. დილდობით მირეკავდა ხოლმე — დედამ და მამამ იცოდნენ, ის რომ იყო, და ყურმილს არ იღებდნენ, რადგან ვსაყვედურობდი, როცა ამას აკეთებდნენ. სადაც უნდა ვყოფილიყავი, ცხვირპირისმტვრევით მოვქანდებოდი: სამზარეულოში გახლდით, მანანის ბურღულის წებოვან, დაკუშტულ ფაფას ვჭამდი, აბაზანაში თუ იმ ერთ ადგილას, საიდანაც შარვალშეუკრავი გამოვრბოდი. „გისმენთ! — ვყვიროდი მე. ვინ ლაპარაკობს?“ მინდოდა მისი სახელი გამეგონა, მაგრამ სახელს არასოდეს იტყოდა. ყოველთვის რაღაც მახვილგონივრულს მოიფიქრებდა: „სერ, — მეტყოდა ხოლმე აუღელვებლად, — გელოდებით რვასა და თხუთმეტ წუთზე, შუა ეზოში საათის ქვეშ. კეთილინებეთ და დაშნით გამოცხადდით. მე თქვენ კურდღელივით დაგკლავთ... დიახ, თქვენგან შესანიშნავი მწვადი გამოვა. სერ!“ — „თქვენგანაც“, — გავყვიროდი პასუხად და ბედნიერი ხარხარი სუნთქვას მიკრავდა, — „თქვენგან უგემრიელესი შებრაწული კატლეტი გამოვა! მართლაც, სერ! ისეთი შებრაწული, გემრიელი კატლეტი, სერ!“

ყოველთვის მას ვბაძავდი და ეს იყო საშინელება. ჩემს გონებაში ორიგინალური არაფერი იბადებოდა, და თუ რაღაც გაჩნდებოდა, გაცილებით

გვიან, ვიდრე საჭირო იყო. დათქმულ ადგილზე ერთთავად ხუთი წუთით ადრე ვცხადდებოდი და მოუთმენლობისაგან გულშეღონებული ვუცდიდი. არ მახსოვს, ჩემი შემდეგდროინდელი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ვინმეს ასეთი გულის ფანცქალითა და დაღალატების მტანჯველი შეშინა დაავლოდებოდე, იმიტომ რომ ანტონ ოვჩინიკოვი, ისე როგორც ყველა შემხარბიტი სწავლული და დიდი ადამიანი, საოცრად დაბნეული, გულმაღვიწყვი და ცვალებადი ვინმე იყო. ჩემთან შეთანხმების შემდეგ შეეძლო იქვე, იმწუთშივე სელაპას ან ქიმიუსს შეთანხმებოდა. საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ მშვიდად გაუყვებოდნენ ეზოს იქითა მხარეს სულ სხვა კუთხეში გასასვლელად, მე ზედაც არ მიყურებდნენ. გეგონება, არც კი ვარსებობდი ამქვეყნად! თითქოს სულ ახლახან ჩემთვის არ დაერეკოს და შეთქმულის კილოთი საათთან გამოსვლა არ მოეთხოვოს!

როცა ასეთი რამ პირველად მოხდა, აღშფოთებული მივვარდი:

— სერ, რას ნიშნავს ეს? მე აქ რეგვენივით გელოდები, შენ კი სხვა ჭიშკრისაკენ მიდიხარ?

ანტონმა, როგორც მაშინ მომეჩვენა, აბუჩად ამგდები ცივი მზერა მესროლა და დინჯად წარმოთქვა:

— ჩემო კარგო, განა ჩვენ იმაზე შევთანხმდით, რომ მაინცდამაინც ამ ადგილას მოვიდოდი? მე უფლება მაქვს, რა კურსითაც მინდა, ისე გადავჭრა ეს ეზო და, ვინც თავად მსურს, ის გავიყოლო. თქვენ კი თვალი უნდა ადევნოთ ჩემს მოძრაობას და სურვილისამებრ ზუსტად დათქმულ დროს შემომიერთდეთ... — ანტონმა თავისი ეს მაღალფარდოვანი აბდაუბდა ცივი, შეკამათების გამომრიცხველი კილოთი წარმოთქვა. სელაპა და ქიმიუსი ხითხითებდნენ. მე კი გაოგნებული ვიყავ, მათთან კამათი არ შემეძლო, ანტონს ვერ გავუბრაზდებოდი. თავი ჩავლუნე და უსიტყვოდ უკან გავყევი. ძვალტყავა ქიმიუსი და ჩასუქებული, ბუნთულა სელაპა აქეთ-იქით ამოსდგომოდნენ ტანმორჩილ, ჩასკვნილ ოვჩინიკოვს. იგი, რა თქმა უნდა, უქუდოდ იყო, თუმცა ყინავდა კია, ჩალისფერი თმა უფარფარებდა. მოკლე შარვალი და გეტრები ეცვა. წალურჯო ფერი დაჰკრავდა შიშველ ხორცს, გეტრებსა და შარვალს შორის რომ მოუჩანდა. გამვლულები თვალს აყოლებდნენ, ქირქილებდნენ, თვითონ კი შეუჩერებლივ ჰყვებოდა რაღაც ამბავს. სელაპა და ქიმიუსი პირდაღებული უსმენდნენ.

იმ ზამთარს ანტონი პალეონტოლოგიამ გაიტაცა. შეიძინა დიდი ალბომები და შიგ ნაირ-ნაირ დინოზავრებსა და პტეროდაქტილებს ხატავდა. თან გაუთავებლად ყვებოდა ყველაფერს, რაც მათ შესახებ იცოდა. ჩემი გატაცების საგანიც იგივე აღმოჩნდა, სხვა ვერა მოვისაზრე რა. თავადაც შევიძინე ალბომი, ვცდილობდი ჩამეხატა, უკეთუ გადმომეხატა, სულ მთლად ზუსტად თუ ვიტყვით, პაპიროსის თხელი ფურცლის მეშვეობით წიგნებიდან გადამეყვანა ადამისდროინდელი საფრთხობელები. მაგრამ გადაყვანა ცუდად გამომდიოდა, უღვთოდ ვაფუჭებდი წიგნებს. სურათებს წიგნებიდან ვჭრიდი. აი, ვისთვის უნდა ეამბნა ანტონს იმ გადაშენებული ხელიკების ამბები, ის კი სელაპასა და ქიმიუსის განათლებაზე ხარჯავდა ენერგიას. სიმართლე რომ თქვას კაცმა, ისინიც კაი გვარიანი დუნდუკები იყვნენ. მე და ანტონი დუნდუკებს ვეძახდით ყველას, ვინც მხოლოდ სასკოლო პროგრამით იძენდა ცოდნას. ფრიადოსნებს კი კაჭკაჭები შევარქვით. ეს სულ მთლად წყალწალე-

ბული ხალხი იყო, ძირითადად გოგოები, თუმცა შიგადაშიგ ბიჭებიც ერივნენ, ორი თუ სამი საბრალო ჭილყვავი. მაგრამ აი, რვაფეხები — ასე ერქვა მეცნიერების იმ სპექტაკ და კეთილშობილ რაინდებს, ვისაც აინტერესებდა რამე სხვა სასკოლო პროგრამის ფარგლებს მიღმა — არცთუ ბევრი გვყავდა. ვთქვათ, ანტონ ოვჩინიკოვი, ან თუნდაც მე და კიდევ ერთი ორი სხვაც, თუმცა გვყავდა კიდევ ერთადერთი რვაფეხა გოგო — მისტიკური ლიტერატურით, კერძოდ, ედგარ პოს მოთხრობებით გატაცებული სონია განჩუკი. გარდა ამისა, სონიას მამას ჰქონდა ბრწყინვალე ბიბლიოთეკა, მგონი, თვით კაპიტან ნემოს ბიბლიოთეკაზე უკეთესიც — და ჩვენც ხშირად გავრბოდით სონიასთან ამა თუ იმ მეცნიერული ცნობის ამოსაკითხად.

ანტონ ოვჩინიკოვს ერთი გასაოცარი აზრი დაებადა: შეექმნა ნ ბ ფ მ, ანუ ნებისყოფის გამოსაცდელი ფარული ორგანიზაცია. ეს აზრი დერიუგინის შესახვევში ჩვენი მიბეგვის შემდეგ გაუჩნდა. როგორც კი ანტონი გამომგობინდა, ჩვენ ისევ იქ წასვლა გადავწყვიტეთ. წავიდოდით ჩვენ, ესე იგი — ანტონი, ქიმიუსი, სელაპა, ლიოვკა, შულეპა და მე. მაგრამ აქ წამოიჭრა ვადკა გლებოვთან ანუ, როგორც მას ეძახდნენ, ბატონასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც სწორედ იმ დერიუგინის შესახვევში ცხოვრობდა. ჩავვერიცხა თუ არა იგი ამ ფარულ ორგანიზაციაში?

ერთხელ, ოდესღაც ამ ბიჭმა სკოლაში მოგრძო პური მოიტანა. აი, ისეთი, ბატონს რომ ეძახიან. იჭდა გაკვეთილზე და ნატეხ-ნატეხ უგლეჯდა მსურველთ, მსურველნი კი ბლომად აღმოჩნდნენ! თითქოს სრულიად უბრალო ამბავი იყო: მოიტანა თხუთმეტკაპიკიანი ბატონი, ყველას რომ შეეძლო ეყიდა საფუნთუ-შეში, მაგრამ მოფიქრებით მხოლოდ მან მოიფიქრა. გიყვარდეს, შესვენებაზე დაესივნენ, ყველა თხოვდა, ცოტა მომიგლიჯეო. ისიც ქრისტესავით ყველას უნაწილებდა. თუმცა არა, ყველას არა, ზოგიერთს არ მისცა, იმათ, ვისაც სკოლაში ყველიანი თუ ძეხვიანი ბუტერბროდები მოჰქონდა, თქვენ წარმოიდგინეთ, იმათაც ძალიან უნდოდათ ის ერთი ლუკმა ბატონი! სწორედ ეს ვადკა ბატონა კარგა ხანს იბყრობდა ჩემს ყურადღებას, როგორც ამოუცნობი პიროვნება. რატომღაც ბევრს სურდა მასთან მეგობრობა. იგი თითქოს ყველას ყაიდისა იყო. ასეთიც და ისეთიც, იმათთანაც და ამათთანაც, არც ძალიან კეთილი და არც ძალიან ავი, არც ძალიან ძუნწი და არც ძალიან გულუბვი, არც მთლად რვაფეხა და არც პირწავარდნილი დუნდუკი, არც მშიშარა და არც გულადი, თითქოს არც ცბიერი, მაგრამ არც დოყლაპია. შეეძლო ლიოვკასთანაც ემეგობრა და მანიუნისასთანაც, თუმცა ლიოვკა და მანიუნია ერთმანეთს ვერ იტანდნენ. ანტონთან ძმაკაცობდა, სტუმრობდა ხოლმე ქიმიუსსა და ლიოვკას, თან იმ დერიუგინელებთანაც კარგად იყო, ჩვენ რომ მიგვბეგვეს და დასანახად ვეჯავრებოდით. ერთდროულად ანტონ ოვჩინასაც მეგობრობდა და მინკა ბიკსაც!

ამიტომაც ფიქრობდნენ: რა ექნათ? გაემხილათ თუ არა საიდუმლო? შულეპა თავგადაკლული იცავდა — ბატონა არასოდეს არ გაგვეყიდის, არ გვიღალატებსო. კაცმა თქვას, ანტონიც იქით გადაიხარა, მივიღოთ, რამეში გამოგვადგებაო. ახლა აღარ მაგონდება ყველა ის კამათი და მსჯელობა, მახსოვს მთავარი სიამოვნება: ვიღაცის ბედის გადაწყვეტა: გამოგვადგებაო და თუ არა? კარგად მახსოვს, რა დიდად მალეღვებდა ვადკა ბატონას ბედი. სიმართლე გითხრათ, ძალიან არ მინდოდა ჩვენს ფარულ ორგანიზა-

ციაში მიეღოთ, მაგრამ ამის ხმამაღლა გაცხადება და მიზეზებს დასაბუთება არ შემეძლო. იმიტომ, რომ საქმეში ქალი იყო გარეული. დიან სწორედ აქ ემარხა ძაღლის თაეი. სონია განჩუქს უყვარდა ეს შეუხედავი უსახური ვადკა ბატონა, არც ღვინო რომ არ იყო და არც წყალი. მაინც რა ნაწილზე ბიჭში? რამ მოხიბლა? ჭორფლიანმა სახემ, აშვერილმა ყურებმა, შეჩხერმა კბილებმა და აჯაბაჯა სიარულმა? ბატონას მუქი ფერის, ოღნავ გვერდზე გადაყოფილი მზინავი თმა ჰქონდა ისეთნაირად გადაგლესილი, გეგონებოდა, ეს-ეს არის მდინარიდან ამოვიდა და გადაივარცხნათ. ყველასათვის ნათელი იყო: გოგოს ბატონასთან საუბრისას ალმური ასდიოდა, ცდილობდა მისი მორიგეობის დროს საკლასო ოთახში დარჩენილიყო, ეკითხებოდა რაღაც სისულელეებს და მის ოხუნჯობაზე გამორჩეულად იცინოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონა გერაფერი შვილი ოხუნჯი იყო. მისი ხუმრობა უფრო დაცინვას ჰგავდა, ვიდრე მახვილსიტყვაობას. მაგალითად, უყვარდა იარიკის დაცინვა, ერთთავად გესლიან შენიშვნებს ესროდა ხოლმე. ეპ, ვინ იცის, იქნებ ეს ყველაფერი სულაც შეჩვენებოდა! თვითონ იარიკიც ხომ ბატონასაკენ ილტვოდა, მასთან მეგობრობას ცდილობდა...

ვადკა ბატონას არც ასეთი ეთქმოდა და არც ისეთი, სრულიად არ ანაირი, მაგრამ როგორც შემდეგ მივხვდი, ეს არ ანაირობაა სწორედ იშვიათი ნიჭი. აღამიანები, რომელთაც შეუძლიათ იყვნენ გენიალურად არ ანაირები, შორს მიდიან. საქმე ის ვახლავთ, რომ ისინი, ვისაც მათთან ურთიერთობა აქვთ, ამ არ ანაირობის ფონზე თავად ბატონა ყველაფერს, რასაც სურვილი თუ შიში კარნახობთ. არ ანაირები იღბლიანი ხალხია. ამ იშვიათი მოდგმის ორი თუ სამი კაცი შემხვდა მთელ ჩემს ცხოვრებაში — ბატონა იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ის იყო პირველი, ვისაც ასე აშკარად წყალობდა ბედი იმ არ ანაირობის გამო. ყოველთვის მანცვიფრებდა ბედის ის წყალობა, აგრეტივად რომ ასხამს ფრთებს ასეთებს. ვადკა ბატონაც ხომ თავის საქმეში დიდი კაცი გახდა. ზუსტად არ ვიცი, რა თანამდებობას მიაღწია, სულაც არ მაინტერესებს, მერე ვილაცამ მისი ამბები რომ მომიყვა, არ გამკვირვებია: ასეც უნდა ყოფილიყო! პოდა, მაშინ, ასი წლის წინ, ბიჭების ხუთეული მწვავე საკითხს რომ წყვეტდა, გაენდოთ თუ არა მისთვის თავიანთი საიდუმლო, რა თქმა უნდა, ბედმა აქაც არ დაილაღა. დიან, გადაწყვიტეს საიდუმლო გაემხილათ და ფარულ ორგანიზაციაში მიეღოთ ანტონის აზრით, დერიუგინელებთან ხანგრძლივი და დამქანცველი ომი ექნებოდათ და იმათ ბანაკში შინაური კაცის ყოლა იყო საჭირო. ერთ მშვენიერ დღეს ვადკა ბატონა უკანა ეზოში გაიყვანეს და ყველაფერი გაუმხილეს. თურმე თვითონაც ჰქონოდა ეჭვი. ყველამ შეამჩნია, როგორ გაეზარდა ნ ბ ფ მ-ს წევრობა რომ შესთავაზეს, მაგრამ პასუხად... ო, ეს იყო დიდებულ პასუხი! მაშინ ვერც გავიგეთ, მაგრამ აი, გავიდა წლები, მთელი ცხოვრება და მხოლოდ ახლა ვხვდები: სწორედ ეს არის არ ანაირობის ძალა! თქვარომ მოხარულია გახდეს ნებისყოფის გამოცდის ფარული ორგანიზაციის ნ ბ ფ მ-ს წევრი, მაგრამ იმ უფლებით, თუ სურვილისამებრ შეეძლება იქიდან გამოსვლა ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდოდა ჩვენი საზოგადოების წევრიც ყოფილიყო და იმავე დროს არც ყოფილიყო. მალევე გაირკვა ამ პოზიციის არაჩვეულებრივი მომგებიანობა. ბატონამ იცოდა ჩვენი საიდუმლო, მაშინ როდესაც მთლად ჩვენი არ იყო. როცა ამას მივხვდით, უკვე გვიან

აღმოჩნდა. ყველანი მის ხელთ ვიყავით. მახსოვს, დერიუგინის შესახვევში ახალი ლაშქრობის მოწყობა გადაწყვიტეთ და დღეც დაენიშნეთ, მაგრამ ბატონა არ დაგვეთანხმა, ეს დღე არ ვარგა, ერთი კვირით გადავწიეთ. მერე კიდევ ერთი კვირით გადავწიეთ, კიდევ სამი დღით. გადაწევის მიზეზს საიდუმლოდ ინახავდა, არ გვიმჟღავნებდა. ჩვენც უსიტყვოდ ვეთანხმებოდით, იმიტომ რომ ჩვენიც იყო და არც მთლად ჩვენი, ყოველ წუთს შექმნილი თამაშიდან გასვლა. „თუ გინდათ, სულაც დღეს, ოღონდ უჩემოდ“. ჩვენ შეგვეშინდა, მინკა ბიკს არ შეატყობინოს და შესახვევის უეცრად ხელში ჩაგდების საქმე არ ჩაგვიფლავოსო. რა გვინდოდა? უბრალოდ აგვევლო და ჩამოგვევლო იმ შესახვევში, სადაც ასახიჩრებდნენ და ძარცვავდნენ ჩვენი სახლის ბიჭებს. და თუ დაგვესხმოდნენ, საკადრისი მიგვეზლო. ლიოვკა შულემა იარაღის წამოღებასაც შეგვპირდა: გერმანული სათამაშო დამბაჩის, ნამდვილი რევოლვერით რომ გაუდიოდა ბათქაბუთქი.

როგორც იქნა, ბატონამ დღე დანიშნა. ჩვენც საღამოს ხუთი საათისათვის დავიძარით. დერიუგინის ფუნდუკს რომ მივუახლოვდით, მეორე სართულის ფანჯარაში ბატონას ფერმკრთალი სიფათი დავინახეთ, თვითონაც დაგვინახა და ხელი დაგვიქნია. მშვიდად ავიარეთ მთელი შესახვევი, თავს არავინ დაგვესხმია. არც შავი ძაღლი გამოჩენილა. ხოლო იმ პატარა ბიჭუნებს, ციგებითა და ფიცრებით გორაკიდან შუა ქუჩაში სრიალით რომ ეშვებოდნენ, ჩვენთვის ზედაც არ შემოუხედავთ. ჩვენ ხან ერთ ჭიშკართან შევჩერდით, ხან მეორესთან, მაგრამ მეკობრეები არ ჩანდნენ — არც მინკა ბიკი გამოჩენილა და არც ტარანკა — არავინ, სრულიად არავინ. შულემა ერთი-ორჯერ ჰაერში გაისროლა, ცოტა კიდევ შევიცადეთ და წამოვედით. იმედგაცრუებული გახლდით. ნებისყოფის გამოცდა არ გამოგვივიდა. მერე ორჯერ კიდევ ვეწვიეთ დერიუგინის შესახვევს, მაგრამ ასევე უშედეგოდ. რა მოხდა? სად გაიფანტნენ? საიდუმლო აუხსნელი დარჩა, ან იქნებ წელთა სვლამ გადამაფიწყა. სინანულისა და უცნაური შეგრძნების გარდა მეხსიერებას არაფერი შემორჩა: თითქოს ეს ყველაფერი ჩვენი უკმაყოფილებისა და საკუთარი სიმშვიდისათვის მოეწყოს ვადა ბატონას...

მერე იყო კიდევ სხვა ცდუნებანი, შიში, ლამამობით სადღაც აკლდამებში თუ ჩვენი პაწია ეკლესიის მიწისქვეშა ტალანებში სიარული. დაბოლოს, სონიას ბინის აივანი, ზედ უფსკრულზე რომ იყო გადაკიდული. აი, მესმის აივანი! მახსოვს თითების დამკრუნჩხველი, მომაკვდინებელი შიშის ჟრუანტელი, სონიას მიტკლისფერი სახე, გიჟივით თვალები! ოთხნი ვიყავით. ბატონას სულ ბოლო წუთამდე არც ჰო უთქვამს და არც არა. სირცხვილით აღეწილმა სელაპამ უარი განაცხადა, ბიჭს თავბრუსხვევა აწუხებდა. საჭირო იყო ბინის შერჩევა. ჭიმიუსთან არ შეიძლებოდა, მისი ბინა ერთთავად ხალხით იყო გამოჭედილი. აივანზე განმარტობა არ მოხერხდა. ლიოვკასთანაც კარგა ბლომად იყრიდნენ თავს: ნათესავეები, სარჩენლად შემოხიზნული ვიღაც ქალები, აბა დედა ხომ ყოველთვის შინ ტრიალებდა. ანტონი პირველ სართულზე ცხოვრობდა, მე მესამეზე. დარჩა ერთი საწყალი ხეიბარი სელაპა. იგი მერვე სართულზე დედასა და ყრუ მოსამსახურე ქალთან ერთად ცხოვრობდა. დედამისი დილიდან საღამომდე სამსახურში იყო. იმ ბებერ, ყრუ მოსამსახურეს კი „პიონერსკაია პრავდას“ თუ მივცემდით, მეტი არა უნდოდა რა, კითხვით ისე გაერთობოდა ხოლმე, შეგეძლო სამზარეულოში ჩაგეკეტა, მაგ-

რამ სელაბა არ დაგვეთანხმა. იგი საერთოდ წინააღმდეგი წავიდა ნებისყოფის ასეთი გზით გამოცდისა. მისი აზრით, ეს ჯანმრთელობის გამოცდა იყო და არა ნებისყოფისა. ჰოდა, უცბად სონია მომაგონდა. სიმართლე რომ თქვას კაცმა, სონია ყოველთვისაც მახსოვდა, არასოდეს მავნიწყდებოდა. სონია მეცხრე სართულზე ცხოვრობდა და მისი მშობლები სწორედ იმ დროს სადღაც იყვნენ წასულები. შინ მხოლოდ შინამოსამსახურე იყო, რომელსაც ხშირად უწევდა ვარეთ სიარული. სონია კარგახნობით სულ მარტო რჩებოდა ხოლმე. მეცხრე სართული! ამაზე მიმზიდველი აბა რა უნდა ყოფილიყო. სწორედ ეგ იყო, რაც გვეწადა. რამდენადაც მაღლა იქნებოდა, გამოცდაც მით უკეთესი გამოვიდოდა. დიახ, ამას ვუმტკიცებდით ერთმანეთს, თუმცა შიშისაგან მუცლებიც კი აგვეშალა. მხოლოდ ერთი რამ ეჩოთირობოდა ანტონს, საიდუმლო ქალისათვის რომ უნდა გაგვენდო. ანტონი საერთოდ ქალების წინააღმდეგი იყო. „ეს ამბავი დედისთვისაც არ მითქვამს, თუმცა იმას ყველაფერს ვეუბნები“.

მართლაც ანტონის დედამ ყველა მისი ჩანაფიქრი თუ საქმიანობა იცოდა. როცა კი დამირეკავს, ანტოშკა რას აკეთებს-მეთქი, დედა ზუსტად მიბასუხებდა:

— ანტოშკა ახლა პალეონტოლოგიური ალბომის მესამე ნაწილს — მფრინავ ხელიკებს ამთავრებს. იტალიური ალბომი კი სანახევროდ უკვე გააკეთა, ძალიან კარგი გამოუვიდა, განსაკუთრებით ვეზუვი...

ოი, ღმერთო, როგორ მინდოდა ჩვენი ნებისყოფის გამოცდას სონია დასწრებოდა. ამიტომაც ვთქვი: რადგან ქალია, მოდი მთავარი დავუშალოთ, ვუთხრათ, ვითომ ჩვენ, რვაფეხებს, რაღაც საკითხის გამო აივანზე ფარული მოთათბირება გვსურს და ამ დროს თვითონ კაბინეტში უნდა ჩაიკეტოს, დაახლოებით ნახევარ საათს. დარწმუნებული ვარ, თუ პატიოსან სიტყვას მოგვეცემს, კაბინეტიდან არ გამოვალო, სიტყვას არ გადავა-მეთქი. ანტონი იბუსხებოდა, ქსიტინებდა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა: „ჰო, კარგი! რა თქმა უნდა, სონკა სხვა გოგოებისაგან გამოირჩევა, თუნდაც იმით, რომ ვერდი ესმის. ერთხელ „აიდას“ მარშიც კი იმღერა, მართალია, არცთუ უშეცდომოდ, მაგრამ მაინც“. ანტონის პირიდან წარმოთქმული ეს სიტყვები უდიდეს ქებას უდრიდა. ანტონს კაცობრიობა ორ ჯგუფად ჰყავდა გაყოფილი, ვერდის მუსიკის გამგებლებად და გაუგებლებად. პირველთ საუკეთესო ადამიანებად თვლიდა, მეორეთ კი ბნელებად და უცოდინრებად.

დავთქვით დღე და სონიას გამოვეცხადეთ. ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც მხნედ და დიდი ხალისით მივდიოდი-მეთქი. ფეხებში რაღაცნაირი სისუსტე ვიგრძენი, თითქოს შიგნით, ძვლებში ქიანჭველები დამიდიოდნენ. მაგრამ ფარული ორგანიზაციის არც სხვა წევრები იყვნენ უკეთესი სანახავი. გულით მეწადა უკანასკნელ წუთებში ბატონას შეშინებოდა, სიმხდალეს დაეჯაბნა და არ მოსულიყო! მას ჰქონდა კიდევ ამის უფლება, შეეძლო არ გამოცხადებულყო და ჩვენც ვერაფერს ვეტყოდით, მაგრამ, დასწყევლოს ეშმაკმა, ზუსტად დაერჭო. სიფათზე მიცვალებულის მომწვანო ფერი ედო. ქიმიუსი სულელურად იცინოდა და რაღაცას უადგილოდ ოხუნჯობდა.

ყველაფერი ისე გავითამაშეთ, თითქოს სონიასთან ელიზე რეკლიუს ჩვენთვის საჭირო ტომის სანახავად მივედით. მერე უეცრად ანტონი სონიას მიუბრუნდა და უთხრა:

— სონკა, ახლავე, ამ წუთში უნდა შემოგვფიცო, რომ...

საიდუმლო აღთქმის მოთხოვნით განცვიფრებულმა სონიამ რაღაც ცუდი იგრძნო, გამოკითხვა დაგვიწყო: რა ჩაიფიქრეთ? რატომ მაინცდამაინც აივანზე? აივნიდან ვინმეს გადაგდებს ხომ არ აპირებთ? ეჭვადაც არ უფიქროს, რა ახლოს იყო სინამდვილესთან. ეს „ვინმე“ შეიძლება ყოველ ჩვენივე ყოფილიყო. სონიას თითქოსდა ხუმრობით წარმოთქმულმა სიტყვებმა საკუთარი თავი ისე შემაცოდა, თვალზე ცრემლიც კი მომადგა, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია.

ოთახში რომ გავიარე, მივხვდი, როგორ მიკანკალებდა მუხლები და რა მოღვენთილად დავდიოდი. საოცრად შევშინდი. ასეთი ძალაგამოღებული ფეხებით ზედმეტი იყო მეცხრე სართულის აივნის მოაჯირზე გადაძრომასა და რკინაწნულებს შორის გავლა-გამოვლაზე ფიქრი. მალულად სხვებსაც ვზვერავდი, რიგრიგობით საპირფარეშოში რომ შერბოდნენ, მივხვდი, არც სხვებს ადგათ კარგი დღე. ცოტ-ცოტას ყველა ბარბაცებდა. მხოლოდ ერთი ბიჭი, ანტონ ოვჩინიკოვი არ შესულა საპირფარეშოში. სონიასთან მისული სკამზე რომ დაჯდა, არ განძრეულა, არ წამომდგარა, ვიდრე აივანზე გასვლის წამი არ დადგა, ეს დაბალი, მძიმე ტანის, პირყვითელა, მხარბეჭიანი ბიჭი, ბუდასავით ლაწვიანი სახე რომ ჰქონდა. ბოლოს, როცა სონია კაბინეტში გავიდა და, ჩვენი მოთხოვნის თანახმად, კარი ჩაკეტა, პირველი ანტონი წამოდგა და მტკიცე ნაბიჯით იმ გვერდითა ოთახში გავიდა, სადაც აივანზე გასასვლელი კარი იყო გაჭრილი. ჩვენც უკან მივყევით. აივნის კარი არც დაკეტილი იყო და არც დაგმანული, თუმცა უკვე გვარიანად ყინავდა. სონიას მამა დიღ-დიღობით აივანზე ვარჯიშობდა ხოლმე. როგორც ყველგან მთელ ამ სახლში, ეს აივანიც ორად იყო გადაღობილი. აივნის მეორე ნახევარი მეზობელს ეკუთვნოდა. სწორედ აქ იმალებოდა ერთ-ერთი საშიშროება. ყოველ წუთს შეიძლებოდა იმ კარიდან აივანზე ვინმე გამოსულიყო და, ჰოი სასწაულო! — ჩვენ გადავერჩინეთ.

მაგრამ აივანზე არავინ გამოსულა, სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა მათი ფანჯრის იქით. თვალი შევაავლე მეზობლის აივანზე, კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ ქილებს, დოქებს, ქვაბებს, გავხედე შუშის კარის ფარდას და გუნებაში გავიფიქრე: „ნუთუ, თქვე ოხრებო, ერთი წამითაც არ აპირებთ გამოხედვას? მერედა რა ადვილია მაქვთ გადმოხტომა და თქვენი ბინის გაქურდვა... რა ბრიყვული ქარაფშუტობაა თქვენი მხრივ...“

არა, მეზობლები არ აპირებდნენ ჩვენს ხსნას, ჩვენი ნებისყოფის გამოცდას წინ აღარაფერი ედგა. კაი ათგრადუსიანი ყინვა იყო. ჩვენ კი არც პალტოები გვეცვა და არც ქუდები გვეხურა. კბილები მიკაწკაწებდა. ანტონი აივნის მარცხენა კიდეს მიადგა, რომელიც ტორსით ბეტონის კედელს ებჯინებოდა. სწორედ აქ გამოდიოდა იმ დიდი ოთახის ფანჯარა, სადაც სულ ახლახან მე და სონია ვისხედით. ანტონი მძლავრად, ორივე ხელით დაეჯაჯგურა ლითონის სახელურს. იგი საოცრად მყარი აღმოჩნდა. ყველაფერი რიგზე იყო. ალბათ ჭკუაზე გადავედით-მეთქი, — გავიფიქრე გუნებაში. მაგრამ ახლა კიდევეა რომ მომენდომებინა უკან გამობრუნება, ალბათ ველარ შევძლებდი — ფეხები აღარ მემორჩილებოდა. დაბლა ყველაფერი ჩვეულებრივად და მშვიდად გამოიყურებოდა. ჩანდა თოვლი, შავი ტროტუარები, თეთრი ეზო, ავტომანქანების სახურავები, მაგრამ უსაშველოდ შორს. დაბლა ეზოში მოხ-

ვედრა მეორე პლანეტაზე გადაფრენას უდრიდა. იქ მხოლოდ ჩავარდნა შეიძლებოდა.

ანტონმა ჯერ ერთი ფეხი გადააღაჯა მოაჯირს, მერე მეორე და, მოაჯირს ჩაკიდებულმა, ნელა იწყო სვლა. უფსკრულს ზურგშიც უფსკრულს ცხიტი სახით ჩვენ გვიყურებდა და ფეხებს აივნის რკინაწნულეებს შორის სტეკებდა. ასე ნელინელ, გვერდელა სვლით მეზობლის აივნამდე მიადწია და უკან გამობრუნდა. თან რაღაცას ღიღინებდა, მგონი, სულაც „აიდას“ მარშს. ჩვენ მოაჯირის შიგნითა მხრიდან მივჩერებოდით, ყოველ წამს დასახმარებლად გამზადებულნი. საინტერესოა, მაინც რა დახმარების გაწევა შეგვეძლო? აი, უკვე კედელს მოადწია, შიშველი მუხლი რაფის სხმულს მიაბჯინა — ბიჭს კვლავინდებურად მოკლე შარვალი ეცვა — მუცლით მოაჯირს გადმოეყუდა და ჩვენს ფეხებთან ჩამოგორდა. ანტონის კვალს ქიმიუსიც მიჰყვა, მაშინვე მოაჯირისაკენ გაქანდა. ის კი არა, თავიც კი მოიწონა, მოაჯირს ჩაეჭიდა, ოდნავ გადაიხარა, უფსკრულს ჩახედა და გადააფურთხა...

სწორედ ამ დროს აივანზე გამოშველ ფანჯარასთან შიშისაგან ყბამოქცეული სონიას გაშეშებული სახე დავინახე.

წამიც და გოგო უკვე აივანზე გამოვარდა. მაშინვე ქიმიუსს ილღიებში ჩაავლო ხელები და აქეთ გადმოთრევა დაუწყო, თან პირს როგორღაც უხმოდ ალებდა. როგორც ქიმიუსმა თქვა, არაადამიანური ძალით მექაჩებოდაო. სონია პირს კვლავინდებურად ალებდა, მაგრამ ხმა არ ისმოდა. ქიმიუსი აქეთ გადმოგორდა. ყველანი ოთახში შევეცვივდით. გაყინულ-გათოშილებსა და უანგიტ მოსერილებს სახეზე ლურჯი ფერი გვედო. სონია ბატონას ხელებზე მოეჭიდა და აღარ უშვებდა, ეშინოდა, არ გამისხლტეს და მოაჯირს არ დაეკიდოსო, თან მომართულივით ჩურჩულებდა: — ოი, თქვე სულელებო, სულელებო, სულელებო...

ბატონა უკმაყოფილოდ იჭმუხუნებოდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს განაწყენნეს, რაღაც წაართვესო. მერე კი გავიგე, სინამდვილეში როგორღაც იყო საქმე. ბატონას სონიასათვის საიდუმლოდ ჩაეკაკლა. ალბათ მაშინ, საბირფარეშოში რომ გავარდა, — ურჩევია, საინტერესო სანახაობა იქნება და გამოგვხედდეთ. ეგ საბრალო ტრაბახა, ეგა! ვადკამ იხსნა ლიოვკა შულეპა, საკუთარი თავი და მე. დიახ, მან გადაგვარჩინა. ფეხები ჩემი აღარ იყო. სწორედ ასეთი ადამიანები, ვერც მხდალს რომ ვერ დაარქმევ და ვერც გულადს, არც ასე რომ არ უქნია ღმერთს და არც ისე, ზოგჯერ იმ ადამიანების გადარჩენასაც ახერხებენ, ვისთვისაც ბუნებას ყველაფერი უხვად მიუნიჭებია. ამ ამბავმა იგი კიდევ უფრო შემაძულა. სონიას უჯავრდებოდა, რაღაც მწარეს ეუბნებოდა. ბოლოს სონიას გულიც კი შეუღონდა, საოცრად შეშინებულეებმა, სასწრაფოდ ექიმი გამოვიძახეთ...

მერე რაღა იყო? პო, მერე, მერე, სულ მერე? სახლი დაცარიელდა. ჩემი მეგობრები მიმოიფანტნენ, ვინ საით გადაიკარგა და ვინ საით. სელაპა, რომელსაც ასე აწამებდა ნებისყოფის გამოცდაში მონაწილეობის მიუღებლობა — მას ხომ ფიზკულტურის დარბაზში უბრალო დირეზე გავლაც არ შეეძლო — ყველაზე ადრე გაქრა. მგონი, სულაც იმ ზამთარს. ისე კი ტყუილად ავჩქარდით, განსაცდელი ძალიან მალე დაგვატყდა თავს, მოგონება აღარ იყო საჭირო. იგი წარღვნასავით მოგვევლინა, ზოგი ძირს დასცა, ზოგი თავით ფეხებამდე გალუმბა, ზოგიც სულაც იმ ღვართქათფში ჩაახრჩო.

მაგრამ აი, რა მაგონდება: ანტონის დედა, ქიმიუსის მამა და კიდევ ვიღაც ერთი ჩვენთან სასადილო ოთახში არიან ჩაკეტილები და რაღაცაზე ბჭობენ. მე და ანტონს შიგ არ გვიშვებენ, მაგრამ, გულდაგულ მიყურადებულვებს, ზოგი რამ მაინც გვესმის. განსაკუთრებით მაშინ, როცა გაბრაზების კამპი ხმას აუწევენ. აი, უცებ მამაჩემის ხმამალალი, განრისხებული ხმა მომესმა.

— პო, მაგრამ ექიმისათვის თუ მიგიმართავთ?

— მაინც რატომ უნდა მიმემართა? — კითხვა შეუბრუნა ანტონის დედამ.

— იქნებ თქვენი ვაჟი ფსიქიურად მთლად ნორმალური არ არის.

— ჩემი ვაჟი? — გაეცინა ანტონის დედას. — რა სისულელეა! ჩემი ვაჟი სრულიად ნორმალური ყმაწვილია. — მერე ყველა ერთხმად ალაპარაკდა, ანტონის დედა კი კვლავ იცინოდა.

იმ ზამთარს, ბრუსკოვოს აგარაკზე გლებოვი რომ სიყვარულის ცეცხლში იწვოდა, მის სახლში, დერიუგინის შესახვევში, მძიმე, გამოუვალი მდგომარეობა შეიქნა, ისეთი, ილაჯგაწყვეტილ ცხოვრებას რომ სდევს ხოლმე. გლებოვების ოჯახის ცხოვრება მიწრეტილიყო. ბებია ნილა ძლივსლა დაჩოჩავდა, ყველაფერს ძალისძალად აკეთებდა, მამამისი დედის სიკვდილის შემდეგ მოტყდა, მოიკუზა, რაღაც სენი ღრღნიდა, თან ხმას მიჰყო ხელი, ყველაფერი ნგრევისა და დასასრულისაკენ მიდიოდა. გლებოვს არ უყვარდა შინ ყოფნა. მამა არ ეცოდებოდა, რადგან ამ უნიჭო, ფეთხუმ ბერიკაცს ვაჟკაცობა არ ეყო ღირსეულად შებვედროდა ცხოვრების დასასრულს. კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდა, ცხოვრებასთან გაიძვერობდა, ცდილობდა კვლავ დაეცინცლა რაღაც. აკი დასცინცლა კიდევ დეიდა პოლია: დის სიკვდილის შემდეგ პოლიამ სიარულს მოუხშირა, მოდიოდა, როგორც ნათესავი, ეზმარებოდა ბებია ნილას საოჯახო საქმეებში. მერე კი როგორღაც ჩუმად, თითქოს არაფერიო, იმ დივანზე აღმოჩნდა, სადაც წინათ დედა იწვა. ან კი სად უნდა წასულიყო? ჩრდილოეთიდან დაბრუნებულმა ძია ვალოდიამ მიატოვა და ახალ ოჯახთან ერთად ტაშკენტში გადავიდა.

გლებოვმაც ხელი ჩაიქნია, რაც გინდათ, ი ქენითო! გული საკუთარი ცხოვრების შეცვლის წინათგრძნობით ჰქონდა სავსე, სისხლი საფეთქლებში უბაგუნებდა. მაგრამ დეიდა პოლიას ქალიშვილს, კლავდიას, ეს ყველაფერი ძალიან არ მოსწონდა. ვერც დედას აპატია და ვერც გლებოვის მამას. დეიდა პოლიას ვაჟი იურკა, გლებოვზე ორი წლით უფროსი, ომში დაიღუპა. კლავდია ქმარშვილიანი ქალი იყო და კარგადაც ცხოვრობდა. თითქოს კიდევაც უნდა გახარებოდა, დედამისი ბებიასთან რომ ცხოვრობდა და სიბერის დღეებს უმსუბუქებდა. მაგრამ კლავდიამ შეიძულა დედა. დერიუგინზე მოსელისას ყოველთვის მინიშნებულად იტყოდა, ბებიაჩემის ხატრით მოვდივარო. მშობელ დედასთან თითქმის უბრად იყო, გლებოვის მამას კი ცივად, დამცინავად ექცეოდა.

შესახედავად კლავდია მამამისს, ძია ვალოდიას ჰგავდა: მასავით ტანსრული და ულამაზო იყო. რატომღაც კლავდია ყოველთვის კარგ ადამიანად მიაჩნდათ. ეს ისეთივე ლეგენდა გახლდათ, როგორც დეიდა პოლიას სილამაზე. გლებოვს არ მოსწონდა, გულზე ხვდებოდა, კლავდია მამამისს რომ ასე აგდებულად ელაპარაკებოდა. მამა საშინლად იბნეოდა, დეიდა პოლია კი

აღელდებოდა, უაზრო ფუსფუსსა და სისულელეების როშვას იწყებდა... გლებოვს გული სტკიოდა, კლავდია თითქოს სულ სხვა ყაიდის, უცხო, უსიამოვნოდ მკაცრ ადამიანად ქცეულიყო.

ერთხელ კლავდიამ გლებოვსაც გაუჭრა:

— ნამდვილად გამკვირვებია, როგორ ყლაპავ ამ სიყვარულს, მართლაც რომ არნახული ხასიათის კაცი ხარ.

— მაინც რატომ? — ჰკითხა გლებოვმა.

— იმიტომ, რომ ყველაფრის მონელება შეგიძლია. ანდა გასაოცრად გულგრილი ვინმე ხარ.

გლებოვს ჩაეცინა.

— მაინც რა უნდა ვქნა? ესენი დიდი ადამიანები არიან, მეც უკვე მოწიფული ვარ... — გლებოვი მიაჩერდა დეიდაშვილის სიავისაგან დაღრეცილ, გაბოროტებულ სახეს და გუნებაში გაიფიქრა: ჯობს გულგრილი ვიყო, ვიდრე ბოროტი. ხმამაღლა კი ასე უთხრა: — მე მათი ცუდი მაინც არ მინდა.

— ღმერთო ჩემო, ნეტა ვის უნდა მაგათი ცუდი. მე, მაგალითად, ვიტანჯები, ჩემთვის წამებაა! შენ კი ფეხებზე გკიდია... ეს მიკვირს, მეტი არაფერი...

— აბა მე სხვა რამ გამკვირვებია: როგორ შეგიძლია ასეთნაირად შეიძულო მშობელი დედა? საიდანა გაქვს ასეთი დაუნდობლობა?

კლავდიამ სახეზე ხელები აიფარა და ოთახიდან გავიდა.

მერე როგორღაც გლებოვს გამოუტყდა: თავადაც მინდა გული მომიბრუნდეს, დედასაც ვაპატიო, მაგრამ არ შემიძლია. სწორედ მისი წყალობითაა, მთელი ჩვენი ოჯახი რომ იტანჯება. ეს ამბავი ხომ ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო. გრძელდებოდა მთელი ევაკუაციის მანძილზე. ამან კი ყველაფერი ნაფლეთებად აქცია: ძია ვალოდამ აღარ ისურვა პოლიასთან ცხოვრება, გლებოვის დედამ კი გული გაიხეთქა. მას კი არაფერი ამდაგვარი არასოდეს შეუნიშნავს, უფრო სწორად, ვერაფერს მიხვდნო მოყოლის დროს კლავდიას უეცრად ტირილი აუვარდა და საკუთარ თავს გინება დაუწყო: ცუდი ადამიანი ვარ, როგორ გითხარი, როგორ გაგაგებინე, ნუ დამძრახავ, მაპატიეო.

— ახლა კი გამიგებ ალბათ? — ჰკითხნით ამბობდა ქალი და გლებოვს ხელზე ხელს უჭერდა. — ჰო, მე ავი, საძაგელი ქალი ვარ, რა უფლების ძალით გითხარი... ენაზე ვინ მექაჩებოდა?

გლებოვი სახტად დარჩა, მაგრამ მაინც მშვიდად უთხრა:

— აბა რას იზამ? ჰო, თავადაც ვხვდებოდი რაღაცას. მაგრამ მე დეიდა პოლიას არ ვადანაშაულებ.

— სწორედაც რომ ვადანაშაულებ, — ჩურჩულებდა თავჩაქინდრული კლავდია, — ვადანაშაულებ, ვადანაშაულებ... დამაკარგვინა დედაცა და მამაც.

ჩაფიქრებული გლებოვი დუმდა. რა თქმა უნდა, ამბავი მტკივნეული იყო, მაგრამ ყველაზე ცუდი უკვე მომხდარი გახლდათ. მან მხოლოდ ის იგრძნო, როგორ გაუმტკიცდა საჩქაროდ გაწყვეტისა და ყველაფრის თავის გუნებაზე დაწყების სურვილი.

სონიამ გლებოვთან სიარული დაიწყო, უნდოდა მისი ახლობლების გაცნობა. ყველა წინასწარვე უყვარდა, მაგრამ გლებოვს აწამებდა ეს ვიზიტები. სონია ხედავდა მამამისის უბადრუკობას, ისმენდა ცარიელ, პირფერულ სა-

უბრებს, ამჩნევდა სილარიბეს, სივიწროვეს. ოდესღაც, მოწაფეობის დროს, ეს ყველაფერი გლებოვს სულაც არ აწუხებდა, მისი სახლი ყოველთვის ტოლ-ამხანაგებით იყო სავსე, მაგრამ ახლა სწორედ ეს საკუთარი სახლი დასწოლოდა ლოდად. განსაკუთრებით სონიას გაოცებისა ეშინოდა, ვინ არის დეიდა პოლია?

ერთხელ სონია სწორედ მაშინ მოვიდა, როცა ყველა შინ იყო, თვით კლავდიაც კი, ბებია ნილასათვის ბაზრიდან ბოსტნეული მოეტანა. მაისი ილეოდა, ცხელოდა. გლებოვმა სონიას კლავდია გააცნო და უმაღლვე თავის ციცქნა ოთახში შეიყვანა. მადლობა ღმერთს, იმ დიდი ოთახიდან გამოცალკავებული იყო, სადაც მამამისი და ბებო ნილა ცხოვრობდნენ, სადაც ღამეს ათევდა საოჯახო საქმეებში ხელის წასაშველებლად მოსული დეიდა პოლია. ნახევარი საათის შემდეგ ჩაიზე მიიწვიეს. გლებოვს სულაც არ ეპიტნავენოდა იქითკენ გასვლა, მაგრამ სონია ილტვოდა ახალი ნაცნობებისაკენ. ამჟამად კლავდიამ, განსაკუთრებით მისმა ოთხი წლის გოგონამ, სვეტამ დააინტერესა. სვეტასა და სონიას იმთავითვე მოეწონათ ერთმანეთი, განცალკევდნენ და შეწყობილი თამაში და ქლურტული გააჩაღეს. და ეს მაშინ, როცა ოთახში კარგა გვარიანად კამათობდნენ. კვტმა თქვას, კლავდია ერიდებოდა ასეთ უსიამოვნო შეჯახებებს. ეს დავა როგორღაც უეცრად, მოულოდნელად წამოიჭრა და ქალმა თავი ველარ შეიკავა. ჩხუბის მიზეზი სწორედ ის პატარა სვეტოჩკა გახლდათ, ქალაქიდან სასწრაფოდ რომ უნდა გაეყვანათ.

ამ ცხარე დავას შემოსწრებულ სონიას კლავდიამ უკმაყოფილოდ გახედა და დედას მკვახედ, უხეშად ჰკითხა:

— არა, შენ გარკვევით უნდა მითხრა: წაყვები თუ არა სვეტკას? თუ არა, მაშინ კოლიას მაშიდას უნდა მოველაპარაკო. ძალიან კი არ მინდა. ავადმყოფი ქალია...

დეიდა პოლიამაც თავისი მიზეზები წამოაყენა: აგარაკი შორს, ძალიან უხერხულ ადგილას იქირავეთ, კვირაში სამჯერ სამუშაოდ მოსკოვში უნდა ჩამოვიდე და გამიჭირდებაო... პოლია მაშინ არტელში მუშაობდა, რაღაც მანქანებისათვის ბადეებს ქსოვდა. თან კიდევ: ბებო ნილა როგორ მივატოვო ასე უყურადღებოდო. კლავდია განრისხდა:

— შენ ბებო ნილას ნუ იმიზეზებ! ბებოს სულაც თან წავიყვანთ, იმ აგარაკზე. უკეთესადაც იქნება...

— ს ამბობ, ბებო სად უნდა წაიყვანო? შენ ხომ არ შეიშალე!

— ვათომ რა, აქ უკეთესად არის?

— ეჭიმები სჭირდება, სულელო, პოლიკლინიკა! შენ შენი შვილის მოვლელი გაინტერესებს. ერთგული გადია და არა ბებო ნილა. ბებომ თავისი გააკეთა, მორჩა გადიობას.

ბებო ნილა არ ეთანხმებოდა, არა უშავს, ჯერ კიდევ რაღაც შემიძლია, არც ისე ცუდად ვარო.

დეიდა პოლია ქალიშვილს საყვედურობდა: მაინც საბავშვო ბაღში რატომ არ მიაბარე? ბალი ხომ აგარაკზე წავიდოდა. შენს ფაბრიკაში, როგორც ამბობენ, შესანიშნავი ბალია.

— ვინ ამბობს? შენ ოღონდ თავიდან მოიცილო და რას არ იტყვი. შენც ბებია გქვია რაღა! — სულ მთლად გააფთრდა კლავდია. — ღმერთო, რამდენჯერ დავიფიცე, ამას არაფერი ვთხოვო-მეთქი...

იქით მამამ ჩაიბუზღუნა რაღაც ქალები თითქოს არ ილანძღებოდნენ, მაგრამ როგორღაც მომაბეზრებლად კინკლაობდნენ, და რაც მთავარია, სულაც არ ერიდებოდნენ სტუმრად მოსულ სონიას. კლავდია დედას თავკერძობას ატრიალებდა: ბავშვი არ გიყვარს, საკუთარი ეფიფეს მუტი არაფერი გახსოვს. ახლა რა ვქნა, წამყვანი რომ არაინა მყავს... თან... შეკარგება. ასე რომ მცოდნოდა, რა თქმა უნდა, ბაღში მივაბარებდი. ახლა უკვე დაგვიანებულია.

— ეს იმიტომ, რომ დედასთან უბრადა ხარ, — მაშინვე ახალა დეიდა პოლიამ. — ყველაფერს ფარავ და ჩქმალავ. მაინც რა გაგიკეთე ასეთი ცუდი? — ატირდა დეიდა პოლია.

— თუ ინებებთ, ჩვენი აგარაკის საზაფხულო ჯიხურს შემოგთავაზებთ, — უეცრად წარმოთქვა სონიამ. — შიგ ელექტრონიც არის და წყალიც. ძალიან მოხერხებულია. გინდა, სვეტოჩკა, აგარაკზე წაგიყვანო?

— მინდა! — წამოიძახა გოგონამ და ხტუნვა დაიწყო.

მაგრამ სონიას სიტყვებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, თითქოს არც გაეგონოთ, ისევ თავისას განაგრძობდნენ. მამა ხელებსდა იქნევდა:

— ნუ წუხარ, წამოვა, აბა რას იზამს, სხვა რა ჩარა აქვს.

დეიდა პოლია ტიროდა და უარის ნიშნად თავს აქნევდა.

— არ შემოძლია ასე შორს... და არც მაგასთან მინდა, ზედაც არ მიყურებს...

სონიამ გლებოვს წაუჩურჩულა:

— უთხარი, ბრუსკოვოში წამოვიდნენ... ეს სავსებით შესაძლებელი...

უეცრად კლავდია სონიას მიუტრიალდა:

— ქალიშვილო, თუ შეიძლება ჩვენს საქმეში ნუ ერევით. დიდი მადლობა შემოთავაზებისათვის, მაგრამ ჩვენი ჯიბე თქვენს აგარაკს ვერ გასწვდება და საერთოდაც ეს ამბავი არ გვიხერხდება.

— ეს რა უხეშობაა! — თქვა გლებოვმა და სონია ოთახიდან გაიყვანა.

კვლავ იმ პაწია ოთახში დაბრუნდნენ და ბაიკის საბანგადაფარებულ დივანზე დასხდნენ. გლებოვმა კარი ჩაკეტა და სასთუმალს ზემოთ, კედელზე მიმაგრებული ქალაღლის შუქფარიანი ნათურა აანთო. რამდენი საღამო და ღამე გაუტარებია ამ ნათურის ქვეშ დივანზე წაწოლილს, ფიქრსა თუ კითხვაში გართულს. გლებოვმა ბეჭები და კეფა ფიცრის კედელს მიაყრდნო — ეს იყო მისი ყველაზე საყვარელი სიბარიტული პოზა, რასაც შპალერზე გაქონილი ლაქებიც ადასტურებდა. სონია ძველ, ჩავარდნილ დივანში ღრმად მოთავსდა, გლებოვს მიეხუტა და თავი მკერდზე მიაყრდნო. ვაჟი მარცხენა ხელით ეალერსებოდა, მარჯვენა ხელისგულს კი ბარძაყზე, შრაშუნა წინდაზე და წინდის ყელს ზემოთ შიშველი ხორცის ზოლს უსვამდა. ხის ტიხარს იქით კვლავ ცხარედ დაობდნენ. ყველაფერი ისმოდა. ეშინოდა, კლავდიას ისეთი რამ არ ეთქვა, სონიას რომ არ უნდა სცოდნოდა. გლებოვი ხელისგულს უსვამდა მის საკუთრებად ქცეულ გრილი ხორცის შიშველ ზოლს და თავის დეიდაშვილს ამკობდა: კლავდია ყოვლად უზრდელი და კუდაბზიკა ვინმეა, მხოლოდ შვიდწლელი და ტექნიკუმი აქვს დამთავრებული, მასთან აბა რა საერთო უნდა მქონდეს. ტრიკოტაჟის ფაბრიკაში ოსტატად მუშაობს, მისი ქმარი კოლიაც იმავე ფაბრიკის ამწყობი ხელოსანია.

— აბა მე შემეცოდა ის ქალი. ისეა გააფთრებული, გული გეტკინება... —

გამოეჭომაგა სონია. — თან დეიდაშენიც შემეცოდა, ჩემი აზრით, კარგი ქალი ჩანს, ლამაზიც არის... გოგონაც მშვენიერია, ეს არის, ცოტა სუსტი ჩანს... მე ყველა შეცოდება, ყველა, ყველა! ეს ხომ ცუდია? ხომ არ არის საჭირო?

ერეკლე

— არა, რატომ? კარგია... და საჭიროც არის, — მიუგო გლეზობის მფლობელმა წინდის ბარძაყს ხელისგული აუსვა. მერე სიმარჯვისათვის შესაკრავი შეუხსნა და წინდა დაბლა, ტერფისაკენ ჩასწია. ყველაფერს თავის გემოზე, თავის სურვილზე აკეთებდა. ქალმა გლეზობის მარცხენა ხელს თითები წაავლო და ტუჩებთან მიიტანა. კედლის მიღმა ატეხილი დავა არ მოშმინდებოდა და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, გლეზობი უზომოდ მშვიდ სიხარულს გრძნობდა: იმიტომ, რომ ქალი იყო მშვიდი და მორჩილი, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი, საოცარი. დიახ, გლეზობი მიხვდა ამას და თავსაც შთააგონებდა. სურდა ხელისგულს შეეგრძნო ამ საოცარი ქალის ალერსის მთელი სიტკბო, ქალისა, რომელიც მთლიანად მას ეკუთვნოდა.

გავიდა ზაფხული. დადგა გლეზობისათვის ბოლო, მეხუთე კურსი. იმ შემოდგომით ძალზე ციოდა, თითქმის თოვლიც წამოვიდა, ალბათ ნოემბერი იყო — გლეზობი უკვე გამალებით მუშაობდა დიბლომზე.

სთხოვეს, სასწავლო ნაწილში დრუზიაევთან შემოიარეთო. ამ ახალდანიშნულ კაცს გლეზობი ნაკლებად იცნობდა. დრუზიაევმა დიბლომზე მუშაობის ამბები გამოჰკითხა, რას აკეთებ, საქმე როგორ გაქვსო. გლეზობის დიბლომი გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების რუსულ ჟურნალისტიკას შეეხებოდა. უსაშველოდ დიდი თემა იყო, უამრავი მასალა, ციტატებსა და გაზეთების ფურცლებში იძიებოდა.

დრუზიაევის საუბარს საქმის ცოდნა ეტყობოდა. ერთი იშვიათი პატარა ლექსიც კი თქვა ზეპირად: «Победоносцев для Синода, Обедоносцев при дворе...» ვინ იცის, ამ საუბრისათვის საგანგებოდ შერჩეულიც? გლეზობი გაოცებული მისჩერებოდა ამ დაღლილი კაცის შესიებულ სახეს, გულით დაავადების აშკარა კვალი რომ აჩნდა და, როგორც ეს საერთოდ გულით სწეულთ ჩვევიათ, თვალეში რაღაც ფარული სევდა ედგა. მისჩერებოდა და თან გულში ფიქრობდა: ნეტა რა აუცილებლობა იყო აუდიტორიაში მიკრიკის გამოგზავნა და ჩემი სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ გამოძახება? დრუზიაევს ოფიცრის კიტელი, სამოქალაქო კოსტიუმის შარვალი და საოცრად კრაჭუნა ჩექმები ეცვა. მეტისმეტად აღრეულად იყო ჩაცმული. ის კიტელი და ჩექმების კრაჭუნი სულაც არ ესადაგებოდა თვალეში ჩამდგარ სევდას, ლიბერალ რედაქტორებზე საუბარს და სუვორინთან დაკავშირებით მკრეხელურ თვალის პაჭუნს. „ჩვენ შორის დარჩეს, და ალექსეი სერგეიჩი გიყვარდეს, მართლაც კაცი იყო, საოცრად ნიჭიერი“.

მაგრამ საუბრისას გლეზოვს ერთი აზრი ჩაეჭედა თავში და აღარ შორდებოდა: სულ ცოტა ხნის წინ ეს დრუზიაევი სამხედრო პროკურორი იყო. რაღაც ერთი წლის დემობილიზებული გახლდათ. ოთახში ასპირანტმა შირეიკომ შემოიხედა. თითქოს წამით შემოყო თავისი სათვალისანი, შავთმიანი თავი, მაგრამ გლეზობი რომ დაინახა, რატომღაც შემოსვლა გადაწყვიტა. მაგიდას მიუახლოვდა და ისე ლაღად, თავისუფლად დაჯდა, გეგონებოდათ, მისი სახლი იყო. გლეზობი მხოლოდ ახლა მოეგო გონს: ასპირანტ შირეიკოს

აყვავების ხანა ედგა, ზე ასვლის, დაწინაურების ყამი. გლებოვის კურსს ას-
ტრუგის მაგივრად გორკის შემოქმედებაზე სპეცკურსს იგი უკითხავდა.

— თქვენი სამეცნიერო ხელმძღვანელი ნიკოლაი ვასილიევიჩი განჩუ-
კია? — ჰკითხა დრუზიაევმა გლებოვს.

ისე, როგორც ბავშვობაში, „ცხელია-ცივიას“ თანაშემწეობა, გლებოვმა
უფროდ იგრძნო, რომ „ცხელია-ცხელია“-ს მიუახლოვდა. დრუზიაევმა „განჩუ-
კი“ კი არ თქვა, ეს მეტად მშრალად და არამეგობრულად გამოვიდოდა, არც
„ნიკოლაი ვასილიევიჩად“ ახსენა, რაც ყველაზე უფრო ბუნებრივი იქნებოდა,
თუ, რა თქმა უნდა, იმ ჩვეულსა და მეგობრულ შინაურულ „ნიკვასს“ არ
იხმარდა. მაგრამ არა, მან აშკარად ოფიციალური ფორმულა არჩია—„ნიკოლაი
ვასილიევიჩი განჩუკი“, ისე როგორც დაჯილდოებისას ან სამგლოვიარო გან-
ცხადების გამოქვეყნებისას ხდება ხოლმე. ასე პატივდებით მოხსენიებაც
გამოდიოდა და თან მის ავტორიტეტს შეუმჩნევლად რაღაც მთლიანისგან თი-
შავდა, მიჯნავდა. ხელმძღვანელთან კონტაქტი გაქვთ? რაიმე პრობლემა ხომ
არ წამოჭრილა? გლებოვმა ეს კითხვებიც დასტურუყო. დრუზიაევი როგორ-
ღაც სხვაგვარად და, როგორც გლებოვს მოეჩვენა, პროკურორის მკაც-
რი მზერით ბურღავდა. მისი სწეული იერი თითქოს სადღაც გაქრა. წელში
გასწორდა, გეგონებოდა, კიტელში მხრებიც გაუგანიერდაო.

— იცით რა, გლებოვ, აქ ცოტა საჩოთირო ამბავია... რატომ გიხმეთ?
მხოლოდ გთხოვთ, ანტრ, ანუ როგორც ფრანგები იტყვიან ხოლმე. იური
სევერიანოვიჩისათვის ცნობილია ჩვენი წუხილის საგანი, — დრუზიაევმა
შირეიკოსაკენ გაიქნია თავი, მოსაუბრეს რომ მკაცრი სახით, ყურადღებით
უსმენდა, — ასე რომ, მისი აქ ყოფნა ნუ გაგაკვირვებთ. ჩვენ ყველანი, ცოტა
არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ვართ. რასაკვირველია, იცით, რომ ნი-
კოლაი ვასილიევიჩი განჩუკმა თქვენ ასპირანტურაში რეკომენდირებულ დიპ-
ლომანტთა სიაში შეგიტანათ? არ იცით? თქვენთვის ახალი ამბავია? ვფიქ-
რობ, სასიამოვნო, პა? ამას გარდა იგი თქვენი ხელმძღვანელია. და კიდევ
თქვენ მისი მომავალი, ასე ვთქვათ, სიძე ხართ, ხომ? მაპატიეთ, მაგრამ და-
ზვერვამ ცნობები მოგვაწოდა და მე, როგორც სამხედრო კაცი, არ შემიძლია,
დაზვერვას არ ვერწმუნო...

დრუზიაევი თითქოს ისევ მოიდგენთა, მოლბა და გაიღიმა კიდევ. მაგრამ
ლიმილი ასპირანტი შირეიკოს ეკუთვნოდა და არა გლებოვს. გლებოვმა რაღაც
წამოიზმუვლა და თავიც გაურკვეველად გააქნია, თუმცა ეს მაინც იმას ნიშ-
ნავდა, რომ დაზვერვის მოწოდებულ ცნობებს არ უარყოფდა.

— იცით რა, გლებოვ, — განაგრძო ისევ დრუზიაევმა, — ჩვენ არა ვართ
თქვენი ასპირანტობის წინააღმდეგი, არც იმის წინააღმდეგი ვართ, რომ გან-
ჩუკმა გიხელმძღვანელოთ დიპლომზე მუშაობისას, მით უფრო არაფერი
გვაქვს საწინააღმდეგო თქვენი და პროფესორის დამოყვრებისა. ჩვენ არც
იმის წინააღმდეგი ვყოფილვართ, — მე თუმცა აქ ახალი კაცი ვარ, მაგრამ
ამხანაგებისაგან ვიცი და ამაზე არც არასოდეს არაფერი თქმულა, — რომ
განჩუკის მეუღლეს, იულია მიხაილოვნა ბრიუსს, ჩვენთან ენების კათედრაზე
ემუშავა და ჯგუფისათვის ეხელმძღვანელა. მაგრამ საქმეც ის გახლავთ: ცალ-
ცალკე ყველაფერი ჩინებულად არის, ერთად კი შეტისმეტი გამოდის.

— და არცთუ სასიამოვნო სუნი უდის, — მტკიცედ წარმოთქვა ასპირან-
ტმა შირეიკომ და მანვე დასძინა: — მორალიტეს თვალსაზრისით.

— მერე რას აპირებთ? რა მოსაზრებებია? — იკითხა გლებოვმა, ცოტა არ იყოს, გამომწვევადაც, რადგან მიხვდა: სამიზნე თვითონ არ იყო. იმათაც აუხსნეს, რომ მოხუცთან ლაპარაკი უძნელდებათ, იგი ხელშეუხებლობას ჩვეული კაცია, რომ ძველმა მუშაკებმაც არ ისურვეს მასთან მოლაპარაკება. საქმე კი ითხოვს როგორმე გააგებინონ. მერე იქნებ გვიანაც იყოს. მშობრ ინსტანციამდეც მიაღწევს. ამიტომაც სჯობს მშვიდად, ნათესაურად მოელაპარაკოს და საქმის ვითარება აუხსნას. დაე, თვითონ განჩუქმა ამოიჩიოს თქვენი დიპლომის ხელმძღვანელი. წარმოადგინოს განცხადება რაიმე მიზეზის დასახელებით. ეს ისე, ფორმალურად, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. აი, ეს არის და ეს მადრიდის სამეფო კარის საიდუმლოება. ასე რომ, თანახმა ხართ თუ არა, ამხანაგო გლებოვ, დაეხმაროთ პირველ რიგში საკუთარ თავს?

როგორც გლებოვს მოეჩვენა, საქმე მეტად მარტივი და ნათელი იყო და მაშინვე თანხმობა განაცხადა. აი, სწორედ ამ დღიდან დაიწყო ის თვალთმაქცური გაწამაწია, ასე რომ დააბნია, ჩაითრია და ბოლოს აგრერიგად გააწამა.

ის რომ იცოდეს კაცმა, საქმე როგორ შეტრიალდება! გლებოვი ხომ ყოველთვის მძიმედ მოაზროვნე, არცთუ შორსმჭვრეტელი კაცი გახლდათ. იმ რთული სვლების საიდუმლოება, მერე რომ ასე გამოაშკარავდა, მისთვის მართლაც მიუწვდომელი იყო. თუმცა არც სხვას შეეძლო მაშინ რაიმეს განჭვრეტა. აბა რას იფიქრებდა თვითონ ის დრუზიაევი, ასე გაბედულად და ეშმაკურად რომ შეუდგა გალავნიანი ციხესიმაგრის ძირის გამოთხრას, რომ ზუსტად ორი წლის შემდეგ თვითონვე ყველაფრიდან გამოპანლურებული, დადამბლავებული ფანჯარასთან სავარძელში ჩაჯდებოდა და დაკრუნჩხული, მოცახცახე ხელებით ცოლს დიდი წვალეებით მიანიშნებდა, ერთი სიგარეტი გამაბოლებინეო. და კიდევ მერე, ერთი წლის შემდეგ უკვე ასპირანტი გლებოვი გაზეთში მოკლე განცხადებას წაკითხავდა: „ღრმა მწუხარებით... მძიმე და ხანგრძლივი...“ მარტის თვე იყო. როგორც ჰყვებოდნენ, დრუზიაევის დაკრძალვას რვა კაცი ესწრებოდა. იგი ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა. გამოჩნდა კი თითქოს იმიტომ, რომ რაღაც სასწრაფო მისია შეესრულებინა. მოვარდა, შეასრულა და გაქრა. პირველად, როცა დრუზიაევის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე ფიქრობდა, გლებოვს ეგონა, რომ ეს ყველაფერი მისი დიპლომის წარმატებით დაცვაზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი. თურმე რა გულუბრყვილო ყოფილა! მისი აზრით, მთავარი იყო მოეძებნათ კაცი, ვინც ხელს მოაწერდა ნიკოლაი ვასილიევიჩის ხელმძღვანელობით გაკეთებულ სამუშაოს. წმინდაწყლის ფორმალობა, რადგან იმათ ფორმალური უსიამოვნებებისა ეშინოდათ.

ჰოდა, გადაწყვიტა მეორე დღეს სონიასთან მისულიყო და განჩუქს მოლაპარაკობდა. ერთადერთი, რაც ახლა უხერხულად ეჩვენა და თავიდანვე ვერ გაიაზრა, — როგორ აეხსნა მოხუცისათვის, რაც ასე უხეშად და გაჭრილად წამოაყრანტალა დრუზიაევი. მართალია, სონიასა და გლებოვს ყველაფერი გადაწყვეტილად მიაჩნდათ, მაგრამ მშობლებმა ხომ ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ. როგორღაც შეუსაბამოდ გამოდიოდა: გაემხილა განჩუქისათვის თავისი და სონიას ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დრუზიაევის მიერ შემოთავაზებულ წინადადებასთან ერთად. გლებოვმა ცხადად

იგრძნო ასეთი საუბრის საოცარი უხერხულობა და უტაქტობა. ეს ხომ იმ ვითარების დაჩქარებას ნიშნავდა, რაც თავისი გზით მშვილად და წყნარად უნდა მომხდარიყო.

ჯობს ფეხი მოითრიოს, იქნებ როგორმე მიიფარებოდნენ, იქნებ დაავიწყდეთ კიდევ ან როგორმე თავისთავად მოგვარდეს. ეს ხომ მისი საყვარელი ხერხი იყო, საქმის „თავისთავად მოგვარების“ იმედით მიტოვება.

არც მეორე დღეს წასულა სონიასთან და არც მესამეს, მაგრამ განგებ კა არა, ბევრი მიზეზი და საზრუნავი ჰქონდა. სწორედ მაშინ უფულობისა გამო საშოვარზე დადიოდა, თან არცთუ მაინცდამაინც თავმოსაწონზე. ერთ თავის ამხანაგს დაუწყვილდა და მოსკოვის გარეუბნების ხისსახლებიან ეზოებში შეშას აპობდა. მოგეხსენებათ, ზამთრის პირი შეშის პობის ჟამია. კვლავ ნუგეშობდა, უსიამოვნების გადაწევის იმედით იყო ფიქრობდა, იქნებ ამცდესო. მაგრამ არ ასცდა! შირეიკომ სემინარის დამთავრებისთანავე ჰკითხა: „მოელაპარაკეთ?“ გლებოვმა თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ვერ მიხვდა: „ვის?“ — „აი, თქვენი დიპლომის ხელმძღვანელს, მომავალ სიმამრს“, — „ჰოი, არა, ჯერ არა, არაფერი მითქვამს. როგორღაც არ მომიხერხდა“. — „თუ შეიძლება, როგორმე მოიხერხეთ“, — ცოტა არ იყოს, ცივად მიუგო შირეიკომ. — „სადღაც ხომ უნდა ჩაგწეროთ, ან აქ ან იქ“.

ეშმაკმა უწყის, რამდენ უფლებას აძლევს თავს ეს ასპირანტი! გლებოვი შეშფოთდა, მიხვდა, უკან დახევა რომ არ იქნებოდა, საქმე „თავისთავად“ არ მოგვარდებოდა. დარეკა სონიამ: რა მოხდა? რატომ აღარ გამოჩნდი? გლებოვმა სიმართლე უთხრა, ფულითვის ვმუშაობდიო. ქალი შეწუხდა: „ჯანი ხომ არ გაიგდებიან? ავად ხომ არ გახდი?“

სალამოს გლებოვი სონიასთან მივიდა და დაწვრილებით უამბო დრუზიანებისა და შირეიკოს ამბები. თუმცა ამაზე სულელურს ვერაფერს გააკეთებდა. ნეტა მისგან რა დახმარება იყო მსასალოდნელი? სონია დაიბნა, ჩაიფერფლა, ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— როგორც გინდა, როგორც თვითონ თელი საჭიროდ...

გლებოვმა პირველად მაშინ შეამჩნია სონიას ეს გაოცებით სავსე მზერა.

— იქნებ შენთვის არც უნდა მეთქვა?

— ჰო, იქნებ არც უნდა გეთქვა, — უბასუხა ქალმა და კვლავ გაოცებით მიაჩერდა, თითქოს გაიღიმა კიდევ. — აქ მახეა დაგებული. შენს ადგილზე, იცი, რას ვუბასუხებდი?

— მაინც რას?

— ვეტყვოდი: დაიცავ, ეს ხომ საშინელი უტაქტობაა! თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ ეს მოურიდებელი საქციელია?

— განა არ ვუთხარი, ავუხსენი, — იცრუა გლებოვმა.

— საიდან შეიტყვეს? საერთოდ, ამაზე რატომ ლაპარაკობენ? — ქალს ხმა უთრთოდა, თვალებიც მოენამა. გლებოვმა ხელის მოხვევა სცადა, მაგრამ სონიამ მისთვის უჩვევი სიკეკლუციით მოქნილად აიცილინა ვაჟის გამოწვდილი ხელები, — ხოლო ის, რაც მე და შენ შორის მოხდა, გვეხება მარტო ჩვენ ორს.

— სიმართლე გითხრა, ჯერ საქციელი წამიხდა... მერე ახსნა დავუწყე, ვუმტკიცებდი, — ტყუილებს ბუტბუტებდა გლებოვი, — რომ ეს უპატივცემულობაა...

— შენ უხსნიდი? უთხარი, რომ ეს უსაქმურთა მონაგონია? — სონიამ კვლავ გაიღიმა. — გეუბნები, აქ მახვია დაგებული! არა, დიმა, ეს საშინელებაა! რა საჭიროა ჩვენს ურთიერთობაში მამაჩემის გარევა. აქეთ დედანემსაც დიდი უსიამოვნება აქვს: დოროდნოვმა გამოიძახა და უთხრა, გამოცდები უნდა ჩააბარო. საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი უნდა აიღოს მასწავლებლის უფლების მოსაპოვებლად. დედას ვენის უნივერსიტეტის დიპლომი აქვს, რცი წელია მასწავლებელია. რა სასაცილოა, არა? — სონიამ ხელი მოჰკიდა. — დიმა, მომისმინე: შენ სრულიად თავისუფალი ხარ. როგორც გენებოს, ისე მოიქეცი. თუ ღმერთი გწამს, არავითარი ძალდატანება... ხომ გესმის ჩემი?

გლებოვმა კუშტად დააკანტურა თავი. უზომოდ გაღიზიანებულმა იულია მიხაილოვნამ ვახშმობისას წვრილად წარმოადგინა დოროდნოვთან საუბარი. მოჰყვა, როგორ თავაზიანად, მორიდებულად ესაუბრებოდა დოროდნოვი, როგორ საოცრად პრუწავდა ტუჩებს, როგორი ალერსით მიმართავდა: „საყვარელო იულია მიხაილოვნა“ და რომ საერთოდ თავი ისე ეჭირა, თითქოს თვითონ მას ამ ხრიკებთან საერთო არაფერი ჰქონდა. თითქოს ვილაცები, ბიუროკრატები, უსახელო და უსახო ადამიანები ფორმლობის დაცვას ითხოვდნენ, ისევ ფორმლობა! დოროდნოვი წუხდა, ბოდიშობდა, მაგრამ როცა იულია მიხაილოვნამ შენიშნა, — ჰო, მართალია, სიმამ, გერმანული ენის მეორე მასწავლებელმა, ენგელსის „ბუნების დიალექტიკა“ თავიდან ბოლომდე დააკონსპექტა, მაგრამ გერმანული მაინც ჩემზე გაცილებით ცუდად იცის და სულ მუდამაც ასე იქნებაო, დოროდნოვს უეცრად თვალები დაუმრგვალდა და ხელებიც გაშალა: — იულია მიხაილოვნა, ნუთუ თქვენ უარყოფთ რმ ფაქტს, რომ ენა კლასობრივი მოვლენაა?

იულია მიხაილოვნა სიცილით ყვებოდა, განჩუკიც იღიმებოდა, თუმცა ხანდახან წარბებს ჭმუხნიდა. ვახშამზე სხვა არაფერი თქმულა, გარდა ამ ახალი ამბისა, ამ ანეკდოტური მოთხოვნისა, რომ იულია მიხაილოვნას გამოცდები ჩაებარებინა. იყო ერთი ლაპარაკი, ვარაუდები, დასკვნები. იულია მიხაილოვნამ მსახიობის ნიჭი გამოამჟღავნა, კომიკურად ბაძავდა დოროდნოვს. კუნძიკი აკადემიის ინსტიტუტში მომხდარ რაღაც ამბებს მოჰყვა. იულია მიხაილოვნას და ელფრიდა მიხაილოვნა ანუ დეიდა ელი, როგორც სონია ეძახდა, სრულიად არ ჰგავდა თავის დას. ეს ჩასუქებული, ქერად თმაშეღებილი, საოცრად თავდაჭერებული ქალი ხმამაღლა გულისწყრომით გმობდა ბიუროკრატიზმს. ელფრიდა მიხაილოვნა რადიოში მუშაობდა, ჟურნალისტი გახლდათ. ქალმა ლენინის სიტყვებიც გაიხსენა — ბიუროკრატიზმთან ბრძოლას ათეული წლები დასჭირდება. ამ ბრძოლის გამარჯვებით დამთავრებისათვის საჭიროა საყოველთაო წიგნიერება, საყოველთაო კულტურა. ბიუროკრატიზმი, რა თქმა უნდა, წერილობურუაზიული სტიქიის გამოვლენაა, რომლის დავიწყებაც არ შეიძლებაო. განჩუკის თანდასწრებით დეიდა ელი ისეთი დამრიგებლური, შეუვალი კილოთი ლაპარაკობდა, გეგონებოდა, პროფესორი თვითონ იყო და არა განჩუკი. საერთოდ კი ეს ქალი გლებოვს დიდად არ მოსწონდა. იქნებ იმიტომაც, რომ ამ ქალსაც რაღაცით არ მოსწონდა იგი. — გლებოვი გრძნობდა ამას. იგი ხომ სამაგიეროს იმავე საწყაოთი უხდიდა ადამიანებს. დეიდა ელფრიდა გლებოვის მისალმებას ხან საერთოდ ვერ ამ-

ჩნევდა, ხანაც ქედმაღლურად დაუკანტურებდა თავს. სუფრაზე საუბრისას გლებოვს სიტყვას აწყვეტინებდა ხოლმე. მაინც რითი უყოჩიობს ასე? უხეირო პუბლიცისტი, ვითომდა საერთაშორისო საკითხების მიმომხილველი ჟურნალისტი. გლებოვს ისიც არ უღობობდა გულს, რომ ოჯახში ამ ქალს გმირად თვლიდნენ: ომის დროს ბარსელონაში ორი კვირა კორესპონდენტად მუშაობდა. მერე რატომღაც უკან გამოიხმეს. უთუოდ სიმტერის გამო. უეცრად დეიდა ელიმ იკითხა: — „საინტერესოა, რა წარმოშობის კაცია ეს თქვენი დოროდნოვი? სანაძლეოს დავდებ, პროლეტარულის არ იქნება“.

დოროდნოვის არა ვიცი რა, მაგრამ დრუზიაევი ნაღდად მეწისქვილის შვილიაო, უპასუხა იულია მიხაილოვნამ. „Voilà! მარქსისტულ ფრაზებს აეფარებიან და კაი ბიჭი ხარ და ხელი ახლე...“ მაგრამ საუბარში განჩუკი ჩაერია და, არ შეცდეთო, თქვა — დოროდნოვი ცუდი წარმოშობის არ არის, რკინიგზელის ოჯახიდანაა. საერთოდ კი, ჩემო ძვირფასებო, ეს ყველაფერი არც ისე უბრალო ამბავია. „ნამდვილად იცი?“ — ჯიუტობდა დეიდა ელი.

ვახშმის დასასრულს ყველანი როგორღაც დამშვიდდნენ. დოროდნოვის გამასხარავებაც დამთავრდა, დეიდა ელი და იულია მიხაილოვნა როიალს მიუხსდნენ და ოთხი ხელით დაკვრა დაიწყეს. განჩუკი და კუნიკი კაბინეტში შევიდნენ სამუშაოდ. სონია მაინც სულ სხვა იყო! სხვაგვარად ხედავდა ყველაფერს, ისე არა, როგორც მისი მშობლები. დედ-მამას ჩუმჩუმად დასცინოდა კიდევ. უეცრად გლებოვს წასჩურჩულა:

— იცი, ვინ იყო დედაჩემისა და დეიდა ელის მამა? ვენის ბანკირის ვაჟი, შართალია, უკვე გაკოტრებულის...

ერთადერთი ადამიანი თითქოს სონია იყო, ვისაც სასაცილოდ სწორედ ის ის მიაჩნდა, რომ დოროდნოვს დასცინოდნენ. მის ღიმილს სევდა ახლდა.

მერე, გვიან, სონიას ოთახიდან გამოსულმა გლებოვმა ბნელი სასადილო ოთახი რომ გამოიარა, ფანჯარასთან მდგარი დები დაინახა. ერთი სუსტი, გამხდარი, მეორე კი ჩაიდანზე შესადგმელ თოჯინასავით ჩასუქებული, გავაგანიერი და წვრილთავა. ერთმანეთს ჩახუტებულებს ერთი შალი ეხვიათ, დაბლა მიმობნეულ ნათურების ციმციმს გაპყურებდნენ და, ლამაზი რხევით, წყნარად, ჩუმად ღიღინებდნენ.

მე ისიც მახსოვს, სანაპიროზე მდგარი სახლიდან რომ გადავდიოდით. წვიმიანი ოქტომბერი იდგა. ერთმანეთში იყო არეული მტვრისა და ნაფტალინის სუნნი. მთელი დერეფანი შეკრული წიგნებით, ჩემოდნებით, ტომრებითა და ფუთებით იყო სავსე. მთელი ეს ხარახურა მეხუთე სართულიდან ძირს უნდა ჩაგვეტანა. ჩემთან ბიჭები მოვიდნენ მოსაშველებლად. ვიღაც კაცმა მელიფტეს ჰკითხა:

— ვისია ეს ხარახურა?

— ჰო, ეს მეხუთე სართულიდან არის, — უპასუხა მელიფტემ. გვარი არ დაასახელა, არც ჩემკენ მიუნიშნებია, თუმცა მე იქვე, მის გვერდით ვიდექი. განა არ მიცნობდა, შესანიშნავად იცოდა ყველაფერი. თქვა კი უბრალოდ: „მეხუთედან“. „საით მიჰყავთ?“ — „აბა რა ვიცი, როგორც ამბობენ, „ზასტავის“ იქით.“ ახლაც შეეძლო ჩემთვის ეკითხა და ვუპასუხებდი, მაგრამ არ მკითხა. მე მისთვის თითქოს აღარ ვარსებობდი. ყველა, ვინც ამ სახლიდან გადადის, არსებობას წყვეტს. სირცხვილი მწვაავდა. ასე მეგონა, სამარცხვინო

იყო ყველას წინაშე ჩვენი უბადრუკი ცხოვრების შეგნეულის გადმოლაგება! იმ დიდ ბინაში ბარგი სახელმწიფოსი იყო და იქვე რჩებოდა. პიანინო, შარშან გავყიდეთ, მერე ნოხებიც მივაყოღეთ. რომ იცოდეთ, როგორ მიჩვეული ვიყავი თუნუქის საინვენტარო ნომრებშიკრულ მაგიდებსა და სკამებს, იმ მძიმე, ოთხკუთხა სავარძელსა და ხორკლიან ქსოვილგადაკრულ დივანს, ერთ თავად დეზინფექციის სუნი რომ ასდიოდა! მიჩვეული ვიყავი დაბინდულ შუშებიან კარებს, იმ შპალერებს, ახლა, ფოტოსურათების ჩამოხსნის შემდეგ, გაუხუნარი ადგილები ლაქებად რომ აჩნდა და რალაც ჩაუამებულად, გაშიშვლებულად გამოიყურებოდა. დიახ, ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ვითომ ჩემი, მაგრამ მაინც სხვისი იყო. აი, ვდგავარ ესპანეთის რუკის წინ და ვერ გადამიწყვეტია: წავიღო თუ არა? უკვე შვიდი თვეა, რაც მადრიდი დაეცა. მოგვეშალა მგზნებარე საზრუნავი, ჩამოცვივდა წვრილ-წვრილი ალმები. „წაიღე, — მირჩია ანტონმა. — ნუ წუხარ, კიდევ გამოგვადგება.“ „მე, მე მომეცი,“ — მეუბნება დაუპატიჟებლად მობრძანებული ვადკა გლებოვი. იგი ხომ ზვიგენს მიტმასნილ თევზივით ყველგან თან დასდევს ანტონს. სწორედ ამ დროს ბებია შემოვიდა, რუკას მიათითა და მკითხა: „თუ არ მოგაქვს, მომეცი, კატლეტის მანქანას შევახვევ.“ არა, თან წავიღებ. რუკას ჭიკარტები მოვაძვრე და ჩამოვხსენი. რვად რომ მოვკეცე, კაი სქელზე ბროშურა გამოვიდა, პალტოს ჩიბეშიც კი ჩაეტეოდა. ეს რუკა დღესაც დევს თაროზე, ჩემს წიგნებს შორის. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და ერთხელაც არ გამოიხსნია. საგანი, რომელმაც ამდენი განცდა და მღელვარება შეიწოვა, თუნდაც ბავშვური განცდები და მღელვარებანი, უკვალოდ ვერ გაქრება, ვიღაცას უთუოდ გამოადგება. მაშინ კი, იმ წვიმაში, შეკრულ-შეფუთულ ხარახურასთან, საბარგო მანქანის მოლოდინში...

„ის ბინა როგორია, სადაც გადადიხართ?“ — მკითხა ბატონამ.

„არ ვიცი“, — მივუგე მე.

თუმცა ვიცოდი, ბებიამ მითხრა, ადგილი ძალიან კარგია, პარკიც იქვეა, იქაურობა მწვანეშია ჩაფლული და პაერიც მშვენიერიაო. ეს იყო, რომ ბებიას სამუშაო დაუშორდა ძალიან. ჯერ „ზასტავამდე“ ტრამვით უნდა ემგზავრა, მერე მთელი ერთი საათი ავტობუსით. კარგი ის არის, — ინუგეშებდა თავს ბებია, — რომ ტრამვაისა და ავტობუსში ბოლო გაჩერებაზე, ცარიელ ვაგონებში ჩავჯდები. ჩვენ საერთო ბინის ერთ პატარა ოთახში ვიცხოვრებთ. ოთახი მზის მხარეზეა, ეზოსაკენ. ძალიან კარგი ოთახიაო, მარწმუნებს ბებია. მაგრამ არ გინდა ეს ყველაფერი ვადკა ბატონას მოუყვე, არა ვარ მასთან საუბრის გუნებაზე. რომ იცოდეს, როგორ მაქვს დამძიმებული გული! აი, მოირბინეს ბიჭებმა, ხუმრობენ, ბლლარძუნობენ, მეხმარებიან ბარგის ჩატანაში, მშვენიერ გუნებაზე არიან. ნუთუ ვერა გრძნობენ, რომ იქნებ უკანასკნელადაც კი ვხვდებით ერთმანეთს? ამათ რა ენაღვლებათ, აქვე ერთად რჩებიან. მე კი უცხო ადამიანებთან ახალ ცხოვრებას ვიწყებ. სადღა შევხვდები ასეთ ამხანაგებს: ანტონივით განსაწვლულს, ქიმიუსივით ოხუნჯს, იარიკივით კეთილს? და რაც ყველაზე მთავარია, დიახ, ყველაზე მთავარი და საიდუმლო, სად შევხვდები ისეთ ადამიანებს, როგორიც სონიაა? რა თქმა უნდა, არსად, არსად მთელ ქვეყანაზე. უიმედო ამბავია, ტყუილად გაირჩები. რასაკვირველია, არსებობენ სონიაზე ლამაზი გოგოები, ცისფერთვალება, გრძელთმიანი, საოცარწამწამებიანი მზეთუნახავები, მაგრამ ეს ყველაფერი

სისულელეა. ისინი სონიას ფრჩხილადაც არა ღირან. გაღის წუთები, უკვე ბინდდება, საცაა საბარგო მანქანაც მოვა, სონია კი არსად ჩანს. არა, ეს ხომ ყველამ იცის, დღეს რომ გადავდივარ, დღეს რომ ვშორდებით ერთმანეთს. მაინც რატომ, თუნდაც ერთი წუთით, თუნდაც იქიდან, შორიდან? მაგრამ არა, არა და არა ჩანს. ბატონა კი ჩამცივებია: „რამდენი ოთხი გეჭნებათ? სამი თუ ოთხი?“ — „ერთი“ — ვპასუხობ უმალვე. — „თანაც ულიფტო? ფეხით უნდა იარო?“ — ბატონას სიამოვნებს გამოკითხვა, ღიმილსაც ვერ ფარავს.

მაგრამ აი, უეცრად სონიას მოგვარი თვალი, იქ, ეზოს სიღრმეში, თალის ქვეშ. სწრაფად გადმოჭრა შავი, სველი ეზო და ჩვენი სადარბაზოსაკენ მობრუნდა. „ჯერ არ წასულხართ? რა კარგია! — მოსვლისთანავე თქვა გულამოვარდნილმა. — ეს კი შენ, სახსოვრად“, — მომიბრუნდა და წიგნივით გაზეთში გახვეული ჯიბეში რაღაც ჩამიღო. თან მოღიშარი სახით სხვებს უყურებდა, სხვებს და არა მე.

საჩუქარი სამგზავრო ჭადრაკი აღმოჩნდა, ნახვრეტებიანი, ფიგურების დასამაგრებლად. სწორედ მასთან მინახავს ასეთი ჭადრაკი. მაგრამ ახლა აღარაფერი მახარებს, ჩვენ ხომ ერთმანეთს ვშორდებით. სამუდამოდ! საუკუნოდ! მაინც რატომ ვერ ხვდებიან, რა საშინელებაა: სამუდამოდ? მე კი ერთი სიტყვაც ვერ ამოვთქვი. მივჩერებოდი სონიას ფერმკრთალ, ოდნავ ჭორფლიან სახეს, როგორ იღიმებოდა თავისი კეთილი ტუჩებით, ახლომხედველ, სათნო თვალებში მხიარული სიმშვიდის, თანაგრძნობისა და სითბოს მეტი არაფერი ჩანდა — ყველასათვის...

— აბა ნახვამდის, — ვეუბნები და სონიას ხელს ვუწვდი. მანქანა უკვე მოვიდა. აი, მეძახიან კიდეც. ბებია ფაციფუცობს, ღელავს. ბიჭებმა მთელი ბარგი-ბარხანა სატვირთო მანქანის ძარაზე შევყარეთ. ბებია მძლოლს მიუჯდა. მე და ჩემმა დამ კი მანქანის ძგიდეს გადავალაჯეთ და ბარგზე დავსკუპდით. ჩემს დას კატა ბარსიკა ჰყავდა ჩახუტებული. მადლობა ღმერთს, წვიმა მაგრად ასხამდა და ეზო ცარიელი იყო, არავინ გვიმზერდა, როგორ მივემგზავრებოდით. მხოლოდ შავქუდიანი მელიფტე გამოვიდა სადარბაზოდან, ხელები ზურგს უკან შემოეწყყო და იყურებოდა, მაგრამ არც მე მიმზერდა და არც ჩემს დას, უფრო მანქანას მისჩერებოდა და თავს ძლივს შესამჩნევად აკანტურებდა: არ ვიცი, ჩვენ გვემშვიდობებოდა, რაღაცზე ჩაფიქრებული, საკუთარ აზრებს ეპასუხებოდა თუ სულაც უხაროდა: როგორც იქნაო! თანდათან ვშორდებოდი წვიმისაგან ჩაშავებულ, მოასფალტებულ ეზოს, სადაც ჩემმა ცხოვრებამ გაიარა, ვხედავდი იმ გამქრალი ცხოვრების ამხანაგებს, ხელებს მიქნევდნენ, ახლა თითქოს ისე მხიარულები აღარ ჩანდნენ, მაგრამ არც დიდად მოწყენილები. გოგო კი ვიღაცას უღიმოდა. მივხვდი, ვისაც. დიან, იმას, ვისი ხატორითაც ჩემს გასაცილებლად მოვიდა.

ისე იყო, ზღაპარში გზაჯვარედინს რომ აწერია: პირდაპირ წახვალ — თავს წააგებ, მარცხნივ წახვალ — ცხენს დაკარგავ, მარჯვნივაც რაღაც ამდაგვარი. თუმცა ზოგიერთ ზღაპარში ხომ ასეა: მარჯვნივ წახვალ — განძს იპოვი. გლეზოვი დევგმირთა განსაკუთრებულ ჯიშს ეკუთვნოდა: იგი მზად იყო გზაჯვარედინზე უკანასკნელ შესაძლებლობამდე ეტკეპნა ერთი და იგივე ადგილი, ეყურყუტა მანამ, ვიდრე სასომიხდილი უსულოდ არ დავარდებოდა. დევგმირი-მომლოდინე, დევგმირი-რეზინის მწელავი, ისეთი, თავისით რომ ვერაფერს

წყვეტს და ცხენს ანდობს ბედ-იღბლის გადაწყვეტას. — რა იყო ეს — ზანტი ქარაფშუტობა, იმის იმედად ყოფნა, „ახსნა საიღბანდაც მითუთა“ თუ ცხოვრების წინაშე დაბნეულობა, გამკლმებით, ვინაღუღღუღუღუღად — რაღა იმედი იქნება ხოლმე დიდსა თუ მცირე გზაჯვარედინებას. ახლა, როცა ამდენი წელი გავიდა და ყველა გზა თუ ბილივი ხელისგუღღუღუღა ჩანს. ამ დანუკრულსუღუღუღუღეთის გზაჯვარედინიდან იღანდება რადიც უცნაურად არცთუ მზერა — მზერათი, რომლის გამოცნობა მაშინ შეუძლებელი იყო. ასე აღმოაჩნენ ხოლმე უდაბნოში ქვიშის ბორცვებს ქვეშ დიდს ხნის წინ ჩამარხულ ქალიშვილებს. რომლებსაც მხოლოდ თვითმფრინავით ძალიან შიდად ასვლის შემდეგ ამჩნევდნ და იმასაც მოხაზულობის წყალობით. ბევრი რამ გადაფარა ქვიშებში, სამუდამოდ დაასამარა. რაც მაშინ ცხადი და აშკარა იყო, ახლა იმას თვალი სხედგვარად აღიქვამს, ჩანს საქციელის ჩონჩხი, შიშა მძვლები — მოხაზულობა — ეს შიშის სურათია. მაინც რისი უნდა გვჩინებოდა მაშინ, იმ უჭკუო ყრმობის ეამს? გაუგებარია, ახსნა არ ხერხდება. თუღათი წლის შემდეგ ევლარაფერს ამოქექავ. მაგრამ აი, ჩონჩხი მაინც იღანდება. — რომლის უბრალოდნენ ზანტიკს, სხვა არაფერი. სრულიად არაფერი. და იყო შიში — უბადრუკი, ბრმა, უსახო შიში, როგორც ბნელ მიწისქვეშეთში შობილი არსება. — შიში, ღმერთმა არ უწყის, რისი, შეწინააღმდეგების წინ აღდგომის და ეს ისე ღრმად იყო მიფარებული, იმდენი ტიხრის მიღწა, ისეთი სქელი ფენების ქვეშ. რომ თითქოს ამდაგვარი არც არაფერი იგრძნობოდა.

თითქოს უბრალო გაუგებრობა იყო, უბრალოდ არსიყვარული, მხოლოდ ქარაფშუტული საქციელი. სტადიონზე, პოკვის მატჩის შესვენებობას, ლიოვკა შულეპნიკოვმა, რომლის სანახავადაც გლეზოვი საჯანგებოდ მოვიდა, ბრაზიანად უთხრა: „ნეტა რამი გჭირდება ეს ზანტიკი საერთოდ?“ — „ვითამ რატომ აღარ მჭირდება?“ მაგრამ სადღაც-სიღრმეში, ფუნებქვეშ, სუსტიად გაერთა: რასაკვირველია, არ მჭირდება. შულეპნიკოვი ხელადებით ლაპარაკობდა: „გეუბნები, არა გჭირდება-მეთქი! პო, დამიხრე, სულელი!“ გლეზოვი კი თავიდან იცილებდა, აღარ უნდოდა მოსმენა. საჯანგებოდ უძებდა ლიოვკას, რადიც რომ გაეგო, თან ეს გაგებაც არ უნდოდა. აი, რა უბნედა თავგზას და რა ეჩვენებოდა ყველაზე მნიშვნელოვნად: შეუძლია თუ არა აღმოიხსნ იმის შეცნობა, უყვარს თუ არა? რატომღაც სხვისა მტკიცედ იცნა: უყვარსო. სხვისა უყოყმანოდ იცნოდა. მაგრამ თვითონ მას? დიხ, ამისს წარქვევა იყო საქირო, ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, რამეთუ გზაჯვარედინზე იდგა, ზანდაზან ეგონა, რომ უყვარს, თანაც მტკიცედ, ქვიშარიტად წაღდა, რომ ერთი-ორი დღის გაძლებაც კი უჭირს უმისოდ, მაგრამ ზოგჯერ ისიც შეუძნევიან, რომ მთელი საღამო არ გახსენებია.

პოდა, უეცრად გონს რომ მოეგებოდა და სონიან ვაიხსენებდა, წაცულულუტარ მოწაფესავით საკუთარ თავს ტუქსავდა: „ასე რატომ ვიქცევი? ეს არ არის კარგი!“ მაშინვე შეეძლო გახიენოდა ცხოველი-სურვილი ზოგორმე ჩქარა ენაბა და ისიც რეკავდა, გარბოდა, უთაზმდებოდა, სად და როგორ შეხვედროდა. იმ ზამთარს კინოსტუდიის გამნათებელი პავლიკი დემბო დაუშვებოდა და მართლაც მთავარად შეუწყო ხელი. დემბოს ხარკონიევის შესახვევში ბინა ჰქონდა და გასადებს აძლევდა. ასე რომ, ბრუსკოვოში სიარული, იმდენ ღროსა და ძალას რომ ითხოვდა, უკვე საქირომ აღარ იყო. იმ მეორე ზამთარს აღბათ საბრუსკოვოდ გზებდაც აღარ ეყოფოდა. მართლაც

საშინლად ძნელი იყო აქეთ-იქით წანწალი. მთელი დღე სჭირდებოდათ, უფრო ხშირად ღამის თევით მიდიოდნენ. ხარიტონიევსკაზე კი მხოლოდ ორი საათი ეკარგებოდათ. მართალია, ბრუსკოვოში ყველაფერი სხვაგვარად იყო. იქ ეჭვები არ აწამებდა: რა მომდის, რა მემართება? პავლიკას ბნელსა და უხვირო პატარა ოთახში ერთთავად საქმლის, ბორშჩის სუნი ტრიალებდა, ქვემოთ სასადილო იყო და სუნი იატაკის ფიცრებს შორის ამოდებოდა. ხანაც კი, როცა სასადილოში ტარაკანებს ებრძოდნენ, დეზინფექციის სუნად ყარდა იქაურობა და ტარაკანების შემოსევის საშიშროებაც არსებობდა. სწორედ ამ სხვისი, მარტოხელა ვაკის ბუნაგში გლებოვმა პირველად იგრძნო მერყეობა, ვერ გაეგო საკუთარი თავისა, უბრალოდ რომ ეთქვათ, რაღაც აუხსნელი სევდა იპყრობდა. უეცრად რაღაც ემართებოდა, აღარ სიამოვნებდა ალერსი, ქალის შეხება, თვით უბრალო სიტყვებიც კი, განზე გადგებოდა, მოიღუშებოდა, ეს გრძნობა უნებურად იმორჩილებდა და შეწუხებული გუნებაში ფიქრობდა: „განა სიყვარული შეიძლება ასე უეცრად, ერთ წამში გაქრეს? მაშასადამე, ეს არ არის სიყვარული, ეს რაღაც სხვაა“. რა თქმა უნდა, სულელი იყო, ლაწირაკი, მაგრამ როცა სხვა რაღაც მნიშვნელოვნისკენ ილტვოდა, მაშინ სულელი არ იყო. ვინ იტანჯავს თავს იმის ამოცნობაზე, ჭეშმარიტად მიყვარს თუ არაო? უმრავლესობა ამის ამოცნობას სხვებში ცდილობს. გლებოვი კი ჯიუტად აკვირდებოდა საკუთარ თავს. მართალია, გამოცდილებით არ იცოდა, მაგრამ ხვდებოდა ან სულაც რომელიღაც ბრძნულ წიგნში ჰქონდა ამოკითხული: არაფერია ცრუ სიყვარულზე აგებულ კავშირზე უფრო ვერაგი. მას მოაქვს უბედურება, დალუბვა ანდა უფერული, გაჭიანურებული, უმიზნო ცხოვრება, რომელსაც სიცოცხლესაც ვერ დაარქმევ. მაგრამ აბა როგორ გამოიცნოს? გლიბ ვს ერთი ფარული სამარცხვინო ამბავიც აწუხებდა. ხარიტონიევსკაზე ზოგჯერ ისეთ ნეტარებას ვერა გრძნობდა, როგორსაც ბრუსკოვოში ხანგრძლივი დამქანცველი მონღოლების მიუხედავად ხანდახან საწადელსაც ვერ აღწევდა. მისი სიბრაღულით სონია ღამის ტიროდა, ვერაფერს მიმხვდარიყო, რა ემართებოდა, რა ხდებოდა. ეჩვენებოდა, რომ დამნაშავე თვითონ იყო. ყოველთვის და ყველაფერში სონია საკუთარ თავს ადანაშაულებდა ხოლმე. — „შენ სხვა ქალი გინდა!“ გლებოვი, რა თქმა უნდა, თავგადაკლული უარყოფდა, მაგრამ გულის სიღრმეში ეთანხმებოდა...

ან იქნებ არც იყო ასე! ხარიტონიევსკის შესახვევში ხომ სხვაგვარი წუთებიც ყოფილა. აი, რაშიაც დაეჭვება არ შეიძლებოდა, ეს სონიას სიყვარული და კეთილშობილება იყო. მაშინ კი სულელს ეს ყველაფერი ეცოტავებოდა. სონიას კიდევ სხვა ნიჭიც ჰქონდა. ფიქრისა და გრძნობის დაფარვა არ შეეძლო, არა, სხვებთან შეეძლო ეშმაკობა! და მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან დამტკბარიყო დაუნდობელი გულახდილობით. ერთხელ ისიც კი უამბო, ისა და კუნიკი კინალამ ჭკუაზე რომ გადავიდნენ. როგორ ატკინა გული იმ ღამით. მაშინ თვრამეტი წლისა იყო, ომი მთავრდებოდა, ზაფხული იდგა და ბრუსკოვოში იყვნენ. ელექტრომატარებლები შეფერხებით დადიოდნენ და ისა და კუნიკი აგარაკზე მარტონი აღმოჩნდნენ. ღამით ჭექა-ქუხილი ატყდა. სულ ახლოს ისმოდა მეხის გრუხუნის, ირაგვლივ ყველაფერს ტკაცატკუცი გაუდიოდა, აივნის მინები ჩაიმსხვრა და თქვენი შიგ ასხამდა. მეხის გრიალზე მშიშარა სონია თითქოს გონებას კარგავდა. ჰოდა, მაშინაც სწორედ ასე დაუბნელდა გონება და კუნიკს შეუფარდა ოთახში. კუნიკს ეძინა, ისედაც ყურს აკლდა

და მეხის გრუხუნნი არ გაუგონია. შეშფოთებული სონია რომ დაინახა, დამ-
შვიდება დაუწყო, დივანზე დააწვინა, საბანი შემოუფუთნა. მაგრამ ახლა
თვითონ დაკარგა ჭკუა, მხოლოდ სულ სხვა მიზეზისა გამო. მეხით დაზაფრულ
სონიას ციებიანივით აკაწკაწებდა, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ „ქუნიკი“ შეიშა-
ლა. რაღაც სისულელეებს რომავდა და რატომღაც ერთსა და იმავეს მხერგე-
ბდა: „დედაშენი და დედაჩემი“... სონიას არც კვილის თავი ჰქონდა და არც
ხელის განძრევა შეეძლო, მეხის გრუხუნმა ერთიანად გააშეშა, ყმაწვილი კი
საკუთარ თავს ვერ მორეოდა. მოიკუზა, იატაკზე განერთხო. მერე მიბობლება
და დივანზე ასვლა სცადა. სონიას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საშინელ
სიზმარს ხედავსო: ყოველი მოძრაობა დიდ ძალას ითხოვდა. მაგრამ როცა გვერ-
დით მისი სუნთქვა იგრძნო და მკლავებიც მოხვია, მაშინვე ხელი ჰკრა. კუნიკი
იატაკზე გადავარდა და ნაცემი ძალღივით უხმოდ უკან წაფორთხდა. ქალმა
ენით უთქმელი წამება იგრძნო: თითქოს სილა გაეწნას! და მერე ვისთვის,
კეთილი, უღონო, ახლობელი ადამიანისთვის, რომლის მთელი დანაშაული
მხოლოდ ის იყო, რომ ჭკუიდან გადავიდა. სონია იტანჯებოდა, არ იცოდა რა
ექნა, როგორ გამოესწორებინა ეს საშინელი ამბავი. ახლა თვითონ კუნიკი
რა დღეში იქნებოდა? მისი სიბრალოელითა და საკუთარი სინდისის ქენჯნით
შეწუხებული სონია ყველაფერზე მზად იყო... მაგრამ, რასაკვირველია, არც
დილით და არც შემდეგ აღარასოდეს ეს ღამე აღარ უხსენებიათ. თითქოს არც
ყოფილიყო.

— რას დადუმებულხარ? — ჰკითხა სონიამ და კოცნა დაუწყო. გლებოვი
მონაყოლმა, ცოტა არ იყოს, განაცვიფრა, მაგრამ არც იმდენად, მსჯელობის
საგნად ექცია.

— მაინც რა ვქნა? დღეულში გამოვიწვიო?

ქალი ჩუმად ატირდა, თან თითქოს იღიმებოდა კიდევ: — არა! არა!
არასოდეს, არავითარ შემთხვევაში... უბრალოდ, არავისთვის მიაძვნიო, მხო-
ლოდ შენ...

ამ ამბის განდობა, — თუმცა არც არაფერი მომხდარა, — სონიასათვის
გმირობა, განწმენდა იყო. არ უნდოდა რაიმე დაფარული ჰქონოდა, თუნდაც
ერთი მისხალი. ან კი რა იყო დასაფარი! ამ ოცდაორი წლის ქალს გულში
არაფერი ჰქონდა ჩამალული, მალავდა მხოლოდ მეგობარი გოგოების სურვი-
ლებს, გულისნადებს, სხვათა სატანჯველს, მას რომ უზიარებდნენ და რჩევასა
თუ დარიგებას სთხოვდნენ. სონიაც ურჩევდა. მაგრამ როცა ეს ქარიშხალი
მას დაატყდა თავს, კრინტიც არ დაუძრავს, არავისთვის გაუმხელია. ის პრან-
კიკელა თანაკურსელი გოგოები, ერთ დროს რომ ასე მოისწრაფოდნენ მის
ოჯახში, ასე ეტანებოდნენ სიკეთეს, აკადემიის განმანაწილებლიდან მოტანილ
ტორტებს, ახლა პირწმინდად გამქრალიყვნენ. სონიას აღარავისათვის ეცალა,
არავინ სჭირდებოდა. და განა გულქვაობის, ეჭვიანობის ან პატივმოყვარული
სიხარბის გამო, არა, უბრალოდ, სონიას მთელი არსება გლებოვით იყო სავსე
და სხვისთვის ადგილი არა რჩებოდა. მაინც როგორ შეიძლებოდა ასეთი გო-
გოს გაუბედურება? სონიას ელოდა საშინელება: სიყვარული უსიყვარუ-
ლოდ...

მაგრამ მთელი ამ სულშემძვრელი ამბების მიღმა ფარულად ლიცილიცე-
ბდა — მაშინ უსახური, ახლა უკვე გამოკვეთილი — შიშის ჩონჩხი, საზარელი
ჩონჩხი. აი, რა იყო ქეშმარიტი. თუმცა ეს მოხდა შემდეგ, შემდეგ! ათეული

წლების შემდეგ, როცა ყველაფერი კარგა ხნის წალეკილი და დასამარებული იყო, როცა ვერაფერს გაიგებ, თუ საფლავი არ გათხარე და გვამი არ გაკვეთე, ან კი ვინ ისურვებს ამ ჯოჯობეთური გათხრების ჩატარებას — აი, შემდეგ უეცრად გრიფელივით რუხ სიბნელიდან ჩონჩხი გამოიკვეთა.

ინსტიტუტში უთხრეს: „ხუთშაბათს უნდა დაესწროთ და სიტყვიერად გამოხვიდეთ!“ როცა გლებოვმა უეცრად მოისაზრა და ტყუილის თქმა დააპირა, ვითომ შინ ვილაც ავად პყავს, პასუხი ასე შეაწყვეტინეს: ეს სავალდებულოა და უფრო მეტიც. მაშინ კი მიხვდა, რომ შეცდა. არ იყო საჭირო წინასწარ უარის თქმა, ვილაცის ავადმყოფობის მომიზეზება. იმეტომ რომ, თუ ეს დასწრება სავალდებულოა და უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში შენც ზომები უნდა მიიღო, დაიხმარო ნათესავეები, გამოიძახო მომვლელი, თავი გაინთავისუფლო, მაგრამ აი, თუ ავადმყოფობა, — იქამც იყოს, — უეცრად ჩაგაგდებს, ვთქვათ, ოთხშაბათს... მაგრამ ახლა საქმეს აღარაფერი ეწყობოდა. უსათუოდ მოვალე, უთხრა, თუმცა თავისივე სიტყვების თავადვე არა სჯეროდა. მისთვის ეს ამბავი გამორიცხული იყო. „თქვენ კიდევაც უნდა დაესწროთ და სიტყვიერად გამოხვიდეთ! მოკლედ გაიმეორეთ თუნდაც ის, რაც ჩვენ გვითხარით. განსაკუთრებულს არაფერს გთხოვთ... მხოლოდ რამდენიმე წვრილმანს, მაგრამ აუცილებლად... უამისოდ არაფერი არ გამოგვივა...“

ეს სიტყვები ლურსმანივით ჩაეჭვდა გონებაში. ერთთავად ამაზე ფიქრობდა, ამას იმეორებდა, თანაც იმ კილოთი, როგორაც დრუზიაევმა წარმოთქვა, ცდილობდა გამოეცნო: ეს მუქარა იყო თუ სინამდვილის დადასტურება. ვის ეხებოდა იგი, განჩუკს, მას თუ აღმინისტრაციას? ვის არ გამოუვა არაფერი? რამდენიმე დღის წინ დრუზიაევთან და შირეიკოსთან საუბრისას გლებოვმა ის საცოდავი პატარ-პატარა ბიუსტები ახსენა, განჩუკის კაბინეტში წიგნების კარადის თავზე რომ ელაგა. იმ შეკრებაზე სწორედ ეს ორი კაცი იყო ორმოს მთავარი გამთხრელები, დანარჩენი მასწავლებლობა როგორღაც უოყმანით, ნაძალადევად ემორჩილებოდა ან სულაც ჩუმად, თავისთვის ბუზღუნებდა. დრუზიაევმა მოლიმარი სახითა და უწყინარი ხმით სთხოვა: „ვადიმ, თუ შეგიძლიათ, აგვიწერეთ ნიკოლაი ვასილიევიჩის კაბინეტი. რა წიგნები აქვს, რა სურათები და ფოტოები ჰკიდია კედლებზე?“ ეს იყო ერთგვარი სიტყვიერი ჩხრეკა, ისევე როგორც არსებობს სიტყვიერი პორტრეტი. გლებოვმა ზოგიერთი წიგნი და ფოტოსურათი შეგნებულად არ დაასახელა, თუმცა მშვენივრად ახსოვდა. მაგალითად, სამოქალაქო ომის დროინდელი ფოტოსურათი, რომელზედაც განჩუკი და დემიან ბედნი იყვნენ ალბეჟდილნი, „ბუდიონოეკები“ რომ ეხურათ. არც ლოზოვსკის წარწერიანი სურათი უხსენებია. მაშინ ლოზოვსკი ჯერ კიდევ მაგრად იდგა, მაგრამ გლებოვმა წინდახედულება გამოიჩინა. აი ის, ჭერქვეშ ჯარისკაცებივით გამწკრივებული თაბაშირის ბიუსტები კი ახსენა, როგორც სანახევროდ ანეკდოტური წვრილმანი. მაგრამ ასპირანტი შირეიკო თითქოს განრისხდა და მკაცრი ხმით ჰკითხა: — „საინტერესოა, რომელი ფილოსოფოსები უწყვია პროფესორ განჩუკს თავისი წიგნების კარადის თავზე?“ გლებოვს ყველა ფილოსოფოსი არ ახსოვდა, იქ რვა ფილოსოფოსის ბიუსტი იდგა. გაიხსენა პლატონი, არისტოტელე, მგონი, გერმანელთაგანაც არისო რომელიღაც, კანტი თუ შოპენჰაუერიო, თქვა.

— მატერიალისტური მიმართულების ფილოსოფოსები არ გაგონდებათ?

გლებოვმა მესხიერება დაძაბა, გაიხსენა:

— მგონი, სპინოზაც უნდა იყოს, კარგად არ მახსოვს.

— ჰო, ბორუხ სპინოზა! რასაკვირველია, — წარმოთქვა შირეიკომ, — მაგრამ სპინოზა არ არის ჭეშმარიტი მატერიალისტი. აი, ანტიჭეშმარიტ მატერიალისტები, ვთქვათ, დემოკრიტე, პერაკლიტე, არ გაგონდებოდათ? იქნებ, ფრანგებიდან გაიხსენოთ ვინმე? ან ჰეგელი? ლუდვიგ ფეიერბახი?

გლებოვი მიხვდა, სულელურად რომ გაება. დასწყევლოს ეშმაკმა, ვინ იცის, ამ პაწაწა ბიუსტებს რა კუდი გამოაბან. ჰოდა, დაიჩემა: არ მახსოვს, არ მაგონდება. იქნებ არის კიდევცო. მერე ის ჰკითხეს, დიპლომზე მუშაობისას რა ხელმძღვანელობას უწევს განჩუკი, რა რჩევებს აძლევს, რა რეკომენდაციებსა და შენიშვნებს. მეთოდოლოგიაში ძველი ცოდვების გამოძახილი ხომ არ იგრძნობა, კერძოდ, პერევერზევიშჩინისა? გლებოვი გადაჭრით უარყოფდა. მაგრამ ისინი არ ეშვებოდნენ. კლასობრივი ბრძოლის არასრულად გათვალისწინება? ქვეცნობიერის მეტისმეტი შეფასება? შენიღბული მენშევიზმი? იმ თუჯის ჩაქვებივით ბრალდებებს, ასე ძალად რომ უპირებდნენ შებმას, გლებოვი გააფთრებით იცილებდა, გრძნობდა, თუ შეაბამდნენ, წაიქცეოდა. თანაც პროფესორთან ერთად. მაგრამ როცა აღამიანს ასე გულით სწადია შენგან გაიგოს რაღაც, ძნელია ნახევარი ნაბიჯი არ გადადგა მისკენ, რაიმე არ დაგცდეს, თუნდაც იმ რაღაცის ნამცეცი.

— გლებოვ, თქვენ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებით. განა ახლახან არა თქვით...

— რა ვიცი, იქნებ მეტად მცირე... მინიმალურად მცირე... ამისთვის მნიშვნელობა არ მიმიცია...

დამშვიდობებისას დრუზიაევმა ვითომდა ხუმრობით. — თუმცა კი ხან პროკურორით იჭმუნებოდა, ხან იცინოდა თუ ქირქილებდა, მაშინ როცა შირეიკო წამითაც არ მომბალა და ფოლადის თვალებით ბურღავდა — სთხოვა ისე, სახარხაროდ, გასართობად დაეზუსტებინა იმ ბიუსტების შემადგენლობა, სახელდობრ, ვინ იყვნენ. გლებოვი შეპირდა, თან გუნებაში ფიქრობდა: რა სისულელეა! რა კრეტინიზმი. მაინც რა უნდა გამოადნონ იმ ბიუსტებისგან? ეტყობა, მთლად კარგად ვერ ჰქონიათ საქმე, თუ ასეთ „ფშუტოს“ ეჭილებიან. „ფშუტო“ პაშა დემბოსაგან შეძენილი სიტყვა იყო, რაც ყარგონზე ფუყეს, სისულელეს, არარაობას ნიშნავდა. უეცრად შირეიკო დრუზიაევს მიუბრუნდა და საკმაოდ უხეშად მიმართა: „ვიკენტი ვლადიმიროვიჩ, უნდა შეგეკამათოთ. დიახ, ეს საჭიროა არა სახარხაროდ, გასართობად, არამედ ჭეშმარიტების დასადგენად. ხომ უნდა გავიგოთ, ჭეშმარიტ კერპებად ვინ მიაჩნია. ეს ფუჭი ცნობისმოყვარეობა როდი გახლავთ.“ ჰოდა, დრუზიაევიც, ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე, როგორღაც აწრიალდა, შეცბა ამ ასპირანტის წინაშე: „არა, არა! რა თქმა უნდა, იური სევერიანოვიჩ! მე სავსებით ვიზიარებ...“

გლებოვი შიშმა აიტანა, თან ერთი სული ჰქონდა გაეცინა. კერპებიო! რა ამბით ლაპარაკობენ ამ ნაღდ სისულელეზე. იმ კერპებისათვის ალბათ, ერთი ოცი წელია ჩვარიც არავის გადაუსვამს: ყრიან იქ, იმ სიმაღლეზე და კაცმა არ იცის, რომელი რომელია. კეთილი, რაღაი ასე აინტერესებთ, ამასაც გაიგებს.

მერე, ერთ საღამოს, განჩუკებთან ჩაის სმისას უეცრად მოხუცმა სხვათა

შორის ჰკითხა: მართალია ის ამბავი, რექტორატში რომ გაიგონა, თითქოს გლებოვს დიპლომის ხელმძღვანელის შეცვლა სურდეს?

— რაო, რაო? — ჩაეკითხა გაოცებული იულია მიხაილოვნა. — დიპლომის ხელმძღვანელის შეცვლა უნდა? ესე იგი შენიშვნა შეხანიშნავია? მე და ჩემმა ღმერთმა! — ქალს გაეცინა.

— ამ ამბავმა მეც გამაცინა.

— რაც მთავარია, კარგი დრო შეურჩევია.

— ჭეშმარიტად, დრო კარგად არის შერჩეული, — დაუდასტურა ქმარმა. — პო, მართლა, შაბათს თუ კვირას გამოქვეყნდება შირეიკოს წერილი სათაურით „უპრინციპობა, როგორც პრინციპი“. უზარმაზარი სტატია ყოფილა. შირეიკო ჩვენი ასპირანტია, ერთი ვიგინდარა ვინმე, შენ არ იცნობ იმას.

— წერილი ვის ეხება? — შეშფოთებულმა იულია მიხაილოვნამ პირზე ხელი მიიფარა.

— რასაკვირველია, მარტო მე არა, მაგრამ მთავარი მაინც მე ვარ. ლაზიერი! გაბერილი და, რაც განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, უპრინციპო.

— ვაი, ვაი... — კვნესოდა იულია მიხაილოვნა. ფერწასული სონია გლებოვს თვალებით ჭამდა. გლებოვი გაშეშდა, არც განძრევა შეეძლო და არც კრინტის დაძვრა.

— დაწვრილებით არ ვიცი, — განაგრძო განჩუქმა, — მე ხომ წერილი არ წამიკითხავს. მგონი, რაღაც დაუძლეველ მენშევიზმზეა ლაპარაკი, რამაც, მართალი ვითხრათ, ძალიან გამაოცა, იმიტომ რომ მთელი ჩემი სიცოცხლე სწორედ მენშევიზმს ვებრძოდი: ერთმანეთს როგორღაც ვერ მიუსადაგეს, ჩემს ბიოგრაფიას ცოტათი მაინც უნდა გაცნობოდნენ. ერთი სიტყვით, ზოგადად და მთლიანად...

— თქვენ რატომ დუმხართ, დიმა? — წამოიყვირა იულია მიხაილოვნამ და ხელისგული მაგიდას დაარტყა.

— მე არ ვიცი... სონიამ ვითხრათ... — თავისთვის წაიბურტყუნა, სუფრიდან წამოდგა და სონიას ოთახში გავიდა, თითქმის გაიქცა.

სონიას შემოსვლა კარგა ხანი დაავიანდა. აფორიაქებული გლებოვი ბოლოთას სცემდა, კუთხიდან კუთხეს, ეტაჟერიდან ეტაჟერს აწყდებოდა, ზედინზედ ეწეოდა. საკუთარ თავს კიცხავდა, რატომ განჩუქს ყველაფერი აღრევე არ განვუცხადეო. ესეც განგებ გააკეთეს, განჩუქს რომ გააგებინეს. მოხუცისათვის ხომ ეს ამბავი სრულიად მოულოდნელია. გააკეთეს მხოლოდ იმიტომ, რომ იძულებულმა გლებოვმა განჩუქთან წინასწარვე გაწყვიტოს კავშირი. მაშინ რას, იზამენ ბრაწი რომ უჩვენოს? რაღაცას მოეჭიდოს, დაეყრდნოს? მაინც რა საფუძველზე? ვინ მისცათ უფლება?

ოთახში სონია შემოიჭრა და გლებოვს მივარდა.

— დიმა! რა ცუდად გამოიყურები! — თქვა ქალმა და მხარზე ხელი დაადო. ეს იყო საოცრად მოწაფური, პიონერული, გამამხნევებელი ქესტი. — როგორ გრძნობ თავს? რა ფერმკრთალი ხარ. ჩვენებს ყველაფერი ავუხსენი... — დაზაფრული სონია გლებოვს მისჩერებოდა. გლებოვი კი გააოცა სონიას სახის უსიცოცხლო სითეთრემ და მხარზე დადებული ხელის ცახცახმა.

— მამაჩემი მაშინვე მიხვდა. დედა ჯერ ვერ გაერკვა, მაგრამ მერე ისიც მიხვდა და თქვა: „ჰო, შესაძლებელია, იქნებ მართალიც იყო...“

— შენ რაღა უთხარი ჩვენზე?

— ჰო, ყველაფერი ვთქვი. იმ საუბარზეც, იმ საზიზღარ მანქანებზეც, ისიც ვუთხარი, მე რომ გამენდე, რჩევა მოხოვე და ვერ კი შევძებლო... არა, რომ არ მინდოდა რჩევა მომეცა...

მერე ოთახში აჭარხლებული და ოდნავ დაბნეული განჩუკი შემოვიდა.

— გავიგე, მიპატიებია... თუმცა აღარ ვიყბედებ, გაგება იგივე პატიებაა... ისე კი შემდგომისათვის ასეთი რამეები აღრევე უნდა იცოდეს კაცმა...

განჩუკი მოეხვია გლებოვს, მხარზე ხელი მოუთათუნა. სონია ცრემლებს იწმენდდა. სამთავე აღელვებული ჩანდა, მაგრამ ყველა თავისებურად. თითო სირჩა კაპორი გადაეკრათო, შესთავაზა განჩუკმა. მოხუცს ყოველთვის ედგა ბუფეტში ეს მეტად ტკბილი სასმელი. გაიხსენა, რომ მის პაპას, აწ გარდაცვლილ დედის მამას, სოფლის მღვდელს, ძალიან უყვარდა ეს ეგრეთ წოდებული საეკლესიო ღვინო — ზედაზე და ქალიშვილსაც შეაყვარა. ასე რომ, კაპორი განჩუკს ბავშვობას აგონებდა, ჩერნიგოვის მიყრუებულ შუკას, კომოდის სუნს, ფიცრის იატაკებს, შებინდებისას ატეხილ ძროხის ბლავილს. და თუმცა გლებოვი ვერ იტანდა ამ საზიზღარ სასმელს, რა თქმა უნდა, მაშინვე დაეთანხმა.

დიდ ოთახში დაბრუნებულმა იულია მიხაილოვნას განუცხადეს, კაპორის დაღვევის გუნებაზე ვართო. იულია მიხაილოვნა გაუწაფავი ხელებით სუფრიდან ჩაის ჭურჭელს ალაგებდა — ვასიონა საერთოდ აღრე წვებოდა და სალამოს ტრაპეზს უმისოდ უძღვებოდნენ. იულია მიხაილოვნამ საქმის შეუწყვეტლად უპასუხა, საშინალი Kopfschmerz-ი მაწუხებსო. მერე ჭუჭყიანი ჭურჭლით ახობოლავებული ლანგარი გაიტანა და აღარც დაბრუნებულა. ვინ იცის, იქნებ მართლა Kopfschmerz-ი აწუხებდა. გლებოვისათვის ერთხელაც არ შეუხედავს. უცნაური ის იყო, რომ თავი ისე ეჭირა, თითქოს სონიას არაფერი ეთქვას, თითქოს ახალი არაფერი გაეგოს.

განჩუკმა ახლა უკვე როგორც შინაურ კაცს აუხსენა, თუ რატომ ატყდა მის წინააღმდეგ მთელი ეს ორომტრიალი. საქმის ასეთ შემოტრიალებას არავინ ელოდა. რა თქმა უნდა. უმიზეზოდ არა: იგი გამოექომაგა, დაიცვა ასტრუგი, როდიჩევსკი და კიდევ რამდენიმე კაცი, რომელთაც დაუშვებელი ხერხებით აკრიტიკებდნენ. როცა ადამიანებს დაუმსახურებლად ამცირებენ, მას არ შეუძლია განზე გადგეს და პირში წყალი ჩაიგუბოს. დოროდნოვს კი — რომ იცოდე, სწორედ ეს დოროდნოვი გახლავს მთელი ორომტრიალის წამომწყები, — იმედი ჰქონდა, განჩუკი, როგორც ეს ოლიმპიელს შეეფერება, ხმას არ ამოიღებდა. ის ხომ ოლიმპიელია, წევრკორი. მაგრამ თავშეკავება არ ეყო. თუმცა სწორედ მისი ანკესზე წამოგება იყო გაანგარიშებული: პოდა, ისიც წამოეგო, ჩაება, წერდა წერილებს, ინსტანციებშიც რამდენჯერმე საგანგებოდ მივიდა ამ საქმის გამო. ერთი სიტყვით, გაჩაღდა ომი... ან სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა? ბოროთი ასტრუგი ხომ მისი მოწაფეა. როდიჩევსკი კი სულაც ღვთით ბოძებული დიდი ნიჭით დაჯილდოებული კაცი... არა, მათი სამუშაოზე აღდგენის იმედი არა ჰქონდა, აქ ისინი ვედარასოდეს მობრუნდებიან, მაგრამ ის ლაქა ხომ მაინც უნდა ჩამორეცხოდათ? მლიქვნელები, უგვაროები, ასეთ-ისეთები, ერთი სიტყვით, რას აღარ

ეძახდნენ, რას არ ჩმახავდნენ. ბორია ასტრუგი მთელი ომი მებრძოლი ოფიცერი იყო, ორდენები დაიმსახურა. რა მლიქვნელობაზეა ლაპარაკი, რაც შეეხება შეცდომებსა და მცდარ შეხედულებებს, იქნებ აქვე კიდევ გორკიზე დაწერილ იმ წიგნში, ასე ვთქვათ, მეთოდოლოგიური ლაფსუსები, მაგრამ მერე რა? უშეცდომო ვინ არის? იმავე დოროდნოვმაც ხუმრობა დაიწყო: „მაბილონის გოდოლები აახოხოლავა რომანტიზმზე დაწერილ წიგნებში!“ მაშინ როცა მთელი წიგნი ყოველად ფშუტე რაღაცაა. ყველაფერი აქეთ-იქიდანაა ნაქაფი. მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ მტერია. დიახ, განჩუკმა იცის, როგორ უნდა მტრების ჩეხვა. ხელი არ უთრთოდა, როცა რევოლუცია ბრძანებდა — დასცხეო! ჩერნიგოვოში, ვიდრე სასწავლებლად წავიდოდა, გუბჩეტან მუშაობდა საგანგებო დანიშნულების რაზმში. განჩუკის გვარის გაგონება მტრებს შიშს გვრიდა, იმიტომ, რომ ურყევი და შეუბრალებელი გახლდათ. სწორედ მაშინ უკვე მძიმედ ავადმყოფმა მამამ ერთი ნაცნობი მღვდლის შეწყალება სთხოვა. მღვდელს ბანდასთან კავშირი ბრალდებოდა და მამას თხოვნა ვერ შეუსრულა. ბანდიტებთან ერთად იქნა განადგურებული, ის ცხვრის ტყავში გახვეული მგელი, ვის სინდისზეც წითელარმიელების სისხლი იყო. მაგრამ მშობელ მამასთან კი სიკვდილის დღემდე შეურიგებელი განხეთქილება მოუვიდა. აი, როგორ წყდებოდა მაშინ საკითხები. აქ კი? მაინც ვის განადგურებას აპირებს ამხანაგი დოროდნოვი? ამას თურმე უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა. ისევ და ისევ გაოცებას გვვრის მარქსის გენიალობა, რომელსაც ყველა მოვლენაში, ცხოვრებისეულ ყოველ ფაქტში დიალექტიკური და კლასობრივი არსის დანახვა შეეძლო. სწორედ ეს უნდა ისწავლოთ, ჩემო კარგო, დიმა, უნდა ისწავლოთ, რომ მტკიცედ იდგეთ ფეხზე. ოციან წლებში დოროდნოვს კაი მაგრად მოხვდა, მაშინ, ასე ვთქვათ, თანამგზავრი და უპარტიო იყო, რა თქმა უნდა, თხზავდა უაზრო, უგვან რაღაცებს ეს წმინდაწყლისა წვრილბურჟუაზიული ელემენტი, დროც შესაბამისად შენიღბული. ეს ის დრო იყო, როცა ზედიზედ ყალიბდებოდა კოოპერატიული და კერძო გამომცემლობები, დაჯგუფებები, გაურკვეველი პლატფორმის მქონე პატარ-პატარა ჟურნალები. აი, მაშინ უნდა გაგვენადგურებინა, მაგრამ არ გავანადგურეთ. გაგვიძვრა, ტყავი იცვალა, როგორც ბევრმა სხვამ, გალხვა, გაითქვიფა, რომ მერე უკვე სახეშეცვლილს ამოეყო თავი. ნამდვილი ანეკდოტია: იგი მასწავლის მარქსიზმს, ეს გამოუმცხვარი გიმნაზიელი, ფარულ კადეტური თუ ახალდროული ფსიქოლოგიის მქონე, მე მაღანაშაულებს, კლასობრივ ბრძოლას ჯეროვნად ვერ აფასებსო... ღმერთს მადლობა შესწიროს, ოციან წლებში რომ არ ჩამივარდა ხელში და არ გავაქრე, როგორც კონტრა. აი, ყველაზე დიდი შეცდომა: წვრილბურჟუაზიული სტიქია ბოლომდე არ არის განადგურებული. ახლა, როცა წყობილება გამტკიცდა, როცა უკან დარჩა ყველა დიდი განსაცდელი და მკის დრო დადგა, ესენიც გამოძვრნენ თავთავიანთ სოროებიდან, ნაირ-ნაირად სახეცვლილნი — იმ წლების რისხვას გადარჩენილნი... გარეგნულად თითქოს მართლა რევოლუციონერებს ჰგვანან, მარქსისა და ვლადიმერ ილიჩის ციტატებით კოხტაპრუწობენ და თავი ახალი ქვეყნის მშენებლებად მოაქვთ. მაგრამ მთელი მათი არსი, მათი მყრალი ბურჟუაზიულობა თავს მაინც ვერ ფარავს, არ იმალება. სწორედ ესენი იტაცებენ, იჯიბავენ, მდიდრდებიან, კეთილმოწყობილ ცხოვრებას იქმნიან, თან იმათთან ანგარიშის გასწორებაც არ ავიწყდებათ, ვისგანაც ოციან წლებში კაი მაგრად მოხ-

ვდათ. არამზადა, სამაგიეროს გადახდას აპირებს. მაგრამ ამ უკრძინარებსა და უნიჭობებს ერთი უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაუგიათ, რომ ბურჟუაზია ლიკვიდირებულია, როგორც კლასი, და რუსულ მიწაზე აღგილი მათ აღარასოდეს აღარ ექნებათ. ჰო, მართლა, სონიამ ხომ თავისი უკრძინარე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გაგვიმხილა. ნამდვილი ამბავია? განჩუკების ოჯახის რევოლუციური გარდაქმნის გეგმა? თუ ასეა საქმე, ერთი სიტყვა გადავკრათ, ამ კარგი საქმის დასალოცავად...

— იუღია! მოდი აქ, ახალგაზრდობა გთხოვს! — ხმამალა გასძახა ამ საუბრით, ღვინითა და ცოლის გაურკვეველი უკმაყოფილებით გაღიზიანებულიმა განჩუკმა.

ვერ აეხსნა ცოლის საქციელი, თუნდაც იმიტომ, რომ თავისთავად სონიას გადაწყვეტილების გაგონებამ თვითონ მასზეც განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოახდინა. განჩუკის აღზნებულ გონებას ახლა სხვა რამ აწუხებდა: გაზეთები, მეგობრები, მტრები, აკადემია, წიგნები, წარსული, აქეთ კიდევ სიბერე და მოახლოებული სიკვდილი... სულ ცოტა ხნის წინ მღელვარებისაგან მოწითალო ლაქებით აჭრელებული სახე ახლა ღვინომ თანაბრად აუღაქდა. ისეთი ფერი ედო, ნაძვის ხეზე ჩამოკიდულ მარციპანის ვაშლებს რომ აქვს ხოლმე. იუღია მიხაილოვნას ჯერ კიდევ არ განელებოდა Kopfschmerz-ი. სონია ბედნიერი თვალებით შესცივინებდა გლებოვს. განჩუკი გლებოვმა კაბინეტში ხელკავით შეიყვანა — პროფესორმა სამოქალაქო ომის დროინდელი რალაც ალბომის ჩვენება განიზრახა.

— მე ახლა გიჩვენებთ ბიჭს, რომელსაც ძალიან მძიმე მუშტი ჰქონდა! არა, არ გირჩევდით, გესმით, დიმა? იმ ბიჭს ენახეთ. ოი, როგორ ეჯავრებოდა სათვალისანი სწავლული ყმაწვილები! მაშინვე უმოწყალოდ ცელავდა. ჰა, ჰა, ჰა! არ კითხულობდა, ან დედა ვინ ყავდა ან მამა!

გლებოვს გაახსენდა, რომ მასაც ჰქონდა კაბინეტში საქმე — ის წყვეული ბიუსტები უნდა შეეთვალეირებინა.

„ეს სავალდებულოა და უფრო მეტიც, — თქვა დრუზიაევმა. — ზეგ. ხუთშაბათს“. ესეც მაშინ, იმ საუბრისას თქვა — და ერთმანეთისაგან ისე ვერ გათიშავდი, როგორც ბურთად თუ სულაც ძეხვივით დაგორგლილ რბილ, სხვადასხვა ფერის პლასტელინის ორ ნაჭერს ვერ გააცალკევებ ერთმანეთისაგან. როგორც ხელისგულებში მომწყვდეული ბურთის გორგვლისას, უეცრად ბავშვობისდროინდელი სისუსტე და მორჩილება იგრძნო, როცა სხვისი ხელი პლასტელინის ნაჭერივით აგიღებს, დაგგრებს, დაგზელს, დაგჭმუჭნის, დაგკუმშავს, გაგაბრტყელებს, გააკეთებს შენგან ყველაფერს, რაც თავად სურს. მერე ისე, თითქოს სხვათა შორის, იმავე ფრაზაში ჩაურთო, როგორც ის ოთხშაბათი, რომ არსებობს წინასწარი გადაწყვეტილება გლებოვის გრიბოედოვის სახელობის სტიპენდიანტად გახდომის თაობაზე. დიახ, ეს სტიპენდია მას, გლებოვს უნდა დანიშნოდა ზამთრის სესიის შედეგების მიხედვით. ისიც გაჩუმდა, არაფერი უთქვამს, თითქოს შემთხვევით წამოსროლილი ეს ახალი ამბავი სრულიად უმნიშვნელო რამ ყოფილიყო, სინამდვილეში კი წამიერად თითქოს ცეცხლი შემოენთო. გრიბოედოვის სახელობის სტიპენდია! მართალია, სულ რამდენიმე თველათ დარჩენილი, მაგრამ მაინც დიდებულია. ისიც გაიფიქრა, ფულის მომატება რა სათქმელია, მთავარი იმპულსიაო, სულ წინ და სულ მალლა. მაგრამ ამ ახალ ამბავს ტკივილიც

ახლდა — იმავ წუთს დააცხრა მწარე შეგნება, რომ ეს მჭიდროდაა გადანას-
კვული ოთხშაბათთან, ერთმანეთს ვერ დააშორებდი, ან ყველაფერი
ერთად ან არაფერი.

„ არა, წარმოუდგენელია იქ მართლა მისვლა და სიტყვის წარმოთქმა!“
იმავე საღამოს შულეპნიკოვთან გაქუსლა. კვლავ ჰქონდა გაგვირგობიდან შე-
მორჩენილი შეურყეველი იმედი ლიოვკას ძღვევამოსილებიდან. მაინც რა შე-
ეძლო ლიოვკას? რა ზეგავლენის მოხდენა? გლებოვს ეგონა, ლიოვკას — არა,
თვითონ ლიოვკას კი არა, მის მამინაცვალს — შეეძლო, მაგალითად, ეთქვა
ინსტიტუტის ადმინისტრაციისათვის: „ნუ აწვალებთ გლებოვს!“ და ისინიც
მოეშვებოდნენ, ბოლოს და ბოლოს რამდენი შეიძლება, ადამიანის შესაძლებ-
ლობებსაც ხომ აქვს საზღვარი: ჯერ იყო და დიპლომის ხელმძღვანელი შეიც-
ვალეო. მერე პერევერზევშინაზე გვიამბეო, ესაო, ისაო. მერე ის მოგვახსენე,
წიგნების კარადის თავზე რა უწყვიანო. ჰო, თვითონაც გაერია ამ საზიზღრო-
ბაში, დაეთანხმა, მოუყვა რაღაცებს. მაგრამ არა, მაინც ეცოტავათ, ახლა სხვა
დაავალეს: მივიდეს და სიტყვაც წარმოთქვას. მეტისმეტი ხომ არ მოსდით?

ლიოვკა თითქოს თანაგრძნობით უსმენდა, თავს უკანტურებდა, თან გლე-
ბოვისათვის უცნობი აპარატის — ტელევიზორის სახელურს ატრიალებდა.
პატარა მოთეთრო ფანჯარაში რაღაც გაურკვეველად ლიცლიცებდა, თრთოდა,
ნაწყვეტ-ნაწყვეტად სიმღერაც ისმოდა: დიდი თეატრიდან ოპერას გადმოს-
ცემდნენ. როგორც ამბობდნენ, მთელ მოსკოვში სამოცდათხუთმეტი ასეთი
ტელევიზორი იყო. ლიოვკას მთელი არსება ამ ახალ საზრუნავს შთაენთქა.
გამოსახულება დროდადრო ფუჭდებოდა და ისიც ჯავრობდა, იკურთხებოდა.
იქვე ისხდნენ ლიოვკას დედა და სეანსის სანახავად მოსული დეიდა. გლებოვს
საჭირო საუბარი არ გამოსდიოდა, მაგრამ სხვა ჩარა არა ჰქონდა და ქალების
თანდასწრებით მოჰყვა ყველაფერს. ლიოვკას დედა შეიღს მიუბრუნდა და
ცხარე ქომაგივით უთხრა:

— ლევ, დიმას უსათუოდ უნდა დაეხმარო!

— შენ ამ აზრისა ხარ?

— დიახ, ამ აზრის! სონია ძალიან კარგად მახსოვს, შესანიშნავი გოგონაა.
მამამისს, მართალია, არ ვიცნობ, მაგრამ რა სისულელეა ახალგაზრდათა გრძნო-
ბების ასე აბუჩად აგდება...

— გრძნობა არა, ის არ გინდა... — ხელი ჩაიქნია ლიოვკამ.

— რა თქმა უნდა, შენ ამას ვერ გაიგებ! — დამცინავი და კიდევ მეტი
გაცხარებით წარმოთქვა ალინა ფეოდოროვნამ. — მუსიკალურ სმენას მოკლე-
ბული ადამიანისათვის ყოველგვარი მუსიკა — ხმაურია.

— ალია, ნუ ღელავ, გენაცვალე, — წარმოთქვა ლიოვკას დეიდა.

— შენ თეატრში მოხვედი თუ მიტინგზე? — უეცრად ჰკითხა ლიოვკამ.

— აბა რა უნდა გელაპარაკოს კაცმა! — წამოიძახა ალინა ფეოდოროვნამ
და ხელი ზუსტად ისევე აიქნია, როგორც ეს წუთია მისმა ვაჟმა. ერთხანს
გაყუჩდა და მერე როგორღაც უმისამართოდ წაიჩურჩულა: — ასე გაიფუჭო
საკუთარი ცხოვრება...

ტელევიზორის ფანჯარა თანდათან განათდა, სცენის შუაგულში მომღერ-
ლები გამოჩნდნენ და ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა — ყველა ეკრანს მისჩე-
რებოდა. სიმღერას უსმენდნენ. ლიოვკა ტელევიზორის წინ იატაკზე იჯდა.
მერე გლებოვს მიუბრუნდა და მხიარული ხმით უთხრა:

— გამოსახულება უკეთესი იქნება, გესმის? მხოლოდ სხვა ანტენაა საჭირო. თანი მიშოვის. აქ ყველაფერი ანტენაზეა დამოკიდებული.

— ლევ, კიდევ გიმეორებ, დიდასა და სონიას გულისათვის რაღაც უნდა გააკეთო! — აღინა ფეოლოროვნას ხმას გაფიცება და გაფიქრებულობდა. გლებოვს არ მოეწონა, შეშინდა, ლიოვკა არ გაბრაზდეს, ეს დედამისი სულ მუდამ ჩხუბობდნენ ხოლმე. — მაინც რა ხარ ასეთი, არასდროს არავის რომ არ წაადგები? ლევ, ეს ხომ არაკეთილშობილებაა! ყოველად მდაბალი საქციელი. როგორ უნდა იყო ასეთი უსაშველო თავკერძა. შენთან მოვიდა ძველი მეგობარი და დახმარებას გთხოვს...

— კი მაგრამ, მე რა შემიძლია! — აყვირდა უეცრად ლიოვკა. — დირექტორი ვარ თუ მინისტრის მოადგილე?

— შენ შეგიძლია, ჩვენ ვიცით. შენ იმდენი არამზადა შემოიკრიბე, რომ სინამდვილეში...

— დედაჩემო, თუ შეიძლება, ჩემს მეგობრებზე ცოტა მორიდებით, — თითი დაუქნია ლიოვკამ, თუმცა მუქარაში გაბრაზება არ იგრძნობოდა. დედა-შვილის საუბარი როგორღაც არაბუნებრივი ჩანდა: დედა უფრო ჩვეულების გამო ესხმოდა, ვიდრე გულმოსულობის, ლიოვკაც ცალი ყურით უსმენდა, თითქოს თავიდანვე ფრეზე არიან შეთანხმებულნი.

— მაინც რა გინდა, რა გაწუხებს? ბატონო? რაღაც ვერა ვხვდები...

გლებოვმა გაუმეორა. ნუ მაწვალევენ, ნუ ჩამციებიან, ხომ შეუძლიათ ამ ორომტრიალში სულაც არ გამრიონ? ნუთუ ასე აუცილებელია ადამიანის დამცირება: არადა, მეუბნებიან, ჩემო ძვირფასო, კეთილინებე, მობრძანდი და შენი სიტყვაც მოგვახსენე. შენს აზრებს მეტი ფასი აქვს, რამეთუ პროფესორის ყველაზე ახლობელი კაცი სწორედ შენა ხარო. მერე რაღა ვქნა? სონიას რა ვუყო? სიტყვით გამოდიო, ადვილი სათქმელია, მე და ჩემმა ღმერთმა. ენაც არ მიტრიალდება. ამას სიტყვით „გამოსვლა“ კი არა, „ამოსვრა“ ჰქვია. მოდი და ამოისვარეო.

— ხედავთ, რა ფაქიზი ვინმე ყოფილა! — ბრაზიანად ჩაურთო ლიოვკამ. — ესე იგი, სხვები გაისვარონ. რა გენალვლება, შენ განზე გადგები, არა? ასეა ხომ? შენც კაი ვინმე ხარ!

გლებოვი უმტკიცებდა — სხვები არ არიან ამ ოჯახთან ასეთ დამოკიდებულებაში, მათთვის უფრო ადვილიაო. გლებოვი მიხვდა, რომ ლიოვკა არაფერს არ გაუკეთებდა. არაფერში არ გამოადგებოდა. აქ არ უნდა მოსულიყო. ლიოვკა შეიცვალა, სულ სხვა კაცია. დედამისი მართალია, იგი ყველასადმი საოცრად გულგრილი გახდა. ალბათ აქედან მოდის ეს უეცარი, რაღაც აუბსნელი ცხოველური გაბოროტება. დიან, გაბოროტება, როგორც რეაქცია ყოველივე იმაზე, რაც ამ ცხოვრებაში, ცოტად თუ ბევრად, არ სიამოვნებს, არ მოსწონს. აი, თუნდაც ჩემი თხოვნა: სადღაც დარეკოს, ჩემ გამო სხვას სთხოვოს. გაღიზიანებული ლიოვკა ხმამაღლა როხროხებდა: აბა რა უნდა ტრიბუნაზე გამოსვლას და ორი სიტყვის თქმას, რა არის ამაში საშინელი. მით უმეტეს, თუ ეს ასე საჭიროა. თვითონაც გამოვა და იტყვის, თუმცა მისთვისაც უხერხულია, განჩუკს ხომ ბავშვობიდანვე იცნობს. თან არც სცალია, წუთი დრო არა აქვს, მისი გონება სულ სხვა ამბებს უტრიალებს. ახლა ნახევარი წლით ერთი მოგზაურობისათვის ამზადებენ, მთელ ღამეებს ინგლისურის ზუთხვაში ატარებს. შეხე, რამდენი წიგნი და ლექსიკონი უწყვია. მაგრამ თუ

საჭიროა, უსათუოდ გამოვა. ბებერი განჩუკის დრო კაი ხანია გავიდა, მიიხრწნა კაცი. ის კი, იმის მაგივრად, ადგილი სხვას დაუთმოს, რაღაცას ფაზიფუხობს. არაფერი საჭირო არ არის ჩინური ცერემონიების გამართვა... ისე, რა თქმა უნდა, კარგია: თევზიც დაიჭირო და ფეხიც არ დაისველო...

მერე როცა შულებამ ისევ გაიმეორა:

— მეც გამოვალ და შევუტევ, თანაც როგორ შევუტევ!

გლებოვმა ჰკითხა:

— მაინც რატომ?

— როგორ თუ რატომ? უპრინციპობისათვის. დაჯგუფებისათვის. იქ გაბატონებული მლიქვნელობისათვის.

— მიქარვაა.

— რატომაა მიქარვა? აი, ნახავ, სულ იოლად დავამტკიცებ.

— დიახ იოლად! — აყვირდა უცებ გლებოვი, — შენ ხომ სონია განჩუკის საქმრო არა ხარ! ეშმაკმა წაიღოს შენი თავი და ტანი!

— შენ ხარ საქმრო? — ლიოვკამ ეშმაკურად გახედა და წამოწითლებული თვალები მოჭუტა. — ათას მანეთს სანაძლეოს ვდებ, რომ არც შენ არა ხარ... დავნაძლევედეთ, ა?

— ლევ! აბა რას ამბობ? როგორ არა ვრცხვენია? — აღშფოთდნენ ქალები, თუმცა ტელევიზორისათვის თვალი მაინც არ მოუშორებიათ. თვითონ ლიოვკაც ლაპარაკისას დროდადრო რაღაც სახელურებს ატრიალებდა.

— მე წავედი, — თქვა გლებოვმა და წამოდგა.

— ნახვამდის!

მაგრამ უეცრად ლიოვკა წამოხტა და გლებოვს ხელი წაავლო.

— დაიცა, დაჯექი! რაღაცას მოვიფიქრებთ. იცი რა? მოდი, იურკა შირეიკოს დავურეკავ.

თქვა და მაშინვე ტელეფონს ეცა. გააბეს საოცრად ძმაბიჭური საუბარი. თურმე რა შორს წასულა ლიოვკა გლებოვისაგან. მისი მეგობრებისა არაფერი იცის, ქალაქში და სადმე იქით კი არა, თვით ინსტიტუტშიც კი.

— რას საქმიანობ? კირკიტებ? უზიხარ რუკას და ხარ? ისევ იმ გენერალური ბრძოლის გეგმას უტრიალებ, ა? — იგიჟიანებდა თავს ლიოვკა. გლებოვი წინასწარვე შეაკრთო იმის გაფიქრებამ, რომ მასზედაც ასეთი დუდლუნა ხმით ილაპარაკებდა. — მომისმინე, მოდი, რაც იყოს, იყოს, მოქანდი ჩემთან ჩვენ სპეცშეკვეთით ტელევიზორი მოგვიტანეს და ვუყუროთ. სწორედ ახლა დიდი თეატრიდან ოპერას გადმოსცემენ... ვინა ვართ და მე და დიშკა გლებოვი. მოკითხვას გითვლის.. გმადლობთ, გადავცემ... ჰა, თანახმა ხარ? „ხვანჭკარა“ გვაქვს, მამაჩემს გუშინ მთელი ყუთი გამოუგზავნეს... არა? არაფრით არ შეგიძლია? არ შეგიძლია თუ არ გინდა? შენი საქმისა შენ იცი... დაიცა, რა მინდა გითხრა! აქ ისეთი საკითხია... არ მინდოდა ტელეფონით მეთქვა, მაგრამ რაკი ასე მოუცლელი ხარ...

— ჩემზე არაფერი უთხრა! — წამოუვარდა გლებოვი და ხელებით ანიშნა, არ თქვაო.

ლიოვკამ ხელი აუქნია: ჩუმად იჯექით.

— კერძოდ, აი, როგორი ამბავია. ხუთშაბათს კრებაა, ხომ მართალია? ჰო, წავიკითხე, რა თქმა უნდა... აი, მესმის წერილი! ძალიან მაგარი წერილია! — ლიოვკა თვალს უპაჭუნებდა გლებოვს, — ჩვენც ახლა სწორედ აქ

ვართ და ვსაუბრობთ. ყველაფერი სწორია. ყველაფერი საქმიანად... ზუსტად, ზუსტად... დიახ, დიახ, დიახ... სწორად... ზუსტად...

ლიოვკამ ყურმილი გაწვდილი ხელის სიშორეზე გასწია და დაკინვით ჩაილაპარაკა, — იმდენი სისაძაგლე გადმოაფრქვია და ახლა ქათინაურებსაც მთხოვს ეს პირუტყვი, ესა! ჰო, წერილი ნაღდად კარგი გამოგვიყვანა, მომილოცნია. შესანიშნავი სტატიაა. მაგრამ რა ვუყოთ დიმა გლებოვს? ძალიან ეუბერხულება კრებაზე გამოსვლა, თავადაც ხომ ხვდება... მერე?.. მერე... მერედა რა? ჰოდა, აი, ვრეკავთ, რჩევა გვინდა გკითხოთ...

შემდეგ ისმოდა ხანგრძლივი და ნაკლებად გასაგები შორისდებულები, ბოლოს ლიოვკამ, ნახვამდისო, დაიძახა, ყურმილი დაახეთქა და გლებოვს მიუბრუნდა:

— რაღაცას გემდურება... ძალით არავინ ექაჩება ტრიბუნაზე გამოსვლა-სო და ნურც ასე კრავად მოაქვსო თავი... რას დარბის და ყველას შესჩივის, კაი აბეზარი ვინმეა ეგ შენი გლებოვიო...

გულდამძიმებული გლებოვი დუმდა. უსიამოვნების მეტი, რასაც წინასწარვე გრძნობდა, ამ დარეკვამ მართლაც არაფერი მოუტანა. თვითკმაყოფილ ლიოვკას კი რაღაც უხაროდა, გამარჯვებული იერით იყურებოდა, სჯეროდა, მეგობარი განსაცდელიდან იხსნა.

— ახლა თავისუფალი კაზაკი ხარ: გინდა გამოხვალ, გინდა არა, შენი ნებაა. ბატონიც შენა ხარ და პატრონიც. იცოდე, ყველაფერი მე ჩაგიწყვე, გესმის. ეს გველაძუა პატივსა მცემს... ისინი სულაც იმიტომ ცოცხლობენ, რომ მე არ ვეჩები! ახლა „ხვანჭკარასა“ და სულგუნს მოვიტან. ქართულ მაღაზიაში ნაყიდი ნამდვილი ლავაშიც იქნება. ვიქეიფებთ ორი თავადი.

სანამ გლებოვი იმას გადაწყვეტდა, შინ წასულიყო, სონიასთან თუ ამ დამთხვეულ ოჯახში დარჩენილიყო, უეცრად მკერდზე დიდ შავ-შავ ბოთლებ-მოწყობილი ლიოვკა დაინახა. ქალები მრგვალ მაგიდაზე უკვე სუფრას აფენდნენ, წკრიალებდა ბროლის ჭიქები.

ორი დღეა იყო დარჩენილი. გლებოვმა კი მაინც არ იცოდა, ხუთშაბათს რა ექნა, როგორ მოქცეულიყო: მისვლაც და მიუსვლელობაც თანაბრად შეუძლებელი ჩანდა. სამშაბათს, ლიოვკა შულეპნიკოვთან სტუმრობის შემდეგ, რომელსაც მთელი ღამე ქეიფი და ჩხუბი მოჰყვა, თავს საშინლად გძნობდა. იმდენად ცუდად, რომ წამოდგომა და ინსტიტუტში წასვლა ვერ შეიძლო.

მთელი ნახევარი დღე თავის პაწაწკინტელა ოთახში მკვდარ-ცოცხალი ეგდო, ძლივს მოსულიერდა, — შინ გამთენიისას უგონოდ მთვრალი მოლასლასდა და ისევე ტანთგაუხდელი ჩაემხო. — თვალები რომ გაახილა, თეთრ-ხალათიანი ექიმი დაინახა, მაგრამ ექიმი ბებიასთან იყო მოსული და არა მასთან. ეს რამდენიმე დღეა ბებო ნილა ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, ვეღარ დგებოდა. გლებოვმა საოცარ გუგუნსა და აუტანელ ხრიალში, თითქოს ვიღაც ზედ ყურთან რკინას უჭლარუნებდა, გაიგონა ექიმისა და თავისი დეიდაშვილის, კლავდიას საუბარი: — ნემსი რომ გავუკეთოთ? — ჰკითხა კლავდიამ ზიზლის გამომხატველი სახით. ექიმი გუგუნა ხმით იმეორებდა: „პატრონი — ბატონია!“ სახელო დაუკაპიწეს, ნემსიც ჩხვლიტეს. ოთახიდან გასვლისას საკმაოდ ახალგაზრდა, ლამაზი, ლოყებაფაკლული ექიმი გლებოვს ყურადღებით დააცქერდა და, ისევე გაიმეორა: „პატრონი — ბატონია“. გლებოვს ერთთავად გული ეწურებოდა, მთელ სხეულში ცივი ტალღები უვლიდა. კლავდია სასთუ-

მალთან ჩამოუჯდა, დახარა თავისი თეთრი, ბრაზიანი სახე და ჩურჩულით წარმოთქვა:

— ბებო ცუდად არის, მე მთელი ღამეები არა მძინავს, სასთუმალს ვუზივარ, შენ კი, — ქალს თვალები მოენამა, — გაღეშილი მობრძანდები... სად იყავი? ეშმაკივით ამოთხვრილხარ, ყველაფერი გასაწმენდად მისსკეპი...
 გლებოვს კლავდია შეეცოდა, ქალი ტიროდა, მაგრამ ვერაფერი მოიგონა, ვერ აუხსნა. „პატრონი — ბატონია“, მხოლოდ ეს ამოიხრიალა დიდი გაჭირვებით. მერე თანდათან, ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღუდგა გასული დღე. ყველაფერი, რაც ასე მშვიდად, შინაურულად, დედისა და დეიდის მასპინძლობით, ქათქათა სუფრით და ჭიქების წკარუნით დაიწყო, დამთავრდა უაზრო ღრეობით, კაცმა რომ არ იცის, სად. სადღაც სხვენზე მომრგვალოფანჯრებიან ბინაში, უკრავდნენ ძველებურ პატეფონს, დერეფანში ფეხის წვერებზე უნდა გველო, ვიღაც გამუდმებით ეცემოდა, დაცემულს სიცილ-ხარხარით აყენებდნენ. ერთი ქერა, მეტისმეტად ჩათქვირებული, თეთრი ქალი ერთთავად ამას კითხულობდა: „რამდენს აძლევენ დისერტაციაში?“ იქ, დედისა და დეიდის გვერდით, მრგვალ მაგიდას რომ უსხდნენ და ხვანჭკარას შეექცეოდნენ, ლიოვკას ღვინო უეცრად მოეკიდა. გლებოვს უკვირდა: ასე უცებ რა მოუვიდა? დედამისიც ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და მათი სახეებიც თანდათან ერთმანეთს ემსგავსებოდა. უმაღვე იტყოდით, დედა-შვილიაო. ქალს წითლად უელვარებდა ჩიტის წვრილ-წვრილი თვალები, ვაჟსაც ასეთივე აწითლებული, ნაპერწკლიანი თვალები ჰქონდა. თან დაობდნენ, მაგრამ რას დაობდნენ, სულ თითებს უბრაახუნებდნენ ერთმანეთს. ლიოვკა ყვიროდა: „რა უფლების ძალით, ლაპარაკობ ასე? შენ ვინა ხარ? ერთი ჯადოქარი, კუდიანი დედაკაცი ხარ და მეტი არაფერი!“ აღინაფეოდოროვნაც ზვიადად უკანტურებდა თავს: „დიახაც რომ კუდიანი ვარ და ამით ვამაყობ კიდევ“. ის კი არა, დაც ემოწმებოდა: „დიახ, კუდიანია, მთელი ჩვენი მოდგმა ასეთი კუდიანურია“. კუდიანობას ლამის დამსახურებად ითვლიდნენ. ყოველ შემთხვევაში, აქ იყო რაღაც არისტოკრატიული, ორთავე ქალი გადაკრულად რომ მიანიშნებდა. — ჩვენ კუდიანები ვართ, შენ კი ნაძირალა. გლებოვმა იცოდა, ლიოვკა შულენიკოვის აყოლა რომ არ შეიძლებოდა. საქმე უსათუოდ ალიაქოთით, ჩხუბით ან რაღაც წარმოუდგენელი სისულელით დამთავრდებოდა. ყოველთვის ასე ხდებოდა. „ახ, მე ნაძირალა ვარ? მაშინ შენ რა დაგიძახოთ?“ სუფრასთან იჯდა კიდევ ერთი კაცი, სანახევროდ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ავდოტინი. ისიც „ხვანჭკარას“ ყლურწავდა. ჩამოღვენთილი, დამსკდარი, უნდილი სახე ძროხის ცურს მიუგავდა და ჩუმად ბუტბუტებდა: „ყველა თავისას იხდის“, ეს ფრაზა რატომღაც დაამახსოვრდა. კაი რვა ბოთლი „ხვანჭკარა“ დაილია. საჭირო იყო აქედან გაქცევა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა, წამოდგომა არ შეეძლო. „მე თუ არარაობა ვარ, აქ რაღა მინდა, ამით უნდა მოვშორდე, — ეუბნებოდა ლიოვკა გლებოვს, — რა ჭირად მინდა ეს კუდიანები? თუნდაც ჩემი დედა იყოს, მაინც არ მინდა! ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველას. კმარა, მივდივარ!“ ავდოტინი გადაუდგა, არ უშვებდა, ლიოვკამ პასუხად სილა გააწნა. ჰოდა, ამ შუალამისას ქუჩაში გაცვივდნენ, გაიქცნენ და რომელიღაც მანქანაში ჩასხდნენ. კარგა ხანს იბორილეს, სახლს ვერ მიაგნეს, მძლოლი ილანძლებოდა, მანქანიდან გადმოყრაც დაუბირა, მაგრამ, როგორც იქნა, ბოლოს მიაგნეს. იმ სახლში ძველებური პატეფონი დაუხვდათ. მაინც რაზე შეკამათდნენ? ჩხუბი რაზე ატყდა? ჰო, გაახ-

უნდა, რა და ლიოვკამ გლებოვს დარწმუნება დაუწყო, სონიას თავი უნდა დაანებო. „პო, სონკა კარგი გოგოა, მაგრამ რად გინდა? არ გატუტუცდე. მასთან მეგობრობა გასურს? კეთილიშობილური საქმეა. სონიას მეც ვმეგობრობ და მთელი ჩემი სიცოცხლე ვიმეგობრებ. ყველაფერს მოვეუხევები, რჩევას ვკითხავ. ნამდვილად შესანიშნავია მეგობარი ქალის ყოლა...“

აი, სწორედ მაშინ უთხრა დედამ: შენ ნაძირალა ხარო.

კაცმა თქვას, ეს გლებოვისათვისაც ნათელი იყო, მაგრამ ლიოვკას ისეთი ცხოვრებისეული ძალა ჰქონდა, ისეთი უდავო, ისეთი შეუდრეკელი... თქვენ ქალი გნებავთ? შუალამისას? რომ დაგამშვიდოს, მოგეფეროს, გითხრას ნაზი, სულის მამებელი სიტყვები — და განა ფულის ეშხით, არამედ ისე, ქალური სიკეთით — თანაც მაშინ, როცა გაუბედურებული კაცი ხარ, გარეთ გაგდებული, დედისაგან დაწყევლილი? აბა ვის შეუძლია თქვენი დამშვიდება შუალამისას ისე, როგორც ქალს. და ის ქერა, ფორებიანი თეთრი კანის პატრონი ქალი, ერთთავად სისულელეებს რომ ბუტბუტებდა, რა თქმა უნდა, ზებუნებრივი, მითიური ბედნიერება იყო, ისევე, როგორც ის ერთი ბოთლი ლუდი, რომელსაც დერეფანში უგონოდ გამობობლებული გლებოვი გადააწყდა. პომრაჩინსკი ლუდს არ გვახლებოდათ, იგი მის ცოლს თმისთვის ჰქონდა ნაყიდი. მაგრამ თვით იმ ქერა ქალთანაც ვერ იგრძნო სრული თავდავიწყება. იმიტომ, რომ ისევე ის დაუამებელი ტკივილი აწამებდა: რა ექნა ხუთშაბათს?

საქმე სულ უფრო და უფრო იბურდებოდა. განჩუკის მომხრენი — მათი რიცხვი ინსტიტუტში არცთუ ცოტა იყო, — მათ შორის ისეთი ბობოლები, როგორიც პროფესორი კრუგლოვი, ენათმეცნიერების ლექტორი სიმონიანი, კიდევ ვიღაც ხალხი, რომელთა გვარები ახლა უკვე აღარ ახსოვს, რამდენიმე სტუდენტი და ასპირანტი, განჩუკის დაცვის სურვილით ანთებულები, ხუთშაბათს გამოსასვლელად ემზადებოდნენ. მაგრამ ყველას როდი შეეძლო იმ კრებაზე გამოსვლა. ეს იყო მეცნიერული საბჭოს გაერთიანებული სხდომა მოწვეულ აქტივთან ერთად. გლებოვს მიათრევდნენ, როგორც სტუდენტთა მეცნიერულ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს. მოუვიდა სახელმწიფო, ლურჯ კონვერტში ჩადებული ქალაქი: „თქვენი დასწრება სავალდებულოა...“

სამშაბათ საღამოს გლებოვს მარინა კრასნიკოვა ეწვია, სტუდენტთა მეცნიერული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი. შექეიფიანებულივით მუდამ ხმამაღლა მოლაპარაკე, მუდამ აღგზნებული გოგო, ასე რომ იწვოდა საზოგადოებრივი მუშაობის ცეცხლით. ნეტა ახლა სად არის? სად დაიკარგა? გეგონებოდა, ეს ბუნთულა გოგო პირდაპირ მეცნიერებათა აკადემიაში ან სულაც საბჭოთა ქალების კომიტეტში შერგავს თავსო. ისე კი გაუჩინარდა, როგორც წყალში ჩაძირული ქვა...

— გლებოვ, ჩვენი საზოგადოების სახელით შენ უნდა გამოხვიდე, ს მ ს-ს სახელით, იმიტომ, რომ ლისაკოვიჩი ავად არის, — სხაპასხუპით მიაყარა მარინამ. — აი, რამდენიმე თეზისი მოვიტანე... ტელეფონით მიკარნახა ლისაკოვიჩმა...

— რა მოუვიდა ლისაკოვიჩს? რა სჭირს? — ყური ცქეიტა გლებოვმა. დიდი ეშმაკი ვინმეა ეს ლისაკოვიჩი, ავადმყოფობა მოიძიზუზა, რომ ახლა მე გამოვიდე კრებაზე. — გაიფიქრა გლებოვმა. ლისაკოვიჩი სტუდენტთა მეცნიერული საზოგადოების — ს მ ს-ს თავმჯდომარე იყო. როგორც მარინამ

თქვა, ლისაკოვიჩის ჩირქიანი ანგინა ხკირდა და დიდი სიცხეც ჰქონდა, მაგრამ თვითონ მაინც იმედოვნებდა, იქნებ შეფულო და კრებაზე გამოვიდო. თუმცა ექიმმა გადაჭრით აუკრძალა. დაუქვებულმა გლეხოვმა იცოცხა: სიცხე რამდენი აქვსო? — შვანი, ოცდაცხრამეტამდეო, — მაშინვე მოუგო მარინამ. თენისები ასეთი გახლდათ. განჩუკი სტუდენტთა მეცნიერული საზოგადოების დამაარსებელია. რაც რამ კარგს მოაღწია ამ საზოგადოებამ — განჩუკის მეშვეობით შეძლო. განჩუკის შეცდომები ნიშანდობლივია ჩვენი მეცნიერების უმრავლესობისათვის. თუ განჩუკს განდევნა, განდევნონ ყველა სხვა დანარჩენიც. განჩუკის დამსახურება მრავალჯნის აღემატება მის შეცდომებს. ერთი სიტყვიც არ ახსენოს განჩუკში დაბეჭდილი წერილი, მაგრამ თუ აუცილებელი იქნა, თქვას, რომ იგი არაკონკრეტული და ნაკლებად დამაჯერებელია. განაცხადოს სტუდენტთა უნდა გამოყობდეთ, რომ ნიკოლაი ვასილიევიჩ განჩუკი ჩვენთან მუშაობს.

კითხულობდა გლეხოვი და უკვირდა: რა გულადი ვინმეა ეს ფუდკა ლისაკოვიჩის ორში ერთი. ან განუსაჯელად უშიშარია, რომ ასე ილაშქრებს დრუზიაევის, დოროდნოვისა და სხვათა წინააღმდეგ — ანდა რაღაც იცის. ღვიფდებოდა არცთუ სახუმარო ბრძოლა. მარინამ თქვა, რომ ყველასაგან პატივდებულ, კეთილი მოხსენი, ფოლკლორისტიკის პროფესორი ვასილი დიმიტრიევიჩ კრუგლოვი აღაშფოთა შირეიკოს წერილმა და ლამის ინსტიტუტიდან წასვლით იმუქრება, თუ განჩუკის დევნა არ შეწყდება. — „ჰოდა, წავიდეს, — ძალიან არ შეგვაშინა, შეუსცვლელეები არ არსებობენ“. — გაიფიქრა დრუზიაევის აზრებით დატენილმა გლეხოვმა. ერთი ასპირანტი ქალი შირეიკოს ინსტიტუტის ეზოში შეხვედრია, შირეიკოც მისალმებია, მაგრამ ქალს დემონსტრაციულად შეუქცევია ზურგი. შირეიკო აჭარხლებულა და ხმამაღლა უკითხავს: „რას ნიშნავს ეს?“ მაგრამ ქალი უსიტყვოდ განშორებია. ხოლო პირველი კურსის სტუდენტობა, სადაც შირეიკო სემინარს ატარებს, თურმე საერთოდ არ დაესწრო უკანასკნელ მეცადინეობას.

მარინა კრასნიკოვა გლეხოვთან სხვა დროს აროდეს ყოფილა. მისი აქ მოსვლა ვითარების უადრეს დაძაბვას მოახწავებდა. მარინას თვალებში კიაფობდა თანაგრძნობა ყველა კეთილშობილი ადამიანის მიმართ და თავადაც ხარბდა იმის შეგნებით, რომ თვითონაც ამ კეთილშობილი საზოგადოების წევრი იყო. „შენ უნდა აღიმაღლო ხმა! თქვა ყველას მაგიერ! ეს რა სისაძაგლეა სტუდენტებს არ შეუძლიათ დაიცვან თავისი პროფესორი!“ ამ გოგოს იერიშმა, თვალების კვესამ და თათებზე ქნევამ გლეხოვს დრუზიაევის სიტყვები გაახსენა: ეს აუცილებელია და უფრო მეტიც. ისე, არსებითად, ორივე ერთი და იგივე ტერორი იყო.

მარინა თითქოს ვერც ამჩნევდა, რომ სახლში მძიმე ავადმყოფი იწვა, რომ ირგვლივ წამლების სუნა იდგა, რომ პატარა ჩემოდნიანი ექთანი ფუსფუსებდა და ნამტირალევი კლავდიაც დერეფანში გარბი-გამორბოდა. გლეხოვი ულყმანობდა, მაგრამ თავს ძალია დაატანა და მაინც გამოსცრა: „იცი რა, მარინა, ძალზე ცუდ დღეში ვარ, ავად არის ბებიაჩემი, არაფერ იცის, რა იქნება ერთი საათის შემდეგ...“ — ეს იყო გლეხოვის უღიმღამო, თითქმის უიმედო ცდა ბადიდან თავის დაღწევისა, მაგრამ მარინამ მაშინვე მოუჭრა:

— ჩემი იმედი გქონდეს! შემიძლია ვიმორიგეო ერთი საათი, ორი, სამი,

მთელი დღე, ერთი სიტყვით, რამდენიც საჭირო იქნება, შენ კი უსათუოდ უნდა წახვიდე.

იმავე საღამოს გლებოვს მეორე სტუმარი — კუნო ივანოვიჩი/ეწვია, ამ ვიზიტმა მთლად გააოცა გლებოვი. განჩუკის მდივანი გუბერატორისადგეს ყოფილა. ერთმანეთთან არცთუ იაე ახლოს იყვნენ. გლებოვიც კარგად იცნობდა კუნო ივანოვიჩი ანუ კუნიკი, როგორც მას განჩუკები ეძახდნენ, რატომღაც უცნაურად აღელდებოდა ხოლმე, ხმა აუთრთოლდებოდა. ერთხელ განჩუკმა, რაღაც ქაღალდების მოსატანად, გლებოვი გნებდნიკოვის შესახვევში კუნოსთან გააგზავნა. გლებოვი განაცვიფრა დაწკრიანებულმა ბინამ, წესრიგმა, მარტოხელა კაცისათვის უჩვეულო სიმყუდროვემ. ბინა სავსე იყო ყვავილებიანი ქოთნებით და პაწია ლარნაკებში ჩაწყობილი ყვავილებით, რაფებზე, მაგიდებსა თუ თაროებზე ლამაზად რომ მიეწყ-მოეწყოთ. თაროებს ფოტოსურათები და რეპროდუქციები ენაცვლებოდა, ყოველი კედელი ხელოვნების დამაფიქრებელ ქმნილებას წარმოადგენდა. ყველაფერი მეტისმეტად დახვეწილი, სამუზეუმო, დამაეჭვებელი, რაღაც არამამაკაცური იყო. ვიდრე კუნიკი ქაღალდებს ეძებდა, გლებოვი პუფზე იჯდა და ოთახს ათვალიერებდა. ორ პატარა თაროს შუა, სადაც კაქტუსებიანი ქოთნები ელაგა, გლებოვმა სონიას დიდ ფოტოსურათს მოჰკრა თვალი. იქ ბევრი სხვა ფოტოსურათიც ეკიდა, მაგრამ სონიასი გამოსარჩევად დიდი იყო. „წამებული“ — დაცინვით გაიფიქრა გუნებაში. გლებოვი მოთმინებით, მტკიცედ იტანდა კუნიკის უპირატესობის გამომხატველ, ჰკუის დამრიგებლურ, მღელვარე კილოს, მასთან საუბრისას რომ დაემჩნეოდა. გლებოვი კი შეურყევლად მშვიდი გახლდათ.

თვით იმ სამშაბათ საღამოსაც კი, როცა ეს სუსტი, გრძელპალტოიანი, ოდნავ თავგადაღრეცილი კაცი დაინახა, თუმცა გაოცდა, მაგრამ სიმშვიდე მაინც არ დაუკარგავს.

კუნიკს არც „გამარჯობა“ უთქვამს და არც „საღამო მშვიდობისა“, ისე დაიწყო ლაპარაკი „თითქოს სულ ახლახან გაწყვეტილი საუბარი გაეგრძელე-ბინოს.“

— ჩემი პირველი პირობა, — შემოსვლისთანავე თქვა კუნიკმა, — გახლავთ ის, რომ ამის თაობაზე ნიკოლაი ვასილიევიჩმა არაფერი შეიტყოს.

რა პირობა, რის პირობა? რას ბოდავს? — გაიფიქრა გლებოვმა და ამ უცნაურ კაცს, მომყუევო, ხელით ანიშნა. დერეფანში ისევ კლავდია შეეფეთა.

— ბებომ გიკითხა, შინ თუაო?

— მე მგონი, მხედავ.

— რა ვიცი, დღე დაღამდა და ერთხელაც არ შეხვედი. დელავს, ხომ არაფერი დაემართაო...

— ბებია გვყავს ავად, — განუმარტა გლებოვმა, მაგრამ კუნიკს ვითომ არც გაუგონიაო, კვლავ თავისი განაგრძო:

— რომ გამიგოს, გამგლეჯს მისი თავმოყვარეობის პატრონი. ვფიქრობ, თქვენთვისაც ცნობილია მისი პიროვნება: თავმოყვარე, ფიცხი, გულუბრყვილო, უმწეო, ყველაფერი ერთად... — ისინი გლებოვის ოთახში შევიდნენ. კუნიკს არ გაუხდია, ქუდიც კი არ მოუძვრია, ირგვლივ არ მიმოუხედავს. ასე მთვარეულივით იქვე, გლებოვის საწოლზე ჩაჯდა. ასევე პალტოიანად ჩაეპერტყა. — განჩუკი, მოგეხსენებათ, სხვისი გულისთვის თავს გაწირავს,

სადაც გინდა, იქ წავა, ლომივით იბრძოლებს, ვისაც გინდა შეებმება. აი, თუნდაც როგორ იბრძოდა იმ არაკაცი ასტრუგისათვის... მაგრამ საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლია. თითს თითზე არ დააკარებს. აქ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, მისმა მეგობრებმა...

„ნეტა რა შეგვიძლია ამ უსუსურ ლილიბუტებს?“ — უკრძანებდა თავისთვის გლებოვი.

— მე, რასაკვირველია, ვუჩიჩინებდი: „თქვენ შირეიკოს ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა უბასუხოთ! რედაქციაში გაგზავნოთ მკაცრი წერილი. უნამუსობა დაუსჯელი არ უნდა დარჩეს“. ჰოდა, რა მითხრა, არ იკითხავთ? ბუშკინის სიტყვები მოიყვანა: „თუ ვილაცამ უკნიდან ფრაკზე მომაფურთხა, მისი მოწმენდა ჩემი მსახურის საქმეა“.

— კი ბატონო, შეიძლება მსახურის როლიც შევასრულო, — თქვა გლებოვმა. — მე არა ვარ წინააღმდეგი: მაგრამ პრაქტიკულად როგორ?

— არა, მსახურის რატომ, მე გთხოვთ გამოხვიდეთ, როგორც მეგობარი! როგორც პატიოსანი კაცი! ის, რომ განჩუკმა ბუშკინის სიტყვები მოიყვანა, მხოლოდ იმას მოწმობს, თუ რამდენად არ ესმის ვითარების სიმწვავე. განჩუკს ჰგონია, უკნიდან ფრაკზე მიაფურთხეს. აქ კი ოროლები უჭირავთ ხელში და მუცლის გაფატვრას უპირებენ. აი, რა ხდება. მოსპობა უნდათ მისი.

— კუნო ივანოვიჩ, თქვენ რა წინადადება გაქვთ? როგორ ვიმოქმედოთ?

— როგორ ვიმოქმედოთ! როგორ ვიმოქმედოთ!... — ბურტყუნებდა კუნიკი და თან მხრების მოძრაობით შავ ბეწვისსაყელოიან პალტოს იხდიდა, მერე იქვე, საწოლზე რომ დავარდა. — მე უკვე ვმოქმედობ. მანქანაზე ნაბეჭდი რვაგვერდიანი წერილი გავუგზავნე რედაქციას, რომელსაც ექვსმა კაცმა მოვაწერეთ ხელი... ახლა ინსტანციაში ვწერ. ამ წერილზე ხელის მოწერას არავის ვთხოვ. მეტისმეტად მწარე წერილია და არ მინდა ადამიანები განსაცდელში ჩავაგდო. მე დასაკარგი არაფერი მაქვს, არ მეშინია. რაც შეგეხებათ თქვენ, ძვირფასო დიმა გლებოვ. — წამით კუნიკმა მოწითალო წარბები შეარხია და დაეჭვებული თუ ამომკითხავი მზერა მიაპყრო გლებოვს. ცოტა სასაცილო შესახედავიც კი იყო. — მაპატიეთ, ასეთ შეკითხვას რომ გისვამთ, — შეიძლება თუ არა თქვენ ნიკოლაი ვასილიევიჩის ჭეშმარიტ მეგობრად ჩავთვალოთ?

— ეს როგორ? ვითომ რატომ არა?

— დიახ, მაპატიეთ, მაგრამ მე პასუხი მინდა. გთხოვთ მიპასუხოთ.

— ეს რა საკითხავია, რასაკვირველია.

— მაშ, რასაკვირველია. კეთილი. აბა რატომ იქცევით ასე უცნაურად?

— უკაცრავად, ვერ მიგიხვდით.

— მაშ, რატომ არ ეწინააღმდეგებით, რომ ამ საზიზლარ საქმეში სარ გამოგიყენონ?

გლებოვი სულ დაიბნა, გაშრა. რა გამოყენებაზეა ლაპარაკი? წაიკითხა თუ არა გლებოვმა იმ შირეიკოს წერილი, რომელსაც კუნიკი პედინსტიტუტიდან კარგად იცნობს? გლებოვმა წაიკითხა, მაგრამ ისე — თვალის ერთი გადავლებით, ერთი პწკარიდან მესამეზე, როგორც კითხულობენ საზიზლარსა და ამაზრზენ წერილს, რათა ხელიდან ჩქარა გააგდონ. თურმე შიგ ასეთი რამ წერია: „არც ის არის შემთხვევითი, რომ რამდენიმე მეხუთეკურსელმა სტუდენტმა უარი განაცხადა განჩუკის დახმარებაზე — ყოფილიყო მათი სადიპ-

ლომო სამუშაოს ხელმძღვანელი“. კუნო ივანოვიჩმა გაარკვია, რომ ასეთი მხოლოდ ერთი კაცი აღმოჩნდა. არც ფაქულტეტზე მისვლა დაიზარა, რათა თავისი თვალთ ენახა მომავალი ასპირანტის, ამხანაგ გლებოვის განცხადება. როცა ტელეფონში გლებოვის გვარი დაუსახელეს, საკუთარ ტელეფონზე დაუჭერა. მაგრამ აი, წავიდა და დარწმუნდა. ნამდვილი ფანტაზმა მეთი არაფერი.

— კი მაგრამ, იცით კია, რაშია საქმე? — წამოიყვირა გლებოვმა, — თქვენ ხომ არაფერი იცით. თქვენ არ იცით მიზეზი!

— ვიცი, ვიცი! — ზიზღის გამომხატველად ჩაიქნია ხელი კუნიკმა, თითქოს რაღაც უსიამოვნო ამბის გაგონების ეშინიაო. — თუნდაც არ ვიცოდე, ვხვდები. მიზეზი მე არ მაინტერესებს, მთავარია ფაქტი: დიახ, გამოგიყენეს, თქვენ კი დუმხართ... თქვენ ხომ დუმხართ, დიმა! აბა რატომ ხმას არ იღებთ? როგორ შეგიძლიათ ასეთი დუმილი, მიდიხართ განჩუკებთან, ესაუბრებით ნიკოლაი ვასილიევიჩს, მისი ოჯახის წევრებს... დამეთანხმეთ, ეს როგორღაც, სინდისის თვალსაზრისით მეტად...

წარბშეკრული გლებოვი თავის მწვალებელ სტუმარს მისჩერებოდა და გული აჩქარებით უცემდა. უეცრად ამის წამოყვირებაც კი დააპირა: „ჭექა-ჭუხილის დროს შეშინებულ გოგოსთან საბანში შეძრომა — ეს, როგორაა სინდისის თვალსაზრისით?“ მერე კი სირცხვილის აღმურმა დაუარა, მზად იყო ყველაფერი ეღონა, ყველაფერზე წასულიყო, ოღონდ გამოსწორებულიყო ის, რაც მოხდა, მაგრამ მხოლოდ ამის ამოღერღვა მოახერხა:

— მე ნამდვილად არ წამიკითხავს ის ფრაზა...

— განა საქმე იმ ფრაზაშია! თუ კი თქვენ თვალწინ, — გაჰყვიროდა კუნიკი, — თავს ესხმიან ადამიანს, შუა ქუჩაში ძარცვავენ, თქვენ კი, გამვლელს, ცხვირსახოცს გთხოვენ მსხვერპლისათვის ხაზაში ჩასატენად...

— გაჩუმდით რა! — შეევედრა გლებოვი, — წყნარად ილაპარაკეთ, კედლის იქით ავადმყოფი წევს.

— არა, უნდა მომისმინოთ! ვინა ხართ თქვენ? შემთხვევითი მოწმე თუ თანამონაწილე? კეთილი, ვთქვათ, არსებობს მიზეზი, რაღაც სარჩული... ვთქვათ... მაგრამ ახლა რას აკეთებთ? რას აპირებთ? კვლავინდებურად დაელოდებით? დრო აღარ არის. ხუთშაბათი თქვენი დასჯის დღე იქნება, დიმა, ხომ ვხედავ, თქვენ არ გეყოფათ ძალა წამოდგეთ და თქვათ: „ტყუილია“. მასადაამე, გელით წამება, დასჯა, ზოგჯერ საკუთარი დუმილიც მომაკვდინებელი სასჯელია.

— არა ხართ მართალი! ხუთშაბათს გამოვალ, ვიტყვი!

სუსტი, ფერმკრთალი კაცი საწოლიდან წამოდგა, მხრებზე გრძელი პალტო მოიგდო, მოღრეცილი თავი ასწია, თვლები მოწყურა და, თუმცა გლებოვზე ტანმორჩილი იყო, როგორღაც მაინც ზევიდან გადმოხედა. მეთი აღარაფერი უთქვამს, არც დამშვიდობებია, მთვარეულის მჩატე ნაბიჯებით დერეფანს გაუყვა და გარეთ გავარდა. გლებოვმა კარი მოკეტა. მაგრამ კარზე კვლავ გაისმა კაკუნი:

— დიმა, ძვირფასო, მხოლოდ ერთსა გთხოვთ... — ხვეწნით წაიჩურჩულა და ფერმკრთალი, მოღრეცილი სახე კიდევ უფრო მოეღრეცა, — როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცით, ოღონდ მოხუცთან კრინტი არ დაძრათ! სიტყვას

მაძლევთ? ჰო? არც ჩემს წერილებზე, არც ჩვენს საუბარზე. მან არ უნდა გაიგოს. წარმოუდგენელია, ეს რომ გაიგოს!

ასე გარდუვლად ახლოვდებოდა წამების ის გზაჯვარედინი, რომლის წინაშეც გლებოვი ფეხებმოწყვეტილი იდგა, გეგონებოდა, *მეც უნდა წავეწვეო...* რა ექნა? სადღაც მიეჭანებოდა. თითქოს უმოძრაოდ იდგა, *მეც უნდა წავეწვეო...* სადღაც მიეჭანებოდა. თან თვითონაც არ იცოდა, საით. გავიდა კიდევ ერთი დღე — აფთიაქში აქეთ-იქეთ სირბილი, ტრიალი, სულ სხვა ამბებზე ზრუნვა და საუბარი. კლავდიას კვლავ ეჩხუბა დედას და სამზარეულოში ტიროდა. კლავდიას მართლა ძალიან უყვარდა ბებო ნილა. უყვარდა გლებოვსაც.

— აბა ვინ უყვარებოდა, თუ არა ბებო ნილა?

ბებოვს სასთუმალთან უჯდა, ხელში ეჭირა მისი მჩატე, მომჩვარული, ბებრული ხელი და ბუხუნა ხმით რაღაცას უყვებოდა — მოხუცმა პატარა ბავშვივით სთხოვა, რამე მიაშბეო — თავში კი თითქოს ზარივით უგუგუნებდა: იქ ცხენს დაკარგავ, აქ ცოლს დაკარგავ, აქ კი სულაც თავს წააგებ. ინსტიტუტში პირველკურსელებთან რაღაც გასაუბრებაზე იხმეს, მოდიო. ყველაფერი ამკარა იყო. რატომ უნდა წასულიყო? არც წასულა, მერე დეკანატი მდივანმა აფონიჩევამ დარეკა:

— გლებოვ, ხომ გახსოვთ, ხვალ თორმეტ საათზე რომ უნდა მოხვიდეთ? — მოესმა ქალის ჩქარი, მტკიცე ხმა, სასწრაფოდ, სიის მიხედვით რომ უნდა ჩამოერეკა ყველა იმ ოცი კაცისათვის.

— მახსოვს.

— არ დაიგვიანოთ.

— მოვალ.

ცდილობდა დინჯად, მოსაზრებულად განესაჯა: ჰო, ვთქვათ, აქვს ოთხი ვარიანტი: ვარიანტი პირველი მზვიდეს და განჩუკი დაიცვას. არა, სულ მთლად გაჭრილად არა, რაღაც შესწორებებით. აღნიშნოს ზოგიერთი ნაკლოვანება, მაგრამ ძირითადად მაინც დაიცვას, თუნდაც ისეთნაირად, როგორც ეს კუნიკმა შესთავაზა. განმარტოს შირეიკოს სტატიის ფრაზა და გამოააშკარავოს მისი პროვოკაციული ხასიათი. რას მისცემს ეს ვარიანტი? ადმინისტრაცია გაბოროტდება, უნდა დაემშვიდობოს, ხელი დაუჭნიოს გრიბოედოვის სტიპენდიას, ასპირანტურას და ყველაფერ სხვას. ეს ხომ ფრონტის მოულოდნელ შემობრუნებას ნიშნავს. ისინი არ აპატიებენ. ო, არასოდეს აპატიებენ. ღალატად ჩაუთვლიან. შურისძიებაც მალი და დაუნდობელი იქნება. და რადგან ახლა მთელი ძალაუფლება დოროდნოვის ხელშია, დირექტორი თვეობით არ არის ხოლმე ინსტიტუტში — ხან კორეაშია, ხან ჩინეთში, ხანაც საავადმყოფოში, — ისიც ყველაფერს თავის ჭკუაზე გააკეთებს. დოროდნოვს განჩუკთან ანგარიშის გასწორება სურს. ახლა სარგებლიანობის თვალთ შევხედოთ ამ ვარიანტს, რა მოგება ექნება? განჩუკისა და მთელი მისი ოჯახის მადლობა. სონიას კიდევ უფრო აღმატებული, უნაპირო სიყვარული. ვიღაც-ვიღაცები, ვთქვათ, მარინა კრასნიკოვას მსგავსნი შეაქებენ, რა ყოჩალი ხარ, რა მშვენივრად გამოხვედიო, და ხელს მაგრად ჩამოართმევენ. კუნიკი ალბათ ჩაიცინებს და ეტყვის: „თქვენ მე გამოაცეთ! მიხარია!“ ეს იქნება და ეს. შემდეგ სადღაც პატარა ადგილზე იმუშავენ. შაბათობით კვლავ ჯორივით დატვირთული ელექტრომატარებლით ბრუსკოვოში იხანხალებს. წაგება გამანადგურებელი, მოგება ვერაფერი დიდი. ვარიანტი მეორე: მივი-

დეს და განჩუკი გააკრიტიკოს. უკეთ რომ ვთქვათ, სხვებთან ერთად თავს დაესხას, რა თქმა უნდა, არცთუ აგრესიულად და უხეშად, ოდნავ რბილად, თანაგრძნობით, დიდი სინანულით, რომ ამ ფაქტების დადასტურება უხდება, თან გულისხმიერების გამოჩენით, რომ განჩუკის დამსახურება არ უნდა იქნეს დავიწყებული, მაგრამ... ერთი სიტყვით, თქვას ისე, როგორც მისივეს, პერვერზივემჩინასთან დაკავშირებით იტყვის თუ რაპელოპასთან, მისივესელოპა არა აქვს, არსებითად ეს ერთი და იგივეა. ბიუსტებს გაკვრით ახსენებს. შეიძლება არც ახსენოს. ან, ვთქვათ, თრიოდ სინანულით სავსე სიტყვა წამოისროლოს. მთავარია, არ ახსენოს შირეიკოს ის ფრაზა, თითქოს არც წაეკითხოს და არც გაეგონოს. ისე კი, სიმართლე რომ თქვას კაცმა, გულზე ხელის დადებით, ნაღდად და გულწრფელად: ვითომ ნიკოლაი ვასილიევიჩ განჩუკი მართლა ასეთი მეცნიერია, ასეთი მოძღვარი, ასე ყოველმხრივ სრულყოფილი კაცი? ნუთუ სამართლიანობის ნატამალიც არ არის იმ ყუმბარებში, ამ ციხესიმაგრეს რომ დაუშინეს? გამოვტყდეთ საკუთარი თავის წინაშე: არის, არის... ხომ მოსაწყენი წიგნებია, ბოლომდე ვერც ერთს ვერ ჩაიკითხავ. გულწრფელად თუ ვიტყვით, აუტანელად მოსაწყენიც. ასე წერდნენ ამ ოცი წლის წინ, ახლა რაღაც სხვაა საჭირო. განჩუკში, მემკვიდრეობითი სნეულებასავით, აღმოუფხვრელად ზის ვულგარული სოციოლოგიზმი, მაგრამ ამაზე ნურას ვიტყვით! ეს მხოლოდ ჩვენთვის, ფარულად, გულახდილობა მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშე. არც ის არის მთლად ტყუილი „ფაკულტეტის ბატონ-პატრონიო, მასწავლებლებს მისი თანხმობით ნიშნავდნენო. ასპირანტურაში მოხვედრაც მხოლოდ მისი „წყალობით“ შეიძლებოდაო. თან არც ისეთი უცოდველი ბატონია, როგორცა ჰგონიათ, ყველას კარგად უკვირდება, ჭირვეულიც არის და არც მიუყვრძობელობის ნიმუშად გამოდგება, პირიქით, მიმკერძავი კაცია, ზოგი უყვარს, ზოგიც ათვალწუნებული ყავს. ზოგჯერ მიზეზსაც ვერ გაარკვევ, რატომ. მისი გემოვნებაც ძველმოდურად ჩანს. აჯანყების, ბრძოლების, შეტაკებების, წარსული ათწლეულების ტრფიალია. ჭიმვრებიც ჰყავს. დიახ, ამას კარგა ხანია ამჩნევენ, მაგრამ განჩუკი მათ ვერ ელევა, როგორც მშიერი ბავშვი დედის ძუძუს. არადა, ყურადღებაამისაქცევია უკანასკნელი წლების მოვლენებიც — ის, რაც მსოფლიოში ომის წინ და ომის დამთავრებისთანავე წარმოიშვა — რისი შეცნობაც განჩუკს უკვე აღარ შეუძლია. დოროდნოვს კი აქვს ამის ძალა? ჰო, მაგრამ საქმე ის გახლავთ, ნიკოლაი ვასილიევიჩ განჩუკი უბატოსნესი და უწესიერესი კაცია. მასთან შეტაკება — თვით პატროსნების დროშაზე თავდასხმას ნიშნავს. ყველასათვის აშკარაა, რომ დოროდნოვი სხვაა და ნიკვას განჩუკი სხვა. ზოგჯერ ყველასათვის ნაკლებად ჩახედულნი კითხულობენ კიდევ: მაინც რაში მდგომარეობს ეს სხვაობა? მათ უბრალოდ დროებით გაცვალებს ადგილები, ორთავე ხმაღს იქნევს. მხოლოდ ერთი თითქოს მოიღალაო, მეორემ კი ახლაბან დაიჭირა ხმალი ხელში. ამიტომაც ერთზე თავდასხმა თითქოს მეორეზე თავდასხმაც გამოდის, საერთოდ ყველა ხმალოღერებულზე. მაგრამ ეს ასე არ არის. ყველა ხომ სხვადასხვა მოძრაობას აკეთებს, ისე როგორც მდინარეში მოცურავენი: ერთი ქვევით იქნევს ხელებს, მეორეს განზე გაუშლია მკლავები. ოპ, ღმერთო ჩემო, სხვაობა ხომ მართლაც არ არსებობს. ისინი ერთსა და იმავე მდინარეში ერთი და იმავე მიმართულებით მიცურავენ. აქ მთავარი ის არის, რომ სონიას უნდა გამოეთხოვოს, სამუდამოდ დაემშვიდობოს მის სიყვარულს.

მაგრამ ეს ხომ ისეთი გამოუსწორებელი რამ იქნება, როგორც სულის რაღაც ნაწილის დაკარგვა: უარი თქვა თუნდაც ერთი ადამიანის მზურვალე სიყვარულზე... და არა მხოლოდ ეს, არა მხოლოდ ეს! აქ იქნება ყველაფერი: იქნება შეჩვენება, ზურგზე ხელის შემოწყობაც, რომ, ფიქრთმა, ნუ ქნას, ხელის ჩამორთმევა მოუხდეს. მერე ვილაც ტელეგრამასაც — გამიუგზავნის: „გილოცავ დიდ ჯილდოს — გრიბოედოვის სახელობის ოცდაათ ვერცხლს“. და მაინც ყოველივე ამას შეიძლება მიაფურთხოს კაცმა, იმიტომ რომ იგი უეცრად ისე დაწინაურდება, ისე წინ წავა, ესენი კი უსათუოდ გაქრებიან მისი პორტონტიდან. სამუდამოდ წაიშლებიან თავიანთი ღიმილით, ზიზღით, თავიანთი შეზღუდულობით. არაფერი არ გამოვა, განჩუკის საქმე გადაწყვეტილია. მის გადასარჩენად გაბრძოლება იმ ღვართქათის წინ აღდგომას ნიშნავს. ყველაფერს რომ ანგრევს და ლეკავს. ქანცი გამოგელევა და ტალღა სადღაც ქვას მიგახეტქებს. ნუთუ ეს მართლა მართო იმის შიში იყო, რომ ლავიწგადატეხილი და სისხლში მოსვრილი ქვაზე არ აღმოჩნდეს? მაშინ არ მიმხვდარა, რომ ეს შიშია. შიში ხომ რაღაც მოუხელთებელი და ადამიანის თვითშეცნობისათვის ყველაზე იდუმალი ზამბარაა. ფოლადის თითები თითქოს მსუბუქად უბიძგებდნენ, ისიც მზად იყო, გადაჭრით და მტკიცედ, მაგრამ რაღაც უხილავი მაინც უღობავდა გზას. ვითომ სონია? რომელიც არ უყვარდა და რომლის უკეთესიც არავინ ყოფილა მის ცხოვრებაში? არა, სონია არა, არამედ ის, რაც სონიას ჰქონდა: მისი სიტბო, სიკეთე... სწორედ ეს სონიასეული რაღაც გადაუდგა წინ და გადაბიჯება ვერ მოეხერხებინა.

თუ ეს ორივე ვარიანტი უვარგისია, მაშინ არსებობს მესამე. მივიდეს, მაგრამ სიტყვა არ თქვას, ხმა ჩაიწყვიტოს. მერე? ამით ხომ ვერავის ასიაშოვნებს. ესენიც შეიძულებენ და ისინიც არა, ეს გზა არ ვარგა! მაშინ მეოთხე და უკანასკნელი. საერთოდ არ მივიდეს. მაგრამ როგორ? რამდენჯერ გააფრთხილეს, დასწრება სავალდებულოზე მეტიაო. მიზეზი რაღაც საბედისწერო, კოსმიური უნდა იყოს. მაგალითად, სხდომაზე მიმავალს მოედნის გადაჭრისას მანქანა დაეტაკოს, დაკბინოს მაწანწალა ძაღლმა და, აუცილებელი გახდეს ნემსის გაკეთება. განა ცოტა რამ შეიძლება მოხდეს! არა, ეს ყველაფერი სისულელეა. აი, ახლა რომ შეუტევდეს გული და გონებასაც დაკარგავდეს, ისე, როგორც ამ ორი დღის წინ დაემართა. მაგრამ დრუზიაევი, ვითარცა იუსტიციის მუშაკი, ალბათ იმასაც გაარკვევს, რომ მიზეზი — ალკოპოლით მოწამვლა იყო. არა, წაუსვლელობა შეუძლებელია, მაგრამ არც მისვლაა შესაძლებელი. ყველაფერი შეუძლებელი და უსაშველო იყო, ფათა. არც ერთ ფიგურას სვლა არ შეეძლო.

ბებო ნილამ სთხოვა, შენი საქმეებისა რამე მომიყევიო, და გლეზოვმაც მთელი თავისი ამბები საოცრად დაღლილი ხმით მოკლედ, სვენებს-სვენებით უამბო. შიგადაშიგ ფიქრები წაიღებდა ხოლმე.

ბებო ნილას არასოდეს უმუშავნია. უფრო სწორად, მუშაობდა მთელი სიცოცხლე, მაგრამ შინ, თავის ოჯახში. რა თქმა უნდა, გლეზოვის ამბებისა ვერაფერი გაიგო, მაგრამ იგი მაინც უყვებოდა, რადგან თავში მხოლოდ ეს ამბები უტრიალებდა.

მერე ბებო ნილა თვითონ დაეარდა ქადაგად. გაიმეორა ადრე ბევრჯერ მონაყოლი. ყველაფერს კარგად, დაწვრილებით იხსენებდა, სულ ძველ-ძველ ამბებს. სათქმელადაც საშიშად შორეულს, კაი სამოცდაათი წლის წინანდელს.

როგორ დაჰყავდა პაპა ნიკოლაის ანუ გლებოვის პაპის პაპას ზაფხულში სოფლად. იგი ვაჭარი იყო, ცხოვრობდნენ ვარვარკაზე: „სოლიანოი დვორთან“ რევოლუციამდე ის სახლი გაჰყიდეს და მახლობლად „მნიობოკზე“ იყიდეს ახალი, მაგრამ სახლი სოფლადაც ჰქონდათ, ვენევის მაზრაში. პაპა ნიკოლაიმ ეს სახლი თავის სიდედრს აუგო, რადგან ქალმა მოსკოვემ ცხოვრება არ ისურვა. პოლა, ბებო ნილას ბავშვობისას თურმე ძალიან მთხრობდა მასხელში სოფლად გამგზავრება. პაპა ნიკოლაი იქაურებს არ უყვარდათ. გულქვას ეძახდნენ. გზაში მისთვის „ნეჭის ტომსიკას“ ყიდულობდნენ. სუფთა ნეჭის ყვითელ ტომსიკას. შიგ იაფფასიანი კანფეტები, თაფლისკვერები და თხილი იყარა. ყველაფერ ამას „იარალაში“ ერქვა. ასეც ითხოვდნენ ხოლმე დუქანში. „იარალაშიანი ორი ტომსიკა მოგვეცით!“ სოფლის გოგონები კი უცდიდნენ, სული ელვოდათ მის მისვლამდე, როგორც კი ეზოში გადახურულ მარხილებს დაინახავდნენ, იმ წუთშივე იქ დაერქობოდნენ. ბებო ნილაც, რა თქმა უნდა, ვის თხილს აძლევდა, ვის კანფეტსა და ვის კიდევ თაფლისკვერს. ბებოის ბებოის კი სამარხვო შაქარი უყვარდა, იმ ქალს, ვისაც პაპა ნიკოლაიმ სახლი აუშენა, თუმცა იმ სახლში მაინც არ იცხოვრა, ესაო და ქალაქურ ყაიდაზე ააგესო, წინკარი შესასვლელი კი არა, მთელი დარბაზია და ავეჯიც ქალაქურიო. ასე რომ, ბებოის ბებოია მაინც სხვაგან, მეორე ქალიშვილთან ცხოვრობდა, უბრალოდ გლებურ ქოხში... ის სახლი კი გამოკეტილი იყო, სანამ ქალაქელები არ ჩამოვიდოდნენ: წამოსვლისას ყოველთვის ჰკითხავდა ხოლმე პაპა თავის სიდედრს: „დედილო, რა ჩამოგიტანო მოსკოვიდან?“ „თუ შესაძლებლობა გექნებათ, ნიკოლაი ეფიმოვიჩ, იქნებ სამარხვო შაქარო გამოგეგზავნათ!“ რასაკვირველია, დიდმარხვისათვის ბებოის სამარხვო შაქარს ვინმეს ხელით გაუგზავნიდა. ზაფხულში კი ბარე ორი „ლოტკას“ ყიდულობდნენ, ზაიცევის შალაზიაში ასევე „ლოტკებად“ რომ იყიდებოდა. „ლოტკები“ არცთუ ღრმა ყუთების მსგავსი ჭურჭელი იყო, რომელშიც ორ წყებად ელაგა სხვადასხვა ფერის სამარხვო შაქარი: ლიმონის, ყოლოს, ვაშლის, ქლიავის, რის აღარ გინდა. შაქარსა და შაქარს შუა ჩაის შეეკრა...

ასე უყვებოდნენ ერთმანეთს — გლებოვი ბებოის და ბებოია გლებოვს — ყველას ეგონა, მოხუცმა მოიხედაო, ის კი არა, შვილიშვილს რჩევაც კი მისცა:

— იცი, რას გეტყვი, დიმა? — თან ისეთი სიბრაღულითა და ცრემლით სავსე თვალებით უყურებდა, თითქოს თვითონ კი არადა, გლებოვი კვდებოდა — თავს ნუ იტანჯავ, გულს ნუ იწუხებ. თუ მაინც არაფერი ხერხდება, ნუღარც დარდობ... თავისთავად როგორც გამოვა, სწორიც ის იქნება...

საოცარი ის იყო, რომ გლებოვი თუმცა ღამით გვიან დაწვა, აღარაფერზე აღარ უფიქრობდა, სრულიად დამშვიდებული იყო. დილის ექვს საათზე ჩუმმა ხმამ თუ რაღაცა სხვამ გამოაღვიძა და მაშინვე მოესმა:

— აღარა გყავს ჩვენი ბებო ნილა...

განათებულ დერეფანში კარს მომდგარი კლავდია შავი და სახეშეშლილი ჩანდა. ის ბოხი, მამაკაცური ხმაც მისი იყო. კედელს იქით ჩუმად, მეზობლები არ დავაფეთოო, დეიდა პოლია ქვითინებდა. თან ისე უცნაურად კუტკუტებდა, გეგონება, ქათამია და ახრჩობენო. მერე მამაც შემოვიდა, ექიმის ცნობასა და სადღაც წასვლის თაობაზე ლაპარაკობდა: ასე დაიწყო ხუთშაბათი და გლებოვიც იმ დღეს აღარსად წასულა.

სანაპიროზე მდგარ სახლში სამი წლის შემდეგ მივედი, ორმოცდაერთის სექტემბერში. სკოლაში მეცადინეობა ჯერ კიდევ არ დაწყებულყო. ვარსკელაფიანი, ცივი ღამეები იდგა. მაშინ ნამდვილი ცხოვრება ღამით იწყებოდა და მეც ღამეები დამამახსოვრდა. დღისით აქეთ-იქით ვწრიალებდეთ; ხან რეჩნოი ვაგზალში ვიყავით, ხან შეშის საწყობში, ხან სანაპიროს ვეფისარიატის დავალებით უწყებებს ვარიგებდით. თავისუფალ დროს კი იმას ვსწავლობდით, როგორ გამოგვეყენებინა პილრობულტი, როგორ გაგვეშალა დაგორგლილი მილი, აგვეხადა სახურავი ქუჩის წყალსადენისათვის. ასე იყო თუ ისე, ჩვენ ხომ მეხანძრეები ვიყავით. თუმცა რა მეხანძრეები? ყველას ვაშველებდით ხელს, ვისაც კი რა უჭირდა. რეჩნოი ვაგზალში ყუმბარებიანი ყუთებით დატვირთულ კარჭაპებს ვცლიდით, შეშის საწყობს კი საბარგო მატარებლიდან შეშის გადმოტვირთვაში ვეხმარებოდით. ყველაფერი საჩქარო-მაჩქაროდ კეთდებოდა. შეშას კი არ ვაწყობდით, ისე, პაიპარად ვყრიდით, როგორც მოგვიხდებოდა, გორებად ვახოხოლავდით. რეჩნოის ხაზის სასწრაფოდ გათავისუფლებას ითხოვდნენ. კარგად მახსოვს ეს უსაშველო აჩქარება. ისიც მახსოვს, როგორ ვიწყვეტდი წელს დიდ-დიდი ჭირების თრევით. მაგრამ ჩვენი ნამდვილი ცხოვრება მაინც ღამით იწყებოდა, მაშინ, როცა რადიო ლევიტანის ხმით განგაშს გვაუწყებდა. დიახ, სხვენებზე ვმორიგეობდით. გადავრბოდით სახურავიდან სახურავზე, რომ სადღაც იმ ცეცხლოვან ქურვისათვის გმირულად წაგვევლო გრძელ-გრძელი მარწუხები და ძირს გადაგვეგდო. მთავარი კი იმ ღამეების სიცივე იყო, გამყინავი, ვით სიკვდილი.

ჩვენი სახანძრო რაზმის სრული სახელწოდება, მგონი, ასეთი გახლდათ: „ლენინის რაიონის კომკავშირულ-ახალგაზრდული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის რაზმი“. ყაზარმა იაკიმანკაზე, იქვე, ხიდს იქით მდებარეობდა. სანაპიროზე მდგარი სახლი ჩვენს უბანს არ ეკუთვნოდა. მაგრამ ერთხელ მაინც აღმოვჩნდით იქ. ახლა აღარ მაგონდება, რას ვაკეთებდით ან რატომ ვაგვაგზავნეს. მახსოვს, სახურავზე ანტონსა და მასთან ერთად სამ ყმაწვილს შევხვდით. მერე სონია განჩუკთანაც შევირბინეთ, იქ კი ვადკა ბატონა დაგვხვდა, იგი მეორე დღეს მოსკოვიდან მიემგზავრებოდა და დასამშვიდობებლად მოსულიყო, მისი ეშელონი გამთენიისას გადიოდა: სადგურში კი შუალამით უნდა მისულიყვნენ. ჩახხდომა ძალიან ჭირდა, მე მამიდაჩემი გავაცილე და ვიცოდი, იქ რა ამბავიც ტრიალებდა, ბატონა გლებოვი შესამჩნევად აწოწილიყო, ხმა დაბოხებოდა, პატარა, შავი ულვაშიც უბიბინებდა. მგონი, ასე იყო, სონიასთან დასამშვიდობებლადაც მოსულიყო და შეპირებული სამგზავრო ბაულის წასაღებადაც. მახსოვს, შუა ოთახში იდგა და ფინჯნიდან ჩაის სვამდა, სონია კი ჯაგრისით საშინლად დამტვერილ ბაულს წმენდდა. სწორედ ამ დროს სინათლეს ჩაქრა. ის იყო სანთლისა თუ ფარნის ძებნა დავიწყეთ, რომ განგაშიც გამოცხადდა. ეს უკვე მეორედ იმ საღამოს.

სინათლე მალევე აინთო და ვხედავ: სონიას თვალებზე ცრემლი აღვას და იღიმება. სონია იმ დროისათვის თითქმის აღარ მახსოვდა და ვადკა ბატონასაც სავსებით გულგრილად ვუყურებდი. ყველაფერი ეს უკვე შორეულ, ტანჯვაგადატანილ ბავშვობას ეკუთვნოდა.

იმღამინდელ ამბებიდან ისიც მაგონდება, რომ ანტონს ქამარზე უშველებელი კავკასიური ხანჯალი ეკიდა. სახურავზე ლითონის წვრილმავთულებიან დაბალ გალავანთან ვიდექით მე და ანტონი და ჩაშავებულ ღამის ქალაქს გა-

დავყურებდით. არსად შუქის ნატამალი, ერთი გამოკრთომაც კი. ამ ერთიანად ჩამუჭებულ ქალაქში მხოლოდ ორი ვარდისფერი იარა ირბეოდა — მდინარე მოსკოვის გაღმა მხარეს ორი შენობა იწვოდა. ქალაქი უსასრულოდ დიდი იყო. ძნელი საქმეა უსასრულობის დაცვა. თანაც მდინარეს აბა სად დამალავ. ვარსკვლავებარეკილი წყალი ვერცხლისფრად ციმციმებდა. მისი სვეულების მიხედვით რაიონების გამოცნობაც შეიძლებოდა. ისეთი გულისტკივილით მივჩერებოდით ქალაქს, თითქოს ცოცხალი არსებაა და შველას გვთხოვსო. მაგრამ ჩვენ აბა რა შველა შეგვეძლო? გაოგნებულნი მღუმარედ ვიდექით უხილავი უფსკრულის პირას და მბზინვარედ მოცახცახე ზეცას მივჩერებოდით, სადაც ბედისწერის მოლოდინში ყველაფერი დაძაბულიყო: ვარსკვლავები, ღრუბლები, აეროსტატები, პროექტორების ცერად და უხმოდ მორი-აღე თეთრი ხანჯლები, დაუსრულებლად რომ აპობდნენ ამ ძველინძველ სამყაროს. და აი, სწორედ ამ დროს ანტონმა ერთი ფრაზა წაიბურტყუნა. მისმა სიტყვებმა მართლაც გამაოგნა:

— იცი, ვინ მეცოდება? ჩვენი დედები...

ეს კი ნიშნავდა, რომ ჩვენ წინანდლები აღარ ვიყავით. ეს იყო ნაძალადევი შეცვლა. დრო, ისე როგორც ზეცა, გამაყრუებელი ზათქით გასკდა.

მერე მახსოვს, კიბის მოედანზე ვიდექით. სონიას ავადმყოფი დედა ლიფტით დაბლა უნდა ჩავვეყვანა. ბატონამ მთასწრო ჩემთვის ეთქვა, დიდი ყოჩაღი ვინმე ხარ, დროულად მოუსვი ამ სახლიდანაო. გერმანელები სწორედ ამ სახლს უშენენ, მაგრამ ყველა ყუმბარა ასცდა, ხან ზიდს ეცემა და ხანაც კადაშეგვასო, ვადკა თითქოს ჩემს განსაკუთრებულ ეშმაკობას თუ იღბლიანობას უსვამდა ხაზს, არ ვიცი რომელს, ყოველ შემთხვევაში, მე გესლი ვიგრძენი. მაგრამ პასუხად არაფერი მითქვამს, მისდამი უკვე სრულიად გულგრილი ვიყავი. ყველა სართულზე კარებს ხათქახუთქი გაუდიოდა. ისმოდა ხმაური, გადაძახილები, ქვემეხების გუგუნნი, კიბე თითქოს ძაგდაგებდა. ყველა იმას აყურადებდა, ზეცაში რა ხდებოდა. იქ კი ჯერჯერობით სიჩუმე სუფევდა.

— შესაძლოა კენტად კიდევ იყოს რომელიმე არამზადა? — თქვა ანტონმა.

მოპირდაპირე ბინიდან სალამურ პერანგზე პალტომოგდებული კაცი გამოვიდა. უკან ქალი მოჰყვებოდა, რომელსაც გრძელფეხება, მსუქანი გოგო ჰყავდა ატატებული. შორიდან საზენიტო ქვემეხების გრუხუნნი მოისმა. ქალს არაფისთვის მიუმართავს, მაგრამ გარკვევით კი თქვა:

— ნეტა ამ სახლის გერმანელობას აქაურობას მოაცილებდნენ... — მერე ქმარს შეხედა და ჰკითხა: — ხომ მართალს ვამბობ, კოლი!

ლიფტის კარი რომ გაიღო, სონიას დედა კაბინაში შესასვლელად წაიწია, მაგრამ მეზობლის ქალმა საკმაოდ მარდად ჩამოიცილა ბავშვის ფეხებით და თან დააყოლა:

— არა, ბატონო, როგორმე დაიცადეთ, — და კაბინაში პირველი შევიდა. ქალს ქმარიც მიჰყვა და კიდევ ვიღაც ერთი კაცი. ლიფტი დაიძრა. პროფესორმა განჩუკმა იკითხა:

— ესენი ვინ არიან?

— ახალი მეზობლებია, — თქვა სონიამ და გაუბედავად დასძინა: — ცუდს ვერ ვიტყვი, მაგრამ რაღაც უცნაური ხალხია...

მე და ანტონმა ხელები გადავაჯვარედინეთ, ზედ იფლია მიხაილოვნა დავსვით და დაბლა სარდაფში ჩავიყვანეთ. მე იაკიმანკაზე დაგბრუნებულყავი. საზენიტო ქვემეხების გრილი სულ უფრო მტკნარს ისმოდა. ეზოში რომ გამოვვარდი, უკვე ყოველი მხრიდან გამაყრუებელი სროლა იყო გაჩაღებული. სროლის შუალედებში გარკვევით ისმოდა, როგორ ძალით ერჭობოდა ყუმბარების ნამსხვრევები ქუჩების ასფალტში. ასე გრუხუნსა და ზრიალში დავემშვიდობე იმათ, რუმცა იქნებ ვერც მოვასწარი დამშვიდობება...

არა, იყო კიდევ ერთი შეხვედრა, კიდევ ერთი! ანტონი უკანასკნელად ოქტომბრის ბოლოს პოლიანკაზე საფუნთუშეში ვნახე. უეცრად დაზამთრდა, თოვლი მოვიდა, ყინავდა კიდევ, მაგრამ ანტონს, რა თქმა უნდა, არც პალტო ეცვა და არც ქუდი ეხურა. მითხრა, თრი დღის შემდეგ დედასთან ერთად ევაკუაციით ურალში მივდივარო, და რჩევაც მკითხა: მითხარი, რა წავიღო, დღიურები, სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანი თუ ნახატებიანი ალბომებიო? დედამისს ხელები სტკიოდა და მძიმე ტვირთი მხოლოდ მას უნდა ეთრია. ანტონის საზრუნავი, რასაკვირველია, უმნიშვნელო წვრილმანად მეჩვენა. რომელ ალბომებზე, რომელ რომანებზე შეიძლებოდა ფიქრი, როცა გერმანელები მოსკოვს იყვნენ მომდგარნი? ანტონი კი მაინც ყოველდღე წერდა და ხატავდა. ქურთუკის ჯიბიდან ორად მოკეცილი საერთო რვეული მოუჩანდა. მერე ისიც მითხრა: „ამ საფუნთუშეში ჩვენს მოულოდნელ შეხვედრასაც ჩავწერ და მთელ ჩვენ საუბარსაც, იმიტომ რომ ისტორიისათვის ყველაფერი მნიშვნელოვანია“.

მრავალი წლის შემდეგ ანტონის დედასთან მივედი — ქალი ისევ სანაპიროზე ცხოვრობდა, იმავე ბინაში პირველ სართულზე, სულ მარტოდმართო — და ანტონას დღიურები მომცა, ექვსი საერთო რვეული. ეს იყო ომის წინა წელს ნაწერი დღიურები, რატომღაც მოსკოვის ბინაში რომ დაეტოვებინათ და ამიტომაც გადარჩენილიყო. ანტონ ოჯახიკოვის ყველა სხვა ნაწარმოები, მისი ალბომები თუ სამეცნიერო შრომები მდინარე იუსტში ჩაიკარგა. კარჭები გადაბრუნდა. ანტონი და მისი დედა დახრჩობას ძლივს გადაურჩნენ.

გლებოვი ცდილობდა ის სიტყვები არ ხსომებოდა: დიახ, ის სიტყვები, როყდესტვენსკის ბულვარის ხეივანში შემთხვევით შეხვედრილმა კუნთოვანოვიჩმა რომ უთხრა. ნეტა როგორ ეჭირა თავი, როცა ეს ყველაფერი პირში დაუფარავად მიახალეს. ეს მერე, კაი რვა წლის შემდეგ მოხდა, მაგრამ, ეტყობა, არც მაშინ აკლდა ღელვა და გაღიზიანება. მგონი, სულაც სადოქტოროს წინა თუ აქეთ, ამ ბინაში გადმოსვლის ხანა იყო. ზამთარი იდგა, შუა ზამთარი! ხეივნის ბილიკზე ყვითელი ქვიშა ეყარა, აქეთ-იქით კი თოვლის ნამქერები ჩანდა. გლებოვი მარტო არ იყო. საქმეც ის გახლდათ, რომ სხვათათანდასწრებით წასძახეს — ჰოდა, დაუბნელდა კიდევ გონება. სწორედ ის თანმხლებნი რომ არა, ალბათ ძალიან ცუდად დამთავრებოდა ყველაფერი: თვითონაც არ იცოდა, რას იზამდა. გეგონებოდა, მიხრჩობა უნდაო, თოვლზე დასცა და ყელში სწვდა. მთელი ცხოვრება ამ ამბის დავიწყებას ცდილობდა, თითქმის შეძლო კიდევ, თითქმის დაივიწყა — მაგალითად, უკვე აღარ ახსოვ-

და, კერძოდ რა უთხრა ისეთი იმ კაცმა. ის კი იყო, რომ ამ კაცის გახსენებაზე, თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა, გულის სიღრმეში რაღაც მოეწურებოდა.

გლებოვი ცდილობდა არც დრუზიაევის კაბინეტიდან გამოსული იულია მიხაილოვნას სახე გაეხსენებინა. ქალი დერეფანში ვიღაც გოგონას ხელკავით მოჰყავდა. გლებოვი წამით შეეცა, არ იცოდა, რა ექნა, თავს — დხეკნისკ — რამე ეთქვა თუ უსიტყვოდ მისალმებოდა. დაბნეულობისაგან გაშეშდა. გვერდით ჩავლილ იულია მიხაილოვნასაც სახე თითქოს გაუქვავდაო. აი, სწორედ ამ გაქვავებული სახის დავიწყებას ცდილობდა, იმიტომ რომ მეხსიერება — ბადეა, მეტიმეტად არ უნდა დაჭიმო, თუ ტვირთი მძიმეა. დაე, თუჯმა გაგლიჯოს ბადე, გავარდეს, გადაიკარგოს. თორემ ცხოვრება ერთთავად მოუსვენარი და დაძაბული იქნება. სონიას დედის გაყინულ-გაქვავებული, ფერწასული სახე დიდხანს მაინც ვერ დაივიწყა, დროდადრო მაინც ახსენდებოდა, მით უფრო, თუ მათზე რამეს გაიგონებდა: მაგალითად, როცა მისი სიკვდილი გაიგო. იულია მიხაილოვნა აღრევე მოკვდა, გლებოვი ჯერ ისევ ასპირანტურაში სწავლობდა. იულია მიხაილოვნა გულით სნეული ქალი იყო, მძიმე ავადმყოფი. გასაოცარია, რატომ იჩემებდა ასეთი თავგამეტებით, ვინდა თუ არა, სამუშაოზე დამაბრუნეთო. მისი მუშაობა არამც და არამც არ შეიძლებოდა. არც მუშაობა, არც სჯა, არც ბაასი, არც შურისძიება. არაფერი, გარდა ბრუსკოვოს ბუჩქებსა და კვლებს შორის წყნარად, მშვიდად სიარულისა. მაგრამ ასე არ უნდოდა, ასე არ შეეძლო. თვითონვე მოუსწრაფა საკუთარ თავს სიცოცხლე. დაწვრილებით როგორ მოხდა, გლებოვმა არ იცოდა, მაგრამ ის გაქვავებული სახე უცბად თვალწინ დაუდგებოდა ხოლმე. ბევრი რამ სხვაც, რის დავიწყებასაც ასე ცდილობდა. არ უნდოდა ხსომებოდა ის სიტყვები, რედკოლეგიაში განჩუქმა რომ უთხრა, როცა ერთ-ერთი განხილვის დროს ერთმანეთს შეხვდნენ. შეურაცხყოფელი არაფერი თქმულა. არავინ მიმხვდარა, რა იგულისხმებოდა იმ სიტყვებში. მოხუცს ველარც იცნობდით, ისე ცუდად გამოიყურებოდა. სახის მარჯვენა მხარეზე რაღაც დამართნოდა, რის გამოც გარკვევით ველარ ლაპარაკობდა. დიდი გულისყურით არც არავინ უსმენდა, თუმცა უკვე ყველგან აღედგინათ, ხოლო მისი მთავარი მტერი დოროდნოვი საბოლოოდ განადგურებული და გამქრალი იყო. ამ ბრძოლებმა შეავსო უკანასკნელი წლები, მაგრამ რაღაც მთავარი მაინც აღუდგენელად იყო დაკარგული. ამიტომაც აღარ დაგაინტერესებდა, აღარ წარგიტაცებდა მოხუცის მოსმენა, რომელსაც მთავარი და მნიშვნელოვანი ხელიდან გასცლოდა. გლებოვის მეტი არც არავინ უკვირდებოდა მის ბუტბუტს, მაგრამ გლებოვმა განჩუქის სიტყვებში გესლი იგრძნო. გულშიაც მოხვდა და გაუკვირდა კიდევ: გამოდის, რომ ამ მოდუნებულ კუნთებს ისევ შეეძლო დაძაგვრა. არა, ეს ყველაფერი უნდა დაევიწყა, გონებიდან ამოეგდო, ისევე როგორც ის სექტემბრის დღე რიგაში, როცა ცენტრალური უნივერსიტეტის მახლობლად, ღია ცისქვეშ გამართულ კაფეში გვერდითა მაგიდასთან მჯდარი სონია დაინახა. ეს უკვე სულ სხვა ხანა იყო, სულ სხვა დრო. გლებოვს ისიც შეეძლო ეფიქრა, ველარ მიცნობენო. ყველაფერი, რაც წარსულისაგან მოედინებოდა, რაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ასე ტანჯავდა და აწუხებდა, ახლა აღარავითარ გრძნობებს აღარ აღუძრავდა, გადაიქერცლა, გადაიარა. განაგონი ჰქონდა, სონია ქალაქგარეთ საავადმყოფოში დააწვინესო. ეს მოსალოდნელიც იყო, სონიას მაინცდამაინც კარგი მემკვიდ-

რეობა არ ჰქონდა. იულია მიხაილოვნას დედამ თავისი სიცოცხლე სულით ავადმყოფთა სახლში დაამთავრა, არც იულია მიხაილოვნა იყო მთლად ჯანსაღი. როგორც სონიას ერთ-ერთი მნახველი ყვებოდა, მთელი მისი დაავადება მხოლოდ ის გახლდათ, რომ სინათლის ეშინოდა და სიბნელეში ვერ იდგებოდა. როგორც თქვეს, სხვა არაფერი აწუხებდა, სინათლეს უფროთნობდა და სიბნელისკენ ილტვოდა. მერე თითქოს გამოკეთდა. გლებოვმა ზუსტად აღარაფერი იცოდა. აღარ იყვნენ მასა და სონიას შორის მდგარი ადამიანები, ყველა იმ დროში დარჩენილიყო. და აი, უეცრად რიგაში შეხვდა. გლებოვი ზღვის ნაპირას ცხოვრობდა, ჩამოვიდნენ ერთი დღით და მარინა მალაზიებში დაათრევდა. დიახ, მეზობელ მაგიდას სონია უჯდა. გვერდით უცნაური გარეგნობის ტურისტულ შარვალსა და კედებში ულაზათოდ გამოწყობილი მალაღი, დიდცხვირა, სათვალისანი ქალი მოჯდომოდა. სონია გლებოვს მიჩერებოდა, უთუოდ ეს მიშტერებული მზერა იგრძნო და ამოტომაც მიიხედა. როგორღაც უნებურად მისკენ წაიწია და რაღაც თქვა: „სონია!“, „გამარჯობა!“ თუ სულაც „ეს შენა ხარ?“ წამით თითქოს თბილი ტალღა გადაევიწყო, თითქოს გაეხარდა. სონია დაბერებული და შესუქებული ჩანდა, თმა სანახევროდ გათეთრებოდა, მაგრამ უეცრად გაფითრების უნარი კვლავ შერჩენოდა. სწორედ ამ გაფითრებული, გამტკნარებული სახით შეშინებული მიშტერებოდა. მერე იმ დიდცხვირა ქალმა მაგიდიდან წამოაყენა, ხელკავი გამოსდო და კაფედან გავიდნენ. კარგად დაამახსოვრდა, იმ ქალს უსაშველოდ დიდი ზომის კედები რომ ეცვა. მარინამ ჰკითხა:

— შენ იცნობ იმ ქალებს? ვინ არიან?

— მოსკოველი ნაცნობებია, კერძოდ ვინ, აღარ მაგონდება, — მიუგო გლებოვმა.

იქნებ ყველაფერი მთლად ასეც არ იყო, რახან ცდილობდა არ მოეგონებინა. ის, რაც არ გაგონდება, აღარც არსებობს. არასოდეს ყოფილა. არ ყოფილა მარტის მეორე ხალხმრავალი კრებაც, როცა უკვე აზრი აღარ ჰქონდა სინდისის ქენჯნას, სულ ერთია, უნდა მისულიყო, თუ თვითონ არ გამოვიდოდა, ყოველ შემთხვევაში, სხვებისათვის მაინც მოესმინა. მგონი, კიდევაც თქვა რაღაც იმ კრებაზე. ძალიან მოკლედ და ნაკლებად არსებითი. მეხსიერებამ არ შეიჩინა. მაინც რა? თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა. განჩუკის საქმე გადაწყვეტილი და ხელმოწერილი იყო. ოლქის პედაგოგიურ ინსტიტუტში უკრეს თავი პერიფერიის კადრების გასამაგრებლად. ვილაც წინააღმდეგი წავიდა, ვილაც ქადაგად დაეცა. არ არის საინტერესო, დაივიწყა — არ ყოფილა არასდროს. ვითომ სინამდვილეში კი იყო? მაგრამ ის კი, გორკის ქუჩაზე მდებარე საკონდიტრო ნამდვილად იყო. ის სურათი სამუდამოდ დაამახსოვრდა. სხვა ყველა დანარჩენი, ყვირილი, მღელვარება, ხუთსათიანი ყბედობა, შესვენებები პაპიროსის გასაბოლებლად, მთვრალი ლიოვკას ბეუტური, შირეიკოს ზეიმი — თითქოსდა წინა რიგებში გაიჭრა, დიდ-დიდ ლიდერებში, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ამ მიტინგებით შემოიფარგლა, იქით აღარ წასულა — მთელი ის აურზაური, გაუგებრობა, ჩმახი, რაც განჩუკის ირგვლივ ტრიალებდა, ფეხების ბაკუნი, ხელების გადაგრება, ცრემლები, ინფარქტები თუ ზარ-ზეიმი ჭაობის მოჩვენებასავით გაქრა. არ იყო, არაფერ არ ყოფილა. თავდამძიმებული, არეული ქუჩაში მიაბიჯებდა. გვერდით ლიოვკა შუღება მოყვებოდა, თანდათან რომ მოეკიდა ღვინო და მოიშალა. იქ

კიდევ როგორღაც ეჭირა თავი, ტრიბუნაზე ხომ დიახაც ყოჩადი ჩანდა. ლიოვკა ბურტყუნებდა: „ჩვენ ვართ მხეცები, არამზადები“... უნდა ხეული მოგეკიდა და ისე წაგეთრია, შესაძლოა წაქცეულიყო. სწორედ იმ დროიდან/წავიდა მისი საქმე უკუღმა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ცხოვრება ძირფესვიანად შეეცვალა, როცა მეორე „მამილო“, უღვაშიან ზაპოროვიჩელს ჰრამ ჰგავდა, მოხსნეს, ოჯახი დაინგრა, მანქანა გაქრა, მარტო დარჩენილი დედამისი კი სასწაულებრივ რაღაცას ჩაეჭიდა, ლიოვკა ფეხბურთის გუნდის ადმინისტრატორად იქცა, დაყვებოდა გუნდს ქალაქიდან ქალაქში, ქირაობდა სასტუმროებს, მოულობდა ბუცებს, ბურთებს, აწყობდა „ლევი“ თამაშებს, ლოთობდა, რის გამოც ცოტა ხანში გამოაგდეს კიდევც: მერე უკვე ღმერთმა უწყის, რას აღარ აკეთებდა. ჰოდა, როცა მილიცია სადმე ქუჩაში წაქცეულს გადააწყდებოდა, ზოგჯერ იმასაც კი ამბობდა, გვარად გლებოვი ვარო, და მისამართსაც გლებოვისას აძლევდა, უთუოდ სხვა გვარებადაც ინათლებოდა და სხვა მისამართებსაც ასახელებდა. ერთი-ორჯერ გლებოვს კარზეც მოაყენეს. მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის ამბავია, დაახლოებით თოთხმეტი წლის წინანდელი. მერე სავსებით შთანთქა ტალღებმა და გლებოვს მასზე აღარაფერი სმენია, ვიდრე უეცრად ამ ავეჯის მალაზიაში არ გადააწყდა. გადააწყდა ახლა, როცა აღარავითარი სანტიმენტების თავი აღარა ჰქონდა, საერთოდაც არაფრის, გარდა ნამდვილი საქმისა.

მაგრამ მაშინ, კრების შემდეგ, როცა მოსკოვის ქუჩებში დაბანცალებდნენ, ამაზე წარმოდგენაც არა ჰქონდათ: ლიოვკამ არ იცოდა, რომ სულ მალე მოლიბუღლ მთიდან დაქანებულ ცარიელ ციგასავით დაეშვებოდა. არც გლებოვმა იცოდა, რომ დადგებოდა ქაში, როცა შეეცდებოდა არ ხსომებოდა ყველაფერი ის, რაც იმ წუთებში მის გარშემო ხდებოდა. რა თქმა უნდა, არც ის იცოდა, რომ იმ ცხოვრებით ცხოვრობდა, რომელიც არ არსებობდა. და აი, უეცრად საკონდიტროს ვიტრინის იქით განჩუქს მოჰკრა თვალი. განჩუქი ყავის სასმელ მაღალ მაგიდასთან იდგა, ყველა ხუთივე თითით ქალაქში გახვეული ნამცხვარი „ნაპოლეონი“ ეჭირა და ხარბად ილუქმებოდა. ვარდისფერ ნაოჭებში ჩაფლულ მსუქან სახეზე სიამოვნება ეხატა, კარგად მორგებულ ნილაბივით ამოძრავებდა. მთელი სახის კანი უტოკდავდა, ვიდრე ყბებიდან წარბებამდე. ისე შთაენთქა კრემის სიტკბოსა და თხელ ხრამუნა ფირფიტებს, რომ არც შუშის წინ მდგარი გლებოვი შეუმჩნევია, თვალმოუშორებლად რომ მიჩერებოდა, და არც მობანცალე შეუღებნიკოვი. სულ რაღაც ნახევარი საათის წინ ხომ ეს კაცი ლამის ჩაქოლეს. გლებოვი შემდეგ ხშირად ჰყვებოდა ამ საკონდიტროს ამბავს. დიახ, ბევრი რამ იყო სათქმელი და მოსაყოლი. ძალიან ბევრი: ესა თუ ისა, თუმცა სჯობს საერთოდ არ გაიხსენოს. და მაინც როგორ იდგა და რა მადლით ახრამუნებდა „ნაპოლეონს“.

და აი, კიდევ რა ჩაეჭედა გონებაში ყველა თავისი წვრილმანითა და ელფერით. ეს იყო ბებუის დაკრძალვის შემდეგ განჩუქებთან პირველად მისვლა მარტის კრებამდე, იმ სამეცნიერო საბჭოს შემდეგ, რომელსაც გლებოვი არ დასწრებია. დიახ, ეს გახლდათ მისთვის დამახასიათებელი, ვითომ ბრძნული საქციელი. მას ხომ გუნებაში უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა. — სიბრძნე-სიცრუისა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ თვითონ სონიასაგან სურდა მიეღო თუნდაც გადაკრული, შეფარული ნებართვა. იმას ოცნებობდა,

თვითონ სონიას ეთქვა: „ჰო, შენ მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო, შენ უნდა დამშორდე. ასე აჯობებს ჩემთვის, შენთვის, მამაჩემისთვის, მეცნიერებისთვის, ყველასა და ყველაფრისთვის“. რასაკვირველია, სონიას ამის თქმა არ შეეძლო. მაგრამ თუნდაც ნახოს გლებოვის ტანჯვა, გაიზიაროს, მიხვდეს, რომ სხვა გამოსავალი არა აქვს. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ გაუგებდა სონიას მთავარი ღირსებაც ხომ ყველაფრის მიხვედრა და გაგება იყო.

კარი იულია მიხაილოვნამ გაულო. გლებოვმა იგრძნო, რომ სონიას დედა მის დანახვაზე წამით თითქოს წაბარბაცდაო და შინ შებატიყებაც დააყოვნა: „ა, გამარჯობათ, შემობრძანდით...“ გლებოვი შევიდა. იულია მიხაილოვნამ რაღაც ჩქარი, ცოტა არ იყოს, აგდებული ქესტით საკიდზე მიანიშნა: „შეგიძლიათ აქ დაკიდოთ“. გეგონება, პირველად მისულიყოს იმ ოჯახში. უბრალოდ, მაშინვე აგრძნობინეს, რომ ეს სახლი მისთვის უკვე აღარ არსებობს. „სონია მალე მოვა, სასადილოში დაელოდეთ“. მერე ასევე აგდებული ქესტით ქალმა პიანინოს გვერდით მდგარ დივანზე მიუთითა, დაბრძანდითო. გლებოვი დივანზე ჩამოჯდა, იულია მიხაილოვნა გავიდა. იგი მარტო იყო და საკმაოდ მშვიდადაც, თუმცა კბილის ექიმის მისაღებში მყოფი კაცივით მოსალოდნელი ტკივილის წინათგრძნობა დაუფლებოდა. მაგრამ რაკი მოვიდა, ავადმყოფ კბილს უსათუოდ უნდა გამოთხოვებოდა. მზად იყო კიდევ ყველაფერი აეტანა. მაგრამ იმან მაინც დააფიქრა: „რატომ მიიღო ასე შესამჩნევად ცივად იულია მიხაილოვნამ?“ ვერ მიმხვდარიყო. ეს ამბავი ხომ მარტის კრებამდე მოხდა. აბა როგორ შეეძლო იულია მიხაილოვნას იმის ამოკითხვა, რაც ჯერ მხოლოდ თავის გუნებაში გადაწყვიტა. ჰოდა, დააპირა კიდევ ოთახში დაბრუნებული იულია მიხაილოვნასათვის ეკითხა: რა მოხდა? თითქოს თვითონ მას უჯავრდება რაღაცაზე?

არც იულია მიხაილოვნა შემოვიდა და აღარც სონიას მოსვლას დაადგა საშველი. გლებოვს ესმოდა დერეფანში იულია მიხაილოვნას მოკლე-მოკლე ნაბიჯების ხმა თუ ვასიონასთან საუბარი. მერე კაბინეტის კარი გაჩნაქუნდა და განჩუკის ბუბუნიც გაისმა. „ეს ის არ არის, რაც მე მინდა!“ — ხმამალლა წარმოთქვა იულია მიხაილოვნამ. განჩუკმა რაღაც უპასუხა, მაგრამ გლებოვმა ვერ გაარჩია. მერე ყველაფერი მიყუჩდა. სასადილოში არავინ შემოდიოდა. კარი უხმაუროდ გაიღო და ოთახში შავი კატა მავრიკი შემობრძანდა. გვერდზე ისე ჩაუარა, გლებოვისათვის არც შეუხედავს, ჩაუარა, როგორც სკამს, მთელი სასადილო გადაჭრა და სონიას ოთახში შევიდა. გლებოვი აწრიალდა, კაინახევარი საათი გავიდა, რაც დივანზე იჯდა, ბოლოს და ბოლოს ეს რა საქციელია? განა ისეთი რა საფუძველი აქვთ? სამეცნიერო საბჭოზე მის მოუსვლელობას საპატიო მიზეზი ჰქონდა, მიზეზზე მეტიც. ახლობელი ადამიანის სიკვდილი როგორმე სამსახურში ატეხილ უსიამოვნებაზე უფრო მნიშვნელოვანია. თანდათან უღვივდებოდა ბრაზი და იულია მიხაილოვნას საწინააღმდეგო განწყობილება — არა, ამ ქალში ყოველთვის იგრძნობოდა რაღაცნაირი მედიდურობა, თავკერძობა, ძალიან უსიამოვნო ქალია. მას განჩუკიც მიაყოლა, ცოლს რომ ყველაფერში ასე ემორჩილებოდა. ფარული ნიშნისმოგებით ისიც კი გაიფიქრა — ახიც არის, კუდზე რომ ფეხი დააჭირესო. არ შეიძლება ყველაფერს მხოლოდ შენი თვალით ზომავდე. არც ის არის შემთხვევითი, ბევრი ქომბავი რომ არა ჰყავთ.

როგორც იქნა, შემოვიდა იულია მიხაილოვნა, მაგრამ არც ჩაი შემოუტა-

ნია, არც ნამცხვარი, თქვენ წარმოიდგინეთ, არც საფერფლე. ქალს ხელში მაგიდის ლამპა ეჭირა.

— თქვენ ჩემზე რალაც გამწყრალი ჩანხართ, იუღია მიხაილოვნა? — გამომწვევი ხმით ჰკითხა გლებოვმა.

იუღია მიხაილოვნამ უცნაურად ჩაიფრუტუნა, მაშინვე ^{სარკინის} ლამპა კუთხეში, ყურნალის მაგიდაზე დადგა და აანთო.

— დიახ, წარმოიდგინეთ, რომ გამწყრალი ვარ.

— მაინც რატომ, იუღია მიხაილოვნა?

— ამას ასე ადვილად ვერ აგიხსნი. საუბრის დრო არა გვაქვს. ახლა სონია მოვა. აქ ბნელა, არა? სინათლის ანთებაა საჭირო. როგორც გოეთემ თქვა აღსასრულისას, — „Mehr licht.“ ქალმა ჭალი აანთო და ოთახიდან გავიდა. იქნებოდა ასე დღის ოთხი საათი, ჯერ არც ისე ბნელოდა. უეცრად იუღია მიხაილოვნა დაბრუნდა და კარი მჭიდროდ მიხურა. ქალს თვალები უელვარებდა, აჩქარებით მოძრაობდა. დივნის წინ სკამზე დაჯდა და ანთებული მზერა გლებოვს თვალებში გაუყარა. მერე ჩქარი, თუმცა ჩუმით ალაპარაკდა:

— სანამ სონია მოსულა, შევეცდები როგორმე აგიხსნათ. ჩუმად იმიტომ ვლაპარაკობ, არ მინდა ნიკოლაი ვასილიევიჩმა გაიგონოს... მართალი გითხრათ, ამ საუბარს არ ვაპირებდი, მაგრამ რალაი თვითონვე მკითხეთ... იცით, რას ვფიქრობ თქვენზე? მე თქვენ მეზიზღებით. დიახ, დიახ, გაკვირვებით ნუ ქაჩავთ მაგ თვალებს...

იუღია მიხაილოვნამ მართლაც გაუგონარი რალაცები თქვა. თუ რა ძნელია ადამიანის შეცნობა, თუმცა მაინც დგება წუთი — რატომღაც „ლამის წუთიო“ ამბობდა — როცა ადამიანის სახე აშკარა ხდება. ახსენა თავისი დედაც, ნათელმხილველის უნარით დაჯილდოებული ქალი, რომელსაც მომავლის წინასწარმეტყველება შეეძლო.

გლებოვს ახოვს, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე შიშმა აიტანა: ვაითუ ესეც ნათელმხილველია და ჩემი ზრახვები გამოიცნო? მაგრამ იუღია მიხაილოვნამ, თითქოს მის ფიქრებს პასუხობსო, მაშინვე დასძინა, რომ იგი ასეთ ნიჭს მოკლებულია, არ იცის, როგორ წარიმართება სონიასა და გლებოვის დამოკიდებულება, ჩარევას არ აპირებს... მაგრამ მისი აზრით... შიშით აღარ არის... წყევლის იმ დღეს... დიახ, ეს იყო საოცარი ჩმახი, ღვარძლის, სისულელეების, უაზრობის ნაზავი! ეს ქალი ნამდვილად ავად იყო. გლებოვმა სონიასაგან იცოდა, როცა დედამისს წნევა უწევდა და სტენოკარდიულ შეტევას ელოდა, სულიერადაც ვერ იყო კარგად.

გლებოვმა წასვლა დააპირა, ფეხზე წამოხტა და ქალს შესთავაზა:

— წყალს მოგიტანო!

მაგრამ ქალმა ხელი წაავლო და შეაჩერა, თანაც თითები ისეთი გასაოცარი ძალით ჩასჭიდა, გლებოვს გააცოცხა: ასეთი ძალა ალბათ მხოლოდ სულით ავადმყოფებს აქვთო. არა, იუღია მიხაილოვნა გიჟი არ იყო, არავინ იცის რატომ, მაგრამ გლებოვი ეზიზღებოდა, და ახლა თავისი შეხედულების გამომჟღავნებას ჩქარობდა. მერე, გეგონება, გლებოვის აზრები ამოიცნო, სხაპასხუპით წარმოთქვა:

— არავის დაძახება არ არის საჭირო, მე ყველაფრის თქმას მოვასწრებ.

ამ დროისათვის სონიაც მოვა, დავლევთ ჩაის, მხოლოდ იცოდეთ, მე თქვენ-
თვის არაფერი მითქვამს, გესმით?

შემდეგ ასევე ჩუმად, მაგრამ სხაპასხუპით მიაყარა, რომ გლებოვი ჭკვი-
ანი კაცია, თუმცა ეს ყინულივით ცივი, სხვისთვის მოუხმარელი, უიღამიანო
ჭკუაა. სათავისო ჭკუა. მოკლედ. გიჟივით ბოდავდა რაღაცას.

— თქვენ თვითონაც ვერა ხვდებით, რამდენად ბურჟუაზიული ხართ!
თითქოს გლებოვს გამოეყენებინოს ყველაფერი: მისი სახლი, აგარაკი,
ქმარი, ქალიშვილი, წიგნები. აბა რა უნდა ეპასუხა ასეთ ბრალდებებზე? ხომ
ვერ შეეშებოდა ამ საწყალ ქალს. გლებოვი დივანიდან წამოდგა და ისევ
ჰკითხა:

— შეიძლება წყალი მოვიტანოთ?

— მომიტანეთ, — მშვიდად დაეთანხმა ქალი.

გლებოვი სამზარეულოში გავიდა, ვისიონამ ჰიქა მისცა, შიგ ანადულარი
წყალი ჩაასხა და ოთახში დაბრუნდა. იულია მიხაილოვნა ისევ იმ ადგილას
იჯდა და წინ იყურებოდა.

— იცით, რას გეტყვით? — წყნარად, თითქოს ახლა გამოერკვაო, თქვა
ქალმა და ჰიქა გამოართვა. — ყველაფერს ის აჯობებს... ეს საუბარი ჩვენ
შორის დარჩეს. დიახ, ყველაფერს ის აჯობებს, თუ ამ სახლიდან წახვალთ.

— მაინც რა ჩავიდინე ასეთი? — ჰკითხა გლებოვმა.

— ჯერჯერობით არაფერი. ჯერ ვერ მოასწარით: მაგრამ რატომ ველო-
დოთ, როდის ჩაიდენთ? წადით ახლა... გთხოვთ, გემუდარებით... — ქალი
მართლაც, მუდარით სავსე თვალებით შეჰყურებდა. — სოწეჩკა ვერ გაიგებს
ამ ჩვენი საუბრის ამბავს. გეფიცებით! გნებავთ ფულს მოგცემთ?

— რა ფულს? აბა რას ამბობთ?

— თქვენ ხომ ფული გჭირდებათ, თქვენ ხომ ფული გიყვართ? გიყ-
ვართ და არ გაქვთ. რამდენი მოგცეთ? — ქალი ისევ ბოდავდა. — ჩქარა
თქვით, სანამ სონია მოსულა. ჰო, ჰო, ხარემ ახლავე თქვით. მე ფულს მოგცემთ,
და თქვენც ახლავე, დაუყოვნებლივ... არა, დაიცადეთ! სხვა რაღაცას მოვი-
ტან! — ქალმა უეცრად ჩურჩული დაიწყო: — მე ერთ ბეჭედს მოგცემთ,
ძველებურ, საფირონისთვლიან ბეჭედს. თქვენ ხომ გიყვართ ბურჟუაზიული
ნივთები? ოქრო? კლავინოდეები?

— რაკი ასე ძალიან გსურთ, რომ წავიდე, კი ბატონო, არ გეურჩებით...

ქალმა ხელები ააქნია და ჩურჩულით წარმოთქვა:

— ერთი წუთით! ახლავე მოვიტან! მე სრულებით არა მჭირდება, თქვენ
კი გამოგადგებათ!

იულია მიხაილოვნა თავისი საწოლი ოთახის კარს ეცა, მაგრამ, საბედნი-
ეროდ, ხელი შეუშალეს — შემოვიდა განჩუკი. გაიბა რაღაც უცნაური, მო-
ღვენთილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი, რატომღაც დოსტოევსკიზე. განჩუკმა
ალიარა, დოსტოევსკის სათანადოდ არ ვაფასებდიო. ალექსეი მაქსიმოვიჩიც
სწორი არ არის, საჭიროა ახლებური შეფასება: ახლა ბევრი თავისუფალი
დრო მექნება და ამ საქმეს ჩავუჯდებიო. იულია მიხაილოვნა ქმარს ნაღვლია-
ნად და დაძაბული ყურადღებით მიჩერებოდა. განჩუკმა კი რაღაც ამდაგვა-
რი თქვა: რაც დოსტოევსკის აწამებდა — ყველაფერი ნებადართუ-
ლია, თუ აბლაბუდებიანი ოთახის მეტი არაფერი გაქვსო — დღემდე არსე-
ბობს, უბადრუკად, ცხოვრებისეულად ჩამოყალიბებული, ყველა პრობლემა

დაკნინდა, მაგრამ დღემდე არსებობს. ანლანდელი რასკოლნიკოვები მევახშე დელაქაციებს ნაჯახით აღარ კლავენ, მაგრამ აწამებთ იგივე ფიქრი: გადააბიჯონ თუ არ გადააბიჯონ ზღვარს? ისე რა განსხვავებაა, ნაჯახით მოკლბენ თუ სხვაგვარად? მსუბუქად ჩაჰკრავ თუ თავს გაუჩეხავ? განა მსოფლიო პარძონიის დასამყარებლად ჰკლავდა რასკოლნიკოვი იმ ქალს, არა, უბრალოდ ნიშნისთვის, თავისი მოხუცი დედის გადასარჩენად, დის გამოსახსნელად და სსკსუთარი, საკუთარი თავის, ღმერთო ჩემო, რომ თვითონ სადმე, როგორმე ამ ცხოვრებაში...

განჩუკი ხმამაღლა ფიქრობდა, სულაც არ დაეძებდა, უსმენდნენ თუ არა. ხმაც კი შეცვლოდა. უეცრად სონია შემოვიდა განჩუკის სწორედ იმ სიტყვებზე, გლებოვს რომ ეუბნებოდა:

— აი, თუნდაც თქვენ, დიმა, რატომ მოდიხართ ჩვენთან? ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით ეს სრულიად აუხსნელი ამბავია. მაგრამ აქ შეიძლება იყოს სხვაგვარი ახსნა...

ამ სიტყვების გაგონებაზე სონია გლებოვს მივარდა და მამამისს შესძახა:

— მამა, ნუ აწუხებ დიმას, იგი ისედაც გააწამეს!

ქალი ისე აეფარა გლებოვს, გეგონება, განჩუკი რალაციის მოქნევას უბირობდა. მაგრამ განჩუკი ვერც ქალს ხედავდა და არც არა ესმოდა მისი.

— აქ შეიძლება მხოლოდ — კვლავ განაგრძო მოხუცმა, — მეტაფიზიკური ახსნა. გახსოვთ, რასკოლნიკოვს როგორ იზიდავდა ის საბლი... ო. არა! ეს მაგალითი არ გამოდგება! — თქვა და ნამდვილი პროფესორის ქესტით თვითონვე უარყო თავისი მოსაზრება. — იქ ყველაფერი გაცილებით ნათელი და მარტივი იყო, არსებობდა აშკარა სოციალური კონფლიქტი. ახლა კი ადამიანს ხეირიანად არც ესმის, რას ჩადის... ამიტომაც საკუთარ თავს ეკამათება... დიახ, საკუთარ თავს თვითონვე არწმუნებს, კონფლიქტი თვით ადამიანშივე ღრმავდება — აი, რა ხდება...

— მამა, ძვირფასო, გევედრები! — კვლავ წარმოთქვა სონიამ.

— კარგი, ჩემო გოგონი... მაპატიე, — განჩუკი მხოლოდ ახლა დააკვირდა გლებოვს, — არა, მე დიმაზე სრულიად არა ვარ ნაწყენი. ოდნავადაც არა, სულაც არ ვუბრაზდები. — განჩუკი გავიდა. გლებოვი სონიას შეჰყვა ოთახში და, როგორც დაღლილობის უამს სჩვეოდა, ფარდაგადაფენილ ტახტზე წამოწვა. სონიაც გვერდით მიუჯდა და თმაზე ხელს უსვამდა. ეცოდებოდა გლებოვი, იცოდა, რა ძალიან უყვარდა თავისი ბებო ნილა. უეცრად განჩუკი ისევ შემოვიდა და ძველებურად, გლებოვისათვის ესოდენ ნაცნობი ხმით უთხრა: — იცით, როდის დავუშვით შეცდომა? აი, მაშინ, ოცდაშვიდ წელს დოროდნოვი რომ შევიბრალებთ. მაშინ უნდა გაგვენადგურებინა.

ამ სიტყვებმა დაამშვიდა გლებოვი: მიხვდა, მოხუცი კვლავ ისევ ის დარჩენილიყო: მაშასადამე, ყველაფერი სწორად გაკეთდა. გლებოვი ღამე სონიასთან დარჩა, მაგრამ დაძინება ვერ შეძლეს. მხოლოდ გამთენიისას ჩაეთვლიათ. გლებოვმა სიზმარიც ნახა: თუნუქის მრგვალ მონპასიეს კოლოფში ჯვრები, ორდენები, მედლები, პატარ-პატარა ნიშნები ეწყო და სათითაოდ სინჯავდა, თან გაჩხაკუნებას უფროთხოდა, ეილაციის გამოღვიძებისა ერიდებოდა. დილით კი სამზარეულოში საუზმის დროს ერთთავად დაბლა იყურებოდა: ხედავდა ბეტონის ხიდს, ადამიანებს, ავტომობილებს, ზევიდან რომ ასე პატა-

რები ჩანდნენ, წყალგალმა მდგარ თოვლისქუდიან მორუხო-მოყვითალო სასახ-
 ლეს, მერე სონიას უთხრა: ლექციების შემდეგ დაგირეკავ და საღამოს მოვა-
 ლო, მაგრამ იმ სახლში იგი მეტად აღარასოდეს მისულა, აი, რამდენი რამ
 მოაგონდა გლებოვს იმ ღამით. ზოგი რამ მეხსიერების დაჭრებით გაიხსენა,
 ზოგიც უნებურად, თავისთავად ამოტივტივდა. გაახსენა დღის ბნელი სვეტის მა-
 ლაზიაში ლიოვკა შულეპნიკოვის შეხვედრამ. მხოლოდ ერთი რამ იყო საკვირ-
 ველი, მაინც რატომ არ ისურვა ლიოვკამ მისი ცნობა. გლებოვს ისე ჩაეძინა
 თავის კაბინეტში, ბაღში გამავალ ფანჯარასთან მიდგმულ საწოლზე, ეს გა-
 მოცანა ვერ ამოხსნა.

1974 წლის აპრილში გლებოვი მატარებლით პარიზს მიემგზავრებოდა
 ლესას კონგრესზე დასასწრებლად, (ლიტერატორებისა და ესეისტების საერ-
 თაშორისო ასოციაციის ესეისტთა სექციის გამგეობის წევრი გახლდათ) და
 ვაგონში ლიოვკა შულეპნიკოვის დედას, ალინა ფეოდოროვნას შეხვდა. ისიც
 იმავე ქალაქს სტუმრობდა თავისი დის მიწვევით, რომელსაც რუსეთი ორმოც-
 დაცამეტი წლის წინ დაეტოვებინა. ალინა ფეოდოროვნა ჭაღარა, მხრებში
 მოხრილ დედაბრად ქცეულიყო, მაგრამ გლებოვმა მაინც უმაღლვე იცნო: იგივე
 შავგვრემანი სახე, კებიანი ცხვირი, მახვილი, მოელვარე გამოხედვა და ბავ-
 შვობიდანვე ნაცნობი, ძველებურადვე კბილებში გარჭობილი პაპიროსი. სა-
 ათობით იდგა დერეფანში ფანჯარასთან და აბოლებდა: გლებოვი წარუდგა,
 თავი მოაგონა, მაგრამ საუბარი რატომღაც ვერ აუწყო. უეცრად, ისევე რო-
 გორც ბავშვობაში, ახლაც იგრძნო ის ქედმაღლური კედელი, ერთთავად გარს
 რომ ეილო ამ ქალს. ღმერთო ჩემო, რაღა ჰქონდა თავმოსაწონი? ყველაფერი
 დაეხსრა, ცხოვრება წაელეკა, შვილი ხელიდან წაუვიდა, მისი ხსენებაც რომ
 აღარ უნდოდა, ისე. და მაინც ბებუნი მანდილოსანი თვალებს ისეთნაირად
 ჭუტავდა, გეგონება, ლორწოვით იცქირებოდა, და დიდკაცური გულგრილო-
 ბით კითხულობდა: „აჰ, ასეა? ესეისტის? ეს საინტერესოა?“ ვარშავის
 შემდეგ ქალმა ცოტა ენა ამოიდგა. გლებოვმა გაიგო, რომ თურმე პირველი
 ქმრის, პროხოროვ-პლუნგის, ძველი კომუნისტის რეაბილიტაციის შემდეგ
 პენსია დაუნიშნეს, რომ ჰქონდა ძალიან კარგი ერთოთახიანი ბინა მშვიდო-
 ბის პროსპექტზე, მეტროს მახლობლად, სადაც ეუღლად ცხოვრობდა და არც
 არავის ნახვა არ სურდა: არც თავისი მშვენიერი ვაჟის, არც ყოფილი რძლის,
 რვა წლის უკან რომ მიეტოვებინა მისი ვაჟიშვილი, რომელსაც ვერა სულიე-
 რი ვერ გაუძლებდა, და არც ჩვიდმეტი წლის უქნარა შვილიშვილის. ბიჭს
 მხოლოდ ახლა გახსენებოდა ბებია, პარიზში ნათესავებთან მიდისო, რომ
 გაეგო. ვითომ მონახულების საბაბით მოეთრა, ეს ამქვეყნად უბადლო შვილი-
 შვილი და ისე, ვითომ სხვათა შორის, მანქანაზე გადაბეჭდილი შეკვეთა მი-
 ჩეჩა: ჭინსები, ქამარი, სანთებელა, წელში გამოყვანილი ცისფერი პერანგი
 ზევიდან დაკერებულ ჭიბეებით. ყველაფერი ფრიად მოსაზრებულად და საქ-
 მიანად. მთელი ცხოვრება სხვებისთვის ვიყავი, ახლა ჩემს თავსაც მინდა მიე-
 ხედო, ჩემთვის ვიცხოვროო. ბერლინის შემდეგ ლაპარაკის ეშხში შევიდა,
 თან უფრო გულწრფელიც ჩანდა. „ამბობენ, თითქოს რუსეთის თავადაზნაუ-
 რობა გადაგვარდაო, ეს პარიზშიაც გავიგონე, მე კი აბა სულ სხვას გეტყვი:
 ჩვენი სისხლი ყველაზე გამძლეა, იმიტომ რომ ჩვენ ყველაფერი გადავი-
 ტანეთ“.

პარიზის სადგურში შემხვედრთა შორის გლებოვმა ცხვირკეხიანი, აფუსფუსებული დედაბერი დაინახა, რალაციით ალინა ფეოდოროვნას რომ მიაგავდა, მხოლოდ უფრო მომჭკნარი და არცთუ პარიზულად გამოწყობილი, რალაც ბალახონისებური ძველმოდური ლაბადა ეცვა. მისი თანმხლები ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ელურტულით შემოეხვია ალინა ფეოდოროვნას. ქალეც ხან რუსულად პასუხობდა, ხან ფრანგულად. მერე ყველანი ერთად ხალხის ტალღას შეეერთნენ და ბაქანს გაუყვნენ. გლებოვი ერთი-ორი წუთი შეჩერდა, ეგონა, ქალი მოიხედავდა, დაემშვიდობებოდა, მაგრამ ალინა ფეოდოროვნამ არ მოიხედა. სამაგიეროდ, უცებ შემპარავი ხმა და დამტვრეული რუსულით წარმოთქმული სიტყვები მოესმა: „მოხარული ვარ, მოგესალმოდ ქალაქ პარიზში, ბატონო გლებოვო! გვიბოძეთ თქვენი ვალიზა. სულ ეგ არის?“ შავგვრემანი, ლოყებ-აფაკლული მსხვილტუჩა, პატარაულღვაშებიანი კაცი, მგონი, გვარად სეკიულო, რომელსაც გლებოვი ოსლოში და ზაგრებში ჩატარებული კონგრესებით იცნობდა, მარჯვედ წაეტანა გლებოვის ერთადერთ ჩემოდანს. მერე ღიმილით დააქნია თავი. ფრანგს თეთრი კუბოკრული კეპი ეხურა, მარცხენა ხელი იქით გაიშვირა, საითაც უნდა წასულიყვნენ, და ხალხის ტალღას შეერია.

პარიზის სადგურის ნაცნობი პაერი, რომელშიც იმდენი რამ შერწყმულ-შენივთულიყო და დახუთულ, მომწარო ნეტარების შეგრძნებას იწვევდა, გლებოვს აღმურივით ეცა. ორმოცი წუთის შემდეგ იგი უკვე ჩქარი ნაბიჯებით მიმოდრიოდა სასტუმროს ბნელ ოთახში, რომლის ფანჯრებიც Pigalle-ს მახლობლად ერთ ვიწრო ქუჩაზე გადიოდა. ღიღინ-ღიღინით დაცალა ჩემოდანი, ჯახუნით მიკეტა კარადების კარები, მერე ლამის სირბილით შევარდა სააბაზანოში და სარკის წინ ტუალეტის მოწყობილობა მიათავისთავა.

ოციან წლებზე წიგნს ვწერდი და მუშაობისას ნ. ვ. განჩუკის გვარს გადავაწყდი. განჩუკი გამორჩეულ როლს თამაშობდა მაშინდელ დისკუსიებში, განსაკუთრებით ჟურნალ „ლიტერატურნი დოზორის“ გარშემო ატეხილ კამათში ოცდახუთი, ოცდაექვსი წლის წინ. ვილაცამ მითხრა, განჩუკი ცოცხალიაო. დიდი გაჭირვებით მოვნახე კიდევ. იგი რეჩნოი ვაგზლის მახლობლად, ბლოკით ნაგები ახალი სახლის ერთოთახიან პატარა ბინაში ცხოვრობდა სულ მარტო. მთელი ოთახი წიგნებით ჰქონდა სავსე, თვით სამზარეულოშიც კი წიგნების თაროები ეკიდა. ის ძველი ბინა, ოდესღაც ასე ხშირად რომ დავდიოდი — რა თქმა უნდა, დავიწყებოდა და აღარც მე მახსოვდა ხეირიანად — თავისი სურვილით ჩაებარებინა, სონიას სიკვდილის შემდეგ იქ მარტო ველარ გაეძლო. აქ, ჩემო კარგო, — აღტაცებით მიყვებოდა, მოხუცი, — შესანიშნავი მიკროკლიმატია, ფიჭვის სუნი ტრიალებს, თხილამურებითაც შეგიძლია ისეირნო. განჩუკი ოთხმოცდაექვსი წლისა გახლდათ. ზეზეურად ჩამომხმარსა და მოხრილს თავი მხრებში ჩავარდნოდა, თუმცა ლოყებზე ჯერ კიდევ შერჩენოდა სიკვდილის დღემდე ფერუცვლელი სიღაყდაყე. როცა რის ვაივაგლახით გამოგიწვდიდა დაკრუნჩხულ მარჯვენა ხელს და თითებს მტევანზე ჩაგჭიდებდა, მაინც იგრძნობდით წინანდელ ძალას. „დიახ, მე ვარსებობ“, გეუბნებოდა თითქოს ხელის ჩამორთმევით, თუმცა თვალებიც ეცრემლებოდა და ენასაც ძლივს ატრიალებდა. შემოსავლელის კუთხეში თხილამურები იყო აყუდებული. ცხვირგრძელი, ლაზათიანად თმადავარცხნილი, ჰალარა დედაბე-

რი კვირადღეობით მოდიოდა და ყველაფერს უკეთებდა. ერთხელ სამზარეულოდან მისი ლილინიც კი მომესმა.

განჩუკს რამდენჯერმე მაგნიტოფონითაც ვესტუმრე. მინდობდა ოციანი წლების ლიტერატურული შეხლა-შემოხლის თაობაზე ეამბნა რამე. — ამ თითქმის ლეგენდარული წლების მოწმეთაგან ხომ ძალიან ცოცხალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ვერა დავტყუე რა. საქმე მონსტრის მეხსიერების დაქვეითება როდი გახლდათ, გახსენება არ უნდოდა, აღარ აინტერესებდა. მე კი სწორედ მაშინდელი ამბებით ვიყავი დაინტერესებული და ყველაფრის გაგება მეწადა. ერთხელ როგორღაც გაკვირვებით და თითქოს სინანულითაც კი მკითხა: „ღმერთო დიდებულო, ნუთუ იმ ჩემს წერილსაც მიაგენით? ნეტაი თქვენ, რომ ამის თავი გაქვთ...“ სამაგიეროდ, დიდი სიამოვნებით ლაპარაკობდა ტელევიზორში ნანახ მრავალსერიან სისულელეზე, ან სულაც „ნაუკა ი ჟიზნი“ ამოკითხულ რაიმე სიახლეზე. განჩუკს თვრამეტი დასახელების გაზეთი და ჟურნალი მოსდიოდა.

ოქტომბერში, სონიას სიკვდილის წლისთავზე სასაფლაოზე წავედით. სონია ძველი კრემატორიუმის ტერიტორიაზე, დონის მონასტრის მახლობლად იყო დაკრძალული. კრემატორიუმი კაი წელიწად-ნახევრის წინ დაეკეტათ, მოსკოვი მიცვალებულებს ახლა სხვაგან, სადღაც ქალაქგარეთ წვავდა. აკი ჩიოდნენ კიდევ, შორს არის, უხერხული მისადგომია, მყუდროებას მოკლებული ადგილიაო. აქ კი, დონის ტაძართან მყუდროება სუფევდა. სასაფლაოზე შვიდის შემდეგ აღარ უშვებდნენ. ჩვენ რომ მივედით, შვიდს ათი წუთი აკლდა. ტაქსი პატარა მოედანთან, ზედ ჭიშკართან გავაჩერეთ. მიწას სიბნელე დაფენოდა, შავი ფერი დასდებოდა ხეებსა და სასაფლაოს კედელს, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლობდა, ჯერ კიდევ დვიოდა ბინდგადაკრული ზეცა, ჩხავილით დაფრინავდნენ ყვავები. ის იყო მეკარე უღარუნით კეტავდა სასაფლაოს ჭიშკარს, რომ ჩვენც მივედით. მოხუცი ხელკავით მიმყავდა. მეკარე აგვიხიროდა, არ შეგიშვებთო. ატყდა ღვა და ალიაქოთი ამ სიბნელეში. ვთხოვეთ, დავემუქრეთ, ფულიც კი შეეთავაზეთ, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მეკარე სულ უფრო უხეშად და ჯიუტად გვპასუხობდა. განჩუკი თავის პერსონალურ პენსიონერობას და ოთხმოცდაექვსი წლის მოხუცებულობას იშველიებდა, თავს აბრალებდა, ყოველ წამს შეიძლება მოკვდეთო. მეკარე ჩახლეჩილი, გაავებული ხმით გვიყვიროდა, მეც ადამიანი ვარ, მეც მინდა შინ დროზე მივიდეთო.

— თქვენ არა გაქვთ უფლება, ჯერ ათი წუთი აკლია...

— სურსათის მალაზიას ხომ კეტავენ თხუთმეტი წუთით ადრე!

— აბა როგორ აღარებთ? სინდისი სადა გაქვთ?

— თქვენ კიდევ ჰკუპას ნუ ისწავლებით! დიახაც რომ შეიძლება. ამათ დამიხედეთ, თურმე შედარება არ შეიძლება!

— მითხარით თქვენი გვარი! — მიხანხალეებული ხმით აყვირდა განჩუკი. — ახლავე მითხარით. მე დავწერ!

— ლევ პროხოროვი! — წამოიყვირა მეკარემ, — თანაც მიხაილოვიჩი! მერე და რა? რა უნდა დაწეროთ, სად უნდა გაგზავნოთ? საიქიოს?

— შულება... — ჩუმად ჩავულაპარაკე, — შეგვიშვი.

მეკარის სახეს წყვედიადი ფარავდა, მაგრამ იგი უმაღვე დაღუმდა და ჭიშკარს გაშორდა. ჩვენ შევედით. სიჩუმეში, რასაც მხოლოდ ყვავების ჩხავილი არღვევდა, ჩემი ქუსლების ჭრაჭუნის და განჩუკის ლანჩების ფლატუნის

ისმოდა. ლამის ჩოჩვით მივდიოდით, ალბათ ასევე დადიოდა იგი თხილამურებზეც. ჭიშკარს დაახლოებით ოცი ნაბიჯით რომ დავშორდით, განჩუქს გადავულაპარაკე:

— მგონი, ეს კაცი ჩვენი კლასელია. ჯანდაბას მაგისი თავი...

შემოვუარეთ შავ, დადუმებულ კრემატორიუმს და სონიას საფლავს დავეწყეთ ძებნა, ამ უკუნეთში არცთუ იოლი საქმე რომ გამოდგა. მოხუცი იკუზებოდა და საფლავის ქვებს ხელით სინჯავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ქოშინავარდნილმა ამოილაპარაკა:

— ეს არის...

მოხუცი ჩაცუცქდა და ასე ჩამჯდარმა კარგა ხანს იფათურა: რაღაცა გადაბერტყა, რაღაც გადააღაგა, ხმელ ფოთლებს შრაშაშრუში გაუდიოდა. მე კი იმაზე ვფიქრობდი, რომ ამქვეყნად მკვდარ სიკვდილზე უარესი არაფერია. ჩამქრალი კრემატორიუმი — ეს მკვდარი სიკვდილია. სასაფლაოს ჭიშკართან კი ლიოვკა შულემა დგას... უეცრად მივეხვდი ბერიკაცს, წარსულის გახსენება რატომ არ უნდოდა. გამაყრუებლად ყრანტალებდნენ ყვავები, რაღაცით უკმაყოფილონი, ზედ თავს დაგვტრიალებდნენ: გეგონებოდა, მათ სამფლობელოში შეჭრას გვსაყვედურობენო. ან იქნებ მათი უამი იწყებოდა და მისვლავერ უნდა გაგვებედა. ხეებზე უამრავი მუქი, ბუთქუნა ბუდე მოჩანდა.

მოხუცი საკუთარ თავს ებუტბუტებოდა:

— რა სულელური, რა დაუნდობელი და უაზროა ეს ქვეყანა! სონია მიწაში წევს, მისი თანაკლასელი ჭიშკართან დგას და შიგ არ გვიშვებს, მე კი ოღბმოცდაექვისი წლისა ვარ... ა? რატომ? ვინ ამიხსნის? — მოხუცი ხელს მარწუხივით მიჭერდა. — არადა, როგორ არ მინდა ამ ქვეყნიდან წასვლა...

გამოვედით კაი ნახევარი საათის შემდეგ. ჭიშკარი ღია დაგვხვდა, მეკარე არსად ჩანდა. იქვე ტაქსი გველოდებოდა და მაშინვე ჩავსხედით. კრინტი არ დაგვიძრავს. მხოლოდ მერე, მოედნისკენ რომ დავეშვით და გვირაბის გავლით სადოვოიასკენ გავუხვიეთ, განჩუკი მძლოლისკენ გადაიხარა და ძლივს გასაგონად წაუჩურჩულა, — გთხოვთ, ცოტა აუჩქაროთ. უნდოდა ტელევიზორში რაღაც გადაცემისათვის მიესწრო. თვალისმომჭრელად კაშკაშებდა ჩირაღდნები, გიზგიზებდა საღამო. უსასრულოდ გაძაბულიყო ქალაქი, რომელიც ასე მიყვარდა, ასე მახსოვდა, ასე ვიცნობდი, ასე მინდოდა გამეგო მისი...

მალე მეკარეც გამოვიდა. სამკაოდ შელანძლული ციგეიკის სარჩულიანი ტყავის რეგლანი ეცვა, ორმოციანი წლების დასასრულს მფრინავებს რომ ეცვათ ხოლმე. მონასტრის გასწვრივ ხეივანს გაუყვა, მერე მარცხნივ შეუხვია, ფართო ქუჩაზე გავიდა და ტროლეიბუსში ჩაჯდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მდინარეზე გადაჭიმულ ხიდზე გადასვლისას სანაპიროზე მდგარ უფორმო, გრძელ სახლს შეავლო თვალი, ათას ფანჯრად რომ ეღვარებდა. ჩვეულები-სამებრ, თვალით მაშინვე თავისი ძველი ბინის ფანჯრები მონახა, სადაც მისმა ბედნიერმა ხანამ გაირბინა და გუნებაში გაიფიქრა: რა იქნება, უეცრად რამე სასწაული მოხდეს და კიდევ ერთხელ შეიცვალოს მისი ცხოვრება?..

იუსტიციის მართლმსაჯულებრივი მინისტრის



დრამატული კომედია ორ ნაწილად

თარგმანი გიორგი ნიხონიძის

ნაწილი მეორე

დიდება და ტანჯვა

მეტრო მეტროსთან შენაგის მეტროსთან

შპში მინისტრის: ბევრი რამ მანდა ამ ბოლო დროს: უცრად მოკვდა დიდი თავადის მრჩეველი და მარჯვენა ხელი. თავადმა ქვრივი შეიცოდა და მალე მორტა ცოლად დაისვა. ამ ამბავმა სულ გადარია ვისმანტის ძმები, სპრუდუიკი და ედივილი. გუშინ თავადმა ხანადიროდ მიიპატიოა მიცვალებულის ძმები, მაგრამ ფრიად უიღბლო გამოდგა თურმე ნადირობა — ორთავე მოკვდა — ყველას უკვირდა, ღონიერ და მამაც მეომრებს ნადირობა ასე როგორ ავნო, მაგრამ ამჟვეყნად რა არ მომხდარა... ხელისუფალს ლამაზმა მორტამ აჩუქა კიდევ ერთი ვაჟი, ხოლო თავადმა უანგარო და უდიდესი პატივის ნიშნად სპრუდუიკის და ედივილის დიდი მიწები შემოუერთა მაშინ ლიტვას, რითაც უზომოდ გაანაწყენა ოჯახები დიდგვაროვანნი. ემეაიტის მთავარს, ვიკინტს, ველარ გაუძლო გულმა; მოუხმო ჯვაროსან ძმებს — რაღას ვუცდიოთ, მოდიოთ, მოვნათლოთ მინდაუგი — და ჯვაროსნებმაც ხელშეკრულება დადეს მასთან — დაეცნენ თავადს და ციხეს ალყა შემოარტყეს. თავადი მიხვდა, რომ ეს ამბავი უსისხლოდ არ დამთავრდებოდა

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 5.

და ინოკენტი IV-სთან, რომის დიდ პაპთან,
 უცებ აფრინა მოციქული — გვსურს მოვინათლოთ,
 გულით გვინდაო თქვენს ჭვარცმულ ღმერთს თავყანი ვცეთო.
 მინდაუგს წმინდა აიაშმა ახსურეს მალე
 და მეფედ დასვეს — გვირგვინი კი ანდრი სტირლიდამ
 თავისი ხელით მსწრაფლ რიგიდან ჩამოიტანა.
 ესე უოველი ათას ორას ორმოცდათერთმეტს
 მოხდა ნებითა ღმერთისა, ხოლო ცოტა ხნის მერე,
 როდესაც ლაშქრით მინდაუგი ვიკინტს მიუხტა
 და, დამნებდიო, შეუთვალა, ვილაც ყივჩალი
 კოჩუ ქურდულად მიეპარა და ლიტვის თავადს
 ბარძაყში შუბი განუწონა. დათვის ქონით და
 ბალახეულით მკურნალობდა დიდხანს თავადი.

თათარი მამბატინამ: რა ენა აღწერს იმ ტკივილს და ვაებას, რაიც
 პატარა ლიტვამ განიცადა. ომი... ლაღატი...
 თითქოს ღმერთებმა...

ზავი მამბატინამ: ღმერთებმა თუ ქრისტე უფალმა?

თათარი მამბატინამ: ღმერთებმა უველა უბედობა თავს დაატეხეს.
 ლიტვა ხმალივით გამოიწროთ ნიადაგ ქირში,
 ღონე მოეცა მკლავში ლიტველს, მკლავიც ხმალივით
 უჭრიდა მაშინ...

ზავი მამბატინამ: ლამაზი და ფუჭი სიტყვაა...

აკი გითხარი, აქ ფაქტია-შეთქი მთავარი.

თათარი მამბატინამ: და ასე განდა: მინდაუგი მეფე — ერთის მხრივ
 და მეორეს მხრივ — მინდაუგი ადამიანი...

ზავი მამბატინამ: უპ, უხლა უკვე ორიც გახდა?!

თათარი მამბატინამ: ...ისე ძლიერი,
 ხულის შემძვრელი ვით ყივილი,
 რომელიც გზარავს,
 მაგრამ არ გესმის, მაინც რას გთხოვს — გამარჯვებულის
 შეძახილია თუ ძლეული გიხმობს საშველად?
 მაგრამ რაკილა შემოგესმა ეს ზარგანმბდელი
 ხმა, აღარ ძალგის გულგრილი და კვლავ მარტო იყო.
 შუალამისას, შენც დგები და შენც ასე ჰყვირი —
 არც სიხარული არის იგი, არც მწუხარება.
 და კაცი ესე, ვით ხანძარი უზარმაზარი,
 გათბობს კიდევ და განადგურებს, გშველის და გთრგუნავს.
 ბედნიერია? — განა ცეცხლი ბედნიერია?
 მართალი თუა? განა ცეცხლი არის მართალი?

ფარდა

მინდაუგის ციხე. დიდი დარბაზი. ახლახან დამთავრდა მინდაუგის მეფედ კურ-
 თხევა.

მინდაუგი და დაუსპრუნგი

მინდაუბი: (გვირგვინს მოიხდის და დებს). აჰა, დამთავრდა ყველაფერი.

ბოლოს და ბოლოს

ხომ დავისვენებ ათახგვარი მოლოცვებისა
 და ხმაურისგან (ათვალღერებს გვირგვინს). რა ლამაზი სათამაშოა.
 ხეირიანად არც მინახავს, მხოლოდ სიმძიმე
 ვიგრძენი მისი ჭერჭერობით. დღეიდან ბავშვებს
 გადავუშალო უნდა იგი — როგორ ლაპლაპებს!
 ჩინჩხლებს თვალეებში როგორ მაყრის! ეს რა თვლებია?



დაუსპრუნი: ცრემლები თუა, ცრემლებიც ხომ ძალზე ბრწყინავენ.
ცრემლი ყოველგვარ ძვირფას ქვაზე უფრო ძვირია,
თუმცა გაანია, ვისთან ფახობს...

მინდაუბი: მაშ, ცრემლებია?...
ნეტავ ესენი ვის დასცვივდა?

დაუსპრუნი: ხალხს, ვისი ოფლით
და მონაგართ შეიძინე ეს თვლები, მისი
უბედურებით გაიკვლიე გზა გვირგვინისკენ.

მინდაუბი: მე არ მჭირდება ეს გვირგვინი მე კი არ მაღევს,
არამედ ლიტვას, დიას, ლიტვას!

დაუსპრუნი: მე დავინახე,
სიხარულისგან თვალი როგორ აგვიკაფდა,
აგვიცახცახდა ხელიც, როცა გვირგვინს შეეხე,
და მთელ სახეზე უცხო ღიმილი გადაგეფინა...

მინდაუბი: ჰო, კემშარიტად ბედნიერი ვიყავ ვით კაცი,
რომელმაც მიზანს მიაღწია. მერე ვით მაშა,
რომელიც ხარობს ვაფიშვილით — ის დავაუკაცდა
პირფენებაა მამისდარი, უკვე აქებენ

და პატივს სცემენ. ყველაფერი მე მას მივეცი,
ჩემს სულს ვუდგამდი, ჩემით ვზრდიდი, ჩემით ვკვებავდი.
თქვენ ბავშვი გახსოვთ, სიხარულს რომ არ ანებებდით.
დღეს, თავად ხედავთ, მეზობელი ყველა უფლოცავს,
ელჩებს უგზავნის ვოლდემარი, დანიის მეფე,
იმპერატორიც ვერმანიის, ვალში არ დარჩენ
არც მოსკოველი, გალიჩელი და ვოლინელი
თუ ბრიანსკელი მთავრებიცა და თავადებიც.
ბედნიერებას უსურვებენ და აურაცხელ
საჩუქარს აქეთ უგზავნიან, შენც კარგად ხედავ.

დაუსპრუნი: ორპირობა და სიცრუეა ეს ყველაფერი.
სტუმრები მხოლოდ დაგვცინოდნენ, ჭიშს გვიგინებდნენ.
ჩვევებს და ენას გვმწუნებდნენ, ქირდავდნენ ღმერთებს,
არად გვივლდებდნენ საჭმელს ჩვენსას და ჩაცმულობას.
საბრალო ლიტვა უცხოური კაბით შემოსე
და ექვთან და ბრაზმორეულ ღმერთს დაუშონე —
გაყიდე ლიტვა და გვირგვინი იმით იყიდე,
ის დაანგრინე, წამებით და ტანჯვით რომ მქმნიდი.
გარეშე მტერმა ვერ წავლევია, ვერ დაგვამონა
და ეს კი ახლა შიგნიდან გვჭამს, გულ-მუცელს გვიღრღნის.
შენ შემოუშვი იგი სახლში, შენ დაგვაროქე
მის წინაშე და გვაიძულე კრძალვა მისადმი.
განაძე, ძმაო, ეს გვირგვინი ცოდვილიანი
და ჩამოხსენი ღმერთი ეგე.

მინდაუბი: მე ძლიერ მომწონს —
გვირგვინი ადევს მახაც თავზე, ტანჯვის გვირგვინი.
თურმე გვირგვინი უბედობას და ტანჯვას ნიშნავს —
იხლადა მივხვდი (თავზე იდგამს გვირგვინს) მეც ჭვარს მაცვით,
მეც ხომ მეფე ვარ!

ეკლებმა შუბლი დამიკაწრა, მეც სისხლი დამდის.
აჰა, წვეთები — რად ვერ ამჩნევ? მაშ რატომ ხედავ
იმ სიხარულს და ღიმილს, სახეს რომ მიციისკროვნებს?
ღიმი კი არა, დავიღრიტე, ძმაო დაუსპრუნე,
შენ მაინც უნდა გეგრძნო-მეთქი. მაგრამ ვაი რომ
ვერ დაინახე — მარჯვნივ მეჭექე და ვერ გაიგე,
რომ მე ჭვარს მაცვებს, ლიტვის მეფედ კი არ მაკურთხეს.

ჩემი მარჯვენა რკინის ჯვარზე თქვენ მიაქედეთ,
 ხოლო მარცხენა — ჯვაროსნებმა, მე ვარ არავინ,
 რა შემოდელია ახლა ჯვარცმულს, სად მაქვს ხელები?
 მაგრამ რაკილა პირში სული ჯერ კიდევ მიდგას,
 გულზე მიმიწნებთ, გული გინდათ ორად გამოიღო
 ვითომ თავს ვიცავ მე ხულებლი... შუბით გაუბეჭდო
 (უთითებს ჯვარცმაზე)

ამასაც გვერდი. მაღე ჩემი ჯერიც დადგება —
 მოიძებნება კაცი, მე რომ შუბით განგმირავს,
 მაგრამ მაშინაც გადაშირბენს ტურზე ღიმილი,
 რადგან მაშინაც ათრთოლებს ჩემს ბაგეს ერთი
 ყველაზე ნაღდი და მართალი სიტყვა — ლიტვა!
 (ხანგრძლივი პაუზა)

დაუსპრუნბი: შეშინდე, ძმაო, უნებურად გული გატკინე —
 უკვე მოვხუცდი, აღარ შემწევს ძალა გავიგო
 და გავიანრო ყველაფერი. შენც კარგად იცი,
 ძალიან მიჭირს შეველიო ძველ ზნეს და წესრიგს,
 შენ რომ სამშობლოს ანაცვალე ასე ადვილად.
 ვიცი, შენც გიმძიმს, ახლა მართო უნდა დაგტოვო,
 ასე აჯობებს — კარგად უწყი, ერთმანეთს ვტანჯავთ.
 ჩემი გზით წავალ, ქვეყნას და ხალხსაც დავხედავ,
 იქნებ როგორმე მეც გავიგო ტანჯვით ნაშობი
 შენი ახალი ლიტვა, მაგრამ თუ ვერ გავიგე,
 ჩემს ძველ ლიტვაში უნდა მოვკვდე.

მინდაუბი: ნუთუ, დაუსპრუნგ,
 შენც მიმატოვებ, თანაც ახლა?..

დაუსპრუნბი: შენ ძლიერი ხარ
 და მიმიხვდები.

მინდაუბი: მე მშურს შენი, ძმაო დაუსპრუნგ!
 მეც რომ შემეძლოს, სუყველაფერს მივატოვებდი
 და შენთან ერთად დავივლიდი ტყეებს, საძოვრებს,
 სოფელ-სოფელ ჩვენს დედა-ლიტვას,
 როგორც ამბობენ, დასავლეთით დიდი ზღვაც არის,
 მე რომ არასდროს არ მინახავს, რომელიც ჩემი
 ქვეყნის ნაპირებს რეცხავს თურმე...

დაუსპრუნბი: ისიც არ იცი,
 რომელი ქვეყნის ხელმწიფე ხარ?

მინდაუბი: დიდი ხანია,
 ჩვენს სანახებშიც არ ვყოფილვარ. მუხა თუ გახსოვს
 მთის ფრიალოზე? წადი, ნახე, იქ თუ დგას ისევ.
 იარე სანამ, ორთავ მუხლი არ მოგეპრება,
 და დაწვრილებით მომიყევი სუყველაფერი,
 როდესაც ჩემთან დაბრუნდები. მშურს, ძმაო, შენი.
 ებ, ერთი ჩვენკენ გამატარა! მაგრამ რას იწამ —
 (ჯვარცმაზე მიუთითებს)
 მეც მასავით ვარ მილურსმული, ჩვენსას რომ მიხვალ,
 მამის საფლავი ინახულე, ჩაყვირე, ლიტვის
 მეფე გახლავს-თქო შენი ვაჟი, მაგრამ საწყალმა
 ბედნიერება ვერ გამოვა-თქო, ასე უთხარი.
 წადი ოღონდაც ყველაფერი გამოიკითხე,
 ნახე, რას შვრება, როგორ ცხოვრობს დღეს ჩვენი ლიტვა.

(დაუსპრუნგი გადის)

მინდაუბი იღებს გვირგვინს და დიდხანს დაჰყურებს.

მინდაუბი:

ახლა ხომ ძალშია დაგანარცხო, ფეხით გაგთვლო, სულ თითო-თითო ამოგთხარო ეს ბაღში თვეები! ვითომ შენ მარტომ აღმაწვევ, განმადლიერე, მარტომ მარტუნე სიმშვიდე და ბედნიერება! ის სისხლი მაინც წაგერეცხა, შენი გულითვის ასე უღვთოდ რომ დაიდვარა! მაგრამ რას ვამბობ — შენ ის ძვირფასი ლითონი ხარ, სისხლი რომ უყვარს და გინარია, სისხლით მოსვრილ ხელში რომ მოხვდი. შენ სიმბოლო ხარ დიდების და ძალაუფლების, მაგრამ ხელები თუ სუფთა გაქვს, რაღა ფასი აქვს თავისუფლებას? გიყურებ და ვერ გამიგია, ჩემს ხელში ხარ თუ მე შენს ხელში?... ბზინვარე ქვები, უხსენებლის თვალებს რომ ჰგავს, მნუსხავს და მყინავს. ლამის ხელ-ფეხიც შემობორკოს და დამაკუტოს. გულიც გამიპე, რაღას უცდი? ცოცხალი თავით, ხომ იცი, ველარ შეგელევი კუბოს კარამდე! შენ ჩემთან ერთად უნდა ჩაწვე შავ სამარეში. და მრავალი წლის მერე ვილაც, მიწას რომ მოხნავს, გიპოვის, ხელში აგიღებს და გაუკვირდება — რა საოცარი ქუდიასო, — იტყვის და ისევ მიწას მოგაყრის, იარსებებს მხოლოდ იდეა, შენი იდეა, ვით იდეა ხელისუფლების, რა ტკბილი ხარ და თან რა მწარე ხელისუფლების დიდო იდეა! შენ გულისკენ მიღიხარ მხოლოდ და ანადგურებ. ყველა ხალხი შენკენ ისწრაფის. ბნელში ვარსკვლავად ციმციმებ და ყველას იტყუებ. ჩვენც ყველაფერს ვთმობთ და უარყოფთ შენი გულისთვის: მშობლებს, მეგობრებს, და-ძმას, ოჯახს, ყველა ახლობელს, სიყვარულსა და ერთგულებას, მიზნებს, ოცნებებს, გულცარიელი ვილტვით შენკენ — ფუჭი, ფუტყრო; შენ ერთმა იცი, რომ თვითონ ხარ არარაობა! მეც ამაო ვარ, რაკი აგერ ხელში მიბყრიხარ! შენ მხოლოდ ბრძანებ, სხვისი შეველა და დახმარება არ შეგიძლია, ვერ მიუტყვებ, ვერ დაინდობ, ვერ შეეწყობი — მოკვდი, გათავდი, მიწად იქეც, ნულარ დაგვლუპავ! (შენობის მორტა.) რა მოხდა, მორტა? გულით გინდა ახლოდან ნახო ეს მოგრაგნილი გველი? წილა შენც დიდი გიდევეს. მე მარტო მას ვერ ჩავიგდებდი. ეს დიდი თვალი ტანჯვა არის და სიყვარული, ხოლო მერე — ქანყი, შფოთი და ძალადობა.

თქვი, რომელია შენი, მორტა, რომელი — ჩემი?

მორტა: მე მეშინია, ახ, მინდაუბ, ასე არასდროს არ მშინებია...

მინდაუბი: ჩუ, დამშვიდდი, რა დაგემართა?

შენ ახლა ლიტვის დედოფალი ბრძანდები, მორტა.

მორტა: ბერმა ზივერტმა დღეს ახალი ღოცვა მასწავლა — „მამაო ჩვენო“, განკაცებულ ღმერთზეც მიაშობო, რომელიც ხედავს ყველაფერს და კაცის ფიქრს ხვდება, გულისთქმაც ესმის, სატიკად ხჯის თურმე ცოდვილებს — ქოჯობეთი აქვს საშინელი, საღაც გენა ცეცხლი გიზგიზებს და შიგ ხრაკავს სულწაწყვედილებს...

მინდაუბი: დამშვიდდი, მორტა, ნუ ცახცახებ, ნუ გეშინია.

ჩვენცა გვაქვს ჩვენი ჭოჭოხეთი — აი, ეს მიწა —
ამაზე მეტი საშინელი სხვა რა იქნება?

მორტა: თუკი ყველაფერს ხედავს ღმერთი, მან უკვე იცის,
რომ მე ვისმანტი მოვატყუე, რომ შენ მიყვარხარ,
რომ მე ის მოვკაღ... რომ შენ მსურდი, რომ შენ ზღაპრულად
მოი, ღმერთებო! თურმე იგი ყველაფერს ხედავს
და რაც მე ვიცი, მანაც იცის....

მინდაუბი: ნუ ღაუჭებ
ყველაფერს იმ ბერს.

ხოლო ვისმანტს რაც შეეხება,
აბა რა შენი ბრალი არის, რომ არ გიყვარდა?

მორტა: ღმერთს რაღა ვუყუო? ნუთუ შენც გწამს, რომ ის არსებობს
და რომ ყველაფერს ხედავს, ისმენს და უკვე იცის?

მინდაუბი: ღმერთი! მორტა, მე ხელმწიფე ვარ
და აღარ ძალმიძს
ვიწამო ღმერთი, არც ჩემი და აღარც იმათი.

მორტა: მაგრამ ის მაინც ხომ არსებობს... ფიქრიც რომ იცის?
თუ არ არსებობს არაფერი? მო, მაგრამ მაშინ
მე ასე რატომ მეშინია, რატომ ვცახცახებ?

მინდაუბი: მე მაგ ბერს მალე გაფაძევებ.

მორტა: ო, არა, არა...
ის კეთილია, მან ხომ მხოლოდ ლოცვა მასწავლა.
ისიც ამიხსნა, რომ ის ღმერთი კაცთმოყვარეა
და გულით უნდა კაცმა ცოდვა გამოისყიდოს,
ეგების მეც ვარ დამნაშავე, მეც ვიმარხულე...
უნდა ვილოცო დღე და ღამე, იქნებ შემინდოს...

მინდაუბი: შეგინდობს, მორტა. ნუ ცახცახებ, მხოლოდ დამშვიდდი...
მინდაუბი მოეხვევა. ისინი სცენის სიღრმეში დგანან. წინა პლანზე მოელვარე
გვირგვინი მოჩანს. ფარდა ეშვება.

თათრი მამათიანე: შენ რატომ არ წერ?

ზავი მამათიანე: რა დავწერო? მადლობა ღმერთებს,
მშვიდობა სუფევს. არაფერი არ ხდება ქვეყნად.
ვერ ვხედავ ფაქტებს. საქმე მართლაც გამომელია
და ისღა მრჩება ვსვა და ვჭამო.
(სვამს და ჭამს)

თათრი მამათიანე: მშვიდობა სუფევს?
შენ თურმე მართლაც ბრმა და ყრუ ხარ, ვერაფერს ამჩნევ.
მეურვე უნდა ყოფილიყავ, ან ციხე-კოშკის
ბეღელი უნდა ჩაგებარა,

რომ ხორბლის თითო მარცვალი ფაქტად მიგეთვალა.

ზავი მამათიანე: შენს პირს შაქარი!
მეც ჩემი წილი დამრჩებოდა, მაგრამ სად არის?
ახლა მართოდენ უნდა ვწერო, ვწერო და ვწერო,
ისიც არ ვიცი, ხელისუფალს თუ მოვაწონებ,
დალახვროს ღმერთმა, იქნებ თოკის უულფიც კი მეღის?..

თათრი მამათიანე: ხელისუფალზე უფრო მეტი სიმართლე გახლავს!

ზავი მამათიანე: წუთისოფელში? არა მგონი...

თათრი მამათიანე: მაშ, ისტორია,

თუ არ სიმართლე, სხვა რაღა?

ზავი მამათიანე: ხა, ხა — სიმართლე!
ისტორიას ხომ მე და შენ ვწერთ, ხოლო ჩვენ ვინ ვართ?
სუხტი, მხდალი და ხარბი კაცნი. ოდენ ძლიერის

ნებას მივყვებით ჩვენ კვალდაკვალ, იგი გვკარნახობს თავის სიმაღლეს — მომბეზრე თავი, გამცილდი, შენ შენი წერე, მე წავალ და კარგად გავძლები.

თეთრი მამატიანი: მწუხარე ფიქრებს დაუბურია შეუფის გული.

ცხოვრებად იქცა ის წუხილი. მხოლოდ უამი-უამ

თუ შეაშფოთებს სიხასტიკე დიდი მიზნისა, მან რომ ბედით აირჩია, მხოლოდ უამი-უამ

თუ ენანება ის კეთილი ადამიანი,

დიდმა ცეცხლმა რომ ჩაჰკლა მასში. იგი შეფვა

და ახლა ფერფლში უამიდანუამ ამაოდ ეძებს

მას, რაიც უკვე არ არსებობს კარგა ხანია.

2

კერამიკის სახელოსნო მინდაუგის კოშკში.

მინდაუგი და მოხუცი

მინდაუგი: (შემოდის. ილიაში გვირგვინი ამოუჩრია):

დიდი ხანია გპირდებოდი, შეჩვენებინა

ის, რაიც ლიტვას არასოდეს არ ჰქონებია.

მოხუცი: (ათვლიერებს გვირგვინს), მართლაც კარგია, მშვენიერი ნახელავია,

ჩემთვის რომ გეთქვა, მე უკეთესს გაგიკეთებდი,

ოღონდ თინისგან, რა თქმა უნდა.

მინდაუგი: თიხა მყიფეა,

ადვილად ტყდება — ერთი დაკვრით, ერთი შეხებით.

მოხუცი: მარადიული ქვეყანაზე არაფერია,

მე როგორც ვიცი, მბრძანებელი.

მინდაუგი: მოდი, მოხუცო,

იხევ სახელით დამიძახე, შო, როგორც უწინ.

მოხუცი: რა უნდა უყო ახლა ამას? ქუდი რომ იყო,

მაშინ კედელზე დაჰკიდებდი, არც ჰურჭელია,

სადმე თაროზე რომ შემოდგა...

მინდაუგი: თაროზე შევდგამ.

მოხუცი: არ გინდა რაღაც გამოძერწო? რა ხელი გქონდა!

შენ იქნებოდი დღეს პირველი შექოთნე ლიტვის,

რომ გდომებოდა; ახლა?

მინდაუგი: ახლა ლიტვის შეფე ვარ!

აბა ეს დაფა მომაწოდე, ლიტვა მომეცი.

(მოხუცს მოაქვს თიხის დაფა, რომელზედაც ლიტვის რუკაა ამოძერწილი).

რა დაგემართა? კიდევ რამე ხომ არ დაიპყარ

და გინდა რუკას მიამატო? რამდენჯერ გითხარ,

ერთი თინისგან იძერწება კარგი საგანი,

შენ კი სულ ლუკმა-ლუკმად გინდა შეაკოწიწო.

როგორც მერცხალმა... არ ივარგებს საქმე ამგვარი.

მინდაუგი: რა არის თიხა? განა თიხაც მიწა არ არის?

ხოლო მიწა კი სამყაროში ყველგან ერთია —

ნაწილს ვიღებ და ხელში ვსრესავ, თუ კარგად მომყვა

და დამმორჩილდა, ლიტვას მხოლოდ მაშინ ვაწებებ.

ასე ნელა და ნაწილ-ნაწილ იზრდება ლიტვა —

რა მცირე იყო ათი წლის წინ — აბა შეხედე,

ნემუნასსა და ნერის შორის აღარც კი ჩანდა —

არა, ხომ კარგად ვიმუშავე?!

მოხუცი: შენ უკეთ იცი;

მაგრამ მეც ვიცნობ მიწას, შვილო — სულ ლუკმა-ლუკმა

ნაკოწიწევი მიწა ერთობ მალე იშლება...

მინდაუბი: შენ ამ რუკაზე ლაპარაკობ თუ თვით ლიტვაზე?

მოხუცი: მე ორივეზე მოგახსენებ.

მინდაუბი: მთელი სიცოცხლე

მე მხოლოდ ლიტვას შევადიე. შენც კარგად იცნობ რუსულს
სხვა რამე ქვეყნად არაფერი მიკეთებია.

მოხუცი: აი, ქოთანი, ესეც შენი ნახელავია.

როგორ წკრიალებს, როგორ მღერის? — არა, ღმერთმანი,
ნამდვილად კარგი ხელი გქონდა...

მინდაუბი: მაშინ ყრმა ვიყავ,

ეგ ქოთანი რომ გამოვძერწე, — მიტომ წკრიალებს.
დღეს ეგეთ რაშეს ველარ შევქმნი.

მოხუცი: თუ სიყვარული

არ ღააკელი, თიხა დღესაც დაიწკრიალებს.

მინდაუბი: სიყვარულით — ასე არ თქვი? მერე კი იცი,

რა სიყვარულით, რა წვალებით ვძერწავდი ლიტვას?

სუყველაფერი მას შევწირე: გული, გონება,

ბედნიერება, სიხარული... განა ვინ არის

ქვეყნად სხვა ვინმე, ჩემზე მეტი გაიღოს მსხვერპლად?

აბა უსმინე, თუ წკრიალებს?

(აკაკუნებს თიხის რუკაზე)

მოხუცი: ყრუა, ღმერთმანი.

ქოთანიც ეგრე რომ დაყრუვდეს, იქვე დავამსხვრევ.

მინდაუბი: ჰო, არ წკრიალებს... მას შევწირე მთელი სიცოცხლე.

მოხუცი: აკი გითხარი, არასწორად დაიწყე-მეთქი.

მინდაუბი: შენ ამ თიხაზე ლაპარაკობ თუ დიდ ლიტვაზე?

მოხუცი: მე ორივეზე მოგახსენებ.

მინდაუბი: ეგ არაფერი,

მალე ორივე ამღერდება. ცოტაც მაცალე.

ვინძლო იმგვარად დავასრულე, მე როგორც მინდა,

შენ მერე ნახე, როგორ ტკბილად დაიწკრიალებს —

მთელი სამყარო ყურს დაუგდებს — შენ ის მითხარი,

რომ არ მთავრდება ეს ოხერი, ბოლო არ უჩანს.

ვძერწავ და ვძერწავ, თუ შევჩერდი, შემომაკვდება.

მთავარი არის, არ შევჩერდე, არ შევისვენო,

სულ უნდა ვძერწო, მე უბედურს არ მეღირსება

ნეტავ მისი ხმის გაგონება? მუნთალო ბედო!

სულ არაფრისგან შევქმენ ლიტვა, რითი დავიწყე?

არაფრისაგან, დიახ, თითქმის არაფრისაგან.

ჩემადე ხელით გამოვჭედე ბოლოს გვირგვინიც...

მე ბედნიერიც უნდა ვიყო, მოხუცო, მაგრამ...

რა სიციფვა ირგვლივ ან რა სიცარიელე!

მე კი არაფრის მეშინია, ღმერთიც ვერ მაკრთობს,

იქნებ სიკვდილმა ამიტანა? მაგრამ, მოხუცო,

სიკვდილი როგორ შემაშინებს, როცა მე მისგან

ველი სიმშვიდეს, ნეტარებას და განსვენებას.

მხოლოდ სიკვდილი განმარიდებს ამ გვამს და მიწას,

შიგ ერთადერთი კარგი ნერგი რომ აღმოცენდა —

ლიტვა! და ვაგლახ, მიწა უკვე გამოიფიტა,

ნერგს რიგიანად ველარ კვებავს, მეძუძურივით

მეც რძე მიშრება, ვერ იქნა და ველარ გავაძლე

მშვიერი შვილი, კარგად იცი, თუ რა დღეშია

მშობელი დედა, დამშეული შვილის შემეურე.

მოხუცი: მე ჩემი დრო და საუკუნე უკვე გავლიე.

და მხოლოდ სამ ღმერთს ვცემდი თაყვანს: წყალს, ცეცხლს და მიწას.
მწამს, ჩავწვდი მე მათ ხაიდუმლოს.

მინდაუბი: რაო, რა გამცნებს?

მოხუცი: მამცნებს, რომ ქვეყნად ყველაფერი არის მარტოღონ
წყალი, ცეცხლი და ისევ მიწა.

მინდაუბი: უაზრობაა. სად არის კაცის მიზანი და დანიშნულება?

მოხუცი: სამივე ღმერთი ერთმანეთს მტრობს და გამორიცხავს,
მაგრამ სამივე მაინც ელტვის ერთიანობას;
ადამიანიც იმათ შექმნეს, ადამიანიც
გრძელდება მათი ძველი ომი — გამარჯვებული
ხან ერთია და ხან მეორე. საწყალი კაცი.
სულ ტანჯვაშია — ტანჯვით ცხოვრობს და ტანჯვით კვდება.
ის დღევ დადგება, მწამს, ოდესმე ჩვენც გაგვიმართლებს,
და ქვეყნად მოვა კაცი ქეშმარიტი, რომელიც
საკუთარ თავში სამივე ღმერთს შეაკავშირებს
და ერთი ღმერთი იარსებებს იმიერიდან.

მინდაუბი: მაშინ ჩვენ ვინ ვართ?

მოხუცი: მხოლოდ გზა ვართ, მისკენ რომ მიდის,
ერთი ღმერთისკენ, ჩვენ ვართ წყალი, ცეცხლი და მიწა,
ჩვენგან იშვება, თუ იშვება, ახალი ღმერთი

მინდაუბი: ვით ეს ქოთანნი? დიდება მას, ამ თიხის ქოთანს,
იგი აერთებს სამივე ღმერთს — წყალს, ცეცხლს და მიწას
და საკვებს აძლევს კაცთა მუცლებს. სხვა რა სჭირდება
მიწაზე მოკვდავს...

(აყურადღებს) მოგამრავლდნენ, მგონი, კატები!

მოხუცი: აქ ერთი კატაც არ მინახავს.

მინდაუბი: აჰა, შენგდე!

(ისვრის ქოთანს, კულისებიდან გამორბის ბერი ზივერტი).
ბერი ყოფილა თურმე ჩვენი სად მოგახვედრე?

ზივერტი: თავში, თავადო!

მინდაუბი: საუბრისთვის ყური რომ გეგდო, თავი დახარე, მეორეჯერ
აღბათ უკანალს

მოგვიშვერ ყურის დასაგდებად.

ზივერტი: ყურს არ გიგდებდით,

მაცნე გეახლათ ამ წუთის წინ შემაიტის
და უშაღ თქვენკენ გამოვწიე.

მინდაუბი: დიდი მადლობა,

მაგრამ ამ ამბავს უშენოდაც მომახსენებდნენ.

ზივერტი: ვგრძნობ, რაღაც ცუდი განზრახვა აქვთ შემაიტისელთ,
ყველასაც მიტომ დავასწარი, რომ გაგაფრთხილოთ —
ღმერთს მიენდეთ და გამაგრდებით.

მინდაუბი: მეც კარგად ვიცი,

ვის უნდა ვენდო. დედოფალი რას იქმს, ზივერტი?
აქი დამბირდი, შეწევნითა ღმერთისა და ლოცვით
განვარიდებო ეშმაკულს?

ზივერტი: ო, სამწუხაროდ,

უმწიფო ვიყავ მარტო კაცი — ის შეიშალა —
ღმერთს ასე ხურდა, ჩანს, თავადო.

მინდაუბი: ჩვენს უფალს ხურდა?

ზივერტი: ვისაც უფალი არ სწამს, იმას ღმერთი სჯის მუდამ.

მინდაუბი: რა უცნაური სიყვარული სცოდნია შენს ღმერთს!

ზივერტი: შეუცნობია გზა უფლისა.

მინდაუბი: ნუ შეჩერდება,

მოინდომე და შეიცანი! მიდი მორტასთან,

დაამწვიდე და დააწყნარე, თუკი რამ ძალგიძს.
ახლა წავალ, შემაიტიელ შიკრიკს მივხედავ —
დიდი ხანია მაგას ველი, შენი არ ვიცი,
მე კი ღრმად მჭერა, სასურველი ამბავი მოაქვს.

პირველი ფარდა



ქართული
საზღაპროთეატრო

ფარდის წინ გამორბის შეშლილი მორტა, აქეთ-იქით აწყდება.
უცებს გასასვლელს.

მორტა: ყველა ერთიან გაიკრიფა... კარი ჩარაზეს...
აღბათ ჩემთვის თუ ლოცულობენ, ცოდვილისათვის...
მაგრამ ღმერთს როდის ავედრებდა ხალხი სხვათა სულს?
ყოველი ცოდვა როგორ გბოჭავს, როგორ გიმონებს...
სხვათა სულთათვის მე ვილოცებ... მე შევავედრებ...
„მწამს მამაღმერთი — განმგებელი ცისა და მიწის“..
ზეცა არსებობს, ზეცის მჭერა, მაგრამ ქვესკნელი?
ქვესკნელის არა! — არც არსებობს და არც მე მჭერა...
„მთვარეს მზე მოჰყავს ცოლად, მზე გაზაფხულზე მოდის“...
უმ, დამაფიწყდა, მხოლოდ ორი სტრიქონი მახსოვს:
„მან განარისხა პერკუნი,
პერკუნმა შუა გააპო“...
ო, ღმერთო, ღმერთო, პერკუნი ხომ ყოველის შემძლეა?
მითხარ, თაყვანი რომელ ღმერთს ვცე? ვინ უფრო მძლეა,
ვის უფრო მეტად ესმის კაცის? ღმერთო, შეგვინდე!
უნდა ვილოცო, გამეზარდა ცოდვების კუზი...
ვისმანტიც აყო კუზიანი... კუზი და ტრფობა...
სიყვარულია აღბათ კუზი, უნდა ვილოცო,
რომ მოვიცილო დიდი კუზი. მაგრამ თუ კუზი
გაქრა, მოკვდება სიყვარულიც, ყველას გვაქვს კუზი,
უნდა ვილოცო ყველასათვის — ყველამ არ იცის
რომ კუზი არის სიყვარული, სიყვარულისთვის
უნდა შესწირო მაღილ ღმერთებს... მოვდივარ!..
(თითქოს ვილიცას პასუხობს გარბის)
ფარდა იწვევა

მ

მინდაუბის დარბაზი. მინდაუბი და შემაიტიელი ელჩები.

მინდაუბი: აბა, რას იტყვიან, ღირსეულნო? შემაიტის
საზღვრები რატომ გადმოლახეთ შეუსვენებლივ,
კარგი ამბავი თუ არ მოგაქვთ?
პირველი ელჩი: მეფეს დიდება!
მეორე ელჩი: დღეგრძელობა და ძლიერება ლიტვის მბრძანებელს!
მინდაუბი: გამადლობთ კეთილი სიტყვისათვის, მაგრამ ხომ ვიცი,
მხოლოდ მაგისთვის არ გალევდით ეგოდენ გრძელ გზას.
მესამე ელჩი: ო, მბრძანებელო, ჩანს, ღმერთები...
მინდაუბი: ამიერიდან
ერთია ღმერთი!
მესამე ელჩი: დღეგრძელები გყონ დიდმა ღმერთებმა!
იდღეგრძელებთ და იძლიერეთ!
მეოთხე ელჩი: დიდმა ღმერთებმა შეგიწყალონ და
სულ სავსე გყონ შენი ბედლები!
პირველი ელჩი: ხალხ გული კი სიმატლით და დიდი სიკეთით!..
მინდაუბი: შორიდან იწყებთ, არც ისე შორს ცხოვრობთ, ღმერთმანი!

მესამე ელჩი: ჩვენ გესალმებით ისე, როგორც მეფეს შემფერის!
მინდაუბი: მისალმება კი გისწავლიათ, მორჩილებაც უკვე...
დღეგრძელობისთვის დიდად გმადლობთ, მაშაცო სადღეს...
იგივეს დასტურ მეც გისურვებთ, კმარა მოკითხვა,
დროა საქმეზე გადავიდეთ...

ეროვნული
ბიზნისი

მეორე ელჩი: ო, მბრძანებელო,
დახმარებისთვის გეახელით!

მესამე ელჩი: გთხოვთ, გვიმფარველოთ
სხვა ელჩი: ჩვენ მეტი აღარ შეგვიძლია... არ შეგვიწევს ძალა...
მინდაუბი: ვისგან დაგიცვათ, რა ქირისგან გამოგარიდოთ?

მეორე ელჩი: ორდენისაგან დაგვიხსენით...
მესამე ელჩი: რაინდებისგან...

მინდაუბი: ღმერთისგანაც გვიხსენ, ჩვენს შორის რომ ძალით შევიდრდება.
სალოცავებს და საქურთხევილს უღმობლად გვინგრევს,
წმინდა ჭაღებსაც გვინადგურებს... არ დარჩა კაცი,
მის წინ მუშტი არ აღემატოს.

მინდაუბი: თუ მუშტი შეჭრა,
შემოუქნიოს კიდევ!

პირველი ელჩი: მეფევ, ჩვენ დავუძღურდით,
შენგან მოველით დახმარებას.

მინდაუბი: არ შემეძლია —
თქვენც კარგად იცით, მე რომ ქრისტეს სჯული მივიღე.
ვერ აღვუდგები წინ ღმერთსა და რაინდთა ორდენს.

მეორე ელჩი: ნუთუ თაყვანს სცემ, მბრძანებელო, იმ ღმერთს, რომელსაც
უბედურება მოაქვს ჩვენთვის, ნუთუ, მეფეო,
გადაივიწყებ რწმენა ჩვენთა მამა-პაპათა?
მაშინ რად ჩუქნი ურჯულოებს ჩვენს ციხე-კოშკებს,
ჩვენს მხარეს მტრები ტილებივით რად შეუხიე?

მესამე ელჩი: არ ჩავაგონა დედამ ჩვენი ღმერთების შიში?
მინდაუბი: დედას აუგად ნუ მიხსენებთ! ნებას არ მოგცემთ,
იმისი ლანდი შეაწუხოთ დახლა მისმინეთ —

კეთა თუ შეგრიათ, გაიხსენეთ — სულ ათი წლის წინ
მე თქვენ მებრძოლით, დიახ, ჩემკენ გამოილაშქრეთ —
და ისიც ვისთან ერთად, ამ ძველ ორდენთან ერთად,
თანაც ჭვრიოთ ხელში, დიახ, დიახ, ლიტვას ლაშქრავდით,
ძმის წინააღმდეგ მოდიოდით, ძმას არ ინდობდით...

პირველი ელჩი: მაშინ ვიკინტმა მოგვატყუა...
მინდაუბი: გარუმღი, კმარა!

მე ყველაფერი ჭერ არ მიტყვამს — თქვენ ვერ გაიგებთ,
თუ რა ტკივილი მომაყენეთ მარტოღონ შთენილს,
მე არ აგუევით, გავერიდე ძმათა ხისხლის ღვრას,
ერთმანეთისთვის რომ დაგვეცხო, მთელს ამ მხარეში
მხოლოდ და მხოლოდ ჭვაროსნები გაიმარჯვებდნენ.
როგორ გვედრიდით, როგორ გთხოვდით, მაგრამ ამაოდ,
ყველამ დამიხშეთ გულის კარი, ჰოი, სიბნელევი
ძმისკენ მახვილით მოიწვედით, რა უნდა შექნა?

ვითომ მე უნდა მოგენათლეთ, მეც ავდექი და
ბოლოს თვითონვე მოვიანათლე. თქვენ არ იყავით,
ახალ ღმერთს გზას რომ უკაფავდით ჩემსკენ მახვილით?
მობრძანდით, ამა, მას ვმორჩილებ, მას ვადიარებ,
ხელიდან ხმალი მხოლოდ მისით გაგაგდებიანეთ,
ლიტვაც ხომ მისი შემწეობით გადავარჩინე,
ახლა ბრალს მე მდებთ, მე მამტყუნებთ, ჩვენს ღმერთებს მოთქოს
მე ვანგუდექი უწინარეს... ო, ჩემო ძმებო,

მე თუ ვლოცულობ დღეს, მარტოდენ მათზე ვლოცულობ,
 მძიმე წუთებშიც სულ ისინი მიდგანან თვალწინ,
 არ შეშინია ამ სიტყვების, თუმცა აქ კედლებს
 ასე უური აქვთ გამობმული, ჩემს ყოველ ნაბიჯს
 ახვერ წონიან, თვალს წამითაც არ მაცილებენ.
 ვიცი, რომ მართლა იტანჯებით, მეც ვიტანჯებ



- მე სულ — თქვენ გამო, თქვენ კი — თქვენივე სიბნელის გამო.
- პირველი ელჩი:** რა გიბასუხოთ, მართალი ხარ, ღმერთმა იწებოს უკანასკნელი ყოფილიყოს ეს ძმათა ომი.
- მეორე ელჩი:** დე, გაკვეთილი იყოს იგი ჩვენთა შვილთათვის...
- პირველი ელჩი:** რომ ძმამ მახვილი არ აღმართოს საკუთარ ძმაზე!
- მინდაუბი:** ღმერთმაც ქმნას, მაგრამ, სამწუხაროდ... ერთი ახეთი ქიშპიც და მალე ლიტვა იმ პურს დაემსგავსება, ყოველი მხრიდან რომ გლეჯენ და ინაწილებენ.
- პირველი ელჩი:** გავერთიანდეთ, მბრძანებულო, ვალდებულნიც ვართ.
- მინდაუბი:** რა დიდებულად მსჭელობ, მაგრამ უამიც რა დიდი გავილა, როცა სულ მაგ სიტყვებს ველოდი თქვენგან. გმადლობთ, ღმერთებო, რომ მიზანი ჩემი ცხოვრების არარაობად არ მიქცეით! ჰა, ჩემი ხელი, იგი მოხუცის დამაშვრალი ხელია, ძმებო, ჰა, ჩამომართვით, ის ჭერ კიდევ გამოგადგებათ.
- ელჩები:** ჰა, ჩვენი ხელიც, მბრძანებულო, დიდება მეფეს! (შემოტრბის მორტა. მას ბერი ზივერტი მოჰყვება).
- ზივერტი:** თავს დაუარეთ!
- მორტი:** თქვენ ყველანი თურმე აქა ხართ!.. მე ჩამკეტეთ და თქვენ ლოცულობთ... მეც მალეცვინეთ, მინდა ვილოცო მარტოდენ სიყვარულისთვის... „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“...
- მინდაუბი:** უფაიტის შვილნო, ახლა თქვენ თვითონ ხედავთ... დაიმახსოვრეთ... აი, რა ქნა ჭვარცმულმა ღმერთმა! (მიუთითებს ზივერტზე).
- ხომ ხედავთ, რა ბქნა ამ ცხვრის ტყავში გამოხვეულმა ბინძურმა მგელმა! ჩემთან დადექი აქ მოდი, მორტა.
- ხმები:** სიკვდილი ორდენს! სიკვდილი მტრებს!
- ზივერტი:** რა ხდება, მეფევ? შენც მათთან დგახარ? შენც ორდენს და ღმერთს ეურჩები? ვალდებული ხარ ყველაფერი ახლავ ამიხსნა!
- მინდაუბი:** მე აქ არაფერს არ განვმარტავ, მხოლოდ ვასრულებ იმას, რაც ძველად ჩავიფიქრე! დიდი ხანია, ველოდი ამ ხალხს, ისინი კი იგვიანებდნენ — ათი წელია უსაშველოდ იტანჯებიან. სულ ის მიკვირდა, ამდენს როგორ ითმენენ-მეთქი, რატომ აქვთ-მეთქი ეს მონური სული ლიტვილებს!
- ზივერტი:** მე შენ ჰკვიანი განმგებელი მეგონე, მეფევ, ხომ კარგად იცი, ბოლოს მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ, ამოდ უნდა დაიღვაროს რამდენი სისხლი, ანდა რამდენი ეკლესია უნდა დაინგრეს!
- მინდაუბი:** მე, როგორც ლიტვის მეფე, მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც ჩემს ღმერთებს და ჩემს სამშობლოს გამოადგება! ბრძოლა ორდენთან და მის ღმერთთან საყვარელ ლიტვას მუშტივით შეგკრავს — სულ ეს იყო ჩემი მიზანი! დიახ, ეს იყო ჩემი ვალიც და მას ვასრულებ. უფაიტის შვილნიც მიხვდნენ, რომ ჩვენი ძალა

ერთობაშია მარტოოდენ! არ მინდა, მაგრამ
სხვა გზა არა მაქვს, ბერო ზივერტ — უნდა გაგვიჩიროს
და დღევანდელ უნდა ჩამოვახრჩო — დაე, მეფისგან
აიღონ სხვებმაც მაგალითი, შემუსრონ მტრები,
ზივერტი, (ალმარათავს ჯვარს) შენ ჩემს ხელყოფას ვერ გაზუდავ!

მინდაუბი: სხვა გზა არა მაქვს,
მე მაგალითი უნდა მივცე ამით ლიტველებს...
მე, უარაულო!

მორტა: (თითქოს გაიღვიძაო)
სულ გაგიჟდითი შეჩერდით-მეთქი...
გაუშვით ბერი, გვედრებით, ისე ლამაზად
მიქადაგებდა სიყვარულზე..
(ისევ კარგავს გონებას) ლოცვაც მასწავლა,
ახალი ლოცვა, მალე ამით კუზს აგაცლიო...
ზუსტად ასეთი კუზი, გახსოვთ, ვისმანტსაც მქონდა?!..
მოუხმეთ ვისმანტს, სიმართლესაც ის იტყვის... ხა-ხა..

მინდაუბი: ბერო, აქედან დაიკარგე, მომცილდი, გაქრო!
(ხსნის ჯვარს)
ესეც წაიღე, მას უმადლე, რომ ცოცხალი ხარ.
ფრთხილად, გზად არვის გადააწყდე,
სხვა არ მოგიტყმენს და თავს წააგებ, უბედურო!

ზივერტი: (გადის) უფალო ღმერთო,
მათ არ უწყიან, რას სჩადიან, შენ შეიწყალე!
ფარდა ნელ-ნელა ეშვება, ბერს ხმლები და მუშტები მიაცილებენ.

მორტა: საწყალობელი აქ ვინ არის? სად არის ნეტავ?
არც შეწყალება, არც სიმართლე... აქ მხოლოდ კუზი...
კუზი არსებობს... დიდი კუზი.

ფარდა

ქრამიკის სახელოსნო მინდაუბის კოშკში. მინდაუბი და მოხუცი.
მოხუცი: ისე აღრიან აქ რახა იქმ?

მინდაუბი: არ დამეძინა.
ყოველ საღამოს მოუთმენლად ველი განთიადს,
თან მეშინია, ვინძლო აღარ გათენდეს-მეთქი.
სულ ამ დღეში ვარ, სანამ ბოლოს აღმოსავლეთის
ფანჯარას მზე არ მოადგება, ზეცა წითლდება,
იღვიძებს მიწა და იღვიძებს მაშინ იმედიც,
რომ ყველაფერი თავის რიგზე და ადგილზეა,
თითქოსდა ქვეყნად არაფერი არ შეიცვალა,
მე ვერ ვიცხოვრე ისე, როგორც უნდა მეცხოვრა,
ვიცი, რომ სახლში არვის მქონდა ჩემი იმედი,
ვერ ვივარგებდი ვერც ოჯახის კაცად, შვილებსაც
ვერ ვაგრძნობინე მამობრივი სითბო, აღერსი...
სულ მათ სამსახურს მოვითხოვდი, სულ ვიყენებდი.
მაშ რისთვის ვცოცხლობ? ვისთვის მომაქვს ბედნიერება?
სიბარულს ჩემგან ვინ მოელის?

მოხუცი: ბედნიერება
მეფისთვის სხვაა და უბრალო გლეხისთვის სულ სხვა.


მინდაუბი: ბედნიერება ერთნაირად გვესმის სუყველას,
თუმცა ხანდახან
იგი მავანს არარაობად და უაზრობად მიაჩნია, მეტადრე მაშინ,

როცა სარგებელს იგი მისგან არ გამოელის,
 მაგრამ იცის კი ქვეყანაზე ძეხორციელება,
 რა არგებს მის სულს ან რა ავნებს? განა ყოველთვის
 სასიკეთოა მოკვდავთათვის ბედნიერება?
 ამას ვერასდროს ვერ გავიგებთ... ხოლო ძილის წინ
 ბინდს წამით თვალს რომ გავუშტერებთ, რა უცებ გვჩვენდება,
 რომ ეს ცხოვრება არის მხოლოდ არარაობა.
 კაცი მდილია და უსაზღვრო ღამის უკუნეთს
 არც სახე აქვს და არც მიზანი, ჩვენ არც ის ვიცით,
 წყვდიადის იქით რა იწყება? ხშირად მინახავს,
 როგორ მომწყდარა ვარსკვლავი და დანთქმულა ბნელში.
 ხშირად შევუპოვებარ ცხოვრებაში სიკვდილს პირისპირ,
 მაგრამ არასდროს ამით რამე არ იცვლებოდა,
 იგივე რჩებოდა ეს სამყარო ჩემთვის ყოველთვის:
 ისევ ის ბლანტი, უსახური და უგრძნობელი
 იყო წყვდიადის ოკეანეც, მაშინ ვით არის
 ადამის მოდგმა ყოვლისშემძლე, თავს რად იტყუებს,
 იმედს რატომ არ გადიწურავს, ვის ეურჩება?
 რამ ჰყოს ამქვეყნად ბედნიერი ადამის შვილი?
 მარტოდენ იმან, რომ ნათელს ქვრეტს და ღამეს ებრძვის,
 თუ იმ ნიქმა და იმ უნარმა, რომ სძულს და ჰყვარობს
 და ირგვლივ სხვათა არსებობას გრძნობს და განიცდის.
 ესაც ხომ დიდი წუალობაა, მაგრამ ძილის წინ
 საკმარისია მარტო დარჩე წამით წყვდიადში,
 რომ ყველაფერი მოგეჩვენოს არარაობად,
 მხოლოდ მიწაა ყველაფერი, მხოლოდ მტვერია...
 მთელ ჩვენს ცხოვრებას ის მთავარი ძალა აკლია,
 ერთად რომ შეჰკრავს ყოველივეს და გაამრთელებს,
 არ ჩანს მიზეზი, ამ მიწიდან ბედნიერება
 რომ გამოძერწოს, მტვერს რომ დიდი აზრი შთაჰბეროს,
 ვინ მოიგონა ან ეს სიტყვა — ბედნიერება?
 ვინ თქვა პირველად? რა ხანგრძლივი და უსაშველო
 ტკივილი უნდა მიეჩქმალა ამ ერთი სიტყვით?!

მონღალი: მე კი მეგონა, ბედნიერი შენ მაინც იყავ —
 აქ შენს „ლიტვასთან“ საათობით რამდენჯერ მჯდარხარ —
 დასტრიალებდი ფიქრით სწორედ ბედნიერებას
 და თვითონ იყავ ბედნიერი...

მონღალური: ზო, შეიძლება...
 მაგრამ არ ვიცი, რა მოელის მას მომავალში,
 ვერაფერს ვხედავ, ირგვლივ არ ჩანს წყვარამის მეტი.
 რაც ტანჯვით შევქმენ, მისგან კვალიც კი არ დარჩება —
 რა ამოღ და უქმად დავშვერ, ამდენი შრომა
 ასე უღმობლად წუალში უნდა გადაიყაროს —
 რისთვის მოვედი, რად ვიცხოვრე? რახ მივალწიე?
 კაცს რომ შეეძლოს წამით მაინც შეავლოს თვალი,
 თუ მისი ტანჯვა ბოლოს რაში გადაიზარდა...
 თუნდ ერთხელ მაინც რომ იხილოს... ო, არა, არა —
 მაშინ ნამდვილად მოკვდებოდა, დაეცემოდა.
 ეს დამარცხება იქნებოდა მისი მთლიანი —
 ცული აზრია ჰეშმარიტად! და რაკი იგი
 გამოუშწვარი ქოთანით ვერ იწკრიალებს,
 უნდა დაიმსხვრეს!

მონღალი: მეომრები სად გააგზავნენ?
 შენს ლიტვას ალბათ კიდევ რაღაც გაურს მიაწებო?



კმარა, მე მგონი, ხალხსაც მხოლოდ სიმშვიდე უნდა.
მინდაუბი: სიმშვიდეს ალბათ დიდხანს კიდევ ვერ ველირხებით
 მეომრები კი, მეომრები იმად არხებობს,
 რათა იომონ... რა ხმაური იხმის, მოხუცო?
 (შემოდის დაუმანტი ჯარისკაცებთან ერთად.
 შენა, დაუმანტი, ცოლის ძმად? ასე აღრიან?
 რა კარგი პქენი, რომ მესტუმრე... მაგრამ, დაუმანტი,
 ახლა შენ ომში უნდა იყო, ბრიანსკის თავადს
 უნდა უმტვრევდე ახლა კიშვარს...

დაუმანტი: მე კი, მექოთნევი,
 შენს წინააღმდეგ წამოვედი ჩემი ბიჭებით.
 ან დღეს, მინდაუბი, ან არასდროს!

(მოუქნევს ხმალს. მინდაუბი „ლიტვას“ აიჭარებს. დაფა იმსხერევა და ნი-
 მოიბნევა. სასიკვდილოდ დაქრილი მინდაუბი ძირს დაცემა).

მინდაუბი: ო, ჩემი ლიტვა! (მოხუცს)
 მიდი, მოხუცო; გაიქეცი, ბავშვებს მიხედუ! უხმე უარაულს!

დაუმანტი: (თავისიანებს:) მოიძიეთ ჩქარა ბავშვები!
 ყველა დახოცეთ, არვინ დარჩეს მათგან ცოცხალი..
 გააწავნეთ მაცნე ტრენიოტთან — დედაქალაქი
 განთავისუფლდა! (გარბის).

მინდაუბი: (აგროვებს ლიტვის „ნამსხვრევებს“): ხედავ, ბილწმა რა ჩაიდანა!
 შრომა სულ წყალში ჩამიყარა... აწ ვინლა შეძლებს
 ამ ნამსხვრევების შეერთებას? ჩემო სამშობლოვ!
 (ალაგებს ნამსხვრევებს). რალაც აკლია აქ.
 (ეძებს, ვერ პოულობს) სად გაქრა? არსად არა ჩანს.
 არადა, როგორ დამახინჯდა... ვინ მომიგროვებს?
 ყველა მჭირდება, ერთად უნდა შევაკოწიწო
 ნაწილ-ნაწილ და გოჯა-გოჯა აქ, ერთ ადგილზე...
 აი, გულის ქვეშ... სადაც სისხლი მეტად ჩქრიალდება...
 (უღონოდ ეცემა თავის „ლიტვაზე“).
 შემათიანეს დამიძახეთ...

(მოიბრუნს შავი მემატონი): აქა ვარ, მეფევი!

მინდაუბი: შენ ხომ შავი ხარი თეთრს მოუხმე...
 (თეთრ მემატონს) შენ ის ფურცელი,
 აი, რომელიც ამას წინათ დაგაწვევინე,
 თავიდან უნდა დამიწერო, დიახ, თავიდან —
 დაუმატე, რომ მე მოვკალ ვისმანტი, ხოლო
 ნადირობისას დაილუპნენ ვისმანტის ძმები...

მოვკალი ვიშლი, ედიფილი და ლიგეიკაც... ახლავე წერე,
 მერე რამე რომ არ გამოგრჩეს...
 წერე — ლიტვიდან მე განვდევნე ვილიკაილა,
 ვიჟიკი და ვიკშიც იმის კვალს გავუყენე...
 მე მივატოვე იუდიკი ბრძოლის ველზე...
 მე ვაიძულე მათ ახლობლებს დამნებებოდნენ...
 წერე — ამქვეყნად მე არავინ მიყვარდა, წერე —
 მე არაფერი მიტაცებდა... მაგრამ იცოდე,
 ის არ გამოგრჩეს, რომ ყველაფერს მხოლოდ ლიტვისთვის,
 სამშობლოსათვის ვაკეთებდი... მისთვის ვცხოვრობდი...
 ისიც აღნიშნე, რომ არც ლიტვას, არც მე, მის მეფეს,
 არც მქონიათ-თქო სხვა გზა... წერე: რომ მე, მინდაუბს,
 ლიტვა მიყვარდა თავზე მეტად... იქნებ შემინდონ...

(გულში იკრავს „ლიტვის“ ნამსხვრევებს და კვდება)

შავი მემბრანა: ო, არა, ეს ხომ სიცრუეა, ეს ღალატია!
 ხომ დაიკარგა ყველაფერი, რაც შე დავწერე..
 მხოლოდ ერთია ისტორია, ერთია... ერთი...



ცლავს თეთრ მემბრანებს. ხეცს თეთრ წიგნს, წერს თავის შავ წიგნზე.
 შავ წიგნზე

ყოველივე ეს ათას ორას სამოცდახამ წელს ღვთის განგებით მოხდა!
 სცენა თანდათან ბნელდება. სიღრმეში მოჩანს გვირგვინი, დამსხვრეული
 „ლიტვის“ კონტურები. ბოლოს დიდ შავ წიგნზე მხოლოდ გვირგვინი ელავს.

ფარდა არ ეშვება.





ქართული
წიგლმწიქმე

რომანი

გერმანულიდან თარგმნა თინგიზ პატარაიამ

თავი VIII

სახლი სულ უფრო და უფრო ირღვეოდა და თუმცა ფულიც საკმაოდ ჰქონდათ, ბინის შესაკეთებლად არავინ იწუხებდა თავს. სახურავიდან წყალი ჟონავდა ხოლმე და გლუმიც ხშირად ჩიოდა, ჩემი ოთახის ჭერი სულ მთლად დაილტოო. გადაუღებელი წვიმების დროს ჭერიდან წვეთავდა კიდევ და დიდსა თუ პატარას სწორედ მაშინ შეუდგებოდა ჩოჩქოლი, ავიდოდნენ სხვენზე და ჩამონაშალი სახურავის ქვეშ ტაშტს შედგამდნენ. ეს იყო და გლუმიც ცოტა ხნით ისევ დაშოშმინდებოდა. მისი ეს სიმშვიდე იმაზე იყო დამოკიდებული, ტაშტი თუ იყო საკმარისად ღრმა და წვიმაც თუ მეტისმეტად არ იძალებდა: თუკი დაბალპირიან ტაშტს ამოიტანდნენ, თან წვიმაც გადაუღებლად მოთქიშინებდა, ხელად აწრიალდებოდა ხოლმე, რადგან წვიმის წყალი რომ ტაშტიდან გადმოვიდოდა, გლუმის ოთახის ჭერზე ის დანალტობი ადვილი უმალ განს შემოიკრავდა. ასეთ დროს უფრო ღრმა ტაშტს აიტანდნენ სხვენზე, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერს ეშველებოდნენ და დიდრონ-დიდრონი მუქი ლაქები ბოლოს ბოლდას ოთახშიც გაჩნდა, იმ ცარიელი ოთახის ჭერზეც გაიტყლაბა, ბაბუა რომ ცხოვრობდა უწინ. აბაზანაში კიდევ ერთ მშვენიერ დღეს კაი ბლომა ბათქაში ჩამოშვავდა. ბოლდამ მთელი ეს ხარახურა შეაქურჩა, გლუმმა კი უცნაური ნარევი შეთითხნა თაბაშირის, ქვიშისა და ცარცისაგან და ჭერიც ასე შელესა.

ნელას კიდევ ეამაყებოდა თავისი სიმარჯვისა, როცა ქალაქში გაემგზავრა და ცინკის ათი უშველებელი აბაზანა ჩამოიტანა, სხვენზე რომ დააწყვეს მერე. აბაზანებმა თითქმის მთელი ფართობი მოიკავეს და ნელასაც გული მოეცა: ასეთი რამ აღარ განმეორდებო — გამოაცხადა, არადა, იმ აბაზანებში იმდენი ფული გადაყარა, მთელი სახურავის კაპიტალურ რემონტს ეყოფოდა. წვიმის დროს ახლა უცნაური მელოდიური რაკარუკი ესმოდათ ხოლმე, ვეება და ღრანტულა აბაზანებს რომ მოგუდულ, მრისხანე ბანს დააგუგუნებინებდა ხოლმე. მართალია, სხვენზე ახლა აბაზანებიც იდგა, მაგრამ გლუმს მაინც სულ უფრო ხშირ-ხშირად უწევდა ჭერის შელესვა თაბაშირის, სილისა და ცარცის

დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 5.

ნათიხნით. შელესავდა, თან კიბეებს მოთხვრიდა, თავადაც ამოიგანგლებოდა; თავიდან ფეხებამდე მარტინიც ამოითხუპნებოდა ხოლმე, რადგან ასეთ დროს შევირდად დაუდგებოდა გლუმს და მისი ტანსაცმელიც ხშირად წაუღრიათ ქიმწმენდაში.

დროდადრო ბეზიაც ატანტალდებოდა ხოლმე სხვენზე, ყველაფერს ჩემი თვალით შევამოწმებო. მხარმიქცევით იფლატუნებდა ცინკის აბაზანებს შორის და როცა კი აბრეშუმის მისი მძიმე ქვედატანი აბაზანის პიოს გაეგლასუნებოდა, სხვენში ნათელი, თითქოსდა მოწკრიალე შრიალ-შრიალი დაირხეოდა. იქაურობას რომ დაათვალიერებდა, ცხვირზე სათვალეს დაიკოსებდა და სახეზეც წინდახედული, თადარიგიანი ქაღის იერს აიფარებდა. ყოველი შემოწმების შემდეგ ძველი ჩანაწერების გადაქექვას დაეპირებოდა, აქაოდა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, იმ ხელოსნის მისამართს უნდა მივაკვლიო, უწინ რომ მუშაობდაო აქ. ერთი-ორი დღე მართლაც იჯდა იმ თავის ოთახში, იქექებოდა გორებად დახვავებულ საქალაქდებებსა თუ ბლოკნოტებში, გულმოდგინედ უკირკიტებდა ძველისძველ დავთრებს, მაგრამ ხელოსნის მისამართს მაინც ვერ პოულობდა, თუმცა კი ფაბრიკის არქივიდან რა ქალაქს აღარ გამოითხოვდა ხოლმე. წლებისდა მიხედვით აკინძული საქმეები მანამდე მოქპონდათ პატარა წითელი მანქანით, სანამ მთელი ოთახი ქალაქდებით არ გამოივსებოდა. მაგრამ ბეზია მხოლოდ მაშინ თუ დაწყნარდებოდა, როცა ობმოკიდებულ პირველ სადავთრო წიგნს მიაგნებდა, 1913 წლით რომ იყო დათარიღებული.

მაშინ ბეზია მარტინს დაიბარებდა ხოლმე და ბიჭს საათობით უნდა ესმინა იმ არომატული ხილფაფის საიდუმლოებანი, ბაბუამ რომ მოიგონა და მთელ მსოფლიოში გაასაღა. პირველმა მსოფლიო ომმა ახალგაზრდა საწარმოს არნახული გასაქანი მისცა და თავის ლექციას ბეზია დიაგრამებისა და ტაბულების ჩვენებით ამთავრებდა; ტუშით გამოყვანილი ლამაზ-ლამაზი ხაზები, მთების ტეხილებს რომ წააგავდა, ნათლად მეტყველებდა, რომ შიმშილიანობა ხელს აძლევდა ხილფაფის ფაბრიკებს. 1917 წელი კი — „ამ წელს, ჩემო კარგო, დედაშენი დაიბადა“ — ეული მწვერვალი და ის სიმალლე იყო დიაგრამაზე, 1941 წლამდე რომ დარჩა დაუპყრობელი. თუმცაღა მარტინს მაინც ეცათ თვალში ის ამბავი, რომ დიაგრამაზე მკვეთრად აღმავალი ხაზი 1933 წლით იყო დათარიღებული. ასეთი აღმავლობის მიზეზს შეეკითხა კიდევ, რაკი დაფრთხა, ბეზიამ გულგრილობა არ შემატყოსო, მაგრამ პასუხად ბეზიამ სულმოუთქმელად განაგრძო აღფრთოვანებული საუბარი; ლაპარაკობდა ღია ცის ქვეშ გაშლილ ბანაკებზე, თავყრილობებზე, ათასგვარ ღონისძიებაზე, პარტიის სხდომებზე და თავისი მოგრძო, ოდნავ მოყვითალო საჩვენებელი თითით ამაყად მოუნიშნა დიაგრამაზე 1939 წელი, სადაც ტეხილი კიდევ უფრო მკვეთრად მიიწევდა აღმა.

— გერმანიის მიერ წამოწყებული ყველა ომი ხილფაფის წარმოების ზრდასთანაა დაკავშირებული. — დაასკვნიდა ბოლოს.

„1913“ წლით დათარიღებულ სადავთრო წიგნს რომ ამოქექავდა, თან „ყოველივე აუცილებელს“ განუმარტავდა, ბეზია ფაბრიკის აღმინისტრაციას დაუკავშირებოდა ტელეფონით და პატარა წითელ მანქანას კვლავ რამდენიმეჯერ მოუწევდა გზების გაზომ-გამოზომვა, ვიდრე ორმოცი წლის დავთრებს უკანვე გადაზიდავდა.

ამასობაში ხელოსნის ხსენებაც აღარ იყო. ცინკის აბაზანები კვლავინდებურად სხვენზე ეწყო ჩარიგრიგებული და ყოველი წვიმაც მშვენიერ მონოტონურ კონცერტად ახმიანდებოდა ხოლმე. სახურავის გარდა ფანჯრებიც შესაკეთებელი იყო, ხოლო სარდაფში თვეობით იდგა წყალი, უფროსად კი ტუმბოც მწყობრიდან იყო გამოსული; ბოლდა რომ დიდ სარეცხს გამართყებდა, ცემენტის ვიწრო ლარით წყალი საქვაბეში ჩადიოდა, საბინი და ჭუჭყი სლიბინა, მომწვანო-თეთრ აქვად გადაეკვრებოდა ცემენტის იატაკს და სარდაფშიც ყველაფერი ყარდა, ფიცრულ ყუთებში კი კარტოფილი ღვიოდა და ვირთხებიც მომრავლებულიყო.

ალბერტმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. სარდაფში უკანასკნელად ძალზე დიდი ხნის წინათ მოუწია ჩასვლა და ვირთხებიც მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, როცა ერთ დღეს ისევ ჩავიდა სარდაფში. ნელასთან კაი მაგარი შეხლა-შემოხლის მერე სარდაფში ჩატანილ ერთ-ერთ მოზრდილ ყუთში აპირებდა იმ წერილების მოძებნას, რაიმუნდმა რომ გამოუგზავნა ლონდონში; იმის დამტკიცება უნდოდა, აქაოდა, ლონდონიდან რაიმუნდის თხოვნამ კი არა, სწორედ შენმა დაჟინებულმა ღიჯინმა დამაბრუნაო. სხვა დროს არასოდეს ჩასულა სარდაფში და ახლა ტანშიც შეაჭრეოლა, როცა იმ სიბინძურეს შეავლო თვალი: ირგვლივ დამტვრეული ყუთები ეყარა, ყველა კუთხე-კუნჭული ძონძებით იყო მოხორხლილი, სამრეცხაოში შესასვლელ კართან ნახევარი ტომარა დაობებული ფქვილი დახვდა დაჩუნთული და როცა ალბერტმა შუქი აანთო, ტომრიდან ვირთხები გადმოცუხცუხდნენ. მას აქეთ, რაც ოდესის სამხედრო ციხეში მოუწია ყოფნა, თავზარი დაეცემოდა ხოლმე ვირთხების დანახვისას და ახლა ზაფრაც კი დაეცა, როცა რამდენიმე მუჭი ჩრდილი სარდაფში დალანდა. ალბერტმა მათ ერთი-ორი ნატეხი კოქსი დაადევნა უკან, თავს ძალა დაატანა და ნელ-ნელა მიუახლოვდა ხის დიდ ყავისფერ ყუთს, გაზაღმრიცხველის ქვეშ რომ იდგა.

რაი იშვიათად თუ გამოუგზავნიდა წერილს, ათიოდე წერილი თუ ექნებოდა მისგან მიღებული, მაგრამ ის კი კარგად ახსოვდა, რომ ყველა წერილი კანაფით შეკრა და ამ ყუთში შეინახა. ნელასაგან მიღებული წერილების შეკვრა გაცილებით სქელი იყო, ლინის წერილებით კი ფეხსაცმლის ორი ყუთი იდო გავსებული. მოშავო მტვერი და ცურცლი ფურცლებშუა ეყარა, სარდაფში სიჩუმე იდგა და ალბერტს ისევ მოეძალა ვირთხების შიში. ოდესის გერმანულ სამხედრო ციხეში ყოფნის დროს ვირთხებს სახეზედაც გადაურბენიათ დამლამობით და მათი რბილი, ბალნიანი მუცლების შეხება როცა უგრძვნია, ალბერტი საკუთარ ყვირილს გაუოგნებია ხოლმე. წერილების დაცურცლული შეკვრა ალბერტმა ყუთიდან ამოიღო და ერთხანს ნელაც ლანძღა და დედამისიც მათი დაუდევრობისათვის.

სარდაფის ერთ-ერთ კუთხიდან, საკუჭნაოსთან, სადაც ცარიელი ყუთები და ხილფაფის ქილები ეწყო, ჯერ ჩოჩქოლი მოესმა, მერე თუნუქმაც გაიღო გრუხუნი. ალბერტი ბნელ კუთხეს მიუახლოვდა, ცხაურიანი კარი გააღო და, ზიზღისა თუ ბრაზისაგან გაშმაგებულმა, რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი ბნელ კუთხეს დაუშინა: ცოცხის ტარი, მარტინის მარხილის კავი, საყვავილე ქოთნის ნატეხი და როცა ალბერტის ატეხილი ხათქახუთქი მიწყდა, საკუჭნაოში კვლავ სიჩუმე ჩამოწვა.

ყუთში საკუთარი წერილებიც მოიკვლია, ომამდე და ომის წლებში რომ გაუგზავნა ნელას და ახლა, როცა ათი წლის თავზე პირველად გადაქეჭა ეს წე-

რილები, გადაწყვიტა, ერთხელაც გადავიკითხავო. შიგადაშიგ რაიმუნდის ლექსებიც ეგულუბოდა, აბსალომ ბილიგის წერილებიც, არადა, აქვე უნდა ყოფილიყო 1940 წლით დათარიღებული შურბიგელის ის წერილები, რაიმუნდი რომ უსათუოდ დაურთავდა კომენტარს. ეს ის დრო იყო, როცა შურბიგელი საფრანგეთზე გამარჯვებას ზეიმობდა და გაზეთში დაბეჭდილ სტატიაში გერმანელ ახალგაზრდობას მოუწოდებდა, აბა თქვენ იცით, იქაურ დეკადანსს რაც შეიძლება მალე მოუღეთო ბოლო. აქვე უნდა ყოფილიყო რაიმუნდის რამდენიმე პროზაული ნაწარმოები და მისი უამრავი ომამდელი წერილიც.

ამჯერად რაის წერილები ამოარჩია მხოლოდ, — თხელი შეკვრა, ამოიღო ნელას წერილებიც და ანაზღად შეკრთა, როცა ვეება კოლოფი დაინახა, ლამისდა სანახევროდ რომ ფარავდა ყუთის ფსკერს. «Sunlight»¹ — ეწერა კოლოფს მოყავისფრო წითელი ასოებით. ალბერტმა კოლოფი ამოიღო, ერთი-ორჯერ კედელს მიაბერტყა, მტვერი ჩამოეცლებათ, წერილების ორივე შეკვრა წამოიძღვანია და ზევით ავიდა. ნელა თავის ოთახში იჯდა და ტიროდა. კარი ღიად დაეტოვებინა, სარდაფიდან ალბერტის ამოსვლა არ გამომეპაროსო, მაგრამ ღია კართან ალბერტი არც კი შეჩერებულა. ესირცხვილებოდა იმ უაზრო შეხლა-შემოხლის გამო, აი უკვე წლების მანძილზე რომ მოუდიოდათ; სულმუდამ ერთსა და იგივეს გაიძახოდნენ, არადა, ბოლოს მაინც შერიგდებოდნენ ხოლმე.

«Sunlight»-ის კოლოფი ოთახში დადო, წერილების ორივე შეკვრა ზედ დააწყო და აბაზანისაკენ გაემართა, ტანსაცმელს დავისუფთავებო. იმის გაფიქრება, რომ ქვემოთ, სარდაფში, ვირთხები დაძვრებოდნენ, თავზარსა სცემდა და უეცრად ისეთმა ზიზღმა შეიპყრო, იფიქრა, ტანსაცმელს გამოვიცვლიო.

აბაზანიდან რომ გამოვიდა, ნელა კვლავინდებურად თავის ოთახში იჯდა, კარიც ღია ჰქონდა.

— ყავას დალევ? — გამოსძახა ნელამ.

— ახლავე შემოვალ.

სატელეფონო წიგნიდან ალბერტმა კალატოზის, სახურავის ოსტატის, მონტიორის, სანეპიდსადგურის ტელეფონები ამოიწერა, ოთხივეს დაუკავშირდა და შინ დაიბარა. სულ რვა წუთი დასჭირდა ამ საქმის მოსაგვარებლად; მერე ნელას ოთახში შებრუნდა და ქალის პირდაპირ დაჯდა.

— ის თუ იცოდნი, ვირთხები რომ გაჩნდა სარდაფში?

ნელამ მხრები აიჩეჩა.

— ჰო, ამასწინებზე, მგონი, ბოლდა ამბობდა რაღაცას.

— კარტოფილიც გაღივებულა, — გულისწყრომით განაგრძო ალბერტმა, — მთელი სარდაფი დამბალი პროდუქტებით ყარს, სამრეცხაოში შესასვლელთან ნახევარი ტომარა დაობებული ფქვილი გდია. მთელი ეს თქვენი ჩაპარკუჭებული ქონება ობდება და ლპება, იმ თქვენი ხილფაფის ქილებში კი, გამოურეცხავად რომ მიაგდებთ ხოლმე, ვირთხები ციგაობენ. გული აგერევა კაცს.

ნელას შუბლი შეეკმუხნა, პასუხად არაფერი უთქვამს.

— მას მერე, რაც ამ წყეულ სახლში მოვხვდი, სულ ჭუჭყსა და დაუდევრობას ვებრძვი, მაგრამ მამაშენის სიკვდილის შემდეგ თქვენ მოგერევათ ვინმე? მალე გაძეძგილი რევოლვერით თუ ჩახვალ სარდაფში, შენ კიდევ სა-

¹ მზის შუქი (ინგ.).

ნაქებო ვგზისტენციალისტურ ფილმს გადაიღებ, თან თითქმის არაფერი და-
გაჯდება.

— ყავა დალიე, — უთხრა ნელამ.

ალბერტმა ფინჯარი მოიჩოჩა და კოვზით რძეს მოუჭრა.

— ჭერ-სახურავსაც შევაკეთებ, სარდაფსაც დავასუფთავებ და ტუმბო-
საც გავმართავ. იქნება ფიქრობ, მარტინს წაადგება, ამისთანობას თუ ნახავს?

— მართალია გითხრა, — ამოღერლა ნელამ, — არც კი ვიცოდი, წესრიგის
ასეთი ტრფიალი თუ იყავი და ასე თუ მოიქაჩლებდი თავს.

— დიახაც ასეა, ზოგი რამ შენ საერთოდ არ იცი. შენ, მაგალითად, არც
ის იცი, რომ რაი მართლაც კარგი პოეტი იყო; არ იცი, იმ გულისამრევი ყაყა-
ნის მიუხედავად, მისი სახელის ირგვლივ რომაა ატეხილი, ჰოდა, მე პირადად
უსათუოდ ვილონებ რაიმეს, მანამდე გამოვჩხრიკავ შურბიგელის წერილებს,
ვიდრე ვირთავგვები გამოძლებიან ამ ფასდაუდებელი დოკუმენტებით.

— რაი ჩემი მეუღლე იყო და მიყვარდა კიდევ, — თქვა ნელამ, — მისი
ყველაფერი მიყვარდა, აი, მის ლექსებს კი ყველაზე ნაკლებად ვაფასებდი,
არასოდეს მესმოდა. მე ის მერჩივნა საერთოდ არ ყოფილიყო პოეტი, ოღონდ
კი ღღესაც გვერდით მყოლოდა. ჰო, მართლა, იმ წერილებს თუ მიაგენი?

— მივაგენი, — უბასუხა ალბერტმა, — და ახლა გულიც კი მწყდება,
კინკლაობაში რომ აგყვები. რალა დროის იმ ამბის ვახსენებთ, საერთოდ აღარ
უნდა ვახსენებდეთ.

— რატომაც არ უნდა ვახსენებდეთ? სიამოვნებით გადავიკითხავდი წე-
რილებს, თუმცა კი ვიცი, რომ მართალი ხარ და ჩემი ბრალია, ლონდონიდან
რომ დაბრუნდი. ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ წერილებს მაინც წავიკითხავ,
ბევრ რამეში გამომადგება.

— წაიკითხე და, თუ გინდა, დაიტოვე, შეგიძლია ცეცხლშიაც შეაგდო.
სულაც არ მჭირდება იმის მტკიცება, რომ მართალი ვარ. საქმე ისაა, რომ ადა-
მიანს ზოგჯერ ჰგონია, ასე და ასე რომ მოვქცეულიყავი, ნამდვილად აჯო-
ბებდაო, თუმცა ესეც სისულელეა.

— ჭერ რაის წერილებს გადავიკითხავ. მინდა დავრწმუნდე, მართლა თვი-
თონ თუ ეძებდა სიკვდილს.

— ძალიან გთხოვ, არც ერთი ის წერილი არ გადაყარო, სადაც შურბიგელს
იქნება ნახსენები, ის წერილებიც შემინახე, რაის სახელზე რომაა გამოვ-
ზავნილი.

— არა, არა, არაფერსაც არ გადაყერი. უბრალოდ, იმის ვაგება მინდა,
რა დაემართა ასეთი? შენ მაინც იცი, მანა ნამდვილად მოახერხებდა და რაის
ჯარიდანაც გაათავისუფლებდა, ომსაც აარილებდა, — ამაში ეჭვიც არ მეპა-
რება: მთავარსარდლობას იცნობდა, მაგრამ თავად რაიმუნდი იდგა უარზე.
არც ემიგრირება უნდოდა, არც სამხედრო სამსახურიდან თავის დაძვრენა,
თუმცა კი ქვეყანაზე არაფერი სძულდა ისე, როგორც ჯარი და არმია. ზოგჯერ
ისიც კი მგონია, სიკვდილს ნატრობდა-მეთქი. ხშირად მიფიქრია ამაზე და აღ-
ბათ მიზეზიც ესაა, რომ გეზელერისადმი სიძულვილს ხელოვნურად ვიღვივებ.

ალბერტმა ნელას გამომცდელი მზერა დაიჭირა და ჰკითხა:

— გეზელერი რამ ვაგახსენა?

— რა ვიცი, უბრალოდ აზრად მომივიდა, რაიმუნდზე არასოდეს არაფერს

მიამბობს-მეთქი, კრინტსაც არ დასძრავ ხოლმე, არადა, დაწვრილებით გეცოდინება ის ამბავი.

ალბერტი დუმდა. სიკვდილამდე ბოლო ორი-სამი კვირით ღირსეულად ევლარ იცნობდა კაცი: გამოყუყუჩდაო თითქოს; ძლივას დალასლასებდა ხოლმე და მათი მეგობრობაც იმას ერქვა, რომ ერთმანეთს სიგარეტებს ხატავდნენ. მევედნენ, იარაღს გააწმენდინებდნენ ან ღამის სათევს გაამართინებდნენ. რაიც ისევე იყო დაღლილი, როგორც სხვა ქვეითი ჯარისკაცები და აკი ვეღარც გამოარჩევდი სხვებისაგან. ეგ იყო, ვინმე ოფიცრის დანახვაზე ზოგჯერ სიძულვილით აინთებოდა ხოლმე.

— იმ ამბის გარდა, — განაგრძო ნელამ, — სხვა რაღაც-რაღაცებიც არსებობს, შენ რომ არასოდეს გიხსენებია.

ალბერტმა ნელას გახედა, ცარიელი ფინჯანი გაუწოდა და ნელამაც ყავა ჩამოუსხა. საკმაო დრო ჰქონდა საიმიხოდ, რომ აეწონ-დაეწონა ყოველივე, სანამ რძეს მოურევდა კოვზით და შაქარიც ვადნებოდა.

— სხვა რა უნდა იყოს, — ენა ამოიღო ალბერტმა. — რაი დაღლილი იყო, გაბეჩავებული და თუ აქამდე არაფერი მითქვამს, მხოლოდ იმიტომ, რომ თავდაც არ ვიცი მაინცდამაინც ბევრი.

ანაზღად ენიშნა: სულ სხვა ფიქრი მიტრიალებს თავში, როცა «Sunlight»-ის იმ დიდ კოლოფზე ვფიქრობდი. მერე ის კოჭდაბალი ბუზლუნა ქალი გაახსენდა, კოლოფი რომ მისცა მაშინ: უკვე ბნელოდა, ალბერტს კი სულაც არ უნდოდა თავის ოთახში დაბრუნება, სადაც ღუმელი ხრჩოლავდა და ქვანახშირის სქელ მომწარო ბოლს ერთიანად გაეპოხა ყველაფერი: ავეჯი, ტანსაცმელი, თეთრეული; ამასთანავე ლინის სპირტქურაც ჯერ კიდევ ტახტზე იდგა და იმ წვნიანებით იყო მოთხვრილი, ლინს რომ გადმოეღვრებოდა ხოლმე ქვაბიდან.

— შეხედავდი თუ არა, გამოყუყუჩებულაო, იფიქრებდი; აღარაფერი აინტერესებდა, — განაგრძო ალბერტმა, როცა ნელამ თვალი თვალში გაუყარა. — თუმცა, მართალი გითხრა, ასე დაჩლუნგებული უკვე მაშინ დამიხვდა, ინგლისიდან რომ ჩამოვედი, გეგონებოდა, სული ამოართვეს, მიწასთან გაასწორესო. მთელი წელიწადი სტრიქონიც არ დაუწერია ისეთი, გულს რომ გაუხალისებდა.

ალბერტს ის სამარისებური სიჩუმე მოაგონდა, ომის გამოცხადებისთანავე რომ დაისადგურა ყველგან: წამით მთელი მსოფლიო გაირინდა თითქოს, სანამ მომართული მექანიზმის პირველი კბილანა ამოძრავდებოდა. მერე კბილანა დატრიალდა, მექანიზმი ამუშავდა და რაც დრო ვადიოდა, ეს ტრიალ-ბზრიალიც სულ უფრო და უფრო იპყრობდა გონებას, იმორჩილებდა ყველას და ყველაფერს.

ნელამ სიგარეტი მიაწოდა; ალბერტმა თავი გააქნია, მაგრამ უნებლიეთ ჯიბეზე გაიკრა ხელი, ცეცხლს მოვუკიდებო, თან სულ იმას ცდილობდა, ნელას გამომცდელ მზერას თვალს აეარიდებო.

— მერწმუნე, — უთხრა ალბერტმა, — არაფერი მაქვს დასამალი. მაგრამ პოეტს, რაღა თქმა უნდა, სულაც არ ესიამოვნება, ყოველი ფეხის ნაბიჯზე რომ საკუთარი სარეკლამო ლექსები შეეჩხიროს თვალში. „ესე იგი, ესააო ჩემი ომი ომის წინააღმდეგ, არა?“ — მითხრა ერთხელ და სიძულვილით გაჰკრა ფეხი მამაშენისეულ ხილფაფის ქილას. ვინიცას ბაზარში მოხდა ეს ამბავი: ვილაც ხნიერი ქალი იმ გაწკრილებულ ქილაში ჩაწყობილ ნიგვზიან ნამცხ-

ვარს ჰყიდდა; ქილა წაიქცა, ნამცხვარი მიწაზე გადმოიყარა და ჩვენც ნამცხვრების აკრეფაში მივეხმარეთ ქალს. მერე ფული გადავუხადეთ და მოვუბოდიშეთ კიდევ.

— განაგრძე, — ჩაურთო ნელამ და ალბერტს არ გამოჰხარებია ის ამბავი, რომ ნელა სმენად იყო ქცეული, გეგონებოდა, რაიმე სენსაციური მხილების მოსასმენად მომზადებულაო.

— ეს იყო და ეს, — დაასრულა ალბერტმა. — ზუსტად ორი კვირის შემდეგ დაიღუპა, მაგრამ სიკვდილთან მისასვლელი მისი გზაც ხილფაფის ქილებით იყო მოფენილი: ამ ქილების დანახვაზე ბოღმა ყელში მოგვებჭინებოდა, ჭირის ოფლი დაგვასხამდა, არადა, სხვები თითქოს ვერაფერს ამჩნევდნენ. შენ... შენ ალბათ გულიც მოგივა და შეგძულდები კიდევ, რაკი ყოველივე ჩამოგიკაკლე, არა?

— განა ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებ იმ ამბავს, შემძულდები თუ არა?

— რასაკვირველია, — მიუგო ალბერტმა, — ახლა უკვე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ნელასათვის თვალი არ მოუცილებია, მაგრამ ქალს ერთხელაც არ შეუხრია წარბი, ეგ კი იყო, სიგარეტის კოლოფს დასწვდა, ახალ სიგარეტს მოუკიდა, თუმცა კი წინა სიგარეტის მოწევაც ვერ მოესწრო ჯერ: საფერფლეში უბოლავდა.

— ეს ყოველივე, — ხმადაბლა წარმოთქვა ალბერტმა, — აღარ მინდა გაციხსენო, ორთავემ ვიცით, რაი მკვდარია, ისიც ვიცით, როგორ დაიღუპა, მიწაზე მის ჩხრეკას კი არავითარი აზრი არა აქვს.

— ნუთუ მართლა აღარ გისაუბრიათ, როგორც შენ მარწმუნებ ხოლმე?

— ერთმანეთისთვის აღარაფერი გვითქვამს, — უბასუხა ალბერტმა. — ლაპარაკი აღარ შეეძლო, ტყვია სასუნთქ მილში მოხვდა. მიყურებდა მხოლოდ და, რაკი კარგად ვიცნობდი, მის თვალეებში ამოვიკითხე. ხელი რომ მომიჭირა ზელზე, იმითაც მივხვდი, რომ ომზე იყო გულგამწყვრალი, ალბათ საკუთარ თავზეც მოსდიოდა ბრაზი, მივხვდი, რომ უყვარდი და მთხოვდა, ბავშვს მიმიხედეო, — შენ მიგიწერია თურმე, ფეხმძიმედ ვარო. ეს იყო და ეს.

— არ ილოცა? აკი ყოველთვის ამბობდი, რომ...

— შეიძლება ილოცა კიდევ, შეიძლება პირჯვარიც გადაისახა, მაგრამ ამაზე კრინტსაც არავისთან არ დავძრავ, ხოლო იმ ღორებთან თუ წამოგცდა რაიმე, იცოდე, საკუთარი ხელებით გაგათავებ. იმათთვის ეს ახალი სალაფავი იქნება, მეტი არაფერი, და ლეგენდაც საბოლოოდ ჩამოიქნება.

ნელამ მხოლოდ ახლა დაინახა საფერფლეში მბოლავი სიგარეტი, გაელიმა და სიგარეტი ჩააქრო.

— პირობას გაძლევ, სიტყვაც არ წამომცდება არავისთან.

— ისე, ჩვენში დარჩეს და, არ იქნებოდა ურიგო, ეს ხალხი რომ დაგეფრინა.

— მარტინს თუ მოუყვები ამ ამბებს?

— მოვუყვები, როცა წამოიზრდება.

— გეზელერი?

— რა „გეზელერი“?

— არაფერი ისეთი, — თქვა ნელამ, — უბრალოდ, ზოგჯერ ჩემს თავს ვა-

მუნათებ, იმ კაცის მიმართ მაინცდამაინც დიდ სიძულვილს რატომ ვერ ვგრძნობ-
მეთქი.

— კაცმა რომ თქვას, ეგაც შურბიგელისნაირი ხვითთა. რა მოგივიდა, რა
აღმური აგივიდა?

— შემეშვი, — ამოდურდა ნელამ, — ერთი-ორი დღით ~~შეგე~~ დამანებე,
ბევრი რამე მაქვს მოსაფიქრებელი. წერილებს არ მომცემ?

ალბერტმა ყავა გამოცალა, გაბრუნდა თავის ოთახში, წერილების ორივე
შეკვრა წამოიძღვანია და ნელას მაგიდაზე დაუდო.

იმ წერილებისათვის ხელიც არ უხლია ნელას, ალბერტმა რამდენიმე კვი-
რის თავზე ორივე შეკვრა ნახა, გაუხსნელი ედო საწერ მაგიდაზე.

ალბერტი დილიდან საღამომდე ხელოსნებთან ერთად იყო, ეთათბირებო-
და, ანგარიშობდა თანხას. სარდაფში ტუმბო შეაკეთეს, შეაკეთეს სახურავიც,
ზედა სართულში კი ხელახლა შეაბათქაშეს კედლები. ბოლდას ახლა ნებისმი-
ერ დროს შეეძლო წყალსადენში ჩაეშვა წყალი, დაასუფთავეს სარდაფიც, მოს-
პეს ვირთაგვები, დაობებული პროდუქტები, ღონძების გორები და სატაცურის
სიგრძეზე ღივგამოტანილი კარტოფილი სარდაფიდან გამოიტანეს.

ალბერტმა წინკარში მუქი და მწვანე მინები გამოაცვლევინა და მზის შუქ-
მა ახლა აქაც შემოადწია.

ბებია თავს თუ გააქნევდა ხოლმე ამ ფაცაფუცის შემყურე. ახლა უფრო
ჩშირ-ჩშირად ჩამოდიოდა თავისი ოთახიდან, უყურებდა ხელოსნებს და ერთ
მშვენიერ დღეს სუყველა სახტად დარჩა, როცა გამოაცხადა, ხელოსნებს ჩემი
ფულით გავისტუმრებო. ნელამ ვარაუდი გამოთქვა, ეს გადაწყვეტილება საბან-
კო წიგნაკისადმი უსაზღვრო სიყვარულის ბრალიაო. ეს წიგნაკი იყო ბავ-
შევური სიამაყით რომ ამოამზეურებდა ხოლმე ბებია. ერთი სული ჰქონდა, რო-
დის ამოაძვრენდა საწერი მაგიდის უჯრიდან წიგნაკს, გადაშლიდა და ცისფერ
ბლანკს მრავლისმოწამე პროკურისტივით შეავსებდა. მერე საშრობით შეამ-
შრალებდა და შევსებულ ბლანკს ხელის ელეგანტური მოძრაობით მოახევდა.
იმ წამიერი შრიალის გაგონებაზე, ბლანკის მოხვევას რომ ახლდა, ბებიას გა-
ბიჟვინებულ და მოვარდისფრო პირისახეს უბედნიერესი ადამიანის ღიმილი
გადაეფინებოდა ხოლმე. იმ წუთიდან მოყოლებული, როცა ორმოციოდე წლის
უკან ოცდასამი წლისამ წლისამ წიგნაკი ჩაიგდო ხელში, ბავშვური აღტაცება ჯერაც
არ განელებია, ფულის შოვნა ხელის ერთი მოსმით შემოძლიაო. ამასობაში
უამრავი საბანკო წიგნაკი შემოეხარჯა, რადგან სულ პატარა წვრილმანზეც ჩეკს
გამოწერდა ხოლმე. რესტორანსა თუ კაფეში დანახარჯსაც ჩეკით ისტუმრებ-
და, ზოგჯერ კი ისიც ხდებოდა, რომ მარტინს ოთხ მარკაზე გამოუწერდა ჩეკს და
ფარდულში გააგზავნიდა, ორმოცი კოლოფი თომ აპ ავ კი მომირბენინეო.
თუკი ჩეკითაც აღარაფერი იყო გადასახდელი, ვთქვათ და, სიგარეტსაც დაი-
მარაგებდა, მაცივარსაც ნაირ-ნაირი საჭმელებით ამოაპირთავებდა, ბებია სახ-
ლში იწყებდა ღონღიას, ოთახიდან ოთახში დატანტალებდა და სუყველას
სათითაოდ სათავაზობდა, ფული ხომ არ გჭირდებაო, ოღონდ კი მოეხია ჩეკი და
ის ხერხვისმაგვარი მუსიკა გაეგონა. თომ აპ ავ კის პლაკუნ-პლაკუნითა და
საბანკო წიგნაკის ფრიალ-ფრიალით ჩამოუვლიდა ყველას, — აკი ზუსტად ასევე
დააქნევდა ხოლმე თავის ღამის ჭურჭელს, როცა სისხლი აღმოაჩნდებოდა შარდ-

ში, — და მთელ სახლში კაციშვილს არ დატოვებდა, ფული არ შეეთავაზებინა.

— ფული თუ შემოგაკლდა, წაგიმატებ. — მერე სკამზე დასკუბდებოდა, დაიმარჯებდა ავტოკალამს — ბებია ავტოკალამსაც ბავშვური სიამაყით იშინვლებდა ხოლმე და ასე იკითხავდა: „მაინც რამდენი გჭირდება?“ ასეთ დროს ყველაზე მეტი გულისყურით გლუმი მოეკიდებოდა ხოლმე; დაუსახელებდა უსაშველოდ დიდ თანხას, თავადაც ახლოს მიუჩოჩდებოდა და მანამდე ევაჭრებოდა, ვიდრე ცისფერ ბლანკს არ მოახევიანებდა ბებიას. წასვლის მერე კი, სხვებისა არ იყოს, გლუმიც დახევდა ჩეკს და სანაგვეში გადაუძახებდა.

მართალია, იცოდა ხოლმე სახლის ასე შემოვლა, მაგრამ მეტწილად მაინც თავის ოთახში იჯდა და დანამდვილებით ვერაფერს იტყოდა, რას საქმიანობდა მთელი დღე. ბებია არც ტელეფონს გაეკარებოდა, არც კარს გააღებდა, თუკი ზარს დარეკავდა ვინმე. ხშირად ყოფილა, ნაძალ შუადღეზეც გამოსულა თავისი ოთახიდან და სქელ, მოჩითულ დღის პერანგში გამოწყობილი სამზარეულოში ჩამოფლატუნებულა მისი წილი საუზმის წასაღებად. ამ დროს ბებიას დახველებას თუ გაიგონებდი, აკი გაუთავებლად ეწეოდა და გაკვამლული ოთახიდანაც ნაცრისფერი ბოლქვები ფენა-ფენად გაწვებოდა ხოლმე დერეფანში. ასეთ დღეებში მარტინის გარდა დასანახად არ უნდოდა არავინ და ბიჭსაც თავის ოთახში დაიბარებდა.

ბებიას ხმას რომ მოჰკრავდა ყურს, მარტინი მაშინვე მოცოცხავდა, მაგრამ მეტწილად თავზე წამოადგებოდა ხოლმე ბებია, წაათრევდა თავის ოთახში და საათობით არიგებდა ჭკუას, ყურებს გამოუჭედავდა ყონფა-არყოფნაზე ზეუტურით ამასთანავე მარტინს თავის გამოჩენაც ევალებოდა, აქაოდა, კატეხიზმოს ცოდნაში ტოლს არავის დაეუდებო. ბოლდა და ბებია ერთ სკოლაში სწავლობდნენ და ბოლდაც გესლიანი ხითხითით ეუბნებოდა ხოლმე ბიჭს, ბებიაშენი კატეხიზმოს საკითხებში კაგ ვგარიანად მოიკოჭლებდაო.

გაკვამლულ ოთახში მარტინს სუნთქვაც უჭირდა, ბებია კი სავარძელში მიუჩენდა ადგილს, საწერი მაგიდის პირდაპირ და მარტინიც ოთახს ათვალერებდა: ხან დაულაგებელ ლოგინს გახედავდა, ხან ჩაის ტაბლაზე დახვავებულ გასარეცხ თეფშებს, ხანგრძლივ დააცქერდებოდა ხოლმე კვამლის ნაირფეროვან ფენებს: რალაცნაირი სილურჯე ახლდა, თითქმისდა თვალისმომჭრელი სილურჯით კიაფობდა პატარ-პატარა და ჩამომრგვალებული ბოლქვები, ბებია რომ ამოუშვებდა პირიდან, ვიდრე კვამლის ნარჩენს ფილტვებში ჩაიტუმბავდა. ბებიას ეამაყებოდა კიდევ, აგერ უკვე ოცდაათი წელიწადია ვეწევიო. კვამლს რომ ღრმად ჩაისუნთქავდა, მერე და მერე გაფილტრულ, ღია ნაცრისფერ და მოლურჯო ბოლქვებს ამოუშვებდა უკან, ამოაქშიტინებდა ბოლს და ლეგლურჯა კვამლიც ერთხანს პაერში დაეკიდებოდა თითქოს; სულის შემხუთავი, მწარე და ნაცრისფერი მხუთრი ჭერს აეტმასნებოდა, შემოუდგებოდა, ხოლო საწოლის ქვეშ და სარკის წინ კვამლი ჩაბურანებულ მოთეთრო ქულებად შეიკვრებოდა და ბამბის ვეება ფთილებს გაგახსენებდა კაცს.

— მამა ომში დაგელუპა, არა?

— დიახ.

— რას ნიშნავს „დაიდუპა?“

— ე. ი. ბრძოლის ველზე დაეცა, მოკვდა.

— სად დაეცა?



ქართული
საქმიანობა

- კალინოვკასთან.
- როდის?
- 1942 წლის 7 ივლისს.
- შენ როდის დაიბადე?
- 1942 წლის 8 სექტემბერს.
- რა ჰქვია იმ კაცს, მამაშენის სიკვდილში რომ მიუძღვის ბრალი?
- გეზელერი.
- გაიმეორე ეს გვარი.
- გეზელერი.
- კიდევ ერთხელ.
- გეზელერი.
- რისთვის მოვედით ამ ქვეყანაზე?
- რათა ვემსახუროთ ღმერთს, გვიყვარდეს იგი და მოვიპოვოთ სასუფეველი ცათაი.

— იცი თუ არა, რას ნიშნავს, ბავშვს რომ მამას წაართმევენ?

— ვიცი, — უპასუხებდა მარტინი.

მარტინმა იცოდა ეს. სხვა ბიჭებს აჟი ჰყავდათ მამები: გრობშიკს, მაგალითად, ტანმალალი, ქერათმიანი მამა ჰყავდა, ვებერს — ტანმომცრო, შავგვრემანი მამა. იმ ბიჭებს, მამები ვისაც ჰყავდა, სკოლაში უფრო მკაცრად ექცეოდნენ, ვიდრე უმამო ბიჭებს. გეგონებოდა, რაღაც დაუწერელი კანონი მოქმედებსო. თუ, მაგალითად, ვებერი ვერ უპასუხებდა გაკვეთილს, ერთ ყოფას დააწევდნენ, ბრილახს კიდევ, ისიც რომ მოუმზადებელი მოსულიყო, საყვედურს თუ ეტყოდნენ მხოლოდ. მასწავლებელი ხნიერი კაცი იყო, თმაჭალარა და შვილი მასაც „ომში ჰყავდა დაკარგული“. უმამო ბიჭებზე ასე ამბობდნენ: მამა დაეკარგაო ომში; ინსპექტორებსაც ამას წასჩურჩულებდნენ, თუკი შემოწმების დროს მოსწავლეს ენა ჩაუვარდებოდა მუცელში. მასწავლებლებიც ასევე გამოაცხადებდნენ, როცა უმამო მოსწავლეს ჩარიცხავდნენ კლასში: „მამა დაეკარგა ომში“ და ეს სიტყვები ისე ეღერდა, თითქოს დაჯარჩაო სადღაც მამა, გეგონებოდა ქოლგა ან ხურდა ფული დაგეკარგაო. კლასში შვიდი უმამო ბიჭი იყო: ბრილახი, ველცკამი, ნიგერმაიერი, პოსკე, ბეერენტი და თვითონ; კიდევ გრებჰაკე, თუმცა გრებჰაკეს უკვე ახალი მამა გაბოუჩნდა და შემწყნარებლობის ის დაუწერელი კანონიც გრებჰაკეზე ისე აღარ ვრცელდებოდა, როგორც დანარჩენ ექვს ბიჭზე. ამ შემწყნარებლობას რამდენიმე ნიუანსი გააჩნდა, განსაკუთრებით ნიგერმაიერს, პოსკესა და მარტინს იცოდებდნენ, ამის მიზეზს კი მარტინი ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ მიხვდა: გრებჰაკეს, მაგალითად, მამინაცვალი გაუჩნდა, ხოლო ბრილახისა და ბეერენტის დედებს კიდევ ჰყავდათ ბავშვები, სხვა მამაკაცებისაგან რომ ეყოლათ და არა ომში დაღუპული მამებისაგან. მარტინმა იცოდა უკვე, როგორ ჩნდებოდნენ ბავშვები; ძია ალბერტმა აუხსნა, — ქალებისა და მამაკაცების თანაცხოვრების შედეგად ჩნდებიანო. ესე იგი, ბრილახისა და ბეერენტის დედები იმ მამაკაცებთან თანაცხოვრობდნენ, რომელთაც უბრალოდ ძიები ერქვათ და არა ქმრები, ეს ამბავი კი თავის მხრივ სანახევროდ იდუმალ სიტყვასთან იყო დაკავშირებული, სიტყვა „ამორალურთან“. თუმცა აი, ველცკამის დედაც ხომ ამორალური ყოფაქცევისაა, მაგრამ ველცკამის ძიასთან მას ბავშვი არა ჰყავს. ესეც ახალი აღმოჩენა! თურმე მამაკაცისა და ქალის თანაცხოვრე-

ბის შედეგად, შეიძლება სულაც არ დაიბადოს ბავშვი, ხოლო თუ ქალი ძიასთან თანაცხოვრობს, ამას ამორალობა ჰქვია. იმ ბიჭებს, ვისაც ამორალური ყოფაქცევების დედები ჰყავდათ, რატომღაც არ ეპყრობოდნენ ისე ლმობიერად, როგორც პატიოსანი დედების ბავშვებს. მაგრამ განსაკუთრებით ზაკლებ ლმობიერებას მათ მიმართ იჩენდნენ, ვისი დედა სხვა ძიასთანაც ^{სურს} ბავშვს, საწყენი ამბავია, თან ვერც იმას მიხვდები, ამორალური დედის გულსათვის შეილება რატომ უნდა აგონ პასუხი. აი, იმ ბიჭებს კი, ვისაც მამები ჰყავდათ, სულ სხვაგვარად ექცეოდნენ. აქ ყველაფერი ნათელი იყო და ამორალობას ხსენებითაც არავინ ახსენებდა.

— ყური მიგდე, — შეუძახა ბებია. — შეკითხვა ოცდამეთხუთმეტე: რისთვის მოვა ქრისტე ქვეყნის აღსასრულის ქაშს?

— ქრისტე იმისთვის მოვა ქვეყნის აღსასრულის ქაშს, რათა განიკითხოს კაცნი.

ნუთუ ამორალურ ხალხსაც განიკითხავს საგანგებოდ? მარტინს ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა.

— რა მოგივიდა, ნუ გძინავს, — დაუცაცხანა ბებია. — შეკითხვა მეოთხმოცე: ვინ სჩადის ცოდვას?

— ცოდვას ის სჩადის, ვინც სწუთარი ნებით განუდგება ქრისტეს მოძღვრებას.

უყვარდა მარტინის კატეხიზმოში გამოცდა, მაგრამ ერთხელაც ვერ ჩაჭრა ბიჭი. ბოლოს წიგნს დაკეცავდა ხოლმე, ახალ სიგარეტს მოიკიდებდა, ხარბად ჩაისუნთქავდა კვამლს და დაყვავებით ეტყოდა:

— როცა წამოიზრდები, თავადაც მიხვდები, რომ...

ბებია რომ ასეთ სიტყვას ჩამოაგდებდა, მარტინი აღარ უსმენდა ხოლმე, კატეხიზმოში გამოკითხვის მერე შემაჯამებელი სიტყვის ჯერი დადგებოდა, სადაც არც ერთი შეკითხვა არ ეგულებოდა და იოტისოდენა ყურადღებაც სრულიად ზედმეტი იყო. ბებია მოვალეობაზე ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ფულზე, არომატულ ხილფაფაზე, მოიგონებდა ბაბუას, მოიხსენიებდა მამის ლექსებს, წაუკითხავდა გაზეთის ამონაჭრებს, თადარიგიანი ქალის შესაფერისად რომ წითელ მუყაოზე დაეწებებინა, თან რაღაც ქარაგმებითა და მოიარებით შეეჭვსე მცნებას უტრიალებდა ირგვლივ.

მართალია, არც ნიგერმაიერსა და პოსკეს არ ჰყავდათ ამორალური ყოფაქცევების დედები, მაგრამ მათ მიმართ როდი იჩენდნენ იმ ლმობიერებას, თავისდაწილად რომ იმკიდა მარტინი. მამები ამ ბიჭებსაც ომში დაელუპათ, მათი დედები არ თანაცხოვრობდნენ უცხო ძიებთან, მაგრამ მარტინის მამის სახელს დროდადრო გაზეთში ამოიკითხავდა ხოლმე კაცი, დედამისს კიდევ ფული ჰქონდა. ეს ორივე მნიშვნელოვანი ქვემუხლი არც ნიგერმაიერს მიუდგებოდა და არც პოსკეს: იმათი მამები არასოდეს უხსენებიათ გაზეთში, ხოლო დედებს სულ არ გააჩნდათ ფული, ან არადა, ძალზე ცოტა თუ ექნებოდათ.

ზოგჯერ მარტინი იმასაც ინატრებდა, ნეტავი არც ერთი ეს ქვემუხლი არ მეხებოდეს, მაშინ ხომ თავს დამანებებდნენო. კრინტი არავისთან დაუძრავს ამის თაობაზე, არც ბრილანხისთვის უთქვამს რაიმე, არც ალბერტისთვის, თან სულ იმას ცდილობდა ცუდად მოქცეულიყო სკოლაში — იქნება ვაიძულო და მასწავლებელმა მეც ისევე დამტუქსოს, ვებერს რომ ტუქსავსო: სწორედ იმ ვებერს, ვისი მამაც არ დალუბულა ომში და ვის მამასაც ფული არ გააჩნდა.

მაგრამ რაც არ უნდა ექნა, მასწავლებელი მაინც კარგი თვალთ უყურებდა, ხნიერი კაცი იყო, თმაქალარა, დაღლილ-დატანჯული და ომში მასაც „შვილი ჰყავდა დაკარგული“. მარტინი რომ განგებ დაიწყებდა ბლუკუნს, მასწავლებელი ისე ნაღვლიანად შემოხედავდა, იქით შეეცოდებოდა ხოლმე და ბოლოს და ბოლოს, მაინც კარგად უბასუხებდა.

ვიდრე ბებია ლაპარაკობდა, მარტინი ოთახში ჩამოწოლულად ^{უჩინებულად} ახალ-ახალ ფენებს აკვირდებოდა, დროდადრო ბებიასაც გახედავდა, — დარწმუნდეს, გულისყურით მისმენსო, არადა, თვითონ იმ ამბებზე ფიქრობდა, თავში რომ უტრიალებდა მუდამ; იმ საშინელ სიტყვაზე ფიქრობდა, ბრილახის დედამ რომ მიაბალა ხაბაზს, აი იმ სიტყვაზე, ბრილახების სადარბაზოში კედელზე რომ ეწერა ხოლმე; მერე ფეხბურთი გაახსენდებოდა, სულ მოკლე ხანში, დიდი-დიდი ხუთ წუთში რომ უნდა დაწყებულიყო სახლის წინ გაშლილ პატარა მდებლობზე. კიდევ ორიოდე წუთიც და... ბებია უკვე იმ არომატული ხილფაფის წარმოებაზე ლაპარაკობდა, მარტინის მომავალ მოვალეობებთან რომ იყო რატომღაც დაკავშირებული. ნეტა მართლა თუ ჰგონია, ხილფაფის ფაბრიკას მარტინს გადავაბარებო? ნურას უკაცრავად! მთელ თავის ცხოვრებას ფეხბურთის თამაშში გაატარებს! ამას რომ გაიფიქრებდა, გულზე მოეფონებოდა ხოლმე, თუმცა, ცოტა არ იყოს, დაფრთხებოდა კიდევ, როცა წარმოიდგენდა, ოცი ან ოცდაათი წლის განმავლობაში მომიწევსო ფეხბურთის თამაში. კიდევ ერთი წუთი და ფურცლის წამიერი გაშრიალებისას ყურებს ცქვიტავდა, — ბებია ჩეკს მოუხევედა. კატეხიზმოს უბადლო ცოდნისა და კარგი მოქცევისათვის ბებია ჩეკით დააჯილდოვებდა ხოლმე; ორად დაკეცავდა ჩეკს, მარტინი ცისფერ ბლანკს ჩამოართმევდა და იცოდა, ახლა წასვლაც შეიძლებაო. ოღონდ, კიდევ ერთხელ უნდა დაეკრა თავი, გმადლობთ, ჩემო ბებიკოო — ეთქვა, მერე კი კარს გამოაღებდა და კვამლის ღრუბელიც ბიჭს წინკარში გამოაცილებდა.

თავი IX

კოლოფისათვის ორი დღე არ უხლია ხელი. ვერა და ვერ გაეხედა მისი გახსნა, თუმცა კი იმედსაც ამყარებდა კოლოფში შენახულ ჩანახატებზე, იმ უამრავ ჩანახატზე, ლინის სიკვდილამდე და მისი სიკვდილის შემდეგ რომ დახატა ლონდონში ყოფნის დროს. იმას ფიქრობდა, ვაითუ, გადასაყრელი და-ძირჩესო, არადა, მაინც არ კარგავდა იმედს, ხომ შეიძლება ვცდებოდე და ნახატები სულაც არ იყოსო ურიგო. ჟურნალ „შაბათისათვის“ ახლა ყოველკვირულად უნდა დაეხატა კარიკატურების სერია და ხშირად მთელი დღის განმავლობაში იტეხდა ხოლმე თავს, მაგრამ ხეირიანი მაინც არაფერი გამოსდიოდა ხელიდან. კოლოფი იმ დღეს გახსნა, როცა გლუმის გარდა არავინ იყო შინ; ნელას დედამ მარტინი ქალაქში წაიყვანა, თვალწინ ედგა ბიჭის დამფრთხალი და დაბნეული სახე, როცა ბებიასთან ერთად ტაქსში ჯდებოდა. ნელა კინოში წასულიყო; ბოლო ხანს მთლად გამოეცვალა გუნება, მეტისმეტად გაღიზიანებული ჩანდა და ალბერტიც გუჟინით ხვდებოდა, უთუოდ მიმალავსო რაღაცას. იფიქრა, ყველაფერს გამოგკითხავო და კოლოფს კანაფიც შემოახვია. მისამართს, ლონდონში ყოფნისას რომ დააწერა კოლოფს, ჯერაც გაარჩევდა კაცი; ბ-ნ რაიმუნდ ბახს — ეწერა კოლოფს და ალბერტს თითქოსდა იმ წებოს უნია-

თო სუნმაც კი შეუღიტიხა ცხვირში, ლინის ოთახში რომ შეთითხნ, მინარჩენი ფქვილისა და წყლისაგან, მისამართიან ქალაქს მუყაოზე დავაწებებო.

ალბერტმა ნასკვი გახსნა, მერე კანაფი შემოაძრო, მაგრამ კოლოფისათვის მაშინვე როდი აუხდია თავი. ერთ ხანს შეიცადა, ბაღში გადახედდა, სწრაფ მარტინის ამხანაგები, ჰაინრიხი და ვალტერი თამაშობდნენ. ~~სწრაფი~~ კარები ცარიელი ქილებით მოენიშნათ და კრიჭაშეკრულნი გაშმაგებით დასდევდნენ ბურთს, თუმცა კი მაინც ეტყობოდათ, დიდად კმაყოფილები იყვნენ. უყურებდა ბიჭებს და ანაზღად ის დრო გაახსენდა, ლინთან ერთად რომ გაატარა ლონდონში, როცა ეგონა, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყევსო; მაინც უბედნიერეს კაცად მიაჩნდა თავი, თუმცა კი ლინი გათხოვების შემდეგაც ვერ შეეღიხა თავისი ქალიშვილობის ჩვევებს. ლინს დასანახად სძულდა კარადები, სძულდა ყოველგვარი ავეჯი, და ადგებოდა თუ არა, მთელ თავის ავლა-დიდებას საწოლზე დაახვავებდა ხოლმე: დაყრიდა წიგნებს, რვეულებს, გაზეთებსა და პომადას, ქალაქის პარკებში ჩაყრილ ხილის ნათალს, იქვე მიაგდებდა ქოლგას, ბერეტს, პალტოსა და სასკოლო რვეულებს, — სამხრეთ ინგლისის მცენარეულ სამყაროსა თუ ინდოეთის ფაუნაზე დაწერილ თხზულებებს, საღამოობით რომ მაგიდასთან მიცუცქული ასწორებდა ხოლმე. ეს ყველაფერი დღისით ლოგინზე ეყარა ალუფხული, ხოლო საღამო ხანს, ან ნაშუადღევს, როცა საღამოს გაზეთების წასაკითხად ერთადერთ საწოლზე დააპირებდა წამოწოლას, ამ დომხალიდან მხოლოდ და მხოლოდ პურის ნაჭრებს თუ გამოარჩევდა საგულდაგულოდ, სხვა დანარჩენს ხელის ერთი მოსმით გადმოუძახებდა იატაკზე: იმ თავის რვეულებს, ქოლგას, ხილს, მთელი ეს ხარაზურა, რაღა თქმა უნდა, ლოგინას ქვეშ აღმოჩნდებოდა, ან ოთახში მიმოიფანტებოდა. დილით კი, ლინი ხელაღლა მოაქუჩებდა და ისევ ლოგინზე დაახორხოლებდა ყველაფერს. მხოლოდ ერთხელ თუ ეცვა რიგიანად გაუთოებელი კაბა, ისიც ქორწილის დღეს; ჯვარი ქალაქგარეთ დაიწერეს, ერთ-ერთ ვილაში. სასადილო ოთახში გამართული საოჯახო საკურთხეველი ისე ულაზათოდ იყო მორთულ-მოკაზმული, იმასაც გაფიქრებინებდა, დიდებული სანახავიაო. პირმზიანი ფრანცისკანელის ანაფორას შემწვარი შაშხის სუნი ასდიოდა; უცნაურად ჟღერდა მისი ლათინური, კიდევ უფრო უცნაური მოსასმენი იყო მისეული ინგლისური „უკუეისი უკუეისამდე“... ზუსტად იმ დღეს, როცა გაუთოებელი კაბა უნდა ჩაეცვა, ირლანდიიდან დედა ჩამოუვიდა ლინს. კაბა იმან დააუთოვა სასტუმროში და კარადაშიაც ფრთხილად შეკიდა, არადა, ლინი სწორედ იმ დღეს გამოიყურებოდა საძაგლად; უთოსა და ამისთანობას შინ არ გააჩერებდა, იმიტომ რომ უთო საკმაოდ მძიმე ნივთია, ხოლო ის კაბები, გაუთოება რომ სჭირდება, ლინს სულაც არ უხდებოდა.

ქორწინების პირველ თვეს ლინის საწოლზე ეძინათ და ალბერტს ერთი ღამითაც არ მოუხუჭავს თვალი, რადგან ლინი გაუხედნავი კვიცივით ბორგავდა ხოლმე: საბანს წარამარა აგდებდა იატაკზე, ხშირ-ხშირად იცვლიდა გვერდს, ალბერტს ხან წიხლს ჩასცხებდა, ხან მუჯლუგუნს უთავაზებდა და მკერდიდანაც გულისშემძვრელ, ხრინწიან ხიხინს ამოახარბუხებდა ხოლმე. მეტი რა ჩარა იყო, ალბერტი ფეხზე ადგებოდა, აანთებდა შუქს, ნათურას გაზეთს ჩამოაფარებდა და კითხვას იწყებდა. დაძინებით რაღა დააძინებდა და ალბერტიც იატაკზე ჩამოცურებულ საბანს ხელახლა გადააფარებდა ხოლმე ლინს, ისევ და ისევ საგულდაგულოდ შემოუკეცავდა ყველა მხრიდან. ლინი რომ წუთით

დაშოშმინდებოდა, ალბერტი მისკენ მიაბრუნებდა თავს და თვალს არ აშორებდა: გრძელი, წაბლისფერი თმა ჰქონდა ლინს, ხორბლისფერი პირისახე და ჭიშკანი კვიციის პროფილი. მერე სინათლეს ჩააქრობდა, იწვა ბნელაში ლინის გვერდით და თავი ბედნიერ კაცად მიაჩნდა. დროდადრო წყვილმეჭმევარდებოდა ხოლმე საწოლიდან, დღისით რომ ლეიბებს შუა დაეტანებდა ლინისგულადმოფერთხვას გადარჩენილი და ახლა მისი მშფოთვარე ბორგვა-ტრილისაგან ჩამოვარდებოდა ძირს: კოვზი, ფანქარი ან ბანანი. ერთხელაც კიდევ იატაკზე მოხარშულმა კვერცხმა მოადინა ტყაპანი, გადაქექილ საფენზე გაგორდა და საწოლის ფეხს მიეყუდა. ალბერტი წამში წამოდგა, აიღო კვერცხი, გაფცქვნა და თვალის დახამხამებაში შესანსლა: იმხანად ნიადაგ შიოდა ხოლმე.

დაძინებით დილით თუ დაიძინებდა, როცა ლინი ფეხზე იყო უკვე. ლინი ქალაქგარეთ მუშაობდა, სამონასტრო სკოლის მასწავლებლად. ალბერტი სასკოლო ნივთების მოქუჩვაში ეხმარებოდა ლინს, მერე ტყავის ჩანთაში ჩაუტენიდა ყველაფერს, თან ერთიანად შექყულეტილ-შემოქყულეტილი მალვიძარას თვალთვალი ეკისრებოდა, ლინის სხვა ნივთებთან ერთად რომ ყოველდღიურად დაეხეტებოდა საწოლიდან იატაკზე და იატაკიდან საწოლზე, არადა, საათი მაინც ზუსტად მუშაობდა. ალბერტს საათზე ეჭირა თვალი და როცა სახლიდან გასვლის დრო მოაწევდა, ლინს გააფრთხილებდა ხოლმე. თავად პერანგისამარა იჯდა საწოლზე და დილის გაზეთებს ათვალთვებდა, ლინი კი ამასობაში ჩაის ან წვნიანს მოამზადებდა სპირტქურაზე. დიდი ისარი რომ თერთმეტს გაუსწორდებოდა და რვას ხუთი დააკლდებოდა, ლინი ჩანთას დასტაცებდა ხელს, ნაჩქარევად გადაკოცნიდა და კიბეზე ჩაიქროლებდა. წვნიანს ზოგჯერ სპირტქურაზე მიატოვებდა და შვრიის უგემურ ნახარშს ალბერტი ხარბად შეთქვლევდა ხოლმე. მერე ისევ დაწვებოდა და თერთმეტ საათამდე ეძინა.

მეორე საწოლის შესაძენ ფულს მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოუყარეს თავი და ალბერტს ახლა ღამითაც შეეძლო ძილი. იშვიათად თუ გამოერკვეოდა ღრმა ძილისაგან, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებოდა, როცა ლინის საწოლიდან ჩამოვარდნილი რაიმე საგანი იატაკზე მოადენდა ტყაპანს, ვთქვით ნახევარი ფილა შოკოლადი ან კიდევ ვერცხლის მძიმე სამაჯური.

გაუთავებლად იმას უჩიჩინებდა, აი, ასე მესმისო წესრიგი: კარადაში თავთავისი ადგილი უნდა მიუჩინოო ყველაფერს და ქურაც ბზინავდესო უნდა. ვილაც მეწვრილმანესაგან ალბერტმა კარადაც შეიძინა და სანამ ლინი სკოლაში იყო, ის კარადა ოთახში შემოატანინა, მერე ღამაზად მიალაგ-მოალაგა ყველაფერი; ქალის მთელი ხარახურა და მისი ყველა კაბა, გერმანული თადარიგიანობით გადმოკიდა უღელაზე, ზუსტად ისე, დედამისი რომ მოისამზადისებდა ხოლმე. აკი ახსოვდა დედის სიტყვები: გამოქათქათებული და გაუთოებული თეთრეულის სუნი უნდა გცემდესო, მაგრამ ლინი ვერა და ვერ შეგვუა კარადას. ალბერტმა ლინის ხატრით კარადა უკანვე წააღებინა და ახლა სხვა მეძველმანეს მიჰყიდა ჩალის ფასად. ერთადერთი ავეჯი, რასაც ლინმა თვალი მიაჩვია და მაინცდამაინც აღარ აღიზიანებდა, ერთი მიფეხვილი პატარა თარო-სადგამი იყო, რაზედაც ის თავისი ქურა, წყლის კარდალა და ორთავე ქვაბი ჰქონდა შემოდგმული. აქვე ინახავდა ხორციისა და ბოსტნეულის კონსერვებს, ათასნაირ უცნაურ საკმაზსა და პაკეტებში დაკონსერვებულ წვნიანს. გემრიელი კერძის მომზადება იცოდა და ალბერტსაც უყვარდა ლინის დაყენებული ჩაი: მუქი, ოქროსფრად ამზიანებული; სკოლიდან რომ დაბრუნდე-

ბოდა, თავ-თავიანთ საწოლებზე წამოწვებოდნენ ხოლმე, კითხულობდნენ, ეწე-
ოდნენ, ჩაიდანი კი საწოლებს შუა ედგათ ჯორჯოზე. ალბერტს მხოლოდ პირ-
ველი ორი თვის განმავლობაში აღიზიანებდა ის ამბავი, რასაც დაუდევრობას
უწოდებდა მაშინ. ცოტა არ იყოს, გულსაც აკლდა, არაფრის შექმნა რომ არ
უნდოდა ლინს: ერთი ხელი ზედმეტი ზეწრის ყიდვაზეც ვერ დასწყობდა. ლინს
ისევე სძულდა ყოველგვარი თადარიგი, როგორც კარადები და ალბერტი მხო-
ლოდ მოგვიანებით მიხვდა, რომ კარადებსაც იმიტომ ვერ ეგუება, რაკი სწო-
რედ კარადებში ინახებოდა ყოველივე ზედმეტი. ლინს გასაბერი ბუშტები უყ-
ვარდა, უყვარდა კინო და მართალია, მერყევი ხასიათი მოსდგამდა, მაინც დი-
დად ღვთისმოსში ეთქმოდა. თავდავიწყებამდე ალაფრთოვანებდა ეკლესიის
ზიზილ-პიპილები და ის ფრანცისკანელი ბერები, ვისთანაც ცოდვების მოსანა-
ნიებლად დაიარებოდა კვირაობით. ხშირად ალბერტს მიჰყავდა წირვაზე იმ სა-
მონაზვნო სკოლაში, თვითონ სადაც ასწავლიდა და ალბერტს ვულოც ბევრჯერ
მოსვლია მონაზვნებზე, ჯიუტად რომ ეძახდნენ „მისს ქანიგენის მეუღლეს“ და
თეფშზე ბლომად გადმოუღებდნენ ხოლმე საქმელს, რადგან ყური მოეკრათ,
სულმუდამ მოშიებულიაო. მაგრამ ასე პირველ ხანებში იყო მხოლოდ, მერე და
მერე მონაზვნებიც თვალში მოუვიდა, ყოველ საუზმეზე რვა სენდვიჩს მაინც
გადასანსლავდა და მისი ზღაპრული მადის შემყურე მონაზვნებიც სახტად დარ-
ჩენილან. კვირაობით ლინი ბალახის პოკეიში ავარჯიშებდა მოსწავლეებს, ამზა-
დებდა ამა თუ იმ შეჯიბრებისათვის და ქალის ფანატიკური გატაცების შემს-
წრეს გუნებაშიც გასცინებია, თუმცა კი მაინც მოხიბლულა მისი მსუბუქი,
საოცრად მკვირცხლი და მარჯვე თამაშით. მისს ქანიგენის მეუღლე ამ დროს
მოედნის განაპირას იდგა ხოლმე ატუზული, ვარჯიშის დამთავრების შემდეგ
კი ლინთან ერთად სამჯერ უნდა შემოერბინა მოედნის გარშემო. პოკეისტი
გოგონები და ინტერნატის სხვა მოსწავლეები ალბერტს აგულიანებდნენ და
ყურისწამლებ ყიყინასაც დასცემდნენ, თუკი გაუსწრებდა ლინს, გასწრებით კი
თითქმის ყოველთვის უსწრებდა ხოლმე, რადგან იმ დროს მუხლიც მაგარი
ჰქონდა და ჯანიც ერჩოდა.

მერე სამხრეთშიაც იმოგზაურეს, სერეის საგრაფოში, — საათობით დაე-
ხეტებოდნენ მდელოებზე, ჯაგნარებში და სადღა არ იწევდნენ იმ სიხარულს,
ლინი რომ თავდავიწყებით მიეცემოდა ხოლმე და რასაც „ოჯახური ცხოვრე-
ბის სიხარულს“ უწოდებდა ხუმრობით. ალბერტი ოცდახუთისა იყო, ლინს ოცი
შეუსრულდა და მთელს სკოლაში იგი უსაყვარლეს მასწავლებლად ითვლებოდა.

სადაც დღეებში ალბერტს თერთმეტის ნახევრამდე ეძინა, რადგან ის
ხალხი, ვისთანაც საქმე ეჭირა, თორმეტის ნახევრამდე ახლოსაც არავის გაი-
კარებდნენ, არადა, იმ უძილო ღამეებმაც მოთენთეს, მიასავეათეს. უხალისოდ
ნადირობდა ხელმოცარულ და ენაჩავარდნილ მავანსა და მავან პოლიტიკოსებზე
და რაიმე უმნიშვნელო ინფორმაციას საუზმის დროს თუ დასტყუებდა ხოლ-
მე. მაგრამ მეტწილად მეოთხე, მეხუთე პირისაგან თუ შეიტყობდა ახალ ამ-
ბებს, იმ ყურნალისტებისაგან თუ გაიგებდა, ალბერტისა არ იყოს, დოყლაპიე-
ბად რომ ითვლებოდნენ. მოგვიანებით მოღვაწეობის ახალ საფეხურზე შედგა
ფეხი და ახალი ამბების შეთხზვაც თავად დაიწყო, თუმცა კი იმთავითვე იცო-
და, ამას არავინ მაპატიებს და ძვირადაც დამიჯენენო. პატარ-პატარა სამიკიტ-
ნოებში იჭდა ხოლმე, წრუპავდა გაზავებულ ვისკის და ლინს ელოდებოდა;
სახატავ ფურცლებს დასტად დაიწყობდა წინ და რაც მოაფიქრებოდა, ყვე-

ლაფერს იხატავდა. იგონებდა ნაკვესებს, დაურთავდა ილუსტრაციებს, ან იმ ნაკვესებს დაასურათებდა, გაზეთში რომ ჰქონდა ამოკითხული. „სანლაითის“ დიდ კოლოფში, ოთახში რომ ედო ახლა, ჩანახატები უგროვდებოდა, ასობით ჩანახატი, და ლინის სიკვდილას შერე ეს კოლოფი გერმანიაში წავსვლა გზავნა, რაიმუნდის სახელზე.

ასობით ჩანახატი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ალბერტი მაინც არ ჩქარობდა კოლოფის გახსნას და ბიჭებს ადევნებდა თვალს, ერთმანეთის კარში რომ შეუპოვრად ცდილობდნენ ბურთის გატანას. იქნება ნახატები მართლაც კარგია და მაშინ აღარც იმაზე ფიქრი გასტანჯავს, ახლა რაღა გამოვიწუროთ თი-თებიდან.

ბიჭების ცქერა-ცქერაში ანაზღად ბოლდას პორტრეტიც მოხაზა, მაგრამ მალე ისევ მიაგდო ფანქარი.

ამასობაში იმ გამოჩხრეკილი ინფორმაციების შეკოწიწებაც გაჭირდა. ხოლო ალბერტის მიერ შეთხზული მასალა, გერმანიაში რომ აგზავნიდა, სულ უფრო და უფრო ნაკლებად წააგავდა სინამდვილეს და პატარა გერმანულმა გაზეთმა, რომლის კორესპონდენტი იყო ალბერტი, ერთ დღეს მცირე პონორარიც დაუკავა, ხოლო რამდენიმე კვირის თავზე საერთოდ დაითხოვა და ალბერტიც ლინის ხელფასის ანაბარა დარჩა. მოუთმენლად ელოდებოდა ყოველი კვირა დღის დადგომას, რომ სამონაზვნო სკოლაში საჭმელებით მოემსუყებინა გული, ხოლო ლინი თუ გოგონებს ავარჯიშებდა, ალბერტი სკოლის სამლოცველოში შევიდოდა, ისმენდა ლოცვებს და გრანდიოზული ულაზათობის შემყურეს ყოველთვის უკვირდა ხოლმე: არსად, არსად არ ენახა ასე უხეიროდ მოხატული წმ. ანტონიუსის ხატი და არც ტერეზ ფონ ლიზიეს ასეთ უშნო სურათს გადაჰყრია სადმე.

სადაც დღეებში თავის ბიბლიოთეკას ასაღებდა ხოლმე ბუკინისტებთან, ორ კილოს ნახევარ შილინგად, თუმცა, წიგნებში აღებული ფული, სიგარეტის საყიდლადაც არ ჰყოფნიდა. ერთხანს კერძო გაკვეთილების ჩატარება გადაწყვიტა, მაგრამ სწორედ რომ თითებზე ჩამოითვლებოდა ის ინგლისელები, გერმანულის შესწავლას რომ ეპირებოდნენ, არადა, ქალაქი გერმანელი ემიგრანტებით იყო გავსებული. ლინი დაამშვიდებდა, გულს გამოუკეთებდა ხოლმე და მიუხედავად ყველაფრისა, ეგონა, ბედნიერ ვარსკვლავზე დავიბადეო. ქალმა თავისიანებს მისწერა, ძალზე გვიჭირსო და ლინის მამამ ირლანდიაში მიიპატიჟა ორთავე. ალბერტი ეზოში წამეხმარება და თუ უნდა, იმ წყეულ ნაციისტებს სულაც ნუ დაუბრუნდებაო.

მას აქეთ თხუთმეტი წელი გავიდა და ალბერტს ახლაც ვერ გაეგო, რამ ათქმევინა მაშინ უარი. ანაზღად ნელასეული სენი შეეყარა: იმ ცხოვრებაზე ფიქრს მისცა თავი, არასოდეს რომ არ ღირსებია და აწი ველარც ეღირსებოდა, რადგან ასეთი ცხოვრებისათვის განკუთვნილი დრო-ყამი რა ხანია უკვალოდ გაქრა. ასე კი იყო, მაგრამ თავისებური ეშხი მაინც ახლდა იმ ამბავს, რამოდენიმე წუთით რომ უცხო ადგილას წარმოიდგენდა თავს, ისეთ პირობებსა და იმ ხალხში, საერთოდ რომ არ იცნობდა.

ახლაც, თხუთმეტი წლის შემდეგაც ვერ ეგუებოდა აზრს, ლინი მკვდარიაო, ისე მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი, არადა, სწორედ იმ დროს მოკვდა,

როცა ალბერტს მომავლის იმედი ჩაესახა. ამასობაში სუმუშაო იშოვა, გაუჩნდა ფულიც; საპნის ქარხნისათვის სარეკლამო პლაკატებსა და ესკიზებს ხატავდა. თან, როგორც იქნა, ინგლისელების გემოვნებასაც შეეგუა.

მას მერე, რაც ფული გაუჩნდა, სამიკიტნოებში სიარულს დაიწყო და აღარც ლინის მოლოდინში იბრუებდა თავს. იჯდა თვეებს უთქვამს სვამდა ციფ ჩაის და მთელი დღე ხატავდა. დილით ლინთან ერთად ადგებოდა, მოამზადებდა საუზმეს და ქალს ავტობუსის გაჩერებამდე გააცილებდა ხოლმე.

ბიჭებს, ეტყობა, დასცხათ, ქანცი გაუწყდათ. ჰაინრიხი მწვანეზე იჯდა, შურავით ხეს მიყრდნობოდა და ბალახს ღეჭავდა. ალბერტი ფანჯარაში გადაიწია და ბიჭებს გასძახა:

— შემოდით და მაცივრიდან კოკა-კოლა აიღეთ.

ხოლო ბიჭები როცა მოუბრუნდნენ და გაკვირვებით მოაშტერდნენ, ალბერტმა დააყოლა:

— აბა, რაღას უდგახართ, ჰაინრიხ, შენ მაინც იცი, სად რა დგას.

ალბერტმა აღფრთოვანებულ შეძახილებს ზოპკრა ყური. ბიჭებმა სახლს შემოურბინეს, შემოვიდნენ წინკარში, მაგრამ მერე ჩურჩულით დაიწყეს ლაპარაკი და ფეხაკრეფით შევიდნენ სამზარეულოში. ალბერტმა ფანჯარა მიხურა, გაიტენა ჩიბუხი, მაგრამ აღარ მოუკიდებია, ისევ მაგიდაზე დადო და „სანლაიტის“ კოლოფს გულდაჯერებით ახადა თავი: კოლოფში თხელი ფურცლების მთელი დასტა იდო. როცა გადაბრუნებულ ნახატებს შეავლო თვალი, მიხვდა, კოლოფი უკუღმოდან ავხსენიო. ალბერტმა პირველივე ფურცელი ამოიღო, გადმოაბრუნა და კიდევაც გაუკვირდა, ისე კარგი ჩანახატი ეკაეა ხელში. ფურცელზე ზოოშარჟი ეხატა, ეს ყანრი კი ახლა ისევ შემოდის მოდაში. ომის დამთავრების მერე ასე კარგად აღარ დაუხატავს; რბილი, ძალზე რბილი შტიფტით იყო ნახატი შესრულებული და არც სიძველისა ეტყობოდა რამე. თითქოს ლოდი მოსწყდაო გულს, რადგან ამთავითვე მიხვდა, ბრეზგოტე უთუოდ აიღებსო ნახატებს. თითოეული ჩანახატი, ხელის ერთი მოსმით რომ შეასრულა თხუთმეტი წლის წინათ, ორმოცდაათ მარკას შემოუტანს. ზოგიერთ ნახატს კიდევ-გვერდს შემოაჭრის, ზოგს ხელახლა დააწებებს მუყაოზე, უტექსტო ნახატებისათვის კი ტექსტს შეთხზავს. ეს ნახატები არასოდეს უჩვენებია ლინისთვის, — რა საჩვენებელი ეგ არისო, მაგრამ ახლა მიხვდა, ნახატებს არაფერი დაეწუნებო; ასეა თუ ისე, იმ ნახატებზე უკეთესი მაინცაა, „შაბათისათვის“ რომ დამიხატიაო. ერთ ხანს კოლოფში იქექებოდა, ხან დასტის შუიდან ამოაცალცალავებდა ნახატს, ხან ძირა ნახატებს ამოამზეურებდა და გაკვირვებას იყო: უკლებლივ ყველა ნახატი მოეწონა. წინკარიდან ანაზღად ძახილი შემოესმა:

— ალბერტ ბიძია, ალბერტ ბიძია...

ალბერტმა კარი გამოაღო და იკითხა:

— მოხდა რამე? — ზღურბლზე ჰაინრიხი იდგა.

— შეიძლება, თითო-თითო ბუტერბროდი მოვიმზადოთ? მარტინს აქ გვინდა დავხვდეთ.

— მარტინს რომ კარგა ხანს დაავიანდება?!

— არა უშავს, დაველოდებით.

— ნება თქვენია, ბუტერბროდები კი, რა თქმა უნდა, მოიმზადეთ.

— დიდი მადლობა.

ალბერტმა კარი მიხურა, მაგიდაზე მიმოფანტულ ფურცლებს თავი მოუყარა და ისევ ყუთში ჩააწყო.



ლინი იმ დილითაც სკოლაში გაემგზავრა, ალბერტი კი შინ დანტყდა. სარეკლამო პლაკატისათვის ესკიზები უნდა დაეხატა. დახატა და მისი ცხვირის ფეხს რომ ბარაქიანად უწებდა მდოგვში და წინდაწინ დაატყო, პლაკატი რიგიანი გამომივაო. ის პლაკატი ერთმა ებრაელმა ემიგრანტმა დაუკვეთა, აბსალომ ბილიგის შორებელმა ნათესავმა, ჟურნალისტების სამიკიტნოში რომ გაიცნო და კაი ფულსაც შეჰპირდა. თავდაპირველად ეჭვის თვალით უყურებდა ალბერტს, ვინმე ენატანია იქნებაო, მაგრამ მეხუთე შეხვედრაზე ალბერტს შეკვეთა მისცა: ახალი ნაცნობი საკმაზების ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშაობდა, სარეკლამო განყოფილების თანამშრომლად. ალბერტი ისე გაერთო მუშაობით. დრო თვალსა და ხელს შუა შემოადნა და კიდევაც გაუკვირდა, ლინი რომ შემოვიდა ოთახში.

— ღმერთო ჩემო, — აღმოხდა ალბერტს, — ნუთუ სამია უკვე?

მაგრამ როცა აკოცა და ლინმა ნაძალადევად გაუღიმა, მიხვდა, სამ საათამდე ჭერ კიდევ დიდი დროაო, ლინმა კი იმიტომ დაბრუნდა, შეუძლოდ არისო. ქალს ხელები უხურდა და მუცლის ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა.

— კარგა ხანია მტკივა, — აუხსნა ლინმა, — მაგრამ შეგონა, ორსულობის ბრალია-მეთქი; დღეს გამოირკვა, თურმე არ ვყოფილვარ ფეხმძიმედ, არადა, მუცელი მაინც საშინლად მაწუხებს.

აქამდე არასოდეს ენახა საქციელწამხდარი და უცებ შეცბა, ლინი რომ საწოლზე გაიშხლართა და კვნესა აღმოხდა; ძლივს აბრუნებდა ენას, ხოლო როცა ალბერტი მის თავთან დაიხარა, ლინმა წასჩურჩულა:

— ტაქსი გამოიძახე, ავტობუსში ცუდად გავხდი, ახლა უფრო ცუდად ვარ, საავადმყოფოში წამიყვანე.

ალბერტმა ლინის ხელჩანთას დასტაცა ხელი და ტაქსის გაჩერებისაკენ გაიქცა, გზად ლინის ფულს ითვლიდა: ოთხი ფუნტი და ხურდა ფულის გროვა ამოხიკა საფულედან. გაოგნებული და დაბნეული ჩაჯდა ტაქსში, მანქანა სახლთან გააჩერებინა და სულმოუთქმელად ამოათავა კიბე. ლინს წააღებინა, ხოლო როცა ალბერტმა იგი ფეხზე წამოაყენა, დაბლა ჩავიყვანო, ლინს კვნესა აღმოხდა; კიბეზე ლინი მთელი ხმით გაჰკიოდა, მერე ისევ წააღებინა. სადარბაზოში მეზობლის ქალები გამოლაგდნენ და თავის ქნევით მიაცილებდნენ ალბერტს. ერთ-ერთ ქალს მიაძახა, ოთახს მიმიხედეთო, ქალმა თავი დაუქნია და მისი ფერმიხდილი, ჩამომჰკნარი და ალკოპოლისაგან დამანკული პირისაზე ალბერტს ახლაც თვალწინ დაუდგა, როცა ბიჭების გადაძახილს მოჰკრა ყური, — ბუტერბროდებით ხელში ისევ წამოეწყოთ ბურთის თამაში.

მანქანაში მუხლებზე დაასვენა, ნჯღრევას ავარიდებო, მაგრამ ლინი სულ უფრო ხმამაღლა კვნესოდა და ბოლოს ყავისფერ, გადაქლეთილ საზურგეზე წააღებინა. ალბერტი იმას ფიქრობდა, რა უნდა ვუთხრაო საავადმყოფოს ექიმებს: ვერა და ვერ გაიხსენა, როგორ იქნებოდა ინგლისურად „ბრმა ნაწლავის ანთება“, მაგრამ ტაქსი რომ საავადმყოფოს წინ გაჩერდა, როცა ლინი ხელში აიტატა, კიბე აირბინა და მისაღების კარს ჰკრა ფეხი, ალბერტმა მისდაუნებურად დაიყვირა:

— აპენდიქსი, აპენდიქსი.

ლინმა გულისშემძვრელად იკივლა, როცა ალბერტმა დერეფანში დადგმულ ტახტზე დააპირა მისი დაწვენა; ლინი მთლად მოიკრუნჩხა, გეგონებოდა, ასეთნაირად მოკუნტულს ნაკლებად აწუხებსო ტკივილი და თუმცა ალბერტს ხელები აწყდებოდა, ტახტზე მაინც არ დააწვინა. მოწითალო შორენკეცებით მოჭიქულ სვეტს მიეყრდნო და მიაყურადა, ლინი რასაც ელუღლუღებოდა მოქცეულ-მოდრეცილი ტუჩებით.

გადაუყვითლდა და ტალეზად აუფორაჯდა პირისახე, თვალებში უსაზღვრო ტანჯვა ჩაებუნდა და ქალის ჩურჩული ალბერტმა აბდაუბდას მიახმავსა: „ირლანდიაში წადი, ირლანდიაში წა-დი“. ვერაფრით ვერ გაიგო, რისი თქმა უნდოდა ლინს, თან გაწლიკული, შეწუხებული მედდის შეკითხვებზე ცდილობდა ეპასუხა, ამასობაში გვერდით რომ დაუდგა, მოწითალო შორენკეცებით მოჭიქულ სვეტთან. ალბერტი უაზროდ მოჰყვა ერთისა და იმავეს ძახილს — აპენდიქსი, აპენდიქსიო, და ამ სიტყვას რომ ყური მოჰკრა, მედდამ თავი დაუქნია. ლინს ჯერაც აზიდებდა, მაგრამ გული ვეღარ ამოიღო, ტუჩებზე მყრალზე-მყრალი ყვითელი ლორწო მოადგა, ხოლო როცა ჯალამბარი შემოაგორეს და ზედ დააწვინეს, ლინმა კიდევ ერთხელ შემოჰხვია კისერზე ხელი, აკოცა და ისევ წასჩურჩულა: „ირლანდიაში წადი, ჩემო კარგო, ჩემო კარგო... ჩემო კარგო“... — მაგრამ ექიმმა ალბერტს ხელი უბიძგა და ჯალამბარი შუშის ტრიალა კარებში შეაგორეს. ბოლოს ლინის კივილი გაიგონა. ოცდახუთი წუთის შემდეგ ოპერაცია დასრულდა, ლინი მოკვდა და ალბერტი ამიერიდან ერთ სიტყვასაც ვეღარ შეაგონებდა; მთელი მუცლის არე ჩირქით ჰქონია საესე. ახლაც ახსოვდა ახალგაზრდა ექიმის მიწისფერი პირისახე, იგი მოსაცდელ ოთახში შემოვიდა „Sorry“ იო — თქვა, მერე კი ძალზე ხმადაბლა, დიდხანს ელაპარაკა და ალბერტიც მიხვდა, რომ უკვე მაშინაც აღარაფერი ეშველებოდა, ტაქსში როცა სხდებოდნენ. ექიმი ძალზე დაღლილი ჩანდა და ბოლოს ეს უთხრა, კიდევ ერთხელ ხომ არ ინებებთო მეუღლის ნახვას?

ერთხანს მოიცადეთო, — სთხოვეს, ალბერტი ფანჯარასთან იდგა და ნებართვას ელოდებოდა, მაგრამ ანაზღად ტაქსის მძღოლი გაახსენდა, დაბლა ჩავიდა და ფული გადაუხადა. მძღოლმა დასვრილ საზურგეზე მიუთითა, რაღაცა ჩაიბურტყუნა, ისე რომ სიგარეტიც არ გამოუღია პირიდან. ალბერტმა კიდევ ერთი ფუნტი აჩუქა და გულზე მოეფონა, როცა მძღოლს მოქუშული სახე გამოეღარა; მერე მოსაცდელში დაბრუნდა. შპალერი აქ მონაცრისფრო-მწვანე ფერისა იყო, ამ ფერის ნაჭრითვე გადაეკროთ სკამები და მონაცრისფრო-მწვანე გადასაფარებელი მაგიდაზეც გადაეჭიმათ. ეს ამბავი სწორედ იმ დროს მოხდა, როცა პიტლერთან მოსალაპარაკებლად ჩემბერლენი გადაფრინდა გერმანიაში. ცოტა ხნის შემდეგ მოსაცდელში ვიღაც ახალგაზრდა, ცუდად ჩაცმული ქალი შემოვიდა და ალბერტის შორიახლო ფანჯარასთან დადგა, ხელში ცრემლები-საგან ერთიანად დასველებული სიგარეტი ეკავა. სიგარეტი რომ ვეღარ მოჭაჩა, იატაკზე დაავდო და აზლუქუნებული მიეკრო ფანჯრის მინას. ქუჩაში პლაკატები მოჰქონდა ხალხს: „მშვიდობა — მსოფლიოს“, „პიტლერს სეირი ვუჩვენოთ“. იმ ახალგაზრდა და ცუდად ჩაცმულმა ქალმა სათვალე მოიხსნა, მინები პალტოს კალთით გაიპრიალა; ხორციანი წვნიანისა და თამბაქოს სუნი უდიოდა პალტოს და ქალიც განუწყვეტლივ ჩურჩულებდა: „ჩემი კარგი ბიჭი, ჩემი კარ-

¹ Sorry — მაპატიეთ (ინგ.).

გი ბიჭი“. მოგვიანებით ვიღაც ექიმი შემოვიდა მოსაცდელში, ქალი მივარდა და ექიმს შეხედა თუ არა, ალბერტი მიხვდა, ყველაფერმა კეთილად ჩაიარაო. ქალი ექიმს გაჰყვა, ალბერტი კი გრძელ, ყვითელ-ყვითელი ფილებით დაგებულ დერეფანში გაიყვანა მედდამ. გაყინული ცხერის ხორცისა და გამლღვალ კარაქის სუნი იდგა ყველგან. თვითეული კარის წინ ალუშინის გვება ჩაიდნებში ჩაი თუხთუხებდა, კოპწია წაბლისფერთმიანმა ქალიშვილმა ლანგარზე დაწყობილი ბუტერბროდები ჩამოატარა. ერთ-ერთ ფანჯარასთან ვიღაც ბიჭი იდგა, მკლავი თაბაშირის არტახებში ჰქონდა ჩასმული და ქუჩისაკენ პირმოქცეული გაჰყვიროდა: „ჰაიტ, შე წყეულო ძაღლო, დამაცადე...“ მედდა ბიჭს მიუახლოვდა, საღ-საღამათ მკლავში ხელი გამოსდო, მერე თავისკენ შემოაბრუნა, ტუჩებთან თითი მიიტანა და ბიჭიც ლასლასით აედევნა ბუტერბროდებთან ქალიშვილს.

ოთახში, სადაც მედდამ შეიყვანა, კედლები ნაცრისფერი იყო, მოურთავი, ზემოთ კი, ორი ვიწრო და ლურჯმინიანი სარკმელი დაეტნიათ. მარცხენა სარკმელზე ყვითელი საღებავით ალფა ეხატა, მარჯვენაზე — ომეგა.

ლინი საკაცებზე იწვა და სახეზე უსიამო მოლურჯო სინათლე სცემდა. მედდა ოთახიდან გავიდა. ალბერტი სწაიკეს მიუახლოვდა და ლინის სახე ახლასეთივე მოეჩვენა, აქამდე რომ ენახა, მაგრამ რაღაც ახალი ნიშანი მაინც დაატყო: სიმშვიდე, და ალბერტსაც ეუცნაურა, ამ სიტყვიანა და ახალგაზრდულ სახეს დამშვიდებულს რომ ხედავდა. შესაძლოა, სინათლის ბრალიც იყო, მაგრამ ის წელანდელი ტალები სახეზე აღარ აჩნდა, ერთიანად გადათეთრებოდა პირისაზე და აღარც ტუჩები ჰქონდა მოქცეული. ალბერტმა საკაცის უკან, სპილენძის შანდლებში ჩასმული ორივე სანთელი აანთო, მერე „მამაო ჩვენო“ და „ავე მარია“ ჩაიკითხა. აღარც კი სჯეროდა, მთელი წლის განმავლობაში რომ ერთ ჰერქვეშ ცხოვრობდნენ; ასე ეგონა, ახლახან გავიცანიო. მართალია, უკვე ირწმუნა ლინის სიკვდილი, მაგრამ ის კი ვერ წარმოედგინა, ლინი თუ მიწაზეც დაიარებოდა ოდესმე და თუმცა წვრილმან-წვრილმანიც ბევრი გაახსენდა. ქალის ამ ქვეყანაზე ყოფნა მაინც ვერ დაეჭვებინა; ასე ეგონა, ლონდონში სულ ერთი დღის უკან ჩამოვედი და ეს ყოველივე ამ ერთ დღეში მოხდაო: ჯვარიც მაშინ დაიწერეს, ლინსაც მაშინ ეცვა ის გატყინებული კაბა, სრულებით რომ არ უხდებოდა, ფრანცისკანელის ანაფორაც მაშინ ნახა თითქოს, პოკეი და მონაზვნებთან საუბრეც იმ დღეს გაიმართა; სერვის მდელიოზე ოჯახური ცხოვრების სიხარულიც ამ დღეს იწვნიეს და ყურში უცებ ლინის ხმამ გაუწივლა: „ირლანდიაში წადი“... გაახსენდა როგორ წაადებინა ტაქსში და თავისი თავიც თვალწინ დაუდგა, უაზროდ როცა გაიძახოდა „აპენდიქსი, აპენდიქსი“... ყვითელი ალფათი და ომეგათი სარკმელმოხატული ეს მოლურჯო სამლოცველოც ამ დღის წილხვედრი იყო, ლინმა გასაბერი ბუშტებიც დღეს დაურიგა ბავშვებს, მისი ოთახის ფანჯრიდან საპნის ბუშტებიც ხომ სულ ახლახან მილივლიევბდა მონაცრისფრო დიდი ეზოსაკენ, კარადებიც ახლახან სძულდა და ეს ორი სანთელიც ამ დღის ნაწილია... ასე უშფოთველად მხოლოდ საქამნოში თუ დაიდვენთება სანთელი. ალბერტს არ უდარდია, მაგრამ ძალზე ეცოდებოდა ლინი, ეცოდებოდა იმ ტანჯვის გამო, ქალმა რომ გადაიტანა. ლინი მთელი ხმით გაჰკიოდა, როცა საოპერაციოში შეჰყავდათ, ახლა კი, აი, ასე მშვიდად წევს სამლოცველოში. ალბერტს სანთლები არ ჩაუჭრია, ისე გაემართა კარისაკენ, მაგრამ უცებ მოტრიალდა და ცრემლი წასკდა; თვალები დაებინდა, ნაცრის-

ფერი და ბუნდოვანი მოეჩვენა ყველაფერი: თვალწინ აუტორტმანდა აღფა, აუტორტმანდა ომეგა, აუტორტმანდა საკაცე და ლინის დამშვიდებული პირისახე. ეგონა, წვიმსო გარეთ, მაგრამ სამლოცველოდან გამოსულს შზით გაჩახახებულ დერეფანი დაუხვდა. მედლა სადღაც წასუფუფურე ფილმბერტს გზა აებნა გაუთავებელ დერეფნებში. შერბოდა ავადყოფნების მკაცრებში, მერე უკანვე გამორბოდა, სამზარეულოში შესასვლელთან კი, როგორც იქნა ყვითელი ფილებით დაგებული დერეფანი იცნო. კოპწია, შავგვრემანმა ქალიშვილმა ისევ ჩამოატარა ბუტერბროდებიანი ლანგარი, ღიად დარჩენილი კარიდან ვიღაცამ დაიძახა, მდოგვი მომიტანეთო და ალბერტს ლოში გაახსენდა, ცხვრის ფეხს რომ ბარაქიანად უწებდა მდოგვში.

შინ რომ დაბრუნდა, დღის პირველი საათი იყო მხოლოდ. ვიღაცას კიბე მოერეცხა, ოთახიც მილაგებული დახვდა. ალბერტმა მოგვიანებითაც ვერ შეიტყო, ვინ დააკრიალა ყველაფერი და უკვირდა კიდევ: ყოველთვის ასე ეგონა, მეზობლებს დასანახად ვძულვარო, ავი არავისთვის არ ეცალა, მკვირცხლად ჩაურბენდა ხოლმე თვალწინ და სხვათა შორის თუ მიესალმებოდა, მაგრამ დერეფანი და ოთახი მაინც გაკრიალეებული დაუხვდა.

ალბერტმა მაგიდიდან პლაკატი აიღო, ის იყო უნდა დაეხია, მაგრამ ისევ დაგრაგნა და კუთხეში მიაგდო. მერე საწოლზე წამოწვა და ლინის პატარა ხატს მიაშტერდა—ჯვარცმულ ქრისტეს, კარის თავზე რომ ეკიდა, ლინის სიკვდილში ახლაც არ ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში რომ ერთად ცხოვრობდნენ, ჯერაც ვერ დაეჭვებინა. ლინს ბევრი არაფერი დარჩენია: საწოლი და ზედ დახვავებული ხარახურა, სპირტჭურაზე შემოყუნცულებული ქვაბი ჩამშრალი წვნიანით, დაკბილული ფინჯანი, რომელშიაც საპონს ხსნიდა ხოლმე საპნის ბუშტებისათვის და დასტად დაწყობილი გასასწორებელი რვეულები,—თხზულებანი თემაზე: ცინკის საბადოები სამხრეთ ინგლისში.

მოგვიანებით ჩაეძინა ალბერტს და მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, როცა ტანმომცრო ქალიშვილი შემოვიდა ოფისში, ლინის კოლეგა. გამოფნიზლდა თუ არა, მკლავებში ტკივილი იგრძნო,—ლინი ძალზე დიდხანს ჰყავდა ატატებული, ლინთან და მის გაკნაჭულ კოლეგასთან ერთად ხშირად ყოფილან კინოში. მასწავლებელს ბლაი გროზერი ერქვა და ლინი მუდამ იმის ცდაში იყო, ეს ლამაზ-ლამაზი და ქერა ქალიშვილი კათოლიკედ მოექცია.

ალბერტი ბლაის მიაშტერდა, თან დაბუფებულ მკლავებში ხელახლა იგრძნო ტკივილი. მერე ბლაისათვის იმის ახსნა სცადა, მოკვდაო ლინი; თავადაც შეცბა, ისე გულგრილად მოარაკრაკა, — კი, მოკვდაო. მერელა მიხვდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა: — ლინი აღარ არსებობს. ბლაის რის ვაივაგლახით ეშოვნა ბილეთები იმ ფილმზე, დიდსა და პატარას რომ ენაზე ეკერა. ფილმში ჩარლი ჩაპლინი მონაწილეობდა და თავად ალბერტსაც რამდენჯერ უთხოვია, იქნებ გაახერხო და ბილეთები იშოვო, გერმანიაში ასეთ ფილმს არავინ გიჩვენებსო. ბლაის ნამცხვრები მოეტანა ლინისათვის, ნუშის პატარ-პატარა, კრემგადასმული ნამცხვრები; ხელში მწვანე ბილეთები ეკავა და თავდაპირველად სიცილიც წასკდა, როცა ალბერტმა უთხრა, მოკვდაო ლინი. ბლაი იცინოდა, რადგან ვერ გაეგო, ეს უადგილო ხუმრობა, ნეტა, რაში დასჭირდაო: უცნაურად იცინოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გაგულისებით. ბოლოს მიხვდა, ალბერტი არ ეხუმრებოდა და გაოგნებულს ტირილი წასკდა. მწვანე ბილეთები იატაკზე ჩამოუცურდა, ლინის საყვარელი კრემიანი ნამცხვრები კი ახლა ქოლ-

გასა და ლოგინზე მიგდებულ წითელ ბერეტს შორის ეყარა ათასწიერ ხარახურაში აღუფხული.

ალბერტი საწოლიდანაც არ წამომდგარა, ბლას გულგრილად ადგებდა თავს. ქალიშვილი ჯორჯოზე იჯდა, ტიროდა, ხოლო ცრემლები რომ დაუნახა და თან ზღუქუნსაც მოჰკრა ყური, ალბერტმა კიდევ ერთხელ ჩაბნინა, ალარ არისო ლინი. ბლას წამოდგა, გაიარ-გამოიარა, სპირტქურის შორიანლო ქუთხეში მიგდებული დაგრაგნილი პლაკატი აიღო, ერთხანს სლუქუნ-სლუქუნით ათვალღერებდა კმაყოფილი ლომი, ცხვრის ფეხს რომ ბარაქიანად უწებდა ჰიჩნი-უმერის მდოგვში. ალბერტმა წინდაწინ იცოდა, მოგვიანებით ქალიშვილს მხარზე დაადებდა ხელს, დააწყნარებდა, დაამშვიდებდა და საქმეზე ჩამოუგდებდა სიტყვას, მოეთათბირებოდა დასაფლავების თაობაზე, გაიხსენებდა ათასგვარ საბუთსა და საქმეს, გადაუდებლად რომ უნდა მოგვარდეს, მაგრამ საწოლიდან მაინც არ წამომდგარა, იწვა, თან ლინზე ფიქრობდა, ფიქრობდა მისი არსებობის ამ ერთ გამოკრთომასა და სილამაზეზე, ქვეყანაზე კვალსაც რომ არ დატოვებს ალბათ; ვინძლო, ფოტოსურათი გამოკიდონ სკოლის დერეფანში, ხოლო მერე და მერე, კურსდამთავრებულთა შეხვედრებზე, ჯერ ქალიშვილები, მერე ქალები, სულ უფრო და უფრო ხნიერი ქალბატონები გაიხსენებენ: ფიზკულტურისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი იყო ჩვენი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სურათს ალბათ ჩამოხსნიან და მის ადგილას რომელიმე კარდინალის ან პაპის სურათს ჩამოკიდებენ, და მაშინ, ისიც კანონით დაწესებული ღრთის მანძილზე, ლინის შენიშვნებილა თუ შემორჩება სკოლის არქივში შენახულ რვეულებში და დიდ სასაფლაოზე გაჭრილი ლინის საფლავი შეინახება ერთხანს. ბლას უფრო ადრე დაწყნარდა, ვიდრე ალბერტი წამოდგებოდა ფეხზე. ქალიშვილს ყველა ის საქმე მოაგონდა, სასწრაფოდ რომ იყო მოსაგვარებელი. იმ აზრს მოეჭიდა, ყველაფერს თვითონ გავართმევო თავს და „ამ დავიდარაბას თავიდან ავაშორებ“, — სკოლასაც მე შევატყობინებო და ლინის მშობლებსა და ძმასაც, მანჩესტერში რომ მუშაობსო ინჟინრად.

ნელ-ნელა შრებოდა ის მორეცხილი ადგილი, ლინს სადაც წააღებინა და დიდი ხნის გაურეცხავ იატაკს საპნის კვალილა თუ ეტყობოდა. ოთხი კვირის შემდეგ ალბერტი ნელას დაქინებულ თხოვნას დაჰყვა და გერმანიაში გაემგზავრა, ლინის ოთახში კი ისევ იდგა ყურმოტეხილი ფინჯანი, რაშიც საპონს ააქაფებდა ხოლმე ლინი; ფინჯანში ჯერაც ჩარჩენილიყო კირხსნარისფერი ანაქაფი და ალბერტს მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გაახსენდა, რომ ლინი გაზეთშიაც ქალიშვილობის გვართ გამოაცხადეს და საფლავის თავთან დადგმულ პატარა ჯვარზეც ქალიშვილობის გვარი ამოატვიფრინეს. — მისს ქანიგენი. მონაზვნებიც კი, ვისთანაც დასაფლავების შემდეგ ისადილა, მაინც ჯიუტად იხსენებდნენ „ქალბატონ ქანიგენის მეუღლედ“.

ლინის ძმამ შესთავაზა, მანჩესტერში სამუშაოს გამოგიძებნო, მშობლებმა კიდევ, — ალბერტთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, — ირლანდიაში მიიბატოყეს, ფერმაში მუდამ ბლომადაა საქმე და თავსაც იოლად გავიტანთო. ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ სულ მალე ომი უნდა დაწყებულიყო და გერმანიაში დაბრუნებას არავინ ურჩევდა. ალბერტს კაციშვილისთვის არ გაუმხელია ის ამბავი, ლინი რომ ეჩუჩულებოდა, ირლანდიაში წადიო. დიდხანს იტოქმანა, ბოლოს მაინც ლინის ოთახში გადაწყვიტა დარჩენა და მოგვიანებით, იმ პლაკატშიც კარგი პონორარი აიღო, სადაც ლომი ცხვრის ფეხს ბარაქიანად

უწებდა მდოგვში; საპნის ლაქები კი იატაკს მაინც დააჩნდა, დააჩნდა იმ ადგილას, სადაც ლინის ნარწყვევი მორეცხეს. ალბერტი მერეც ჭოჭმანობდა, მაგრამ ნელა სულ უფრო დაჟინებით სთხოვდა, ჩამოდი, ჩამოდიო და ერთ დღეს ჩანახატებით გავსებული „სანლაითის“ კოლოფი ალბერტმა გერმანიაში გააგზავნა რაიმუნდის სახელზე. კოლოფის გაგზავნა ნაშუადღევს, გადაწყვიტა, როცა სასაფლაოდან დაბრუნდა შინ. ალბერტი საფლავთანაც კარგად ხანს ფიქრობდა ლინის იმ თხოვნას როგორ მოვექცეო. ავტობუსით მგზავრობის დროს კი გერმანიაში დაბრუნება გადაწყვიტა, ხოლო როცა ოთახის დაცლას შეუდგა და ლინის საწოლი აშალა, ლეიბიდან ჯერ ფრჩხილების ქლიბი ჩამოვარდა იატაკზე, მერე თუნუქის პატარა წითელი კოლოფი, რომელშიც ხველების საწინააღმდეგო კამფეტები ეწყო.

ბალიდან უცებ ბიჭების ხმა მოესმა, — ვიღაცას ელაპარაკებოდნენ და ალბერტმაც ფანჯარა გამოაღო. ჰაინრიხი ბოლდას ფანჯრისაკენ იყურებოდა და ხმამაღლა გაიძახოდა:

— კი ბატონო, ფრთხილად ვითამაშებთ.

მერე ბოლდას ხმა გაისმა:

— საკუთარი თვალით დავინახე, იეები რომ გათელეთ.

ალბერტი ფანჯრიდან გადმოეყუდა და ბოლდას ასძახა:

— მეტს აღარ იზამენ.

ბიჭებს გაეცინათ, გაეცინა ბოლდასაც და ალბერტს ასე უპასუხა:

— შენი ნება რომ იყოს, ყველაფერს გააოხრებინებდი.

ალბერტმა ფანჯარა ღია დატოვა და ჩანახატების მოწესრიგებას შეუდგა; უამრავი თხელი ფურცელი იდო კოლოფში, ალბათ რამდენიმე ასეული და ალბერტს ანაზღად აზრმა გაუელვა, ურიგო არ იქნება, ლინის მშობლებს რომ წერილი მიეწერო. ირლანდიიდან ხშირად უგზავნიდნენ ლორს, თამბაქოსა და ჩაის, თავად კი ვერა და ვერ აიძულა თავი, ერთხელ მაინც მიეწერა რიგიანი წერილი, მუდამ ორი-სამი სიტყვით გადმუხდიდა ხოლმე მადლობას და საჩუქრად წიგნებს უგზავნიდა.

თავი X

ჭირის ოფლი მაშინ დააყრიდა ხოლმე, ბებია რომ რესტორანში წაათრავებდა. მართალია, ბებია იშვიათად გამობუნძულდებოდა შინიდან, მაგრამ სწორედ ამიტომ გაუვარდა სახელი და რესტორანში შეაბიჯებდა თუ არა, მომსახურე პერსონალსაც უმაღლესი ლიმი აუთამაშდებოდა სახეზე. მარტინი ვერ იქნა და მაინც ვერ მიხვდა, დასცინოდნენ თუ მართლა პატივისცემით ეგებებოდნენ. მსუყეზე მსუყე საჭმელებს ეტანებოდა ბებია. უყვარდა ქონიანი წვნიანები — ბლანტი, მოყავისფრო ნახარში, რომლის დანახვაზეც კი გულს აზიდებდა ბიჭს, თან მაიონეზსაც მუდამ ყინულში ჩააცივებინებდა, რომ ჩათუნთულებული და ცხელი წვნიანის შემდეგ ყინულივით ცივი მაიონეზით ჩაეშუშებინა პირი. ბებია არც შემწვარ-მოხრაკულს მოიკლებდა, ჯერ დაყნოსავდა, დანა-ჩანგლით გაკირკნ-გამოკირკნიდა, უმი ხომ არ შემომამბარესო და გემო თუ არ მოეწონებოდა, მაშინვე უკან გაატანდა. მერე ხუთნაირ სალათას მოა-

ტანინებდა, თავად შეკაზმავდა გულდაგულ, აქაოდა, გემოს გამოვუკეთებო. საკმაზებს ცალკე მოართმევდნენ; ზოგი ბოთლით მოპქონდათ, ზოგი ვერცხლის უცნაური პატარა დოქებიტა თუ სპილენძის საწვეთებლებით და ბებიაც ამ საკმაზების თაობაზე კაი ხანს ეთათბირებოდა ხოლმე კელნერს. მარტინი სქლად დაჭრილი თეთრი პურის ნაჭერს თუ აიღებდა, გორად რომ დასხვაგვებდნენ შუაგულ მაგიდაზე და ამაოდ ელოდებოდა იმ კერძს, პურის გარდა რომ სიამოვნებით შეჭამდა — კარტოფილს, კარაქში შემწვარ, მოყვითალო-თეთრ და მარჩილმოყრილ კარტოფილს, ოხშივარი რომ ასდის ხოლმე, მაგრამ ბებიას სძულდა კარტოფილი და არც არასოდეს შეუკვებია.

ბებია ღვინოს წრუბავდა და მარტინს ვაშლის ლიმონათს აძალებდა, იმ სასმელს, თავის ბავშვობაში რომ სიამოვნებით სვამდა. გული დასწყდებოდა ხოლმე, როცა ვერ დააღვინებდა ლიმონათს, თან გაოცებული იყო: ბიჭი ზედაც არ უყურებდა იმ საჭმელებს, უსაშველოდ გემრიელი რომ ეჩვენებოდა თვითონ. მარტინი უხალისოდ თუ გაკნასავდა საჭმელს: გაკიკნიდა სალათას, შეთხვლიბავდა ცოტაოდენ წვნიანს, წაციცქნიდა პურს, ბებია კი, ველურივით რომ იღმურძლებოდა და ყველაფერს პირისაკენ მიაქანებდა, მარტინის უმადობის შემყურე თავს გააქნევდა ხოლმე. ვიდრე ბებია ჭამა-სმას შეუდგებოდა, გამომწვევი იერით გადაისახავდა პირჯვარს, მკლავებს წისქვილის ფრთებივით დაატრიალებდა, ხელს ჯერ შუბლზე იტკიცავდა, მერე შუცელსა და მკერდზე გაიტყაპუნებდა და საყოველთაო ყურადღებასაც მიიქცევდა, თუმცა, ესეც რომ არ ექნა, მისი შავი, ჩამომძიმებული აბრეშუმის კაბა და ჭახჭახა წითელი ფერის ბლუზი, ასე რომ შეენოდა ბებიას გადაფურჩქნილ პირისახეს, მაინც თვალში ეჩხირებოდა ყველას. კელნერი იქნებოდა, მეტრდოტელი თუ დახლთან მომუშავე ქალები, ყველას რუსი ემიგრანტი ეგონა ბებია, არადა, ბებია პაწია სოფელ აიფელდორფში დაიბადა და ბავშვობაც იქვე გაატარა აუტანელ გაჭირვებაში. ნაირ-ნაირი საჭმელებით გაწყობილ სუფრასთან იმის თქმა იცოდა, ბავშვობაში ლუკმა პური მენატრებოდაო, ხმამალლა ამოაბუბუნებდა ხოლმე თავის ამბავს, ისე რომ მეზობელ მაგიდებთანაც გაეგონათ ბებიას მონაყოლი: აღწერდა ყოველად უგემურ ქარხლიან შეჭამადსა და მოხდილი რძისგან შეთითხნილ მომწარო წვნიანებს; დაწვრილებით მოყვებოდა, ჭინჭრის სალათა ასეთი და ასეთი იყო, შავ პურს მუავე გემო დაპკრავდაო და იქვე დიდის ამბით მოიტეხდა ქათქათა თეთრ პურს. მუდამ წყევლა-კრულვით იხსენიებდა კარტოფილს; ხან სახამებლიან სახრჩობელს უძახდა, ხან — პრუსიულ ამოსაყორავს, თან თითო-ოროლა გამოთქმას დააყოლებდა იმ დიალექტზე, მარტინს რომ სიტყვაც არ გაეგებოდა. მერე, თეთრი პურის ახალ ნაჭერს აიღებდა, ჩააწობდა საწებელში და ბებიას მოელვარე ლურჯ თვალებში ველურობის ის ნაპერწკალი აკიაფდებოდა, ასე რომ აშინებდა მუდამ და მარტინიც ხვდებოდა, რატომ ეშინოდა ბებიასი, როცა ქალი იმის აღწერას მოჰყვებოდა, კურდღელს ასე და ასე ვატყავებდითო. ზოგჯერ თითქოს ესმოდა კიდევ ძვლების ნაზი ტკაცატკუცი, თვალწინაც დაუდგებოდა უაზროდ გაშეშებული თვალები, ჩამოყონილი სისხლი და იმასაც საკუთარი ყურით გაიგონებდა, როგორ დააფრინდებოდნენ ბებიას და-ძმანი შიგნეულობას: მუქი წითელი ფერის გულ-ღვიძლს, ფილტვებს, თირკმელს. ბებია ხშირად უყვებოდა, ჩემი დამშეული და-ძმები ყოველთვის მატყუებდნენო. ახლაც, ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგაც აცოფებდა იმის გახსენება, კურდღლის გულს მატყუებდა თავისთვის დაითრევდაო

და არამზადას, გათახსირებულს უძახდა ძმას, აგერ უკვე ოცი წელი რომ განისვენებდა აიფელდორფის სასაფლაოზე. მარტინს აწიოქებული ქათმების კრიახ-კრიახიც ესმოდა, აქეთ-იქით რომ მიაწყდებოდნენ გახრეკილი ეზოს ყველა კუთხე-კუნჭულს, როცა ბებიას მამა გამოჩნდებოდა წალდიფრეფტყავებული ფრინველი გვეყავდა, წვნიანისთვისაც არ გამოდგებოდა ზღბტყრდს ხოლმე ბებია და დანადგლიანებული იგონებდა იმ დროს, როცა ეზო-ეზო დადიოდა, იქნება ვინმემ ახალდაკლული საქონლის სისხლი გაიმეტოსო, მერე კი ბლანტი, დაკოშტებული სისხლი თურმე პირსაბანი ჯამით მოჰქონდა შინ. ამ ამბის ჯერი როცა მოდგებოდა, მარტინმა იცოდა, მალე დესერტს მოიტანენ და უსათუოდ წამალბინებსო, რადგან ბოლო კერძად ბებია ცხვრის ღუმელს შემოიტოვებდა ხოლმე. ბებია ჩამოითლიდა ნაჭერს, გადაყლაპავდა. თან რბილ და სისხლიან ჩვილ ხორცს ხოტბას შეასხამდა. მარტინს კი ამასობაში დაკლულ-დაჩეხილი ბავშვები დაუდგებოდა თვალწინ და თუმცა წინდაწინ იგრილებდა გულს ყავაზე, ნაყინსა ან ნამცხვრებზე ფიქრით, მაინც დარწმუნებული იყო, უსათუოდ წამალბინებს და ველარაფერს შევჭამო. მაგიდაზე დახვავებულ კერძთა ყირანი ანაზდად ისევ შეეჩხირებოდა თვალში, თვალში ეცემოდა ქონიანი, ქაფქაფა წვნიანი, სალათ-მალათები, ათასნაირი შემწვარ-მოხრაკული და საეჭვოდ წითელი ფერის საწებლები; გახევებული გახედავდა ხოლმე ბებიას თეფშს, სადაც სისხლი და ქონი ერთმანეთში არეულიყო, სისხლი და ქონის პატარ-პატარა დაკუშტული გუგები. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბებიას იქვე საფერფლეში ედო მოკიდებული სიგარეტი, შიგადაშიგ გააბოლებდა ხოლმე, თან ამაყად გადახედავდა იქაურობას.

დროდადრო გაახსენდებოდა, ბრილახი და ბეერენდი ახლა ფეხბურთს თამაშობენო ბაღში, ჯემწასმულ პურს შეექცევიან, თან ჩაცხიებული ლიმონათით იჭყიპებიანო, მოგვიანებით კი ალბერტი ალბათ ნაყინზეც დაპატიყებსო ბიჭებს; ხიდთან რომ სანაყინეა, იქ წაიყვანს, ან არადა, ქვემოთ ჩავლენ, რაინის პირას აშენებულ კაფეში, სადაც მაგიდიდან აუღგომლად შეიძლება კენჭები ისროლო წყალში და მყვინთავებსაც დადვენო თვალი, მდინარიდან რომ გემის ჩაყანგებული ნამსხვრევეები ამოაქვთ. არადა, ბედი არ გინდა? — თვითონ აქ უნდა იყურყუტოს, ამ ღორმუცელებთან იჯდეს და ბებიას უცქიროს, პირგაბადრული პურს როგორ ჩაუწებს ხოლმე ჩასისხლიანებულ ქონში. დიდხანს აყურადებდა თავს, ვიდრე მიხვდებოდა, გულის ასარევიად ახლა კი დადგაო საპირფარეშოში წასვლის დრო, მაგრამ ბებია დარბაზის შორეულ კუთხეში ჯდებოდა ხოლმე და საპირფარეშოში მისასვლელად ხუთი, ექვსი ან შვიდი დიდი მაგიდისათვის უნდა შემოეველო. დაფეთებული ითვლიდა ხოლმე მაგიდებს და იატაკზე დაგებულ მოწითალო-ყანგისფერ საფენსაც თითქოს ბოლო აღარ უჩანდა იმ ჯამიტლეკიათა თაბუნებს შორის. მარტინს დასანახად სძულდა ეს ჯარ-ჯამათი, სძულდა ისევე, როგორც ბებია, და თეთრი გულსაფრების ფონზე მათი შეხურებულ-შეხაშხაშებული სიფათები კიდევ უფრო აწითლებული ეჩვენებოდა. ჯამებს ოხშივარი ასდიოდა, ახრამუნებდნენ და ტკვირავდნენ ძვლებს. ბავშვების ძვლებს, ქონის პატარ-პატარა კუშტულები სისხლში იყო არეული. პირხმელი ღორმუცელები ხარბად აკვესებდნენ თვალებს, ჩაგოდრებულ ავმუცელებს კი ავარვარებული, ჩასისხლიანებული და საშინლად კეთილი თვალები უბრწყინავდათ; კელნერებს მოჰქონდათ და მოჰქონდათ დაკლული დანაკუ-

წებული ბავშვები, ხოლო ვისაც ჭიპის სისწორეზე ჯერაც არ ედგა თეფში, კელნერს თვალებით ჭამდა.

საპირფარეშომდე დიდი გზა იყო გასავლელი და მარტინმაც მხოლოდ ერთხელ მოასწრო იქ შესვლა. ბანცალ-ბანცალით ჩაუარა ჯამიტლეკიებს, სულ უფრო და უფრო ებლანდებოდა ფეხი, მაგრამ ბოლოს მაინც შეესწრო: ჯერ საპირფარეშოს თეთრ ფილებს მოჰკრა თვალი და ცხელი შარდის, ლიმონის ესენციისა და საპნის სუნიც უმაღლეს ცხვირში ეცა. ფარეშს ნაირ-ნაირი პაკეტები, სავარცხლები და ხელსახოცები ეწყო მაგიდაზე, აქაც იმ ღრუტუნა ღორმუცელებს მოეყარათ თავი და მათი აქარხლებული სიფათები მარტინს თვალწინ გაუჩნდა: იმათ პირისპირაც იდგა და სარკეებშიაც ხედავდა მკვლელების ამ გაორებულ მწკრივს; ჯამიტლეკიები კბილებს იჩიჩქნიდნენ, გატიკნულ ლოყებზე იცაცუნებდნენ ხელს, კაი გაპარსული თუაო და წამდაუწუმ კბილებს ილოკავდნენ, ჩახსნილ ხვანჯრებში კი თეთრი პერანგები მოუჩანდათ. აი, ადგილიც გათავისუფლდა. მარტინი ბაკანზე წაიხარა და ხორცის მლექველთა მძაფრი შარდის სუნზე კიდევ უფრო მოეძალა ზიდილი. იმას ნატრობდა, ნეტა, მალე მასაქმებინოს და შვეებით ამოვისუნთქო. იქვე, მის ახლოს, ვიღაც ძვლის-მკვნეტელას ჩამრგვალებული, აღაჟღაჟებულებული და ჯერ კიდევ ქორფა სიფათი გამოტყვრა.

— თითი ჩაიყავი პირში, მიდი, მიდი, — ჩაესმა მარტინს.

ბოლმა ყელში მოებჯინა მკვლელის ამ კეთილი რჩევის გაგონებაზე, ტვინი აემღვრა მისი აქარხლებული სიფათის დანახვაზე და ანზადად ძია ალბერტი მოენატრა, მოენატრა დედა, გლუმის ალალი და ოთხკუთხა პირისახე, მოენატრა ბოლდა, იმ თავისი კუპრივით შავი თმითა და ქათქათა სახით, მოუნდა ფეხბურთის თამაში ბრილახსა და ბეერენდთან ერთად, მაგრამ რაღა დროისაა — ყველა გზა შეუკრეს და ახლა ამ ქათქათა საპყრობილეშია გამომწყვდეული; ბოყინის მოყვარულ და შარდის მაქცევარ ღორმუცელებს შორისაა გამოჭერილი, სამუდამოდ განწირულია ცხელი შარდისა და ლიმონის ესენციის საყნოსავად. ფარეშის რბილი, თბილი ტორი მარტინს კეფაზე მოეფერა და მისმა კეთილმა, გათქვირულმა პირისახემ ზემოდან ჩამოხედა:

— რა მოგივიდა, ბიჭიკო?

მაგრამ იმავ წამს საპირფარეშოში ბებია შემოტანტალდა. კეთილ ფარეშს თვალეები შუბლზე აუვიდა, კაცების შეცბუნებულმა ჯგრომ უმაღლეს ხვანჯრებთან ააფათურა ხელები.

— რა დაგემართა ჩემო პაწიავ, რა მოხდა?

თავისი მსუბუქი, მაგრამ მტკიცე ხელით ბებია მწინ წაახრევინა თავი და თუმცა მარტინმა შეჰკივლა კიდევც, მოგრძო და ჩაყვითლებული საჩვენებელი თითი ბებია მწინ ჩაუყო; მარტინს მაინც არ არეგია გული — დაკოსტებულნი ზაფრა რკინის ნატეხივით გახირულიყო კუჭში, კუჭში შეყუყულიყო ის მოკრუნხული საშინელება და ჯამიტლეკიათა მწკრივებსშუა ბებია უკანვე წაათრია მარტინი, მაგრამ სწორედ აქ მოიწია დასამართი. შუაგულ რესტორანში, იმ ჯალათის მაგიდასთან, სახეგაბადრული რომ ატრიალებდა დანას და ბავშვის ვარდისფერ, სისხლიან ხორცს ანაკუწებდა, კუჭში შეყუყული საშინელება უცებ ყელში მოებჯინა; არც ვისმესი მოხატრებია, შუბლის ძარღვიც არ გასტოკებია, პირიქით, ამაყად ეჭირა თავი და როცა კუჭმა ის საშინელება გადმოანთხია, მარტინს გაღიმებაც კი არ ეუხერხულა.

ჯალათს, ჯერ იყო და, სახე აელეწა, მერე კისრიდან მოყოლებული მთელი პირისაზე ყვითლად დაეფოთლა, გაისმა შეძახილები, დანა-ჩანგლის ჩხაკუნ-ჩხარუნნი, დაფაცურდნენ კელნერები, ხოლო პირგაბადრულმა ბებია, — ზარალი ხომ უნდა ავანაზლაუროო, თავისი საბანკო წიგნაკი ამოაშურა. მარტინს ტანსაცმელი არ დასვრია, არც სახეზე აჩნდა რაიმე, ეგ იყო, ტუჩები მოიწმინდა ცხვირსახოცით. მარტინს გულზე მოეშვა; უვნებელი, გალაღებული და გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან. არც ხელები დასვრია, არც მის სულს მოსცხებია ლაქა, ეგ იყო, უკანვე ამოანთხია ის, ძალისძალად რაც ჩაუტენეს პირში. არადა, ბებიასაც დაეკარგა მადა. მაგიდაზე ხელუხლებლად დატოვა ნამცხვარიც, ნაყინიც, ყავაც. ბებია ჯერ ერთი ჩეკი მოხია, მერე მეორე, — დასვრილი კოსტუმის საზღაური და ბოლოს, კელნერების დასაშოშმინებლად კიდევ ერთი ფურცელი მოახია წიგნაკს. ახლა, როცა დაუცარიელდა კუჭი, მარტინს ყინჩად ეჭირა თავი და ბებიას გვერდიგვერდ უშიშრად მოაბიჯებდა გრძელ, მოყავისფრო-ქანგისფერ საფეხზე.

შინ ტაქსით დაბრუნდნენ. გზაში ბებია ბუზლუნ-ბუზლუნით ისაუბრა დღევანდელი ახალგაზრდობის წამხდარი კუჭების თაობაზე. კაციშვილს აღარ შეუძლია მადიანი სმა-ჭამა, ნამდვილ თამბაქოსაც ვერ მოწევენ ეს უდღეურებიო, გაიძახოდა.

ასეთ გასეირნებას ექვს თვეში ერთხელ აიტეხდა ხოლმე ბებია. მარტინი წინდაწინ გრძნობდა ამ დღის მოახლოებას, გრძნობდა ისევე, როგორც წარმოდგენის მოახლოებას სათაურით: „სისხლი მაქვს შარდში“ და თუ მოახერხებდა, თავსაც უშველიდა: ზედ სადილის წინ დაუძვრებოდა ხელიდან, ან არადა, ძია ალბერტს შეეხვეწებოდა, წამიყვანეო სადმე. თუმცა, თავის შველა ვადის გადაწევას თუ ნიშნავდა მხოლოდ, რადგან ბოლოს და ბოლოს ბებია მაინც გამოიჭერდა მარტინს. მისი ღრმა რწმენით ასეთი სადილებიც უნდა შესულიყო ბავშვის აღზრდის პროგრამაში და ხუთი წლის მარტინს ბებია ერთ დღეს ასე გამოუცხადა:

— აწი ისიც ხომ უნდა ნახო, როგორ უნდა პურისჭამა; და თავდაპირველად ფოვინკელის სარდაფში წააჩიქჩიქა.

მარტინს ჯერ კიდევ მაშინ მოეჩვენა, ბუფეტის კელნერებს დაკლული ბავშვები მოაქვთ, ხოლო ვარდისფერი ხორციტ გავსებულ ჯამებს, ოხშივარი რომ ასდიოდა, გაუმადლარი ბავშვიჭამიები ითხოვენო. ხუთი წლის ასაკიდან მოკიდებული ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ სადილობდნენ უფროსებრ, რას შეექცეოდნენ და ბოლოს გულდაჯერებით დაასკვნა, იქ რაც ხდება, ყველაფერი ამორალურიაო. მაგრამ ბებიას მაინც დაჰყავდა ხოლმე თან და რესტორნის პატრონიდან დაწყებული, ბიჭს უკვე ყველა იცნობდა; იცნობდნენ ბუფეტში მომუშავე გოგონებიც, კელნერებიც და მარტინმა ერთხელ მათ ჩურჩულსაც მოჰკრა ყური: მიიხედე იმ რუსის კნეინამ ისევ მოათრიაო თავისი ცინგლიანი ღლაპი. ასე იყო თუ ისე, ბებია მაინც არ იშლიდა თავისას. ეტყობა, მიზნად დაისახა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ბიჭს უსათუოდ ვასწავლიო რივიან ჭამა-სმას; მარტინის თვალწინ დატკვერდა და გამოხრავდა ბატის ძვლებს, იღმურძლებოდა ხორციტ, დაღერლავდა და დაჩქლეთდა ბიფშტექსებს. ბიჭს დასანახად სძულდა ყველა ეს საჭმელი, ბებია კი ამ კერძებში დიდი რაოდენობით იხდიდა იმას, რასაც ფული ერქვა. იხდიდა ქალაღდის ფულს, იხდიდა რკი-

ნის ფულს და სხვა აბა რა უნდა ყოფილიყო ასე ძვირი, თუ არა ბავშვის ხორცი?

ბებია რომ რესტორანში იახლებდა, იმ დღის მერე თვეობით ვეღარ ეკარებოდა ხორცს; პურს, კვერცხს, ყველს ან ბოსტნეულს თუ მთელი მზოლოდ, შეიძლება რძე დაეღია, ანდა, ის გემრიელზე გემრიელად უნდა მთავარი იყოს, გლუმი რომ იმზადებდა სამზარეულოში. გლუმი წინდაწინ იმზადებდა ერთი კვირის სამყოფ წვნიანს და ნახარშს იმდენ ხანს გააჩერებდა ცეცხლზე, ვიდრე ბოსტნეული იქნებოდა, ძვლები, თევზი თუ ვაშლი, ერთიანად ჩაიხარშებოდა და ფაფად შედგებოდა. გასაოცარი კი ის იყო, რომ წვნიანი ძალზე გემრიელი იყო და გლუმიც ყოველ მოხარშვაზე ხუთ ლიტრაზე ნაკლებს არასოდეს მოიმზადებდა, ეს საზრუნავი ცოტა ხნით მაინც მომაკლდებოდა. მეტწილად კი გლუმი პურით, კვერცხითა და კიტრით იკვებებოდა, ვაშლივით რომ ჩაებებოდა ხოლმე. დროდადრო კი ზორბა გოგრას მოიტანდა ხოლმე შინ. გააბოლებდა ჩიბუხს, დადგებოდა გაზქურასთან და საათობით ელოლიავენებოდა წვნიანით სავსე ქვაბს. დროგამოშვებით გემოს გაუსინჯავდა, მერე კიდევ ჩაუძახებდა რაიმეს, ხახვს, მშრალი ბულიონის ნატებს, ანდა გამხმარ მწვანილს, წინდაწინ რომ დაფშხვნიდა ხოლმე თითებით. გლუმი ჯერ დაყნოსავდა იმ თავის ნახარშს, გემოსაც გაუსინჯავდა და ვიდრე ქვაბს გაზქურიდან ჩამოდგამდა და მაცივარში შეინახავდა, — ესეც მთელი კვირის საზრუნავი მოვისტუმრო, — ერთთავად ღიმი დასთამაშებდა სახეზე. სამუშაოზე წასვლის ხანს გლუმი წვნიანით აივსებდა თავის კარდალას, ჩაუხრახნიდა თავს, მერე ნახევარ კიტრს ჩაიგდებდა ჩიბეში, ჩაიდებდა პურის ყუას, ძეხვის ნაჭერსა და რაიმე წიგნსაც წაიძღვანებდა. უცნაურ წიგნებს კითხულობდა გლუმი: ერთ-ერთ სქელტანიან წიგნს „დოგმატები“ ჰქონდა სათაურად, მეორეს — „ღვთისმეტყველება და ზნეობა“. კითხვის დროს წიგნში ფანქრით აღნიშნავდა ხოლმე რაღაცებს, არადა, ისეთი სათაურები ჰქონდა ყველას, ბევრს ვერაფერს გაიგებდი. თუმცა, „ღვთისმეტყველება და ზნეობა“, ეტყობა, ამორალურთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. გლუმმა მშვენივრად იცოდა, რა იყო ამორალური და რა — არა, მაგრამ მისთვის რომ დაგეჯერებინა, ფოვინკელის სარდაფში არც ბავშვებს ჰამენ და საერთოდ, არაფერს სჩადიანო ამორალურს. შესაძლოა, გლუმის ის წიგნი კი ხნის წინათ იყო გამოშვებული და რაკი შიგ ძველი ამბები ეწერა, აღარც ბავშვიჭამიებია სადმე ნახსენები.

ღამის ნიადაგ ჩიბუხს აპლაკუნებდა, ზოგჯერ ლოგინშიაც ჩიბუხით დაწვეებოდა. გლუმი წვნიანს ხარშავდა ხოლმე, კითხულობდა სქელტანიან წიგნებს და უთენია გადიოდა სამუშაოზე: გლუმი ბებიას ფაბრიკაში მუშაობდა.

მართალია, უცნაური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ კეთილი კაცი ეთქმოდა. მარტინს უყვარდა გლუმი, თუმცა კი, გლუმის უკბილო პირს და მის მოტვლებილ თავს რომ დალანდავდა, ზოგჯერ ტანშიც შეაერყოლებდა ხოლმე. უკბილოც იყო და ქაჩალიც, მაგრამ ამას თავ-თავისი მიზეზი ჰქონდა: გლუმი საკონცენტრაციო ბანაკში იყო ნამყოფი. თავად არასოდეს გაიხსენებდა იმ ამბებს, მაგრამ ძია ალბერტი იტყოდა ხოლმე, ბანაკში რაღას არ შეესწრო, სიკვდილიც ნახა, დახვრეტაც, ძალადობაცა და მილიონობით ადამიანის სასოწარკვეთილების მოწმეც არისო. ეს ყველაფერი გლუმს საკუთარი თვალით ენახა და ამიტომ იყო, თავის ასაკთან შედარებით ხნიერი ჩანდა. მარტინს ბებიაზე

უფროსიც ეგონა იგი, მაგრამ გლუმი თურმე თხუთმეტი წლით უმცროსი ყოფილა ბებიაზე.

უცნაურად ლაპარაკობდა გლუმი; კი არ ლაპარაკობდა და, სიტყვებს თითქოსდა გუნდა-გუნდად ყრიდა პირიდან; თან პირსაც იმოდენაზე დააბჩენდა, მთელ პირის ღრუს გამოაფენდა ხოლმე; დააღებდა პირს და კვალწინ აგეფარებოდა გადატლიბინებული ვარდისფერი ღრუც, ჩამუქებული ნუნებიც. უცნაურად დაატრიალებდა ენას, ავარჯიშებსო თითქოს, უმაღ იმას იფიქრებდი, ახლა იქნება და პირიდან ბურთივით მრგვალ, ფუნჩულა საგანს გადმოაგორებსო, მაგრამ ანაზდად სიტყვას გაიგონებდი მხოლოდ — „ჩვენო“ — იტყოდა. მომდევნო სიტყვა კიდევ უფრო გატისნული, კიდევ უფრო მოზრდილი და შემომრგვალებული მოგეჩვენებოდა, იფიქრებდი, პატარა გოგრის ოდენა მაინც იქნებაო; ნელ-ნელა მოიკიდებდა ყალიბს, თანდათანობით დაივარგებდა, ბოლოს კი ისევ სიტყვად, შედარებით მოზრდილ სიტყვად გადმოუგორდებოდა პირიდან. — „ღვთისმშობელიო“ — გაიგონებდი. სიტყვა „ღვთისმშობელი“ გლუმის პირში საოცრად აფუცდებოდა ხოლმე და სიდიდით გასაბერ მუშტს უფრო ჰგავდა, ვიდრე პატარა გოგრას. გლუმს თვალები უბრწყინავდა, თხელი ცხვირი უთრთოდა, ხოლო პირიდან, შესაძლოა, არც გასაბერი ბუშტი გადმოგორებოდა, არც გოგრა, უბრალოდ ნამყენი ვაშლის ოდენა სიტყვა ამოეგდო — „ძლიერიო“, დაეძახებინა: „ძლიერი“ გლუმის უსაყვარლესი სიტყვა იყო და ამ სიტყვის პირველ მარცვალს გლუმი განსაკუთრებული სინაზით წარმოთქვამდა, განსაკუთრებული მონდომებით ჩამოამრგვალებდა ხოლმე.

ღვთისნიერი კაცი იყო და მეგობრობასაც გაგიწევდა, მაგრამ რაიმე მოსაყოლს რომ წამოიწყებდა, ძნელად თუ დაუგდებდი ყურს: სიტყვებს ხამუშ-ხამუშ ამბობდა, ვიდრე მომდევნო სიტყვას გადმოაგორებდა, ამასობაში წინა სიტყვა გადაგავიწყდებოდა და აზრსაც ვერაფერს გამოიტანდი. დინჯად, დიდის ამბითა და მოთმინებით, — აკი „მოთმინებაც“ ამორჩეულ სიტყვად ეგულებოდა — დიდის მოთმინებით მოგიტხრობდა ხოლმე რაიმეს, ხოლო თუკი თავს ძალას დაატანდი და ყურს დაუგდებდი, საოცარ ამბებსაც ბევრს მოისმენდი.

კედლის გასწვრივ გლუმს მსოფლიო რუკა ჰქონდა გაკრული, თავად რომ ხატავდა და წარწერებსაც თავად ურთავდა. გლუმმა ქალაქის რამდენიმე სქელი ფურცელი ერთმანეთს დააწება, თვეების განმავლობაში აზუსტებდა კედლის შესაბამის მასშტაბს, მერე კი თავაულებლად, გულდასმითა და მოთმინებით გადმოიტანა რუკაზე საზღვრები, მთები და მდინარეები, ზღვები და ტბები. გლუმი ხშირ-ხშირად წაშლიდა ხოლმე ნახატს, მერე ფრთხილად გამოხაზავდა ხელახლა და დიდი მზადების შემდეგ საღებავებით შეუდგა დედამიწის ზედაპირის მოხატვას. უკიდევანო დაბლობების დასახატად აუარება მწვანე საღებავი დაეხარჯა, მთებისათვის ყავისფერი, ხოლო ოკეანეებისათვის — ლურჯი.

გლუმი ჯერ კიდევ მაშინ იყო ბევრის მომსწრე და მნახველი, ვიდრე მათს სახლში დადგებოდა ბინად. არადა, ეტყობა, კარგა ხნის წინათ დასახლდა მათთან, რადგან მარტინს რაც თავი ახსოვდა, გლუმი ყოველთვის მათს სახლში ცხოვრობდა. ბევრი რამ ენახა გლუმს, ვიდრე სამშობლოდან წამოსული რაინის ნაპირებს მოადგებოდა. მაგრამ, აი, სახატავი ყუთი კი, ალბერტმა რომ უჩვენა მაშინ, ნამდვილად არსად ენახა და გლუმიც იმაზე მეტად მოიხიბლა, ვიდრე თვითმფრინავებისა და ტაძრების ხილვით მოიხიბლა ოდესღაც. გლუმმა მაშინ

ძია ალბერტის ხელის მოძრაობას წაბაძა: ჯერ წყალში ჩააწო ფუნჯი, მერე ტუბიდან გამონატყლეთი საღებავი დააცხო ზედ, ფუნჯი ქალღმერთზე გაუსვა და როცა ფურცელზე წითელი ფერი გაიხაზა, ღია წითელი ხაზი, სიხარულითსაგან სიცილი აუტყდა. იმავე დღეს გლუმმა თავადაც შეიძინა სახატავი ყუთი. ძალზე დიდხანს, ძალზე ზუსტად და ძალზე დიდი მოთმინებით ~~ხატავდა~~ გლუმში დედამიწას. ხატვა სადღაც იმ ადგილიდან დაიწყო, სადღაც ასე ~~განამწვანებულ~~ იყო ყოველივე — ციმბირიდან, სწორედ აქ დასვა პირველი შავი წერტილი. „აი, აქ, დავიბადეო — თქვა გლუმმა, — აქედან თხუთმეტი ათასი კილომეტრის სავალზე“. „თხუთმეტი ათასი კილომეტრის“ სათქმელად ერთი წუთი დასჭირდა თითქმის: ჯერ ვაშლი და გოგრა ამოუგორდა პირიდან, მერე ვაშლი და ბურთი. მერე ისევ ბურთი, ისევ ვაშლი და გოგრა; ზოგჯერ იფიქრებდი, სიტყვებს ალბათ სასასთან აცნობსო, თითქოს გემოსაც გაუსინჯავდა, გალოკავდა, გამოლოკავდა და ბოლოს გარეთ გადმოაგორებდა მარცვალ-მარცვალ, მოფრთხილებით, შეფოფინებით.

აქედან თხუთმეტი ათასი კილომეტრის სავალზე დაიბადა გლუმის და სინამდვილეში მას გლუმის კი არა, გლუმების ხოლოკუსტებანი ერქვა. ყურზე მოესალბუნებოდა ხოლმე იმის გაგონება, თუ როგორ ამოანიღნიღებდა გლუმის თავის სახელს, თან მის მნიშვნელობას ახსნიდა: მისი სახელი თურმე მზემანათობელს ნიშნავდა, რომლის ქვეშ მარწყვი მწიფდება.

თუკი მოებრიანებოდა, ჰაინრიხ ბრილანთან ერთად ააკითხავდა გლუმს და თხოვდა, შენი სახელი და გვარი გვითხარი, მერე კი მნიშვნელობა აგვიხსენიო და ამის მოსმენა ისევე სასიამოვნო იყო, აი, კინოს რომ ნახავ ხოლმე.

დასაღონარი ის იყო მხოლოდ, რომ გლუმის იშვიათად დაუხვდებოდა შინ, უთენია მიდიოდა სახლიდან, ჯერ წირვას დაესწრებოდა, მერე ზილფათის ფაბრიკისაკენ გაუყვებოდა გზას და შინ გვიან საღამოს დაბრუნდებოდა. დაწოლის ხანს ბოლდა სახვალის საუზმეს მოუმზადებდა ხოლმე: ყავას, კიტრებს, პურს, ძეხვს. გლუმის ძეხვი სულაც არ ჰგავდა ბავშვის ხორცს, მართალია, ისიც მოწითალო ფერისა იყო, მაგრამ ფქვილის გემო უფრო დაკრავდა, ვიდრე ძეხვისა და ბოლდაც სულ იმას გაიძახოდა, მაგისი ძეხვი ცარიელი ფქვილი და მარგარინია, ხარის სისხლი სულ ერთი-ორი წვეთი თუ ექნებაო გარეული.

კვირაობით გლუმს თორმეტ საათამდე ეძინა. მერე ისაუზმებდა, — შეხვრებდა წვნიანს, შეჭამდა გოგრას, ხოლო თუ ყავადანში ყავა დარჩებოდა, გაიციხლებდა და თავის ოთახში აიტანდა. შუადღის ოთხ საათამდე უკირკიტებდა ხოლმე იმ თავის სქელტანიან, უცნაურ წიგნებს და თვეში ერთხელ, მასთან ვიღაც ჩია, ხანშესული მღვდელი მოდიოდა, მონაზვნებთან რომ იდგა ბინად; მოვიდოდა და მთელს ნაშუადღევს გლუმის ოთახში იჯდა, საუბრით კი იმაზე საუბრობდნენ, რაც წიგნებში ამოეკითხა გლუმს. მოგვიანებით დედის ოთახში მოიყრიდნენ ხოლმე თავს, მღვდელი და გლუმი, ძია ალბერტი და მარტინი, სვამდნენ ყავას და ბევრსაც კამათობდნენ, — დედა მღვდელს შეეხებოდა ხოლმე პირში, ან არადა, ძია ალბერტი შეაკამათებოდა მღვდელს. გლუმი მუდამ მღვდლის მხარეზე იყო, ბოლოს კი მოთმინებით გადმოაგორებდა პირიდან: წავიდეთ, მამაო, შნაპსი გადავკრათ, გაგვიჭირდებაო ამ სულელების ხელში.

გლუმი რომ ამას იტყოდა, სუყველას გულიანად გაეციხებოდა, გლუმი კი ჩია მღვდელთან ერთად მართლაც წავიდოდა შნაპსის დასალევად.

კვირაობით, დღის ოთხი საათიდან საღამოს შვიდის ნახევრამდე გლუმი თავ-

ვის მსოფლიო რუკას აფერადებდა და მარტინიც ამ დროს თუ ნახავდა გლუმს. ხუთი წლის განმავლობაში მსოფლიო რუკის ერთი მეოთხედიც ვერ მოეხატა გლუმს: გულმოდგინედ, ზედმიწევნით ზუსტად იხატავდა ხოლმე ძია ალბერტის მსოფლიო ატლასიდან. ვიდრე ჩრდილო-ყინულოვან ოკეანეს ხატავდა, ჯორჯოზე იდგა; ის ჯორჯო მერე სარდაფში ჩაიტანეს და მხოლოდ მოგვიანებით ამოიტანეს ისევ, როცა გლუმი შპიცბერგენის, გრენლანდიისა და ჩრდილოეთ პოლუსის მოხატვას შეუდგა.

გლუმს ტუბებით ეხარჯებოდა მწვანე, ყავისფერი და ლურჯი საღებავი. მოგვიანებით თეთრი საღებავის ხმარებაც დაიწყო, რომ ყავისფერი, მწვანე და ლურჯი ფერები გაეჭერებინა და ჩრდილო-ყინულოვან ოკეანეს ყინულისფერი დასდებოდა, დაბლობებს სალათისფერი მოჰფენოდა, ხოლო ყავისფერ მთებს, ზუსტად ისეთი ფერი აჰყოლოდა, აი, ქვიშას რომ ახლავს რაინის ნაპირებზე.

ძია ალბერტი ხომ მხატვარი იყო და ისიც კი იტყოდა ხოლმე, გლუმი მშვენივრად ხატავსო. ფუნჯის ერთი მოსმით შეეძლო დაეხატა ცხოველები, ადამიანები, სახლები, ხეები და დრო თუ მირჩებოდა, ხატავდა კიდევ: ხატავდა წითელ ძროხებს, ჩალისფერ ცხენს, ცხენზე კიდევ ჩაგოდრებულ და შავ-თანა კაცს შემოაჯენდა.

„მამაჩემს წითელი ძროხები ჰყავდა, სულმთლად წითელი, — ჰო, იცინე, რამდენიც გინდა, — ისეთი ფერისა იყო ის ძროხები, გადამწიფებული პამიდვრები რომ გინახავს, ცხენი კიდევ ჩალისფერი ჰყავდა, თავად შავ წვერ-ულვაშს ატარებდა, შავი თმა ჰქონდა და მხოლოდ თვალები უკიაფებდა ლურჯად; ისეთივე ლურჯი თვალები ჰქონდა. აი, ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე რომაა რუკაზე. ძროხებს ტყის პირას ვაძოვებდი, მაგრამ ის ადგილი საძოვრად არ ვარგოდა და მეც საქონელს ტყეზე გადავდენიდი ზოგჯერ, მერე მდინარის პირას ჩავიყუენიდი, სადაც უხვად იყო ყიჟო და ღრინჭოლა, მდინარეს კიდევ შეხტიშეხნაშეხტიხო ერქვა, ე. ი. წყალი, რომელსაც მოაქვს თევზი, მოაქვს ყინული, მოაქვს ოქრო“.

გლუმის პირიდან ამოთუხთუხებულ ველურ ხმებს რომ გაიგონებდი, უნდა მიმხვდარიყავი, ეს არისო ის წყალუხვი, ცქაფი, ბობოქარი და ცივი მდინარე. შეხტიშეხნაშეხტიხო მალალ მთებში იღებდა სათავეს, რომელთა მიღმა ინდოეთი გაწოლილიყო.

და გლუმი ისევ დაადებდა ხოლმე თითს სიმწვანეში ჩაკარგულ იმ წვრტილს, სადაც თვითონ დაიბადა.

„მამაჩემი ტომის ბელადი იყო, მოგვიანებით მან კომისრად გამოაცხადა თავი, არადა, მაინც ბელადად ითვლებოდა, თუმცა კი კომისარს უწოდებდა თავის თავს და ყოველ გაზაფხულზე, როცა შეხტიშეხნაშეხტიხო ყინულის არტახებს მოიშორებდა, ტყეში ფოთოლს გამოიტანდა კენკრა და ბალახიც აბიბინდებოდა, მამაჩემი კომისრად მოქცევის მერეც იმ საქმეს ეწეოდა, უხსოვარი დროიდან რომ ითვლებოდა ტომის ბელადთა მოვალეობად: წილს უყრიდა ხოლმე ყმაწვილებს, მერე კი ერთ-ერთ ყმაწვილს მდინარეს შესწირავდნენ, შეხტიშეხნაშეხტიხომ არ წალეკოსო ყველაფერი, თან ბევრი, ბევრი ოქრო გამოირიყოსო ნაპირზე. ამ ადათსა და წესს ნაჩუმათევად მისდევდნენ, რაკილა იმ ხალხს, მამა რომ კომისრად დასვეს, ეს ამბავი არ უნდა სცოდნოდა. თუმცა, ამის თაობაზე სიტყვაც არავის დასცდებოდა და ის ხალხიც ვერაფერს ამჩნევ-

და, — ახალგაზრდებს აქი არაეინ ითვლიდა, არადა, სოფელში ბევრი ჭაბუკი იყო“.

ვინ მოთვლის, რამდენმა დღემ ჩაიარა, ვიდრე ამ ამბავს მოუყვებოდა გლუმი. მარტინი წლების მანძილზე, თანდათანობით, გამოძიება-გამოკითხვებით აკოწიწებდა ამ ამბავს.

შექტიშეხნას გამონარიცში ბლომად ყრფილა ოქრო. ამ ოქროს ნაწილს იმ ხალხს აძლევდნენ, გლუმის მამა ვინც კომისრად აქცია, ყველაზე მეტი ოქრო კი ფრიცს მიჰქონდა. ფრიცს რომ ახსენებდა, გლუმი ბუჩქებს დახატავდა ხოლმე, დახატავდა ტყეს, კენკრასა და ყინულივით ცივ შეხტიშეხნას. ფრიცს სცოდნია, სად იყო მდინარის ფონი, ჰოდა, მოვიდოდა ხოლმე, მოიტანდა სიგარეტებს, — „იმ თეთრ ჩხირებს, — მშრალი ბედნიერებით რომ ავსებდა ტვინს“. სიგარეტების გარდა ფრიცს სხვა რაღაცაც მოჰქონდა ხოლმე, — შუშის ამბულები და გლუმის დაწვრილებით აღწერის შემდეგ მარტინმა დაასკვნა, ისეთივე ამბულები იქნებოდა, შპრიცს რითაც ავსებს ექიმი, რომ ბებიას შეუშხაპუნოსო მკლავში.

— კი მაგრამ, მამაშენს რისთვის უნდოდა ეს ამბულები?

— ამას მოგვიანებით მივხვდი. ყოველ გაზაფხულზე, ტყეში ჩადგომულ პატარა ქოხში დღესასწაული ეწყობოდა, ამ დღესასწაულში მხოლოდ ახალგაზრდა გოგონები მონაწილეობდნენ, მეტ-ნაკლებად ასაკოვანი ქალი ერთიც არ უნდა გამორეულიყო, მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა გოგონები, მათთან ერთად კი იმ ქოხში მამაჩემი იყო და კიდევ ორი კაცი, შამანებს რომ ვეძახდით. თუ ვინმე გოგო უარზე დადგებოდა და დღესასწაულს არ დაესწრებოდა, შამანები დასწყევლიდნენ ხოლმე და ქალიშვილსაც უსათუოდ რაღაც სენი შეეყრებოდა; ეს რომ თქვა, გლუმი ერთ ხანს დადუმდა, მერე წამოჭარხლდა, კისრიდან მოყოლებული მთელი პირისაზე წამოუჭარხლდა და მარტინიც მიხვდა, რომ იქ, ტყეში, თხუთმეტი ათასი კილომეტრით მოშორებულ ქოხში, ეტყობა, ურცხვოდ ბდნენ და, შესაძლოა, ამ ორალურად იქცეოდნენო. „ასე კი იყო მაგრამ დაჰყვებოდნენ თუ არა შამანების სურვილს, ხელად გამოჯანსაღდებოდნენ ხოლმე და ყოველივე ეს, — ავადმყოფობა ერქვა თუ გამოჯანსაღება, ფრიცს მოჰქონდა თავისი შუშის ამბულებით“.

ერთ ხანს ასე ყოფილა, მერე კი გლუმი გამოქცეულა, იმიტომ რომ შეხტიშეხნაში გადაგდება კენჭისყრით მას უწია. ფრიცი დახმარებია გაქცევაში. ამ ამბავს წლების განმავლობაში ყვებოდა გლუმი, ზოგჯერ ერთი-ორ წინადადებას თუ ამოღერლავდა, მერე კი რამოდენიმე კვირა კრინტსაც არ დასძრავდა. შვიდის ნახევარი რომ მოაწევდა, გლუმს პირზე შეაშრებოდა სიტყვა, ფუნჯს წყალში გაავლებდა ხოლმე, გულდაგულ გაამშრალებდა, ხელახლა მოუკიდებდა ჩიბუხს და ჩაფიქრებული ჩამოჯდებოდა საწოლის კიდეზე, რომ ფლოსტები წაეძრო და ფეხსაცმელი ჩაეცვა. მის ზურგს უკან, მსოფლიო რუკაზე ლამაზად ლაპლაპებდა ნაირ-ნაირი ფერები, მაგრამ დედამიწის ის ნაწილი, გლუმს რომ მოხატული არ ჰქონდა ჯერ, უსასრულო და დაუსაბამო ეჩვენებოდა მარტინს; უსაზღვროდ დიდი ეჩვენებოდა თეთრი ზღვები, ფანქრის მიცრეცილი შტრიხით რომ იყო დედამიწისაგან გამოცალკევებული, თითქოსდა უსაწყისო იყო და ბოლო არ უჩანდა კუნძულებსა და მდინარეებს, პატარა შავ წერტილთან რომ მოეყარათ თავი გლუმის მშობლიურ მხარეში; ამ ადგილიდან ოდნავ ქვემოთ და ხელმარცხნივ, ევროპაში, გლუმს მეორე შავი წერტილი დაესვა, რომელსაც

კალინოვკა ერქვა. ეს ის სოფელი იყო, სადაც მარტინის მამა დაიღუპა. კიდევ უფრო ხელმარცხნივ, ოღონდ შედარებით ზემოთ, ზღვის პირზე ათქმის, მესამე შავი წერტილით ის ქალაქი იყო აღნიშნული, ახლა სადაც ცხოვრობდნენ: — უზარმაზარ სივრცეში ჩაკარგულიყო პაწია შავი წერტილიანი მონიშნული ეს სამკუთხედი; ტანსაცმელს ვიდრე გამოიცივლიდა, გლუმში იმ გოგონის ნაჭერს მოითლიდა, პატარა მაგიდაზე რომ ჰქონდა ხოლმე შემოდებულები, ჩანთაში წიგნებს ჩაილაგებდა — „დოგმატებს“, „ღვთისმეტყველება და ზნეობას“, მერე სიმზარეულოში ჩაეიდოდა, თავის კარდალას პირთამდე აავსებდა წვნიანით და ტრამვაის გაჩერებისაკენ წაბაჯბაჯდებოდა.

ხშირად რამდენიმე კვირადღე გადაებმებოდა ერთიმეორეს, ვიდრე ხელახლა გააგრძელებდა სათქმელს. ზოგჯერ რამდენიმე კვირის განმავლობაში ორ, დიდი-დიდი, სამ წინადადებას თუ ათქმევიანებდი, მაგრამ თბრობას ყოველთვის იმ ადგილიდან დაიწყებდა, უკანასკნელად სადაც შეწყვიტა. ოცდაათი წელი გავიდა მას მერე, რაც მშობლიური მხარე მიატოვა გლუმში. გაქცევაში ფრიცი დაეხმარა და გლუმშიც ქალაქში დასახლდა; სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობდა ის ხალხი, მამამისი ვინც კომისრად გამოაცხადა; ქალაქს აჩინსკი ერქვა. მოგვიანებით იქ ქუჩებს აგებდა გლუმი, მერე ჯარისკაცი გახდა და სულ უფრო შორს გაგორდა დასავლეთის მიმართულებით. გლუმს როცა იმის ჩვენება უნდოდა, დასავლეთისაკენ გავგორდიო, ხელებს ისერივად აამოძრავებდა, გეგონებოდა, თოვლის ბურთს მიაგორებსო. გლუმის ნაამბობში სხვა სახელებიც ამოტივტივდა: ომსკი, მაგნიტოგორსკი, ხოლო კიდევ უფრო დასავლეთით და დასავლეთით, სხვა ქალაქი ყოფილა — ტამბოვი. ამ ქალაქში გლუმი ჯარისკაცი კი აღარ იყო, რკინიგზაზე მსახურობდა და ვაგონებს ცლიდა: ცლიდა შეშას, ცლიდა შეშასა და ქვანახშირს, ცლიდა კარტოფილს; საღამოობით კი ღამის სკოლაში დადიოდა და წერა-კითხვას სწავლობდა. ტამბოვში, თურმე, ნამდვილ სახლში ცხოვრობდა და ცოლიც ჰყოლია; გლუმის ცოლს ტატა ერქვა. ხშირად აღწერდა ხოლმე ქალს, დახატავდა კიდევ — ქერასა და პირმრგვალს, სახე-გაბადრულს. ტატა იმ სკოლაში გაუცვნია, სადაც წერა-კითხვას სწავლობდა თვითონ; გლუმისა არ იყოს, ტატაც რკინიგზაზე მსახურობდა. ტატა ჯერ კიდევ ფუთებს დაათრევდა, მაგრამ როგორც კი წერა-კითხვას დაეუფლებოდა, უკეთეს სამუშაოზე მოეწყობოდა და გლუმის ნახატზეც ქერათმიან და პირმრგვალ ტატას თითქოსდა კიდევ უფრო გაეზადრებოდა პირისახე, რადგან ერთ მშვენიერ დღეს იგი ტამბოვის ვაგზალზე დადგებოდა და კომპოსტერით ბილეთებს დაჩვრეტდა; პოდა, გლუმის ნახატზეც ტატას უკვე კონტროლიორის ქუდი ეხურა, ქუდქვეშ ქერა, სქელი ნაწნავი მოუჩანდა, ხელში კიდევ საკომპოსტერო მარწუხი ეკავა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი წუთი მაშინ დადგა გლუმის ცხოვრებაში, როცა ერთი წლის დაქორწინებულები იყვნენ და ტატაც უკვე ტამბოვის ვაგზალზე მუშაობდა, თავზე კონტროლიორის ქუდი ეხურა და ხელშიაც საკომპოსტერო მარწუხი ეჭირა. ტატამ მხოლოდ ერთი წლის თავზე უჩვენა ის, სამზარეულოში დადგმულ ხის ყუთში რომ ჰქონდა გადამალული: პატარა ხატი — ჯვარცმული ქრისტე და ღვთისმშობლის მედალიონი, ხოლო ღამ-ღამობით, როცა გვერდიგვერდ იწვნენ, ტატა წვრილ-წვრილად უამბობდა ხოლმე ყოველივეს და გლუმსაც ცეცხლი მოეკიდა; დახატა კიდევ ის ცეცხლი; დახატა წითელ-წითელი და ყვითელი ფერები, მაგრამ მოგვიანებით გლუმი ისევ გაგო-

რებულა დასავლეთის მიმართულებით: სულ უფრო და უფრო, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა თოვლის ბურთი. გლუმს მაინც მოუწია ტატას მიტოვება, იმიტომ რომ ამასობაში ომი დაიწყო, მერე გლუმი დაიჭრა, კვლავ აღმოსავლეთისაკენ, ტამბოვისაკენ გამოგორდა, მაგრამ ტატა მიწამ ჩაყლაბაო თითქოს, არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. თავისი ქუდითა და საკუმპოსტერო მარწუხით ერთ დღეს სახლიდან გამოსულა თურმე და შინ აღარ მიბრუნებულა. გლუმი ტამბოვში დარჩა, სად არ ეძება ტატა, მაგრამ ვერსად მიაგნო, მოგვიანებით კი გლუმი ისევ დასავლეთისკენ გაგორდა, ისევ გახდა ჯარისკაცი, იმიტომ რომ მოუშუშდა კრილობა და გლუმიც მიგორავდა და მიგორავდა, ვიდრე ახალ გაჩერებას მიაღწევდა, რომელსაც საკონცენტრაციო ბანაკის ნაცვლად, უბრალოდ, ბანაკს უძახოდა ხოლმე. გლუმს აქ კბილები დასძვრა, დასცვივდა თმა, არადა, ეს ყველაფერი მხოლოდ შიმშილის ბრალი როდი ყოფილა, გლუმს იქ საშინელებაც ბევრჯერ უნახავს და გლუმი რომ „საშინელება იყო“ იტყოდა, ეს სიტყვები მართლაც საშინლად უღერდა. ასეთ დროს არც ვაშლი გადმოუგორდება პირიდან, არც გასაბერი ბუშტი; გლუმი დანებს ისვრიდა თითქოს, ხოლო სახეზე ისეთ კოხებს შეიკრავდა, მარტინს თავზარი დაეცემოდა, თან ისევე გახევდებოდა, როგორც პირმოლაფშული, გაცინებული გლუმის დანახვისას; აი, სიცილით კი გლუმს მაშინ გაეციწებოდა, როცა ქორალების სათქმელად ბოლდაც მოაკითხავდა მის ოთახს. გლუმი კარგად მღეროდა, მალალი, ძლიერი ხმა ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო ბოლდა აპყოლოდა სიმღერაში, რომ გლუმს უცებ სიცილი წასკდომოდა და მისეული სიცილიც ისე დახშიანდებოდა, გეგონებოდა, ათასობით დანა სერავსო ჰაერს. ხოლო თუ ბოლდა მაინც არ დაიშლიდა თავისას და სიმღერას გააგრძელებდა, გლუმს გულიც კი მოსდიოდა და ყელგამოწვდილი შეეხვეწებოდა ხოლმე: ბოლდა, გეყოფა თუ ღმერთი გწამს... ნამდვილად ჰკუდიან შემშლიო.

გლუმი ძია ალბერტმა მოიყვანა სახლში. ამ თმადაცვენილ, უკბილო ურჩხულს, ალბერტი ხილფაფის ფაბრიკის ჭიშკართან წააწყდა. გლუმი თურმე სამუშაოს ითხოვდა, დარაჯი კი მის გაგდებას ცდილობდა. ალბერტმა იგი შინ წამოიყვანა და გლუმს ბებიაც ტკბილად დაუხვდა, თუმცა, ბებიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მართალია, შეხლა-შემოხლაც ხშირად ჰქონიათ, მაგრამ იგი ბოლდასაც კარგად ეპყრობოდა.

ბოლდაზეც შეიძლებოდა იმ უცნაური სიტყვის თქმა, საკუთარ თავზე რომ იტყოდა ხოლმე დედა: აქაოდა, წამხდარი ქალი ვარო. ბოლდა წამხდარი ქალი იყო, ასაკით ბებიას კბილა თუ იქნებოდა და ყოველთვის, როცა კი საკუთარ ცხოვრებაზე მოყვებოდა რაიმეს, ასე გეგონებოდა, ვილაც სხვა ადამიანზე ჰყვებოდა; ჯერ იყო და, ბოლდა თურმე მონაზვნად აღკვეცილა, მაგრამ მოგვიანებით მაინც გათხოვილა, მერე ქმარი გარდაცვლია და ბოლდაც ხელმეორედ გათხოვილა. ბებია რომ ბოლდას წაეკინკლავებოდა, რას არ უძახდა ხოლმე: ხან — შე ლტოლვილო მონაზონო, ეტყოდა, ხან — შე ჰვეყნის ნათრეგო — მიაძახებდა, ბოლდა კი, ამის გაგონებაზე ხითხითს მოჰყვებოდა, მართალია წამხდარი ეთქმოდა, მაგრამ მაინც გულკეთილი ქალი იყო; აი, გლუმიც ხომ უცნაური კაცი იყო, შეიძლება დანახვაც შეგზარებოდა ცოტათი, მაგრამ გლუმზეც კარგს თუ იტყოდა მხოლოდ. საკუთარ ცხოვრებაზე რომ გააბამდა ლაპარაკს, ბოლდა ყველაფერს აურ-დაურევედა ხოლმე: ვეღარ მიხვდებოდი, როდის აღიკვეცა მონასტერში, როდის დაქვრივდა, ან რომელი იყო პირველი

ქმარი და რომელი — მეორე. „მონასტერში როცა ვცხოვრობდი“ — დაიწყებდა ბოლდა, თრიოდე წინადადების შემდეგ კი ნათქვამს ასე დასრულდა: „აი, დუქანი როცა მქონდა კობლენცში, ელექტროსაქონელი: უთოები, ელექტროლუმები და მისთანობა“, მაგრამ მომდევნო წინადადებაში ისევ მონასტერს ახსენებდა და თავისი მზითვის აღწერას მოჰყვებოდა. „პირველად რომ დავქვრივდი“, — იტყოდა ბოლდა, მაგრამ ანაზღად ისევ აბლაუბდა გადასკუბდას მოედებოდა: „ღმერთმანი, კარგი ადამიანი იყო“ — მოროტავდა.

— ვინ?

— ვინ და, ჩემი მეორე ქმარი ჩემდა ბედად, არაფერი ესაქმებოდა ვაჭრობასთან. მოხელედ იდგა, ზნეობის პოლიციაში მსახურობდა.

— ეგ რაღას ნიშნავს?

— ამას მაინც ვერ გაიგებ, არადა, საბედნიეროდ, სწორედ ისინი მაძლევენ პენსიას.

საეჭვო ნართაულები ეგრეთ წოდებული „ზნეობის პოლიციის“ საქმიანობის თაობაზე, იმ აზრს ააღებინებდა მარტინს, ეს ამბავი ამორალობასა და უზნეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული; მაშასადამე, ბოლდას სწორედ ამ პოლიციამ დაუნიშნა პენსია; თავის ნართაულებში ბოლდა დროდადრო ბუჩქებს ახსენებდა ხოლმე, — ეტყობა, ბოლდას მეუღლეს ბუჩქების დათვლიერება ევალეებოდა და მარტინსაც ანაზღედულად თვალწინ დაუდგა გრეზპაკესა და ვოლტერსის ურცხვობა ბუჩქებში, მათი აჭარხლებული სიფათები, ჩახსნილი ხვანჯრები და ახალმოთიბული ბალახის მომწარო სუნიც უმაღლ იყნოსა.

— ღორობაა და მეტი არაფერი, — იტყოდა ხოლმე ბოლდა, როცა გლუმის ოთახში შემოვიდოდა, ბოლდას მონათხრობზე კი გლუმის თავს გააქნევდა მხოლოდ, ისე დინჯად, ისე მოთმინებით გააქნევდა თავს, რომ ბოლდა თვალდათუალ გაწიწმატდებოდა, უმაღლ აყვიტყვიტდებოდა: — შენ კულტურისა რა გესმის, შე გადაყრუებულ... ამაოდ ცდილობდა, ლაზათიანი სიტყვითაც მივამათხრახებო, მაგრამ რაკი ხეირიანს ვერაფერს მოიფიქრებდა, — შე გადაყრუებულო თურქო, მიაძახებდა და გლუმის ისე იცინოდა, იფიქრებდი, ათასობით დანა სერავსო ჰაერს. არადა, რაღას ჩამოუჯდებოდა ოთახში, წარამარა თუ გული მოსდიოდა გლუმზე? მოსვლიათ კი ბოლდა ხშირ-ხშირად მოაკითხავდა ხოლმე, მოაკითხავდა და საუზმეზე დაიწყებდა ლაპარაკს. თუმცა კი, რა სალაპარაკო თემა ეგ იყო; მით უმეტეს, რომ სახლის თვითველ ბინადარს ერთი და იგივე საუზმე ერგებოდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თვითველს თავთავისი, სხვისი საუზმისაგან განსხვავებული, მაგრამ მუდამ ერთი და იგივე არჩივი ეკუთვნოდა. დედა, მაგალითად, ნამდვილ ყავას სვამდა, ისეთივე მაგარ ყავას, ძია ალბერტი რომ გამოჟურავდა ხოლმე, გლუმის კიდევ, მარტინისა არ იყოს, ყავის სუროგატს სჯერდებოდა, ხოლო ბოლდა ცხელ რძესა და თაფლს მიირთმევდა. თითოეულისათვის ცალ-ცალკე იდგა ხუფიანი ყავადანი, თითოეულს ცალკე თეფშზე ეძლეოდა კარაქი, ძეხვი ან ხილფაფა და ყოველივე ამის მომზადება ბოლდას ევალეებოდა, მაგრამ თითოეულს, როცა კი არ უნდა ამდგარიყო, სამზარეულოდან თავად უნდა წამოეღო თავისი წილი საუზმე.

მართალია, წამხდარი ეთქმოდა, მაგრამ ბოლდა მაინც კარგი ქალი იყო. წამხდარი ქალი ეთქმოდა დედასაც და, მარტინი იმასაც ეჭვობდა, დედა ამასთანავე ამორალური ყოფაქცევის ხომ არ არისო; — აკი ყურიც მოუკრავს, ბებია რომ წინკარში დაიჯუჯღუნებდა ხმადაბლა: „მაინც სად დაეთრევი ამდენ

სანს? გლუმზე, მაგალითად, ვერაფრით ვერ იტყვი, წამხდარიაო, თუმცა კი, უცნაური კაცია, თან კეთილიც ვთქმის. აი, ალბერტი კი არც უცნაური არც წამხდარი, არადა, მაინც კარგი კაცია. ალბერტი ისეთივე კაცია, სხვა ბიჭების მამები რომია. საქმე თუ საქმეზედ მიდგა, ბებიაზეც ვერ იტყვევებო, წამხდარიც, ვერც იმას დასწამებ, უცნაური ქალიაო და კაცმა რომ თქვას, ~~წამხდარიც~~ წყალი არ გაუვიდოდა — ბებია კეთილი ქალიცაა; ის კი არა, საერთოდ კეთილი ქალიაო რომ თქვა, ამას სხვათა შორის თუ ახსენებ და კაცმა რომ თქვასო — დააყოლებ. მარტინს ვერა და ვერ გაეგო, რატომ უშლიდნენ სკოლაში ისეთი სიტყვების წარმოთქმას, როგორცაა: „საერთოდ“, „კაცმა რომ თქვას“, ამ სიტყვებით ხომ ისერიგად გააწყობ აზრს, სხვანაირად რომ ვერაფრით ვერ შეიძლებ. ბოლდა, მაგალითად, საერთოდ კარგი ქალია, დედა კი, მართალია, კარგი ქალია, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ამორალური ყოფაქცევისაა. ეს ამბავი ჯერ კიდევ გასარკვევი იყო და მარტინიც წინდაწინ გრძნობდა, ამ ამბის გამორკვევა კარგს არაფერს მიქადისო.

ბოლდა და ბებია ბავშვობის ამხანაგები ყოფილან და ერთიმეორეს — შეპრეტულო, უძახდნენ. რაიმე დღესასწაული რომ მოაწევდა და გული აუჩვილდებოდათ, ვთქვათ, შობის დღე იყო, ან რაიმე ასეთი, მაშინ თუ ჩაეტყვებოდნენ ერთმანეთს და რას აღარ გაიხსენებდნენ: ბოლოს და ბოლოს, ნახირს ერთად ფშყემსავდითო, ის თუ გახსოვს, ან ეს ხომ არ დაგავიწყდაო; ბებია და ბოლდა სუსხიან ქარს გაიხსენებდნენ, აიფელის მთებში რომ დათარეშობდა, ლაპარაკობდნენ ფარლალა ქოხმახებზე, საველე ქურებზე, რომლებზეც ყავასა და წვნიანს იშადებდნენ და მერე იმ სიმღერებს მღეროდნენ, მთელ სახლში რომ კაციშვილს არ გაეგებოდა. ასეთ დროს გლუმიც მღეროდა ხოლმე თავის დანა-სიმღერებს; მაგრამ ბებია და ბოლდა თუ სადაც დღეს გადაეყრებოდნენ ერთიმეორეს და გულსაც ვერაფერი აუჩვილებდათ, მეტწილად დაკადაკა გაიმართებოდა ხოლმე. ბებია თითს მიიკაკუნებდა შუბლზე და ბოლდას ისე ეტყოდა: შენ ხომ ყოველთვის შეპრეტული იყავიო. პასუხად ბოლდაც არ დაურჩებოდა ვალში, ისიც შუბლზე მიიკაკუნებდა თითს და ასე ეუბნებოდა: შენ თვითონ გიქროდაო ყოველთვის, ამასთანავე. — „რა ამასთანავე?“ — უცებ იკვილებდა ბებია, მაგრამ ბოლდა აღარაფერს უპასუხებდა. ამ შეხლა-შემოხლის მიზეზი მეტწილად ბოლდას მოგონილი კერძები იყო: მიწამხალა, კარტოფილის მოტკბო პიურე, თავმოხდილ რძესა და გამლღვალ მარგარინს რომ გადაასხამდა ხოლმე ზემოდან და თავმოხდილი რძისაგან შეთითხნილი ის წვნიანები, ბებიას მტკიცებით რომ „განგებ მიაწვავდა“ ხოლმე ბოლდა.

„განგებ მიაწვავს ხოლმე, ეგ ღორი, ეგა, რომ დუხჭირი ბავშვობა გამახსენოს, სახლიდან გავაგდებ მაგ ტუტუს. ეს სახლი ჩემია და ვისაც მინდა, იმას გავაჩერებ აქ, მაგას კიდევ სულ კინწისკვრით გავაპინტრიშებ“. ასე კი იძახდა, მაგრამ ბოლდა მაინც არ გაუგდია. გლუმისა არ იყოს, ბოლდაც დიდი ხანი იყო, რაც აქ ცხოვრობდა და ბებიაც ზოგჯერ ნაჩუმათევად შეიძურწებოდა ხოლმე სამზარეულოში, რომ ბოლდასეული კერძებისათვის გემო გაესინჯა; გასინჯავდა მიწამხალას ფაფას, თავმოხდილი რძის წვნიანს და იმ მომენტით შავ პურსაც წაციცნიდა, ბოლდა რომ შოულობდა სადღაც. გემოს ნახავდა თუ არა, გაფურჩქნულ სახეზე ბებიას ცრემლი ჩამოუგორდებოდა და იმ თეფშს დაეწვეთებოდა, საიდანაც ზეზეულად ქამდა ხოლმე. ამ ამბის შემსწრე ბოლდას კი სახეზე უცნაური და კეთილი ღიმი გაუკრთებოდა, მის თხელ-

სა და ქალღმერთ თეთრ პირისაგან რომ წამით ახალგაზრდულ რებს დაუბრუნებდა.

სადილი თითოეულს თავ-თავისთვის უნდა გაეხაზიერებინა. გლუმის სადილად წვნიანს შეექცეოდა, მაცივარში და სამზარეულოს მზარეულებს შოგან კიტრს ინახავდა, ზოგან ნესვს, კარტოფილსა და ძეხვის იისფერ ბლითებს, სინამდვილეში რომ სულაც არ იყო ძეხვი. სადილისათვის საჭირო სამზადი ბოლდასაც ჰქონდა დამარაგებული. ის უფრო სამზადი ყავისფერ, მომინანქრებულ ქვაბებში უძველდებოდა ბოლდას. ბებიას კიდევ მაცივარში თავისი, ყველაზე დიდი განყოფილება ჰქონდა დათრეული: ძეხვსაც იქ ინახავდა ხორცსაც, გორად ეწყო ხოლმე ახალ-ახალი, დიდრონ-დიდრონი კვერცხები, ხილის შეწყობაც იქ იცოდა, ბოსტნეულისაც; პირში სიგარეტგაჩრილი ზოგჯერ ნაშუადღევის ოთხი საათისათვის ჩამობანდალდებოდა ხოლმე სამზარეულოში, დადგებოდა გაზქურასთან და ღიღინ-ღიღინით შეიბრაწავდა ხორცს, ხრაკის სუნს კი ამ დროს ცხვირში უღიტინებდა. დროდადრო რესტორანში დარეკავდა და ქაფქაფა, ცხელ-ცხელ საჭმელებს იქიდან მოატანინებდა ხოლმე; მოატანინებდა ლამის გავარვარებულ ვერცხლის მათლაფებს, ნაყინიან ყელყელა სირჩებს, ზემოდან რომ ნაღების ბურკვი ჰქონდა დაკოწიწებული, მოატანინებდა წითელ ღვინოს; ხანდახან ყავასაც რესტორანში დაუკვეთავდა. თუმცა, ხშირად იმის მომსწრეც ყოფილან, ბებია ისაუზმებდა მხოლოდ და მთელი დღის განმავლობაში ლუკმასაც არ ჩაიგდებდა პირში, ან არადა, შემოიჯაჯავდა იმ თავის ხალათს და თომაჰავკის პლაკუნ-პლაკუნით შემოუვლიდა ბაღს, ხელებზე ტყავის ძველ ხელთათმანებს წამოიცივამდა, თან ჰინჰარს ღეროებს აჭრიდა, დაბიბკებული გალავნის მთელ გაყოლებასა და ფანჩატურის ირგვლივ ზღვად რომ მოასკდებოდა ხოლმე. ბებია საგულდაგულოდ დაეძებდა ახალამონაყარ დუყს, გაახვევდა გაზეთის ქალღმერთში, მოგვიანებით კი სამზარეულოში ჩამოდგებოდა და ჰინჰარის მხალს მოიმზადებდა, მხალისათვის კიდევ ბოლდას მარაგეულიდან იმ მომჟავო შავ პურს აიღებდა და თითო-ორთლა ნაჭერს ჩამოაჭრიდა ხოლმე. დედას, მაგალითად, დროდადრო სულაც გადაავიწყდებოდა, რომ მარტინისა და ალბერტისათვის სადილი ჰქონდა მოსამზადებელი. თავად ცოტაოდენი საჭმელიც ჰყოფნიდა და საუზმეზე პურის ნაჭერს თუ გააფიცებდა, კიკილა კვერცხსა თუ შეჭამდა, აი, ყავას კი ბლომბლომად დალევდა ხოლმე. შინ როცა დარჩებოდა, ნაშუადღევის სამ, ან ოთხ საათზე თუ გაახსენდებოდა, სადილი მაქვსო მოსამზადებელი და დაფაცურდებოდა კიდევ: სახელდახელოდ შეათბობდა წვნიანის მზა კონსერვებს, ჯამთასიაში სალათას ჩაჭრიდა. ზოგჯერ დედა გლუმის ქვაბსაც მიაკლებდა წვნიანს და იმასაც ქურაზე შემოდგამდა, ამის სანაცვლოდ კიდევ გლუმის კუთვნილ თაროზე ძეხვს ან თამბაქოს შემოდებდა; ხოლო გლუმი, შინ რომ დაბრუნდებოდა, დუდლუნ-დუდლუნით ჩაათქიშინებდა იმ თავის ქვაბში ზუსტად იმდენ წყალს, რამდენი წვნიანიც მიაკლო დედამ. მეტწილად დედა ხან სად გაემგზავრებოდა და ხან კიდევ სად, დაკრავდა უცებ ფეხს და ისევ წაპანტურდებოდა, მოსახოხნსაც არაფერს დაუტოვებდა. ასეთ დროს ძია ალბერტი იკისრებდა ხოლმე მზარეულობას; ბოლდასეულ მიწამხალას ფაფას კარაქითა და რძით შეაზავებდა, თვალდათვალ ტაფამწვარს შეაპიწკინებდა ან ბლინებს დააცხობდა, თუმცა დროდადრო ასეც მოხდებოდა: სახლში კაციშვილს ვერ დაიგუ-

ლებდა, დედაც გაემგზავრებოდა სადმე, წავიდოდა ალბერტიც, აღარც ბოლ-
და დაუხვდებოდა შინ და აღარც გლუმი, ჰოდა მარტინსაც, რაკი მეტი გზა არ
იყო, თვითონ წაუცდებოდა ხელი გლუმისეული წვნიანისაკენ, მერე შეათბობ-
და და შეხვრებდა ხოლმე წვნიანს. ან არადა, დედის ოთახში შოკოლადისა და ნამ-
ცხვრის ძებნას მოჰყვებოდა, რადგან ბებიასთან თავისი ნებიერთაგან არას-
დიდებით არ უნდოდა: თავს გამოიდებდა ხელად, არიქა, ხორცი უნდა შეგიწ-
ვაო — დაიძახებდა, ან სულაც ქალაქში წააცუქცუქებდა მანქანით, ხოლო
რესტორანში ისევ გათამაშდებოდა სცენა სპექტაკლიდან: „დიდი კნეინა და
ცინგლიანი ღლაპი“.

აი კარტოფილს კი, ახალმოხარშულ ან ახლად გაფცქვნილ, მარილმოყრილ
და კარაქწანაცხებ, ყვითლად აქათქათებულ კარტოფილს, ოხშივარი რომ ას-
დის და ასდის, მართლაც გემრიელად შექამდა, მაგრამ კარტოფილს იშვიათად
თუ მოუხარშავდნენ. ძალიან, ძალიან უყვარდა კარტოფილი, მაგრამ ამის შე-
სახებ სიტყვაც არავისთან დასცდენია, ეს ამბავი არც ძია ალბერტისათვის
უთქვამს, არც ძია ვილისათვის, ხანდახან ბოლდას დაიყაბულებდა ხოლმე და
იმას მოახარშვინებდა კარტოფილს; ჯამს პირთამდე აავსებინებდა, შუაში კი
კარაქის მოზრდილ კოშტს დაატყუებდნენ, ნელ-ნელა რომ ლღვებოდა ხოლ-
მე, თან წვრილზე-წვრილ, გამომშრალ და თოვლივით თეთრ მარილს თითებით
შემოაფშვნიდნენ ზემოდან. ზოგიერთებს მაგალითად, დღე ისე არ ჩაივლი-
და კარტოფილი არ ექამათ და მარტინსაც შურდა მათი; აი, თუნდაც ბრილახი:
პაინრიხს ყოველდღე უწევდა ვახშმისათვის კარტოფილის მოხარშვა და მარ-
ტინიც ხანდახან ხელს დაახმარდა ხოლმე, ჯილდოდ კიდევ თითო-ოროლა ახალ-
გაფცქვნილი კარტოფილით გაუმასპინძლდებოდნენ. ზოგიერთ ოჯახში, მაგა-
ლითად, — მარტინი თავადაც შესწრებია ამას — სულ სხვანაირად ცხოვრობ-
დნენ; სადილი იყო თუ ვახშამი, ოჯახის ყველა წევრისათვის ერთი და იგივე
საჭმელი ჰქონდათ: მოსტნეული, კარტოფილი ან სოუზი. ყველანი ერთსა და
იგივე კერძს შეეჭყოლდნენ: ბებიაც, დედაც, მამაც და ძიაც. იმ ოჯახებში არც
მაცივრები ჰქონდათ, სადაც თითოეული თავ-თავისთვის შეინახავდა ათასნაირ
საკმაზ-სანელებელს და არც უშველებელი სამზარეულოები, სადაც თითო-
ეული თავ-თავისთვის მოიმზადებდა გამორჩეულ კერძებს. ასეთ ოჯახებში დი-
ლაობით დიდი ყავადანი იდგა ხოლმე მაგიდაზე, იმავე მაგიდაზე გამოიტანდ-
ნენ მარგარინს, კარაქს, ხილფაფას და სუყველანი ერთად საუზმობდნენ, ხო-
ლო ნასაუზმევს ბუტერბროდებს გაახაზირებდნენ სკოლაში, დაწესებულებასა
თუ ფაბრიკაში წასაღებად; აი, კვერცხი კი, იშვიათად ჰქონდათ ხოლმე სუფ-
რაზე და ისიც, მეტწილად, ან მამას უნდა შეეჭამა, ან არადა, ძიას და ოჯახის
სხვა წევრებისგანაც ძიები და მამები სწორედ ამ კვერცხის წყალობით იყვნენ
გამორჩეულნი.

სხვა ბიჭებსაც ჰყავდათ დედები და ის დედები, — თუნდაც ამორალური
ყოფაქცევისანი, სადილის თადარიგსაც დაიჭერდნენ, კიდევაც დაკემსავდნენ,
კიდევაც დანემსავდნენ და ბუტერბროდებსაც გაგიმზადებდნენ, მაგრამ დედა-
მისი იშვიათად თუ დაიჭერდა სადილის თადარიგს, კემსვა-ნემსვით ხომ თავ-
საც არასოდეს შეიწუხებდა და არც ბუტერბროდს გაგიხაზირებდა; მეტწილად
ძია ალბერტს თუ მოაგონდებოდა, რომ სკოლაში წამსვლეღმა ბუტერბროდიც
უნდა წაიძღვანიოს. უამი-უამ ბოლდა შეიბრალებდა ხოლმე და ბუტერბროდ-
საც ის გაუმზადებდა, არადა, კიდევ კარგი, რომ სკოლაში წასვლის ხანს ჯერ

კიდევ შუა ძილში იყო ბებია, აქი თავმოქაჩლებით ედილობდა ხორცის მკა-
მელ ბიჭად გაეზარდა, ჰოდა, გამოპიტქნიდა კიდევ მოგარდისთვის ხორცის
სქელ-სქელი ნაჭრებით, ძვალრბილიანად ამოგლეჯილი გოჭის ფეხებით, ცივ-
ცივი და მუჭი წითელი ფერის სუკეულ-მუკეულით.

ბედად და იღბლად, ბებია ზოგჯერ მთელი თვით გაემგზავრებოდა ხოლმე,
ჰოდა, მარტინიც გემოზე მოილხენდა. დიდრონ-დიდრონ კალათებს, ჩემოდ-
ნებსა და ფუთებს ორ-ორი ტაქსით გააქანებდნენ სადგურისაკენ, ბებია წინა
მანქანაში მოკალათდებოდა და კოლონას გაუძღვებოდა; ასე იყო ყოველ ზამ-
თარ-ზაფხულს, მთელი ერთი თვით გაემგზავრებოდა ხოლმე სადმე; გაემგზავ-
რებოდა და მერე მოკითხვის ბარათებს დააყრიდა: ხან მთების სურათს გამო-
აგზავნიდა, ხან ტბებისა და მდინარეების სურათს და ყოველ ბარათს ასე მია-
წერდა ხოლმე: უთვალავ კოცნას გიგზავნით ყველას, ჩემს პატარა ბიჭს და ყვე-
ლა დანარჩენს, იმ გაქსუებული მონაზვნის ჩათვლით. ბოლდა რომ ასეთ ბა-
რათს წაიკითხავდა, ქირქილს მოჰყვებოდა და იტყოდა: „ემაგ ჩემი ცოდვით
სავსეს სიზმარშიაც არ დაესიზმრებოდა, ერთ დღეს წყლებზე თუ მოუწევდა
დასვენება“. ერთ განაწერა ბარათს ბებია ღვარჯნილი და უშველებელი ასო-
ებით გამობლაქნიდა და თითოეული ასო იმოდენა გამოჰყავდა, აი, სიგარების
კოლოფზე რომ ნახავ ხოლმე. ბებიასაგან ამანათებიც ხშირ-ხშირად მოდიოდა —
ერთიანად გაწებილ-გამოწებილი, უცხო-უცხო, ფოსტამტებში დაბუნაგებუ-
ლი სიცხისაგან შედუღაბებული ტკბილეულობა, სათამაშოები, სუვენირები
და „უთვალავი კოცნა ბებიასაგან“.

ბებია როცა გაემგზავრებოდა, მარტინს გულიც მოუბრუნდებოდა და ის
შორეული ბებია ტკბილადაც მოაგონდებოდა, რაკილა აღარაფერი ემუჭ-
რებოდა; ზოგჯერ იმასაც კი დაინატრებდა, ნეტავი აქ იყოსო ბებია, რად-
გან წავიდოდა თუ არა, ამოდენა სახლი უცებ დაცარიელდებოდა, უცებ ჩაკვ-
დებოდა, ამასთანავე, ბებიას ოთახს გამოკეტილი იყო და მარტინი თვალსაც
ცდარ შეავლებდა იქ ჩამოკიდებულ მამის დიდ ფოტოსურათს. წავიდოდა
ხოლმე ასე და აღარც წარმოდგენა გაიმართებოდა სათაურით: „სისხლი მაქვს
შარდში“.

ბოლდა რომ ბოლდაა, ისიც მიჩუმდებოდა, დაღვრემილი დაიარებოდა, ის
კი არადა, დედა რომ მიღეთის ხალხს მორეკავდა შინ, უბებიოდ სახლი მაშინაც
დაცარიელებული გეგონებოდა.

მაგრამ მოაწევდა თუ არა ბებიას ჩამოსვლის დღე, მარტინი სულ იმას
ფიქრობდა, არ ჩამოვიდოდესო ნეტავ. ბებიას სიკვდილი არასოდეს უნატრია,
კი ბატონო, იცოცხლოს რამდენიც უნდა, ოღონდ შორს იყოსო სადმე, იმიტომ
რომ ჭირის დღესავით ეზარებოდა ბებიასეული იერიშები. ჩავიდოდა თუ
არა, იმ გაცდენილი დროის საზღაურს უმალ ამოიღებდა. თავდაპირველად
სწრობას მოიწყობდა: ტელეფონით დაუკვეთავდა ყველაფერს და გა-
ქათქათებულ კიტელებში გამოწყობილი ყვიციანი ყმაწვილებიც მოწიწებით
დაატარებდნენ წინ და უკან ვერცხლის თასებსა და ჯამებს, ხოლო მზერაან-
თებული ბებია თვალსა და ყბას დაადგამდა ხოლმე ყოველივე ამას; სამზა-
რეულოში შეფ-მზარეული ფუსფუსებდა, გაზის ქურაზე მალიმალ აცხელებდა
მზა კერძებს, ის ყვიციანი ყმაწვილები კი წინ და უკან გარბი-გამორბოდნენ
სამზარეულოსა და ბებიას ოთახს შორის; აჰქონდათ სისხლიანი ბიფშტექსები,
სოსტნეული, ნაირ-ნაირი სალათები, შემწვარ-მოხრაკული, ხოლო როცა დე-

სერტის დრო დადგებოდა. შეფ-მზარეული ტელეფონით დაუკავშირდებოდა რესტორანს და პატარა, კრემისფერი ფთიანი მანქანა თვალისწამში მოზიდავდა ყავასა და ნაღებით დამშვენებულ ნაყინს, ნამცხვარსა და ხილს. გაღრღნილ-გატკვერილი სისხლიანი ძვლებით აპირთავდებოდა სანაგვე ვედროსებში ის უსიამო მუსიკა, საბანკო ჩეკის ამოხვევისას რომ გაიღრატუნებდა „სხეობებს და-სასრულსა და მარტინის ტანჯვა-წამების დასაწყისს მოასწავებდა, რადგან ახალგაზაძდარი ბებია ახალ თომაპავკას გააბოლებდა და ბიჭის შემდგომი აღზრდის მიზნით მარტინს თავის ოთახში დაიბარებდა.

— ორმოცდამეთერთმეტე შეკითხვა: როდის აღსდგებიან მკვდრეთით მიცვალებულნი?

— მიცვალებულნი მკვდრეთით განკითხვის დღეს აღსდგებიან.

— მამაშენი, მგონი, დაიღუპა. ასე არ არის?

— დიახ, დაიღუპა.

— რას ნიშნავს „დაიღუპა“?

— ომში დაიღუპა, ესე იგი, მოკლეს.

— სად დაიღუპა?

— კალინოვკასთან.

— როდის?

— 1942 წლის 7 ივლისს.

— შენ როდის დაიბადე?

— 1942 წლის 8 ოქტომბერს.

— რა ჰქვია იმ კაცს, მამაშენის სიკვდილში რომ მიუძღვის ბრალი?

— გეზელერი.

— გაიმეორე გვარი.

— გეზელერი.

— კიდევ ერთხელ.

— გეზელერი.

— ის თუ იცი, რას ნიშნავს, როცა ბავშვს მამას წაართმევენ?

— ვიცი.

მარტინმა იცოდა ეს.

ზოგჯერ ზედიზედ სამი დღის განმავლობაში იბარებდა ხოლმე თავის ოთახში და ყოველ დაბარებაზე ერთსა და იგივეს ეკითხებოდა:

— მაინც რა დაგვისახა უფალმა ღმერთმა მეშვიდე და მეცხრე მცნებებში?

— მეშვიდე და მეცხრე მცნებებში უფალმა ღმერთმა დაგვისახა ვიყოთ უმწიკველონი და პირუთვნელნი.

— ჩამომითვალე ბიწიერების ცოდვისთან დაკავშირებული შეკითხვები.

და მარტინიც დაუფიქრებლად ჩამოაბუბუნებდა:

განა კი ხალისით წარმომითქვამს ურცხვობა რამ?

განა კი ხალისით გამიფიქრია ურცხვობა რამ?

განა კი განმიზრახავს ურცხვობა რამ?

განა კი ხალისით წარმომითქვანს ურცხვობა რამ?

განა კი ჩამიდენია ურცხვობა რამ? (მარტოკასა ან სხვებთან ერთად?)

არც მეტი და არც ნაკლები. ზუსტად ასე დააყოლებდა ხოლმე: „ფრჩხილებში: — მარტოკასა ან სხვებთან ერთად“.

დაბოლოს, ბებია ასე დააგვირგვინებდა:

— იი, წამოიზრდები და მაშინ მიხედები, რატომ...

გრებპაკე და ვოლტერსი ბუჩქებში ურცხვობდნენ: თვალწინ ედგა მათი აჭარხლებული სიფათები, ჩახსნილი ხვანჯრები და ახალმოთიბული ბალახის მომწარო სუნიც ახსოვდა. რაღაცას ფართიფურთობდნენ, დაფუძნებული და გახევებული მათი სახეების დანახვამ კიდევაც შეადრწუნებდა შატკინის, კეკეები აღუძრა. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რისი ჩოჩქოლი შესდგომოდა ორთავეს, მაგრამ გუძანით მიხვდა, ურცხვობდნენ. მეშვიდე მცნებასთან დაკავშირებულ ბოლო შეკითხვაზე ერთმაცა და მეორემაც ჯერ ხომ „ჩამიდენიაო“ — უნდა აღიაროს თან „სხვებთან ერთადო“ — დააყოლოს. მას აქეთ, რაც გაიგო, რასაც შვრებოდნენ გრებპაკე და ვოლტერსი, საღვთო სჯულის გაკვეთილზე მოძღვარს ჰვალს არ აშორებდა, იმიტომ რომ აღსარების სათქმელად და ზიარების მისაღებად ორთავენი მასთან დადიოდნენ ხოლმე, მაგრამ რამდენიც არ უყურა, ბიჭებთან ლაპარაკის დროს მოძღვარს ერთხელაც არ შეუხრია წარბი. ან იქნებ აღსარებაში ყველაფერი არ უთქვამთ და მაინც ეზიარნენ? ამის გაფიქრებზე სუნთქვა შეეკრა მარტინს და შიშისაგან სახეც აელეწა, ანაზდად ისე წამოჭარხლდა, ბებიაშაც კი ჰკითხა, რა მოგივიდაო?

— არაფერი ისეთი, — უპასუხა მარტინმა, — ბოლის ბრალია. — და ბებიაშაც უცებ მოამთავრა თავისი სჯა-ბაასი, საბანკო წიგნაკს ჩეკი მოახია და მარტინიც ძია ალბერტის ოთახისაკენ გაქანდა; ოთახში შესულიც არ იყო, გაზეპირებულივით დაასხაპასხუპა:

„გრებპაკე და ვოლტერსი ბუჩქებში ურცხვობდნენ“.

ძია ალბერტს თვალდათვალ სახე აემრიზა, აეფურტენა, ფერიც კი ეცვალა, მერე ტუჩი მოიკვნიტა და ჰკითხა:

— საიდან იცი, ვინ გითხრა?

ლაპარაკის დაწყება კი უჭირდა, მაგრამ მარტინმა მაინც ამოიღო ენა:

— ბუჩქებში ურცხვობდნენ, — მაგრამ ეს თქვა და მერე ენა დაება, აბლუკუნდა:

— ხვანჯრები ჰქონდათ ჩახსნილი, სახეები — აჭარხლებული.

ძია ალბერტმა აუჩქარებლად გატენა თავისი ჩიბუხი, გააბოლა და იმაზე ცოტათი უფრო დინჯად დაიწყო ლაპარაკი, ვიდრე სხვა დროს იცოდა ხოლმე. ლაპარაკობდა სქესთა ურთიერთლტოლვაზე, ქალის სილამაზეზე, ახსენა ადამი და ევა, ლაპარაკობდა გატაცებით, და მარტინსაც ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მოეჩვენა, როცა ძია ალბერტი ისევ მოჰყვა ქალის სილამაზის ქებათა-ქებას და შამაკაცის ქალისადმი ლტოლვის ამბავი ახსენა: უცნაური აღტაცება დაატყო ძია ალბერტის ხმას.

— საერთოდ კი, — წამოიწყო ძია ალბერტმა, მერე ჩიბუხი დაბერტყა, თუმცა კი სულ ახლახან ჰქონდა გატენილი და რატომღაც ახლა სიგარეტს მოუკიდა, — საერთოდ კი, შენ, მგონი უკვე იცი, რომ კაცებისა და ქალების თანაცხოვრების შედეგად ბავშვები იბადებიან.

ძია ალბერტმა ისევ ახსენა ადამი და ევა, ახსენა ყვაეილები, ცხოველები, ბიტენჰანში რომ ძროხა ჰყავდათ, იმ ძროხაზეც ილაპარაკა, მერე ხელახლა მოეყვანა ადამისა და ევას მაგალითი. ძია ალბერტს რომ მოუსმენდი, დაიჩვიებდი კიდევ, მართალს ამბობსო, თუმცა კი, მისი ნალაპარაკევიდან მაინც ვერ გაიგო, რა შუაში იყო აქ გრებპაკე და ვოლტერსი ან რას შვრებოდნენ

ისინი ბუჩქებში; აკი წესიერად ვერ დაინახა და ვერც ვერაფერს მიხვდა, ეგ იყო, თვალში ეცა ჩახსნილი ხვანჯრები, აჭარხლებული სიფათები და ახალმოთიბული ბალახის მომწარო სუნიც მაშინვე იგრძნო...

ძია ალბერტი კარგა ხანს ელაპარაკებოდა „რალაც საიდუმლოებებზე/ რომელთა ასე უცებ ახსნა არ შეიძლებოდა“, ლაპარაკობდა იმეზე, როგორ უჭირს ყოველ მოზარდ ყმაწვილს, ვიდრემდის იგი თანაცხოვრებას მომწიფდებდა. ძია ალბერტმა კვლავ მოიყვანა ცხოველებისა და ყვავილების მაგალითი.

— აი, თუნდაც ბოჩოლა, — განაგრძო ძია ალბერტმა. — ბოჩოლა ხომ ვერ შესძლებს ხართან თანაცხოვრებას და არც შეილება ეყოლება, ასე არ არის? მაგრამ ეს ამბავი სულაც არ ნიშნავს, რომ იმ ბოჩოლას სქესი არ გააჩნია.

სქესი ყველა ცხოველს გააჩნია, ყველა ადამიანს. — ძია ალბერტი ლაპარაკის დროს სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და დროდადრო ენა დაებმებოდა ხოლმე.

ანაზღად მარტინს სიტყვა ამორალობა გაახსენდა, მერე ისიც იფიქრა, ძიებისა და ქორწინების ამბავს ვკითხავო.

— შენც ხომ იყავი დაქორწინებული, ინგლისში როცა ცხოვრობდი?

— ვიყავი.

— შენც თანაცხოვრობდი შენს ცოლთან?

— კი. — უბასუხა ძია ალბერტმა და თუმცა მარტინმა თვალი თვალში გაუყარა, ძია ალბერტი წამითაც არ შეცბუნებულა.

— მერედა, ბავშვები რატომ არა გყავს?

— იმიტომ, რომ ბავშვები ყოველი თანაცხოვრების შედეგად როდი იბადებიან. — ძია ალბერტმა ისევ ახსენა ყვავილები, ისევ ახსენა ცხოველები, მაგრამ ამჯერად კრინტიც არ დაუძრავს არც ადამზე, არც ევაზე და მარტინმაც სიტყვა გააწყვეტინა:

— ესე იგი, ზუსტად ისე ყოფილა, მე როგორც ვიცოდი.

— შენ როგორღა იცოდი?

— როგორ და, ქალი შეიძლება, მაშინაც ამორალური ყოფაქცევისა იყოს, ბავშვებიც რომ არ ჰყავდეს იმ კაცისაგან, ვისთანაც იგი თანაცხოვრობს. აი, ველცკამის დედა რომაა, ისე.

— დასწყევლოს ეშმაკმა, — აღმოხდა ძია ალბერტს. — ეგ რამ გაფიქრებინა?

— რამ და იმან, რომ ბრილახის დედა ამორალური ყოფაქცევისაა; ბავშვი ჰყავს, თან იმ კაცთან თანაცხოვრობს, ვინც სულაც არაა მისი ქმარი.

— კი მაგრამ, ვინ გითხრა, ბრილახის დედა ამორალური ყოფაქცევისააო?

— ბრილახმა თავისი ყურით გაიგონა, დირექტორმა რომ უთხრა ინსპექტორს: ბიჭი საშინელ პირობებში ცხოვრობს, დედამისი ამორალური ყოფაქცევისააო.

— გასაგებია, — ენა აეხსნა ძია ალბერტს, ხოლო მარტინმა სახეზე შეატყუო, ბრაზი მოერიპო და ცოტა არ იყოს, შემცბარმა დააყოლა:

— მართლა, მართლა, ბრილახმა თავისი ყურით გაიგონა და თვითონაც იცის, რომ დედამისი ამორალური ყოფაქცევისაა.

— გასაგებია, — გაიმეორა ძია ალბერტმა, — კიდევ რა გინდოდა გეთქვა?

— კიდევ ის, რომ ველცკამის დედაც ამორალური ყოფილიყავისაა, თუმცა კი ბავშვები არა ჰყავს. დანამდვილებით ვიცი.

ძია ალბერტს არაფერი უპასუხნია, ეგ იყო, ჯერ თითქო სახტად დაურჩაო სახე, მერე კი თბილი, თბილზე-თბილი ღიმილი მხაგრებდა მარტინს.

— ურცხვობა ისაა, — ენა მოეცა, მარტინს, რაკილა ამ აზრომას სწორედ აბლა გაუელვა თავში, — ისაა, რასაც ბავშვები სჩადიან, ხოლო დიდების ურცხვობას ამორალური ყოფილიყავა ჰქვია. მაგრამ, აი გრებჰაქე და ვოლტერსი, ისინიც თანაცხოვრებას ეწეოდნენ?

— არა, არა, რას ამბობ, — ამოცქაფა ძია ალბერტმა და სწორედ მაშინ იყო, ჭარხალივით რომ გაწითლდა. — თავვზა აებნათ ბიჭებს, შეეშალათ, ამ ამბავს ნულა გაიხსენებ და თუკი აწიც გაიგონებ, რასაც ვერ მიხვდები, მე მკითხე ხოლმე. — ძია ალბერტი ისეთ კილოზე ლაპარაკობდა, გულისხმაში ჩაგაგდებდა, თავის ნაუბარს გონებაში ჩაგინერვავდა, მაგრამ მისი ხმა კვლივაც აღერსიანად ყლერდა.

— ხომ გაიგე, მე მკითხე ხოლმე. უმჯობესი იქნება, მე მკითხო. ყველაფერი არც მე ვიცი, მაგრამ რაც მეცოდინება, იმას ხომ აუცილებლად აგიხსნი, ოღონდ არ დაგავიწყდეს, მე მკითხე ხოლმე.

კიდევ ერთი სიტყვის შესახებ უნდოდა ეკითხა, აი, იმ სიტყვის შესახებ, ბრილახის დედამ რომ შიახალა ხაბაზს. ერთ ხანს იჭოჭმანა, სახეც კი აელეწა, მაგრამ ამ სიტყვას ალბათ ვერასოდეს ამოღერლავდა.

— რა იყო, — ჰკითხა ძია ალბერტმა, — კიდევ გაქვს რაიმე შეკითხვა?

— არა, — უპასუხა მარტინმა, რაკილა შერცხვა და ველარ ჰკითხა, დედანიმც ამორალური ყოფილიყავის ხომ არ არისო? ამას მოგვიანებით ჰკითხავს, კარგა ხნის მერე.

იმ დღის მერე ძია ალბერტი ლამისდა თავზე ევლებოდა მარტინს, ხშირ-ხშირად ასეირნებდა მანქანით და იმ დღის მერე, თითქოსდა დედაც სულ სხვანაირად ეპყრობოდა, ასე იყო თუ ისე, გეგონებოდა, ხასიათი გამოეცვალა, თავადაც გარდაისახა; და მარტინს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ძია ალბერტმა ყველაფერი ჩაუკაკლა დედას. ზოგჯერ სამივენი ერთად წავიდოდნენ სასეირნოდ, პაინრიხს კიდევ, როცა მოეპრობებოდა, მაშინ შეეძლო სტუმრად მოსვლა: არადა, მეტწილად პაინრიხიც თან მიჰყავდათ, როცა ტყეში ან ტბაზე, კინოში ან სანაყინეში წავიდოდნენ.

დღე ისე არ ჩაივლიდა, — იფიქრებდი, ერთმანეთში მოილაპარაკესო, — ან დედა შეუმოწმებდა და გამოჰკითხავდა საშინაო დავალებას, ან ალბერტი; თუ საჭირო იქნებოდა, ხელსაც დაახმარდნენ და ორთავენი, დედაცა და ალბერტიც. ძალზე ტკბილად ეპყრობოდნენ. დედა, მაგალითად, საოცრად ხათრიანი და მომთმენი გახდა; მეტწილად შინ იყო ხოლმე და ერთხანს სადილსაც ყოველდღე უმზადებდნენ, კარტოფილსაც უხარშავდნენ, მაგრამ ამ ამბავმა მხოლოდ და მხოლოდ ერთხანს გასტანა. მოგვიანებით დედას მოთმინება აღარ ეყო, ძველებურად მოჰყვა გარე-გარე სიარულს და მარტინსაც ათასში ერთხელ თუ მოუმზადებდა სადილს. ასე იყო თუ ისე, დედას ვერ მიათვლიდა იმ მისიანდო და პირიან ხალხს, როგორიც იყო გლუმი, ალბერტი ან თუნდაც ბოლდა.

თავი XI

ნელა მწვანე ფარდასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა, კვამლის ნაცრისფერ ბოლქვებს ფარდასა და ფანჯარას შუა მოქცეული სიციხილისაკენ გააბოლებდა ხოლმე და თვალს ადევნებდა, როგორ იცრიცებოდა მტკრიან და ბოლის ფერნაქცევი ნარევი. ქუჩაში არავინ ჩანდა, სადარბაზოსთან ალბერტის მანქანა იდგა, ღამით წამოსული წვიმისაგან ჯერაც ულაბლაბებდა სახურავი, თუმცა, ქუჩაში ნაგუბურასაც ვერსად დაინახავდი. აქ, ამავე ოთახში, მწვანე ფარდას ამოფარებული ნელა ამ ოციოდე წლის წინათაც ასე იდგა და იმ ყმაწვილ თაყვანისმცემელთა გამოჩენას ელოდებოდა, ჩოგნით ხელში რომ ჩამოირბენდნენ ქუჩას, ელოდებოდა იმ ყერყეტა და საყვარელ გმირებს, აზრდაც რომ არ მოუვიდოდათ, — ხომ არ გვითვალთვალესო ვინმე და იქვე, სახლის წინ, ეკლესიის ჩრდილში სახელდახელოდ კიდევ ერთხელ გადაივარცხნიდნენ ქოჩორს, შეითვალეირებდნენ ფრჩხილებს, ნამალევად გადაითვლიდნენ საფულედან ამოღებულ ფულს და ხელთ რომ ჰქონოდათ, ჯიბისაკენ გააქანებდნენ. — გამოსულ და მარჯვე ბიჭებს ფული ჯიბეზე უნდა ჰქონდეთო. აი სიმარჯვე კი მართლაც უმთავრესი რამ იყო მათთვის: ქოშქოშით მოადგებოდნენ ხოლმე სახლს, ბაღში წაბლის შეწითლებულ ფოთლებზე გადააბოტებდნენ, პირველ წვიმებს რომ ჩამოეყარა და ცოტა ხნის შემდეგ ნელა ზარის წკრიალსაც გაიგონებდა, თუმცა, მარჯვეზე მარჯვე ბიჭიც ზუსტად ისე ლაპარაკობდა და ფიქრითაც ისე ფიქრობდა, მარჯვე ჩოგბურთელები რომ ლაპარაკობენ ხოლმე კინოფილმებში. იცოდნენ, ჰკუა-გონებით ვერავის მოაწონებდნენ თავს, თუმცა კი ესეც სიმარჯვეში ეთვლებოდათ, მაგრამ ასე იყო თუ ისე, არც ეს შველოდა საქმეს; ჰკუა-გონებით დიანაც ვერ დაიკვებნიდნენ. აი, ახლაც ჩამოირბინა ვიღაც ყმაწვილმა გმირმა ქუჩა, ხელში ჩოგანი უკავია, აი, ეკლესიის ჩრდილში სახელდახელოდ გადაივარცხნა ქოჩორი, საფულიდან ფული ამოხიკა და ვითომდა სხვათაშორის, ჯიბეში ჩაიჩხრიალა. ნუთუ მოჩვენება მოაბიჯებს წითელი ფოთლების ხალიჩაზე? ან იქნებ ფილმს ხედავს ნელა? აკი ისეთ ფილმებსაც ხედავდა ხოლმე, რეალურ ცხოვრებად რომ წარმოედგინა. თავადვე გაიწირა თავი ასეთი ცხოვრებისათვის, როცა მარკა და ოთხმოცი პფენიგი გადაიხადა ბილეთში, არადა, ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ უხეირო ფილმი აღმოჩნდა. ეჭვგარეშეა: ნამდვილად ხედავს ძველი კინოფირის გამჭვირვალე და ნაცრისფერ ლიბრს, თან ჩოგნიან ყმაწვილ გმირსაც უყურებს, ახლა რომ ეკლესიის ჩრდილს გამოსცდა და ქუჩაში მოაბიჯებს; სადმე მეზობლად თუ მიეჩქარება, ქალიშვილთან.

ნელა არც შემობრუნებულა, ისე იკითხა:

— კორტები თუა ახლა გახსნილი?

— რა თქმა უნდა, — უბასუხა მარტინმა, — ზოგან გაცილებით ადრეც ხსნიან.

მართალია; მაშინაც ასე იყო, თუმცა კი ეს ამბავი დიდად როდი ენაღვლებოდა: შუადღემდე ერჩია ძილი, თან არც ჩოგბურთისთვის იკლავდა თავს. აი, აგურისფერი და ქვიშამოყრილი სათამაშო მოედნების ცქერა კი მართლა უყვარდა; უყვარდა მწვანე ლიმონათის ჩაზიმზიმებული მწვანე ბოთლების დანახვა და თეთრ მაგიდებთან ჯდომა. ღრმად ისუნთქავდა ხოლმე პაერის მწკლარტე და რაინიდან წამოსული ნისლის მომლაშო სურნელს, ხოლო თუ მდინა-

რეზე ახალგაფისულ ბარქას ჩააცურებდნენ, ამ სურნელს რაღაც სიმწარეც აპყვებოდა, გემთა ვიმპელები კი ნელ-ნელა ჩააცურდებოდნენ ხეების ვენწეროებთან, იფიქრებდი, კულისებიდან უხილავი ხელი ექაჩებო. გარკვევით ხედავდა ხოლმე კუპრივით შავ კვამლს, ესმოდა პირმოხეული, გაბმული უხუნალები, ესმოდა ბურთის რაკუნ-რაკუნი, დროდადრო რომ მოძლიერდებოდას აბარტნიორთა გამკვახებული, მოკლე-მოკლე შეძახილები.

ყმაწვილმა გმირმა სახლს ჩაურბინა. ნელამ იცნო კიდევ ბიჭი: ასეთი მოყვითალო კანი ნადოლტეს ჯალაბობას თუ ექნებოდა მხოლოდ, მოყვითალო კანი და მაინც ქერა თმა, — პიგმენტთა უცნაური განლაგების მაგალითი, ჯერ კიდევ ამ ჯეელი გმირი ბიჭის მამას, ვილფრიდ ნადოლტეს რომ ანიჭებდა იმ ერთობ გამორჩეულ იერს, შვილმაც რომ გაიმემაკვიდრა. ალბათ ამ ყმაწვილმაც იცის იმ მწარე ოფლის ლული, მწვანედ რომ აულაპლაპებს ხოლმე ყვითელ კანს და ნადოლტეთა მოდგმის თითოეული ნაგრამი ამის გამო აჯასპმოსხურებულ გვამს გაგახსენებს. ამ ბიჭის მამა მფრინავი იყო, იგი სადღაც ატლანტიკის ოკეანეში ჩამოაგდეს, მის გვამს ვერასოდეს მიაგნებენ და ამ ზეპოეტურ სიკვდილს, — სიკვდილს იკაროსისას, დამარცხებულს ვერაგი მტრისაგან, — ასე თქვა მაშინ პატერმა, ამ ზეპოეტურ სიკვდილსაც არ შეუშლია ხელი, რომ მისი შვილი ერთი რაღაც უხეირო ფილმის თანამონაწილედ ქცეულიყო. ქცეულიყო იმ გულუბრყვილო სტატისტად, ბილანი კაცის წესად რომ ყველაფრისა სჯერა. თუმცა, ეს კია კარგად ასრულებდა იმ თავის როლს და ზუსტად ისეთი იერი ჰქონდა, როგორც უნდა ჰქონდეს უხეირო ფილმში გადაღებულ უხეირო ჩოგბურთელს.

სიგარეტი მარმარილოს რაფაზე ჩანაყოლებ ვიწრო დარში ჩაჰყლიტა, ჯერაც რომ აჩნდა ლამისეული წვიმის ნიშან-კვალი და გათავისუფლებული მარჯვენა ხელი ოქროსფერი ფარჩის მოფლაშულ საკილოვეში გაუყარა, ფარდასთან ერთად რომ გადაურჩა ომს. ბავშვობაში სულ იმას ნატრობდა, როდის გავხდები იმხელა, ფანჯარასთან დავდგე და მარჯვენა ხელი საკილოვეში გავუყარო. დიდი დრო გამოხდა მას მერე და ბარე ოცი წელია უკვე, საკილოვეში უყრიდა ხელს.

ზურგსუკან მარტინის ფუსფუსი ესმოდა: ბიჭმა ხუფი მოხადა ყავადანს, პურზე კარაქი წაისვა, მერე ჯემიანი კოვზი ქილას მიაბრაკუნა; ესმოდა გაფიცებული პურის ხრაშინაბრუში, გაიგონა ტკაცანიც — ქიქაში ამოკმულ კვერცხს მარტინი ამოაბრუნებდა და ნაჭუჭს ხელის ერთი დარტყმით ჩაჰყლედდა ხოლმე, ესმოდა ტოსტერის ყურისწამლები ზუზუნიც. ადრინად როცა ადგებოდა, მარტინთან ერთად ვისაუზმებო, ოთახში შებრაწული პურის სუნი ტრიალებდა და აბაზანიდანაც წყლის ჩხრიალი აღწევდა, — ალბერტი ამ დროს იბანდა ხოლმე ტანს; მაგრამ წყლის ჩხრიალი ამჯერად ვერ გაიგონა, ალბერტი, ეტყობა, ჯერ არ შესულა აბაზანაში.

— ალბერტი არ ამდგარა?

— როგორ არა, — მიუგო მარტინმა, — არ გესმის?

ნელამ დააყურადა, მაგრამ ვერაფერი გაიგონა. ზედიზედ სამი დღე იყო, რაც უთენია დგებოდა ზეზე და უკვე გაუჩნდა კიდევ თადარიგისა და წესიერების მინამგვანი შეგრძნება, აკი ახლაც თავ-თავისი ადგილი მიუჩინა გაფიცებულ პურის ნაჭრებს, კვერცხს, ყავას, აკი ახლაც ხედავდა ბიჭის გაბადრულ სახეს, გახარებული რომ შესციცინებდა, ხომ ერთად ვისაუზმებთო და თვალ-

საც აღარ აშორებდა, როცა ნელა მაგიდას აწყობდა, ასხამდა ყავას. ახალგაზრდა ნადოლტემ ვიღაც ქალიშვილთან ერთად ამოათავა ქუჩა. ლამაზ-ლამაზი, ჯერ კიდევ ნორჩი გოგონა მოჰყვებოდა გვერდით, წესისამებრ დროდადრო თავის ქათქათა თეთრ კბილებს გამოაკრთობდა, ხოლო მაცდურნი და აბრეხილი ცხვირით, — რეჟისურის კვალდაკვალ, — იმედით შეიყნოსავდა ხოლმე სამხრეთის ნაზ-აზიზ ნიავს; უნდა გაიღიმოო — და გაიღიმებდა, ახლა ოდნავ გვერდზე უნდა გადახარო თავი და გოგონაც გადახრიდა თავს, უდავოდ კარგად გამოწვრთნილი სტატისტი ქალიშვილი მოჰყვებოდა გვერდით, რომელსაც მალე მოუწევდა სოლო პარტიის შესრულება, ისიც შეიგრძნობდა ნადოლტეთა უჩვეულო ოფლის სუნს, შემჰკნარ სასალათე ფოთლებს რომ ამგვანებს ხოლმე მათ სახეებს, თუკი ამწვანებულ ბუჩქებში რომელიმე მათგანს აკოცებ.

აბაზანიდან მხოლოდ ახლა მოესმა წყლის ჩხრიალ-ჩხრიალი და მიხვდა, ალბერტი ტანს იბანსო. ბარე ოცი წელიწადია, რაც ერთმანეთს იცნობდნენ და ალბერტიც ალბათ დარწმუნებულია, ნელას საკუთარი ხელისგულივით ვიცნობო, თუმცა ამ ოცი წლის განმავლობაშიაც ვერ მიხვდა, თუ რა ეროტიკული ჯადო შეჰკრავდა ხოლმე ნელას, როცა მამაკაცის პირის საპარს ნივთებს უცქერდა, ვერ მიხვდა, როგორ უჭირდა იმაზე ფიქრი, რომ საერთო ჰქონდათ აბაზანა.

დილაობით, თავად რომ შევიდოდა აბაზანაში, სიყვარულის ალი შემოენთებოდა იმ გულგრილი ელვარების დანახვაზე, გამაბრუებელი არომატით რომ ასდიოდა ალბერტის საპარს მოწყობილობას. თითებს ნაზად გადაუსვამდა ხოლმე საპარსი კრემის დაჰყლეტილ ტუბს, სახისკრემიან ცისფერ ქილასაც შეავლებდა ხელს, აი უკვე ხუთიოდე წელი რომ იდგა აქ. კვლავაც და კვლავაც გული შეუქანდებოდა, როცა მიეფერებოდა ალბერტის სავარცხელს, კბილების ჯაგრისს, მისეულ საპარსსა თუ ლოსიონის მტვერმოდებულ ფლაკონს, ალბერტს რომ თითქოსდა არც კი უხმარია ოდესმე. სითხე ფლაკონში წლების განმავლობაში იდგა ერთსა და იმავე დონეზე, ეტიკეტზე დახატულ იმ პირდაყდაჟა ქალის ტუჩთან, ასე რომ ამშვენებდა ეტიკეტს. ლამაზმანს უკვე გახუნებოდა ის ძველებური ეშხი და ახლა თითქოს ნადვლიანი ღიმილით ჰვრეტდა საკუთარ ჯკნობას, ჰვრეტდა იმავე ღიმილით, რა ღიმილითაც წლების წინათ, ჯერ კიდევ ახალთახალი, იმედით იცქირებოდა სივრცეში. ახლა კი პირისახე შეუბერდა, შემოუცვდა ტანსაცმელიც — ეპ, ჩემო საწყალო და სახელგალახულო ტურფავ, განა კი გეკადრება ასეთი მოპყრობა? არადა, ძალზე დიდი ხანია, რაც ფლაკონი აქ დგას. ალბერტი, ეტყობა, გუმანითაც ვერ ხვდება, რა დიდი ტანჯვაა, როცა ერთ ჰერქვეშ ცხოვრობ იმ მამაკაცთან, რომელიც მოგწონს. ნეტავი რისთვის სჭირდება ეს უაზრობა, რატომ დაიქინა, გინდა თუ არა, უნდა ვიქორწინოთო?

მამაკაცს იმისდა მიხედვით შეაფასებდა ხოლმე, თუ როგორ მიუახლოვდებოდა იგი ტელეფონს. უმრავლესობა ტელეფონთან ისე მივა, აი, უხვირო ფილმებში რომ აჩვენებენ ხოლმე: გრძელ-გრძელ ნაბიჯებს გაადგამს, სახეზე მედიდურ, თან გულგრილ გამომეტყველებას აიფარებს და შუბლზედაც ის აწერია, — „რა გული გამიწყალეს“ ან „დაგჭირდით არა?“ მერე კი უმნიშვნელო ლაპარაკშიაც — თუმცა, რომელი ლაპარაკია მნიშვნელოვანი? — ცდილობენ ისეთი სიტყვები შეჩურთონ, როგორიცაა: „გადავხედავ“, „მოვიფიქრებ, როგორ აჯობებს“. განსაკუთრებულ ყურადღებას ნელა იმ წამს ანიჭებდა, კა-

ცები რომ ყურმილს დადებდნენ ხოლმე, ვილას შეუძლია ახლა ჩვეულებრივად დადოს ყურმილი, ისე კი არა, უხეირო მსახიობები რომ აკვთებენ ალბერტს მაგალითად, შეუძლია; თავის დროზე რაიმუნდსაც შეეძლო. ვილა მოითმენს ახლა, რომ თავის საუბარში სადღაც ყურმოკრული კაი სატყვეპისე-ის ჩააწნას, ხელოვნურ ყვავილს რომ ჩააწნიან ხოლმე ნაძვის ტრეტებისაგან მოწულ გვირგვინში. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, სიგარეტსაც ველარ ეწვევიან ისე, ფილმში ნაჩვენებს არა ჰგავდეს. მთელი მსოფლიო წამხედურა ხალხით გაივსო და შესაძლოა, ალბერტი სულაც იმიტომ იყო ასე ნაღდი და უტყუარი, რაკი იშვიათად დადიოდა კინოში! დროდადრო შეშურებია კიდევ ალბერტის გულგრილობისა და ჯავრზედაც მოსულა, იმ ტეტერებთან ერთად რომ უწევდა ყოფნა: ფლანგავდა დროს, ტყუილუბრალოდ აფრქვევდა ღიმილს.

ჩემოდანი უკვე ჩაალაგა. ბრერნიხში ალბათ სამიოდე დღეს თუ დარჩება, მარტინი კი ამასობაში ალბერტთან ერთად ისეირნებს მანქანით. როცა წარმოიდგენდა, მთელი ეს დღეები შურბიგელს უნდა ეუსმინოო, ასე ეჩვენებოდა, საპარიკმახეროში გამომამწყვდიესო სამუდამოდ: იგრძნობდა კიდევ მყუდრო საპარიკმახეროში შემოყუჟულ მოტკბო, ჩახუთულ და გულისამრევ პაერს, თან ის „ყოვლად ღირსეული“ ადამიანებიც თვალწინ დაუდგებოდნენ, ბატერ ვილიბროდი რომ გააცნობდა: „რასა ბრძანებთ, ერთმანეთს არ იცნობთ? ოო, დროა, დროა“. ნელა განწირულია: სულ მალე ამალღებულ თემებზე მოუწევს ტიკტიკი. მაშ, რატომ უკვირს ალბერტს, ნელას რომ მეტნაკლებად ყველა კაცურ კაცზე რჩება თვალი?

ნელა ფანჯარას მოსცილდა, დინჯად შემოუარა ოვალურ მაგიდას, მერე კი მაგიდასთან მწვანე სავარძელი მიაჩოჩა.

— ყავა თუ დარჩა ცოტა?

— როგორ არა, დარჩა.

მარტინი წამოდგა, ყავადანს ფრთხილად ახადა ხუფი და ყავა დაუსხა. ჯემიანი ქილა იღბლად არ გადმოუყირავდა მაგიდიდან. სხვა დროს მარტინი მშვიდად ირჯება ხოლმე, ზლაზნიაც კი ეთქმის, მაგრამ დედასთან საუბრის დროს, ან არადა, დედა თუ დაავალებს რაიმეს, აფუსფუსდება და ჩხირსაც ველარ გადააბრუნებს მარჯვედ. უმაღლ მზრუნველ-მეურვე კაცის იერი გამოეხატება, შეწუხებულიც კი ჩანს. ზუსტად ასეთი იერი აქვთ ხოლმე უფროსებს, როცა ისინი უმწეო ბაღლებს ელოლიავებიან და დროგამოშვებით მარტინი ისე ამოიხვწმებდა, იფიქრებდი, დიდი ჯაფა ადგასო თავს. მარტინმა ხელახლა ჩართო ტოსტერი, ჩადო შიგ პურის ნაჭერი და მოთმინებით დააკვირდა, როგორ იბრაწებოდა პური, შებრაწული პურის ნაჭრებს კი მარტინი საპურეს კიდზე აწყობდა.

— შექამ კიდევ?

— არა, ამ პურს ალბერტისთვის ვაფიცებ.

— კვერცხი სადღაა?

— აი, აქა მაქვს, — ღიმილით უპასუხა ბიკმა, მერე წამოდგა, მივიდა თავის საწოლთან და ბალიში ასწია: ზეწარზე მოყავისფრო, კრიალა კვერცხი იდო.

— აქ იმიტომ შევინახე, არ გაცივდეს-მეთქი. ალბერტს ცივი კვერცხი არ უყვარს, ყავაც მოვირჩინე.

ალბერტისათვის სულ სხვანაირად ზრუნავდა მარტინი. შესაძლოა, ამის

მიზეზი ისიც იყო, რომ ალბერტი ხშირად უყვებოდა მამაზე და ბიჭიც თანდა-
თანობით ისე შეეთვისა ალბერტს, განუყრელ მეგობრადაც დაიგულისხმა. ასე იყო
თუ ისე, მარტინი სულაც არ ფაციფუცობდა, თუკი ალბერტისათვის გაირჩე-
ბოდა.

თავად ნელა იშვიათად თუ უამბობდა მამაზე. კიდევ უფრო იშვიათად თუ
გადმოუღებდა იმ საქალაღდეს, სადაც რაიმუნდის ლექსებს ინახავდა: გაზეთის
ამონაჭრებს, ხელნაწერებს და თხელ, ცისფერ ყდაში ჩასმულ ოცდახუთფურ-
ცლიან ნაბეჭდ რვეულს, თანამედროვე პოეზიის თაობაზე დაწერილ ყოველ
სტატიასში რომ ახსენებდნენ ახლა. ერთხანობას ეამაყებოდა კიდევ, თუკი ან-
თოლოგიების სარჩევში რაიმუნდის გვარსაც ამოიკითხავდა, რადიოთი მის ლექ-
სებს მოისმენდა, ან ჰონორარს გადმოურიცხავდნენ. მავანი და მავანი უცხო,
ვისაც არ იცნობდა ნელა და საკუთარი ნება-სურვილით არც არასოდეს გაიც-
ნობდა, დროდადრო კარზეც მოადგებოდა ხოლმე. მეტწილად ის ნატიფად და თან
დაუდევრად ჩაცმული ჭაბუკები აკითხავდნენ, საკუთარი დაუდევრობაც რომ
კონიაკივით აბრუებდათ. საგულდაგულოდ აზომ-აწყული მათი აღფრთოვანე-
ბა არასოდეს ვასცილდებოდა საყოველთაოდ მიღებულ სამანს და როცა კი
ეახლებოდა მავანი ვინმე, ნელამ წინდაწინ იცოდა, რომ სადღაც ისევ იწერე-
ბოდა მორიგი ნარკვევი თანამედროვე ლირიკაზე. დროდადრო კი მათი სახლი
ნამდვილ შემოსევებსაც ვეღარ აუდიოდა და ნარკვევებიც უცებ ისე იმრავ-
ლებდა, როგორც სოკოები ნაწვიმარზე. საიდან არ მოცურავდა ჰონორარი; რა-
იმუნდის ლექსების კრებული ორჯერ გამოიცა, მერე ნატიფად ჩაცმული და
დაუდევარი ყმაწვილკაცები სხვა მსხვერპლს მიაგნებდნენ და ნელაც მოისვე-
ნებდა ერთხანს. რაის სახელი მაშინ ამოტივტივდებოდა ხელახლა, როცა ეგო-
ნა, ჩაცხრაო ყველაფერი; ეს თემა ხომ ნებისმიერი დროებისათვის მისწრება
იყო: რუსეთში დაღუპული პოეტი, რეჟიმის მტერი — განა არ გამოდგებოდა
იგი უაზროდ გაწირული ახალგაზრდობის სიმბოლოდ, ანდა, სხვა კუთხით რომ
შევხედოთ, იმ ახალგაზრდობის სიმბოლოდ, მსხვერპლად რომ გაიღო თავი? —
აკი გაკრთებოდა კიდევ ერთობ უცნაური აზრი პატერ ვილიბრორდისა თუ
შურბიგელის მოხსენებებში! ასე იყო თუ ისე, რაის ცხოვრება ესეისტიკის
საყვარელ თემად იქცა, ხოლო ნატიფად ჩაცმული და დაუდევარი ყმაწვილკა-
ცები, მკლავმოუღლელად რომ ქმნიდნენ ესეებსა და ახალ სიმბოლოებს, ეტყობა.
საკმაოდ მომრავლებულიყვნენ. დაუზარებლად, გულდასმითა და საქმიანად,
არც გადანამეტი და არც მინაკლები ვნებით ქსოვდნენ კულტურის გობელენს
ეს ხელმარჯვე თაღლითები, ერთიმეორეს რომ ავგურის ღიმილით ეგებებოდ-
ნენ ხოლმე. მათ წილად შიგნეულობადა მირჩა და ისინიც ამ გადასაყრელი ნარ-
ჩენებით ჰვრეტდნენ წინასწარ: ხრინწიან ჰიმნებს დამღეროდნენ მკერდიდან
ახლადამოგლეჯილ გულს, თვალთაგან მიფარებულ ლაბორატორიებში ჰუჭყს
გააცლიდნენ ხოლმე ნადავლის გატრუსულ ნაწლავებს და ღვიძლსაც მალუ-
ლად გაასაღებდნენ. პირშენილბული ეს მშიგვნელნი საპნის მაგიერ კულტურას
აწარმოებდნენ მძორიდან, აწარმოებდნენ თვითონ, ან კიდევ სხვებს დაასაქმებ-
დნენ. ყასაბთა და წინასწარმეტყველთა ეს ურდოები სანაგვე ვედროებშიაც
არ თავილობდნენ ჩიჩქნას და კიდევაც თხზავდნენ ოდებს საკუთარი მიღ-
წევების სადიდებლად. აი, შეხვედრისას კი ავგურის ღიმილით ეგებებოდნენ
ერთიმეორეს, ხოლო შურბიგელი, წუმბეში ამოგანგლული ეს ჰუმანისტი თა-
ვის ფოფორა ქოჩრით, ამ ბრბომ მთავარქურუმად დაისვა.

ნელას გული აუღულდა და შეძრწუნებულმა იაზრა, ალბერტით დავიწყეთ მსჯელობა: ცოტაც და, ჩემთვის დაგებულ მახეში გავებმეტიო.

ვიდრე რაი ცოცხალი იყო, დახარბებითა და ჩიუტად ელოდებოდა ხოლმე მორიგ ფოსტას, ელოდებოდა ისე, აი, ყაფაზაში გამომწყვდეული წადირი რომ ელოდება ხოლმე თავის წილ ხორცს; მარჯვენა ხელს ოქროსფერი ფარჩის საკილოებში გაუყრიდა და მწვანე ფარდასთან ჩასაფრებული, ფოსტალიონის გამოჩენას დარაჯობდა. ფოსტალიონი რომ მღვდლის სახლთან გამოჩნდებოდა, მისი პირველივე ნაბიჯი მთელი დღის გამონაყოლზე დაუკვალთანებდა გუნებას: თუკი ფოსტალიონი მათი სახლისაკენ გამოეშურებოდა, — სწორი კუთხით გადმოჰქრიდა ქუჩას, ესე იგი, ნელასათვისაც მოჰქონდა წერილი. ხოლო თუ უხილავ დიაგონალზე შედგამდა ფეხს მეზობელ სახლთან მისასვლელად, იმ დღით აღარაფერს უნდა დალოდებოდა. ასეთ დღეს ფრჩხილებით ჩააფრინდებოდა ხოლმე ჩამომძიმებულ მწვანე ფარდას, დაპოტნიდა და დახოკავდა ნაქსოვს, თუმცა კი, იმ უსაზმნო იმედის გადამკიდე, ეგება შეცდა ფოსტალიონი და უკან მობრუნდებოდა, ფარდას მაინც ვერ სცილდებოდა. მაგრამ ფოსტალიონი არასოდეს შემცდარა და არც უკან მობრუნებულა ოდესმე, თუკი ნელას სახლის გაყოლებაზე იმ უხილავ დიაგონალს დაადგებოდა. უმაღველური ეჭვები აეფუტკნებოდა თავში, როცა კი დარწმუნდებოდა, ფოსტალიონი აღარ მობრუნდებოდა დღეს. იქნება განგებ უმაღავს წერილებს. ან ხომ შეიძლება, სულაც შეთქმულების თანამონაწილე იყოს რაის წინააღმდეგ, ნელას წინააღმდეგ? ეგ ლურჯუნნიფორმიანი სადისტი ეგა, ფოსტალიონის ოქროსფერი ნიშანიც რომ დაუბნევია მკერდზე! პატიოსანი კაცის ნიღაბს ამოფარებული ეგ მზაკვარი ეგა! მაგრამ ფოსტალიონი არც სადისტი იყო, არც მზაკვარი, თან პატიოსანი კაციც ეთქმოდა და ვერც ნელასადმი ორგულობას დასწამებდი.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც თვალის აღარ მოუკრავს ფოსტალიონისათვის, ისიც არ იცის, რა ჰქვია სახელად ან როდის დაატარებს ფოსტას. ვილაციის უჩინარი ხელი საფოსტო ყუთში ჩააგდებდა სარეკლამო პროსპექტებს, ჩააგდებდა წერილებს, მერე კი სხვა უჩინარ ხელს ამოჰქონდა ყუთიდან წერილები და პროსპექტები. სხვადასხვა ფირმები რას აღარ სთავაზობდნენ მყიდველს: ნაირ-ნაირ აზღუდს, რისლინგს, კაკაოს. ნელას გულს ეს ამბები ახლოსაც არ ეკარებოდა. ათი წელი იყო გასული, აღარ კითხულობდა წერილებს, არ კითხულობდა მაშინაც, თუკი მის სახელზე მოვიდოდა ბარათი. დროდადრო უჩიოდნენ კიდევ ამის გამო ის დაუდეგარი ყმაწვილკაცები, კულტურის ის მემძორენი, ლეშის შიგნეულობაში რომ ეძიებდნენ სიმბოლოებს; უჩიოდნენ პატერ ვილიბრორდთან. მაგრამ ნელა უბრალოდ აღარ კითხულობდა წერილებს, ერთადერთი მისი მეგობარი ახლა კედლის მიღმა ცხოვრობს, ხოლო როცა ეს მეგობარი ორიოდ დღით სადმე მიემგზავრება, ნელა მას ტელეფონითაც გამოელაპარაკება. ოღონდაც წერილების კითხვა ნუ მოუწევს. რაიმუნდისაგან მაშინაც მოდიოდა წერილები, როცა იგი მკვდარი იყო უკვე და მისი დაღუპვის ამბავი ნელამაც იცოდა. ეჰ, საიმედო ფოსტავ, საათივით აწყობილო, ქება-დიდების ღირსო უწყებავ, — განა რა ბრალი მიუძღვოდა ფოსტას? ეგ იყო, იმ შეკითხვების პასუხი ჩამოჰქონდა, ქვეყანაზე რომ აღარავინ მოიკითხავდა.

ოღონდაც წერილების კითხვა ნუ მოუწევს. თაყვანისმცემლებს ტელეფონითაც შეუძლიათ დარეკვა, ხოლო თუ მაინც გამოუგზავნიან წერილს, პასუხს ნუ დაელოდებიან: ყველა წერილი გაუხსნელი იყრებოდა დიდ სახაგვე ყუთში, მერე კი ისინი მენაგვეს მიჰქონდა ხოლმე ერთსა და იმავე დროს.

უკანასკნელად თერთმეტი წლის წინათ გადაიკითხა ალბერტის მოკლეზე მოკლე წერილი: „რაი დაიღუპა. იგი გუშინ მოკლეს. მის სიკვდილში ერთ არამზადას ურევია ხელი. გვარად გეზელერია. დაიმახსოვრე. დაწვრილებით მერე მოგწერ“.

ნელამ დაიმახსოვრა გვარი — „გეზელერი“, მაგრამ იმ დღის მერე ალბერტის წერილებიც აღარ წაუკითხავს და ამიტომაც ვერ შეიტყო, ალბერტს რომ ნახევარი წლით ციხეში უკრეს თავი. ძვირად დაუჯდა ის სილა, ერთ ლამაზ-ლამაზ სიფათს რომ გააწნა. ნელას არც რაიმუნდის სიკვდილის ოფიციალურა შეტყობინება წაუკითხავს. ის ქალაქი მღვდელმა მოუტანა, მაგრამ ნელამ ახლოსაც არ გაიქარა მღვდელი თავისი ბოხი, ბუბუნა და პათეტიკური ხმით რომ ლოცულობდა მამულისათვის, გამარჯვებისათვის, გულებს რომ პატრიოტული სულისკვეთებით ავსებდა. ნელას არ უნდოდა მისი დანახვა, მღვდელი კი ნელას დედასთან ერთად იდგა კარს უკან და ღალატებდა: „კარი გამიღეთ, ძვირფასო ნელა, კარი გამიღეთ“. ნელას მისი ჩურჩულიც ესმოდა: „იმედია, საწყალი ბავშვი თავს არაფერს ავნებს“. არა, ნელა არაფერს ეპირებოდა: ნუთუ არ იცის, რომ ფეხმძიმეა?

იმ ხმის გაგონებაც არ სურდა ნელას, გაგონებაც არ სურდა იმ ყალბი პათოსისა და დასწავლილი სასემინარო ენამჭევრობის, გარკვეულ ალაგას რომ ინტონაციის აწევას მოითხოვს. მაღიმალ მოაზღვავებდა ხოლმე ნაყალბევი გრძნობას, გულდაგულ შენიღბავდა სიცრუეს, გულისშემძვრელად იროხროხებდა და ხმასაც დააჭუხებდა, როცა „ჯოჯოხეთს იყოსო“ დასჭეჭავდა. ნეტაი, ვის რაში სჭირდება ამოდენა ყვირილი და მოთქმა? ვის რაში არგია ის ყალბი პათოსი, რითაც რიტორიკის მასწავლებელმა მღვდელთა ბარე ორი თაობა დაჩურთა, რათა ამ პათოსს ასიათასობით ადამიანის თავთან ეჭექა და ეგრუხუნა.

— კარი გამიღეთ, ძვირფასო ნელა.

რისთვის? შენ მე იმდენად მჭირდები, რამდენადაც მჭირდება ღმერთი. ღმერთს კიდევ — მე, ხოლო თუ მაინც დამჭირდა შენი თავი, თავადაც მოგაკითხავ. კვლავაც აროხროხე ის შენი „რაე“, კვლავაც იძახე, ფატერლანდიო¹, ფიურერიო, კვლავ ავლრიალე „ლასი“ და იღავლავე: „ხალხი, ხალხი“, თან იმ უბადრუკ ექოს მიუგდე ყური, ის შენი ყალბი პათოსი რომ დაარხევს საბლოცველოში „...იურერი“, „...ალხი“, „...ერმანია“...

„იმედია, თავს არაფერს ავნებს“.

დარდი ნუ გაქვს, არაფერს ვავენებ, მაგრამ კარს მაინც არ გაგიღებ აკი მილიონობით ადამიანი დაქვრივდა, მილიონობით ადამიანი დაობლდა... ამულისათვის, „...ალხისათვის, ...იურერისათვის. ეჰ, მოუსყიდავო ექოვ! შენ ხომ ვერ დამიბრუნებ რაიმუნდს.

ნელამ ესმოდა სასოწარკვეთილი მღვდლის ფშუტუნი წინკარში, ესმოდა როგორ ეჩურჩულებოდა იგი დედას და რაღაც წამით, ვიდრე კვლავ აუჟღერდებოდა ყურში ის პათეტიკური ექო, კიდევ შეებრაღა მღვდელი.

¹ Vaterland — სამშობლო (გერმ.).

ისევ გეზღვლებოდა: ნუთუ შეიკრა წრე? ათი წლის წინათ მიიღო ალბერტის წერილი, ახლასან კი პატერ ვალიბრორდმა ნებიერი ლიბიო მიაგება და ასე უთბრა: „თუ ნებას დამრთავ, ბატონ გეზღვლებს წარმოგიდგენ“, შერე/ბრერნიშ-ში მიიწვიეს და ჩალაგებული ჩემოდანიც აგერ წიგნების ყველაფერსაც დასა.

ქუჩაში არავენ ჩანდა. ჯერ კიდევ ძალზე ადრე იყვნენ დასრულებული არ ჩამოვლო მათ სახლთან — პურის ნატეხებით გავსებული ტოპრაკი ისევ ეკიდა კიშკრის სახელურზე, სახლში კი სიცილი ისმოდა; მარტინი გაკვეთილებს აბარებდა ალბერტს: და თუ შენ, ღმერთო, არ მოგვითქვია... — ისევ სიცილი. სწორედ ახლა გადიოდა ის ფილმი, რომელშიც მონაწილეობის ნიღება არ სურდა ნელას; ფილმი სათაურით: „ოჯახური ბედნიერება“. ადრში მომცინარი ბავშვი ჩანს, ეცინება მომავალ მამასაც, იცინის დედაც; ყოველივე თავ-თავის ადგილზეა, ყოველივე მომავლისა და ბედნიერების რწმენით ფუთქავს; აკი უნახავს კიდევ ეს ყველაფერი, — საეჭვოდ ახლობელი და ნაცნობი ეჩვენებოდა ყოველივე: ეს მომცინარი ბავშვიც, მომცინარი დედაც, — რაო, ალბერტი მამის როლს შეასრულებს? — ნურას უკაცრავად. ნელამ სიგარეტს მოუკიდა და კვამლის მსუბუქ ცისფერ ბოლქვებს გააყოლა თვალი, თითებს შუა გაჩრილ სიგარეტს რომ ამოჰყვა ნელ-ნელა. ალბერტის ცოლს განა ავეჯზე უფრო არ უყვარდა გასაბერი ბუშტები, განა წარმავალი უფრო არ ახარებდა, ვიდრე დაუსაბამო და თეთრეულის კომპლექტსაც აკი საპნის ბუშტები ერჩია?! „ნეტაი კი იმ გრილ-გრილ ზეწრებს. დიასახლისის კარადაში რომაა შეწყობილი“. კი ბატონო, იყოს ის მომლიმარი მამაც, იყოს ის მომლიმარი შვილიც, მაგრამ თავად არ ეპირება მომლიმარი დედის როლი გაითამაშოს, თანაც იმ ქედმაღალი სიცრუის გულისთვის, მოძახილივით რომ დაირბევა ხოლმე სამლოცველოში.

სიგარეტი ნელ-ნელა იფერფლებოდა, რას არ ხატავდა ნათელი, ცისფერი კვამლი, კედლის მიღმა კი ლაპარაკი უსმოდა; მარტინი გაკვეთილს აბარებდა ალბერტს: ო, ზეციერო, ქვესკნელი დან შე მოგლაღებ...

ნელამ წლები გამოიარა იმაზე ფიქრში, როგორ აეწყობოდა ყოველივე: გააჩენდა ბავშვებს, შექმნიდა ოჯახს, რაიმუნდი კი სანუკვარ საქმეს მოეკიდებოდა, ბოლოს და ბოლოს აისრულებდა იმ საწადელს, მოწიფულობამდე რომ მიიტანა, აისრულებდა ნაციზმისა და ომის წლებში ნასათუთევე ოცნებას, ასე ხშირ-ხშირად რომ ახსენებდა ხოლმე თავის წერილებში: გამოსცემდა ჟურნალს და კიდევ აისრულებდა ყველა იმ ხალხის ნატვრას, ვისაც ლიტერატურაში გაუძრავს ხელი.

ნელას ოციოდე კაცი მაინც ეგულებოდა, ქვეყანა რომ გადადგეს, ჟურნალის გამოცემას ვეპირებითო. აი, ალბერტი თუნდაც; ამ საქმეზე რა ხანია იმ ტიპოგრაფიის დირექტორს აგულიანებს, ვისაც ჟურნალის გაფორმების საკითხებში უწევს კონსულტაციას. აკი ალბერტსაც უნდა სატირული ჟურნალის გამოცემა.

მართალია, გუნებაში ეცინებოდა ასეთ განზრახვაზე, მაგრამ გულზე მაინც მოუფონებოდა, როცა წარმოიდგენდა, როგორ მოკალათლებოდა რაიმუნდთან ერთად იმ ოთახში, სადაც რედაქციას მიუჩინდნენ ადგილს: მაგიდებზე წიგნებია ახორხოლებული, მიმოყრილია ნაწყობები, ტელეფონით ვის არ ეთათბირებია სსიგნალო გამოცემის თაობაზე, უნებლიეთ კი გონებას გითნებს იმაზე ფიქრი, რომ ნაციისტებს ბოლო მოედოთ და ომიც გათავდა უკვე. ამ

ფილმის ნახვა ჯერ კიდევ ომიანობის წლებში შეიძლო ნელამ, შეიძლო და კიდევაც ნახა ასეთი ცხოვრება, თვალნათლივ გაუცხადებია ყოველგვარი ნელა სქელ ქალაქდზე დანადგები ცინცხალი საღებავის მომწარო სურსაც იკრავდა ხოლმე, ისიც უნახავს, თუ როგორ შეუტანია თუქვენი ტაბლი, სტუმრები ყავაზე მოუპატიჟებია, როგორ მიუწოდებია მეფუფიქრის ცისფერი კოლოფიდან სიგარეტები, ბავშვები კი ამ დროს ეზოს იკლებდნენ ცელქობით. სურათი ყურნალიდან „კულტურა და ცხოვრება“: ბავშვები წუწაობენ, ფანჯრებზე ეალუზებია დაშვებული, რაის ხელით ჩასწორებული ფურცლები დაურიდებლად და ძალზე მუქი ფანჯრით მინახაპნი შენიშვნებითურთ მაგიდაზეა მიმოყრილი; ნელას უნახავს ეს გაცოცხლებული სურათი ყურნალიდან „კულტურა და ცხოვრება“: მწერლის ბინაში თვალმახარა მწვანე შუქი იღვრება, სწორედ აქ დაბუდარებულა ბედნიერება, ვილაცა რეკავს, — ტელეფონში ალბერტის ხმა ისმის „კემინგუეის ახალი წიგნი თუ წაიკითხე?“ — „რას ამბობ... სტატია უკვე შეკვეთილია“. ისმის სიცილი და რაიმუნდიც ისეთივე გაღაღებულია, 1933 წლამდე რომ იყო მხოლოდ. ამ ნეტარების სულ უმნიშვნელო წვრილმანებიც კი თვალწინ გაეცხადებოდა ხოლმე, ხედავდა რაის, ხედავდა ტანზე რა ეცვათ, კედელზე ჩამოკიდებულ სურათებსაც კი უცქერდა თითქოს და საკუთარ თავსაც უყურებდა ხოლმე. აი, იგი, „გემოვნებით შერჩეულ“ საინებთანაა თავდახრილი და ფორთოხალს აცლის კანს, ან თბილს არჩევს, თან იმ გამაგრებულ სასმელებს იგონებს, პაპანაქება სიცხეში რომ გამოიტანს მაგიდაზე. მშვენიერ სასმელებს შეაზავებს: წითელ, მწვანე, ცისფერ სასმელებს, სირჩებში კი ყინულის ნატეხები იტივტივებს, იბრწყვილებს ნახშირმყავას მძივები... ეზოდან სირბილით ამოსულ და აქლოშინებულ ბავშვებს რაი სახეზე სოდიან წყალს ასხურებს, ყურმილში ალბერტის ხმა ისმის: „როგორ გეკადრება, ხომ გეუბნები, ბოზულკე ნამდვილი ტალანტია“. ეს ფილმი ბოლომდე იყო გადაღებული, მაგრამ ეკრანზე იგი არ გამოსულა. ვილაცა ღვთის გლახამ ფირი შუაზე გადაჭრა.

— ვილა დარჩება ქვეყნად უბიწო? — ჩამოარაკრაკა კედლის მიღმა ბიჭმა ალბერტმა კი კედელზე მოაკაკუნა და გამოსიბაბა:

— ნელა, ტელეფონთან გთხოვენ.

— მადლობთ, მოვდივარ, — უპასუხა ნელამ და აუჩქარებლად გაემართა ტელეფონისაკენ.

ნელას ხილულ ოცნებებში ალბერტიც მონაწილეობდა: იგი ოჯახის განუყრელი მეგობარი იყო და ნელაც მისთვის საგანგებოდ თქვეფდა ნაირ-ნაირ კოქტილებს. ალბერტი მაშინაც მათთან ერთად რჩებოდა, როცა სხვა სტუმრები კარგა ხნის წასულები იყვნენ, მაგრამ ახლა, საწოლზე ჩამომჯდარი ალბერტის დანახვაზე, ხელში რომ ჯემწასმული ბურის ნაჭერი ეკავა, ნელა შეკრთა: მობერებული, დაღლილი ეჩვენა ალბერტი, თმაც შეუთხელდა თავზე და ასეთ-ნაირი უდავოდ აღარ გამოდგებოდა ნელას საოცრად სვებედნიერი ფილმისათვის.

ნელამ ალბერტს თვალი გაუსწორა, მიესალმა და მის გამომეტყველებაზე მიხვდა, გეზელერს თავისი გვარი არ უხსენებიაო. მარტინი ალბერტის საწოლთან იდგა, ხელში წიგნი ეკავა და კითხულობდა: „შეისმინე ლოცვანი ჩუენნი!“

— ერთი წუთით მომითმინე, — სთხოვა ნელამ და ყურმილი აიღო.

— გისმენთ!

ანაზღად ძალზე ახლოდან გაიგონა იმ ფილმისათვის განმარტებული თვინიერი სიტყვები, რომელზეც გული ჰქონდა აცრუებული და ნელაც თითქოს იმ სამყაროში დააბრუნეს, ჭირის დღესავით რომ სძულდა რეალობაში, აწმყოში.

— ნელა, თქვენ ბრძანდებით?

— გახლავართ.

— გეზელერი გაწუხებთ.

— იმედია, თქვენ...

— ო, რას ბრძანებთ, გვარი არ მიხსენებია, დარეკვით კი იმიტომ დავრეკე, გავიგებ, დანაპირები თუ ახსოვს-მეთქი.

— რა თქმა უნდა, მახსოვს.

— ოთახი დაჯავშნულია. პატერ ვილიბრორდიც კმაყოფილია, წამოსვლაზე რომ დაგვთანხმდით. მერწმუნეთ, არ ინანებთ.

— ცხადია, წამოვალ, — მიუგო გალიზიანებით, რადგან სიგარეტი არ ჰქონდა ხელთ: — რა სისულელეა უსიგარეტოდ ლაპარაკი!

გეზელერი გაჩუმდა, დაახლოებით ნახევარ წამს ორთავე დუმდა, ბოლოს გეზელერმა მორიდებით დასძინა:

— კეთილი, როგორც დავთქვით, საკრედიტო ბანკის შესასვლელთან დაგხვდებით. — და კიდევ უფრო მეტის მორიდებით დაუმატა:

— რომ იცოდეთ, როგორ მიხარია. ნახვამდის.

— ნახვამდის. — მოუჭრა ნელამ, ყურმილი დადო და ტელეფონის შავ აპარატს დააშტერდა, მერე კი აზრად მოუვიდა, რომ ყველა ფილმში, ტელეფონით საუბრის შემდეგ ქალები აპარატს დააშტერდებიანო, ზუსტად ისე, მე რომ დავაშტერდიო ახლა; სწორედ ასე იქცევიან ხოლმე ის ქალები, საყვარლებს რომ მეუღლის თანდასწრებით უნიშნავენ პაემანს, მოგვიანებით კი ნალვლიანად ვახედავენ მეუღლეს, ბავშვებს, შეათვალიერებენ ოთახს, აქაოდა, გვესმისო „ყოველივე ამის ფასი“, მაგრამ „თავს ზემოთ ძალა არ არის“.

აპარატს ძლივძლივობით მოაცილა თვალი, ამოიოხრა და ალბერტს მიუბრუნდა:

— მარტინი რომ წავა, სალაპარაკო მაქვს შენთან, ხომ არსად მიდიხარ?

აუჰ, რამხელა სინაზუა დედის ხმაში, რა საამოა მისი მოსმენა! მარტინმა მადვიძარას გახედა, ალბერტს რომ ედგა პატარა მაგიდაზე და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, ისევ დამაგვიანდა.

— წადი, წადი, — უთხრა ნელამ, — დროზე ახლა!

მუდამ ასე იყო ხოლმე: უკანასკნელ წუთამდე არავის გაახსენდებოდა საათი, მერე კი სახელდახელოდ აწყობდნენ ჩანთაში წიგნებს, ამზადებდნენ ბუტერბროდებს.

მარტინს ჩანთაში ჩაუტენეს წიგნები, ალბერტმა ბუტერბროდი გაუხაზირა, ნელამ კი შუბლზე აკოცა და ჰკითხა:

— ახსნა-განმარტებითი ბარათი ხომ არ გაგატანო? სადაცაა ცხრა შესრულდება, მაინც ვერ მიასწრებ.

— არ დამჭირდება, — გადაჭრით თქვა მარტინმა, — მასწავლებელი

საერთოდ აღარ კითხულობს იმ ჩემს ბარათებს, თანაც, დროზე თუ მივალ ხოლმე შემთხვევით, მთელი კლასი სიცილით იგუდება.

— არ დაგავიწყდეს, ამ სალამოს მივემგზავრებით. აბა, წადი, ხეალ თავისუფალი დღე გექნება.

ალბერტი დამნაშავესავით იდგა თავის საწოლთან.

— ეჰ, რას იზამ! — ენა ამოიღო ბოლოს. — არ დაგავიწყდეს, ამ სალამოს მივდივართ.

მარტინი კართან იყო მისული, როცა ნელამ მოაბრუნა, ერთხელ კიდევ გადაკოცნა და უთხრა:

— მე სხვაგან მომიწევს წასვლა, ალბერტი მოგხედავს.

— როდის დაბრუნდები?

— გაუშვი ბოლოს და ბოლოს, — შეუტია ალბერტმა. — ვის ესიამოვნება ყოველდღე დაგვიანება?!

— არა უშავს რა, მაინც დაგვიანებული ვარ.

— ზუსტად არ ვიცი, — უპასუხა ნელამ, — შესაძლოა, ორიოდ დღით მომიწიოს დარჩენა, მაგრამ, შეიძლება ხეალ სალამოსვე დავბრუნდე.

— კარგი აბა, — ჩაილულულა ბიჭმა, ისე რომ სინანულის ნატამალიც არ დასტყობია სახეზე. ნელამ ფორტოხალი ჩაუტენა ჯიბეში და მარტინიც ფეხათრევით გავიდა ოთახიდან.

ოთახის კარი გამოღებული დარჩა. ნელამ ერთხანს იყოყმანა, მერე მაინც მიხურა კარი და თავის ოთახში დაბრუნდა. მარმარილოს რაფაზე ჩამოდებული სიგარეტი თითქმის მთლად ჩამოფერფლილიყო და კვამლის სქელი, ღია ცისფერი ბოლქვები მალლა-მალლა მიიწევდა. ნელამ სიგარეტი ჩააქრო, დააგლო საფერფლეზე და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ რაფაზე საკმაოდ მომრავლებულიყო ყვითელ-ყვითელი ლაქები. მარტინმა დინჯად, მძიმე-მძიმედ გადაჭრა ქუჩა და მღვდლის სახლის კუთხესთან მიიმალა. ამასობაში ქუჩა გამოცოცხლდა თითქოს. მერძევე თავის მორბედს მოძღვრავდა, ვილაც წელაღვერა კაცი გაჭირვებით მიაგორებდა ურიკას, თან ნაღვლიანად, დახმატკბილებით სთავანობდა გამვლელ-გამომვლელს კეკერას ფოთლებს — ისეთივე ხასხასა სიმწვანეს, ლიმონათის ბოთლები რომაა ხოლმე კაფეში, ტენისის კორტებთან. ცოტა ხნის შემდეგ მერძევე თვალს მიეფარა, ჩაიარა მემწვანაილემაც, ქუჩაში ჩელჩანთიანი ქალები გამოჩნდნენ, კარდაკარ მოფაჭრე კაცი კი იმ უხილაგ ხაზს დაადგა, ამ ათიოდე წლის წინათ ფოსტალიონი რომ გამოჰყვებოდა ხოლმე, თუკი წერილი ნელასთანაც ჰქონდა მოსატანი. მეწვრილმანეს ზორტით შეკრული, გატიკნული ჩემოდანი ეკავა ხელში და თავი უიმედოდ ჩამოექინდრა. ვაჭარმა ბაღის ჭიშკარი შეაღო, ნელა კი ისე უცქერდა მას, კინოეკრანს რომ შეხედავენ და როცა მართლა მოესმა ზარის წკრიალი, ანაზდად შეკრთა: აკი ჰგავდა კიდევ იმ აჩრდილივით კაცს, მზეგზიან ფილმში რომ ჩაამონტაჟებენ, გრძნებით შეკრულ, სიზმარეულ ფილმში, სადაც რედაქციაა ნაჩვენები, ლაპარაკია ჟურნალზე, ნაწყობებსა და გამაგრილებელ სასმელებზე; ფრთხილად, გაუბედავად რეკავდნენ ზარს. ნელამ ერთ ხანს შეიცადა, იფიქრა, ალბერტი გაადებსო კარს, მაგრამ ალბერტს ფეხიც არ მოუცვლია ადგილიდან და კარის გასაღებად წინკარში ნელა გავიდა. მეწვრილმანეს უკვე თავიც აეხადა ჩემოდნისათვის, გამოემზეურებინა საგულდაგულოდ ჩაწყობილი მუყაოს ფურცლები, რომლებზეც წვივსაკრავები იყო დამაგრებული, ქალაღზე დაკერებული

დილები და ლავანდიან ფლაკონზე გამოსახული მომღიმარი ქერა ქალი, ზუსტად ისეთი, ალბერტის ფლაკონს რომ ეხატა. ახალთახალი, პირმოძვინარი კურტიზანელი ქალი როკოკოს სტილის კაბაშია გამოწყობილი და საფოსტო ეტლს ემშვიდობება. ხელში აბრეშუმის ცხვირსახოცი უკავია, უკან კი ფრაგონარისეული ხეები მოჩანს. ნახატის მიმქრქალი კონტრასტის შემყურეს სევდა მოგეძალება და შორს ნახატზე, სადღაც ძალზე შორს, საფოსტო ეტლის ფანჯრიდან შეყვარებულის ცხვირსახოცი ფრიალებს. სულ უფრო და უფრო შორდება საფოსტო ეტლი იქაურობას, მაგრამ არ პატარავდება მაინც. ოქროსფრად ციმციმებს მწვანე ფოთლები ფრაგონარისეულ ხეებზე, ალერსისათვის შექმნილ პაწია და მოვარდისფრო ნაზ ხელს ცხვირსახოცი უკავია და მეწვრილმანემაც უცნაური მზერა შეაგება ნელას; იმის ვაფიქრებაც ვერ გაებედა, ქალი იყიდისო რამეს, თანაც ამ ლავანდას, ყველაზე ძვირფას წვრილმანს, რაც კი ჩემოდანში აქვს გამოწყობილი; იცოდა, ქალს შეუძლიაო ამას ყიდვა, მაგრამ, რას გაბედავდა თავის დაიმედებას, იმაზე ფიქრსაც კი ვერ ბედავდა, ვერცხლის დიდი მონეტა, ახლა რომ ქალს უკავია ხელში, შესაძლოა ჩემს ჯიბეში აღმოჩნდესო. განა კი რა სახსენებელი იყო იმედი, ან თუნდაც რწმენა, ამოდენა გამოცდილებასთან პირისპირ. ნატანჯი სახე სულმთლად მოლუშვოდა.

ნელამ ფლაკონი ამოიღო და ხმადაბლა ჰკითხა:

— ეს რა ღირს?

— სამი მარკა, — ამოცქაფა მეწვრილმანემ და შიშისაგან გაფითრდა კიდევ, რაკილა მაინც შეესწრო სასწაულს. მერე უნებლიეთ ამოიოხრა, როცა ნელამ კიდევ შეარჩია რაღაც, სახელდობრ ისევ ის ტურფა, — ამჯერად იგი ფაიფურის ტაშტში იბანდა ხელებს. ალერსს დაჩვეული ნატიფი თითები უგამკვირვალესი წყლით სავსე ტაშტში ნებივრობენ, ღია ფანჯარაში ფრაგონარისეული ბალი მოჩანს და ტურფა ქალის „თაბაშირივით თეთრი“ მკერდიც საპნის ეტიკეტზეა გამოხატული.

— ამას როგორ ჰყიდი? — იკითხა ნელამ და საპნის ნაჭერიც აიღო.

— ერთ მარკად, — უბასუხა მეწვრილმანემ და სახე მოექუშა თითქოს, რადგან ხორცს ისხამდა ამოდენა იმედი, — აწი ხომ ორი კვირით მაინც მოითბობდა ხელს, მოიმკიდა იმ ბედნიერებას, ეჭვის თვალით რომ უყურებდა, ვაითუ, ცუდად გათავდესო ყოველივე.

— ესე იგი. სულ ოთხი მარკა, არა? — და მეწვრილმანემაც შვებით დაუქნია თავი.

ნელამ ოთხი მარკა ჩაუთვალა, — ვერცხლის მონეტები, თან ჩემოდნის სახურავზე სამი სიგარეტი დაუწყო.

შიშისაგან მადლობის თქმაც ვერ მოახერხა, სულელურად მიაშტერდა და საჩუქრად უფასო, ძალდაუტანებელი ღიმილიც მიიღო. ღიმილმა თვალის დახამხამებაში გაჭრა და მეწვრილმანესაც ველური ჟინი მოაწვა, დამალი ჩამოუვიდა იმ სილამაზის დაუფლების სურვილით, აქამდე რომ საპნის ეტიკეტებსა და კინოეკრანზე ენახა მხოლოდ, არადა, ეს გულისშემძვრელი ღიმილი ახლა წინკარის სიბნელეში კრთოდა. ნელა დაფრთხა და კარი მიხურა.

— ალბერტ! — გასძახა ნელამ, — მოდიხარ? წასასვლელი ვარ.

— მოვდივარ, — მოესმა ალბერტის ოთახიდან.

ნელა თავის ოთახში მიბრუნდა და კარი ღიად დატოვა. ცოტა ხნის შემდეგ

ალბერტიც მოადგა, საგარეოდ იყო გამოწყობილი: ჯიბიდან გაზეთის ყური მოუჩანდა, ხელში მანქანის გასაღები ეკავა, თან ჩიბუხს აბოლებდა.

— გინდოდა რამე? — ჰკითხა ალბერტმა და კარის სიღრმეში ჩაღვია.

— შემოდის, მანდ რას უდგახარ, — შემოიპატიჟა ნელამ, — თუ დრო არა გაქვს?

— ჰო, მეჩქარება, — მიუგო პასუხად, მაგრამ მაინც შევიდა ოთახში და სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

— მიემგზავრები?

— კი, უნდა წავიდე.

— დიდი ხნით?

— ჯერ კიდევ არ ვიცი, შეიძლება ხვალვე დავბრუნდე... სემინარზე მივდივარ, — დააყოლა ნელამ.

— რა სემინარია?

— მოხსენებებს წაიკითხავენ თემაზე: „ლიტერატურა და საზოგადოება“, „ლიტერატურა და სამღვდელთაობა“.

— აბა, არ უნდა იყოს უინტერესო.

— ბოლოს და ბოლოს, — წამოიწყო ნელამ, — მეც ხომ უნდა ვეწიო რაიმე საქმეს. სიამოვნებით ვიმუშავებდი სადმე.

„ისევ დაიწყო თავისებურად“, — გაიფიქრა ალბერტმა, ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— რა თქმა უნდა, რაიმე საქმეს უსათუოდ უნდა ეწიო, მაგრამ შენი სადმე მუშაობა, სისულელე იქნება და მეტი არაფერი. უმრავლესობა იმიტომ მუშაობს, რომ ოჯახი ჰყავს სარჩენი, ბინის ქირა აქვს გასასტუმრებელი და ასე შემდეგ. იმისათვის, რომ საქმეს ეწიო, მუშაობის დაწყება სულაც არაა საჭირო, არადა, თუ მოისურვებ, ასეთი საქმე გამოუღლევლად გექნება.

— ვიცი, — ამოიოხრა ნელამ და პატერ ვილიბრორდის ხმას წაბაძა: „უნდა ვიყო მეუღლის ხსოვნის ერთგული, გავაგრძელო მისი საქმე“.

— რატომაც არ უნდა გააგრძელო, — შეეპასუხა ალბერტი, — აი, გადაქექე წერილების ის ყუთი, ამოარჩიე ვილიბრორდისა და შურბიგელის წერილები, დათვალე რამდენი ხოტბა, რამდენი ქება — დიდება შეუსხამთ ფიურერისათვის, — განა ეს საქმე არ არის?

— ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! — აღმოხდა ფანჯარასთან მისულ ნელას, — მთელი ჩემი ცხოვრება ხომ არ უნდა ვუდარაჯო იმ ოცდაჩვიდმეტ ლექსს! მარტინს ჩემზე უკეთესად შენ უვლი, გათხოვებით მე აღარ გავთხოვდები, სულაც არ მინდა იმ ბედნიერ დედას მიმამსგავსონ, ილუსტრირებულ ჟურნალებში რომ ბეჭდავენ ხოლმე; არ მინდა არავის ცოლობა, რაიმუნდისთანა ადამიანი მაინც არსად შემხვდება, თვითონ რაიმუნდი კი აღარ დამიბრუნდება. რაი მოკლეს, მე კი დამაქვრივეს და ეს ყოველივე ... ამშობლოსათვის, ... იურერისათვის, ... ალხის გულისათვის მოიმოქმედეს. ნელამ იმ ექოს წაბაძა, ეკლესიის კედლებში რომ დაიგუგუნებს ხოლმე, სემინარისტების პათოსით მოძახილ, სიცრუითა და რისხვით აღსავსე ექოს. — ან იქნებ ფიქრობ, იმ უტვინოებთან ურთიერთობა მიხარია?

— აბა, რისთვის მიდიხარ? — მხრები აიჩეჩა ალბერტმა. — სხვათა შორის, ერთ ღამეში გავხდი შეძლებული კაცი. — „სანლაითის“ ყუთის გახსენებაზე ალბერტს უმწეოდ გაეღიმა. — მარტინთან ერთად მშვენიერად გავატა-

რებდით შაბათ-კვირას, შენ ვილისთან ისაუბრებდი კინოფილმებზე, თუ გინდა, — დააყოლა ალბერტმა და ნელამაც თვალი თვალში გაუყარა, რადგან ალბერტს ხმა გამოეცვალა თითქოს, — თუ გინდა, ნამდვილი მთავრობა მოვაწყობ,

— მე და შენ?

— არა, მარტინთან ერთად, — უბასუხა ალბერტმა. — თუ დაგვთანხმდები, მარტინის ამხანაგსაც წამოვიყვანთ, ცხადია, თუკი წამოვა.

— რატომ არ შეიძლება, მე და შენ რომ წავიდეთ მარტონი? მაინცდამაინც ოჯახური ბედნიერების სცენა უნდა გავითამაშოთ? რა ყრია ამ ბედნიერებაში? მტკნარი სიცრუეა და მეტი არაფერი: მომლიმარი მამიკო, მომლიმარი შვილიკო, მომლიმარი დედიკო.

— რატომ და, არ ივარგებს, თავად დაფიქრდი! ჩვენ ორის წასვლა მარტინს გონებას აუმღვრევს, შეიძლება გულიც გაუტყდეს ყველაფერზე, მისი ამხანაგისათვის კი ეს ამბავი სულაც უკანასკნელი წვეთი იქნება. რა ჩემი ბრალია, — დააყოლა ხმადაბლა, — მაგრამ ბიჭებისათვის უკანასკნელი იმედი ვარ და უთოდ უკურნებელ ტრავმას მივაყენებ, მეც რომ ამოვაშლევინო თავი ძიების იმ კატეგორიიდან, რომელსაც ახლა ვეკუთვნი.

— მარტო შენზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ რას იზამდი?

— ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? ნუთუ მართლა ეპირები ისეთ დღეში ჩამავდო, მთელის არსებით რომ ვარიდებ თავს? მოვრჩეთ ახლა ამაზე ლაპარაკს, — სიტყვა დაულახა ალბერტმა. — წასასვლელი ვარ, ბრეზგოტე მელოდება.

— მაშ, მთელის არსებით არა? — გაიმეორა ნელამ, ისე რომ ალბერტისაკენ არც შემობრუნებულა.

— დიახ, მთელის არსებით. ან იქნებ ფიქრობ, აქ, ამ სახლში ვეარშიყოთ ერთმანეთს, სადაც ყველაფერი მოჭანებებითაა გაყდენთილი, ხალხის თვალში კი კეთილი ძია და პატიოსანი დედა გამოვჩნდეთ? ეს თუნდაც იმიტომია სისულელე, რომ ბავშვების თვალს მაინც არაფერი გამოეპარება.

— ისევ ბავშვები, — ჩაილაპარაკა ნელამ, — ამდენი ლაილაი და ისევ და ისევ ბავშვების გამო.

— ლაილაი დაარქვი თუ გინდა. მაგრამ ქორწინებას მაინც ვერსად გავეცევი.

— გავეცევი! აღარ გავთხოვდები, არა! მირჩევნია, უნუგეშო ქვრივი მერქვას, ვიდრე სახეგაბრწყინებული მეუღლე და... ამშობლოს. ...ახლის ძირი და ფესვი.

— თუ მოდიხარ, წამოდი, ან კიდევ დარჩი. გარწმუნებ, გაძლებაზე იქნები.

— ვერ დავრჩები, — მოუჭრა ნელამ, — აუცილებლად უნდა წავიდე. სხვა დროს თუ არ მქონია რაიმე განსაკუთრებული მიზეზი, ამჯერად ნამდვილად მაქვს. უსიკვდილოდ უნდა ჩავიდე. — ნეტა რას იტყვის, გეზულერი რომ ვუხსენო? — გაიფიქრა ნელამ.

ალბერტმა ნელას ჩემოდანს წაავლო ხელი და ნელამაც, თითქოსდა სასხვათაშორისოდ ეუბნებო, ოთახიდან გასვლისას უთხრა: — იმაზე მეტს, დღეს-დღეობით როგორც ირჯები ჩემთვის, მაინც ვერ შეიძლება, ისიც ბევრია, ბიჭს რომ უვლი, მაგრამ წუთითაც არ იფიქრო, მშურდეს შენი ან ვეჭვიანობდე.

გარეთ დამთბარიყო. ალბერტმა ხელთათმინები წაიძრო, მოიხადა ქუდიც, მანქანაში ჩაჯდა და მოტორი რომ ჩართო, ნელამ მაშინლა განაგრძო: — ძალიან მინდა, შენსავით მქონდეს რაიმე საქმე. ალბათ, ძალზე ბედნიერი კაცი ხარ!

— სულაც არა ვარ ბედნიერი. — მომდევნო სიტყვები აგრესიული ძრავის ხმაურმა შთანთქა და ნელამ ბოლო წინადადება გაარჩია მხოლოდ: — სულაც არა ვარ, საქმე კი შენც შეგიძლია გაიჩინო.

— ვიცო, მაგალითად, მონაზვნებს წავეხმარო, ვიანგარიშო წესები, ვეცნო შარვლები, უფროსი მონაზონი კი ასე შემაქვს: „რომ იცოდეთ, რა კარგი მწე შეგვემატა, — პოეტის მეუღლე“!

— ნუ სულელობ, — შეუტია ალბერტმა და იმის დანახვაზე, თუ როგორ გადართო სიჩქარე, ნელა მიხვდა, გული მოუვიდაო.

— რაც მოგეპრიანება, ის ილაქლაქე, გუნებას მაინც ვერ გამიფუჭებ; რამდენიც გინდა, ლანძღე მონაზვნები, მაგრამ მათს ცხოვრებას მაინც აქვს აზრი, რაღაც ჭაბანს ზომ ისინიც ეწევიან; მე პირადად ასე მიმაჩნია ყოველთვის, თუმცა კი, იმათ ყაიდაზე ცხოვრება ვერ ვიგუფე. ის ხალხი მუდამდღე ლოცულობს და ლოცვისათვის რომ მეტი დრო დარჩეთ, სიამოვნებით შევეხილები შეძლებისამებრ.

— ზოგჯერ შეგშურდება კიდევ, როცა გაიგებ, ამან და ამან მშვენივრად მოიწყობო ცხოვრება, — ნელა აქვითქვოდა, მაგრამ სულ მალე ისევ მოთოკა თავი და ამოღერდა:

— ახლა ცოლი გჭირდება და შენს ბედს ძალიც არ დაჰყევს.

— რატომაც არ მჭირდება, — უბასუხა ალბერტმა და როცა პიპინსტრასესთან წითელ შუქნიშანზე მანქანა დაამუხრუჭა, ხელი ხელზე მოჰკიდა ნელას. — ეგ შენი სნობიზმი, კარგს არაფერს დაგაწევს.

ნელას არც უცდია ხელის გათავისუფლება.

— რა შუაშია სნობიზმი, უბრალოდ, ვერ მომიხელებია, ქმარი რომ მომიკლეს. არც პატიება შემიძლია, არც დავიწყება, არც ის მინდა, ხელმეორედ გავახარო და სახეგაბრწყინებელი, ბედნიერი მეუღლის როლში დავენახო.

— ვინ არ უნდა გაახარო?

— ვინ და, ეგენი, — მშვიდად მიუგო ნელამ. — თავადაც მიხვდები, ვის ვგულისხმობ. მწვანე შუქია, წადი.

ალბერტმა მანქანა დაძრა.

— იმ შენი საქმეებიდან, შენ რომ გამოიწყე, არც ერთი არ მიგიყვანია ბოლომდე. შენ არც დედა ხარ რიგიანი, არც ჭვრივად ვარგისარ: შენზე ვერც იმას იტყვი, გაფუჭებული ქალია, ან საყვარელიაო ვინმესი. იცი, ზოგჯერ ვეჭვიანობ ხოლმე, გული მწყდება, — დააყოლა ალბერტმა. — არ იფიქრო, იმ ტეტერა ხალხზე ვეჭვიანობ. უბრალოდ, წლები მენანება, ასე ტყუილუბრალოდ რომ გაფლანგე და ერთი რამ ალბათ სულ მუდამ ასე დარჩება: მამაკაცი იმაზე უკეთესს ვერაფერს შესთავაზებს ქალს, თუ არა — ცოლად გამომყევიო.

— არც მასვა მთლად. ზოგჯერ გაცილებით მეტს ნიშნავს, ქალის რჩეული გახდე. უცნაური კია, უწინ ქალებს გათხოვება ახარებდათ, დღესდღეობით კი პირიქით ჩანს. ასეა თუ ისე, ეგ ამბავი მე პირადად სულ არ მჭირდება.

— ამიტომ გეუბნები, სნობი ხარ-მეთქი. იმ ბატისტინებთან გატარებული წლები, ცხადია, თავისას იზამდნენ. სად ჩამოგსვა?

— შემნახველ სალაროსთან. — უბასუხა ნელამ.

ალბერტი პოლიციელის ნიშანს დაელოდა, მერე კარლ დიდეს მოედანს შემოუარა და მანქანა შემნახველ სალაროსთან გააჩერა. ჯერ თვითონ გადმოვიდა მანქანიდან, ნელასაც შეეშველა და საბარგულიდან ქალის ჩემოდანი ამოიღო.

— ამჯერად, — გაუღიმა ნელამ, — ტყუილუბრალოდ მომხმარებელი ხარ.

ალბერტმა მხრები აიჩეჩა.

— რა გაეწყობა. ჩვენ ხომ პირიქით აგვეწყო საჭმე. უწინ ერთგული ქალები ელოდებოდნენ იმ დღეს, როცა მათ უკუღმართი კაცები ითხოვდნენ, ახლა კი მე, შენის ნებართვით ერთგული კაცი, მე უნდა ველოდო, როდის მომცემს უკუღმართი ქალი მისი შერთვის უფლებას.

— ერთგული რომ ხარ, ვიცი, — დააშოშმინა ნელამ, — ისიც ვიცი, რომ ღირსებაა ეს.

— ალბერტმა ხელი გაუწოდა ქალს, მანქანაში ჩაჯდა და მოედანს ხელმეორედ შემოუარა.

ნელამ შეიცადა ერთხანს, ვიდრე ალბერტის მანქანა მეროვინგების ქუჩაზე გაუხვევდა, მერე ერთ-ერთ ტაქსს დაუქნია ხელი, გაჩერებაზე რომ იდგნენ „ძველ კარიბჭესთან“ და მძღოლს მიუბრუნდა:

— საკრედიტო ბანკთან.

თავი XII

სხვა დროს სულაც არ მიეჩქარებოდა ხოლმე შინისაკენ. გაკვეთილების მერე იმ ბიჭებს აეტორღილებოდა, მაწანწალების სახელი რომ ჰქონდათ გავარდნილი, მაგრამ იმ ბიჭებშიც კი არაფერს ერია ისეთი, მარტინივით ეთრია ფეხი. ზოგიერთი თავქუდმოგლეჯილი გავარდებოდა სახლისაკენ, ვის — შიმშილი აწუხებდა, ვის, უბრალოდ, სახლში მისვლა ეხალისებოდა; ზოგს მალაზიაში უნდა შეერბინა, ანდა, უმცროსი და-ძმისათვის საჭმელი შეეთბო. ბრილახი, მაგალითად, თვითონ ამზადებდა თავის პაწია დაიკოსათვის საჭმელს, სკოლაში მუდამდღე მისავათებული მოდიოდა და ზარი დაირეკებოდა თუ არა, შინისაკენ მოკურცხლავდა ხოლმე. დედამისი გაკვეთილების დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე მიდიოდა სამუშაოზე, ვილმას ლეოსთან უწევდა დარჩენა და ჰაინრიხსაც ბოლო გაკვეთილზე ცქმუტვა აიტანდა, მოსვენება აღარ ჰქონდა, როცა კი ბავშვს ლეოსთან დაიგულებდა; რამდენჯერ უთქვამს მარტინისათვის, ეკლებზე ვზივარო.

ბრილახს მართლაც არასოდეს ჰქონია მოსვენება. წელებზე ფეხს იდგამდა ხოლმე და სკოლაში სიარული მეორეხარისხოვან, უსარგებლო, თუმცა კი სასიამოვნო საჭმელს მიაჩნდა, ცხოვრებასთან რომ არაფერი ჰქონდა საერთო: სასიამოვნო იყო ყინულფენის ქვეშ იმ ბუშტულების ცქერა, ლამაზ-ლამაზი სათამაშოებივით რომ გავართობდნენ, მაგრამ სად იყო საამისო დრო?! სკოლაში ზოგჯერ თავსაც კი მოაბეზრებდა ყოველივე და ვილმაზე ფიქრი თუ დარდად არ ჩაჰყვებოდა, ბოლო გაკვეთილზე წაუთვლემდა კიდევ.

სამაგიეროდ მარტინი იჯდა ფხიზლად და ზარის დარეკვას ელოდებოდა. დრო ჰაერში შეიყუყებოდა თითქოს, ჩამოხვავდებოდა, რომ ერთის წაკვრით

გადაეგდო დიდი ისარი თორმეტთან და ზარიც დაირეკებოდა. ბრილახი ელ-
და ნაკრავივით წამოხტებოდა, დაიტაცებდნენ ზურგჩანთებს, გზადაგზა მოიგდებ-
დნენ მხრებზე და დერეფანში გაქანდებოდნენ. მერე ეზოს გადაირბენდნენ,
ეზოდან ქუჩაში გავარდებოდნენ, კუთხის სახლამდე გასწრებაზე გაიქცეოდ-
ნენ, იქ კიდევ მარტინს მარცხნივ უნდა გაეხვია, ხოლო ბრეტლესს მარჯ-
ვნივ. სხვა ბიჭებს კარგა დიდზე ჩამოიტოვებდნენ და სკოლაში მიმავალ გო-
გონებს რომ არ დატაკებოდნენ, შუა ქუჩაზე გარბოდნენ.

კუთხესთან ბრილახმა მიასწრო და თუმცა ეჩქარებოდა, მაინც დაუცადა
მარტინს. დამშვიდობებისას მარტინმა მიაძახა:

— წამოხვალ ბიტენჰანში? გამოგივლით!

— დედას უნდა დავეკითხო.

— აბა, შენ იცი, კარგად იყავი.

შინ მისასვლელად თხუთმეტითაღე წუთი დასჭირდებოდა, მაგრამ ამ გზას
ხუთ წუთშიაც გაირბენდა. მარტინი შურდულივით გაქანდა, მოუთმენლობისა-
გან სუნთქვაც კი შეეკრა და უკვე შორიდანვე შენიშნა, რომ სახლის შორიან-
ლო ალბერტის მანქანა არსად იდგა. ბიჭმა ბალის გაღავანს მიაღწია, სული
მოითქვა და უკანვე მიიხედა, — ალბერტს ამ ქუჩით უნდა გამოეგლო, ბრეზ-
გოტესაგან რომ დაბრუნდებოდა. არ უნდოდა სახლში მისვლა. ბოლდა წასუ-
ლი იყო, არც გლუმი ეგულებოდა შინ, არადა, პარასკევი საშიშ დღედ ითვლე-
ბოდა — ბებიას დღედ. წარმოდგენა სათაურით „სისხლი მაქვს შარდში“, ჯერ
არ გათამაშებულა ბოლომდე, ფოვინკელის სარდაფში დღეს თევზის ორმოცი
სხვადასხვანაირი კერძი ექნებათ, თევზი კი დასანახად ეჩავრებოდა. ალბერტი
რომ ქუჩის კუთხიდან გამოუხვევს, ხელად შენიშნავს გაღავანთან ჩაცუცქულ
მარტინს და ბიჭსაც გული მოსდიოდა ალბერტზე, რატომ დააგვიანდაო.

მარტინი წამოდგა და უკანვე წალასლასდა ბენზინგასამართი წერტი-
საკენ.

მხოლოდ ახლა გამოჩნდა დაღლარა გოგონების ერთი ჯგუფი, სხვა დროს
რომ ქუჩის კუთხეში შეხვდებოდა ხოლმე; გოგონებმა ქუჩა გადაჭრეს, აჭხე-
დეს ეკლესიის საათის ოქროსფერ ისრებს და გზა უკვე ჩორთით განაგრძეს.
ერთი-ორმა გოგონამ ქლოშინ-ქლოშინით ჩაირბინა ქუჩა, მოშორებით კი მარ-
ტინმა სხვა ჯგუფი დაინახა, დინჯად რომ მიუყვებოდა გზას. მარტინი სათითა-
ოდ იცნობდა ყველას: ამ გოგონებს ყოელდღე ხედავდა მეორე ცვლის დაწ-
ყებისას, ხოლო აი ისინი, ნაბიჯს რომ უმატეს, ახლა, ბენზოწერტთან შემო-
ხვდებოდნენ ხოლმე, რომლის გაღავანზეც მარტინი იჭდა. დღეს ყველაფერი
აირ-დაირია და ამ უაზრო სირბილის გამო საკუთარ თავზეც მოსდიოდა ბრაზი.
სხვა დროს ყველაზე ბოლოს მოჩანჩალებდა სკოლიდან და გაღავანზეც იმ
დროს შემოჭდებოდა, როცა ხელჩაქნეული ის დაღლარები ფეხსაც აღარ აუჩ-
ქარებდნენ, მაინც დავაგვიანეთო. ახლა სწორედ ისინი ახტებოდნენ ზეთა ჩრდი-
ლებს; ისე დაკინკილებდნენ, გეგონებოდა, ზღურბლს ახტებიანო. ამ გოგო-
ნებს ბენზოწერტთან ხვდებოდა ხოლმე, დღეს კი მარტინი ჯერ იყო და თითქ-
მის სახლშიაც მივიდა, მერე უკან დაბრუნდა, გოგონებს კი ჭერაც ვერ მოელ-
წიათ გაღავანამდე. მერე იმ გოგონებმა ჩაირბინეს, დაგვიანებით სკოლაში მის-
ვლას რომ ჯერ კიდევ არ იყვნენ დაჩვეულნი: თმა უკრიალებდათ, სახე აჭარბ-
ლებდათ. დიდი ისარი ეკლესიის საათზე უკვე მიჩოჩდა სამიანთან და მათ
სირბილსაც აღარ ჰქონდა აზრი: სკოლაში მაინც დააგვიანებდნენ.

ძია ალბერტის მანქანა არ იქნა და არ გამოჩნდა, ამდენი ცქერით თვალი ჩამოუწყალდა მარტინს, ჰოდა, ეს ამბავი ალბერტის ბრალი იყო მხოლოდ.

ორის თხუთმეტი წუთი შესრულდა, როცა ის დინჯი დაღვარების ჯგუფი ქუჩაში გამოჩნდა და ცხოვრების ჩვეული რიტმიც აღდგა. სულ ტყუილუბრალოდ? ირბინა ამდენი, რატომ მოიკლა თავი? ამ წუთიდან მოყოლებული ხომ ძველებურ კალაპოტში მოექცეოდა ყოველივე! გოგოები იცინოდნენ, ჭორაობდნენ, და მარტინმაც გოგოებს შურით გააყოლა თვალი, — აკი თავზეხელალებულთა რიცხვს ეკუთვნოდნენ. თავადაც სიამოვნებით აიღებდა ყველაფერზე ხელს. თავზეხელალებული იმათ ერქვათ, ვისთვისაც სულ ერთი იყო ყველაფერი. თავისთავად სიტყვა თავზეხელალებული მაინც ბუნდოვანებით იყო მოცული, რადგან თავზეხელალებულში ისეთებიც გამოერეოდნენ, რომელთა მშობლებს ჩეჩქივით ჰქონდათ ფული, არადა, იყვნენ ისეთებიც, ვისაც საერთოდ არ ჰქონდა ფული. ზოგჯერ ბრილახიც ხელს აიღებდა ხოლმე თავზე, მაგრამ მისი თავზეხელალებულობის შემსწრე უმალ იმას იფიქრებდი, ამაყიო და შუბლზეც ეს ეწერა: „ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ ჩემგან?“ თავზეხელალებულად ის ითვლებოდა, ვისზეც სკოლის დირექტორი იტყოდა, მოვტეხოთო უნდა; სული კოჭებში გაგებარებოდა, ამ სიტყვებს რომ გაიგონებდი, იფიქრებდი, ბავშვებზე კი არა, ასანთის ლერზე ან გასატკევერ ძვალზე ლაპარაკობსო და ერთხანობას მარტინს ისიც სჯეროდა, ფოვინკელის სარდაფში სწორედ ამ „მოტეხილ თავზეხელალებულს“ სთავაზობენო მუშტრებს. მეორე კლასში იყვნენ, როცა ჰეველი მოტეხეს და ისიც გაქრა სადღაც. ბოლო ხანს იგი პოლიციელებს მოჰყავდათ სკოლაში, მაგრამ დასვენებებზე ჰეველს მიწა ჩაყლაპავდა თითქოს. მოგვიანებით მან ბორნიც აიყოლია; ისინი ერთად ცხოვრობდნენ ბომბსახიზნში და ერთადაც ურცხვობდნენ, ხოლო როცა დასჯიდნენ, იკრიბებოდნენ მხოლოდ და დირექტორიც ასე ამბობდა: მოტეხოთო უნდა. მოგვიანებით ორთავე გაქრა და მარტინმაც იფიქრა, ალბათ მოტეხეს, რათა ფოვინკელის სარდაფში ფულიან ძვლის-მკვნიტელთ და ბავშვიჭამიებს შესთავაზონო კერძად.

მართალია, ალბერტმა აუხსნა, როგორც იყო საქმე, მაგრამ ბევრი რამ მაინც ეეჭვებოდა. იღუმალებით აღსავსე ეჩვენებოდა თუნდაც ბომბსახიზნი, ბაღებს შუა მოქცეული ბეტონის ის უფანჯრო გორაკი, სადაც ჰეველი და ბორნი ცხოვრობდნენ. ერთიცა და მეორეც მოტეხეს და ამის მერე ორთავე გაქრა; — კოლონიაში გადაიყვანეს, — აუხსნა ძია ალბერტმა.

ალბერტი არსად ჩანდა და არც არასოდეს გამოჩნდებოდა. მარტინი ცვალმოწყურული გაჰყურებდა ქუჩას, — ქალაქიდან ამ გზით ამოდიოდნენ მანქანები, მაგრამ ალბერტის მანქანა არ იქნა და არ გამოჩნდა, არსად ჩანდა ის ნაცრისფერი, ფართო და ძველისძველი „მერსედესი“, ათას მანქანაში რომ გამოარჩევდა მარტინი.

არადა, ვის მიაკითხავ? ბრილახთან მისვლა არ უნდოდა: ლეო შინ იყო ჯერ და მხოლოდ სამ საათზე წავიდოდა სამუშაოზე. ბოლდა ეკლესიას ალაგებს და იმასთან თუ მიხვალ, მერე საკრძალავიდან ბუტერბროდს აუწაპნი და ზედაც ცხელ ბულიონს დააყოლებ, თერმოსში რომ აქვს ხოლმე შემონახული.

მარტინმა ვიღაც დაღვარა გოგოს მოჰკრა თვალი, მხოლოდ ახლა რომ მოლინდილებდა ქუჩაში. თავადაც ბევრჯერ ყოფილა ამ დღეში, — განა რა მნიშვნელობა ჰქონდა, ოც წუთს დაიგვიანებდა თუ ოცდახუთს? გოგონა გულის-

ყურით ათვალიერებდა ხეებიდან ჩამოცვენილ პირველ ფოთლებს, მეტე კონად შეკრა დიდრონ-დიდრონი, ოდნავ შეყვითლებული ფოთლები და ამ თაიგულით ხელში დინჯად გადაჭრა ქუჩა.

პირველად ხედავდა ამ გოგოს: მუქი ფერის თმა აწეწვოდა და მარტინიც აღტაცებული დარჩა, ისე გულდამშვიდებული მიაჩნდა იგი. მარტინმა ადგილიც კი მოიხატა გალავანზე, უკეთესად შეეხედავო. კინოთეატრი იქვე იყო, ბენზოწერტის შორიახლო. იქ გამოკრული აფიშები მარტინმა ბრილახთან ერთად დაათვალიერა და ამ ორშაბათს ფილმის ნახვასაც ეპირებოდნენ.

აფიშაზე, ამწვანებულ ორ ალვას შორის, პარკის ბრინჯაოსფერი ჭიშკარი მოჩანდა; ჭიშკრის ცალი ფრთა გამოღებული იყო და ლიობში იისფერკაბიანი ქალი იდგა. საყელოს მაგივრად კაბას ოქროსფერი, ყელზე მომდგარი ფართო ორშია ჰქონდა და ფართოდ გახელილი თვალებით ქალი იმ გამვლელს აშტერდებოდა, აფიშის დასათვალიერებლად რომ დადგებოდა, მისი იისფერი მუცლის გასწვრივ კი ირიბად გაეკრათ თეთრი წარწერა: „ს ა ბ ა ვ შ ვ ო ს ე ა ნ ს ი“. ზემოთ, აფიშის ცისფერ ცაზე, კოშკის მიღმა რომ მოჩანდა, ფილმის სათაური ეწერა: „გ უ ლ ის ტ ყ ვ ე“.

არაფრად აგდებდა ისეთ ფილმს, როცა აფიშაზე გულდახურული კაბით გამოაციმციმებდნენ ვინმე ქალს, თან ზღაპრულ წარწერას აახლებდნენ: „ს ა ბ ა ვ შ ვ ო ს ე ა ნ ს ი“. საშინლად მოსაწყენი იყო ხოლმე ასეთი ფილმები, ხოლო თუ აფიშიდან მკერდგადაღებული ქალი იცქირებოდა, თან წითელ წარწერას გააკრავდნენ: „ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ა რ დ ა ი შ ვ ე ბ ი ა ნ“, — ეს ფილმი უთუოდ ამორალური უნდა ყოფილიყო; მარტინს არც საბავშვო ფილმები ეპიტნავენოდა, არც ამორალური შინაარსის კინოები და საუკეთესო ფილმებად მაინც კოვბოური, ან ნახატი ფილმები მიაჩნდა.

მომავალი კვირიდან სწორედ ამორალური ფილმი უნდა აჩვენონ. ამ ფილმის ანონსიც იქვე იყო გაკრული: მკერდაგადაღებულ ქალს ვიღაც პალსტუხიანი მამაკაცი ეხვევა, პალსტუხი გვერდზე მოქცევია, სახეც შეშლილი აქვს, თითქოს და ყოველივე ეს იმ სიტყვას გაგახსენებდა, ბრილახის დედამ რომ მიახალა ხაბაზს, მარტინმა საკუთარი ყურით გაიგონა ეს სიტყვა, როცა პაინრიხთან და ვილმასთან ერთად სახაბაზოს კარს მიაღწა.

თბილი, მოტკბო სუნი ტრიალებს ხოლმე სახაბაზოში, ხის თაროებზე ახალგამომცხვარი, ცხელ-ცხელი პურები აწყვია და მარტინსაც ყურს უამებდა კომსაზელი მანქანის კაპუნ-კაპუნი, მოსწონდა კრემსაცხები ის დიდი შპრიციც, რითაც ხაბაზი ტორტზე გამოძერწავდა ხოლმე: „გილოცავთ დაბადების დღეს“. ხაბაზი მარჯვედ ხმარობდა შპრიცს, ლამაზ-ლამაზად, უშეცდომოდ და ისე ხელდახელ გამოაწიკწიკებდა სიტყვებს, მავანი და მავანი ავტოკალმითაც ვერ დაწერდა, ბრილახის დედა კი ხელის ერთი მოსმით დახატავდა ყვავილებს. სახლებს, საკვამლურიდან ამოსულ ბოლს და საერთოდ, რა გინდა რომ არ დაესატა. ბრილახს რომ წამოჰყვებოდა, სახაბაზოს უკანა მხრიდან შემოუვლიდნენ, სადაც ფქვილით დატვირთული მანქანები ჩერდებოდნენ, ერთხანს სპილენძით აჭედოდა კართან შედგებოდნენ, მეტწილად ღრიკოდ რომ იყო დატოვებული, დახუჭავდნენ თვალებს და სახაბაზოს თბილ, მოტკბო სურნელს ხარბად ისუნთქავდნენ. ბოლოს ფრთხილად შეაღებდნენ კარს, შევარდებოდნენ სახაბაზოში და „ბეეო“ დაიძახებდნენ, ამ თამაშს რომ გამოიწყებდნენ, პაწია

ვილმა ცას ეწეოდა სიხარულით, აღფრთოვანებული მოჰყვებოდა ჯერვილს და ხაბაზიც გახალისდებოდა უცებ, გაიხარებდა ბრილახის დედაც.

ამ ერთი კვირის წინათაც მოადგნენ იმ კარს და ის იყო სახაბაზოში უნდა შევარდნილიყვნენ, რომ უცებ, ჩამოწოლილ სიჩუმეში ბრილახის დედამ ამოარატრატა:

— ეგლა მაკლია, შენ... — და სწორედ ის სიტყვა მოაყოლა. მარტინი ყურებამდე გაწითლდა იმ სიტყვის გახსენებაზე, ახლაც ეშინოდა მის აზრს ჩაწვდომოდა. ხაბაზმა კი მაშინ მშვიდად და ნაღვლიანად უპასუხა:

— ნუ, ნუ იტყვი ასე.

ვილმამ სიბზნელეში ჯერ ერთს უბიძგა, მერე მეორეს, — „ბევეს“ თამაში დაიწყეთო, მაგრამ მარტინიცა და ჰაინრიხიც, ორთავენი გაოგნებული იდგნენ, გაქცევდნენო თითქოს, ხაბაზი კი ამ დროს აღელვებული ბუტბუტებდა რაღაც იღუმალ აბდაუბდას, ერთსა და იმავე დროს რომ მგზნებარე ნათქვამსაც წააგავდა, თვინიერ ნაღუდღუნევსაც. ამ ბუტბუტს შიგადაშიგ ბრილახის დედის ნებიერი კისკისი ეხმიანებოდა და მარტინსაც ძია ალბერტის მაშინდელი ნალაპარაკევი გაახსენდა, როცა უხსნიდა მამაკაცი ქალთან შეკავშირების ელტვისო; ხაბაზს, ეტყობა. მართლაც ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ბრილახის დედას შეუკავშირდებოდა; იმ თავის სახაბაზოში მღეროდა თითქოს, რაღაც ძალზე გაუგებარს ბუტბუტებდა და მარტინმა სპილენძაჭედელი კარიც კი შეალო, — მოდი, შევხედავ, ხაბაზი და ბრილახის დედა მართლა თუ შეუკავშირდნენო ერთმანეთს, მაგრამ ჰაინრიხმა იგი გაგულისებით მოაცილა კარს, ვილმე ხელში აიტაცა და სამივენი ისე გაბრუნდნენ უკან, სარდაფში ცხვირიც არ შეუყვიათ.

იმ დღიდან მოკიდებული, აგერ ერთი კვირა გასრულდა, რაც ბრილახს სახაბაზოსკენ პირი არ უქნია და მარტინიც იმას ფიქრობდა, ბრილახს გული გაელახვრებოდაო, — განა თავადაც არ გაიტანჯებოდა, ეს სიტყვა რომ დედამისს დასცდენოდა? მერე თვითოეულ ნაცნობს ცალ-ცალკე მოარგო სიტყვა, მაგრამ ალბერტის ბაგეს ეს სიტყვა უბრალოდ ვერ დააცდენინა, ხოლო დედას — ანაზღად გულისცემა აუჩქარდა და ბრილახის სატკივარიც უფრო გაითავისა, — ასე ენიშნა, დედას შესაძლოა, ეს სიტყვა დასცდესო კიდევ. ამ სიტყვას ვერაფრით ვერ იტყოდა ვილი, ვერ წამოაყრანტალებდა ბოლდა, ვერც გლუმში ამოაგდებდა პირიდან, ვერ იტყოდა ალბერტის დედა; ბებია რომ ბებიაა, ისიც არ წამოროტავდა ასეთ რაიმეს და იმასაც კი იფიქრებდი, ეგ სიტყვა რა მაგათი საკადრისიაო, მაგრამ დედას, შესაძლოა, ეს სიტყვა მაინც დასცდენოდა.

ჯერ იყო და, მასწავლებელს, მერე მოძღვარსა და სანაყინეს ბარმენს, — ვის პირს აღარ მოარგო ის სიტყვა, მაგრამ ამოდენა ხალხში ლეო აღმოჩნდა ერთადერთი კაცი, ვისაც ისევე მოერგო სიტყვა, აი, საცობი რომ მოერგება სამელნეს. ბრილახის დედასთან შედარებით ლეო იმ სიტყვას უფრო გარკვევითაც გაიძახოდა.

ის დაღლარა გოგო ამასობაში თვალს მიეფარა. ორს თხუთმეტი აკლდა თითქმის და მარტინსაც იმის წარმოსახვა სცადა, როგორ შეაბიჯებდა იგი კლასში; ჯერ გაედიმებოდა, სახელდახელოდ მოჩმახავდა რაიმე ტყუილს და სახეზე მაშინაც ღიმილი მოეფინებოდა, როცა დაგვიანებისათვის დატუქსავდნენ. მთლად თავზე ხელაღებულ ვინმე იქნება: იმდენს იზამს, ბოლოს ამ გოგოსაც მოტეხავენ და თუმცა ალბერტისაგან მშვენივრად იცო-

და, ბავშვებს არ კლავენო, ძალისძალად ცდილობდა წარმოედგინა ფოვინკელის სამხარეულო და დაჩეჩქვილ-დატეხილი ის გოგო. ალბერტი, ჯინაზე ფიქრობდა ასე, იმიტომ რომ თითქმის შეიძულა კიდევ ალბერტი და სამავიეროსაც უხდიდა, არადა, არც ის იცოდა, სად მოეკლა დრო: ბრილასთან ვერ მივიდოდა. — ძია ლეო ჯერაც არ იქნებოდა წასული, მარტინს კიდევ დაწახვაც ეზარებოდა იმ ტუჩ-პირის, ზედგამოჭრილივით რომ მოერგოთ ჰეცუცუპ ჰელო გელესიაში, სადაც ბოლდა ეგულებოდა, კაციშვილის ჭაჭანება არ იქნებოდა და მარტინსაც იქაურობისა ისევე ეშინოდა, როგორც ბებიასთან ერთად ფოვინკელის სარდაფში წასვლა, სადაც დატეხილი ძვლებით უმასპინძლებდნენ მოსულებს და სადაც ღორმუცელების დანახვაზე იმ მურდალ ტუალეტში უსათუოდ ასაქმებდა.

მარტინი უფრო ახლო მიჩოჩდა „ატრიუმთან“ და უცებ იგრძნო, მომშივდაო. რა თქმა უნდა, სახლშიაც შეეძლო წასვლა — შეიპარებოდა სამხარეულოში, გაითბობდა სადილს, მით უმეტეს, რომ გაზეთის ნაგლეჯზე მინაჩხაპნი მითითების წყალობით უკვე ზეპირად იცოდა, როგორ შეეტბო სადილი: „გაზის სახელური ბოლომდე არ ჩამოსწიო, ქურას არ მოსცილდე“ (ეს სიტყვები სამჯერ იყო ხაზგასმული), მაგრამ ცივი საჭმლის გახსენებაზე, ახლაც წაუნდა ზადა, — აი ამ ამბავს კი, ეტყობა, ჯერჯერობით ვერავინ ხვდებოდა. — კრიჭა შეეკრა ქონმოღებულ წვნიანის, გამომშრალი კარტოფილების, ბლანტი და კურაუშელა წვნიანის გახსენებაზე, ამასთანავე, ბებიაც ნებისმიერ წამს შეიძლება ჩამოფლატუნდეს და ფოვინკელის სარდაფშიაც წაიჩიქჩიქოს; იქ კიდევ თევზის ორმოცი ნაირ-ნაირი კერძით გამოპიტქნის, ცხვირწინ დაუხვავებს თევზის მოწითალო, მოლურჯო და მომწვანო ნაკრებს, საზიზღარი ჭიქლებით ჩაჩითიმებულ გველთევზას ქონს, მომწვანო, მოწითალო და მოლურჯო ფერის მგვირ სოუზებს, მოხარშული ვირთევზას დაღმეჭილ კანს, საშლელისაგან დარჩენილ ნაფხვენის გროვას რომ ჰგავს.

ალბერტი ჯერაც არ ჩანდა და არც არასოდეს გამოჩნდებოდა, ხოლო შური რომ ეძია, მარტინმა ის ბილწი სიტყვა ამოიჩემა, მერე კი იმდენ ხანს იმეორა, ვიდრე ის სიტყვა ბოლოს ალბერტის პირსაც არ მოარგო.

მამაზე ფიქრისას სევდა შემოაწვებოდა ხოლმე: სადღაც დასაკარგავში დაღუპული მეტისმეტად ახალგაზრდა კაცი იყო მამა. — მომლიძარი, ყალიონიანი ჭაბუკი, რომელსაც ვერაფრით ვერ ათქმევინებდი იმ სიტყვას.

მოძღვარს შეაძრწოლა კიდევ, როცა აღსარებისას მარტინმა ის სიტყვა უხსენა; სახელეწილმა ძლივს ამოილო ენა, იფიქრა, თავიდან ამოვიგდებო იმ სიტყვას, არასოდეს რომ არ უხსენებია არც თვითონ და არც ბრილასს. ახალგაზრდა მღვდელს ფერმკრთალი პირისახე დაეღრიაჯა, მოძღვარი კი მთელი ტანით გადმოიხარა წინ, გეგონებოდა მოტეხესო და სახელაღვრემილმა თავი გააქნია; ისე კი არა, აი, უარით რომ გაგისტუმრებენ, ანდა გაკვირვებული კაცი რომ გააქნევს ხოლმე, — არა, რეტდასხმულივით გააქნია თავი, იფიქრებდა, სადაცაა იატაკზე გაადენსო ზღართანს.

იისფერი ფარდის ფონზე მოჩვენებას დაემგვანა პირმოლუშული მოძღვრის ნაცრისფერი სახე, წამებულის ფერი დაედო; ბოლოს ამოიხვნეშა, კაკალ-კაკალ გამოპკითხა ყოველივე და წისქვილის დოლაბებზე მოჰყვა ლაპარაკს. ამ დოლაბებს თურმე იმათ შეაბამენ კისერზე, ვინც ბავშვს შეაცდენს. მოგვიანებით მოძღვარმა დაითხოვა მარტინი და კი არ დაავალა, უბრალოდ სთხოვა, დღეში

სამ-სამჯერ ჩაიკითხე „მამაო ჩვენო“ და „ავე მარია“, ამ გზით რე განიწმინდებიო. გალაგნის თავზე შემოსკუბებულმა მარტინმა ამ გახსენებაზე სამ-სამჯერ ჩაიკითხა „მამაო ჩვენო“ და „ავე მარია“. ავტომანქანებს ყურადღებასაც აღარ აქცევდა; კი ბატონო, ის ალბერტის „მერსედესი“ გამოჩნდესო თუნდაც თვალმოჭუტული, მიზანტებული კითხულობდა ლოცვებს, თან წისკვილის დოლაბებზე ფიქრობდა. აგერ, ერთ-ერთი დოლაბი ლეოს გამოაბეს კისერზე და ლეოც იძირებოდა ზღვაში, იძირებოდა მოლურჯო-მომწვანო წყვილიადში, შორიახლო კი იშვიათი, სულ უფრო და უფრო იშვიათი თევზები დაცურავდნენ. აქა-იქ ჩაძირულ გემთა ნამსხვრევები ამოჩხრილიყო, დაყელყელობდნენ წყალნიცენარეები, მოშლამებულიყო ფსკერი, ზღვის ურჩხულთ თვალები გადმოეკარკლათ და კისერზე დოლაბშებმული ლეოც იძირებოდა და იძირებოდა. დოლაბი ბრილახის დედას კი არა, ლეოს გამოაბეს კისერზე; სწორედ იმ ლეოს, ვილმას რომ აწვალვდა, საკომპოსტერო მარწუხით აშინებდა და ფრჩხილების მოგრძო ქლიბს რომ ურტყამდა თითებზე, იმ ლეოს, ვის ტუჩ-პირსაც ასე ზედგამოჭრილივით მოერგო ის ბილწი სიტყვა.

მარტინმა უკანასკნელი „მამაო ჩვენო“ ჩაიკითხა, ჩაიკითხა უკანასკნელი „ავე მარია“, „ატრიუმისაკენ“ გაეშურა და უცებ შეკრთა: ის დაღლარა გოგო შესასვლელთან იდგა და მებილეთე კაცს ელაპარაკებოდა. „ცოტა ხანს მოითმინე, შვილო, მალე დაიწყება, — ეუბნებოდა მებილეთე. — სკოლიდან ბრუნდები?“

გოგონას წარბიც არ შეუხრია და თვალდათვალ, ღულუნ-ღულუნით მოჩიმა გაუგონარი ტყუილი:

- დიახ.
- მერედა, შინ არ უნდა შეიარო?
- არა, დედა სამსახურშია ახლა.
- მამაშენი?
- მამა ომში დამელუპა.
- მაჩვენე ბილეთი.

გოგონამ ბილეთი გაუწოდა, გარეთ კი, აფიშაზე, იისფერკაბიანი ქალის მუცელთან ირიბად გაეკრათ წარწერა: „საბავშვო სეანსი“, და როცა დაღლარა გოგო გაუჩინარდა, მარტინი გაუბედავად მიადგა სალაროს. მინის ჭიხურში შაგვრემანი ქალი იჯდა და რაღაცას კითხულობდა. ქალმა თავი აიღო, მარტინს ახედა, გაუღიმა, მაგრამ მარტინს პასუხად არ გაჰლიმებია; თვალში არ მოუვიდა ქალის ღიმილი, იმიტომ რომ უნებლიეთ ის სიტყვა გაახსენდა, ბრილახის დედამ რომ მიახალა ხაბაზს. მოლარემ ისევ წიგნში ჩარგო თავი, მარტინი კი ქათქათა თეთრი ზოლით გაყოფილ და ცისფრად მოციალე მის თმას დააშტერდა. ქალმა ხელახლა ამოჭხედა, მინის პატარა სარკმულა გამოაღო და ჰკითხა:

- გინდა რამე?
- მალე დაიწყება? — კითხვა შეუბრუნა ხმადაბლა.
- ორ საათზე. — მიუგო ქალმა, მერე საათს გახედა, მის ზურგსუკან რომ ეკიდა და დაუმატა: — ხუთ წუთში. შეხვალ?

— დიახ, — თქვა მარტინმა და იმავე წამს გაახსენდა, რომ ორშაბათისთვის სწორედ ამ ფილმზე დაპატიყა ბრილახი.

ქალმა გაუღიმა, მწვანე, ყვითელ და ლურჯკოჭებიან ბილეთებს შეავლო ხელი, მერე კი ჰკითხა:

— რომელ რიგში გინდა?

პატარა ჯიბიდან, ზედ საქამრესთან რომ ჰქონდა დაკერებული მარტინმა ფული ამოიღო და უთხრა:

— მეათეში. — ანაზღად გაიფიქრა, თუ კარგია, ალბერტი დაშელოდოსო, მე კი ჩემთვის ვიჯდებიო აქ; ბრილახს ორშაბათს წავიყვანო სხვა ცხელზე, მოლარემ ყვითელ კოქას მოახია ბილეთი და ფული ხელით მოხვეტა. მებილეთემ კუშტი მზერა შეაგება მარტინს.

— შენც სკოლიდან მოდიხარ?

— დიახ, — უპასუხა მარტინმა და მომდევნო შეკითხვები რომ თავიდან აეცილებინა, სხაპასხუბით ჩამოარაკრავა: — დედაჩემი სხვაგანაა, მამა კი ომში დაშეღუბა.

მებილეთეს კრინტიც აღარ დაუძრავს, ყვითელ ბილეთს „კონტროლი“ მოახია, ბილეთი უკანვე დაუბრუნა და მარტინი დარბაზში შეუშვა. გასცდა თუ არა მძიმე და მწვანე ფარდას, მაშინვე გაიფიქრა, რა სულელი ვინმეაო, ნუთუ არ იცის, ბიჭები და გოგოები რომ სხვადასხვა ცვლაში სწავლობენ და მე და ის დაღლარა გოგო სკოლიდან ვერ დავბრუნდებოდითო ერთად.

დარბაზში ბნელოდა. კონტროლიორმა ქალიშვილმა მარტინს ხელი ჩააკიდა და შუაგულ დარბაზში შეუძღვა. ქალიშვილს მსუბუქი, გრილი ხელი ჰქონდა და როცა სიბნელეს თვალი მიაჩვია, მარტინმა მიმოიხედა. დარბაზი ცარიელი იყო თითქმის. თითო-ორი წყვილი ბოლო რიგში მოკალათებულ იყო. აქა-იქ წინა რიგებშიაც იჯდა რამდენიმე კაცი, შუა დარბაზი კი სულ მთლად ცარიელი იყო. ის დაღლარა გოგო ვილაც ორ ყმაწვილს შუა გამოჭიმულიყო წინა რიგში, მისი თმაგაჩეჩილი შავი თავი ოდნავ ამოსცილებოდა სკამის საზურგეს.

მარტინმა გულისყურით უცქირა გუტალინის სარეკლამო ფილმს: ქონდრისკაცები ციგურებით სრიალებდნენ ვილაც დეგკაცის გაპრიალებულ ფეხსაცმელზე, ხელში ჰოკეის ყვანჩები ეკავათ, მაგრამ ჩვეულებრივი კაურების ნაცვლად ყვანჩებზე ჩაგრისები ჰქონდათ დამაგრებული და გოლიათის ფეხსაცმელიც სულ უფრო მეტად ბზინავდა. მერე კი ვილაცამ გამოაცხადა:

„აი, ასეთი პრიალა ფეხსაცმელი ექნებოდა გულივერს, ჩვენი ფირმის გუტალინი რომ ეხმარა“.

აჩვენეს სხვა სარეკლამო ფილმიც: ქალები ჩოგბურთს თამაშობდნენ, ცხენებს დააჯირითებდნენ, თვითმფრინავსაც ქალები მართავდნენ, პარკშიაც ისინი დასეირნობდნენ: ქალები ლივლივა წყალში ცურავდნენ, დაპყავდათ ავტომობილები, ველოსიპედები, მოტოციკლები, ვარჯიშობდნენ ორბელზე, ვარჯიშობდნენ ღერძზე, ტყორცნიდნენ ბადროს და სახეზედაც ღიმი დასთამაშებდათ. უკლებლივ ყველას ეღიმებოდა, ბოლოს კი, ვილაც მომლიმარ-სხივმოსილმა, პირგაბრწყინებულმა ქალმა დარბაზში მყოფთ რალაც მოზრდილი და მუქი მწვანე ფერის კოლოფი აუფარა თვალწინ, რომელსაც თეთრი ასოებით ჯვარედინად ეწერა: ო ფ ე ლ ი ა — აქაოდა, სწორედ ეს კოლოფია ჩვენებრ ელვარების თავი და თავი მიზეზიო.

მარტინმა მოიწყინა, ველარც მთავარ ფილმს მიადევნა თვალყური; ეკრანზე ვილაცები ქეიფობდნენ, აჩვენეს წირვა, მერე პარკის ჭიშკარი გაიღო და მწვანესერთუქიანმა მამაკაცმა, ქუდიცა და გამაშებიც რომ მწვანე ფერისა ჰქონდა, ტყის ბილიკზე გააჭენა თავისი ბედაური. ბილიკის ბოლოში „საბავ-

„შვო სეანსის“ იისფერკაბიანი ქალი იდგა, საყულოზე ოქროსფერი მაქმანი ჰქონდა შემოვლებული. მამაკაცი ცხენიდან ჩამოხტა, ქალს ეამბოროტა, ქალმა კი ასე უთხრა: „შენთვის ვილოცებ, თავს გაუფრთხილდიო. მერე ისევ ეამბოროტებენ ერთმანეთს და „საბავშვო სეანსის“ ქალმაც თვალცრემლიანი მზერა დაადევნა მამაკაცს, ახლა რომ უდარდელად მიაგელვებდა თავის ზედაპირს სადღაც შორს მონადირეებმა ბუკს დაჰკრეს, ხოლო მწვანესერთუკიანმა კაცმა, ქუდიცა და გამაშებიც რომ მწვანე ფერისა ჰქონდა, ლურჯი ცის ფონზე ამჯერად სხვა ბილიკზე გააქენა ცხენი.

მარტინი სხვათაშორის უყურებდა ეკრანს, ერთი-ორჯერ დაამთქნარა კიდეც სიბნელეში; შიმშილი ახლა უწინდელზე უფრო აწუხებდა. ბოლოს თვალეები მილულა, ჩაიკითხა თავისთვის ჯერ „მამაო ჩვენო“, მერე „ავე მარია“ და წასთვლიმა. კისერზე დოლაბგამობმული ლეო ზღვაში იძირებოდა, იძირებოდა თვალჩაუწვდენელ სიღრმეში და სახეც ისეთი ჰქონდა, არასოდეს რომ არ ჰქონია ცხოვრებაში; დაღვრემილი, სევდიანი სახე ჰქონდა ლეოს და ისიც სულ უფრო და უფრო იძირებოდა მწვანე წყვილიაღში, ზღვის ურჩხულთ კი გაოცებისაგან თვალეები გადმოეკარკლათ.

ანაზღად ყვირილმა გამოაფხიზლა. მარტინი შეკრთა, იმ სიბნელეში ერთბაშად ალლო ვერ აართვა, ვეღარ გააჩვენია, რა ხდებოდა და კინალამ თვითონაც წამოიყვირა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა გულისხმას: მწვანეიანი მამაკაცი და ვიღაც ღვთის გლახა მიწაზე ბულრაობდნენ; ღვთის გლახამ აჯობა, მწვანეიანი მამაკაცი მიწაზე დარჩა გაშოტილი, ის გლახა კი ბედაურს მოახტა, ჯიშინ ცხენს მათრახი გადაუჭირა და გრძნეულის ხარხარით გაქუსლა; არაღა, ცხენი ეურჩებოდა, ყალყზე დგებოდა.

ტყის სიღრმეში ჩადგმულ სამლოცველოში „საბავშვო სეანსის“ ქალს მუხლი მოეყარა და ღვთისმშობლის ხატზე ლოცულობდა. მაგრამ, აი, ტყიდან ცხენის თქარა-თქური მოესმა. ქალი შესაგებებლად გაიქცა.— მისი ბედაურის კიხვინსა და თქარათქურს ხომ ათას სხვა ცხენში გამოარჩევდა, — მერე სხივიც კი ჩაუდგა თვალეებში: ნუთუ ჩემმა სიყვარულმა გაჭრა და გულის რჩეული უკან დააბრუნაო? — ო, არა! ქალმა საზარელი ხმით შეჰკივლა და ცნობამახდილი ჩაიქეცა სამლოცველოს ზღურბლზე, იმ ღვთის გლახამ კი ისე ჩაუქროლა გრძნეულის ხარხარით, ქალისათვის ზედაც არ შეუხედავს. მაგრამ ეს ვინღაა, რის ვაი-ვაგლახით რომ მობობლავს, ვინაა გველივით რომ იკლავნება ბილიკზე და სახეც რომ აუტანელი ტკივილებისაგან გადაღრეჯია? ვინაა ნეტავი, ასე უთქმელად რომ ითმენს ტკივილს? რა თქმა უნდა, ის ელეგანტური, მწვანეიანი მამაკაცია. მოხავსებულ კოლბოხთან ძლივს მიათრია ტანი და სუნთქვაშეხუთულმა ზეცისაკენ აღაპყრო მზერა. ის ვინღაა, იისფერი კაბის ფრიალ-ფრიალით რომ მორბის ბილიკზე, ვინაა ასე გულამოსკენით რომ ქვითინებს, თუმცა კი, მაინც მორბის, ეძებს, ეძახის? დიახ, სწორედ „საბავშვო სეანსის“ ქალია.

მწვანეიანმა კაცმა გაიგონა ქალის ძახილი. მერე ეკრანზე ისევ სამლოცველო აჩვენეს; ხელიხელჩაკიდებულნი ნელ-ნელა ადიან კიბეებზე ის მწვანეიანი მამაკაცი და ქალი, ამჯერად ქალსაც მწვანე ტანსაცმელი აცვია. მარჯვენა ხელი კაცს ჯერაც შეხვეული აქვს, შეხვეული აქვს თავიც, მაგრამ ელიმება უკვე; მართალია, უჭირს გაღიმება, მაგრამ მაინც ელიმება. ქუდი არც ერთს არ ახუ-

რავს, სამლოცველოს კარი ღიაა, ისმის ბედაურის ჭიხვინი, ჩიტების ელურ-ტული.

გარეთ გამოსულმა მარტინმა შეუძლოდ იგრძნო თავი; შემშლილსაგან გული ეწრიტებოდა, მაგრამ ეს ამბავი ვერ გაეცნობიერებინა. გარეთ მზე კამ-კამებდა. მარტინი ისევ ბენზოწერტთან მილასლასდა, გალავნის [ხეივანზე] ჩამოჯდა და ასე განსაჯა: ხუთი საათია დაწყებული, ლეო კარგა ხანს წასულია აქნებამ და რაკი ალბერტზე ჯერაც ბრაზობდა, ზურგჩანთა მხრებზე მოივლო და ბრილახთან წაჩანჩალდა.

თავი XIII

ბრეზგოტემ სთხოვა დამელოდეო. ალბერტი ბოლთას სცემდა მოკამულ ოთახში, დროდადრო ღია ფანჯარასთან დადგებოდა და ქუჩას გახედავდა. უნივერსალიდან ერთიმეორის მოყოლებით გამოდიოდნენ ნოქარი გოგონები და სასადილოსთან მისულნი კარს მიღმა უჩინარდებოდნენ. ვის ჭურჭელი მოჰქონდა, ვის ბუტერბროდიანი პარკი, ვილაც გოგონას კი ხელში ვაშლი ეკავა. ვისაც მოესწრო და ესადილა, უკანვე ბრუნდებოდა მაღაზიაში, გზად ამხანაგებს გამოელაპარაკებოდნენ და ალბერტს ყურთამენამდე მოღწეული ფრაზები ისევ და ისევ უდასტურებდა, არ შევმცდარვარო: ყნოსვით გამოიცილო სასადილოს დღევანდელი მენიუ; სადილად ხახვის სალათა, შემწვარი ძეხვი, კარტოფილი და პუდინგი ჰქონდათ. პუდინგი, — მიმწვარი და ვანილიანი სოუსით მოსხმული მოწითალო სალაფავი არაფრად ვარგოდა დღეს და სასადილოდან მობრუნებული გოგონებიც ნაცნობებს აფრთხილებდნენ:

— ღმერთი არ გაგიწყრეს, იმ სალაფავს პირი არ დააკარო. ძეხვი გემრიელი გამოდგა, ბოსტნეულიც იჭმევა, აი, პუდინგისა კი რა მოგახსენო. — ამ სიტყვებს „ფუი“-ს ათასნაირი ვარიაცია მოჰყვებოდა.

გოგონებს პრიალა შავი კიტელები ეცვათ, იმათ შემყურეს უმაღლ მონაზვნები გაგახსენდებოდა: ერთიც არ ერია ისეთი, თვალ-წარბი დახატული ჰქონოდა, ანდა, ტუჩებზე პომარა წაეცხო. თმა სადად გადაევარცხნათ, აი „საქალბატონე“ ვარცხნილობას რომ უძახიან, ისე, და თხემით ტერფამდე ყველანი სისადავეს განასახიერებდნენ: ფეხზე ნაქსოვი წინდები და ტყავის შავი, მეტისმეტად სოლიდური ფეხსაცმელი ეცვათ, კიტელი ყველას ლამისდა ნიკაპამდე ჰქონდა გამოფსკენილი, ასე რომ, ქარაფშუტობის ნასახსაც ვერ დაატყობდი ვერც ერთს. უფროს ნოქრებს, უკვე ხანშესულ ქალებს, მოყავისფრო კიტელები ეცვათ, იაფფასიან რძის შოკოლადს რომ ფერი აქვს, ისეთი და დანარჩენთაგან განსხვავებით სახელოზე უფრო ფართო და პრიალა კანტები ჰქონდათ დაკერებული. ზოგიერთ შეგირდ ქალიშვილს, გაღეულ და ფერმიხდილ გუშინდელ მოსწავლეს, სახელოზე საერთოდ არ ჰქონდა ვერცხლისფერი კანტი, უფროს ნოქრებს ხელში არაფერი ეკავათ, სამაგიეროდ რომელიმე შეგირდ გოგონას რამდენიმე ჭამ-ჭურჭელი მიჰქონდა ერთად.

გოგონებში ლამაზ-ლამაზებიც გამოერეოდნენ ხოლმე. ალბერტი ახლოდან ხედავდა მათ და უცებ გაიფიქრა, ნამდვილად ლამაზი გოგონები ეთქმით, ასეთმა ტანსაცმელმაც თუ ვერ დააუწნოვარ.

ქალიშვილების წკრიალა ხმებს რომ ისმენდა, — ისინი კვლავ იმ უგემურ

პუდინგზე იცინოდნენ, — ანაზღად გაახსენდა, რომ ფაციფუცში შინ სათუთუნე დარჩა და ალბერტმაც სიგარეტი მოიკიდა, კოლოფში ჩარჩენილი უკანასკნელი სიგარეტი, ცარიელი კოლოფი, — წითელი ფერის დაწნულ მუყაო, ალბერტმა საწვიმარ ღარში ჩააგდო, ჩარდახს რომ ჰქონდა შემსვლელი პომპეზური შესასვლელის თავზე.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაიგონა როგორ აფრთხილებდნენ სასადილოდან გამოსული გოგონები დანარჩენებს, ღმერთი არ გაგიწყრეთ, პირი არ დააკაროთო პუდინგს, მერე კი ყველაფერი მიწყნარდა, ჩაცხრა: აღარც უნივერსალიდან გამოსულა ვინმე. სასადილოდან ბოლოს რამდენიმე გოგონაც დაბრუნდა და მალაზიის კართან ვიღაც წარბშეკრული ქალი გამოჩნდა. მუქი მწვანე ხალათის სახელოზე სამი ვერცხლისფერი კანტი ჰქონდა დაყოლებული და დროდადრო სახეამრეზილი ახედავდა ხოლმე შესასვლელიდან დაკიდებულ საათს. დიდი ისარი, დასაქადნებლად შემართული თითივით გაყუჩებულიყო ზედ თორმეტთან. მაგრამ აი, ისარი უცებ შეხტა, გადაეფარა თორმეტს და სწორედ ამ წამს კიდევ რამდენიმე გოგონა გამოჩნდა ქუჩაში. ქალიშვილებმა ქუჩა გადმოირბინეს, თავჩაქინდრულებმა ჩაუქროლეს უფროსს და ტრიალა კარს მიღმა გაუჩინარდნენ.

ქუჩა დაცარიელდა და ალბერტიც მოქნარება-მოქნარებით მოშორდა ფანჯარას. წასაკითხიც არაფერი წამოეღო; ეგონა, ახლაც თხუთმეტიოდე წუთში მოვამთავრებო საქმეებს. სხვა დროს ჩააბარებდა ხოლმე ნახატებს, მიიღებდა ჩეკს — უკვე დაბეჭდილი ნახატებისათვის გამოწერილ ჰონორარს, ხუთიოდე წუთით ბრეზგოტესთან შეივლიდა და როცა კი გრძელ დერეფანზე გავლით ლიფტისაკენ გაეშურებოდა, ისევ ის ძველთაძველი გრძნობა შეუჩნდებოდა, მთელი კვირის განმავლობაში რომ გატანჯავდა, — ვაითუ, ვერაფრის დახატვა ვეღარ მოვიფიქროთ და ჟურნალის მკითხველებმაც ერთ მშვენიერ დღეს კატეგორიულად მოითხოვონო სხვა კარიკატურისტი. რა იცი, ამ კაციჭამიებმა იქნება თავიც გამოიდონ, ვეგეტარიანელები გავხდითო.

მაგრამ, მას აქეთ რაც „სანლაითის“ ყუთს წააწყდა, თითქოსდა შვებით ანთისუნთქა. თექვსმეტი წლის წინათ, ლონდონის ლუდხანებში ყოფნისას ჩაეხატა ეს ესკიზები, სანახევროდ მშიერს, გაზავებული ვისკისა და მაგარი თამბაქოსაგან გაბრუებულს; სასხვათაშორისოდ, დროის მოსაკლავად ხატავდა, ახლა კი რედაქციაში სათითაოდ მოჰქონდა ეს ნახატები და თუკი გადაბეჭდვაში აღებულ ფულს არ მიათვლიდა, სხვა რედაქციებიდან რომ გადმოურიცხეს, ამ ნახატებში უკვე ორასი მარკი გადაუხადეს. ბრეზგოტეც ხომ აღფრთოვანებული გაიძახოდა:

— ადამიანო, სრულებით ახალი სტილია, ეტყობა შენი ხელწერა, მაგრამ, მაინც სულ სხვაა. წარმატებას წინდაწინ გილოცავ. შესანიშნავია!

ჩეკი დღესაც გამოუწერეს, ბრეზგოტესაც ჩამოართვა ხელი და ოთახიდან რომ გადიოდა, ბრეზგოტემ მიაძახა: თუ არ ვეჩქარება, დამელოდო, გადაუდებელი სალაპარაკო მაქვსო.

ცოტა არ იყოს, ჯერაც ეშინოდა ბრეზგოტესი, თუმცა კი, ეს ბოლო ორი კვირა ერთმანეთს შენობით მიმართავდნენ. ქალაქგარეთ გასეირნების დროს, საკმაოდ შებრუებული იყო ორთავე, როცა დაასკვნეს, ბევრ საკითხზე საერთო აზრი გვაქვსო, მაგრამ შიშით, ალბერტს ახლაც ეშინოდა ბრეზგოტესი, ეშინოდა, მიუხედავად მისი აღფრთოვანებული აზრისა ახალი სტილის თაობაზე. არადა,

ეს გამოყოლილი შიში რაც შეიძლება მალე უნდა მოეთოკა, ვიდრე სულში ახალი შიში ჩაიბუდებდა, ნელას ანკესს არ წამოვეგო.

ბავშვებს ალბერტი დიდ პატივში ჰყავდათ, უყვარდათ. ალბერტი ატყობდა ამას და ცდილობდა არ გაეწილებინა ისინი, მაგრამ, იმავე დროს, ნელასიც მშვენიერად ესმოდა, თუმცა კი თავს იკატუნებდა ხოლმე.

მას მერე, რაც „სანლაითის“ ყუთს მიაგნო, ლონდონში გატარებული დღეები სულ უფრო ხშირ-ხშირად აგონდებოდა, ხელმეორედ შემოისახლა „მეთხე განზომილების“ წილხვდომილი ხილვები, კვლავ იმ ცხოვრების სუნთქვას აპყვავდა. რომელსაც ვერ ეწია და რომელზეც თავადა თქვა უარი. იცხოვრებდა ლინის მშობლებთან ერთად, იმუშავებდა მეზობელი პატარა ქალაქის ტიპოგრაფიაში, გაამზადებდა ესკიზებს ათასნაირი განცხადებისათვის, გააფორმებდა ბროშურებს.

იმ ხანობას წერილს წერილზე უგზავნიდა ნელა, გემუდარები, გერმანიაში დაბრუნდიო, და ამიტომ იყო, უკანასკნელი სურვილი რომ ვერ შეუსრულა ლინს; ალბერტი გერმანიაში დაბრუნდა, რათა ხილვებისათვის ეტიკეტები დაეხატა, დაბრუნდა იმისათვის, რომ საკუთარი თვალით ენახა რაიმუნდის სიკვდილი და ამ სიკვდილისათვისაც ხელიც კი ვერ შეეშალა, რადგან უძლურ-უსუსური აღმოჩნდა არმიის ძლევამოსილი სიჩლუნგის პირისპირ. ალბერტი თავს არიდებდა ხოლმე რაიმუნდის სიკვდილზე ფიქრს, გეზელერისადმი სიძულვილი კი წლების განმავლობაში დაუჩლუნგდა და თანდათანობით ხსოვნიდანაც ამოეშალა: ის კაცი იშვიათად თუ გაახსენდებოდა ახლა. განა რა აზრი ჰქონდა იმაზე ფიქრს, ცხოვრება ასე და ასე აეწყობოდა, რაი რომ ცოცხალი გადარჩენილიყო; რივიანად ამის წარმოდგენაც კი უჭირდა, რადგან რაიმუნდის სიკვდილი ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნა უკვე; აკი საკუთარი თვალით უყურა ყელგამოფატრულ, სისხლში გაგუდულ რაის, ხელის კანკალით რომ იწერდა პირჯვარს. გააფთრებულმა იქვე გააწნა სილა გეზელერს, მაგრამ გეზელერისადმი სიძულვილი უკვე ციხეშივე გაუწეღდა და მხოლოდ ნელაზე ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას. ქალი აღარაფერს იწერებოდა და ალბერტმა ისიც ვერ გაიგო, იმშობიარა ნელამ თუ არა.

ალბერტი კედელზე გაკრულ გერმანიის რუკას მიაშტერდა. ის კუნძულები, სადაც მავანი და მავანი ჟურნალ „შაბათს“ კითხულობდა, პაწია წითელი ალმებით იყო მონიშნული. რუკაზე უამრავი წითელი ალამი ჩაემაგრებინათ, ისე რომ სხვას ვერაფერს გაარჩევდი კაცი. ქალაქი იყო თუ მდინარე, დაბლობი თუ მთიანი ადგილი, ყოველივე ერთიანად იყო პაწია წითელი ალმებით მოფრქვეული, რომლებზეც ჟურნალის დასახელება ეწერა: „შაბათი“.

ბრეზგოტეს ოთახიდან ჩამიჩუმიც არ აღწევდა და ამ უზარმაზარ შენობაში ჩამოგუბებული სიჩუმე იმ შეუწელებელი ყაყანის ნაცვლად სხვა დროს რომ ყურები გამოუჭედია მისთვის, ახლა გულს უღრღნიდა ალბერტს. უნივერსალის დიდი საათი უკვე ორის ათ წუთს უჩვენებდა. ორის თხუთმეტზე კი მარტინს გაკვეთილები უთავდებოდა.

ქუჩის გადაღმა მხარეს ისევ გამოჩნდნენ შავკიტელიანი გოგონები, ვილაც შოკოლადისფერი ქალბატონის ზედამხედველობით ისინი სარეკლამო აბრებს აკრავდნენ ვიტრინებს შორის. აბრების წითელ ფონზე გარკვევით მოჩანდა თეთრი წარწერა: სოლიდურია.

ბრეზგოტე ჯერაც არსად ჩანდა და ალბერტს ჯავრი შემოაწვა გულზე,

მარტინზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა; დაბნეული ბიჭია, ვინ იცის, რა ჩიფათს დაიწევს; დაადგამს გასაცხელებლად საჭმელს, თვითონ კი წიგნის წასაკითხად ოთახში წაპანტურდება, მერე მყუდრო ოთახში შეიძლება ჩაეძინოს კიდევ. წვნიანი კი ამასობაში ამოიხრუკება, კარტოფილი ჩუნჭუნდება, ვერმიშელი ქვანახშირის ნატებს დაემგვანება. მაგიდაზე „შაბათის“ მქექლი ჩომრები ელაგა, ბოლო გვერდებზე ალბერტის კარიკატურებითურთ. ალბერტმა დერეფანში გასასვლელი კარი შეაღო და სმენად იქცა: ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილიყო; არც ფეხის ხმა ისმოდა, არც კარი გაუჯახუნებია ვინმეს, ტელეფონიც არსად აწკრიალებულა. გეგონებოდა, ყველა ის პირგაბადრული ჟურნალისტი, მეტისმეტად ბავშვური, მეტისმეტად ჟურნალისტიკური იერით რომ დატანტალებდა წინ და უკან, ახლა მიწამ ჩაყლაპათ თითქოს, არადა, როცა კი თვალი შეუვლია, უმაღლესი ჟურნალისტებზე გადაღებული რომელიმე უხეირო ფილმი გახსენებია, სადაც გმირები უხეირო რადიოდანგმების ენით საუბრობდნენ ხოლმე.

რედაქციაში დღეს არავინ იყო; ქვემოთ, შემოსასვლელში დიდი განცხადება გამოეკრათ: „ქალაქგარეთ მოწყობილ ექსკურსიასთან დაკავშირებით რედაქცია არ იმუშავებს“ და დარაჯსაც შენობაში ძლივს შემოაშვებინა თავი. ჟურნალ „შაბათის“ გამომცემელს, ეტყობა განსაკუთრებული არისტოკრატიზმის ნიშან-ღირსებად მიაჩნდა, თუკი რედაქციის ყოველ კუთხე-კუნჭულს, დერეფნებსა თუ კაბინეტებს, დაუდევრობის დადი დაეტყობოდა; აქ შემოსულ კაცს უმაღლესი თვალში ეცემოდა ადამისდროინდელი ავეჯი, ჟურნალის შემოსავალს რომ აგრერიგად არ შეეფერებოდა: ბეტონის მოუპირკეთებელ კედლებზე აბრები და ერთიმეორისაგან თანაბრად დაშორებული დაფები გამოეკიდათ, დაფებზე კი ისეთივე სტილიზებული ბავშვური ხელით, სამოსწავლო ნივთებზე რომ ნახავ ხოლმე, ხან რას წაიკითხავდი და ხან კიდევ რას. ერთ დაფაზე ასე ეწერა: „დააფურთხე იატაკზე? — იცოდე, რომ ღორი ხარ“, მეორეზე — „ნამწვი ძირს თუ დააგდე, უფრო ცუდი ღორი ხარ“.

ანაზღად შეკრთა, როცა მოქაშულ დერეფანში გამოსასვლელი ერთ-ერთი კარი გაიღო. ოთახიდან ტელეფონისტი ქალიშვილი გამოგოგმანდა, წყლის ონკანთან მიდგა და თავის დანა-ჩანგალს წყალი გადაავლო. მერე ღია კარისაკენ მიბრუნდა და სწორედ ის ფრაზა წარმოთქვა, სულ ახლახან რომ წარამარა ესმოდა ქუჩიდან:

— ღმერთი არ გაგიწყრეს, წითელ პუდინგს პირი არ დააკარო. საზიზღრობაა, სოუზიც მიმწვარია.

ოთახიდან ახლა სხვა ხმა გამოეპასუხა:

— ის ჩვენი ექსკურსანტები დღეს უკეთესი რაღაცებით გადმოიბრუნებენ კუჭებს. შეფი თავს გამოიდებს.

— ნაღდი ამბავია, — გამოსძახა ონკანთან მიმდგარმა ქალიშვილმა, — იმეთი კაცისათვის, დღეს ვინც დავრჩით რედაქციაში, ამბობენ, ცალკე ექსკურსიას მოაწყობენო. დღევანდელივით სახალხო ლაშქრობას ასეთი წასვლა არ აჯობებს?!

— ამ დილით წითელ-წითელი ავტობუსები თუ დაინახე? — ჭკუას დაკარგავ, ისეთი ლამაზებია.

— დავინახე, აბა, არ დავინახე? სამსახურში რომ მოვდიოდი, ზუსტად იმ დროს მოგკარი თვალი.

ალბერტმა ყურები აცქვიტა, ხმაზე ხელადვე იცნო ის მეორე ტელეფონისტი გოგონა, ბრეზგოტესთან ტელეფონით რომ დაუკავშირებია ალბერტი. ალბერტს ზოგჯერ განზრახაც აუკრეფია რედაქციის ნომერი, იქნება ის ქალიშვილი გამო-მებასუხოსო; სათნო, უხალისო მორჩილება ამოპყვებოდა ხოლმე მის ხმას. არადა, დროდადრო კი სწორედ ის იღუმალი და თავნება კილო შემოეკარებოდა მისეულ სიტყვა-პასუხს, ასე რომ აგონებდა ხოლმე ლინს.

წყლის ონკანთან მიმდგარმა ქალიშვილმა თავისა დანა-ჩანგალი ხალათის ჯიბეში ჩაიკურა, მერე თმაში ჩამაგრებული მოწითალო სავარცხელი ტუჩი-შუა მოიქცია და თმა თითებით შეიბულულა.

ალბერტი ქალიშვილისაკენ გაემართა:

— იცით, აუცილებლად უნდა დავრეკო, აქედან ვერ დავრეკავ?

ქალიშვილმა უარის ნიშნად თავი გააქნია, ხეშხეშა თმა კულულად შემოიკ-ვერა. მერე პირიდან სავარცხელი გამოიღო, ჩაიმაგრა შეთხელებულ კო-წოწოში და თქვა:

— კომპუტატორიდან არ შეიძლება. ავტომატიდან დარეკეთ.

— საქმე ის გახლავთ, რომ შენობიდან ფეხს ვერ მოვიცვლი, ბრეზგო-ტეს ველოდები.

— ბრეზგოტე ახლავე დაბრუნდება. წელან დარეკა. მოვდივარო, — მოესმა კომპუტატორიდან მეორე ტელეფონისტი ქალიშვილის ხმა და ალბერტმაც ხმის-დამიხედვით სცადა ქალიშვილის პორტრეტი წარმოესახა: ალბათ მაღალი გო-გო იქნება, ტანსრული, სიარულიც ზოზინა ეცოდინება, ნარ-ნარი. ერთი სული ჰქონდა ვიდრე იმ ქალიშვილს შეავლებდა თვალს, თავისი საამო ხმით რომ სათ-ნო მორჩილებას გაგაგონებდა. — პირისახეც ქათქათა უნდა ჰქონდეს, თვა-ლები — ბუდეშურა და თვინიერი.

მისი კოლეგა ჯერაც სარკის წინ ტრიალებდა და შელაჟლაჟებულ ცხვირზე ფერუმარილს იცხებდა.

— მაშ, ძეხვი ავიღო, არა? — იკითხეს ოთახიდან.

— მასე ქენი, — უპასუხა სარკესთან მიმდგარმა, — გარნირიც საუცხოოა, ნეტი დაადებიანე, არ ინანებ. ყავა რომ ყავაა, ისიც უფრო გემრიელია მას მერე, ჩვენ რომ ავუჯანყდით. იმ პუდინგის მაგივრად კი ნუშის ნამცხვარი აიღე.

— პუდინგზეც უსიკვდილოდ უნდა ითქვას, რა უსინდისობაა!

ალბერტს ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ დაეცადა; ამასობაში ორის თხუთმეტი წუთი შესრულდა.

— მართალია, უნივერსალის გოგოებმაც ასე თქვეს. — ქალიშვილი სარკეს გამოშორდა, კომპუტატორის კარს ფეხი ჰკრა, მოადარდალინა და ალბერტმაც იმ მეორე ტელეფონისტს შეავლო თვალი, კიდევაც შეკრთა. ისე ზუსტად წარმო-ედგინა: ნაზ-ფუნჩულა, ქერა ქალიშვილს დიადია, თან დაბინდულ თვალებში ვსებიანი სიზანტე ჩაბუდებოდა, აი, ტანზე კი სადად ეცვა: ღილებშეხსნილი კი-ტელიდან მწვანე ჯემპრი და ყავისფერი ქვედაკაბა მოუჩანდა.

— „შაბათის“ რედაქცია გახლავთ. სამწუხაროდ, დღეს ვერავისთან ვერ დაგაკავშირებთ, ექსკურსიაზე არიან. ხვალ დილით დარეკეთ.

მერე კარი გამოიხურეს, მაგრამ ალბერტს ერთი ხანს მაინც გარკვევით ესმოდა ქალიშვილების საუბარი, — საქმელებზე ლაპარაკობდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კარი ისევ გაიღო და კომპუტატორიდან ამჯერად ქერა ქალიშვილი გა-

მოვიდა თავის დანა-ჩანგლით. გოგონა ჩაბნელებულ დერეფანს გაუყვავა და ბოლოს თვალს მიეფარა.

ამ ქალიშვილის ხმას რომ გაიგონებდა, ალბერტს რატომღაც ღინი გაახსენდებოდა ხოლმე, არადა ეს გოგონა თურმე სრულებით უცხო ქვეყანაში ღინს. ტელეფონით საუბრისას ღინი თამამად ელაპარაკებოდა ხსენებულ ქალისი ხსენებაც კი ეუხერხულებოდა, როცა პირისპირ დარჩებოდნენ: ქალიშვილი თავის თეოლოგიურ სიბრძნეს გადმოუფრქვევდა ხოლმე და იმ ლონდონური ტელეფონის გაზინზლულ ყურმილში ლამისდა საათობით ეჩურჩულებოდა ქორწინებასა და ქორწინებამდელ ცოდვებზე; ღინი უმალ ხანჯალს დაიცემდა, ვინემ ალბერტის საყვარლობას დაყაბულდებოდა.

ამ მაღალ-მაღალი, ტანსრული ქალიშვილის დანახვამ, კალთამადლიანი მიხვრა-მოხვრით რომ გაუჩინარდა კიბის თავთან, ალბერტს ნდომის საღერღელი აუშალა. სულ რ იქნებოდა ურიგო, აი, ასეთი ქალიშვილი დაესვა ცოლად: გულკეთილი ქალქერი, ვნებაშეღერებული და ოდნავად ზანტი. ხმაც რომ ღინისას მიუგავდა, თავად კი სრულებით არ ჰგავდა ღინს.

ჩაფიქრებული მიაშტერდა კომპუტატორის კაკლისფერ კარს და ანაზღად შეერთა, როცა დერეფანში ბრეზგოტე შემოვარდა.

— მაპატიე, ამდენხანს რომ გალოდინე, გადაუდებელი სალაპარაკო მაქვს შენთან.

ბრეზგოტემ ალბერტს მხარზე დაადო ხელი, კიბისაკენ წაიყვანა, მაგრამ უცებ შემობრუნდა, დერეფანი უკანვე გაიბრინა, კომპუტატორის კარი შეალო და ვოგონას გასძახა:

— ვინმემ თუ მიკითხა, ხუთის მერე სახლში ვიქნები.

ბრეზგოტე დაბრუნდა და კიბე ერთად ჩაათავეს.

— ცოტა ხნით ჩემთვისაც თუ მოცლი?

— მოცლით როგორ არ მოვიცლი, მაგრამ შინ უნდა მივიდე, ბიჭი მყავს მისახელი.

— იქ ხელს არავინ შეგვიშლის?

— არავინ.

— კარგი აბა, შენთან წავიდეთ. ვინ ბიჭია მისახელი? შენ რა, შვილი გყავს?

— არა, ომში დაღუპული ჩემი მეგობრის შვილზე გეუბნები.

ალბერტი მანქანას მიადგა, ეზოში რომ ეყენა, ტიპოგრაფიის საწყობთან, მერე მანქანაში ჩაჯდა, შიგნიდან მეორე კარი გაალო და ბრეზგოტე გვერდით მოისვა.

— მეც მაპატიე, გაქცევაზე რომ ვარ, — მოუბოდიშა ალბერტმა. — შინ რომ მივალთ, იქ ვილაპარაკოთ.

ბრეზგოტემ კიბიდან სიგარეტი ამოიღო და ვიდრე ალბერტი მანქანას დაძრავდა, ორთავემ გააბოლა.

— არ ვიცი, შეიძლება, ბევრი ლაპარაკი არც კი დაგვჭირდეს.

ალბერტმა არაფერი უპასუხა, ტიპოგრაფიის ეზოდან გამოსვლის ხანს დააპიპინა, გაზს მოუმატა და უნივერსიტეტთან ჩაიქროლა. ვიტრინებს შორის ახლა ყველგან გამოეკრათ თეთრა-წითელი აბრები; თვითოეულ აბრაზე თითო-თითო სიტყვა ეწერა მხოლოდ და უნივერსიტეტის მთელ გაყობაზე ერთი მთლიანი წარწერა შეეკოწიწებინათ: „ჩვენი საქონელი შემოდგომითაც სოლიდურია“.

— მოკლედ რომ მოვჭრათ, — განაგრძო ბრეზგოტემ, — იმ ქალზე მინდა შეგეკითხო, შენ ვისთანაც ცხოვრობ.

ალბერტმა უნებლიეთ ამოიოხრა.

— არავისთანაც არ ვცხოვრობ. ნელას თუ გულისხმობ, მგე უბრალოდ იმ ქალის სახლში ვდგავარ ბინად, მაგრამ...

— მაგრამ ერთად არ წვებით, არა?

— არა, არ ვწვებით.

ვიდრე მანქანებით გაჭედნილ მოედანს შემოუვლიდნენ, ორთავე დუმდა. ბრეზგოტემ, ეტყობა, თვალი დაატანა, როგორ მართავდა ალბერტი საჭეს და სიტყვა მხოლოდ მაშინ გააგრძელა, როცა შედარებით მიწყნარებულ ქუჩაზე გაუხვიეს.

— კი მაგრამ, შენი დედამამიშვილი ხომ არაა?

— არაა.

— მერედა, სრულებით არ მოგწონს?

— არ მომწონს. — უპასუხა ალბერტმა.

— დიდი ხანია, იცნობ?

ალბერტი ჩაფიქრდა; ერთბაშად ვერც კი გაიხსენა, როდის გაიცნო ნელა. ყოველთვის ასე ეჩვენებოდა, რაც დავიბადე, ნელას მას აქეთ ვიცნობო. ამასობაში კვლავ ორომტრიალა ქუჩაზე გამოუხვიეს, მერე კიდევ ერთი ასეთივე ქუჩა ამოათავეს და ისევ შედარებით მიწყნარებულ ქუჩაზე ჩაიქროლეს.

— მაცალე ერთ წამს, — მიუგო ალბერტმა, — ცნობით იმდენი ხანია ვიცნობ, გადამავიწყდა კიდევ, როდის გავიცანი.

ალბერტმა სისწრაფეს მოუმატა, სიგარეტი ხარბად მოჭაჩა და განაგრძო:

— 1933 წლის ზაფხულში გავიცანი, სანაყინეში. — მაშასადამე, ოცი წლის წინათ. მაშინ ჯერ კიდევ ახალაყვინჩილებული ნაციისტი იყო და ყავისფერი უნიფორმის ქურთუკში დაიარებოდა, მაგრამ რაიმუნდთან ლაპარაკის მერე ის ქურთუკი სანაყინეში მიაგდო. სისულელეები უცებ გამოვუბერტყეთ თავიდან; მაინცდამაინც არ გაგვძალიანებია, იმთავითვე ჰკვიანი გოგო იყო... — ცოტაც და, შინ ვიქნებით, — ჩაურთო ალბერტმა. — ორიოდე წუთით მალაზიაში შევირბენ, ბიჭისთვის ვიყიდი რაიმეს. სახლში ერთად ვისადილოთ, ყველაფერი მზად არის, შევათბობთ მხოლოდ და ეგ იქნება. მერე ყავაც მივაყოლოთ, ექვს საათამდე თავისუფალი ვარ, ექვსის მერე კი ბიჭი ქალაქგარეთ მიმყავს.

— კი ბატონო, შენი ნებაა, — დაეთანხმა ბრეზგოტე, მაგრამ ალბერტი მიხვდა, ნელაზე საუბარი ყველაფერს ურჩევნიაო.

— სხვათა შორის, ნელა წასულია...

— ვიცი, — არ გაჰკვირვებია ბრეზგოტეს.

ალბერტი შეცბუნებული მიაჩერდა, მაგრამ არაფერი უკითხავს.

— ქმარი რომ დაეღუპა, ოცდახუთი წლის იყო და ბავშვს ელოდებოდა. რვა წელიწადია უკვე, მათს სახლში ვცხოვრობ და მე თუ მკითხავ, საკმაოდ კარგადაც ვიცნობ.

— მართალი გითხრა, ჩემთვის სულ ერთია, როგორ დაახასიათებ, რას მომიყვები, მაგრამ მოსმენით, ყველაფერს სიამოვნებით მოვისმენ.

ალბერტმა დაამუხრუჭა, კარი გააღო, მანქანას შემოუარა და როცა საქარე მინის მიღმა ბრეზგოტეს სახეს მოჰკრა თვალი, ანაზღად ელდა ეცა: ასეთი იერი სიყვარულით ჩამწვარ კაცს თუ ექნებოდა მხოლოდ.



მანქანიდან ბრეზგოტეც გადმოვიდა.

— რა ხნისაა ბავშვი?

— მეთერთმეტეშია.

ორთავენი საკანცელარიო საქონლის მაღაზიას მიადგნენ და ვიტრინის წინ დადგნენ, სადაც ბლოკნოტების, ქაღალდისა და ფოსტის საწონის გარდა სათამაშოებიც გამოეწყობო.

— რა შეიძლება კაცმა თერთმეტი წლის ბიჭს უყიდოს? — იკითხა ბრეზგოტემ. — ამ ამბებში არაფერი გამეგება და მართალი გითხრა, მაინცდამაინც არც ბავშვებზე ვკარგავ ჭკუას.

— ოცდაათ წლამდე მეც ასე ვიყავი, ჭკუას არც მე ვკარგავდი და ისიც კი არ ვიცოდი, როგორ მოვქცეოდი ბავშვებს.

მაღაზიაში ჯერ ალბერტი შევიდა, ბრეზგოტე ფეხდაფეხ შეჰყვა.

— მას მერე, რაც მარტინთან ერთად ვცხოვრობ, ბევრი რამ შეიცვალა..

ალბერტმა კბილი დაიღო ენაზე, ჩემი უფაქიზესი გრძნობები უნებლიეთ სააშკარაოზე არ გამოვიტანო, დახლთან მიმდგარმა გაზეთების დასტა გვერდზე გაწია და პლასტილინის ყუთი შეათვალიერა. მარტინივით ქვეყანაზე არაფერს უყვარდა და ანაზღად შიშმაც კი აიტანა, ვაითუ, ნელა ბრეზგოტეს გაჰყვეს და ბიჭიც ჩამომაცილონო.

ბრეზგოტე უხალისოდ იქექებოდა დასაქოქი მანქანების გროვაში. ამასობაში უკანა ოთახიდან მაღაზიის პატრონი ქალი გამოეგებათ, დახლთან დადგა, მაგრამ ბრეზგოტეს ზედაც არ შეუხედავს მისთვის და ისევ ალბერტს მიუბრუნდა:

— ჩემს დღეში არასოდეს მიეჭვიანია, მაგრამ ახლა ვხვდები, რასაც ნიშნავს ეჭვიანობა.

— კაცმა რომ თქვას, შენ არც არაფერს გეგულეხარ ისეთი, ვისზეც იეჭვიანებდი.

ბრეზგოტემ პინგ-პონგის ჩოგანს შეავლო ხელი და ცერა თითით კორპის ღენა შეუმოწმა, რბილი თუაო.

— მაგიდის ჩოგბურთი ხომ მოეწონება?

— კარგი აზრია. — დაეთანხმა ალბერტი.

თვითონ ალბერტი ერთიმეორის მიყოლებით ფურცლავდა საბავშვო ჟურნალებსა და წიგნებს, მერე სათამაშოები მაჩვენებთ, სთხოვა. ხან დასაქოქი სათამაშო გადმოაღებინა ქალს, ხან ხისაგან გამოჩორკნილი ხელშესაქცევი, ბოლოს ერთ-ერთი კომიქსი გადადო გვერდზე — ჰოპელონგ კესიდის კოვბოური თავგადასავალი.

ბრეზგოტეს, ეტყობა, ესმოდა პინგ-პონგის ყადრი: ჯერ იყო და, რამოდენიმე სხედასხვანაირი კომპლექტი გადმოალაგებინა, მერე საგულდაგულოდ შეამოწმა ბადეები, ჩოგნები, ბურთები, ბოლოს ყველაზე ძვირიანი კომპლექტი აირჩია, შეახვევინა და ფული დახლზე დადო. ალბერტმა რეზინის ცხოველები დააბერინა ქალს; ეჩქარებოდა, თან აფორიაქებულიც იყო, ბრეზგოტეს გადამკიდე იძულებული გახდა აეწონ-დაეწონა ყოველივე, ჩაფიქრებულიყო ნელასთან დამოკიდებულებაზე. წენგოსფერი ნიანგი რეზინის სუნად ყარდა და ალბერტსაც გული შეუმძიმდა. ქალი თავგადაკლული ცდილობდა რეზინის ნიანგი გაებერა, მაგრამ ამაოდ ირჯებოდა, გეგონებოდა, გამოფშეკილი ხორცის ნაჭერს ღეჭავსო. პირისახე შეუფაკლდა, სათვალე ცხვირზე ჩამოუცურდა და ოფ-

ლიც მძივებად გადმოუგორდა ატკრეცილ ლოყებზე; რეზინის ვენტილი ერთიანად დაინერწყვა, მაგრამ ნიანგი ოდნავ გაიბერა მხოლოდ, ეგ იყო და ეგ.

— გმადლობთ, ნულა შეწუხდებით, — უთხრა ალბერტმა, — სხვა დროისათვის იყოს.

ქალმა რეზინის ვენტილი პირიდან გამოიღო და სათამაშოდ უხერხულად დაიხელთა, ვენტილიდან ამოფრქვეული ჰაერის ჰაველი — თავის მოთბო ამონასუნთქი და რეზინის მჭისე სუნის ნარევი — ალბერტს პირდაპირ სახეში მიუშვირა.

— გმადლობთ, — გაიმეორა გაღიზიანებით, — ნულა შეწუხდებით, აი, ეს მომეცით. ალბერტმა მუყაოს დაფაზე მიუთითა, რომელზედაც კანაფით იყო დამაგრებული ჩაქუჩ-მარწუხი, ნაირ-ნაირი საჭრისები.

ქალმა ხელსაწყობებიანი დაფა ქალაღში შეუფუტა, ალბერტმა ჯიბიდან ფული ამოიღო და მხოლოდ მაშინ იაზრა, ეს ხელსაწყობები მარტინს არაფერში არ გამოადგება, მამამისივით ისიც ხელუმარჯვია და ჩხირკედელაობა არ ეხერხება.

ალბერტი და ბრეზგოტე მალაზიიდან გამოვიდნენ, მანქანაში ერთმანეთისთვის აღარაფერი უთქვამთ, მომდევნო ორი ქუჩა დიდი სისწრაფით ჩაიქროლეს, გადაკვეთეს ფართო პროსპექტი, მერე წაბლების ხეივანისაკენ გაუხვიეს და ალბერტმაც სვლა შეანელა.

— მოვედით, — უთხრა ბრეზგოტეს და მანქანა გააჩერა.

ილღიაში ამოჩრილი კოლოფით ბრეზგოტე მანქანიდან გადმოძვრა.

— აქ, თურმე, წალკოტი ყოფილა.

— კი, წალკოტია. — დაემოწმა ალბერტი, — მერე ბალის ჭიშკარი გააღო და ბრეზგოტეს სახლისაკენ გაუძღვა. მარტინი ჯერაც არ დაბრუნებულიყო სკოლიდან; ალბერტმა შორიდანვე მოჰკრა თვალი კარზე მივრულ ბარათს, ამ დილით რომ დაუტოვა ბიჭს. ბარათს წითელი ფანქრით დააწერა: „ერთად ვისადილოთ, დღეს თავის დროზე მოვალ“. სიტყვა „დღეს“ ორჯერ იყო ხაზგასმული. ალბერტმა კარს ბარათი მოაძრო, სახლის კარი გააღო და ორთავემ მომცრო, კედლებზე მწვანე აბრეშუმით აკრულ წინკარში შეაბიჯა. ქსოვილი არსად ჩანდა დაცინცხული, მაგრამ გახუნებულიყო უკვე და მარმარილოს ვიწრო ფილებსაც, კვადრატებად რომ ყოფდა კედლებს, აქა-იქ ყვითელი ლაქები აჩნდა. რადიატორზე მტვერი იდო. ალბერტმა იქვე მიგდებული მარტინის ორთვალი ბორბლებზე წამოაყენა, ბრეზგოტემ კი საჭეზე დამაგრებული სამფეროვანი, წითელ-თეთრ-მწვანე ალამი გაასწორა.

— მობრძანდი, — შემოიპატიჟა ალბერტმა.

ბრეზგოტეს მყუდრო, შექნაკლული ოთახი დაუხვდა. ორ მალალ კარს შუა ჩადგმულ უზარმაზარ სარკეში კიდიით-კიდემდე ირეკლებოდა გამომმა კედელზე გამოკიდებული ვილაც კაცის პორტრეტი. ბრეზგოტე სურათს მიაცქერდა. ტემპერით მოხატული პორტრეტი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამოხვეწილი, მაგრამ ოსტატის ხელი მაინც ეტყობოდა. სურათზე გამოსახულ ახალგაზრდა კაცს ბრდღვიალა წითელი ფერის ნაქსოვი სვიტრი ეცვა, თვალ-წარბი ისე დაეხარა, გეგონებოდა, კითხულობსო რაღაცას; ლურჯ მუყაოზე რომ ეწერა ის წარწერა, ალბათ, თვითონვე გამოეყვანა, იმიტომ რომ მეორე ხელში ფანქარი ეკავა; პირში ყალიონი ჰქონდა გაჩრილი და ბრეზგოტემაც იმ ლურჯ

მუყაოზე გარკვევით ამოიკითხა თითქოსდა ამობეჭდილი მუქი ყვეთელი წარწერა: ბამბერგერის საოჯახო მაკარონი.

ალბერტი სამზარეულოდან უკანვე დაბრუნდა და კარი გამტლებული დატოვა. ბრეზგოტემ თეთრი შორენკეცებით მოპირკეთებულ უზარმაზარ სამზარეულოს მოავლო თვალი. კედლებზე მომცრო შავი ფილმები ქობინა იყო ამოყვანილი, საკულინარო ხელოვნების სიმბოლოებს რომ გამოხატავდა: ჩამჩენს, ქვაბებს, ტაფა-მათრათებს, უზარმაზარ შამფურა ჩანგლებს, ნამცხვრის დასასმელ ყალიბებს და ამ სიმბოლოებს შორის წარწერაც მოჩანდა: გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის.

— ესაა მისი ქმარი, პოეტი? — იკითხა ბრეზგოტემ.

— გახლავს, — კვერი დაუკრა ალბერტმა — აქეთ დადექი, უკეთ დაინახავ.

ალბერტმა მხარზე შეავლო ხელი და სარკისაკენ მიაბრუნა; ორთავენი ახლა სარკის წინ იდგნენ, ჩარჩოიანად რომ იტევდა პორტრეტს. ბრეზგოტე გულისყურით ათვალეობდა ნახატსა და ლურჯ მუყაოზე უკულმით შემოქცეულ წარწერას. ამ ახალგაზრდა კაცის პორტრეტის წინ სარკეში საკუთარ თავსაც ხედავდნენ, ხედავდნენ თმაშეთხელებულ თავებს, დაღლილ სახეებს. უნებლიეთ ერთმანეთს გადახედეს და გაეღიმათ.

— ჩემთან შევიდეთ, — შეიპატიუა ალბერტმა. — მარტინი რომ მოვა, მაშინ ვისადილოთ. ჭერჭერობით კი დავლიოთ ცოტა, თავი შევიქციოთ.

ოთახი ფართო იყო, ჭერიც მაღალი ჰქონდა. ალბერტის საწოლი ფანჯარასთან იდგა, საწოლის მოპირდაპირე მხარეს კი ალბერტს სამუშაო ადგილი მოეწყო, განიერზე განიერი მაგიდა ჩაედგა, მაგრამ საწოლსა და მაგიდას შორის ძაინც იმსიფართოვე გასასვლელი რჩებოდა, თავისუფლად გაივლიდა კაცი. კედელთან ტახტი იდგა, იქვე იყო კარადა, სავარძლები და პატარა მაგიდა ზედ შემოდგმული ტელეფონით.

ალბერტმა კარადიდან ჭერ სირჩები გამოიღო, მერე კონიაკის ბოთლი გამოაყოლა ხელს და ეს ყველაფერი მაგიდაზე ჩამოალაგა.

ბრეზგოტე სავარძელში მოკალათდა და სიგარეტი გააბოლა. სახლიც, ბალიცა და მთელი ის მისადევარი თითქო სიმშვიდით დაცვარულიყო, გაჭერებული სიჩუმით სუნთქავდა და ბრეზგოტესაც გული დაუგრილდა, — ასე ლაღად კარგა ხანია აღარ უგრძნია თავი; ამასთანავე ისიც ახარებდა, ალბერტთან ერთად ნელაზე ვისაუბრებო. ვიდრე ალბერტი სირჩებში ჩამოასხამდა კონიაკს, ბრეზგოტე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გამოალო. სადღაც შორიდან ბავშვების შეძახილები და სიცილ-კისკისი მოისმა; ამ შორეული ჟრიაბულის მოყურადე უმაღ მიხვდებოდი, ჭყუმპალაობენო. ბრეზგოტე მაგიდასთან დაბრუნდა, ალბერტს პირისპირ დაუჯდა და სირჩიდან კონიაკი მოწრუპა.

— ძალიან მომწონს აქაურობა, — ჩაილაპარაკა ბრეზგოტემ. — ასე რომ, სანამ არ გამავდებ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი.

— ვინ გაგდებს მერე, დარჩი რამდენ ხანსაც გინდა.

— არ დამავიწყდეს ოღონდ, ოთხი საათისათვის რედაქციაში უნდა დავრეკო.

— ჰოდა, აქედან დარეკე.

ალბერტი თვალს არ აშორებდა ბრეზგოტეს და კიდევაც შეცბა, როცა კვლავ დაატყო სახეზე ის ცუდად შენიღბული სასოწარკვეთილება, უმაღ რომ

შერბრუდერი გაახსენა, სწორედ ის შერბრუდერი, ნელას სიყვარულმა რომ მოაგვლევინა თავი ამ ოციოდე წლის წინათ. გერმანელ ქალიშვილთა კავშირში იმხანად კულტსექტორს ხელმძღვანელობდა ნელა და შერბრუდერიც გაიფხანაგა, დაახლოებით ასეთივე საქმე რომ ეკისრა პიტლერელ ჭაბუკთა კავშირში. ოციდაერთი წლისა იყო მაშინ შერბრუდერი, სამასწავლებლო ^{სემინარია} ახალდამთავრებული ჰქონდა და ერთ-ერთ ახლომდებარე სოფლის სკოლაში შუშაობდა დაწყებითი კლასების მასწავლებლად. სადღაც ჭალაში, ძველებური ციხესიმაგრის ნანგრევებს რომ ერთყა გარს, შერბრუდერმა უზარმაზარ ბერძუნას მიაგნო და ამ მუხის ქვეშ მდებლობი მოავაკისებინა, რომელსაც „ტინგი“¹ დაარქვეს. თავისი ბიჭები შერბრუდერს იქ მიჰყავდა ხოლმე გასართობად, ასწავლიდა მათ სიმღერებს და კორჩიოტა, ბოშასავით შავტუხა შერბრუდერს შუბლზეც კი ეწერა, საკუთარ მარჯვენას შეველევო, ოღონდ ქერათმიანი ვიყო, ნელას კი სწორედ ქერა თმა ჰქონდა, თანაც იმ არიელი ქალების ტიპს ჩამოჰკავდა, რასისტული ჟურნალების ფურცლებიდან რომ იცქირებოდნენ, თუმცა რას შეედრებოდა იმათი სილამაზე ნელასეულ მშვენიერებას. შერბრუდერმა რაიმუნდი და ალბერტი მოიერიშებთან დაასმინა, „ტინგის“ მახლობლად ძველთაძველ ციხესიმაგრეში მომცრო, ლამისდა კერძო საკონცენტრაციო ბანაკი რომ გაემართათ. ამ ბანაკში სამი დღე-ღამე აყურყუტეს ორთავე, დატანჯეს დაკითხვებით, დააოსეს ცემით და ალბერტს დროდადრო ახლაც ესიზმრებოდა კაზემატის ბნელ-უშუქარი ის ტალანები, წამებულთა პირმოხეული ღრიალისაგან რომ აგუგუნდებოდა ხოლმე. ბეტონის ფილაქანი წვნიანითა და სისხლის ლაქებით იყო მოთხვრილი, საღამოობით კი გაღეშილი მოიერიშენი წამოადგებოდნენ თავზე, ასხირპვინებდნენ კარტოფილს, თან სიმღერებს ჩაბლაოდნენ ყურში, ხოლო სულის მოსათქმელად რომ ჩაჩუმდებოდნენ, „ტინგიდან“ შერბრუდერის ბიჭების სიმღერა შემოალწევდა: „დრაგუნებო, წინ-წინ გასწით“.

ალბერტი და რაი მხოლოდ სამი დღე ამყოფეს სიმაგრეში; ნელას მამამ, აილდ ვით რომ ამარაგებდა პიტლერელთა საზაფხულო ბანაკს, რაიმუნდიცა და ალბერტიც თავლებში გამოაშვებინა. ზრთავე მიხვდა ამ უბედურებას ნელას გაიოსობით გადავეყარეთო, მაგრამ თვითონ ნელამ კრინტი გაიწყვიტა და შერბრუდერზე სიტყვასაც არ სძრავდა.

შერბრუდერმა მოგვიანებითაც ვერ დაივიწყა ნელა, ერთი-ორჯერ თვალის შეავლეს პენელის სანაყინეში და ალბერტს სამუდამოდ დაამახსოვრდა ის სასოწარკვეთილი იერი, ბრეზგოტესი არ იყოს, სახეზე რომ ჰქონდა ამოდალული.

— ერთიც დალიე. — შესთავაზა ალბერტმა.

ბრეზგოტემ კონიაკი დაისხა და გადაჰკრა.

შერბრუდერმა 21 ივნისის ღამეს მოიკლა თავი, მზებუდობის ნადღესასწაულევს. დილით „ტინგზე“ მისულმა ორმა ბიჭმა იპოვა მისი ცხედარი; ბიჭებს ჩანავლული ნაკვერცხლები უნდა გაედვივებინათ და კვლავ დაენტოთ ცეცხლი, რომ ფიჩხისა და კიწაწის ნასახიც აღარსად დარჩენილიყო; შელეწილი საფეთქლიდან სისხლი მოუყოვნავდა შერბრუდერს, მუქი ლურჯი გიმნასტურა სისხლით გაჟიჟინებულიყო უკვე და ნაჭერსაც იისფერი დაჰკრავდა.

ბრეზგოტემ მესამედ შეივსო სირჩა.

¹ ტინგი — ძველი გერმანიკელების სათავერილობო ადგილი.

— რა სისულელეა, — თქვა ჩახლეჩილი ხმით. — რაღა დროს ჩემი სიყვარულია, არადა, რა უნდა ვქნა, ვერაფრით მომითოკია თავი.

ალბერტმა ყასიდად დაუკრა თავი, რადგან სულ სხვა საფიქრალი აეშალა: აბსოლომ ბილიგი გაახსენდა, შერბრუდერის თვითმკვლელობიდან... ორიოდუ თვის თავზე რომ სული გააფრთხობინეს იმ ციხე-შავეთში კმაწყო ფექრობდა, ზევრი რამ გადამავიწყდაო და თავიც დაიმუნათა, ბიჭისათვის დღემდე არ მიჩვენებია ის ადგილი, სადაც სამი დღის განმავლობაში მამამისსაც აწამებდნენო.

— ნელაზე ხომ არ მიამბობ რაიმეს? — თხოვა ბრეზგოტემ.

ალბერტმა მხრები აიჩეჩა. განა რა აზრი ჰქონდა ბრეზგოტესათვის იმის ახსნას, რა თავისნება ქალიც იყო ნელა. ვიდრე რაი ცოცხლებში ეწერა, ნელა ყოჩაღად იყო, მაგრამ ალბერტი რომ ომიდან დაბრუნდა, გულზეც კი შემოეყარა, ისე მოტეხილიყო ნელა. ჟამ-ჟამად ღვთისმოსაობით მოირთავდა ცხოვრებას, უთენია ადგებოდა ფეხზე და დილის წირვას არ გამოაკლდებოდა; თავზედაც დასთენებია წმინდა მამების თავგადასავალთა კითხვა-კირკიტში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს კვლავ აუშვებდა იალქნებს და ყველაფერზე გულს აიკრუებდა; ზოგჯერ მთელი დღე არ ადგებოდა საწოლიდან, ზოგჯერ კი სტუმრებთან უაზრო ლაყბობით იქცევდა თავს და კმაყოფილიც იყო, თუ სტუმრებში მეტ-ნაკლებად ღირსეული თაყვანისმცემელი გამოერეოდა, კინოში ან თეატრში ვინც წაიყვანდა. დროდადრო ნელა კაცების მარაქაში გაერეოდა და რამდენიმე დღით გაემგზავრებოდა სადმე, შინ დაბრუნებულს კი უემური დააწვებოდა, ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და გული ამოუჯდებოდა.

— საიდან იცი, რომ წასულია ნელა? — ჰკითხა ალბერტმა.

ბრეზგოტეს ხმა არ გაუღია. ალბერტი თვალს არ ამორებდა მას და საკუთარ თავს დაატყო, ცოტა არ იყოს, შემაწუხარ უკვე. დასაანახად ეზარებოდა ისეთი კაცი, გულაჩვილებული რომ ვიშვიშს მოჰყვება ხოლმე. არადა, ბრეზგოტეც, ეტყობა, ამას ეპირებოდა სწორედ. ზედგამოჭრილივით ჰგავდა იმ ავაზაკს, ფილმებში რომ აჩვენებენ: სადღაც ულჩან-უსიერში ქოხია ჩადგმული, ქოხის ზღურბლზე კი ავაზაკი ჩაცუცქულა, ისლი ლამის თავზე ჩამომხობია, ხის ტოტზე ჩამოკონწიალებული მაიმუნი ავაზაკს ბანანს ესვრის. გახვლებული ავაზაკი ვისკის ცარიელ ბოთლს უთავაზებს მაიმუნს და ისიც ჰყვირილ-ჰყვირილით გაცვლება იქაურობას. ავაზაკი ახლა ვისკის ახალ ბოთლს წაეტანება, ხელის კანკალით გახსნის და სულმოუთქმელად დაეხარბება. სად იყო, სად არა, უცვბ ახალი მოქმედი პირი გამოტყვრება კადრში და ავაზაკიც საკუთარ თავგადასავალს წამოიწყებს. ეს ახალი მოქმედი პირი ექიმია. მისიონერი, ან სულაც ვინმე თავგზიანი ვაჭარი და ისიც მოუწოდებს ავაზაკს „ახალი ცხოვრება“ დაიწყეო. ავაზაკი ისევ მოიყუდებს ბოთლს, კარგა ბლომად გამოყლურჭავს და ჩახლეჩილი ხმით იტყვის: „რაო? ახალი ცხოვრება?“ — ავაზაკს გესლიანი ხარხარი აუტყდება, მერე კი ისევ ჩახლეჩილი ხმით მოჰყვება იმ ქალზე ლაპარაკს, ასე რომ დააქცია და დაღუბა. კადრში ავაზაკის ჩახლეჩილი ხმა ისმის, მერე კადრი კადრს წაეფინება, ისევ გახშიანდება ჩახლეჩილი ხმა, კვლავ წაეფინება კადრი კადრს და ბოლოს ახლოდან აჩვენებენ სახტად დარჩენილი ექიმის, სახტად დარჩენილი მისიონერის, სახტად დარჩენილი თავგზიანი ვაჭრის სახეს და რაც უფრო ნაკლები ვისკი რჩება ბოთლში, ავაზაკიც სულ უფრო ჩახლეჩილი ხმით ყატყატებს, ფილმი კი ამასობაში დასასრულს უახლოვდება; ბრეზგოტეს ჯერაც პირი ჰქონდა აკონილი, თუმცაღა, ბარე ექვსჯერ გამოეყურა ის თავისი

სირჩა. ანაზდად ფეხზე წამოდგა, გაიარა ოთახი, საწოლსა და საწერ მაგიდას შორის ღია ფანჯარასთან დადგა და ვარდისფერ ფარდას ხელი შეავლო, ამჯერად სულაც არ ჰგავდა უსიერში დაბანაკებულ ავაზაკს; ბრეზგოტეს დანიხვაზე უნალ გამორჩეული სცენარის მიხედვით, ან საგანგებოდ გადაღებულ ფილმში ნანახი ის დახვეწილი ინტელიგენტი გაგახსენდებოდა, გულაჩვილკისგან რომ ფანჯარასთან მიდგება ხოლმე და გულის გადაშლას დაეპირება.

ალბერტმა კიდევ დაისხა კონიაკი და მეტი რა გზაა, ბედს უნდა შევეურიგდეთ, გაიფიქრა. მარტინი ჯერაც არ დაბრუნებულიყო სკოლიდან და ალბერტსაც გული აღარ ედო საგულეში. ბრეზგოტეს არაფერი ჰქონდა საეიშვიშო; მისი მოჭრის კაცები ყოველთვის მოსწონდა ნელას, მოსწონდა დაუდევრად ჩაცმული, „ჭკუით გაბენტილი და კაცური კაცები“. მართალია, ჯერჯერობით არ იყო სულმთლად ხელსაყრელი დრო, მაგრამ ვინძლო ნელამ სულ მალე იცვალოს ზნე; წელიწადში ერთხელ წამოუვლიდა ხოლმე ნელას და განსწავლულ ბერთა ამადლებული ვნების წინაშე მოიხრიდა ქედს, თან რელიგიაზე საუბრის მომაჯადოებელ ეშხს სანაქებო ღვინოსა და საუკეთესო ნამცხვართან ერთად ეზიარებოდა. ასეთ საუბარს ბუხართან გააბამდნენ ხოლმე, გაწყრილებულ დარბაზში. კედლებს თანამედროვე ფერმწერთა საუცხოო ტილოები ამშვენებდა და ნელაც ტკბებოდა კალმით ნახატი ბერების ხილვით, თვალები რომ მცხინვარებით ანთებოდათ და სუტანის მადლით იმაზე უფრო განსწავლულნი ჩანდნენ, ვინემ სინამდვილეში იყვნენ.

ალბერტს უნებლიეთ გაელიმა, ანაზდად იაზრა, შევეთვისეო ნელას, აკი მის ჩამოსვლასაც მოუთმენლად ველოდებო.

— შენ რა გენადვლება, თავი ქუდში გაქვს, — გამოელაპარაკა ფანჯარასთან მიმდგარი ბრეზგოტე. — აი მე კი თავგზა ამებნა. იქნება შევგუებოდი კიდევ უიღბლო შეყვარებულის როლს, ამ დილით რომ არ მენახა...

— როცა მიემგზავრებოდა, მაშინ თუ ნახე?

— ჰო, მაშინ ვნახე და რაც მთავარია, ვნახე კაცთან, დასანახად რომ მძულდა ყოველთვის.

— ვინ იყო ასეთი? ყასიდად იკითხა ალბერტმა, — მიხვდა, ბრეზგოტეს გამომლაპარაკებელი და გულის მესაიდუმლე სჭირდებო.

— ვინ იყო და გეზელერი, — ცხარედ წამოიძახა ბრეზგოტემ. — არ იცნობ?

— არა.

ამ გვარის ხსენებაზე უწინ სისხლი აასხამდა ხოლმე ტვინში, მაგრამ ამჯერად შეკრთა მხოლოდ და ნელას ნართაულებიც გაახსენდა იმ რაღაც „გადაუდებელი“ საქმის თაობაზე.

— იცნობ, როგორ არ იცნობ, — დაჯერებით თქვა ბრეზგოტემ და ისევ მაგიდასთან დაბრუნდა. ალბერტმა ბრეზგოტეს გახედა და „გეზელერის“ გავონებაზე საკუთარი გამომეტყველებაც თვალწინ დაუდგა.

— ვილაც გეზელერს ადრე ვიცნობდი, არამზადასა და ნაძირალას.

— ნამდვილად ნაძირალაა, — დაემოწმა ბრეზგოტე.

— ვინაა, რას წარმოადგენს?

— მოკლედ რომ გითხრა, ერთი ვილაც კათოლიკე პირუტყვთაგანია, კულტურის განხრით მოღვაწეობს. სამი კვირაა, „ბოტენში“ თანამშრომლობს.

— დიდი მადლობა ქათინაურისათვის. სხვათა შორის, მეც კათოლიკე ვაზლავარ.

— ნამდვილად გულდასაწყვეტი ამბავია, — მიუგო ბრეზგოტემ, — გულდასაწყვეტი ისაა, რომ კათოლიკე ბრძანდები, მაგრამ ჩემს ნუგეშებს არ გადავალ, ასეა თუ ისე, პირწავარდნილი ნაძირალაა. იმ გეზზე დააშავა, შენ რომ იცნობდი?

ალბერტი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა; როლების შეცვლა მოუწიათ: ამჯერად თვითონ უნდა წარმოედგინა ის ავაზაკი თუ ინტელიგენტი, საგულდაგულოდ რომ შეარჩევს წამს და გულის გადაშლას დაეპარება; ეგ იყო კადრში ახლოდან უნდა ეჩვენებინათ. ეცოდებოდა სასოწარკვეთილი ბრეზგოტე, ასანთის ღერს რომ ატრიალებდა პირში, მაგრამ ბიჭზე ფიქრი მოსვენებას აღარ აძლევდა. ნამდვილი ტანჯვა-წამება იყო იმ ამბის ხელახლა გადმომღერება და ალბერტს ისიც კი ეჩვენებოდა, რომ უთავბოლო გამეორებისაგან ის ძველი ამბავი გახუნდაო, თითქოს და აღარც სიმართლეს შეეფერებოდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოუყოლია ეს ამბავი ნელას დედისათვის, თვითონ ნელასათვის და მარტინისთვისაც, მაგრამ ბიჭს უკვე კარგა ხანია, ამის თაობაზე აღარაფერი უკითხავს.

— დაიწყე, რაღას უცდი, — შეაგულიანა ბრეზგოტემ.

— იმ გეზზე, მე ვისაც ვიცნობდი, ნელას მეუღლის სიკვდილი აწივს სინდისზე. ყველა კანონის დაცვით გამოასალმა სიცოცხლეს — ვერაფერს შეედავები. უწინ, — განაგრძო ალბერტმა, — მაინცდამაინც არ მიძნელებოდა იმის თქმა, სიცოცხლეს გამოასალმა-მეთქი, მაგრამ ახლა მხოლოდ იმიტომ ვთქვი ასე, რომ სხვა სიტყვა არ მომადიქრდა. თუმცა, რა აზრი აქვს იმ ამბის მოყოლას, განა დანამდვილებით ვიცით, რომ სწორედ იმ გეზზე ვლაპარაკობთ?

— ჯერჯერობით არ ვიცით, მაგრამ ერთ საათში უსათუოდ გვეცოდინება. — უპასუხა ბრეზგოტემ. — ამასწინებზე „ბოტენში“ მაგ კაცის სურათი იყო დაბეჭდილი. ამასთანავე ქვეყანაზე არც ისე ბევრი გეზული დაიარება, თან სუყველა ხომ არ იქნება ნაძირალა?

— შენ რაღა დაგიშავა?

— არაფერიც არ დაუშავებია, — ღვარძლიანად ამოღებდა ბრეზგოტემ. — მაგისნაირი ხალხი რას დაგიშავებს?

— დარწმუნებული ხარ, რომ ნელა სწორედ იმ გეზზე იყო ერთად გაემგზავრა?

— საკუთარი თვალით დავინახე, მანქანაში ჩაუჯდა.

— როგორ გამოიყურება?

— მოითმინე ერთხანს. ხომ გითხარი, ერთ საათში ყველაფერი გეცოდინება-მეთქი. დავრეკავ სადაც საჭიროა და ფოტოსურათიც მაგიდაზე გაჩნდება.

ალბერტი, ცოტა არ იყოს, კიდევაც შეცბა, ვაითუ, მართლა ის გეზული აღმოჩნდესო და თავიც გააქნია, არ დარეკოო, მაგრამ ბრეზგოტეს უკვე აეკრიფა ნომერი. ალბერტმა მეორე ყურმილი მიიღო ყურზე და როცა გაიგონა: „დიახ, „შაბათის“ რედაქცია გისმენთ“ — უმაღვე მიხვდა, რომ სწორედ იმ ქალიშვილმა ვასცა პასუხი, სარკესთან რომ ტრიალებდა, მაგრამ იქვე მეორე ტელეფონისტი ქალიშვილის ხმასაც მოჰკრა ყური: „მართალს მეუბნებოდით, საზიზღარი პუდინგი ჰქონდათ“.

— წესიერად ვერ შეაერთებთ ხაზს? რასაც ლაპარაკობთ, ყველაფერი ის-
მის. — გაცეცხლდა ბრეზგოტე.

ალბერტმა თავისი ყურმილი დაკიდა.

— ერთ საათში „ბოტენის“ ბოლო ნომერი აქ მქონდეს. ველის „გამოათა-
ნეთ, მოტოციკლით წამომიღოს... არა-მეთქი, აქ მომიტანოს... ბოტენ მუხო-
ვის ბინაზე. — ბრეზგოტემ მისამართი და ტელეფონის ნომერი უკარნახა. —
თუ ვინმე მიკითხავს, აქ დამიკავშირდეს. წამოსვლის ხანს ისევ დაგირეკავთ.
ბრეზგოტემ ყურმილი დადო და ალბერტს მიუბრუნდა:

— აბა, მომიყევი ახლა.

ამასობაში სამის ნახევარი შესრულდა, ბიჭი ჭერაც არ ჩანდა და ალბერ-
ტიც წუხდა.

— ორმოცდაორის ზაფხული იყო, — დაიწყო ალბერტმა. — სოფელ კა-
ლინოვკასთან ვიდექით. წინდლით სანგარი გავთხარეთ და იმ სანგარში ვიწექით.
დილა იყო ჭერ. ჩვენთან ვილაც ახალი ლეიტენანტი გამოაგზავნეს. თხრილი-
დან თხრილში დაძვრებოდა, ოცეული უნდა გავიცნო. სწორედ ეგ იყო გეზელ-
ერი. ჩვენთან რომ ჩამოძვრა, კარგა ხანს იყურყუტა სანგარში. ირგვლივ სი-
ჩუმე იდგა და გეზელერმაც უცებ ხმა ამოიღო: „ორი თავიანი ბიჭი მჭირდება“.
პასუხი არ გაგვიცია. „ორი თავიანი ბიჭი მჭირდება-მეთქი“. გაიმეორა. „ჩვენ
უთავო ბიჭები ვართ“ — უპასუხა რაიმ. „შენ გეტყობა, თავიანი უნდა იყო“. —
გაეცინა გეზელერს. რაიმ კი ეს უთხრა: „მე მგონი, თქვენთან ერთად საძმო
სადღეგრძელო არ დამიღვევია“. ეგ იყო და ეგ.

ალბერტი გაჩუმდა. ასე მოეჩვენა, სიკვდილის იმ სამსალას თითო-თითო
კოვზით ვსვამო: განა რა შეღავათს მისცემდა ამ ამბის ხელახლა მოყოლა? რა-
ტომ უნდა გამომტყვრალიყო ის ვილაც გეზელერი, რატომ უნდა გაეცნო მაინც-
დამაინც ნელა და ბრეზგოტეც რატომ უნდა გაეთანგა ეჭვებს...

— ამ პასუხმა, — ძლივს ამოღერლა ალბერტმა, — რაიმუნდს უმაღლ შე-
უკრა ბედი. გეზელერმა ორთავენი დაზვერვაზე გაგვამწესა, არადა, ამ საქმისა-
თვის არც ერთი არ გამოვდგებოდით. ყველამ იცოდა ეს და რაკი ფელდფებე-
ლიც კარგად გვიცნობდა, გეზელერს უთხრა, ამათ თავი დაანებეო. მერე, კა-
პიტანიც ჩაერია საქმეში, ისიც გამოგვექომაგა, ასეთ სარისკო საქმეზე ამ ხალ-
ხის გაშვება არ იქნებოდა. იმ სოფლიდან, რომლის მისადგომთანაც ვიდექით,
ჩამიჩუმე არ ისმოდა და დანამდვილებით ვერავე იტყოდა, მართლა არავინ
იყო სოფელში თუ მახეს გვიგებდნენ. ვილამ არ შემოგვაწია სიტყვა, შეეშვიო
მაგათ, მაგრამ გეზელერი სულ ამას გაიძახოდა პასუხად, თქვენ ის მითხარით,
ოფიცრის ბრძანება უნდა შესრულდეს თუ არაო?! ასეთი პასუხით ბოლოს კა-
პიტანსაც გააკმენდინა ხმა. — ალბერტი დაღლილი იყო. რის ვაი-ვაგლახით ავ-
ლებდა ენას, უჭირდა ყველა წვრილმანის ვახსენება.

— კაპიტანიც, ეტყობა, ეშინოდა გეზელერის, ჩვენ მოგვიბრუნდა
ბოლოს, ბრძანება თუ არ შეასრულეთ და გეზელერმა შტაბში დაგაბეზლათ, დაზ-
ვერეტა მაინც არ აგცდებათო, ხოლო დაზვერვაზე თუ წახვალთ, ვინძლო, კიდე-
ვაც გადარჩეთო. პოდა, ჩვენც ჭკუაში დაგვიჯდა ეს ამბავი, არადა, სწორედ ეს
იყო ყველაზე საშინელი. არაფრით არ უნდა დაგვეთმო, მაგრამ მაინც წავედით,
რადგან აუარება კეთილისმყოფელი გამოგვიჩნდა უცებ, ეინ აღარ დაგვარიგა
ჭკუა, უნტეროფიცრებმაც, ჯარისკაცებმაც და პირველად მაშინ ვიფიქრეთ, არ
გვიუპურებენო ცერად. აი ეს იყო საშინელება: ყველა გველუკლუკებოდა და

ჩვენც მოვტყუვდით, მოგვეხატრა და დაზვერვაზეც წავედით. მერე რაიმუნდი მოკლეს, ნახევარი საათის შემდეგ კი იმ ჩვენი ნაწილიდან ბლღვირიც არ დარჩენილა. ვინ ტყვედ ჩავარდა, ვინ დაიღუპა. ის დაწყევლილი კლინოვკა რუსებით ყოფილა სავსე და გადარჩენილებს ოთხით მოგვიწია სიბშილე. ახლაც მიკვირს, როგორ მოვახრებე იმ ჯირითის დროს სილა გამეწნა გეზელერისათვის. — მერელა მივხვდი, სისულელე ჩავიდინე-მეთქი, განა ასე ვიძიებდი შურს არადა, ძვირად დამიჯდა ის სილა, ექვსი თვე მაყურყუტეს სამხედრო ციხეში. ახლა ხომ ვაიგე, რაც მოხდა მაშინ?

— ვაიგე და სწორედ ის ვაუბატონი დამიდგა თვალწინ.

— არ უნდა დაგვეთმო, — განაგრძო ალბერტმა. — დღემდე ვერ მიბატონებია ჩემი თავისთვის; რაიმუნდი ხომ ვილაცის პირად სიძულვილს ემსხვერპლა და არა ომს. ვაიგონა თუ არა გეზელერმა სამო სადღეგრძელო არ დაგვიღვეიაო, იმავე წამს რაიმუნდი თვალში ამოიღო. არადა, რაიმუნდსაც ჭირვით ეჯავრებოდა გეზელერი. იცი, — თითქო გამოცოცხლდა ალბერტი, — ერთი ამბავი გავიწესეთ, ყველა ახალგამომტყვრალ ოფიცერზე უაღრესად ზუსტ და ამომწურავ დახასიათებებს ვადგენდით. უფრო სწორედ ასეთ დახასიათებებს რაი ჩამოაყალიბებდა ხოლმე. გეზელერი კი ასე ჰყავდა დახასიათებული: „წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია. თავგამოდებული კათოლიკეა. ეპირებოდა სამართლის შესწავლას. მოგვიანებით საკუთარ თავს ხელოვნებისადმი მიდრეკილება დაატყო. მიწერ-მოწერა აქვს პოლიტიკურ სარბიელზე გამოსულ ბერებთან. ავადმყოფურად პატივმოყვარეა“.

— აი, ეს მესმის, — წამოიძახა ბრეზგოტემ, — ეტყობა, დროდადრო კაცმა ლექსებიც უნდა იკითხოს. დახასიათება კი მართლაც რომ დიდებულია. წყალი არ გაუვა, ეგ კაცი იქნება, ასე რომ, სურათი აღარ დაგვჭირდება.

— მეც ასე მგონია. — კვერი დაუკრა ალბერტმა. — ფოტოსურათი ნამდვილად აღარ დაგვჭირდება; რაიმუნდის ლექსები კი უსათუოდ უნდა გადაიკითხო. სიცოცხლეს ეპირებოდა და გეზელერისნაირ კაცუნასაც მხოლოდ იმიტომ დაუთმო, გადავრჩებო. არადა, გამწარებული იყო... თან საითაც გაიხედავდი, ყველგან ხილფაფის ქილები ეყარა, მის მიერ ვარიტმული წარწერით... ნაციისტურ გაზეთებშიაც ქებით იხსენიებდნენ...

— მოიცა, თუ კაცი ხარ, რა ხილფაფის ქილებზე ლაპარაკობ, რა ნაციისტური გაზეთები?

— 1935 წლიდან მოყოლებული, რაიმუნდმა სახელი გავითქვა და მფარველიც ბევრი გამოუჩნდა, რადგან მისი მფარველობა საფრთხეს არავის უქადდა. მის ლექსებში თითქოსდა არაფერი იყო პოლიტიკური თვალსაზრისით დასაძრახი, მაგრამ ვისაც კი შეეძლო ამ ლექსების კარგი წაკითხვა, დაფარულ აზრსაც უმაღლ მიაგნებდა. რაიმუნდი შურბიგელმა „აღმოაჩინა“ და ნაციისტებიც გუმანით მიხვდნენ, ამ კაცის ხელდასმით ხეირს გამოვრჩებითო. მისი ლექსები ავი სულაც არ ჰგავდა იმ აჩა-ბაჩა შაირებს, ნაციისტურ სამზადისში რომ ცხვებოდა. რაის ლექსებით ვის არ გააკმენდინებდი ხმას, აქაოდა, არც მთლად ისეა საქმე, ვიდრე-ვილაცებმა რომ ხელები შეგვახოცესო. ჰოდა, რაიმუნდიც საშინელ დღეში ჩავარდა, ლექსი ვერ გამოაქვეყნა ისე, ნაციისტებს ხოტბა არ შეესხათ. ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, საერთოდ აღარაფერს ბეჭდავდა და ლექსსაც იშვიათად თუ დაწერდა. სიმამრის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. თავდაპირველად მარტოდმარტო ხაზავდა ფერად დიაგრამებს, ზედმიწევნით ზუსტად რომ აღ-

ნუსხავდა — სად, რა ოდენობით და რომელ ხილფაფას შეექცეოდა მოსახლეობა. თავგადაკლული მუშაობდა და საფუძვლიანადაც შეისწავლა გერმანიის ცალკეულ რეგიონებში ხილფაფის მოხმარების სტატისტიკა. უხვად ახარჯავდა ნაირ-ნაირ წითელ საღებავებს და საქონლის გასაღების განყოფილებიდან მიღებულ ნონაცემებს დიაგრამაზე გადაიტანდა ხოლმე.

თუკი ნიურნბერგში, ან სადმე სხვაგან ნაცისტების თავყრილობა გაიმართებოდა, წითელი საღებავები უამრავი ეხარჯებოდა ხოლმე, ხოლო ინგლისიდან რომ დავბრუნდი, ერთად დავიწყეთ მუშაობა, ვხატავდი პლაკატებს, ვთხზავდით სარეკლამო წარწერებს. ხილფაფის ქილებზე გაკრული ის წარწერები ომის დროს წარამარა თვალში გვეჩხირებოდა. იმ დიაგრამებს ვითომ თავიც კი შეაფარა, მაგრამ მისდაუნებურად კიდევ უფრო დიდი სახელი მოიხვეჭა, რადგან ამასობაში ნაცისტებმა მისი სხვა ლექსებიც გამოქვეყნეს და თუმცა თავად უარზე იდგა, მისწერა კიდევ, არ გამოაქვეყნოთ, ლექსები მაინც დაბეჭდეს. ამ ამბავმა ხომ სულმთლად დარია ხელი, ბოლო მოუღო.

— შურბიგელს ადრევე იცნობდი? — სიტყვა ჩაურთო ბრეზგოტემ.

— ვიცნობდი, — უპასუხა ალბერტმა. — რატომ მეკითხები?

— როგორ ფიქრობ, ნელა თუ შეეწყობა იმ გეზელერს?

— ექვი მეპარება. ამასთანავე, ნელამ მშვენივრად იცის ვისთანაც დაიჭირა საქმე.

— როგორ თუ „იცის“?

— გამგზავრების ხანს ნართაულებით მელაპარაკა.

— საით გაემგზავრენ?

— ბრენიხში წავიდნენ, რალაც სემინარი ტარდება.

— ღმერთო მაღალო, — ჩაილაპარაკა ბრეზგოტემ, — ახლავე წავიდოდნი!

— თავი დაანებე, — დააშოშმინა ალბერტმა, — თვითონაც მიხვდება, როგორ მოიქცეს.

— მაინც რას იზამს?

— ამას ვერ გეტყვი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სწორად მოიქცევა.

— მაგისტანას გაულაწუნო უნდა, ან სულაც პანჩური ამოჰკრა. მეტი რა უნდა მოუხერხო ასეთ ვიგინდარას. მაგრამ საქმე თუ საქმეზე მიდგა, შეიძლება მოგვლა კიდევ.

ალბერტს არაფერი უპასუხნია.

— გული აღარა მაქვს საგულეში, — თქვა ალბერტმა, — სად გადაიკარგავს ბიჭი, მშვენივრად იცის, რომ ბიტენჰანში მიმყავს დღეს. ხომ არ მოგშივდა? — მიუბრუნდა იგი ბრეზგოტეს.

— კი, მოშიებულნი ვარ. მოიხელდახელე რამე.

— წავიდეთ აბა.

ბრეზგოტე სამზარეულოში შეჰყვა ალბერტს. ჩაშუშული ბოსტნეულით სავსე წვნიანის ქვაბი ალბერტმა გაზის ქურაზე შემოდგა და მიცივრიდან სალათა გამოიღო. წასვლის წინ ნელას ბლინების ცომი მოეზილა, ქონი დაექრა და ყავაც დაეფქვა. ნელას სამი დღე, ფეხი არ მოუცვლია შინიდან, არც სტუმრები მოუყვანია და სახლიც სახლს დაემსგავსა. ალბერტი კედელზე გამოყვანილ წარწერას მიაშტერდა: „გულისაკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის“.

გეზელერის ამ მოულოდნელმა გამოცხადებამ ალბერტი საგონებელში ჩაგდო, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევ ცოცხალ გეზელერთან ხელახლა შეხვედ-

რის, იმ კაცზე ლაპარაკი და ფიქრი უფრო ეადვილებოდა... მაგრამ ამჯერად ნელას დედა ჩაერეოდა საქმეში, ბიჭსაც გარევედნენ... ბრეზგოტე წარბშეკრული იდგა იქვე და თვალს არ აშორებდა ბლინებს: ცოცხალი ჩაფლული ხიწიწები ცმუკავდნენ თითქოს.

ქუჩაში რომ რაიმე გაიფაჩუნებდა, ალბერტი სმენდა ბრეზგოტეს, მარტინმა მამამისივით მკვირცხლი, ტუსტუსა სიარული იცოდა და ალბერტიც ფეხის ხმაზე სცნობდა ბიჭს; ჭიშკარი უცნაურად გაიჭრიალებდა, მარტინი როცა შეაღებდა კარს; ოდნავ შეაღებდა ხოლმე, აი, ნელა კი ღონივრად უბიჯებდა, ყურთამდე მოადარდალინებდა და კარიც მიწაში ჩასობილ ძელს მიეხეთქებოდა. მარტინი ოდნავ შეაღებდა ხოლმე კარს, გვერდულად შემოძვრებოდა ბაღში და კარიც თავისებურად გაიჭრიალებდა. სწორედ ამ გაჭრიალებას ელოდებოდა ასე მოუთმენლად. ტაფაზე ხიწიწები შიშხინებდა, ჩათუშული კომბოსტო შიშინებდა და ალბერტიც გაღიზიანდა, ვეღარ აყურადებდა გარედან შემოღწეულ ფაჩიფუჩს. ალბერტმა გამომცხვარი ბლინი ბრეზგოტეს გადმოუღო თეფშზე, სალათაც ბარაქიანად დაუხვავა ჯამზე და უთხრა:

— მაბატიე, მაგრამ მოსვენება დამეკარგა, წავალ, ბიჭს მოვნახავ. სამი საათია უკვე და ჯერაც არ მოსულა.

— ნუ გეშინია, მოვა. არსად დაიკარგება. — დაამშვიდა ბრეზგოტემ.

— ორიოდე ადგილი ვიცი, იქ მეგულება. მანქანით წავალ და პალევე ნოვბრუნდები. შენ ამასობაში წაიხემსე, ყავაც მოიდულე.

მუდამ ასე იყო ხოლმე: მარტინს რომ შეაგვიანდებოდა, ალბერტს ხან რა მოელანდებოდა და ხან კიდევ რა. ამჯერადაც ვერ მოთოკა მოზღვავებული ფანტაზია, რა იცი, რა ხიფათი შეემთხვაო: თვალწინ დაუდგებოდა სისხლის გუბეები, საკაცე და ალბერტს ისიც მოეყურებოდა, პატარა კუბოს ვითომ მიწა მიაყარეს და მარტინის თანაკლასელთა გუნდიც ამხანაგს სამუდამოდ ეთხოვებო. ლინის დაკრძალვაზეც ასე იმღერეს ინგლისელმა გოგონებმა, „MEDIA IN VITA“ უგალობეს. მაშინაც ასე იყო: სისხლი, უცარი სიკვდილი და ბოლოს „MEDIA IN VITA“. ალბერტმა თავი აიძულა, ნელ-ნელა წაეყვანა მანქანა, თვალებით დაეძებდა მარტინს, დაეძებდა ყოველი ხის უკან და თუმცა დარწმუნებული იყო, ახლომახლო ვერსად დავინახავო, ქუჩას მაინც გაფაციცებით უთვალთვალებდა. ალბერტს არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ კაცი, ნელა ვისაც აემგზავრა, სწორედ გეზელერი იყო და სხვა არავინ, მაგრამ სად ეცალა ახლა გეზელერისათვის. ალბერტმა ატრიუმს ჩაუარა და პაინრიხშტრასეს კუთხესთან, სადაც მარტინის სკოლა ეგულებოდა, მანქანა შეაჩერა. უკაცრიელ, მზით გაჩახჩახებულ ქუჩაში ჩამიჩუმიც არ ისმოდა, მაგრამ უცერად ჟივილ-ხივილმა აიკლო იქაურობა: გადაღმა მხარეს, ქალთა სკოლაში, დასვენება დაიწყო და ასობით გოგონას ხმამ ქუჩა შეაზანზარა. ერთბაშად იფეთქა სიცილ-კივილმა და სკოლის შესასვლელთან ნებივრად გაწოლილი ძაღლიც დაფრთხა, კუდამოძუებულმა გადმოირბინა ქუჩა.

ალბერტმა გზა გააგრძელა, მერე ერთ-ერთ სახლთან ისევ შეაჩერა მანქანა, სადაც აბრა იყო გამოკრული — „სადურგლო“. ალბერტმა ზედიზედ სამჯერ მისცა სიგნალი და ფანჯარაში პაინრიხის ლამაზ-ლამაზი, მომლიმარი სახე გამოჩნდა.

¹ Media in vita — გაფურჩქვნის ხანაში (ლათ.).

- მარტინი შენთანაა? — ასძახა ალბერტმა.
- წინდაწინ იცოდა ჰაინრიხი რასაც უპასუხებდა.
- არა. ჯერ არ მოსულა? სკოლიდან პირდაპირ სახლში წავიდა.
- არ მოსულა. დღეს ხომ მოდიხარ ჩვენთან ერთად?
- არ ვიცი, ჯერ დედას უნდა დავეკითხო.
- გამოგივლით.
- კი ბატონო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა ბოლდას იმედზედა იყო. მანქანა ისე ნელა მიჰყავდა, სხვა მანქანები ერთიმეორის მიყოლებით უსწრებდნენ და მძღოლებიც გაჯავრებით უსიგნალებდნენ, მაგრამ ალბერტი არც ამას აქცევდა ყურადღებას. მერე ხელმარცხნივ გაუხვია, ეკლესიას შემოურა და საცავის შესასვლელთან გაჩერდა.

სისხლი და უეცარი სიკვდილი... ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მარტინი არც ბოლდასთან დაუხვდებოდა, მაგრამ რაღაც ძალამ აიძულა მანქანიდან გადმოსულიყო. უფრო იმიტომ გადმოვიდა, რომ დარწმუნებულიყო ამაში. MEDIA IN VITA... საცავის კარი მოხურული იყო მხოლოდ. ალბერტი კარს მიაწვა, ჩაუარა მიჯრით მიწყობილ და გაკრიალებულ კარადებს, სიგრილეს რომ აფრქვევდნენ თითქო მნათეს თეთრი სამოსელის გვერდით კაუჭა ლურსმანზე ბოლდას პალტო ეკიდა. მუჭი ყავისფერი პალტოს მარცხენა ჯიბიდან ბულიონიან თერმოსს ამოეყო თავი, მარჯვენა ჯიბეში კი ბუტერბროტებიანი პარკი მოჩანდა.

ალბერტმა ეკლესიაში შესასვლელი კარი შეადო, საკურთხეველთან მუხლი მოიყარა და მიმოიხედა. წირვა-დღის გარდა სხვა დროს არასოდეს ყოფილა აქ და ამ გატრუნული უზარმაზარი სივრცის შემყურეს ახლა ერთ-ერთ-ერთ სვეტთან ალბერტმა ბოლდას თუთქისხსნარიან ვედროს მოჰკრა თვალი, იქვე დაინახა სვეტზე მიყუდებული იატაკის საწმენდი პალო და ბოლოს ბოლდაც დალანდა: აღსარების სკამზე ამოტვიფრულ გოთიკურ ორნამენტს აცლიდა მტვერს. ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, ბოლდა შემოტრიალდა, რაღაც ჩაიბურტყუნა და ალბერტის შესახვედრად გამოეშურა. ერთმანეთს ზიარების სკამთან შეეგებნენ და ბოლდას შემყურეს ალბერტს საკუთარი სახეც თვალწინ დაუდგა.

- ღმერთო ჩემო, — აღმოხდა ქალს, — მოხდა რამე?
- მარტინი არ მოსულა სკოლიდან. სახლში კი შეურბენია, მაგრამ მერე გაქრა სადღაც.

- სულ ეგაა?
- ეგაა.

ბოლდას ხმამაღალი ლაპარაკი აღიზიანებდა და უნებლიეთ ხმასაც კი დაუწია, მაგრამ თავის პასუხს მაინც დაატყო მეტისმეტი სიმჭახლე.

- ეგაა, — გაიმეორა ალბერტმა. — მეტი რა უნდა იყოს?

ბოლდას გაეღიმა.

— მოვა, არსად დაიკარგება. ხომ იცი, ზოგჯერ გაფხუკიანდება ხოლმე, სახლში რომ არავინ დაუხვდება. — ბოლდას ისევ გაეღიმა, მერე თავი გააქნია და დააყოლა — დაწყნარდი, მალე მოვა.

ალბერტი გაოცდა: ვერც კი იფიქრებდა, ბოლდას თუ ასე ნაზი და აღერსიანი ლაპარაკი შეეძლო. არადა, უკვე შვიდი წელი იყო, ერთ ჰერქვეშ ცხოვრობდნენ. ალბერტს ანაზღად ლამაზიც კი მოეჩვენა ბოლდა, მხოლოდ ახლა შეაჩინია, თლილი და ნატიფი ხელები რომ ჰქონდა ქალს. ბოლდას ახალთახა-

ლი, ყვითელი ტილოს ნაჭერი ეკავა, რომელსაც საფირმო ეტიკეტი — ქალაქ-
დზე გამოსახული შავი ყორანი — ჭერაც ზედ ჰქონდა დაკრული.

— უეჭველად მოვა, — ღიმილით გაიმეორა ბოლდამ. — არ იჯავრო.

— ვითომ?

— უეჭველად. შინ წადი და იქ დაელოდე, მაღლებს მტრებს.

ბოლდამ წასვლა დააპირა, იმედიანად გაუღიმა, მერე მიბრუნდა და ისევ
ელსარების სკამისაკენ გაემართა.

— აქ თუ გამოჩნდა, იმწუთასვე სახლში გამოუშვი. — სიტყვა დაადევნა
ალბერტმა.

ბოლდამ კიდევ ერთხელ გამოხედა, თავი დაუქნია და თავისი საქმე გა-
ნაგრძო.

საკურთხეველთან ალბერტმა ისევ მოიყარა მუხლი, საცავი გაიარა და ქუ-
ჩაში გავიდა.

ალარ იცოდა, სად მოეძებნა მარტინი. მანქანა შინისაკენ კვლავ ნელ-ნელა
წაიყვანა იმავე გზით და უცებ მიხვდა, დავრწყუნარდით. ბოლდას სიმშვიდე ალ-
ბერტსაც გადაედო.

ბრეზგოტეს ყავა მოედუღებინა, ბლინიც დაეცხო.

— აგერაა, ინებე, — უთხრა ბრეზგოტემ და ჭურჭლის კარადაზე შემო-
ღებული გაზეთი გადმოუღო.

ალბერტს უმაღლესო გეზელერის ლამაზ-ლამაზი, შავგვრემანი პირისახე.

— კი, — ამოდერდა ბოლოს, — ეგაა.

თავი XIV

ის იყო, ტაქსის მძღოლს გაუსწორდა, რომ საკრედიტო ბანკის შესასვლელ-
თან ნელამ გეზელერს მოჰკრა თვალი: ტანმოყვანილი, ხიბლიანი ახალგაზრდა
კაცი ბრინჯაოს ორ ნაქანდაკარს შუა იცდიდა, მზირებივით რომ დაყუდებულიყ-
ვნენ შესასვლელის გარდი-გარდმო. ხელმარცხნივ ბრინჯაოში ჩამოსხმული ფი-
ნანსისტი იდგა პორტფელით ხელში, ხელმარჯვნივ — კალატოზი თავის ქაფჩით
და ორთავენი თითქოს ბრინჯაოს ღიმილით შეჰკლიმოდნენ ერთმანეთს; მათ
თავსზემით დეკორატიული ვიტრაჟი მოჩანდა, ნეონის ნათურებით გაბრდღვია-
ლებული. მიწაზე მოხატული ჩამუჭებული ყვავილები, ჭოჭონაქი და პინიანი
სასწორიც უმაღლეს თვალში შეგეჩხირებოდა კაცს, ხოლო ვიტრაჟის შუა ალა-
გას ყვავილებით, გორგოლაჭებით, ყაფან-საწონებითა და თავთავეებით შემ-
კულ-მორთული თოვლივით თეთრი წარწერა იწონებდა თავს: „საკრედიტო ბან-
კი — ხელსაყრელია“. სიტყვა „ხელსაყრელია“ სამი იმხელა მაინც იქნებოდა,
ვიდრე სიტყვები — „საკრედიტო ბანკი“ და ქაფჩიან კალატოზსა და პორტფე-
ლიან ფინანსისტს შუა ჩამდგარი გეზელერიც სწორედ „ხელსაყრელია“-ს ქვეშ
იდგა.

ზუსტად იმ დროს, როცა მძღოლს რამდენიმე მარკა შეაჩეჩა ხელში, გე-
ზელერმა საათზე დაიხედა და ნელას უცებ სახლი მოენატრა, მოენატრა მარ-
ტინი, ალბერტი, გლუმი, მოენატრა დედა და ბოლდა, ამოდ ცდილობდა გე-
ზელერისადმი ის ძველთაძველი ზიზღი გაედვივებინა, მაგრამ ამის სანაცვლოდ

რადაც უჩვეულო, უგულისძარღვო და საზარელი გრძნობა დაეუფლა — მოწყენილობა.

ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებდა: უხეიროდ განლაგებული იუბიტერები იმ ახალგაზრდა მოწყენილ კაცს აფრქვევდა შუქს, ახლა იგი ბოლოს სცემდა „ხელსაყრელია“-ს ქვეშ.

— ქალბატონო, გადაბრძანდებით თუ გზა გავაგრძელებთ? მოესმა მძლოლის ხმა.

პასუხად ნელამ გაუღიმა და მძლოლსაც გაჯავრებული სახე უმაღლ მოუღბა: მხოლოდ ერთხელ შეათრთოლა კუნთები და მძლოლიც თვალის დახამხამებაში გარეთ იყო უკვე, შემოუბრინა მანქანას, ნელას კარი გაუღო და ჩემოდანიც გადმოუტანა.

გადაღმა მხარეს გეზელერმა ისევ დაიხედა საათზე: დიახ, ასეა, შვიდი წუთით დაიგვიანა. ნელამ თვალები მოჭუტა, კაშკაშა შუქმა თვალი არ მომჭრასო: სულაც არ ეპიტნაებოდა იმ ჩახჩახა და მოსაწყენი ფილმის ნახვა, ახლა რომ უნდა დაწყებულიყო.

— ოო, ძვირფასო ნელა, რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ თქვენი მობრძანებით.

გეზელერმა ის თავისი უნიჭო ხელი ჩამოართვა.

კრიალ-კრიალა. ზაფხულის ცასავით ლურჯია მანქანა, სალონზე თვალი დაგრჩება და გეზელერსაც სახე აელეწა უცებ: აი, თურმე რა შესძლებია ნელასეულ დიმილს.

— მშვენიერი მანქანა გყოლიათ.

— არც კი დაიჯერებთ, თრმოცი ათასი გავიარე უკვე. უბრალოდ კაცს წესი და რიგი უნდა გიყვარდეს.

— ცამდე მართალი ბრძანდებით, — კვერი დაუკრა ნელამ. ცხოვრებაში წესრიგია მთავარი.

გეზელერმა ეჭვნეული მზერა შეაფეთა ნელას.

მანქანის სალონში საფერფლეებიცაა. სიგარეტის მოსაკიდებელიც, ავარჯარებული, მოღუდლუდე სპირალიც. გეზელერმაც მანქანა დაძრა.

ნუთუ აი ასე მოადგა ივდითი ოლომფორნეს¹ ბანაკს? ნუთუ ისიც პირმორღვეული ამოქნარებდა, როცა ოლომფორნეს მხარდამხარ კარგებს შორის ჩაიარა?

მანქანას მართლაც რომ დიდებულად მართავს, წითელ შუქნიშანზე დროულად ამუხრუჭებს, შესაძლოება თუ იხელთა, სიჩქარეს მოუმატებს, გაძვრება, გამოძვრება და მანქანების რიგს თავში მოექცევა. ერთი შეხედვით იერი ვაჟკაცური აქვს, მაგრამ თუ დააკვირდები, იფიქრებ, ოდნავ მიბნედილი და მინაზებული თვალების პატრონიაო: არადა, კვლავინდებურად ჩახჩახა, თვალის-მომჭრელი შუქი ახლავს ყოველივეს. იქვე, სიგარეტის მოსაკიდებელთან, პატარა შიდა უბეში, „ბოტენის“ ბოლო ნომერი დევს. ნელამ გაზეთი გადაშალა და სარედაქციო კოლეგიის წევრთა გვარები ამოიკითხა: ვერნერ გეზელერი — კულტურისა და ხელოვნების განყოფილება. ალბერტს არასოდეს უხსენებია მისი სახელი. არც ასაკი უთქვამს მისი და წლების მანძილზე ნელასაც სულ სხვა

¹ როგორც ცნობილია, ივდითმა სიცოცხლეს გამოასალმა მისი მშობლიური ქალაქის დამპყრობელი, ასირიელთა მხედართმთავარი ოლომფორნე.

ადამიანი ჰყავდა წარმოდგენილი: მაღალ-მაღალი, მხარბეჭიანი, ასე ვთქვათ, უსულგულო, პირლამაზი და ინტელიგენტი, ოფიცერი, თავგამოდებით რომ ასრულებს თავის უწმინდეს მოვალეობას და არა ამ პროფილის პატრონი, სარეკლამო ფილმისათვის რომ გამოდგება მხოლოდ: — „მოინახულეთ ბრენის ხის ციხესიმაგრე, გერმანული ბაროკოს მარგალიტი ბრენის თვალწარმტაც ხეობაში!“

ამასობაში გარეუბანს მიაღწიეს, გამოჩნდა ჩაქსქარული ლობეები, მერე ბოშათა მოჩარდახული ოთხთვალა გაიღანდა. სულ ახლახან აქ ბაზრობა იყო გამართული; ჯერაც ჰყეტელაობდნენ ფერაჭრელი ურიკები, მოშორებით კი კარუსელი ტრიალებდა, ისმოდა არღნის ყრიალ-ყრიალი და ბავშვებიც ცდას არ აკლებდნენ, რომ ამ ბოლო ჯერზეც გაეძაძგუნათ კარუსელით, ვიდრე ბრენის სახურავს დააკოტავებდნენ და წასაღებად გაამზადებდნენ. თუმცაღა, ამ ჩახჩახა, თვალისმომჭრელი შუქის ფონზე და ახლად გამომტყვრალი ამ მთავარი გმირის გვერდით უღამაზეს მოსახილველსაც კი აკლდა პეწი და ლაზათი... გზა რომ გზა არის, ისიც საფოსტო ბარათზე აღბეჭდილსა აგავდა.

ლიმილი, კიდევ ერთი ლიმილი ფეშქაშად: ჩახეთქე, თქვლიფე, ჩემო კრუჭუნავ, და თუკი ეს შენ ხარ, ცეცხლად შეგერგოს ჩემი ლიმილი, ხოლო თუ მაინც ვცდები და იმ სხვაში მეშლები, მეტი რა გზა მაქვს, ვითმინო უნდა: ახლა რომ ხელზე უნდა მემამბორო. არადა, არ ვცდები, ჩემო კრუჭუნავ, სწორედ შენა ხარ ის ღვთის გლახა, ფილმი რომ ნაკუწებად დაჭრა. სწორედ შენი სახე აქვს ბედისწერას — არაპირქუში, არაუნდომი; ზუსტად რომ შენი სახე აქვს — მოწყენილი, სევდიანი.

გეზელერისეული ყველაფერი აღიზიანებდა ნელას. აღიზიანებდა მისი სიმწვიდე და მანქანის ზომიერი სისწრაფით მართვა — ტახომეტრის ისარი თითქო გაყინულიყო 60-თან. მანქანას თუ მართავ, 100-თან მაინც უნდა ძაგდაგებდეს. ისარი, — ნემსივით წვრილი, ნერვული ისარი. შენს თითებზე უფრო მეტად მგრძნობიარე რომაა ხოლმე.

გეზელერმა თვალი თვალში გაუყარა და ნელამაც კიდევ სამგზის უფეშქაშა ლიმილი — სახის კუნთების უნებლიე შეთამთამებით გამონთხეული შხამი, მადლიერების გრძნობით რომ მიიღო გეზელერმა.

ბიტენჰანი. ტყეში ჩადგმული სათხელელიანი სახლები ერთი შეხედვით მიმოფანტული გეგონება, არადა, საერთო ხედის ყველა წვრილმანი საგულდაგულოდაა მოზომილ-მოფიქრებული. ტურისტებს მისატყუებლად სწორედ ასეთი გზით ცდილობენ რომანტიკული მოსახილველის კულტივირებას. ქალაქის კარიბჭეში ოცდაათწლიანი ომის დრონდელი ბირთვია ჩაქვავებული; შმიტის სახელოსნოში დამზადებულ და საგანგებოდ გამურული ცემენტის ეს ბირთვი საგულისგულოდაა დაქარაგოზებული: ასე რომ, შეხედავ და, ძველისძველი შვედური ბირთვი უმაღლეს თვალში შეგეჩხირება.

— მშვენიერი ხედია, — პირი აღალო გეზელერმა.

— ნამდვილად, — დაემოწმა ნელა.

აი, ალბერტის დედის სახლს ჩაუარეს. ალბერტის დედა ეზოში სარეცხს აფენდა, ძია ვილი კი ფეხდაფეხ დასდევდა ქალს და სამაგრებს აწოდებდა. ნაშუადღევს აქ ალბერტი ჩამოვა მარტინთან ერთად და დროსაც მშვენივრად გაატარებენ, მით უმეტეს, რომ საღამო ხანს გლუმიც ჩამოაკითხავთ და იმ თა-

ვის სიმღერებს დაათუხთუხებს, ორშაბათს კიდევ იქნება სულაც ადგნენ და მანქანით წავიდნენ სადმე.

ის იყო უნდა ეთქვა, გააჩერეთო მანქანა, მაგრამ ბოლო წამს თავი შეიკავა და უკან მხოლოდ მაშინ მიიხედა, როცა ასაქცევს მიატანეს; მია ვილი კვლავ თავჩაქინდრული იდგა, ხელში სამაგრები ეჭირა, ალბერტის დედამ კი ღუღღუდა ყვითელი ფერის კალათა მიწაზე ჩამოდგა და ვილის დედასთან პერანგი თოქზე გადაფინა. ნელა სევდამორეული გაცყურებდა მშვიდობის ამ ბაიარდს, ვიდრე ეს რეკვიზიტის ხეების მიღმა გაუჩინარდებოდა.

— რა სილამაზეა, არა? — თქვა გეზელერმა.

— ნამდვილად, — ისევ დაემოწმა ნელა.

გეზელერმა უნდობელი მზერა შეაგება — ნელასეული კილო თუ დაიჭვებოდა, მაგრამ ქალის ღიმილმა უმაღლესი გაუფანტა ეჭვი. სასწაულმოქმედ ამ ბალზამს ნელა მუქთად დააპყრებდა ხოლმე კაცების პირქუშ სახეებს და „სიცოცხლესაც კვლავინდებური ახლდა ეშხი, ლაზათი“. გეზელერმა სისწრაფეს უმატა და ტახომეტრის ისარი ახლა 75-თან აკინკილდა. გეზელერი მოსახვევებშიც თავდაჭერილი ელეგანტობით მართავდა მანქანას და ეკრანზეც ისევ ის კადრები ციმციმებდა: „მოინახულეთ ბრენნიხის ციხესიმაგრე, — გერმანული ბაროკოს მარგალიტი ბრენის თვალწარმტაც ხეობაში“.

ქვემოთ ბრერი მოჩუხჩუხებდა, ჩამწვანებული და ვიწრო ბინული, რომელიც კარგა ხნის წინათ ამოშრებოდა; თვალთაგან დაფარული, მიწის ქვეშ გაყვანილი ბეტონის მილი რომ არ ამარაგებდეს წყლით: დაე, კვლავინდებურად იჩხრიალოს, კვლავ ძველებურად შეჰმატოს პეწი ტყესა თუ მდელობს. რალა თქმა უნდა, აქვეა წყლის წისქვილიც, ფრთების ტრიალ-ტრიალის დროს ხალისიანი რაკარუკით რომ ავსებს ბრერის თვალწარმტაც ხეობას.

— ღმერთო ჩემო, რა სილამაზეა, არა? — აღმოხდა გეზელერს.

— ნამდვილად, — კვერი დაუკრა ნელამ.

კვლავ უნდობელი მზერა გეზელერისა, კვლავ მალამოსავით ღიმილი ნელასი და კადრებიც ერთიმეორეს სცვლიან. დროდადრო გადაავიწყდებოდა კიდევ, რომ გეზელერის გვერდით იჯდა. ნელამ დაამთქნარა და სევდაც უეცრად შეყრილი სენივით მოეძალა; ემთქნარებოდა და საუბარსაც ძალისძალად დაჰყვა, ოღონდ კი გეზელერს არ შეემჩნია, რომ სევდა უღრღნიდა გულს. თავად გეზელერი, ეტყობა, დარწმუნებული იყო, ქალი გულისყურით უსმენსო იმ ამბავს, თუ რა ინტრიგების ქსელს დააღწია თავი, ვიდრე „ბოტენის“ რედაქტორად დანიშნავდნენ.

მანქანა ახლა მშვიდად მიუყვებოდა გზას. ირგვლივ უწყინარ პეიზაჟს დაევანა: მდელობს მდელობი ენაცვლებოდა, ხერგულს—ხერგული, ღობეებთან ნახირი ჩოჩქოლაობდა. საგუბარიდან არც თუ მოშორებულ ადგილს ბრერმა ზნეიცვალა ანაზღად, თავაწყვეტილ მდინარეს დაემსგავსა; საგუბარის ზედამხედველმა ალბათ სულ ახლახან მიაგდო წყალი, რომ ბრერის ხეობა სიგრილითა და იდილით დაცვარულიყო. ნელამ გააბოლა, სევდას დავიყუჩებო. ფილმი, რომელსაც ახლა უყურებდა, ეტყობა, ერთობ კეთილსინდისიერი, ერთობ მუყაითი მოყვარულის მიერ იყო გადაღებული: ასე ულაზათო და ჩანაცრისფრებული განათება საგნებს სიბრტყეში ჩალარავს ხოლმე და იმასაც გაფიქრებინებს, თვალდათვალ გაცოცხლდეთ უხეიროდ გადაღებული და მოსაწყენ ალბომებში ჩაკრული სურათები. ჯერ კიდევ სად ხარ, ასეთ ალბომთა დასტები უნდა ათ-

ვალეროს, თვალი ადევნოს მიწისფერ კადრებს, ვილაც ფინაჩმა რომ აღბეჭდა ფირზე. ეს ნაცრისფერი ფოტოები დასტობით უნახავს თანასკოლელთა ოჯახებში: დასტობით უნახავს ეს ტომებად დანომრილი მოწყობილობა. ჩიტირეკია ფოტოგრაფებმა რომ აღბეჭდეს ხალხმრავალ კურორტებზე: ფლენსბურგიდან მედინამდე და კალედან კარლსბადამდე, ამ გრძელზე გრძელი გზის მთელს გაყოლებაზე აღბეჭდილია და უკვდავყოფილი ყველაფერი, ~~სრულად დანგრეული~~ უკვდავყოფისა; აღბეჭდილია ჭგუფური მოწყენილობა, მოწყენილობა-ეული, მოწყენილობა ზომით 8×8-ზე, 12×16-ზე ან სულაც პორტრეტული ფორმატის მოწყენილობა. აი, თუნდაც ფოტოსურათი, სადაც ლოტე მედინას პლაჟზეა აღბეჭდილი გოლფის თამაშის დროს (ზომა — 18×24-ზე). ეს მოწყენილობა № 12 ალბომშია უკვდავყოფილი; ამავე ალბომშია აღბეჭდილი ყველა ღირსახსოვარი თარიღი, მოყოლებული იმ წუთიდან, როცა ლოტემ სახელმწიფო გამოცდა ჩააბარა, ერთი სიტყვით, აქ მთელი მისი ნიშნობამდელი პერიოდია აღბეჭდილი. ახლა კი ჭერი № 13 ალბომზე მიდგა, — „ოო, როგორ გეკადრებათ, სრუმორწმუნენი სრულებითაც არ ვახლავართ, ეს ალბომი მთლიანად ლოტეს ქორწინებასა და საქორწინო მოგზაურობას მივუძღვენით“. ამ ალბომშია უკვდავყოფილი მოწყენილობა საქორწილო ფატითა და საქორწილო ფატის გარეშე, მოწყენილობა ჭერ კიდევ უმანკო და მოწყენილობა პატივახდილი. „ეს კიდევ ბერნჰარდის მამაა! ნუთუ არ იცნობ? არა? რას ამბობ? კი ესაა!“ — ღიმილის ეს ბიჭიც უკვდავყოფილია ფოტოზე (ფორმატი 6×9-ზე), ხოლო ალბომი № 14, რალა თქმა უნდა, ბავშვის სურათებს დაეთმო. — „შეხედე, რა ბავშვია, ჩაყლაპავ“. — ვილაცის მალალნიჭიერმა, თამამმა ხელმა სურათი დაარეიტუშა და ბავშვის ჩვილზე-ჩვილ პირისახეს ერთობ მეტყველი ნაცრისფერი შუქ-ჩრდილი დააფინა.

წყალი არ გაუვა, ყველაზე თვალწარმტაც ადგილას გეზელური მანქანას ვააჩერებს, საკოცნელად წაეპოტინება, მერე კი პორტფელიდან თავის „ლეიკას“ ამოამზებურებს და რომელიმე ალბომში კიდევ ერთი ფოტოსურათი ჩაეკვრება: ნელა დიდ მისაქციელთან, № 8 გზის გასაყართან იქნება უკვდავყოფილი; ქვემოთ ბრერი მოჩანს, ხელმარჯვნივ, ტყეში — საგუბარი; ერთი სიტყვით ისეთი სილამაზეა, თვალს ვერ მოწყვეტ. ქვემოთ მდინარე მიედინება, მოჩანს სოფელი, ძველთაძველი ეკლესიის გუმბათი და ასევე ძველთაძველი სამიკიტნო „ცისფერი ღორი“. „ოო, ნუთუ მართლა არ იცოდით, რატომ დაერქვა „ცისფერი ღორი“? „არა“. „მაშინ, აბა, ყური დამიგდეთ“...

და გეზელერიც წარღვნის დროინდელ ანეკდოტს მოაყოლებს თავის ნათქვამს, მერე ისევ წაეპოტინება საკოცნელად, გადავლენ მანქანიდან, გაიჩხაკუნებს ფოტოაპარატი, აღბეჭდება ბაროკოსდროინდელი ეკლესიის გუმბათი, კვლავ გაიჩხაკუნებს ფოტოაპარატი და ამჯერად ფირს „ცისფერი ღორი“ შერჩება, ისიც ბაროკოს სტილით ნაგები. ბოლოს კი, ამ საოცრების დასტურად ფოტოლაბორატორიიდან სათანადო ფორმატით უკვდავყოფილ მოწყენილობას მოაცუნცულებენ.

— ხომ მართლა გული გაგინათლება?

— რა თქმა უნდა.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ უმგზავრია ამ გზით; რაიმუნდს ჭერ კიდევ ომამდე წამოპყოლია აქეთ, ბოლო წლებში კი აქ ალბერტთან ერთად ყოფილა და ერთხელაც არ შელონებულა; ფიქრადაც არასოდეს მოსვლია, ბაროკოსდროინ-

დელი ეს ეკლესია და „ცისფერი ღორი“ ასე თუ დაანაღვლიანებდა ოდესმე, მაგრამ ამჯერად ისეთი სევდა მოეძალა, გულზე ნელ-ნელა ცეცხლიც შემოენ-
თო იმის დარად, აი, სინდიკი რომ ზევით-ზევით აჩოჩდება ხოლმე, თაკარა
სიტხის დროს.

— გააჩერეთ მანქანა, — ანაზღად სიტყვა გაიმკვანა ნელაქვეყნულ-
ხნით სუფთა ჰაერზე გავისეირნებ.

მანქანა გაჩერდა, ნელამ ტყისკენ დააპირა წასვლა, მაგრამ გადადგა თუ
არა რამდენიმე ნაბიჯი, ზურგს უკან ჩხაკუნნი მოესმა. ნელა შემობრუნდა და გე-
ზელერს შეაფეთა მზერა: მანქანასთან იდგა, გულზე „ლეიკა“ ჩამოეკიდებინა.
ნელა უკანვე გამობრუნდა და ხმადაბლა უთხრა:

— ფირი მომეცით.

გეზელერმა თვალები შეაცვცა.

— ფირი მომეცით-მეთქი, ფირი ამოიღეთ.

გეზელერი შუბლშეკმუხნული იდგა, დიდხანს უტრიალებდა ფოტოაპარატს,
მერე კასეტა ამოიღო და ნელას მიაწოდა. ნელამ კასეტიდან ფოტოფირი ამო-
აძრო და ნაკუწებად დაგლიჯა.

— არ მიყვარს ფოტოსურათები, — მშვიდად დააყოლა ნელამ, — მეტი
აღარ გადამიღოთ!

მერე მანქანაში ჩაჯდა და გეზელერისაკენ გააპარა თვალი. ერთხანს თავიც
შეიქცია მისი ამრეზილ-გაბუტული პროფილის შემყურემ. გეზელერმა ტუ-
ჩებიც კი აბზიკა.

გზების გასაყარზე მან მართლაც გააჩერა მანქანა, ზუსტად იმ ადგილას, სა-
იდანაც მშვენიერი ხელი იშლებოდა, მოჩანდა თითქმის დაშშრალი ბრერი, ბა-
როკოსდროინდელი ეკლესიის გუმბათი და ბაროკოსდროინდელი „ცისფერი
ღორი“. გეზელერმა ერთხანს ახალგაზრდული შემართებით აჩხაკუნა ის თავი-
სი „ლეიკა“, ჭერაც რომ გულზე ეკიდა, მერე კი სწორედ ის სიტყვა წარმოთქვა,
ასეთ პეიზაჟს რომ ეკადრებოდა.

— რა დიდებულია, არა?

— ნამდვილად, — დაეთანხმა ნელა, — მაინც რამდენი ხან დაგჭირდე-
ბათ ადგილზე მისასვლელად?

— ნახევარი საათი. ჯერ არ ყოფილხართ ბრერნიხში?

— ერთი-ორჯერ ნამყოფი ვარ.

— საოცარია, მაინც რატომ ვერ გნახეთ აქამდე? ამ ბოლო ხანს უკვე
ორჯერ მომიწია იქ ყოფნა.

— წელიწადი იქნება, აქეთ ფეხი არ დამიდგამს.

— ოო, — აღმოხდა გეზელერს, — გასაგებია. მე პირადად სულ ორი თვეა,
რაც თქვენს მხარეში გადმოვბარგდი.

— მანამდე სად ბრძანდებოდით?

— ვსწავლობდი. თავიდან მომიწია ყველაფრის სწავლა.

— დიდხანს იყავით ჯარში?

— საკმაოდ დიდხანს, — უპასუხა გეზელერმა, — ოთხი წელი. მერე კი
ექვს წელიწადს მოვუნდი სწავლა-კირკიტს, სადმე ხომ უნდა მომეკიდა ფეხი?
მით უმეტეს, რომ სამოქალაქო პროფესია არ გააჩნდა. მე, ასე ვთქვათ, ახლა
ვიწყებ ადამიანურ ცხოვრებას.

— ახლა იწყებთ? — სიტყვა შეუბრუნა ნელამ. — მე რომ მკითხოთ, ოცდარვა წელიწადი მაინც იქნება, დაწყებული გაქვთ.

— უფრო ზუსტად, ოცდათორმეტი, — ღიმილით შეაგება გეზელერმა. — ქათინაურისთვის კი მაღლობელი ვარ.

— ქათინაურის თქმა არც მიფიქრია, უბრალოდ, ცნობის მოყვარულბამ წამძლია. ვიცოდი, არ დამიძალავდით წლოვანებას. დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით დაიბერებდით თავს ორიოდ წლით. ასე არაა?

— თქვენი ხატრით, მართლაც სიამოვნებით შევიმატებდი ჩამდენიმე წელს.

— რატომ ჩემი ხატრით? — უკმეხად იკითხა ნელამ, თან უხალისოდ გახედა „ცისფერ ღორს“, თავისი ახლად შებათქაშებული, ახლადშედებილი და ბაროკოსდროინდელი ჭერემა ფასადი რომ მზისთვის მიეფიცებინა.

— რატომ და, ოთხი წლით უფროსი ვიქნებოდი თქვენზე.

— მეტიმეტად ჩახუჭუჭებული ქათინაურია, — ამოღერდა ნელამ, — მაგრამ, სამწუხაროდ, ცდებით ოცდაჩვიდმეტი წლისა გახლავართ.

არა, ეს ყველაფერი სულაც არა ჰგავს გამოძიებლისა და თავზეხელაღებული ბანდიტის გაძაქრებას. ასეთი გრძნობა უფრო პოლიციის მოხელეს ეუფლება, როცა იგი ქურდბაცაცას დაჰკითხავს.

— ასეა თუ ისე, ყასიდად არაფერი მითქვამს. თქვენს ასაკთან შედარებით მართლაც ახალგაზრდულად გამოიყურებით.

— ვიცი, — უპასუხა ნელამ.

— გზა ხომ არ გაგვეგრძელებინა?

— კი ბატონო, — დაეთანხმა ნელა. — ოღონდაც, ღვთის გულისათვის, არც ეკლესიასთან გაჩერდეთ და არც „ცისფერ ღორთან“.

გეზელერმა ღიმილით გამოხედა და ნელასაც ხმა აღარ ამოუღია, ვიდრე მანქანა გზაკლაკნილს გამოივლიდა და პატარა დასახლებას მიაღებოდა.

— არ მოგეწონათ ის ანეკდოტი, „ცისფერ ღორზე“ რომ მოგიყევით?

— კი, მშვენიერი ანეკდოტია.

სამოგზაურო ბიუროს მიერ დაკვეთილი ფილმი კი ამასობაში გრძელდება: მდელობს მდელობი ენაცვლება, აქა-იქ ძროხები ძოვენ, ხოლო მთავარ როლში საგულდაგულოდ პირგაპარსული და უნიჭო მსახიობი მონაწილეობს, ფილმის რეჟისორი კი სარეკლამო ბიუროს ხელმძღვანელია, ოდესღაც თავად რომ უცოდვილია სამსახიობო ასპარეზზე. თვითონ ვინდაა? თვითონ კინოვარსკვლავი გახლავთ, რომელსაც დიდძალი ფული შეაძლიეს, ოღონდ კი ფილმში მიეღო მონაწილეობა. აკი მაყურებელიც უნდა მოიტყუონ?! პეიზაჟი ამ ფილმში ფასგაულებლად იმკვიდრებს ადგილს, ხოლო კინოკამერასთან ის დილექტანტი ოპერატორი ჩხირკედელაობს, კინოსამოყვარულო კურსებზე რომ ნიჭიერ მსმენელად აღიარეს. ნელამ ვერასდიდებით ვერ მოახერხა ამ სარეკლამო ფილმის ნაცვლად სხვა კადრები გაეცოცხლებინა მეხსიერებაში: ვერც მოგონებებით აღსავსე ფილმი გაიხსენა და ვერც არქივს ჩაბარებული ამ ფილმის მეორე ნაწილი, რომელსაც აწი ველარასოდეს გაიცხადებდა. არადა, სწორედ ის ცხოვრება დაურჩებოდათ ლალი, ბავშვებით დაყურსული; ერთ-ერთ ოთახს რედაქციად გადააკეთებდნენ, მაცივარში გამოუღეველად ექნებოდათ გამაგრილებელი სასმელები: ყინულივით ცივი, ჭრელეტიკეტიანი ბოთლები, ალბერტსაც ოჯახის განუყრელ მეგობრად მოიკიდებდნენ; ამ ფილმში არც ბოლდა გამოჩნდებოდა, არც გლუმი,

სამაგიეროდ მათ აღვიღს ზავშეები დაიმკვიდრებდნენ, 1950 და 1953 წლის პირველკლასელები, არასოდეს რომ არ ჩასახულან და დაბადებითაც არასოდეს დაბადებულან. ნელამ ძალა დაატანა თავს, სცადა რაიმუნდის სახე წარმოედგინა, იქნება ის ძველი სიძულვილი ხელახლა გავიღვივოთ, მაგრამ მეხსიერებამ მხოლოდ ფერნაქცევი ხილვები შემოაჩეჩა, — უძრავ-უსიცოცხლე კლდეებზე სარეკლამო პროსპექტებში ნანახი იტალიური სოფლები, რომელთა უძრავი რაიმუნდი გზააბნეულ ტურისტს ჩამოგავდა. ანაზღად რეალობა იმ დაღლილ ხილვებში შემოეჩხირა და ყოველივე პირწმინდად წალეკა: გეზელერმა ხელი დაადო მხარზე.

— ხელი აიღეთ! — მშვიდად თქვა ნელამ და გეზელერმაც ხელი მოაშორა. ნელა დაყუჩდა წამით, იფიქრა, აი ახლა იფეთქებსო სიძულვილი, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ დაშვრა.

გაიხსენე, ჩემო კარგო, ყველაფერი გაიხსენე: აბსალომ ბილიგი ცემენტის იატაკზე გათელეს ჩექმით, ხოლო რაიმუნდი ვილაცის ბრძანებამ შეიწირა, — ერთი სიცოცხლე ერთ რაღაც პრინციპს ემსხვერპლა, ოფიცრის ავტორიტეტს ენაცვალა... რაიმუნდს ბოლო მოუღეს და ისიც ველარასოდეს ვერ დაბრუნდება. გაიხსენე, ყველაფერი გაიხსენე... მაგრამ მეხსიერება მაინც დუმს, რაიმუნდის სახე მაინც ვერ დაიხვეწა და სიძულვილიც დაჩლუნგდა თითქოს, ეგ იყო ნელას პირმთქნარი ამოჰყვა და ტუჩებიც მოგვრდვა ლამის. გეზელერმა კვლავ ხელი დაადო მხარზე, ნელამ კვლავ მშვიდად უთხრა: „ხელი აიღეთ!“ და გეზელერმაც ისევ მოაშორა ხელი. ნუთუ ამას ჰქვია „ადამიანური ცხოვრება?“ — მაინცდამაინც ხელი მოუფათურო ქალს, მერე სადმე ტყის პირას გაიტყუო, საკოცნელად წაეპოტინო... ბუჩქებში გატრუნული შვლის ნუკრი კი შეყვარებულ წყვილს თვალს დაადგამს და პირზეც ღიმი მოუვა თითქოს. სწორედ ეს იქნება უბრწყინვალესი კადრი, რომელსაც ოპერატორი მიაგნებს.

— ნულარ იზამთ ამას, — ენა აიხსნა ნელამ. — ნულარ შემაწუხებთ, მომბეზრდა უკვე, უმჯობესია, ის მიამბოთ, ომის დროს სად იყავით.

— ოჰ, — აღმოხდა გეზელერს, — ომზე აღარც კი ვფიქრობ. ვცდილობ დავივიწყო ყველაფერი და ვახერხებ კიდევ. ის ამბავი არქივს ჩაბარდა.

— გასაგებია, მაგრამ ის ხომ გემახსოვრებათ, რომელ ფრონტზე იბრძოდით?

— სადღა არ ვყოფილვარ, ჯერ იყო და, დასავლეთის ფრონტზე გამაგზავნეს, მერე აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე. ერთადერთი ჩრდილოეთის ფრონტი იყო, სადაც არ მიმსახურია. ომის დამთავრების ხანს კი ერვინის არმიაში გახლდით.

— რომელ არმიაში? — სიტყვა გააწყვეტინა ნელამ.

— ერვინის არმიაში, — გაიმეორა გეზელერმა, — ნუთუ არ გაგიგონიათ ერვინ რომელი?

— გენერალთა სახელები სულაც არ მაინტერესებს.

— კი მაგრამ, რატომ მიბრაზდებით?

— სულაც არ გიბრაზდებით. ისე მელაპარაკებით, გეგონება, პატარა გოგონა ვიყო, გაჭიუტებული რომ ხელსაც არ გაუწოდებს დეიდას. — აბა, კუთხეში დავაყენოთ ეს ურჩი და ჭირვეული! თუმცა თქვენ შეიძლება არც კი იცოდეთ, რომ ქმარი ომში დამედღუა.

— როგორ არა, ვიცი, — უპასუხა გეზელერმა, — პატერ ვილიბრორ-

დმაც მიაშობო, მაგრამ მე პირადად ადრევე ვიცოდი, თუმცა ვიღამ არ იცის ის ამბავი? მაპატიეთ.

— რა უნდა გაპატიოთ? ის რომ მეუღლე მომიკლეს, სული გააფრთხო-ბინეს?! ის გაპატიოთ, რომ კინოფირი დაგლიჯეს, რომელიც სინამდვილად უნ-და ქცეულიყო? დაანაკუწეს და არქივში გადაუძახეს, ნელახლა შეაკოწიწეო, მოდი ახლა და, გენერლების სახელებიც დაიმახსოვრე!

გეზელერს ხმა არ გაუღია. ერთხანს კრიჭაშეკრულს მიჰყავდა მანქანა, მოკრძალებით დუმდა და მისი პროფილის შემყურე, ნელა მიხვდა, რომ გე-ზელერი ომზე ფიქრობდა, იხსენებდა მრისხანე წლებს, ფრონტელ მეგობრებსა და ერვინს.

— რა სათაური აქვს თქვენს რეფერატს?

— ჩემს რეფერატს? „თანამედროვე ლირიკა და მისი განვითარების პერ-სპექტივები“.

— ჩემს მეუღლეზეც ილაპარაკებთ?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა გეზელერმა, — განა შეიძლება კაცმა თანა-მედროვე ლირიკაზე ისაუბროს და თქვენი მეუღლე არ მოიხსენიოს?

— ჩემი მეუღლე კალინოვკასთან დაიღუპა, — წარმოთქვა უცებ ნელამ და გეზელერს გახედა. ანაზღად განცვიფრდა და გულიც დაელახვრა, ისე სასხვათაშორისოდ ახსენა ეს ამბავი. კალინოვკის გაგონებაზე გეზელერს წარ-ბიც არ შეუხრია.

— ვიცი, — მიუგო გეზელერმა, — საოცარია, ორმოცდაორის ზაფხულში უკრაინაში ვიბრძოდი და, მგონი, სადღაც მაგ ადგილებში ვარ ნამყოფი. უცნა-ური დამთხვევაა არა?

— ნამდვილად, — უპასუხა ნელამ, თან უნებლიეთ ინატრა, ნეტავი ვცდე-ბოდე, და ეს კაცი იმ გეზელერის თანამოგვარე იყოსო.

— ყველაფერი გადავივიწყე, ყველაფერი, — კვლავ ალაპარაკდა გეზე-ლერი, — ჭიუტად ვცდილობდი ხოლმე ომის წლები გულიდან გადამეყარა. ომი დავიწყებას უნდა მიეცეს.

— რა თქმა უნდა, დავიწყებას უნდა მიეცეს, — გაუბასრა ნელამ. — ყველაფერი უნდა გადავივიწყოთ, აღარ უნდა ვიფიქროთ არც ქერივ-ობლებზე, არც გაჭირვებაზე და ნათელი, ლამაზი მომავალი უნდა ვაშენოთ; მით უმეტეს, რომ საკრედიტო ბანკი ყოველთვის მოგივმართავს ხელს; გადავივიწყოთ ომი, ჩოლო გენერალთა გვარ-სახელები კეთილვინებოთ და გულის ფიცარზე და-ვიწეროთ.

— ღმერთო ჩემო, რა ვთქვი ასეთი? ხომ შეიძლება ხანდახან ახლაც წა-მოგცდეს იმდროინდელი ჟარგონი.

— დიანაც ასეა, ამას სწორედ იმდროინდელი ჟარგონი ჰქვია.

— მერედა, ნუთუ ასე ცუდია ეს ამბავი?

— ცუდი? — სიტყვა აიტაცა ნელამ. — ცუდიო, ამას პატარა ყაჩაღანაზე თუ იტყვი, ვაშლებს რომ მოიპარავს მეზობლის ბაღში, პირადად ჩემთვის კი იმ თქვენს ჟარგონს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ჩემს მეუღლეს სძულდა ომი და ანთოლოგიისათვის ვერც ერთ ლექსს ვერ ეღივებოდა, იმ თქვენს წიგნს თუ რაიმუნდის წერილსაც არ დაურთავთ. ჩემს მეუღლეს სძულდა ომი, ეჭავ-რებოდა გენერლები და ის ყველაფერი, რაც ომთან იყო დაკავშირებული. ჩემი

— რა კარგი ჰქენით, ძვირფასო ნელა, აქ რომ ჩამობრძანდით. ხომ დიდებული სანახებია?

— რა თქმა უნდა. სემინარი დაწყებულია?

— რა ხანია. შურბიგელმა ეს-ესაა უბრწყინვალესი მოხსენება წაიკითხა და ახლა გეზელერის გამოსვლას ელოდებიან. ეს გამოსვლა ჩვენს წრეში მისი დებიუტი იქნება.

— თუ შეიძლება, ჩემს ოთახში ავალ.

— კი ბატონო, წამობრძანდით, მე გაგაცილებთ.

ნელამ გეზელერს მოჰკრა თვალი, თავისი პორტფელი და ნელას ჩემოდანი კიბეებზე აჰქონდა, მაგრამ როცა პატერ ვილიბროდთან ერთად შესასვლელთან მივიდნენ, გეზელერი აღარსად იყო, ხოლო შვეიცარიის ჯიხურთან ნელას თავისი ჩემოდანი დაუხვდა.

თავი XV

კონდუქტორის ქუდი ბედად აღარ ეკიდა კარადის თავზე. წინკარში ბულონისა და გამლღვალი მარგარინის სუნი ტრიალებდა; ბრილახი ხომ მარგარინში იწვავდა ხოლმე კარტოფილს; ზედა სართულიდან კი ფრაუ ბორუსიაკის სიმღერა აღწევდა. ლამაზი კამკამა ხმით ზღეროდა — „მშობლების მწვანე საფლავთან ვდგავარ“ და მისი სიმღერაც ისე მოწკრიალეებდა კიბეზე, გეგონებოდა, ეუუუნა წვიმა მოდისო. მარტინმა დაკაწრულ კედელს შეავლო თვალი, რომელზეც ოცდაათიოდე ალაგას მაინც იქნებოდა ის სიტყვა ჯერ დაწერილი და მერე ამოფხაჭნილი, გაზალმრიცხველის ქვეშ იატაკს ახლაც ეტყობოდა ჩამოფხეკილი ბათქაშის ნაკვალევი და მარტინიც უმაღლ მიხვდა, სულ ახლახან ესევე გაიმართაო უტყვი ორთაბრძოლა. სახელოსნოდან სარანდავი დაზგის რაზრაზი ისმოდა და ეს უწყინარი, შინაურული ზრინვაც სახლის კედლებს გამუდმებით აზრიალებდა. დროდადრო დაზგა ჭრიალსაც გაიღებდა, მაშასადამე, გარანდული ფიცარი საბოლოოდ დაუსხლტა დაზგას. მიჩუმდებოდა თუ არა სარანდავი დაზგა, ახლა სახარატო ჩარხი აყმუვლდებოდა. წინკარში ჩამოკიდებული ნათურა ნება-ნება ირწეოდა და ზედა სართულიდან ფრაუ ბორუსიაკის კამკამა და ძლიერი ხმა კურთხევასავით ეფინებოდა მთელს სახლს. გზის მხარეს გამავალი ფანჯარა ღია იყო და მარტინმაც დურგლის შეგირდი დაინახა, თავის ოსტატთან ერთად რომ ერთიმეორეზე აწყობდა გარანდულ ფიცრებს, თან სტვენა-სტვენით ეხმატკბილებოდა ფრაუ ბორუსიაკისეულ მელოდიას. მოშორებით ჯერ კიდევ ომის დროს დანგრეული სახლის კედელი ამოშვერილიყო და კედლის განაპირა სიოში, იქ სადაც უწინ ფანჯარა იყო ჩასმული, პატარა და მონაცრისფრო თვითმფრინავი გამოზოზინდა. ალერსიანი გუგუნით მიცურავდა ლაქვარდი ცის ფონზე და კუდზე გამობმულ ტრანსპარანტს მოაფრიალებდა. მერე თვითმფრინავი მიიმალა და ცოტა ხნის შემდეგ მომდევნო ფანჯრის სიოში გამოჩნდა. ფანჯრიდან ფანჯრამდე ისე ზოზინ-ზოზინით მილოდავდა, აი, ნემსიკლაპიას რომ მეტისმეტად მძიმე კუდი გამოაბან. ბოლოს, როგორც იქნა, გამოსცილდა კედელს, ეკლესიის სამრეკლოსკენ აიღო გეზი და მარტინმაც მხოლოდ ახლა შესძლო ტრანსპარანტზე დაწერილის ამოკითხვა. ჯერ პირველი სიტყვა ამოკითხა, მერე მომდევნო, ხოლო როცა კედლის მიღმიდან თვით-

მფრინავმა სინათლეზე გამოათრია თავისი კუდი, წარწერაც თვალწინ გამოუფრიალდა: **მზადა ხარ ყველაფრისათვის?**

ფრაუ ბორუსიაკი მღეროდა ისევ, მღეროდა თავის ხავერდოვანი, მლიერი სმით, როცა კი მის სიმღერას მოჰკრავდა ყურს, მარტინს იგი თავადაც თვალწინ დაუდგებოდა. დედამისივით ქერა ქალია ფრაუ ბორუსიაკი, ქერაზე ქერა ქალი, მაგრამ დედასთან შედარებით იგი ოდნავ უფრო ტანსრულია და, ამასთანავე, ძალიანაც რომ მოიწადინო, იმ ბინძურ სიტყვას ფრაუ ბორუსიაკს ვერასდიდებით ვერ მოარგებ. მისი მეუღლეც ომშია დაღუპული. და უწინ ფრაუ ბორუსიაკს თურმე ფრაუ ჰორნი რქმევია. ახლა მას სხვა მეუღლე ჰყავს, — ბატონი ბორუსიაკი, ფულად გზავნილებებს რომ დაატარებს და ვისთანაც იგი წესითა და კანონითაა დაქორწინებული, ზუსტად ისე, გრებჰაკეს დედა და ბატონი სობიკი რომ არიან დაქორწინებულნი. ფრაუ ბორუსიაკისა არ იყოს, ბატონი ბორუსიაკიც მოსიყვარულე და ტკბილი ადამიანია. სწორედ მას მოაქვს ხოლმე ალბერტისა თუ დედის სახელზე გამოგზავნილი ფული. ფრაუ ბორუსიაკს უკვე დიდი შვილები ჰყავს და მისი უფროსი შვილი, როლფ ჰორნი, ახლა წირვას ემსახურება ხოლმე ეკლესიაში, იმავე ეკლესიის კედელზე კი მარმარილოს დაფაა გაკრული ზედ ამოტვიფრული გვარებით. გვარების ერთერთ მწკრივში ასე წერია: პეტრუს ქანიზიუს ჰორნი — 1942 წ. იმავე მწკრივში, ოღონდ ცოტათი უფრო ზევით, სხვა წარწერაა:

რაიმუნდ ბახი, 1942 წ. ხოლო ბრილახის მამის სახელი და გვარი წმ. პავლეს ეკლესიაში გამოკრულ დაფაზეა ამოტვიფრული: პაინრიხ ბრილახი, 1941 წ.

მარტინმა შეიცადა, ვიდრე დურგალი სარანდავ დაზგას გამორთავდა და ბრილახის კარს მიაყურადა. ლეო ზოგჯერ ოთახში შეიტანდა ხოლმე თავის ქუდს, მაგრამ ოთახიდან სხვა ჩამიჩუმი არ ისმოდა, მაშასადამე, ლეო წასული იყო უკვე. მარტინი ფანჯარას მოშორდა, ერთხანს იყოყმანა და კარი შეაღო.

— სად დადიხარ? — შესვლისთანავე გამოსძახა ბრილახმა. — ძია ალბერტი დაგეძებს!

პაინრიხი მაგიდასთან იჯდა და რალაცას წერდა: წინ ფურცელი ედო, ხელში ფანქარი ჩაებლაუჭა და მეტისმეტად ყოყოჩა იერი ჰქონდა.

— შინ თუ შეირბინე?

წამში შეიძულებდა ხოლმე ბრილახს, როცა იგი იმ თავის ყოყოჩა გამომეტყველებას აიფარებდა სახეზე, არადა, ყოველთვის ასე გაიფხორებოდა, მარტინს როცა დამოძღვრავდა და ასე ეტყოდა: „ამ ამბების შენ არაფერი გაგეგება“. მარტინი, რალა თქმა უნდა, მშვენივრად ხედებოდა, რომ ბრილახი ფულს გაულისხმობდა, შესაძლოა მართლაც არაფერი გაეგებოდა ფულისა, მაგრამ ბრილახს მაინც შეიძულებდა, როცა იგი იმ თავის ფულისმცოდნე კაცის გამომეტყველებას აიფარებდა სახეზე.

— არა, — უპასუხა მარტინმა, — ჯერ არ მივსულვარ.

— მაშინ ახლავე წადი, ძია ალბერტი დელავს.

მარტინმა თავი გააქნია, ხმა აღარ გაუღია და ვილმასაკენ მიბრუნდა, მარტინის შესახვედრად რომ გამობობლდა საიდანღაც.

— დიდი უსინდისო ვინმე ხარ! — დაამუნათა ბრილახმა, მეტე თავი ჩაქინდრა და წერა განაგრძო. ვილმა მარტინის ზურგჩანთას წაეპოტინა. მარტინი იქვე, იატაკზე დასკუბდა კარსა და საწოლს შუა, ვილმა კალთაში ჩაისვა, მაგრამ ბავშვი კისკისით გაუძვრა ხელიდან, იატაკზე ჩამობობლდა, ზურგჩან-

თის ქამარს დაეჯაჯგურა და ჩანთაც ოდნავ გადააჩოჩა. მარტინმა მოშვეებული უცქეროდა ვილმას. ბავშვმა ახლა ზურგჩანთის გახსნა მოინდოდა. ჩააფრინდა თასმას, მაგრამ მისი ბალთაკიდან ამოდრობა ვერ მოახერხა. მარტინმა ზურგჩანთა მოიჩოჩა, ორთავე თასმა მოაფოლხვა და ჩანთაც ვილმას გადაულოცა. ვილმა დაეჯაჯგურა თასმას და როცა მონიკელებულა — ბავშვს ქმა თასმიდან გამოძვრა, სიხარულისაგან შეჰკივლა კიდევ. მერე მერე თასმა გამოქაჩა და როცა ისიც ასევე იოლად შეხსნა, აღფრთოვანებულმა კიდევ უფრო ხმამაღლა შეჰკივლა. მერე ზურგჩანთას ხელის ერთი ბიძგით ახადა თავი. მარტინი კედელს მიეყრდნო და ვილმას თვალს არ აშორებდა.

— დიდი უსინდისო ვინმე ხარ! — გაიმეორა ბრილახმა, ისე რომ თავიც არ აუღია, მარტინმა არაფერი უპასუხა და ბრილახმაც დამოძღვრა:

— სად წამოდრანცულხარ, შარვალს დაითხვრი!

ბრილახს სწორედ ახლა აეფარებინა სახეზე ის თავისი ფულიმცოდნე კაცის გამომეტყველება. მარტინმა ამჯერადაც ენა მოიკვნითა, არადა, პასუხი ენის წვერზე უტრიალებდა: კინალამ უთხრა, რა შენი საქმეა, იმ შენს ფულიმცოდნე სიფათს მიხედუო, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან მეტიმეტად საშიში იყო ჰაინრიხთან ფულზე ლაპარაკი. მარტინმა ერთხელ სცადა უკვე, იფიქრა, ყოყლოჩინობას გადავაჩვევ, ჰკუთას ვასწავლიო და ასე უთხრა: ჩვენთან ფული უგელას ჩეჭივით აქვს, ალბერტსაც, დედასაც, ბებიასაცო.

ის დღე იყო და, ბრილახი ექვსი კვირის განმავლობაში აღარ გამოჩენილა მათთან, აღარც მარტინისთვის გაუცია ხმა და ბოლოს ძია ალბერტი ჩაერია საქმეში, იმან შემოირიგა და დაიყოლია ჰაინრიხი, ჩვენთან კვლავაც უნდა მოხვიდუო. არადა, ის ექვსი კვირა სატანჯველივით ახსოვდა მარტინს; ახსოვდა და, სწორედ ამიტომ შეიკავა თავი, აღარაფერი უთხრა. მარტინმა მუხლისთავეები ამოზიდა, ორთავე ხელი ფეხებზე შემოიჭდო და ისევე ვილმას გახედა, ბავშვი ზურგჩანთას უტრიალებდა, ამოაწყო წიგნები, ტყავის ბუდესაკალმე, მერე ზემოდან მოქცეული წიგნი გადაშალა და თითი ერთ-ერთ ნახატში ჩარგო. სურათზე ტორტი ეხატა, რომელიც ოთხ, რვა, თექვსმეტ ან სულაც ოცდათორმეტ ნაწილად დაიჭრებოდა და რომლის ფასიც შეიძლება ყოფილიყო ორი, სამი, ოთხი, ხუთი ან ექვსი მარკა; ამოცანა გვეკითხებოდა: რა ეღირება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ტორტის თითოეული ნაჭერი. ვილმა თვალს ვერ აშორებდა ტორტს და თითქო მიხვდა კიდევ, რა ეხატა სურათზე, ხმამაღლა წამოიძახა: „კაკა“, ერთი იმ სიტყვათაგანი, რომლის შინაარსიც ესმოდა; თუმცა აფრიკიდან ჩამოტანილ ბანანსაც „კაკა“ შეარქვა ვილმამ. ერთ ტონა ბანანში თავდაპირველად ამდენი და ამდენი გადაუხდიათ (მაინც რამდენი კილოგრამია ერთ ტონაში?), საცალო ვაჭრობის ქსელში შემოტანილი საქონლის დანარიცხი შეადგენს ამდენსა და ამდენ პროცენტს, ამოცანა გვეკითხება, რა ეღირება ერთი კგ. ბანანი? ბანანისდა კვალად ვილმამ ყველის კარგა მოზრდილი თავიც „კაკად“ მონათლა, კაკად აქცია პურიც, ფქვილით გატისნული ტომარაც, ხოლო იმ პირმოღუშულ კაცს, ზურგზე რომ ტომარა წამოეკიდა, ვილმამ „ლეო“ უწოდა, იმ სახეგაბადრული ხაბაზის დანახვაზე კი, ტომარებს რომ ითვლიდა, ვილმამ — მამაო, წამოიყვირა, სამად სამი სიტყვა იცოდა ვილმამ: ლეო, მამა და კაკა. მამა — კედელზე რომ სურათი ეკიდა, ის კაცი იყო, „მამა“ ერქვა ყველას, ვინც მოეფერებოდა ვილმას, „ლეოს“ კი ბავშვი იმ კაცებს უძახდა, ვისი დანახვაც მაინცდამაინც არ სიამოვნებდა.

— თუ შეიძლება, მარგარინიან ბუტერბროდს გავიმზადებ, — ამოღერდა მარტინმა.

— როგორ არ შეიძლება, — უპასუხა ჰაინრიხმა, — მაგრამ შენ ადგილზე რომ ვიყო, სახლში გავიქცევოდი. ძია ალბერტი ძალიან წუხდა; თანაც ერთი საათის უკან იყო აქ.

მარტინს არც ახლა უპასუხნია არაფერი და ჰაინრიხმაც გაბრაზებით უთხრა:

— მაინც რა უსინდისო ვინმე ხარ! — მერე კი ხმადაბლა დააყოლა: — გაიმზადე ბუტერბროდი, რაღას უდგახარ?!

ჰაინრიხს კიდევ უფრო მოექუშა ისედაც გაბრუნებული პირისაზე. ზედვე ეტყობოდა, რომ ერთი სული ჰქონდა, ვიდრე პირის ქარს გაშლიდა, აი ასეთი და ასეთი საპასუხისმგებლო საქმე მაქვსო მოსაგვარებელი. ეგ იყო, მარტინის შეკითხვას ელოდებოდა, მაგრამ მარტინი თავს გაუჭიუტდა. არაფერსაც აღარ ეკითხავო. ძია ალბერტზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა; გული თანდათანობით მოუღბა და ახლა სინდისი ქენჯნიდა. კინოში რომ შევედი, ესეც ხომ სისულელე მომივიდაო. მარტინმა ისევ ავიგორებო გულს და ძია ალბერტიც ბოლოს ერთ ვიღაც სახლისკაცად დაისვა, რომელსაც სხვა არა მოეკითხებოდა. გარდა იმისა, რომ მასწავლებლისათვის ახსნა-განმარტებითი ზარათები გაეშანშალებინა; ამ ბოლო ხანს აკი მართლაც სულ უფრო ხშირ-ხშირად უწევდა გაზეთის ჩამონახევზე მიზეზ-მიზეზების ჩამოთვლა. მისი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვების ქვეშ კი ალბერტი სამ-სამჯერ გაუსვამდა ხაზს. სიტყვების ქვეშ ხაზების გასმა დედამ მოიფიქრა პირველად. მეტწილად ზმნებს გაუსვამდა ხოლმე ხაზს, მაგალითად, ასე დაწერდა: „უნდა წავსულიყავი“, „ვერ შევიტყუო“, „არ შემეძლო“ და სიტყვებსაც სამ-სამჯერ გახაზავდა.

— ადექი, შარვალს დაითხვრი, — გაუჩავრდა ბრილახი, — ადექი და ბუტერბროდი გაიმზადე.

მარტინი წამოიწლაწა, შარვლის ტოტები ჩამოიბერტყა და ვილმას გაუღიმა. ბავშვს ახლა მომდევნო გვერდი გადაეშალა და აღფრთოვანებული მიაწინებდა ცხვარზე, რომელიც ზუსტად 64,5 კგ-ს იწონიდა. ყასაბს ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამში ამდენი და ამდენი მარკა გადაეხადა, შემდეგ ცხვარი დაუკლავს და ხორცი ფუნტობით გაუყიდია, თან დანარიცხიც ამდენი და ამდენი დაუწესებია. ეს ამოცანა რომ გამოჰყავდა, სხვა ბიჭებით მარტინიც შეცდა, შეეშალა; მხედველობიდან გამორჩა, რომ კილოგრამში ორი ფუნტია და უდარდელად მიაწერა პასუხი — 64,5 ფუნტი. მასწავლებელმა კი ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და საგანგებოდ აღნიშნა, რომ ასე თუ ივაჭრეს, ქალაქის ყველა ყასაბი თვალის დახამხამებაში გაკოტრდებოთ. ასე კი თქვა, მაგრამ სინამდვილეში ქალაქის არც ერთი ყასაბი არ აპირებდა გაკოტრებას და საქმეც საათივით ჰქონდათ აწყობილი. ვილმა ერთხანს სახეგაბრწყინებული უყურებდა ცხვარს, მერე „კაკა-კაკაო“ დაიძახა და ფურცელი გადაშალა. ამ ახალ გვერდზე ვიღაც სულელი დედაკაცი ეხატა, მაინცდამაინც მოტოროლერის ყიდვას აპირებდა განვადებით. ჰაინრიხი მაგიდას უჯდა ისევ და შუბლშექმუხნილი ანგარიშობდა რაღაცას. მარტინმა ფურცელს გახედა, ჰაინრიხს რომ ედო ცხვირწინ და ციფრების გრძელ-გრძელ სვეტებს მოჰკრა თვალი. სვეტები ჭვარედინად ჰქონდა გადახაზული, ქვემოთ კი რაღაც პასუხები იყო ხაზგასმული. მარტინი სამზარეულოს კარდასთან მივიდა, ადგილი მოუნაცვლა ბროლის თა-

სიას, ხელოვნური ხილით რომ იყო სავსე; რას არ ნახავდი თასიაში: შუშის ფორთოხალს, ბანანს, ყურძენს, განსაკუთრებით ყურძენი მოსდიოდა თვალში; ისე იყო ჩამოქნილ-ჩაკუმპალეებული, ნამდვილისაგან ვერ გააჩვენებდი. მარტინმა ზეპირად იცოდა, სად — რა ედგათ ბრილანტებს: თუნუქის ყუთში პურს ინახავდნენ, საკარაქეში — მარგარინს, იქვე ეწყო დანები, ვერცხლისფერი კოთხოსკი ვაშლის ჭემით ავსებდნენ ხოლმე. მარტინმა პურის ბარაქისანი ნაჭერი შოიჭრა, ჭერ მარგარინი წაუსვა, ზედ ვაშლის ჭემი დააგლისა და გამზადებული ბუტერბროდი პირისაკენ გააქანა. ისე ეამა, უნებლიეთ დაიკრუსუნა კიდევ ბოლდასა და გლუმის გარდა მთელ სახლში აზრადაც არავის მოსვლია, მარტინს მარგარინი უყვარსო. ბებიას თავზარი დაეცემოდა ხოლმე, თუკი ბიჭს მარგარინიანი ბუტერბროდით ხელში შეისწრებდა და თავის როხროხა ხმით ათასობით დაავადებას ჩამოთვლიდა, ნაირ-ნაირ უკურნებელ სენს მოიგონებდა და ტებეცეე-საც უსათუოდ ახსენებდა, — ყველაზე საშიშ სნეულებას. „იცოდეთ, ტებეცეეთი დასრულდება ეს ამბავი“ — გაიძახოდა ბებია, მაგრამ მარტინს მაინც უყვარდა მარგარინი და ახლაც, კარადიდან ფეხმოუცვლელად კიდევ ერთა მარგარინიანი ბუტერბროდი გაიმზადა, ხელმეორედ ადგომა აღარ მომიწევსო. ვილმასთან რომ გაბრუნდა და მის გვერდით მოკალათდა, ბავშვმა გაბადრული მზერა შეაგება. ფრაუ ბორუსიაკი კი მღეროდა ისევ. „სიცოცხლისფერი მაჩუქე ვარდი“, — ისმოდა ზედა სართულიდან და მისი სავსე, ასე ხმიერი სიმღერა მარტინმა უცებ წყაროს შეადარა, სისხლისფრად აფერადებული რომ მოჩუხბუჩებდა. წამით მარტინს ნათლადაც დაუდგა თვალწინ, რომ ვარდები, ის სისხლისფერი ვარდები სისხლისფერ ნაკადად აბრუნდა და ეს ნაკადულიც ფრაუ ბორუსიაკმა პირიდან გადმოაჩქრიალა; ბიჭს აზრიც კი დაეზადა: ოდესმა უსათუოდ დავხატავო ქერათმიან ფრაუ ბორუსიაკს და ნაკადულად მოსულ სისხლისფერ ვარდებს.

ვილმა ამასობაში წიგნის ბოლო გვერდებს მიადგა, სადაც ისევ ტონებზე იყო ლაპარაკი, სურათებზე საოკეანო გემები და სატვიროო ნატარებლები ეხატა, ეხატა სატვიროთო მანქანები და საწყობები. ვილმა ხან მეზღვაურს დაადებდა თითს, ხან რკინიგზელს, ხანაც მძღოლს ან მტვირთავს და ზოგს მამად მონათლავდა, ზოგს კიდევ ლეოდ. წიგნის ბოლო გვერდზე მეტწილად ლეოსთანებს მოეყარათ თავი, „მამა“ სულ ორიოდე კაცს დაარქვა, რადგან თითქმის ყველანი ნახატებიდან მოქუშულ-მოდუშულეები იცქირებოდნენ და ვილმაც ტიკტიკებდა თავისთვის: „ლეო — ლეო — მამა — ლეო — ლეო — მამა“. ერთ-ერთ სურათზე მუშები ჯგროდ გამოდიოდნენ ფაბრიკის ეზოდან და ვილმა წამითაც არ დაფიქრებულა, უკლებლივ ყველანი ლეოდ შერაცხა. ვილმან ახლა კატეხიზმით გადაშალა, მაგრამ უმაღვე გული აიცრუა: ერთი ნახატიც ვერ ნახა წიგნში. თითო-ორი ვინიეტს, ყურძნის მტევნებსა და გირლანდებს ვილმამ სახელდახელოდ უწოდა „კაკა“ და სახელმძღვანელოც გვერდზე გადასდო. სამაგიეროდ ქრესტომათია აღმოჩნდა ნამდვილი საგანძური: ამ წიგნში ლეოსთანანი უკვე თითებზე იყვნენ ჩამოსათვლელნი, არადა, ნახატი არ დარჩენილა, რომ ერთდროულად რამდენიმე „მამა“ არ გამოჩეულიყო. „მამა“ ეწოდა წმინდა ნიკოლოზს, „მამა“ ეწოდა წმინდა მარტინს, „მამა“ ეწოდა სათითაოდ ყველა ბავშვს, სახეგაბრწყინებულთ რომ ფერხული ჩაებათ.

მარტინმა ისევ კალთაში ჩაისვა ვილმა და თავისი ბუტერბროდის ჭერი ერთი ნაჭერი შეაქამა, მერე მეორე. ფერმკრთალი და პუტკუნა სახე კიდევ

უფრო გაებადრა ვილმას და ვიდრე მარტინი ახალ ლუკმას მოუტეხდა, ვილმამ „კაკა“-ო დაიძახა, მერე ცელქობა აიტეხა და გაუთავებლად მოჰყვა „კაკა-კაკას“ ძახილს.

— ფუი, ეშმაკს, — ხმა გაიხაფა ბრილახმა, — სხვა უფრო წყნარ თამაშს ვერ მოიგონებთ?

ვილმა გაიტრუნა უცებ, მერე შუბლი შეჭმუნა და საჩვენებელი თითი მრავლისმეტყველი იერით მიიტანა ტუჩებთან.

ფრაუ ბორუსიაკი აღარ მღეროდა, აღარც სახელოსნოდან აღწევდა დაზვის რაზრაზი. უცებ ეკლესიის ზარებს ჩამოჰკრეს. ვილმამ თვალები დახუჭა და ზარების მოძახილს ხმა ააყოლა: დონგ-დონგ-დონგ-დონგ. უნებლიეთ მარტინმაც დახუჭა თვალები და ლუკმის ლეჭვასაც შეეშვა; თითქოს დაინახა ზარების გუგუნნი: ყოველი მოძახილი წრეხაზებად გამობრწყინდებოდა სივრცეში, სულ უფრო და უფრო მოიკიდებდა განს, მერე დაიშაშრებოდა, გაქარქარდებოდა, მათ ნაცვლად კი იმის დარი ხაზები გამოკრთებოდა, მებაღემ რომ ფოცხით ჩააყოლა სავალი ბილიკის კიდეს. უცნაური მრავალკუთხედები გამოიდალა ლეგლურჯა ფონზე, იფიქრებდი, თუნუქის ფსკერზე თაიგულის მსგავსი ორნამენტები ამოტვიფრაო, ვილმასეული „დონგ-დონგი“ კი პატარა სანგის ბრავუნით გაისმოდა და უკიდევანო ნაცრისფერ ფონსაც ციმციმა ვარსკვლავები შემატებოდა. მერე ხილვას ნაირ-ნაირი ფერი შეერია. ჯერ წითელი ფერი აღაჟღაჟდა, ვარდის სისხლივით წითელი, გეგონებოდა, დაღებულ და ჩამრგვალებულ მთლად წითელ ტუჩ-პირს ვუყურებო, მერე ყვითელი ზოლები დაიტალლა და ბოლოს, როცა ზარებს ძლიერად ჩამოჰკრეს უკანასკნელად, უზარმაზარი ჩამწვანებული ლაქა აზიმზიმდა და თანდათანობით ჩანაზებულ გუგუნთან ერთად ფერიც შეუხუნდა.

ვილმას ჯერაც დახუჭული ჰქონდა თვალები და კვლავინდებურად იმეორებდა: „დონგ-დონგ“...

ახლა მეორე ბუტერბროდს დასწვდა, საწოლის კიდეზე რომ ჩამოდო წელან, ბუტერბროდს პატარა ნაჭერი მოატეხა და ვილმას პირში ჩაუდო. ვილმამ თვალები აახილა, შემოჰკლიმა და ის თავისი „დონგი“ აღარ გაუმეორებია.

თავისუფალი ხელით მარტინმა საწოლის ქვეშ შედგმული სათამაშოებიანი ყუთი გამოაჩოჩა. ყუთის სახურავზე დიდი ჟანგისფერი ასოებით ეწერა: სანდლაითი... ხოლო ყუთში ცარიელი კოლოფები, სათამაშო კუბები და დამტვრეული მანქანები ეყარა.

ვილმა მარტინის კალთიდან ჩამობობლდა და მრავლისმეტყველად შეუდგა ყუთიდან სათამაშოების ამოლაგებას. ყოველ სათამაშოს ვილმა მარტინს მიაწოდებდა ხოლმე, თან დიდმნიშვნელოვნად დააყოლებდა, „კაკა“-ო, იმ ერთადერთ სიტყვას, რითაც ვილმა ყველა უსულო საგანს აღნიშნავდა. მაგრამ ამჯერად ვილმა ხმადაბლა იმეორებდა სიტყვას, შეჭმუნნიდა შუბლს და დროდადრო ჰაინრიხს გახედავდა, კვლავინდებურად რომ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას უკირკიტებდა.

მარტინს ერთი სული ჰქონდა, ფრაუ ბორუსიაკმა ისევ წამოიწყოსო სიმღერა; ცერად გახედავდა ხოლმე მაგიდასთან გამოჰიმულ ჰაინრიხს და უცებ შეეცოდა იგი.

— ისევ ნუსხა უნდა შეადგინო? — ჰკითხა მარტინმა.

— ეჰ, — ფიცხლად გამოეპასუხა ბრილახი და სახეც მოუღება უცებ, — რომ იცოდე, როგორ მომბეზრდა ეს ამბავი, გული მერვეა ხოლმე! მოდი და დაზოგე ყოველთვიურად ოც-ოცი მარკა, არადა. სხვა რა გზა გაქვს? დედას კბილები აქვს ჩასასმელი.

— მართალია, ახალი კბილები ძვირი ღირს.

— „ძვირიო?“ — გაეცინა ბრილახს. — მაშ, „ძვირბრძოლა“ არაა? „ძვირბრძოლა“, ამას სხვა დროს თუ იტყვი, კბილების ჩასმა კი უთოს ბირი ღირს. ამოდენა ფულს რანაირად მოვუყარო თავი? არადა, ამ ანგარიშ-ანგარიშში, იცი, რა აღ-მოვაჩინე?

— რა აღმოაჩინე?

— რადა, ძია ლეო თურმე ორი წელიწადია გვაცუცურაქვს: სადილი თითქმის ორმოცი პფენიგი გვიჯდება და არა ოცდაათი, როგორც ეს უწინ გვქონდა ნაანგარიშევი. ახლა საუზმეს აღარ იკითხავ? მარგარინი ოც-ოცი გრამი დავიწერეთ, ლეო კი ორმოც გრამს მაინც ხეთქავს ყოველდღიურად, თან ბუტერბროდები შიაქვს სამსახურში; ღორობა არაა? ხილფაფაზე უკვე აღარაფერს ვაშობ, ახლა კიდევ კვერცხი მიათვალე; კვერცხისათვის ოც პფენიგს იხდის დღეში, მაგრამ შენ ის მითხარი, სად იშოვი ოც პფენიგად კვერცხს?

ბრილახს აღშფოთებისაგან ხმა ჩაეხლიჩა.

— კი, მართალია, — დაემოწმა მარტინი, — ასე იაფად ვერსად იშოვი.

— ჰოდა, მეც მაგას ვიძახი ამ ფასად რომ სადმე იყიდებოდეს, თავქუდ-მოგლეჯილი გავვარდებოდი იქით, ვითომ გვაწყენს, ჩვენც რომ გავსინჯოთ ხანდახან?

ვილმას, ეტყობა, სულაც არ ეპიტნავებოდა კვერცხებზე ლაპარაკი. ბავშვმა სათამაშოების გადალაგება-გადმოლაგებას თავი ანება და სახემოღუშულმა ამოიდუღღუნა: „ლეო, ლეო“, მერე კი უცებ „კვერცხიო“, წარმოთქვა და სახეც გაუბრწყინდა — მის ლექსიკონს ახალი სიტყვა შეემატა.

— ამასთანავე, რა მოვალენი ჩვენა ვართ, ყოველ ცისმარე დღეს კვერცხი მივართვათ?

— მამებსა და ძიებს საუზმეზე აუცილებლად მიართმევენ ხოლმე კვერცხს, — ყოყმანით შეეკამათა მარტინი, მაგრამ რადგან თავის ნათქვამში თვითონაც არ იყო დარწმუნებული, იქვე დააყოლა: — თითქმის ყველას.

აქამდე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მამა იქნებოდა თუ ძია, საუზმეზე ყველას ერგებოდა თითო-თითო კვერცხი, მაგრამ სწორედ ახლა მოუვიდა თავში, რომ ბევრენდის ძიას კვერცხით სულაც არ უმასპინძლებოდნენ.

— მე კიდევ მიმაჩნია, რომ კვერცხი სულაც არაა აუცილებელი, — უპასუხა ბრილახმა.

ჰაინრიხმა ფანქარს დასტაცა ხელი და ფურცელზე ირიბი ხაზი გაავლო, აქაოდა, ძია ლეო უკვერცხოდ დარჩაო და ბრაზისაგან გაფითრებულმა განაგრძო:

— ახლა მოდი და იანგარიშე, რამდენი მარკა დაგვტყუა! დღეში მარტო მარგარინის საფასურს გვაკლებს შვიდ პფენიგს, ან მეტს, იმიტომ რომ ხანდახან საღამოობითაც მიირთმევს ხოლმე ბუტერბროდს. ათი პფენიგი სადილისა მიათვალე, — ჯემის ფულს თითო-თითო პფენიგად ვანგარიშობ, — ახლა ამას, ყველაზე მცირე, სამ-სამი პფენიგი წაამატე, — კვერცხის საფასური. ესეც შენა ოცი პფენიგი და ეს ფული ახლა ათასზე გადაამრავლე, — თითქმის სამი წე-

ლია ჩვენთან სადილობს. იცი, რამდენი გამოდის? — ორასი მარკა, ჩემო კარგო! ახლა სხვასაც გეტყვი: პურის საფასური არ ჩამითვლია, რადგან პურს უფასოდ გვაძლევენ. ორი წლის განმავლობაში შექმული პური სათვალავშიც არ ჩამოვლია, მაგრამ შენ არ მითხარი, რაშიც ჩვენ არ გვახდევინებენ ტყუილს, არც მაგან უნდა გადაიხადოს? რატომ? რისი გულისთვის?

— უნდა გადაიხადოს, — კვერი დაუკრა მარტინმა და ბუტერბროდიც ყელზე დაადგა უცებ.

— ჰოო, მაშინ ეს ღორბუცელა პურის საფასურსაც უნდა ჩამოვიდეს, დღეში ორმოც პფენიგს და ხუთ-ხუთი პფენიგი შუქის ფულიც გადაიხადოს, თავის დღეში რომ არ გადაუხდია. ათასი დღის განმავლობაში მარტო სინათლის ფული უკაკუნებს ორმოცდაათ მარკას. მერე შვიდას ოცდაათი დღე ორმოც პფენიგზე გადაამრავლე; ესეც შენი კიდევ სამასი მარკა. აზრადაც ხომ არ მოგსვლია ეს ამბავი?

— არ მომსვლია, — გამოტყდა მარტინი.

ბრილახმა პირი აიკრა და კვლავ თავის ფურცელს დაუწყო კირკიტი. „კვერცხი“, — ამოანიღნილა პირგაბადრულმა ვილმამ და იქვე დააყოლა: „ლეო, კვერცხი“. ქრესტომათიის წიგნში ვილმა სახემოლუშული აცების სურათს წააწყდა: მალაროს მუშები მიწის ქვეშ მუშაობდნენ, კოპები შეეკრათ. „ლეო, ლეო — კვერცხი, კვერცხი, კვერცხი“, — გაიმეორა ვილმამ.

— ვერ მოათავე?

— ვერა, — უპასუხა ჰაინრიხმა, — დედამ ახალი კბილები უნდა ჩაისვას და მეც იმას ვანგარიშობ, რამდენის დაზოგვა შეგვიძლია ყოველთვიურად. არადა, ის ხუთასი მარკა რომ მოგვცა, ლეომ რაც წაგვდლიტა, კბილების ფული სანახევროდ გასტუმრებული გვექნებოდა.

ერთი სული ჰქონდა, ფრაუ ბორუსიაკმა ნეტავი ისევ წამოიწყოს სიმღერა ან სულაც ზარები აგუგუნდესო. მარტინმა თვალეები მოხუჭა და ის სიზმარი გაიხსენა, კინოში ყოფნისას რომ ნახა: კისერზე დოლაბშეზმული ლეო იძირებოდა და იძირებოდა ოკეანის ჩამწვანებულ წყვილიდში და მარტინს თითქოსდა ვილმასეული ტიტინიც ჩაესმა: „ლეო-კაკა, — მამა, კვერცხი, ლეო“, ხოლო როცა ფრაუ ბორუსიაკმა ისევ წამოიწყოს სიმღერა: „ქესანებით მოფენილ გზის პირს“ და მისი ხმაც სულში ჩამოედვარა, მარტინმა თვალეები გაახილა და ანაზღად იკითხა:

— რატომ არ გათხოვდებიან დედაჩვენები?

ბრილახმა, ეტყობა, ეს შეკითხვა გულისხმაში ჩაიგდო, იმიტომ რომ საქმეს თავი მიანება, ფანქარი გვერდზე გადასდო, იდაყვებით მაგიდას ჩამოეყრდნო და დაღლილი კაცის იერით, ხანმოკლე შესვენების უფლებას რომ მისცემს თავს, მარტინს სიტყვა შეუბრუნა:

— მართლა არ იცი?

— არ ვიცი.

— რატომ და, პენსიის გულისათვის. აი, დედაჩემი რომ ხელმეორედ გათხოვდეს, პენსიას აღარ მიიღებს.

— ესე იგი, ფრაუ ბორუსიაკი პენსიას აღარ იღებს?

— არა, აღარ იღებს, მაგრამ მის ქმარს საკმაოდ დიდი ხელფასი აქვს...

— კი მაგრამ, — მარტინი წამით ჩაფიქრდა და ვილმას აცაბაცა ღიმილი შეაგება; ქრესტომათიის წიგნში ვილმას წმინდა იოსები აღმოეჩინა და სახე-გაბრდღვილებული „მამა, მამაო“, ტიტინებდა. — კი მაგრამ, გათხოვებით რომ

არ გათხოვილიყო და ისევ ფრაუ ჰორნად დარჩენილიყო, მაშინ თუ მიიღებდა პენსიას?

— რა თქმა უნდა, მიიღებდა, მაგრამ ფრაუ ბორუსიაკი ამას არასდროებით არ იზამდა, იმიტომ რომ ღვთისნიერი ქალია, ასეთი რაღაცა კი ამორალური საქციელია.

— დედაშენი თუა ღვთისნიერი ქალი?

— არაა. დედაშენი?

— ზუსტად არ ვიცი. ხანდახან არის ხოლმე, არადა, ნამდვილად შეუძლია ღვთისნიერი იყოს.

— ძია ალბერტი?

— რა ძია ალბერტი? ღვთისნიერი თუა? კი, ძია ალბერტი, მგონი, ღვთისნიერია.

ბრილახმა იდაყვები გამოწკვირტა და თავი დამუშტულ ხელებში ჩარგო.

— ჰოო, — გააგრძელა ბრილახმა, — მაგრამ არა მგონია, დედაშენი პენსიის გამო არ თხოვდებოდეს, ფული აქ არაფერ შუაშია.

— დარწმუნებული ხარ?

— კი.

— იმაზე რას იტყვი... როგორ ფიქრობ... — მარტინს წამით ენა დაება, მაგრამ მერე ერთმანეთს მიაყარა სიტყვები: — როგორ ფიქრობ, დედაჩემიც ეწევა კაცებთან თანაცხოვრებას?

ბრილახს უცებ სახე აელეწა, არც ხმა ამოუღია. ლეოს აკი უთქვამს კიდევ, მარტინის დედა კაცებს უწევდა და ის სიტყვაც დაუყოლებია, მაგრამ ამ ამბავს მარტინს მაინც ვერ ეტყვის, იმიტომ რომ მარტინს მასზე უფრო გაუჭირდება, თუკი გაიგებს, რომ დედამისიც ეწევა თანაცხოვრებას.

— არა, — ენა ამოიღო ბრილახმა, — არა მგონია.

იცოდა, ტყუილს რომ ამბობდა, რადგან დარწმუნებული იყო, მარტინის დედაც იმნაირიაო, და ამიტომ მიაყოლა ნაჩქარევად:

— ამასთანავე, პენსიის გარდა, საშემოსავლო გადასახადიც არსებობს: ყველა ამას ლაპარაკობს: ის კონდუქტორიც ამას ამბობს, ლეოსთან რომ შემოივლის ხოლმე ფრაუ ჰუნდაგთან ერთად, სხვებიც ამას ამბობენ, მაგრამ მე რას გეტყვი, იცი?

— რას მეტყვი? — გამოცოცხლდა მარტინი.

— რას და, პენსიის დაკარგვისა ქალებს ნაკლებად ეშინიათ, ვიდრე კაცებს. ქალები სულ იმას გაიძახიან, უპენსიოდაც გავიტანთ თავს, ხომ ცხოვრობსო ხალხი... აი, კაცები კი უარზე დგანან ხოლმე. ლეო, მაგალითად, ცოფებსა ჰყრის, დედა რომ ქორწინებაზე ჩამოუგდებს სიტყვას.

— აი, ჩვენთან კი პირიქითაა, — სიტყვა ჩაურთო მარტინმა. — ალბერტი რომ ეტყვის, დავქორწინდეთო, დედაჩემი ბრაზობს.

— მართლა? — ყური ცქვიტა ბრილახმა: ეხამუშა ამ სიტყვების გაგონება. სულაც არ უნდოდა, რომ ძია ალბერტს მარტინის დედა მოეყვანა ცოლად.

— მაშ, ასეა? — გააგრძელა ბრილახმა. — შენ საიდან იცი?

— ჩემი ყურით გავიგონე; დედაჩემმა თქვა, საერთოდ აღარ მინდაო გათხოვება.

— სასაცილოა, — დაასკვნა ბრილახმა, — მართლაც სასაცილოა. ყველა ქალი, ვისაც კი ვიცნობ, ყველა გათხოვებაზე ოცნებობს.

— დედაშენიც?

— აბა რა გგონია! ზოგჯერ იმასაც იტყვის, ჩემი თავი მეცოდებაო, ამას-თანავე. ასეთნაირ ცხოვრებას ამორალური ჰქვია!

მარტინმა უხალისოდ დაუკრა კვერი, ავი მართლაც ამორალური ერქვა ასეთნაირ ცხოვრებას და წამით ისიც ინატრა, ნეტავი დედაჩემიც ამორალური ყოფაქცევისა იყოს და ამაში ეჭვი არ მეპარებოდესო. მაშინ ხომ ეს მაინც ეჭნებოდათ საერთო და ბრილახს გულის მოსაფონებლად უთხრა:

— რა იცი, შეიძლება დედაჩემიც ამორალური ყოფაქცევისაა.

ჰაინრიხი დარწმუნებული იყო, ნამდვილად ასეა, მაგრამ დაბეჯითებით ამის მტკიცება არ დაუწყია. ლეო სულაც არ გამოდგებოდა სარწმუნო წყაროდ და ბრილახმაც ორჭოფული პასუხი შეაპარა:

— იქნებ ასეც იყოს, მაგრამ არა მგონია.

— რა ცუდია, როცა დარწმუნებით არ იცი და რალაცაში ეჭვი გეპარება ხოლმე, — ხმა ამოიღო მარტინმა. — დედაჩემს რომ შინ მოსვლა დაავიანდებო, ბებია ასე უწყურება ხოლმე: სად დაეხეტებო ამდენ ხანს, ესეც ხომ ამორალურ საქციელს ნიშნავს?

— არა მგონია, — უპასუხა ჰაინრიხმა და გულით გაიხარა, რაკი აშკარად გადაჭრით შეეძლო ამის თქმა. — აი, ფრაუ ბორუსიაციც ხომ ეუბნება თავის გოგოს: სად დაეხეტებო, როცა იგი სასეირნოდ, კინოში ან ჩოგბურთის სათამაშოდ წავა და შინ მოსვლა შეავიანდებო, არა მგონია, „ხეტიალი“ ამორალურ საქციელს ნიშნავდეს.

— მე კი რატომღაც სწორედ ასე მგონია, იმიტომ, რომ ბებია და დედა მერე კარგა ხანს ჩურჩულებენ ხოლმე რალაცას.

— არ ვიცი, შეიძლება ზოგჯერ ასეც იყოს.

მარტინმა ისევ კალთაში ჩაისვა ვილმა. პაწიამ ცერა თითის ლოდნა-ლოდნით მარტინს გულზე მიაღო თავი.

— მე იმის ვაგება მინდა, — განაგრძო მარტინმა, — დედაჩემიც თუ ეწევა სხვა კაცებთან თანაცხოვრებას. თუკი ეწევა, მაშასადამე, იგი ნამდვილად ამორალური ქალია და მეშვიდე მცნებას არაფრად აგდებს, მით უმეტეს, რომ ვათხოვილი არაა.

ბრილახმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

— მართალია, — დაემოწმა ბოლოს, — ცოდვად ითვლება, როცა ქალები და კაცები დაუქორწინებლად ეწევიან თანაცხოვრებას. აი, ესაა ამორალური საქციელი.

ჰაინრიხმა ანაზღად შვება იგრძნო: ყინულის ის ბზარი უცებ ჩაფართოვდა თითქოს, მაგრამ წყალი ყინულფენის ქვეშ თურმე არ ყოფილა მაინცდამაინც ღრმა; არადა, მაინც გასაკვირია, რომ მარტინის დედა ვათხოვებას არ ეპირება; პირველად ესმოდა ასეთი რამ. ფრაუ ჰუნდაგს, ძავალითად, ლეოს ამხანაგის ცოლობა უნდა, დროდარო ავი დედაც შეაპარებს ხოლმე ლეოს, — დროა დავქორწინდეთო. ბრილახმა ისიც იცოდა, რომ ბეერენდის დედა ხშირ-ხშირად ჩიროდა, რაკი ბეერენდის ძიასთან დაქორწინებული არ იყო. სარძევეში რომ ჭალი მუშაობს, ისიც გაუთხოვარია, თან ბავშვიც იყოლია, ლეომ კიდევ ასე თქვა: ეგ საკენკი სხვას დაუყაროს, ჰუგო მაგას არ ჭამს, ცოლად მაინც არ მოიყვანსო.

ასე რომ, ნაპირთან კი ჩაიბზარა ყინულის ის ფენა, მაგრამ წყალი თურმე

არ ყოფილა მაინცდამაინც ღრმა. გაღმა მხარესაა თუ გამოღმა მხარეს, ყინულ-ფენის ზევითაა თუ ყინულფენის ქვეშ, ხალხი ყველგან ამორაობდა ცხოვრებას ეწევა. ქვეყანაზე სამად-სამი სამყარო ეგულებოდა ბრილბს, სილო და ყოველივე ის, რასაც საღვთო სჯულის გაქვეთილზე ლაპარაკობდნენ, ვერაფრით ვერ ეგუებოდა ლეოსეულ სამყაროს, იმ სამყაროს, სადაც ღმერთი ეწევა ცხოვრება. ამ ორი სამყაროს გარდა არსებობდა მესამეც, — მაცივრების სამყარო, სადაც ქალები გათხოვებას არაფრად დაგიღვევდნენ და ფულიც არაფრად მიაჩნდათ. ქვეყანაზე სამად-სამი სამყარო ეგულებოდა, მაგრამ საცხოვრებლად მხოლოდ და მხოლოდ თავისეულ სამყაროს თუ იგუებდა და ბრილბმაც ყასიდად უთხრა მარტინს, ამასობაში რომ კალთაში მიღულვილ ვილმას უნანავებდა:

— იცი, ის სიტყვა, დედამ რომ უთხრა ხაბაზს, სულაც არ მეჩვენება საშინელი.

სინამდვილეში ძალზე საშინელ სიტყვად მიაჩნდა, მაგრამ ასე იმიტომ იფიქრა, ბოლოს და ბოლოს გულს გადავიხსნიო. — ის სიტყვა ქვემოთაც წერია ხოლმე, კედელზე. არ შეგიმჩნევია?

მარტინს, ღიახაც, შეუმჩნევია და წაკითხული ის სიტყვა გაგონილზე უარესიც მოსჩვენებია, მაგრამ როცა კი დაუნახავს, თვალი ისევე გაუჩრდიებია, როგორც ყასბების დანახვისას დაიბრმავებდა ხოლმე თვალს, სისხლით მოთხვრილი მანქანიდან რომ სისხლიან, დაუფეშხოებელ ნაკლავს გადმოზიდავდნენ საყასბოში; ისევე დაუბრმავებია თვალი, როგორც სისხლიანი შარდის დანახვისას დაიბრმავებდა, როცა ბებია შარდიან ქურჭელს ზედ ცხვირწინ გაუქნევდა ხოლმე. მარტინმა სწორედ ასე აარიდა თვალი გრებპაკესა და ვოლტერსს, როცა ბუჩქებში თავზე წამოადგა ბიჭებს... არადა, მაინც დაამახსოვრდა მათი აჭარხლებული სიფათები, ჩახსნილი ხეანჯრები და ახალმოთიბული ბალახის მომწარო სუნი.

მარტინმა გულზე მიიკრა მძინარე ვილმა და ბრილბისათვის არაფერი უბასუხნია. ბავშვი ჩათბა და ძილში დამძიმდა თითქოს.

— აი, ხომ ხედავ, — რიხი შეიმატა ბრილბმა, — ჩვენთან ასეთ სიტყვებს კედელზეც წერენ, ამბობენ კიდევ, თქვენთან კი ამისთანობას ხსენებითაც არავინ ახსენებს.

მაგრამ ყინულის ფენა არც ამჯერად ჩატყდომია ფეხქვეშ, იმიტომ, რომ რაჟილი მოროშა; ეს სიტყვა თავადაც საშინელ სიტყვად მიაჩნდა, თუმცა კი უთხრა, საშინელებად სულაც არ მეჩვენებაო. ანაზღად წმინდა იოსები გაახსენდა, პირთეთრი და სათნო: „აი, ვისი ცხოვრება უნდა გაიმაგალითოთ“. ეჰ, პირთეთრო და სათნო წმინდანო, მაცოდინა ნეტა, სად გადაეყრები ძია ლეოს ან ოდესმე მე თუ ვიხილავ?

წმინდა იოსები ყინულფენის ქვეშ დავანებულა, ყველაზე ღრმა ალაგას. უძრავი მისი სახება წამით გაცოცხლდება ხოლმე, ნება-ნება ამოყვინთავს ზედაპირზე, მაგრამ ბოლოს ყინულის ფენა ელობება და ზევით ველარ ამოდის. თუმცა, ყინულიც რომ ამოტეხოს, ვინ შეიძლებს მის ამოყვანას? განა უმაღვე არ დადნება ან უკანვე არ დაყვინთავს? განა სამუდამოდ არ ჩაიძირება? ხანდახან ხელს თუ დაგიქნევს უმწეოდ; ლეოსთან იგი ვერაფერს გახდება. კაცმა რომ თქვას, წმინდა ჰაინრიხსაც, მის მფარველ-ანგელოზსაც ასეთივე ქათქათა, ოღონდ კოპებშეკრული სახე აქვს; ქვაში გამოკვეთილი მისი სახება, ფოტოსუ-

რათზე რომ აღბეჭდეს მერე, მოძღვარმა ჰაინრიხს უსახსოვრა და ასე უთხრა: „აი, ვისგან უნდა გადაიღო მაგალითი“.

— ის თუ იცი, ვინ წერს იმ სიტყვას კედელზე? ლეო ვახლავს, — დაბეჭითებით თქვა ჰაინრიხმა, — წყალი არ გაუვა.

სახელაფლავებული ლეო, ნიადაგ რომ საბარსი წყლის სუფნითე... წერს, საეკლესიო საგალობლებს დაამღერებს ხოლმე, თან რაღაც ვაგონებს... ბურტყუნებს, სიტყვებს ვერ გაარჩევ, მაგრამ, ეტყობა, საძაგელ რაღაცებს გაიძახის, რადგან ამ სიმღერების გაგონებაზე დედას გული მოსდის ხოლმე და ლეოსაც ასე ეუბნება: „გეყოფა, ბოლოს და ბოლოს“.

მარტინს არც ახლა დაუძრავს კრინტი, რა აზრი აქვს, მაინც არაფერს ეშვებოდა. აღარც ჰაინრიხს ამოუღია ხმა; ჰაინრიხმა ისიც კი იფიქრა, ბიტენჰანში ერთად წასვლაზე უარს ვეტყვი, განა რას მარგებს უნულზე სიარული და ნიადაგ იმაზე ფიქრი, რომ ერთ დღეს ცუდად დამთავრდება ყველაფერი. მართალია ჭერ-ჭერობით ღრუბლის ნასახიც არ ჩანდა ცაზე და გულიც საგულეში უნდა ჰქონოდა, — ბიტენჰანში საათობით თამაშობდნენ ხოლმე ფეხბურთს, ძია ალბერტიც მათთან ერთად დასდევდა ბურთს, მერე სათევზაოდ წავიდოდნენ ან ბრერის ხეობას საგუბრამდე ჩაუყვებოდნენ, — მაგრამ ჰაინრიხს მაინც არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, ერთ დღეს ბოლო მოეღებოდა ყველაფერს: ნაადგომევეს მარტინს გიმნაზიაში გადაიყვანდნენ და ჰაინრიხსაც იმ საბედისწერო დღის გახსენებაზე ლამისდა შიში ატანდა ხოლმე, ვიღმა რაღაცას ბუტბუტებდა სიზმარში, იატაკზე სათამაშოები ეყარა და ქრესტომათიის წიგნიც გადაშლილი ეგდო იქვე: წმინდა მარტინი თოვლსა და ქარბუქში მიაგვლევებს თავის ბედაურს, ოქროში დაფერილი მახვილით იგი შუაზე გაკვეთს თავის მოსახსნამს, რომ ნახევარი მათხოვარს უწილადოს, მათხოვარი კი — გაძვალტყავებული და შიშველ-ტიტველი ღვთის გლახა, მუხლამდე თოვლშია ჩაფლული.

— შენი წასვლის დროა, — მოუბრუნდა ბრილახი, — ძია ალბერტს გული გაუსკდება შიშისაგან.

მარტინს არაფერი უთქვამს. ცოტაც და ვიღმასი არ იყოს, თვითონაც ჩამოეყვინებოდა; დაღლილი იყო, შიოდა კიდევ, მაგრამ შინ მაინც არ უნდოდა წასვლა; ალბერტისა კი არ ერიდებოდა, უფრო იმიტომ ითრევედა ფეხს, მიხვდა, უსინდისოდ მოვიქეციო.

— ეჰ, შენ კი რა ვითხარი, — დაამუნათა ბრილახმა. ბურანში გაგონილი მისი ნაღვლიანი, გულითადი ხმა მარტინს აღარ ეუცხოვა. — უსინდისო ხარ და მეტი არაფერი. მე რომ ასეთი ძია მყავდეს...

მაგრამ ჰაინრიხს შუაზე გაუწყდა სიტყვა, უელში ყიყვები მოაწვა, არადა, ესირცხვილებოდა აცრემლების და გულიც იმაზე ფიქრით დაიკოდა, ნეტა როგორ მოეწყობოდა ცხოვრება, ალბერტი რომ ჩემი ძია იყოსო... აი, კონდუქტორის ფორმაში გამოწყობილი ალბერტი ოთახში შემოდის, — ეს ტანსაცმელი საკუთარი ქერქივით მოერგო ალბერტს და ჰაინრიხმა იგი დამატებით იმ ღირსებებითაც შეამკო, გერტსა და კარლს რომ გააჩნდა. ასეთი ალბერტი იმ სიტყვის თქმასაც არ იუკადრისებდა, ძია გერტმა რომ დატოვა მემკვიდრეობად, ეგ კია, ამ სიტყვას ალბერტი უფრო ნაზად თუ იტყოდა. მართალია, „ქაქი“ არ იქნებოდა სულ მთლად ალბერტისეული სიტყვა, მაგრამ არც მაინცდამაინც უცხო წარმოსათქმელი დაურჩებოდა.

სიჩუმე იდგა. საიდანღაც იმ თვითმფრინავის გუგუნე აღწევდა, უკან გამობ-

მულ შლეიფს რომ მიაფრიალებდა წარწერით: „მზად თუ ხარ ყველაფრისათვის?“ ანაზღად ფრაუ ბორუსიაკმა ისევ წამოიწყო სიმღერა, თავისი საყვარელი სიმღერა, ნალველნარევი სიტკბო რომ ახლდა: „შენ დამიფარე, წმინდა მარია“. მაინის თაფლივით იღვენთებოდა სიმღერა, ნელ-ნელა, ნება-ნება.

ღვთისმოსავი და ქველი ქალია ფრაუ ბორუსიაკი; ბენსიასტრე შევლია, ოლონდ კი კანონიერად ეცხოვრა, ქერათმიანმა და პირმრგვალმა ლამაზმანმა მიაგნო თავის ნავსაყუდელს და ბავშვებისთვისაც ჯიბით კარამელს დაატარებდა მუდამ, თაფლის კარამელს. — „შენ მიერთგულე ამ მწუხრის ტევრში“ — მღეროდა ფრაუ ბორუსიაკი. სადღაც შორიდან კი ჯერაც აღწევდა თვითმფრინავის ღუღუნა ხმა.

— ორშაბათს, როგორც დავთქვით, კინოში წავიდეთ, — ხმადაბლა უთხრა მარტინმა, ისე რომ თვალებიც არ აუხელია. — დედაშენს თუ არ ეცლება, ბავშვს ბოლდა დაიტოვებს.

— ასე იყოს, წავიდეთ, — დაეთანხმა ბრილახი.

ჰაინრიხი იმის თქმასაც აპირებდა, ბიტენჰანში ვერ წამოვალო, მაგრამ ვერა და ვერ მოიბრუნა ენა; ბიტენჰანში თავს შეიქცევდა ხოლმე, გულს გადააყოლებდა, თუმცა კი ის შიშნეული შეგრძნებაც დაეუფლებოდა, თავის სახლში რომ არასოდეს მოძალებია, არადა, იმ მესამე სამყაროში რომ ამოჰყოფდა თავს, გული არასოდეს ჰქონია საგულტეში. სკოლა და სახლი თითქოსდა არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული, ეკლესია რომ ეკლესიაა, ჯერჯერობით ის სამყაროც იქვე ეგულებოდა; აკი არაფერი ჩაუდენია სასირცხვილო და ვერც ამორალურ საქციელს დააბრალებდი. მართალია, ეკლესიაშიც შეღონდებოდა ხოლმე, მაგრამ ის შეღონება სხვა იყო და მტკიცე რწმენა თუ ეთქმოდა, აქაოდა, არც ამ ამბავს უჩანსო კარგი პირი: ძალზე ბევრი რამ იმალებოდა ყინულფენის ქვეშ, ზედაპირზე კი თითქმის არაფერი ჩანდა.

„შენ მიერთგულე ამ მწუხრის ტევრში“ — უკეთესად მართლაც რომ ვერ იტყვი, — რა კარგად მღერის ფრაუ ბორუსიაკი.

— ატრიუმში წასვლა არა ღირს. — ხმა ამოიღო მარტინმა.

— შენი ნებაა.

— მონტე-კარლოში რა გადის?

— იქ ახლა ცხვირსაც არ შეგვაყოფინებენ, — უპასუხა ჰაინრიხმა, — ბავშვები არ დაიშვებიან.

აფიშაზე მკერდგათქვირული, ქერათმიანი ტურფაა გამოსახული, აი, ფრაუ ბორუსიაკი რომ შილიფად გამოაწყო, — ისეთი, ვილაც შავტანტალა ყალთაბანდი კი ამ ქალს ენიიანად ლოშნის. წყვილს თავზე ფილმის სათაური აწერია: ქერათმიანებს უნდა ერიდოთ, ქვემოთ კი, ლამაზმანის მკერდქვეშ, წითელი წარწერაა გაკრული, მარყუჟივით რომ შემოხვევია ქალსა და იმ შავტანტალა მუტრუტს: ბავშვები არ დაიშვებიან.

— ბოჯაჩოში ხომ არ წავსულიყავით?

— ვნახოთ, რა გადის, — მიუგო ბრილახმა. — კინოაფიშა სახაბაზოშია გამოკრული.

სიჩუმე ჩადოწვა; ეგ იყო, ქუჩაში მანქანების განუწყვეტელი ნაკადისაგან ოდნავ ზანზარებდა სახლი, ხოლო როცა სატვირთო მანქანა, ან № 34 ავტო-

ბუსი ჩაივლიდა, ფანჯრის მინებიც აწკრილდებოდა ხოლმე. „ამ მწუხრის ტევრში“ — მღეროდა ფრაუ ბორუსიაკი.

— ახლა კი შინ წადი, — უთხრა ბრილახმა, — ნუ ხარ ასეთი უსინდისო.

მარტინი თვითონაც მიხვდა, უსინდისოდ მოვიქცეო; გული ჰქონდა მოხარშული, თან დაღლილიც იყო. ხმა არ გაუღია და არც თვალებში ატეხილია.

— დედაჩემს სახაბაზოში უნდა მივაკითხო. რაკი შენსას არ იმში, ერთად წავიდეთ, თან ისიც ვნახოთ, ბოკაჩოში რა გადის.

— ვილმას რომ სძინავს?

— გააღვიძე, თორემ ღამით აღარ დაეძინება.

მარტინმა თვალები აახილა. ქრესტომათიის გადაშლილ სახელმძღვანელოში წმინდა მარტინი ისევ მიაჭენებდა თავის ბუდაურს, ისევ მიაგელვებდა თოვლსა და ქარბუქში. აი, გაიღვა ოქროში დაფერილმა მახვილმა, წამიც და, წმიდა მარტინი თავის მოსასხამს შუაზე გაკვეთს.

...„და გაჭირვებამ ხელი დაგვრია“ — მღეროდა ფრაუ ბორუსიაკი.

ჰაინრიხს ექვიც არ ეპარებოდა, რომ ლეო გროშის მომცემიც არ იყო, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ ნუსხას მაინც ავაფარებო თვალზე, გულს მოვიოხებ და ამასწინებზე რომ ფულის მითვისება დამაბრალა, იმაზეც ჯავრს ამოვიყრიო. ესეც რომ არ იყოს, ლეო ოც-ოცი მარკით მეტს უნდა ჩამოვიდეს თვეში. ამ ფულის გარდა ყოველთვიურად კიდევ ათ-ათი მარკის დაზოგვას შეგეცდებიო, ხოლო თვეში ოცდაათი მარკა, ექიმმა იქნებ იკმაროს კიდევ. თუმცა, ჯერ ბე არის შესატანი, სამასი მარკა, — დაუძლეველი სიმაღლე, დაუბყრობელი მწვერვალი: სასწაული თუ გიშველის მხოლოდ; არადა, რაღაც სასწაული დედას უსათუოდ უნდა დაეკვებოს, იმიტომ რომ თავისი კბილების გადამკიდეს ცრემლი ვერ შეშრობია თვალზე. წყალი არ გაუვა, ლეო გროშსაც არ გადამდის ზედმეტს და გვარიანი შეხლა-შემოხლაც მოუვათ. ჰოდა, მოხდეს, რაც მოსახდენია! სხვა მიმას თუ ვერ იყოლიებს, ძია მაინც ეყოლება სხვა. ლეოს ხომ ნებისმიერი ძია აჯობებს.

— ვილმა გააღვიძე, წასვლის დროა.

მარტინმა ფრთხილად შეანძრია ვილმა და ბავშვმაც თვალები გაახილა.

— წამოდი, დედიკოსთან მიდიხარ, — ჩაუბუტბუტა მარტინმა.

— შენ კიდევ შინ წადი, ნუ ხარ ასეთი უსინდისო, — ენაზე აჰყვა ბრილახი.

— თავი დამანებე, — მოუჭრა მარტინმა.

დედა ქალაქგარეთ წავიდა, ბოლდა ეკლესიას ხეხავს, ხოლო ალბერტი, — ალბერტი უსიკვდილოდ უნდა დაისაჯოს. მართალია, ძალიანაც დარდობს ხოლმე, როცა მარტინს შინ მისვლა დაუგვიანდება, მაგრამ რამდენიც გაეხარდება, იმდენი იდარდოს. რაც გინდა ისა თქვი და მთელს სახლში ბოლდასა და გლუმზე უკეთესი არავინაა. აუცილებლად დაასაჩუქრებს ორთავეს. გლუმს, მაგალითად, ზეთის საღებავებს აჩუქებს, ხოლო ბოლდას — ახალთახალ ლოცვანს, ტყავის წითელ ყდაში ჩასმულ ლოცვანს და ცისფერ ჩანთა-საქალაღდეს, სადაც იმ თავის კინოპროგრამებს შეინახავს. აი, დედა კი არაფერსაც არ მიოებს და ნურც ალბერტი გამოელის რაიმეს; ეგ მებარათე ეგა! დედაჩემივით ამანაც არ დამიწყოს სიტყვების სამ-სამჯერ ხაზგასმა! — „არ შემეძლო“, „ვერ შევიძელი“, „არ შეიძლებოდა“.

- გამოადგი ფეხი, — უთხრა ბრილახმა, — კარი უნდა ჩავკეტო.
- აქ დავრჩები.
- მაშინ იქნებ ვილმაც დაიტოვო?
- არა, თან წაიყვანე.



საქართველოს კავშირები
საბჭოთა კავშირის

— როგორც გენებოს. წასვლა თუ დააპირე, გასაღებიც კი არ მაქვს ამოდე-
ოთ, რა უსინდისო ხარ...

ბრილახს უკვე ისევ ყინჩად ეჭირა თავი და ფულისმცოდნე კაცის იერიც
სახეზე აეფარებინა.

მარტინმა არაფერი უპასუხა. ჰაინრიხი წავიდა, თვითონ კი ფეხიც არ
მოუცვლია, კვლავ იატაკზე იჯდა. უცებ შემომესმა: კარს მიღმა ფრაუ ბო-
რუსიაკმა ჯერ ვილმას დაუყვავა, მერე ჰაინრიხს გამოელაპარაკა და სამივენი
ერთად ჩაუყვნენ კიბეს. მარტინი მარტოკა დარჩა, ველარც ფრაუ ბორუსიაკის
სიმღერას გაიგონებს; თუმცა ვინ იცის, იქნებ მერძევესთან მიდის მაწვნის სა-
ყიდლად და მალევე მობრუნდეს, ბატონი ბორუსიაკი ხომ ხშირ-ხშირად შეექ-
ცევა მაწონს.

სხვა ბიჭებს თავი ქუდში აქვთ! პოსკეს დედა, მაგალითად, ყოველთვის ში-
ნაა. ზის ხოლმე თავისთვის, ქსოვს ან კემსავს რაიმეს და პოსკე რომ სკოლიდან
მოვა, დედამისი შინ დაუხვდება. წვნიანი გამზადებული აქვს, კარტოფილიც
მოხარშულია და დესერტსაც გამოუტანს. ფრაუ პოსკე ნაირ-ნაირ ჯემპრებს და
ლამაზ-ლამაზ წინდებსა ქსოვს, კერავს შარვლებსა და კაბებს, ხოლო პოსკეს
მამის გადიდებული სურათი კედელზე უკიდიათ. ძალიან დიდი სურათია, დაახ-
ლოებით იმხელა, აი, მისაღებ ოთახში რომ მამის პორტრეტი კიდია. პოსკეს
მამა ობერეფრეიტორი იყო, პირმომცინარი და ორდენებით მკერდდამშვენე-
ბული ობერეფრეიტორი. ბეერენდის ძია და გრებჰაკეს ახალი მამა კარგები
არიან, არც ველცკამის ძია ჩანს ცუდი კაცი. ასეა თუ ისე, ვისაც არ უნდა და-
ადო ხელი, ძია ლეოს ყველა სჯობს. ისინი ლამისდა ნამდვილი მამებივით ირ-
კებიან, ლეო კი საზიზღარზე საზიზღარი ძიაა; აი, ძია ალბერტი — ნამდვილი
ძიაა, ისეთი ძია კი არ არის, დედასთან ვინც ეწევა თანაცხოვრებას. ბრილახი
უდავოდ საშინელ დღეშია, იმაზე უფრო საშინელ დღეში, ვიდრე თვითონაა;
ყველაფერი კისერზე აწევს, ათასი რამე უნდა აწონ-დაწონოს, იანგარიშოს, თან
ძიაც უვარგისი ჰყავს და მარტინმაც მხურვალე ლოცვა დაიწყო:

— ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ჰაინრიხს.

მარტინს შერცხვა კიდევ, ჰაინრიხზე რომ გული მოუვიდა წელან, მაშინვე
უნდა მეკითხა, რასა წერ-მეთქი. ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ჰაინრიხს, სა-
შინლად უჭირს... დედამისი ამორალური ყოფაქცევისაა, მაგრამ ჰაინრიხს მაინც
არაფერი დაჰყრია სახეირო. ბეერენდის და ველცკამის დედებიც ამორალური
ყოფაქცევისანი არიან, სამაგიეროდ ძიები მაინცა ჰყავთ ხეირიანი; ნამდვილი
მამებისა არ იყოს, შუბლზე იმათაც ასე აწერიათ, საუზმისათვის მზადა ვართო;
შინ როცა მოვლენ, ისინიც ფოსტლებში წაჰყოფენ ფეხებს, გაზეთს კითხულო-
ბენ... აი, ბრილახს კი სახეირო არაფერი დაჰყრია, თუმცა კი, დედამისი ამო-
რალური ყოფაქცევისაა. დღე ისე არ გავა, ანგარიშის დაჭერა არ მოუწიოს, პო-
და, ღმერთო მაღალო, შენ მოუმართე ხელი ჰაინრიხს, — ლოცულობდა მარ-
ტინი, — შენ შეეწიე. საზრუნავი არ გამოელევა, მუდამდღე უაირათს ეწევა, არა-
და, ლეო არც მარგირინის ფულს იხდის, არც კვერცხის საფასურს, პურსაც მუჭ-
თად მიირთმევს და სადილზეც იოლად გამოდის. საშინელ დღეშია ჰაინრიხი; ლა-

პარაკი არ უნდა, უთოდ დიდი ჯაფა ადგას და დიდ საქმესაც ეწევა, ხოლო რაკილა ასეა, რა დაშავდება, რომ ხანდათან ყინჩად ეჭიროს თავი და სახეზეც მუდღეული იერი აიფაროს?

სიამოვნებით შექამდა კიდევ ერთ მარგარინიან ბუტერბროდს. მაგრამ უცებ შერცხვა: საერთოდ არ უნდა გავკარებოდი, ხელიც არ უნდა მეხლეოდა! ღმერთო, შენ შეეწიე ბრილახს! ბებიამ რომ ამასწინებზე ფოვინკელის სარდაფში წაათრაქუნა, მარტინმა ანგარიშს შეაელო თვალი: 18 მარკა და 70 პფენიგი ეწერა ზედ. მარტინი წამოდგა და მაგიდიდან ბრილახის ნაწერი აიღო. ფურცლის მარჯვენა თავკუთხეში ეწერა: ექიმს — 900 მარკა, მარცხენა კუთხესთან კი სვეტში იყო ჩამოწერილი:

დახმარების ფული — 150?

დაზღვევის ფული — 100?

ავანსი — ???

რამდენი დარჩა საშოვნელი — ???

მთელი ფურცელი ციფრებით იყო აჭრელებული, გაყოფა-გამრავლებაზე ლამისდა მაგალითები შეედგინა ჰაინრიხს:

„100:50×40 — მარგარინი“, იქვე ეწერა: „პური, ძმარი“, ამას ბატიფუნური ნაწერი მოსდევდა, ცოტა ქვემოთ კი უკვე გარკვევით წაიკითხავდი: ყოველკვირეულად გვეხარჯებოდა 28 მარკა, მომავალში რამდენი უნდა ვიკმაროთ???

მარტინი ისევ იატაკზე წამოჯდა. ფოვინკელის სარდაფში ბებიამ 18 მარკა და 70 პფენიგი ჩაუთვალა კელნერს; მარტინს ყურშიაც ჩაესმა ის შრიალი, ჩეკის მოხვეას რომ ახლდა თან და ცოტა არ იყოს, ქრუანტელმაც დაუარა ტანში; უფული გაცოცხლდა თითქოს, ხელითაც შეეხებოდი და ეს ფული ახლა მოზავთდა, მოზღვაავდა... ყოველკვირეულად თურმე 28 მარკას იმყოფინებდნენ, ბებიამ კი ერთ ვახშამში გადაიხადა 18 მარკა და 70 პფენიგი, ღმერთო, შენ შეეწიე ჰაინრიხ ბრილახს!

სახელოსნოს ეზოში მანქანა შემოვიდა და მარტინიც მაშინვე მიხვდა, ალბერტმა მომაკითხაო. ცოტა ხნის შემდეგ მარტინმა ალბერტის ხმაც გაიგონა: „მარტინ!“

კიბეზე ფრაუ ბორუსიაკი ამოდიოდა. ეტყობა მართლაც მერქვევსთან გადასულიყო, ბატონ ბორუსიაკისათვის, ალბათ, უკვე იყიდა მაწონი და ბავშვებისთვისაც თაფლის კარამელი წამოიძღვანია.

ეზოდან ისევ მოესმა ალბერტის ძახილი: „მარტინ!“ ვერ იტყვი, ხმამაღლა ეძახდაო, ალბერტის ხმაში თითქოსდა რაღაცის რიდიც ისმოდა, მუდარაც და მარტინი დაფეთდა უცებ. — ხმამაღლა რომ დაეძახნათ, ალბათ არც დაფრთხებოდა ასე.

„შენ დამიფარე, წმინდაო მარია!“ — ფრაუ ბორუსიაკის ალერსიანი და ნარნარი ხმა თაფლივით ჩამოიღვარა ზემო სართულიდან.

მარტინი წამოდგა, ფანჯარასთან მიიპარა და ცალი ფრთა ოდნავ შეაღო. ალბერტის დანახვამ კიდევ უფრო მეტად შეაძრწუნა. ალბერტს ფერი აღარ ჰქონდა სახეზე, დაბერებულიყო თითქოს და დაღვრემილ-დაღონებული ღურგალთან ერთად იდგა ეზოში. მარტინმა ყურთამდე გამოალო ფანჯარა.

— მარტინ! — ხელად ამოსძახა ალბერტმა, — აღარ მოდიხარ?!

ძია ალბერტს უცებ გადაუხალისდა სახე: ღიმი გადაეფინა, წამოუწითლდა.

— მოვდივარ, მოვდივარ! — პასუხი არ დაახანა მარტინმა.

მარტინმა ღია ფანჯრიდან ისევ გაიგონა ფრაუ ბორუსიაკის სიმღერა. „მწვანეში ჩაფლულა ბავშვობა ჩემი“ — მღეროდა ფრაუ ბორუსიაკი და მარტინსაც თვალწინ აუმწვანდა ყველაფერი: ალბერტი მწვანეში ჩაეფლო, სიმწვანეში დაიძირა დურგალი, ჩამწვანდა, მანქანა, ეზო და ზეცა. „მწვანეში ჩაფლულა ბავშვობა ჩემი“ — მღეროდა ფრაუ ბორუსიაკი.

— ჩამოდი, შვილო, — ისევ ამოსძახა ალბერტმა.

მარტინმა წიგნები სახელდახელოდ ჩატენა ზურგჩანთაში, გამოვიდა ოთახიდან, გარედან გასაღებით ჩაკეტა კარი და გასაღები ტილოს ქვეშ ამოღო. წინკარის ფანჯრიდან ისევ შეავლო თვალი თვითმფრინავს, — ნაკელდარის მიღმა ხან ერთი ფანჯრის სიოსთან გაცოცდებოდა, ხან მეორე ფანჯრის სიოსთან. ნანგრევებს როცა გაუსწორდა, ახლა რომ ჩამავალი მზის სხივებში ბრწყინავდა, თვითმფრინავი თვალს მიეფარა, მერე ხელახლა გამოჩნდა, სამრეკლოსაკენ აიღო გეზი და თავისი გრძელი შლეიფიც გამოაფრიალა. ჩამწვანებული ცის ფონზე მარტინმა ერთხელაც წაიკითხა წარწერა: მზად თუ ხარ ყველაფრისათვის. კითხულობდა, თან ფრაუ ბორუსიაკის სიმღერას აყურადებდა, „მწვანეში ჩაფლულა ბავშვობა ჩემი“...

მარტინი ქოშქოშით ჩაუყვა კიბეს, ეზოში გავიდა და დურგლის ნათქვამს მოჰკრა ყური: „რა დაემართა ამ ბიჭს?!“

ძია ალბერტს არაფერი უთქვამს. სახეზე მიწის ფერი ედო, დაქანცული იერი ჰქონდა და ხელი ჩაჰკიდა თუ არა, მარტინმა მაშინვე იგრძნო, ხელი უხურდა ალბერტს.

— წავედით, — მოუბრუნდა ალბერტი, — კიდევ ერთი საათი გვაქვს დრო, მერე პაინრიხს შევუაროთ. ხომ წამოვა?

— მე მგონი, წამოვა.

ალბერტმა ხელი ჩამოართვა დურგალს და მანქანაში რომ ჩასხდნენ, დურგალმა თავიც დაუკრა ორთავეს.

მანქანას სანამ დაქოქავდა, ალბერტი ხელზე მიეფერა მარტინს. თქმით არაფერი უთქვამს და მარტინიც გაცბუნებული იჯდა: ალბერტისა კი არ ერიდებოდა, სულ სხვა რაღაცა აწუხებდა, ოღონდ თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა იყო ასეთი; ალბერტი ახლა სრულებით აღარ ჰგავდა იმ ნაცნობ ალბერტს.

თავი XVI

შეგირდი გავიდა თუ არა, ხაბაზმა ისევ დაადო ხელი. ხაბაზი მაგიდის გადღმა იდგა და მარციპანის ნამცხვრებს აწვდიდა, ფრაუ ბრილახს რომ შოკოლადის კრემით უნდა მოერთო. ის იყო, ხელი წაიღო, ახალ ნამცხვარს გამოვართმევო, რომ ხაბაზიც სწორედ მაშინ მიეფერა ხელზე. სხვა დროს უსათუოდ ჩამოაღებინებდა ხელს, გაეცინებოდა და ასე ეტყოდა: „შემეშვი, თუ კაცი ხარ, თავს ნუ იგდებ“, მაგრამ ამჯერად აღარ უცდია ხელის გათავისუფლება და ანაზღად შეცბა კიდევ, როცა თვალი გაუსწორა ხაბაზს: ეს მცირე წყალობა იმწამსვე სახეზე აღებუჭდა ხაბაზს. ფერმიხდილი პირისახიდან ხაბაზს ფქვილის ჩამოწმენდა მოესწრო და ახლა მიწისფერი დასდებოდა. თვალები ჯერ იყო და, გაუშეშდა თითქოს, მერე კი იმ ნაცრისფერ თვალებში ნაპერწკლები აუქიაფდა

და ფრაუ ბრილახიც დაფრთხა, ხელის დახსნაც დააპირა, მაგრამ გვიანდა იყო: ხაბაზი მაგრად ჩაებღაუჭა ქალის მარჯვენას. ადამიანის ასე უცბად აკრძეებული თვალები აქამდე არასოდეს ენახა: მუდამ ამღვრეულ მის გუგებს ახლა მომწვანო ცეცხლი ამოჰყვა და პირისახეზე კაკაოსფერი დაედო. უწინ რომ ვინმეზე იტყოდნენ „ვენებიანიო“, ვილმას ეცინებოდა ხოლმე, ახლა კი ვინმეზე უკაცო ყოფილა „ვენება“, მაგრამ რაღა ღროის იყო.

ნუთუ მართლა ასეთი ლამაზია? კაცებისაგან ბევრჯერ გაუგონია, — ლამაზი ხარო, ისიც იცოდა, რომ მართლს ეუბნებოდნენ და თუმცა მოფამფალებული ჰქონდა კბილები, ჯერაც ლამაზი ითქმოდა. ასე კი იყო, მაგრამ აქამდე არც ერთი კაცის თვალებში არ ენახა არც აკიაფებული ნაპერწკალი და არც პირისახეზე შემოწოლილი კაკაოსფერი ალმური. ხაბაზი თავდახრილი უკოცნიდა ხელს. ტუჩები მიმწრალი ჰქონდა და წრფელი, ბავშვური ერთგულებით უბუსავდა ხელს: ეამბორებოდა, თან რაღაცას ლულულულებდა თავისთვის, გეგონებოდა, ლექსებს ამბობსო უცხო ენაზე, საამოზე საამო ლექსებს. ბოლოს ამ ლულულულში ფრაუ ბრილახმა ნაცნობი სიტყვები გამოარჩია: „რა ბედნიერებაა!“

ღმერთო მაღალო, ნუთუ მართლა ასე ენატრება ხელზე ხელის გადასმა? მაინც რა მიმწრალი ტუჩები ჰქონია, ხელიც მიმიე აქვს, თბილი.

ისევე ლულულულებს. აი, სიყვარულის მაღიდებელ ჰიმნებს რომ უმღერის ხოლმე და ფრაუ ბრილახმა ისიც იფიქრა, უხერხული იქნება, ახლა რომ ავანსი ეთხოვო; მოდი და უთხარი, ათას ორასი მარკა მჭირდებაო... — ჩაკაკაოსფერებული აქვს პირისახე, ხაბაზი მაგიდაზე გადმოიხარა და სადამდეც მისწვდა, იქ ეამბორა მკლავზე. მერე უეცრად წელში გაიმართა და ჩაიდუდლუნა:

— დავამთავროთ დღეს მუშაობა, შაბაში!..

— არა, არა, რა ღროის დამთავრებაა. — ნაჩქარევად წამოიძახა ფრაუ ბრილახმა და მარციპანის ნამცხვარს წაატანა ხელი, მერე კი ფუნჯით შოკოლადის ყვავილწნული დაახატა ზედ, კოწოწითაც მორთო.

— რატომ ვითომ? — პირში შეება ხაბაზი და ფრაუ ბრილახიც გაოცდა: ხაბაზის ზმა აღარ მოეჩვენა ძველებურად თვინიერი.

— რატომ ვითომ? — გაიმეტრა ხაბაზმა. — წავიდოდით სადმე, გავივლიდით.

ხაბაზს ნაპერწკლები უკიაფებდა თვალებში, მერე ჩაეცინა და ასე უთხრა: „აუჰ, რა კარგი ხარ!“

— არა, არა, — დაიყინა ვილმამ, — ვიმუშაოთ.

ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევ ასეთი სიყვარულის. გერტს, მაგალითად, ერთხელაც არ უხსენებია „სიყვარული“, ასეთი სიტყვა არც მეუღლეს დასცდენია ოდესმე, იმ პირმომცინარ ეფრეიტორს, პირმომცინარ უნტეროფიცერსა და პირმომცინარ ფელდფებელს, ვისი გვამიც ახლა სადღაც ზაპოროჟიესა და დნებროპეტროვსკს შორის ლპება. ამისთანობაზე ერთხელაც არ ულაპარაკნია მეუღლეს, ეგ კია, შიგადაშიგ წერილებში თუ ახსენებდა ვაჯვრით, მაგრამ ეს ამბავი სახსენებლადაც არ ღირს — წერილებში რომ ამას წაიკითხავ, სულ სხვა საქმეა, ლეოსეულ ლექსიკონში ასეთი სიტყვა საერთოდ არ არსებობს და ვინ იცის, იქნება სულაც ასე სჯობდეს. სიყვარულს კინოფილმში თუ ნახავ, სიყვარულზე რომანებში წერენ, რადიოში ლაპარაკობენ, სიმღერებს თხზავენ, მხოლოდ კინოფილმში თუ ნახავ იმისთანა კაცებს, თვალებში რომ ნაპერწკლები

აუკიაფდებათ, მოძალებული ვნებისაგან რომ ფითრი მოეკიდებათ ან კაკაოს-ფერი დაედებათ სახეზე. მაგრამ ეს ყოველივე სულაც არ აძლევდა ხელს და ვილმამ ისევ გაიმეორა:

— არა, არა, ვიმუშაოთ ახლა.

ხაბაზმა წიწნეული შხერა შეავლო, მერე ისევ ხელზე ^{შეკრიბა} წელი. ფრაუ ბრილახი არც ამჯერად გასძალიანებია, დაჰყვა მის ნებას და უცებ თითქოს წრე-დი შეიკრა: თვალეში ხაბაზს ნაპერწკლები აუკიაფდა. პირისახემ სრულად შე-ისრუტა კაკაოსფერი და ხაბაზიც ხელს უკოცნიდა უკვე, უკოცნიდა მკლავს, თან ისევ ლექსივით ლულლულებდა რაღაცას, — „ო, რა მკლავია... რა ბედნიე-რებაა“ — ესლა გაარჩია ფრაუ ბრილახმა.

ვილმამ თავი გააქნია და გაელიმა: ყველაფერი ზუსტად ისე იყო, აი, სიმ-ღერებში რომ მღერიან, ან კინოში რომ ნახავ, ოღონდ ეს კია, მთავარ გმირს ფითრი მოჰკიდებია, პირისახე ჩაბიჟვინებული აქვს და თმაც შეთხელებია თავზე: შოკოლადისფერია მისეული ვნება. მწვანედ ზიმზიმებს მისეული ნეტა-რება, ხოლო ირგვლივ გამლღვალი შოკოლადის ზულუჭი სურნელი ტრიალებს და შოკოლადიც სქელი უნდა იყოს, რომ ფუნჯს შერჩეს და არ ჩამოიწრაწოს.

ხაბაზი შეეშვა და ერთ ხანს გაჩქარებულნი მიუშაობდნენ. ყველაზე მეტად ხელისგულის ოდენა ბრტყელ-ბრტყელი ნამცხვრის მოხატვა უყვარდა; რას არ დაატევ ზედ და ახალგამომცხვარ, ფაშარ ცომს კიდევაც მოხატავდა ხოლმე ყვავილებით, ცხოველებითა თუ თევზებით. აი, ცომს კი ისეთივე ქათქათა სიყ-ვითლე ახლდა, მაკარონს რომ ჰქონდა ბამბერგერის მაკარონის ფაბრიკაში; ქათქათა სიყვითლე ახლდა ბამბერგერისეულ მაკარონს, კოლოფები კი ლურჯი იყო და ეტიკეტებიც წითელზე წითელი.

ხაბაზს ქალის ეს უნარიც თვალში მოსდიოდა და როცა კი ქათქათა ნამც-ხვარზე ვილმა ხელის ერთი მოსმით გამოაციმციმებდა შოკოლადის მრგვალ-მრგვალ ბურთებს, სახლებს, ფანჯრებსა და ფარდებს, ხაბაზი ასე ეტყოდა ხოლმე:

— ნამდვილი მხატვარი ხარ!

მას აქეთ, რაც თანაშემწე ბიჭი გაიპარა, ზემოთა ოთახში აღარავინ ცხოვ-რობს, არადა, დიდი ოთახია, იქვე დერეფანში წყლის ონკანია გამოყვანილი და საპირფარეშოც გაწყრილებულია, კაფელს ბზინვა გაუდის. ბანი ყვავილებშია ჩაფლული, თან მეზობელიც არავინ შეგაწუხებს. რაინი აქედან სულ ახლო-საა, მოჩანს გემების საკვამლურები, ისმის საყვირების გახაფებული ხმა, ხოლო უფრო შორს, პორიზონტთან, ქრელ-ქრელი აღმებით მორთულ ანძებსაც და-ლანდავს თვალი.

აკანკალებული ხელებით ხაბაზმა დიდი და ხრაშუნა კვერი რომბებად დაჭრა, ვილმას რომ სათითაოდ უნდა მოეხატა შოკოლადით, ვიდრე ხაბაზი კრემით გააჟიჟინებდა კვერს და რომბებს ერთიმეორეზე დააკოწიწებდა. ვილ-მამ ბაწია სახლები დაახატა ნამცხვარს, სახლებს მბოლავი საკვამურები მიაბა, მერე დარაბებიანი ფანჯრები და ეზო-ლობე გამოაწკაწკაპწკაპა.

— შესანიშნავია! — წამოიძახა ხაბაზმა და თვალეში გაუბრწყინდა.

ვილმამ ახლა მოჩითული ფარდები მოუხატა ფანჯრებს, სახლების სახუ-რავეები უღელა ანტენებით დაამშვენა, სატელეფონო მავთულებზე ბელურები შემოაჯინა, დახატა ღრუბლებში მონავარდე თვითმფრინავი.

— ხომ ვთქვი, ნამდვილი მხატვარი ხარ-მეთქი!

დიდ ქირას არ მოსთხოვს ხაბაზი, ვინძლო, სულაც არაფერი გადაახდევინოს, არადა, დერეფანში პატარა საკუჭნაოც ეგულება, რომელსაც დაკლის, დალაგებს და ჰაინრიხს სენაკად მოუწყობს. იქ ახლა ათასნაირი ხარახურაა მიმოყრილი: ორცხობილას ცარიელი კოლოფები, მუყაოსაგან გამჭრელები საჩუქრული თოჯინები: ცისფრად შეღებილი მეყანდე ბიჭუნა და ვერცხლისფერად შეღებილი გოგონა, კაკაოს რომ ტლიკავს ლამბაქიდან. იატაკზე ფქვილის დახეულ-დაცინცხული ტომრები და თუნუქის საკარამელე ყუთები ყრია, ხოლო პატარა სარკმლიდან, — ვილმას სარკმელზე ჩამოფარებული ლამაზი ფარდაც კი დაუდგა თვალწინ, — რაინის სანახები და პარკი მოჩანს.

ვილმას ხელთან თავდახრილი ხაბაზი ისევ მოჰყვა ნეტარ ლულულს. ხაბაზს ბავშვებიც უყვარს და გულითაც ნატრობს. ნეტავი მამობა მაღირსაო, მაგრამ ნურას უკაცრავად... ვილმა აღარ აპირებს ბავშვების გაჩენას. ხაბაზის ნება რომ იყოს, საბავშვო ბაღად გადააქცევს ბინას, ჰოდა, იღინღილებენ ის ჭირკოდილა ლაწირაკები წინ და უკან, ეგ კია, ხელები იმათაც დიდრონ-დიდრონი, თეთრი თან თლილ-ნატიფი ექნებათ. სამიოდე წელიწადი ხაბაზი ჰაინრიხსაც აიყვანს შეგირდად და ვილმამ ისიც წარმოიდგინა, ფქვილით დათხვრილი ჰაინრიხი „სამუშაოდან“ როგორ ბრუნდება, დილით კი მოზრდილ კალათში ცხელ-ცხელ, პიწკინა ფუნთუშებს აწყობს და ველოსიპედით ბინებზე ჩამოურიგებს მუშტრებს: მავანისა და მავანის ეზო-სახლთან ნისული ქალაღდის ბარკებში დებს ფუნთუშებს, ან კიდევ ჭიშკრებზე ჩამოკიდებულ ტოპრაკებში ჩაუძახებს.

ხაბაზმა კვერის ერთი გადანაჭერი სუფთა ფურცელზე დადო და ქათქათა კრემიც ბარაქიანად დააგლისა ზემოდან, მერე მოხატული რომბი ფრთხილად დაადგა თავზე, თან გამზადებული ნამცხვარი სინათლეზე შეათვალიერა.

— ნამდვილი მხატვარი იქნებოდრი, — ისევ შეაქო ხაბაზმა.

...ამასთანავე ახალ კბილებს ჩაისვამს, თოვლივით თეთრ კბილებს და ამ საღარდებელსაც თავიდან მოიშორებს.

— ჩემს მეუღლეს ველაპარაკე, — ხმადაბლა წამოიწყო ხაბაზმა, — ისიც თანახმაა, რომ ზედა ოთახში შესახლდე.

— ბავშვებს რა ვუყო?

— მართალი გითხრა, ბავშვები მაინცდამაინც არ ეხატება გულზე, მაგრამ იმათაც შეეჩვევა.

იმ ამაზონელს, ველვეტის ყავისფერჭურთუკიან ქალს, უწინ რომ რაზმის წინამძღოლ მედოლეზე მდებოდა ხოლმე, სახეზე კუშტი ღიმი დასთამაშებს. იგი მართლაც თანახმა იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეჭვი არ ებარებოდა: რა ხელს შემიშლის. შემოვიკედლებო თოჯინას; თავის პენსიას აწიაც იკმარებს, ხოლო ცოტაოდენ ფულს თუ წავუმატებ, სამზარეულოშიც ეგ იტრიალებს, თან აღარც ჭმარი შემომიჩნდებათ.

ხაბაზი უკვე ხშირ-ხშირად ემუქრებოდა, გავშორდეთო ერთმანეთს: ცოლ-ჭმრული მოვალეობის თავიდან აცილება სასამართლოსათვის საფრთხილად ხელმოსაქიდი საბაბია. თუმცა, ხაბაზი რომ გაყრაზე ჩამოუგდებდა სიტყვას, ცოლს პასუხად კვლავ ის კუშტი ღიმი შეეყინებოდა სახეზე; სახლი ხომ მას ეკუთვნოდა, ჭმრისა სახაბაზო იყო მართო, სადაც იმ თავის საუცხოო ნამცხვრებს აცობდა, ჰოდა, ამიტომაც ეუბნებოდა ასე:

— ეგება ძველებურად გეცხოვრა, მე — ჩემთვის, შენ — შენთვის, ხელს ხომ არაფერში გიშლი.

მართალია, ის თოჯინა თუ შინ ჩამოუჭდათ, მონასტრის შეკვეთებს გამოემშვიდობონ უნდა და მონაზონთა სატრაპეზო სუფრა-სერობასაც სხვა ხაბაზი მოამარაგებს პურ-ფუნთუშეულით, მაგრამ ჯანდაბას იმაღლე-წყვეტე-ბატარა თოჯინას, რა გინდა, რომ ხელიდან არ გამოუვიდეს; ისე მოგიერთავს ნამცხვარს, ცქერით ვერ გაძლები. დამატებით გასამრჯელოს ეგ არ ითხოვს, არაფერს დაიზარებს, მარჯვეცაა და აკი პატარებსაც ისე მოსწონთ მისეული ნამცხვარი, ლამისაა ერთმანეთს ხელიდან გამოგლიჯონ; აბა, რა იქნება, მე შენ გეტყვი და თვალი არ დაგრჩება ზედ, თუ თითებს არ ჩაგაკვნეტიანებს? თან იმდენივე ღირს.

— ხელ-ფეხი გაგვეხსნა, — უთხრა ხაბაზმა. ამჯერად არც კი გაპკარებია ვილმის, მაგრამ „წრედი“ მაინც ჩაირთო და ხაბაზსაც თვალებში მწვანე ნაპერწყმები აუკიაფდა.

...თუ მოისურვებ, ბანზე მზეს მიეფიცხები, მოკალათდები შეზლონგში, მზის სათვალეს გაიკეთებ, საღამო ხანს კი პლიაფზე გახვალ! — რა ჯობია ამას, სიზმარივით არაა? ვილმამ ოცნებას მისცა თავი და ფუნჯიანი ხელი უნებლიეთ დაბლა დაუშვა. უცებ შუქი ჩაქრა, სახაბაზოში ჩამობნელდა, ეგ იყო, ჭერში ამოჭრილ ორ შემინულ ღრუღს გაუდიოდა იალ-ციალი, გეგონებოდა, გამჭვირვალე, ოქროსფერი პლაფონები მიახრახნესო, თვითონ სახაბაზო კი ნაცრისფერ, ჩრდილუხვ სიბნელეში დაიძირა. ხაბაზი ჩამრთველთან იდგა, სინათლის ყურზე, ოქროსფერი დისკოების ქვეშ და ვილმაც გარკვევით ხედავდა ნაცრისფერ წინსაფარს, ნაცრისფერ პირისახესა და მწვანედ აკიაფებულ წერტილებს, ნელ-ნელა რომ მოიწევდა მისკენ.

— შუქი აანთე! — გასძახა ვილმამ.

ხაბაზი შორიახლოს დაუდგა და ვილმას თვალში შემოეჩხირა გამხდარი და ღონიერი ფეხები, მისი ჩაბიჯინებული პირისახე.

— შუქი აანთე-მეთქი, — გაიმეორა ვილმამ, — ბიჭმა უნდა მომაკითხოს. ხაბაზს ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან.

— კარგი, დღესვე გადმოვალ შენთან, ოღონდ შუქი აანთე ახლა.

— გაკოცებ მხოლოდ, — შეევედრა ხაბაზი. — ჩემო კარგო... ო, რა ხელებია... ერთს გაკოცებ მხოლოდ... — და მის წინ თავდახრილი ხაბაზი ხელახლა მოპყვა ნეტარ ლულულს, კვლავ წამოიწყო სიყვარულის ძადიდებელი აბდაუბდა ჰიმნი, — ...ერთს გაკოცებ მხოლოდ...

— კარგი, კარგი, სხვა დროს გაკოცინებ, — სიტყვა მისცა ვილმამ. — სინათლე აანთე.

— ამ საღამოს არ შეიძლება? — დარიდებით იკითხა ხაბაზმა.

— კარგი, ამ საღამოს იყოს, — უთხრა უხალისოდ, — ახლა კი შუქი აანთე!

ხაბაზი თვალისწამში გაჩნდა ჩამრთველთან და სახაბაზოსაც ნათელი მოეფინა, ოქროსფერ დისკოებში ჩაბუდებული მზის შუქი გაფერმკრთალდა, გაიცრიცა, ხოლო ნაცრისფერი და ალაგ-ალაგ ჩაშაეებელი ანაჩრდილები ციმციმა ფერებად ამოიღარა: ველური სიყვითლე ჩაიხატა თაროზე შემოდებულმა ლიმონებმა, მეწამული ფერი გადაიფარა ალუბლებით სავსე თასიამ.

— ესე იგი, შევთანხმდით. დღეს, ცხრა საათზე, რაინისპირა სანაყინეში შევხვდეთ.

...წყვდიადში ანაზღად ფერად-ფერადი ლამპიონებით გაჩახახებული გემი შემოცურდება, სანაპიროს მხრიდან ისმის სიმღერა, სიცილ-კისკისი, ბანჯოზე ჩამოკრული პანგები: ახალგაზრდები ჯგროდ დასეირნობენ მდინარისპირა პარკში და ხეივანთა ჩამწვანებული ბინდბუნდიდან ჰარბ მდინარისპირა „ჯონის სიმღერა“ აღწევს; მოვარაყებულ მალაღი სირჩებით კი ჩაცვიებული, ალუბლებითა და ნალებით დამშვენებული ნაყინი მოაქვთ...

— მოვალ, ცხრა საათისთვის მოვალ.

— ჩემო კარგო... — აღმოხდა ხაბაზს...

ისევ განაგრძეს მუშაობა. ხაბაზმა ახალი კვერი დაჭრა რომბებად, ვილმამ ქათქათა ნამცხვარს ფუნჯით დაახატა შოკოლადის ლამპიონები, ხეები, სკამები, ნაყინიანი სირჩები...

...ზემოთ აბაზანაც კი არის! გაწკრილებული ვარდისფერი კაფელით მოპირკეთებული აბაზანა, ხოლო გაზის ფალია ახლებურადაა მოწყობილი: ყოველთვის ანთია. ირგვლივ სისუფთავეა, ზამთარში — თბილა, თან ფულსაც არავინ გახდევინებს. ახლა კიდევ ახალი კბილები... თოვლივით თეთრი ცამეტი კბილი...

ალუბლის ტორტი უკვე გამოცხვა. ხაბაზმა ანანასი კრემით გააყიჟინა ტორტი, ანდერმანის დაბადების დღისათვის რომ გამოაცხობინეს, მერე ნალებით გაავსო შპრიცი, ვილმას გაუწოდა, დაიხარა და მკლავზე ეამბორა, ხელზე აკოცა, ვილმამ ხაბაზი მოიშორა, გამკიცხაუ მზერა ესროლა. თავი გააქნია და გულდაგულ შეუდგა ყვავილებითა და გირლანდებით შემკული 50-ის გამოხატვას. ბოლოს ალუბლებით გაწყობილ ჩარჩოში თოვლივით თეთრი მსოებით ჩაახატა — „ჭუგო“, ხოლო ტორტის კიდეები ისევ ყვავილებით მორთო. ფაშარა ნამცხვარზე ერთიმეორეს ენაცვლებოდა ვარდი, ტიტა, შროშანი, ისევ ვარდი, ისევ ტიტა, ისევ შროშანი...

— მშვენიერია! — წამოიძახა ხაბაზმა.

გამზადებული ნამცხვრები ხაბაზმა ზევით აიტანა, საშაქარლამოში, ცოტა ხნის შემდეგ კი ვილმას მისი სიცილი შემოესმა. გაიწკარუნა სალარომ და ვილმამ ახლა ამაზონელის ხმას მოჰკრა ყური, — ეტყობა, გამზადებული ნამცხვრები ჩამოართვა ხაბაზს:

— ასეთები მეტი ამოიტანე, ლამის ხელიდან გამომგლიჯონ. პირგაბადრული ხაბაზი უკანვე დაბრუნდა და ისევ საქმეს მიჰყო ხელი. კვერს რომბებად ჰრიდა და სათითაოდ აწვდიდა ვილმას. ზემოდან ბუბუნი მოისმოდა, დროდადრო სალარო გაიწკარუნებდა და ამაზონელიც თითქმის დაამღერებდა ხოლმე: „ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ“.

გარეთ ილაყაფის კარი გაჯახუნდა და ვილმამაც ბავშვის ხმა გაიგონა, აღტაცებით რომ გაიძახოდა: „კაკა, კაკა...“ ვილმამ ფუნჯი მიაგდო და შესაგებებლად გავარდა. ჩაბნელებულ წინკარში ფქვილით გატისნული ტომრები იყო, იქვე იდგა ტომრების საზიდი, მუყაოს კოლოფები. ვილმამ ხელში აიტაცა ბავშვი, ჩაკოცნა, ჯიბიდან მარციპანის კამფეტი ამოაძვრინა და პაწიას პირში ჩაუდო, მაგრამ ბავშვი არ გაუჩერდა, ხელიდან დაუსხლტა, მიიბრინა ხაბაზთან და „მამაო“ — შემოსძახა. ხაბაზისათვის პატარა ვილმას არასოდეს დაუძახნია ასე და ხაბაზმაც აიტაცა პაწია, აკოცა, სახაბაზო შემოატარა.

კარის სიოში კი ჰაინრიხის ფერმკრთალი, ლამაზ-ლამაზი სახე გამოჩნდა. მოღუშული იდგა, კოპებშეკრული, მაგრამ თანდათანობით მოერღვა ტუჩ-პირი, ღიმილი გადაეფინა ზედ და გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა მამამისს, პირმომ-ცინარ ეფრეიტორს, პირმომცინარ უნტეროფიცერს, პირმომცინარ ფელდ-ფებელს.

— რა გატირებს? — ჰკითხა ხაბაზმა. — ამასობაში იგი ზურგსუკანიდან მოადგა ვილმას, ხელში ნამცხვრები დაეხვავებინა.

— ის მატირებს, რომ... ნუთუ ვერ ხვდები?

ხაბაზმა მორჩილად დაუკრა თავი, მერე ჰაინრიხისაკენ გაემართა, ხელი ჩაჰკიდა და სახაბაზოში შემოიყვანა.

— აწი სხვაგვარად იქნება ყველაფერი, — თქვა ხაბაზმა.

— ვნახოთ, ღმერთმა ქნას, — ენა მოიბრუნა ვილმამ.

თავი XVII

საცურაო აუზის კარი ნელას დაკეტილი დაუხვდა. იქვე გრიფელის შავ დაფაზე სამი დღის წინანდელი წყლის ტემპერატურა იყო აღნიშნული: 12.9.15.

ნელამ კარზე დააკაკუნა. პასუხი არავის გაუცია, არადა, კარს მიღმა მამაკაცების ლაპარაკი ისმოდა. ნელამ კაბინებს უკნიდან შემოუარა, გადაალაჯა დაბალ წნულდობეს და ბოლო კაბინის ჩრდილში შეჩერდა. აუზის ზედამხედველი თავის შემინულ ვერანდაზე იჯდა და მუშებს ადევნებდა თვალს, საშხაპეში რომ ახალ ფიცარფენილს აგებდნენ: ჩამპალი ლატნებიდან ჩაქანგულ ლურსმნებს აძრობდნენ, ხოლო ცემენტის საფეხურებზე, ვერანდისაკენ რომ აღიოდა, ახალგარანდული ლატნები ეწყო. ზედამხედველი თავისი ავლა-დიდების ჩალაგებას შეუდგა; ჩემოდანში ინახავდა. კანისკრემიან მასრებს, კაკლის-ზეთიან ქილებს, რეზინის გასაბერ ცხოველებსა და ფერჭყეტელა ბურთებს, საცურაო ქუდებს, სათუთად რომ დაკეცავდა ორად და მერე ცელოფანში გაახვევდა. იატაკზე კორპის ქამრები იყო დახვავებული. ფიზალზრდის მხცოვან მასწავლებელს წააგავდა ზედამხედველი, იერი ნალელიანი ჰქონდა, რალაცნაირი მაიმუნისეული სევდა ჩაბუდებოდა თვალებში, დაზანტებით საქმიანობდა და თავადაც ისე დაზოზინებდა, მაშინვე ის ბებერი მაიმუნი გაჯახსენდებოდა, უცბად რომ შეიგნებს, ყველაფერი სისულელეა, რაც აქამდე ჩამიდენიაო. რამდენიმე ქილა ხელიდანაც კი გაუვარდა, იატაკზე გაგორდა და ზედამხედველიც ერთ ხანს დაყუდებულივით იდგა, ვიდრე ქილების ასაღებად დაიხრებოდა. მოტვლებილი მისი კინკრიხო, მაგიდის კიდესთან რომ გახოხდებოდა ხოლმე, დროდადრო დაიძირებოდა, ვიდრე სუნთქვადამძიმებული ზედამხედველი კვლავ წამოიმართებოდა ხელში ჩაბლუჯული ქილებით.

მუშებმა ძველი ლატნების ალაგას ახლები დააგეს, მერე ლურჯად მბზინავი სჭვალეებით დააკრეს იატაკს და გვერდზე მიყრილ ძველ ლატნებსაც ახლა უფრო აუვიდა მყაყე სუნი.

მწვანე ფერი დაჰკრავდა წყალს, უხვად იფრქვეოდა მზის სხივი და ნელაც ჩრდილიანიდან მზის გულზე გამოვიდა. ზედამხედველი ჯერ იყო შეკრთა, მერე ღიმი გადაეფინა სახეზე და ვერანდის ფანჯარა გამოაღო. ზედამხედველმა მოს-

ვლა აცადა, მაგრამ ვიდრე ნელა რაიმეს ეტყოდა, თვითონ დაასწრო სიტყვა, — ღიმილით გააქნია თავი და უთხრა:

— არ ღირს ბანაობა, წყალი ძალიან ცივია.

— რამდენი გრადუსია?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, აღარ გამიზომია.  კაცები იქნებიან მო-

დის.

— მაინც ვიბანავებდი, — ენა მოითათფლა ნელამ, — იქნება ახლა გაგე-ზომათ...

ზედამხედველი შეყოყმანდა. ნელამ უმაღვე თავისი ღიმილი მოიშველია და ისიც მოწყდა ფანჯრის რაფას, ერთ ხანს მაგიდის უჯრაში იქექებოდა, ვიდრე თერმომეტრს მიაგნებდა. ერთი გამოხედვა საშხაპეში მოფუსფუსე მუშებ-მაც გამოხედეს, ორთავემ დათქმულივით წამოყვეს თავები და ისევ საქმეს მიუბრუნდნენ. პატარა ძალაყინებით წყალსადენის ღარს აცლიდნენ ლამს: გა-ლოპრილ მწვირეს, ჩამყაყებულ ზინზლს — საბანაო სეზონისაგან მინიჭებული განცხრომის ლექს.

ზედამხედველთან ერთად ნელა აუზისაკენ გაემართა. წყლის დონე დაკლე-ბულიყო და ბეტონის კედელს ზოლად გასდევდა წყლის მწვანე ნაკვალევი.

ზედამხედველი სახტომ ფიცარზე გავიდა, კანაფზე გამობმული თერმომეტ-რი წყალში ჩააგდო და მოწყალე ღიმილით გამოხედა ნელას.

— საბანაო კოსტუმი დამჭირდება და კიდევ პირსახოცი.

ზედამხედველმა თავი დაუკრა, მერე ისევ წინ წაიხარა და წყალში მოქან-ქარე თერმომეტრს დაისო თვალი, ფიზალზრდის მასწავლებელს მიუგავდა მხრები, ტანიც ფიზალზრდის მასწავლებლის დარად ჰქონდა დაკუნთული და კეფაც გათხელებოდა, გაფხავებოდა.

გადაღმა მხარეს, კაფეს ტერასაზე ხალხი ისხდა; ბუჩქნარის სიმწვანეში შიგადაშიგ თეთრი ყავადნები ციმციმებდა, კელნერმა ნამცხვრებით სავსე ლან-გარი ჩამოატარა: ყვითელ ბისკვიტზე გამოყვანილი კრემის თეთრი გრებილ-ხეულები. ვილაც მაცინცველა გოგონა ღობეზე გადმობობდა, ტერასას რომ გამოჰყოფდა აუზისაგან, გაზონი გადაირბინა, წყლისაკენ გაქანდა და ტერასის მხრიდანაც მაშინვე ქალის ხმა დაედევნა: **ახლოს არ მიხვიდე!**

ნელა შეკრთა; ბავშვმა სირბილს უკლო და გაუბედავად წამოვიდა აუზი-საკენ.

— არ გესმის? — ისევ გამოსძახა დედამ, — **ახლოს არ მიხვიდე!**

— თხუთმეტი გრადუსია, — აუწყა ზედამხედველმა.

— ესე იგი, შეიძლება, არა? — დაეკითხა ნელა.

— თქვენი ნებაა.

ზედამხედველთან ერთად ნელა უკანვე გამობრუნდა ვერანდისაკენ. ერთ-ერთ მუშას კაბინის კარი მოჰქონდა, რომელზეც ცხრიანი ეწერა.

— ემაგეებს ახალი ანჯამები დასჭირდება! — გასძახა ამხანაგს; იმანაც ავერი დაუკრა.

ზედამხედველმა ფორთოხლისფერი საბანაო კოსტუმი, რეზინის თეთრი ქუდი და პირსახოცი გამოუტანა. ნელამ თავისი ხელჩანთა ჩააბარა და ერთ-ერთ კაბინაში შევიდა. ანაზდად სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა და ნელაც შიშ-მა აიტანა. ამ ბოლო ხანს ვერა და ვერ მოიწია ძველებური ხილვები, რაის სახე აღარ გაცხადებია, ან არადა, ისეთნაირი მოეგლინებოდა, ჩახვადაც რომ არ

ულირდა, ასე ეგონა, ხილვების სამყარო ისევე მივატოვე, მშობლიურ კერას რომ მიატოვებენ და ახლა ის გზებიც უკვალოდ გაქრა, ხილვებში უთვალავჯერ რომ გამომივლიაო. ნაკუწ-ნაკუწ დაიფლითა ძველისძველი ფილმის ფირი, ნაცნობი კადრები პორიზონტს მიაწყდა — თვალმიუვალმა შორეთმა ისინი ისევე შესრუტა, აბაზანის სადინარი რომ შეიწოვს ნაბან წყალს, წყალწალღებულის უკანასკნელი ხრტინვასავით გაისმა ხროტინი, წყალი შთაინთქა და ყოველივე ის, რისგანაც ნელას ხილვები შეუქოწიწებია, უკვალოდ გაქრა; წყალმა ყველაფერი წაიღო და ნელაც იმ შეხუთულ თბილ, საპნის სურნელითა და გაზის სუსტი სუნით გაჭერებულ ჰაერს თუ მოყნოსავს, ბანაობის შემდეგ რომ შეგუბდება აბაზანაში; შუშის თაროზე საპნის ქაფში გათხვრილი ფუნჯი აგდია და ახლა სწორედ ის დროა, ფანჯრები გამოაღოს კაცმა, არადა, იქ ფანჯრის მიღმა, რაღაც სარეკლამო ფილმი გადის, — უხეირო, უაზრო, უნიჭო. აი, თურმე რა ხვითოები ყოფილან კარიერის ტრფიალი ეს მკვლევლები! თურმე ხელფასზე ცხოვრობენ, ღირიკულ პოეზიაზე კითხულობენ მოხსენებებს და ომის გახსენებაც არ უნდათ!

— ახლოს არ მიხვიდე! ვის ვეუბნები? — იჭაჭებოდა ტერასაზე გამომდგარი დედა და ნელამაც ხმაზე დაატყო, მთლად ცარიელი არ უნდა ჰქონდესო პირი, გაუღეჭავი, ცომისა და ნაღებიანი კრემისგან აზელილი კოშტი ელვარებას უხუნებდა მშობლისეულ რისხვას, მაგრამ სულ ძალე ისევ დაირხა ხმა, — ამჯერად მჭლე, გამკივანი.

— ფრთხილად, ფრთხილად-მეთქი.

ყელში ზიდილივით მოაწვა რაღაცა, თითქოსდა დურდო მოადგა წყლის ჩასადენ ხვრეტილს. მოგონებების იმ ფილმს ბოლოს ყურით მოთრეული ფინალი მოარგეს; აქი სულ ახლახან უსმენდა გეზელერის ხმას, უყურებდა მის ხელებს და მოწყენილობაც მძიმე ლოდად აწვა გულზე. აი, თურმე, რანი პრძანებულან მკვლევლები! ზის ერთი ვიღაც ხვითო მანქანის საჭესთან, ლაპარაკის დროს კაზინოებში დაბუდებულ ვნებას ჩაიქსოვს ხმაში, მანქანასაც მარჯვედ მართავს...

ტერასაზე გამომდგარმა დედამ როგორც იქნა ჩაიტკბარუნა პირი კრემიანი ნამცხვრით და ახლა მთელი ხმით დასჭექა: — ნუ ცელქობ! რა დამთხვეულივით დარბიხარ.

გაზონები კარგა ხანია არ დაესუფთავებინათ: ყოველ ნაბიჯზე ლიმონათის ჩაყანგებული, შეღუნულ-შემოღუნული თავსახურები ეყარა. ნელა გასახდელში დაბრუნდა, შიშველი ფეხები ფეხსაცმელებში წაყო და აუზისაკენ სირბილ-სირბილით წამოვიდა, გაეხურდებო. პატარა გოგონა გაზონზე იდგა, აუზის შორიანლო, გადაღმა მხრიდან კი ბავშვს ტერასის მოაჯირზე ხელებდაყრდნობილი დედა უთვალთვალებდა — ფაშფაშა, ჭრელკაბიანი ქალი.

აუზში ჩასასვლელი კიბის საფეხურები მოლიბულები იყო, ხავსმოკიდებული. ცოტა მოშორებით, ხეთა ვარჯებსა და კაფეს მიღმა ნელამ ბრერნის-ციხის სახურავი დაინაა, რომელზეც ქრისტიან-ხელოვანთა კავშირის თეთრი დროშა ფრიალებდა ზედ გამოსახული ოქროსფერი მახვილით, წითელი წიგნითა და ლურჯი ჯვრით; ნება-ნება დაფაჩუნებდა სამხრეთის ნაზი ქარა და დროშაც თითქოსდა თრთოდა ლურჯი ცის ფონზე.

ნელამ ფეხსაცმელები წაიძრო, გაზონისაკენ ხელუკუღმა მოისროლა და ფრთხილად ჩაუყვა საფეხურებს. ჯერ კოჭებამდე შევიდა წყალში, მერე დაი-

ხარა და ორივე პეშვით წყალი მალ-მალე შეისხურა ტანზე. ნელას ეამა, წყალი სულაც არ მოსჩვენებია მეტისმეტად ცივი; მერე წყალს მინებდა, კიდევ უფრო ღრმად შევიდა აუზში, ჯერ მუხლებამდე ჩადგა წყალში, მერე წელამდე. საბანაო კოსტუმი დაუსველდა და სიგრილვე ტანზე მიეტმასნა. ხელს წაწმენდა ხოლმე წინ, მერე ღონივრად მოუნიჩაბებდა, თითქოსდა მიაბობდა გარინდულ, ჩამწვანებულ ზედაპირს და სიამოვნებისაგან უნებლიეთ სიცილი მოერია. ზედამხედველი ჯერაც სახტომ ფიცარზე იდგა, თვალები ხელით მოუჩრდილებინა და ნელას უყურებდა. ნელამ ბასეინი ბოლომდე გაცურა, კედელთან მოტრიალდა, ზედამხედველს ხელი დაუქნია და იმანაც ხელი დაუქნია პასუხად. პატარა ვოგონამ, ის იყო, ნაბიჯის გადადგმა დააპირა ბასეინისაკენ, რომ ფაშა-ფაშა და კაბაჭრელა დინდროხამ იმწუთსავე დასჭექა:

— ახლოს არ მიხვიდე!

ვოგონამ მარჯვენა ფეხი მაშინვე უკან გადმოდგა. ნელა ახლა ზურგზე გაწვა და ნება-ნება გამოცურა გულადმა: ამასობაში გახურდა კიდევ, უცხო საბანაო კოსტუმს შლამის სუნი დაჰკრავდა. სადღაც ცაში უხილავი თვითმფრინავი დაგუგუნებდა და კვამლის გრძელ, თეთრ ნაკვალევს ტოვებდა; თავდაპირველად კვამლი ჩამკვრივებულ ზოლად გაიწვართებოდა, მერე ნელ-ნელა დაიშაშრებოდა, შეიცრიცებოდა, შემოიცრიცებოდა და ზეცას შეადნებოდა, თვითმფრინავი კი არსად ჩანდა. ნელამ მფრინავის წარმოსახვა სცადა: თვალწინაც დაუდგა ჩაფხუტიანი მფრინავი, მისი პირხმელი, კოპებშეკრული სახე, მერე მფრინავის ადგილას წარმოიდგინა თავი, მისი თვალებით გამოიხედა: სადღაც შორს, ქვემოთ, პაწაწკინტელა ტბა ლაპლაპებს, ქინძისთავივით პატარა ან უჩხულისოდენა, ასე თუ ისე, მაჯის საათზე დიდი მაინც არ გამოჩნდება ჩამუქებულ კორომებს შუა მოქცეული ბალახისფერი ტბა, ნება-ნება რომ კურდღლაობს ახლა. ან იქნებ იმ სიმაღლიდან სულაც არ მოჩანს ტბა? ზანტად, თითქოსდა გაჭირვებით მიათრევს თვითმფრინავი თავის მძიმე შლევს — ლაყვარდში გაწოლილ, მოყვითალო და მიცრეცილ კუდს; ძლივძლივობით მილოდავს იგი უკიდევანო ცისფერ უდაბნოში, ბოლოს კი, სადღაც დასალიერთან, ხეებს მიღმა უჩინარდება. ცაში გავლებული მისი კვალი სულ უფრო და უფრო იცრიცება, და ბრერნიხ-ციხის თავზეც, იქ სადაც პირველი კვალი გაავლო თვითმფრინავმა, ცა უკვე ისევ გადაკრიალდა; კვლავინდებურად გარკვევით მოჩანს იმ მთართოლვარე თეთრი დროშის უდრეკი და მტკიცე ღერძი, რომელზეც ოქროსფერი მახვილი, წითელი წიგნი და ლურჯი ჯვარია გამოსახული — საგულდაგულოდ მოფიქრებულ სიმბოლოები.

სემინარის მონაწილენი ახლა ალბათ ყავას მიირთმევენ, ალტაცებით ლაპარაკობენ გეზელერის მოხსენებაზე, წამდაუწუმ კვერს უკრავენ ერთიმეორეს და საყოველთაოდ იმ აზრს იზიარებენ, რომ — ჯერ ყველაფერი როდია დაკარგული!

ნელამ გულადმა ერთხელაც გაცურა ნელ-ნელა, ქუდიდან ჩამონათონი და დამყაყებული წყლის მომწარო წვეთები ტუჩებზე მოადგა, მერე კი, უნებლიეთ ისევ მოერია სიცილი, ხმადაბლა იცინოდა, წყალმა შვება მოუტანა თითქოს.

ტყის მხრიდან საფოსტო ავტობუსი გამოჩნდა, მერე მექანიკური საყვირის ხმა დაიჩხა, მიკლაკნილ-მოკლაკნილ გზებზე გაუთავებელი ძახლისაგან რომ ჩახლეჩილიყო ლამის. პირზე მომდგარი ღიმილით ნელამ უკან გამოცურა, წყლი-

დან ამოძვრა და კიდევ ერთხელ აჰხედა ცას: თვითმფრინავის ნაკვალევი უეცრად თავქვე ეშვებოდა და სადღაც ტყის მიღმა უჩინარდებოდა. ნელამ ვერანდას ჩაუარა და თავისი კაბინისაკენ გაეშურა. ზედამხედველს ანაზღად ისევ გაეზადრა სახე. კაბინაში ფიცარფენილს გარდასული ჯანჯანებდა: — შმორისა და ნესტის სუნი ასდიოდა. ღარების პირზე თეთრად შეთქმულმა ობი, თვითონ ღარებში კი, იქ სადაც მეტი სისველე იყო, ბიბკი ჩამწვანებულიყო; კაბინის ყვითლად შეღებილ კედლებზე საღებავი დამსკდარიყო, ხოლო თეფშისოდენა ერთადერთ ადგილას, სადაც ახალივით ბზინავდა საღებავი. წარწერა მოჩანდა: „ქალი თუ გიყვარს, თვითონ ის ქალია ბედნიერი“. სიტყვები ლამაზი და გაკრული ხელით ეწერა. აი, ასეთი ხელით თუ მიაწერენ ხოლმე ვიღაცემ ტელზე დაწერილ თხზულებებს: „ცუდია“, „კარგია“, ან „დამაკმაყოფილებელია“.

— ახლო არ მიხვიდე! — ქალის ხმა დამქლევებულიყო, აღარ იყო ნამცხვრის კრემით ჩამსუყვებული. — ახლოს არ მიხვიდე-შეთქი, ვის ვეუბნები? ნელამ ზედამხედველს ფული გადაუხადა, გაუღიმა და სახეგაბადრულმა ზედამხედველმაც ხელიდან აართვა სველი საბანაო კოსტუმი, ქუდი და პირსახოცი.

გზაზე გამომდგარმა ავტობუსმა ისევ დააყვიტყვიტა, კვლავ ხალისიანად შემოსძახა საფოსტო საყვირმა. ნელამ ხელი დაუქნია მძღოლს და ავტობუსისაკენ გაიქცა.

მძღოლი მოთმინებით ელოდა, ამასობაში ბილეთებიანი ტყავის ჩანთაც გაეხსნა.

— ბრუნამდე, — უთხრა ნელამ.

— ცენტრში ჩამობრძანდებით?

— არა, რინგშტრასეზე.

— მარკა და ოცდაათი.

ნელამ მარკა-ნახევარი მისცა მძღოლს და უთხრა:

— ხურდა დაიტოვეთ.

მძღოლმა კარი მოხურა, საჭესთან რაღაც დილაკს დააჭირა თითი და ვიდრე ავტობუსი დაიძვრებოდა, საფოსტო საყვირმა ერთხელაც დაიყვიტყვიტა.

თავი XVIII

— ამ ამბავს ბოლო უნდა მოეღოს, — თქვა ალბერტმა და მარტინს ისე ვახედა, გეგონებოდა, პასუხს ელისო მისგან, მაგრამ ბიჭმა არაფერი უპასუხა. ალბერტი აღვზნებული ჩანდა და მარტინიც შეწუხდა: ვერ გაეგო, ნუთუ მისი დაგვიანება იყო ასეთი აღელვების მიზეზი? მარტინი ვერც იმას მიხვდა, ეს ფრაზა მის მიმართ იყო ნათქვამი თუ ისე, საერთოდ.

— ბოლო უნდა მოეღოს, — ისევ გაიმეორა ალბერტმა. ეტყობა, მართლაც შეკითხვას ელოდებოდა და მარტინმაც გაუბედავად ამოღერდა:

— რას უნდა მოეღოს ბოლო?

მაგრამ ზუსტად ამ დროს ალბერტმა მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და უთხრა:

— ბოლდასთან შევივლი ეკლესიაში, ავიმგზავროთ.

იცოდა, ალბერტი მოსვენებას კარგავს, შინ მისვლა რომ დამაგვიანდებოდა. როცა გაახსენდა, ოთხი საათი ვაცდევინე, მერე კი საღ არ ვაძებნიეთ თავი, აწრიალდა. მარტინმა ისიც იცოდა, ალბერტი წუთს ვერ გაძლებსო უჩემოდ, მაგრამ ამის შეგრძნება სიხარულს კი არ ანიჭებდა, პირობით, რაღაც უსიამო გრძნობას აღუძრავდა. იმ ბიჭების ოჯახში, ვისაც ილალო მამები ჰყავდათ, სხვაგვარად ხდებოდა ყოველივე. მამები შვილებს სულაც არ დაეძინებდნენ, ქუჩა-ქუჩა და არც მოსვენებას კარგავდნენ, თუკი შვილებს დააგვიანდებოდათ. ეგ იყო, წარბშეკრულნი დაუხვდებოდნენ, ლაზათიანად მიბეგვავდნენ და მშვივრებს გაისტუმრებდნენ დასაძინებლად; ცოტა არ იყოს მკაცრი სასჯელია, მაგრამ სავსებით გასაგები. მარტინი იმას კი არ ნატრობდა, მიმტყუებავდესო ალბერტი, სულ სხვა რაღაცას ელოდა მისგან, მაგრამ გარკვევით თავადაც არ იცოდა, რა უნდოდა, აზრითაც ვერ წარმოედგინა, კაცმა რომ თქვას, ბევრჯერ გაეგონა ისეთი სიტყვა, ბუნდოვანიც რომ იყო და გაურკვეველიც, მაგრამ ამ სიტყვებს სავსებით გარკვეულ აზრებსა თუ წარმოდგენებს უკავშირებდა. აი, სიტყვა „ამორალურზე“ როცა ფიქრობდა, თვალწინ უხარმაზარი დარბაზი წარმოუდგებოდა და ყველა ნაცნობ ქალს იმ დარბაზში დაინახავდა ხოლმე. ვინდა არ იყო იქ, ამორალური ყოფაქცევის ქალებიც, პათიოსნებიც. ბრილახის დედა ამორალური ყოფაქცევის ქალებს ედგა თავში, მწკრივის ბოლოში კი, იქ, სადაც უპათიოსნეს ქალებისათვის მიეჩინათ ადგილი, პოსკეს დედასთან და ფრაუ ნიგერმაიერთან ერთად ფრაუ ბორუსიაკიც ედგა. დედამისს მარტინი სადღაც შუადარბაზში ხედავდა ხოლმე და მისი ადგილი ამოდენა მწკრივში არ იყო მთლად გარკვეული: დედა ხშირ-ხშირად იცვლიდა ადგილს, ხან ფრაუ ბორუსიაკთან დადგებოდა, ხან ჰაინრიხის დედას ამოუდგებოდა გვერდში; ერთი ბოლოდან მეორეს მიაწყდებოდა და ისე დაკინკილობდა წინ და უკან, აი, მულტიპლიკაციურ ფილმებში რომ ნახავ ხოლმე.

მარტინმა საცავში შესასვლელს მიაშტერა მზერა, თან იმაზე ფიქრობდა, ალბერტს სიტყვა „მამა“ თუ შეეფერებოდა. მაგრამ ეს სიტყვა ვერა და ვერ მოერგო ალბერტს. მასწავლებელი, მაგალითად, ზედგამოჭრილი „მამა“ იყო, ასეთივე იერი ჰქონდა დურგალს. შეიძლება, გლუმიც „მამად“ ჩაგეთვალა; აი, ალბერტზე კი ვერაფრით ვერ იტყვოდი „მამაო“. ალბერტს ვერც „ძმად“ მოწათლავდი და თუმც იგი არ იყო ნამდვილი ძია, ყველაზე მეტად მაინც „ძიობა“ შეეფერებოდა.

სულ მალე ხუთი საათი შესრულდებოდა და მარტინს შიმშილისაგან გული უწყუხდა, ექვსი საათისათვის კი ბიტენჰანში უნდა წასულიყვნენ. ძია ვილი ალბათ ანკესებსაც გადაარჩევდა უკვე, ქიაყელებსაც ამოქექავდა და ვინ იცის, ზის ახლა მდელიოზე სახელდახელოდ შექვილილ ფეხბურთის კართან და ბადეს კემსავს; მერე ბადეს მავთულით დაამაგრებს ძელზე და სახეგაბადრული სოფელში გაქანდება ბიჭების დასაძახებლად, ასე რომ დღესაც ითამაშებენ ხუთი ხუთზე.

ალბერტი ბოლდასთან ერთად დაბრუნდა. მარტინი უკანა სავარძელში გადაჯდა, თავისი ადგილი კი ბოლდას დაუთმო. მანქანაში ჩაჯდა თუ არა, ბოლდა მარტინისკენ შემობრუნდა, მერე კისერზე შემოაქდო ხელი და ლოყაზე წაუთათუნა. ბოლდას გრილ, ნამიან, იატაკის გაუთავებელი რეცხვისაგან აწითლებულ თხელ ხელს თუთქისა და საპნის სუნი უდიოდა, თითებზე კი ბოლდას მოთეთრო ღრმულეები აჩნდა.

— აი, ხომ ხედავ, არსადაც არ დაკარგულა, — მიუბრუნდა იგი ალბერტს, — რას ნერვიულობ ნეტავი. მიტყიპე ერთი გემრიელად, ახი იქნება მაგაზე.

ბოლდას გაეცინა, მაგრამ ალბერტმა თავი გააქნია და თქვა:
— ამ ამბავს ბოლო უნდა მოეღოს, თავიდან უნდა დავიწყოთ.

— რა უნდა დავიწყოთ თავიდან? — გაუბედივად იკითხა მარტინმა.

— ახლებურად უნდა ვიცხოვროთ. შენ ბიტენჰაიმში ვადასწავლავ საცხოვრებლად, სკოლაშიც იქ ივლი, მერე ბრენიხის გიმნაზიაში შეხვალ, მეც იქ დავსახლდები.

ადელებებისაგან ბოლდა სავარძელში აწრიალდა.

— რას ამბობ? შიში ამიტანს ხოლმე, უთქვენოდ რომ წარმოვიდგენ სახლს. თუ მართლა ასე გადაწყვიტე, მაშინ მეც წამიყვანე ბიტენჰაიმში. საქონლისა ცოტა რამ მეც გაძეგება.

ალბერტს არაფერი უპასუხნია. გზაჯვარედინამდე ფრთხილად მიჰყავდა მანქანა, ჯერ ხეივანი ჩაიარა, მერე პოლდერლინშტრასეზე გაუხვია, მაგრამ ეკლესიასთან არ შეუჩერებია. გზა გააგრძელა და მანქანა ნოვალისშტრასეზე გაიყვანა, იქ პარკს შემოუარა და რინგშტრასე გადაჭრა. ქალაქის განაპირას ჯერ ბარაკები გამოჩნდა, მერე მოტიალეგული ყანები. ალბერტს ტყისაკენ მიჰყავდა მანქანა. ბოლდა დროდადრო თვალს გააპარებდა ხოლმე მისკენ. ტყის პირას ალბერტმა მანქანა გააჩერა.

— აქ დამიყადეთ, — სიტყვა დააგდო ალბერტმა. — ახლავე დავბრუნდები.

მერე მანქანიდან გადმოვიდა და ძველი ფორტისკენ ჩაუყვა გზას. შუაგზაზე უცებ გვერდზე გაუხვია, ფერდობისკენ გაემართა და ჩირგუნარში გაუჩინარდა, მაგრამ ცოტა მოშორებით, ტანდაბალ ჩირგვებთან ისევ გამოჩნდა ალბერტის თავი. ალბერტი მდებლობისაკენ მიდიოდა, რომლის შუაგულში უზარმაზარი ბერძენი იდგა. ალბერტმა ერთ ხანს იქაურობას უცქირა, მერე ფერდობს ვეღლაზე დაქანებულ ადგილას ჩამოირბინა და ფორტისაკენ გაემართა.

— ნუ წახვალ ბიტენჰაიმში, — ხმადაბლა უთხრა ბოლდას, ისე რომ მარტინისაკენ არც შემობრუნებულა. — ან არადა, მეც წამიყვანე.

მარტინი შეკრთა: ბოლდას ცრემლი აბრჩობდა თითქოს.

— ვის ანაბარა გვტოვებ? ბებია მაინც შეიცოდეს!

მარტინმა არაფერი უპასუხა; ალბერტს ადევნებდა თვალს. იგი მიწიდან ამოძვრა თითქოს და ახლა მანქანისაკენ მოდიოდა.

— წამომყევი, რაღაც უნდა გაჩვენო. — მერე ბოლდას მიუბრუნდა: — თუ გინდა, მანქანაში დაგველოდე, — მაგრამ ბოლდა მაინც ვადმოვიდა მანქანიდან და სამივენი მოასფალტებულ გზას ჩაუყვნენ, ციხესიმაგრისაკენ რომ მიემართებოდა. მარტინს გული შეუღონდა, ბრილახთან და სხვა ბიჭებთან ერთად რამდენიმეჯერ ნამყოფიც იყო აქ. გრებჰავესა და ვოლტერსის ურცხვობასაც ხომ სწორედ იმ ბუჩქებში მოპკრა თვალი, სადაც ალბერტი გაუჩინარდა ახლახან. ეს ადგილი სახლიდან ნახევარი საათის სავალზე იყო და ბიჭებსაც ეხალისებოდათ ხოლმე ფორტის გარშემო შემოვლებულ და ამომშრალ თხრილში თამაში. აქედან გემების ანძებსაც დაინახავ, რაინზე რომ მიცურავენ, ნაირნაირ საზღვაო აღმებსაც, მაგრამ თვითონ მდინარე არ ჩანს. აი, ფორტის სახურავიდან კი რაინიც მოჩანს, ომის დროს დანგრეული ხიდიც; რკინის კოჭები უშნოდაა წყლიდან ამოშვერილი. ზედ მდინარის პირზე ჩოგბურთის წითელი

კორტებია, დაფუსფუსებენ თეთრ ფორმებში გამოწყობილი ჩოგბურთელები. დროდადრო იჭიდან სიცილი, ან მსაჯის შეძახილი აღწევს, მომალლო და თეთრად შეღებილ კოშკურაზე რომ ზის ხოლმე. მარტინი სულ ერთი-ორჯერ თუ ყოფილა აქეთ, იმიტომ რომ ალბერტს ეშინოდა მისი ამსიწორეზე გაშვება. მარტინი ახლა უკვე შეშფოთებული უცქერდა ალბერტს, ტყუილად ხომ არ მომიყვანდაო აქ. ვიდრე გზას ჩაათავებდნენ, ირგვლივ სიჩუმე, რღვა, ნადღაც ბავშვების ყრიაშული გაიგონეს და ვიღაც ქალმა დაიძახა — ახლოს არ მიხვიდე!

პორტის სახურავზე ლამაზად მოცემენტებული კიბით შეიძლება ასვლა, დიდ და შავად შეღებილ ალაყაფის კართან რომ იწყება, სახურავზე შადრევანი ჩქეფს, ვარდები წითლად ღუდღუდებს, იქვეა ორივე პლატო, ცაცხვის სეგებით რომ იწონებს თავს, ხოლო თუკი პლატოს განაპირას ამოყვანილ პატარა კედელზე აძვრები, რაინი ხელისგულივით გამოჩნდება. მარტინმა ის იყო, კიბე აირბინა, მაგრამ ალბერტი ალაყაფის კართან შეჩერდა და მარტინი უკანვე გამოაბრუნა.

— წავალ, მანჭანაში დაგელოდებით, — თქვა უცებ ბოლდამ. — სოკოების ყიდვას აპირებ?

— არა, — უპასუხა ალბერტმა, — მინდა მარტინს ვაჩვენო ის ადგილი, სადაც სამ დღეს აყურყუტეს მამამისი.

— აქ მოხდა ის ამბავი?

ალბერტმა კვერი დაუკრა. ბოლდას მკლავებზე კანი აებურძგლა, გეგონებოდა, შესცივდაო და ხმაამოუღებლად უკანვე აუყვა მოასფალტებულ გზას.

ვიდრე ალბერტი ალაყაფის კარზე აბრახუნებდა, მარტინი ყვითელ აბრას ათვალიერებდა, რომელზეც შავი ასოებით ეწერა: „ფორუ ბალომენი — კვალსათბურის შამპინიონები“.

— აი აქ მოკლეს აბსალომ ბილიგი, კაცი, რომელმაც მამაშენის პორტრეტი დახატა.

მარტინი შიშმა აიტანა, კაზემატიდან მძიმე სუნი სცემდა: ფუნის, ბნელი და ნესტიანი სარდაფის სუნი; ბოლოს კარი გაიღო და ხელებდათხვრილი გოგონა გამოჩნდა. გოგონა ჩალის ღეროს ალაგლაგებდა პირში, ალბერტის დანახვაზე კი გოგონამ დანანებით ჩაილაპარაკა:

— ეეჰ, მეგონა, ნაკელი მოიტანეს-მეთქი.

მაშ, მოკლეს? კი მაგრამ მოკვლით ხომ მარტო ფილმებში კლავენ, დეტექტიურ რომანებში, ან ბიბლიაში: კაინმა, მაგალითად, აბელი მოკლა დავითმა — გოლიათი. მარტინს ეშინოდა კაზემატების სიღრმეში შესვლა, მაგრამ ალბერტმა ხელი ჩასჭიდა და კაზემატისაკენ წაიყვანა. მიწისქვეშა დერეფნებში სანახევროდ ბნელოდა: ქერში დატანებულ მინის სქელ ფილებში ძლივს აღწევდა დღის სინათლე. აქა-იქ კედლებზე მუყაოს შუქფარიანი ნათურები ბეუტავდა და მაღალ, თითქოს დამრეცად გაკიდულ კვალთა რიგს დასციმციმებდა. კვლები ყველგან ფენა-ფენად იყო დასმული და ცხრაფურცელა ღვეზელს წააგავდა; სულ ქვედა ფენა ნაკელისა და მიწისაგან შეეზილათ, მომდევნო ფენად მომწვანო-ყვითელი ფერის ნაკელი დაედოთ, მერე ისევ მიწიანი ფენა დაესვათ. მაგრამ მიწა ამ კვალში მუქი იყო, თითქმის ჩაშავებული და აქა-იქ ყვიციან, თეთრ შამპინიონებს წამოეყოთ თავი, ქუდებზე რომ მიწის პატარ-პატარა კოშტები შერჩენოდათ. თვითონ კვლები პიუპიტრებს წააგავდა, იდუმალ ბულტებს, საიდანაც თავისთავად ამოზრდილიყო უშნო, დაღრეკილი და თეთრი

კლავიშები; სოკოებს ორლანოს სარეგისტრო ლილაკებს მიამგებნებდი, თუმცა კი, მაინც იმას იფიქრებდი, რაღაც სხვა, საეჭვო მიზნებს ემსახურებიანო.

მაშასადამე, აქ ხალხს კლავდნენ. ესე იგი, ნაციისტებმა სწორედ აქ დააოსეს ცემით მამამისი და ძია ალბერტი, აქ გათელეს ისინი ჩუქნებით. მარტინმა რიგონად არც კი იცოდა, რას წარმოადგენდნენ ნაციისტები, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო: ალბერტი ნაციისტებზე სულ სხვა რამეს ლაპარაკობდა, მასწავლებელი კიდევ სულ სხვას. სკოლაში, მაგალითად ამორალური საქციელი ყველაზე დიდ ცოდვად მიაჩნდათ, ეს რა საშინელებააო — გაიძახოდნენ, მაგრამ თვითონ მარტინს ბრილახის დედა სულაც არ ეჩვენებოდა საშინელ ქალად. საშინელი ის სიტყვა იყო მხოლოდ, ხაბაზს რომ მიახალა მან. აი, ალბერტი ამბობს. საშინელებააო ნაციზმი, მაგრამ სკოლაში მსგავსსაც ვერ გაიგონებ: მასწავლებელს თუ დაუჯერებ, რუსები გაცილებით საშინელი ხალხია, ვიდრე არც თუ ისე საშინელი ნაციისტები.

გოგონამ, პირში რომ ჩალის ღეროს ალავლაგებდა, უკან დაიხია და ალბერტს გზა დაუთმო. ხის ფარდულიდან მის შესახვედრად ვიღაც კაცი გამოემართა. თავზე ტილოს კარტუზი ეხურა, ნაცრისფერი სამუშაო ხალათი ეცვა. კაცი სიგარეტს ამოღებდა და მისი შემყურე იფიქრებდი, ნაცრისფერი კვამლის ბოლქვები ამ სათნო, ჩამრგვალებულ სახეს ასდისო.

— ნაკელი მოიტანეთ? — იკითხა კაცმა. — კიდევ კარგი! ამ ბოლო ხანს ძან გაჭირდა, ველარსად ვშოულობ.

— არა, — უპასუხა ალბერტმა, — ისე შემოვიარე. ერთ დროს აქ საკონცენტრაციო ბანაკი იყო. ამ კაზემატში მე და აგერ ამ ყმაწვილის მამა სამ დღეს ვჩაჭდით გამომწყვდეული. ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი კი ნაციისტებმა სწორედ აქ გამოასალმეს სიცოცხლეს.

კაცმა უკან დაიხია, ტურზე გადმოკიდებული სიგარეტი შეუტოკდა, მერე ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და ხმადაბლა აღმოხდა:

— Mon dieu!

ალბერტმა მიმოიხედა, თვალი მოავლო პირქუშ, ნესტიან კედლებსა და ბნელ ტალანებს. ყველგან პიუპიტრის მაგვარი კვლები წამოემართათ — ორლანოს პულტები, საიდანაც დადრეკილი კლავიშები ამოზრდილიყო. კვლებს თხელი ბული ასდიოდა და მარტინს მოეჩვენა, კლავიშებიდან მიწაში უბილავი მავთულებიანო გაყვანილი, იქ კი, სიღრმეში, სიკვდილია გატრუნული და ისიც ელის, ვიდრე რომელიმე კლავიშს თითს დააჭერენო.

კედელში ჩასობილ ლურსმანზე რამდენიმე ნაცრისფერი ხალათი ეკიდა. ტალანის სიღრმეში ხელებდათითხილი გოგონა იდგა, ახლა იგი შამპინიონებს ახარისხებდა და დიდ კალათში ყრიდა. იქვე შემინული კაბინის მიღმა ვიღაც ქალი იჯდა და ნუსხებს ადგენდა. თმა სახვევებით დაემაგრებინა, ხელში ავტოკალამი ეკავა და ქალაღდის ვიწრო კუბონებზე გულდასმით გამოჰყავდა ციფრები და სიტყვები. ვიღაც ბიჭმა, სახურავზე რომ თამაშობდა, ჯოხით სათბურის ქერში დაბნეულ მინაზე დააკაკუნა და ბნელი ტალანის ღრმიდან ანაზღად ექო დაირხა; გამოქვაბულში გეგონებოდა თავი. მერე სახურავზე ვიღაც ტალმა იკივლა:

— ფრთხილად, ფრთხილად-მეთქი, არ გეხმის!

* ღმერთო ჩემო (ფრანგ.).

— აი, აქ მოკლეს სადღაც, მიწასთან გაასწორეს, — თქვა ალბერტმა, — გვამს ვერსად მიაგნეს. უცებ ალბერტმა მარტინს ჩასჭიდა ხელი და ერთ-ერთად დერეფნისაკენ გაუხვია. ბნელ ნიშასთან, სადაც დაღრეკილკლავიანი პიუპიტრები თითქოსდა მიჯრილიყვნენ ერთმანეთთან, ალბერტი შეჩერდა და ხმადაბლა უთხრა:

ერქუნეული

— ამ ადგილას მამაშენი აწამეს, ორთავენი აქ ვაგვეთქვას ~~საქმეში~~ გახსოვდეს ეს ამბავი!

— Mon dier! — ისევ აღმოხდა ნაცრისფერხალათიან კაცს.

— რა დამთხვეულივით დაქრიხარ! — ისევ იყვირა სახურავზე ვიღაც დედოკომ.

ალბერტმა ნაცრისფერხალათიან კაცს ხელი გაუწოდა:

— გვაბატით შეწუხებისათვის, — და მარტინი უკანვე წაიყვანა ალაყაფის ღია კარისკენ. ვარეთ მისაბმელიანი მსუბუქი მანქანა იდგა. ვიღაც კაცს ნაკელი მოეტანა. ეტყობა, სწორედ მას ელოდებოდნენ ასე მოუთმენლად. ნაცრისფერხალათიანი კაცი სახეგაბადრული გაქანდა ახალმოსულის შესახვედრად, მერე გადასაბმელს დაეჯაჯგურა, და ჯერ კიდევ თბილი, ოხშივარიანი ნაკელით პირთამდე სავსე მისაბმელი ორთავემ ფორტისაკენ გააგორა.

— ძლივს ვიშოვე, — თქვა ახალმოსულმა.

— ფრთხილად უნდა ვიყოთ, ცხენოსნობის სკოლაში ვიღაცა კვანტის დაღებას გვიპირებს.

ალაყაფის კარს მიღმა, აშმორებულ სიბნელეში, ჯერ მისაბმელი გაუჩინარდა მერე ორთავე კაცი, მაგრამ კაზემატის სიღრმიდან კიდევ კარგა ხანს აღწევდა ცალკეული ფრაზები.

— „ცხენოსნობის სკოლა“, „სიფრთხილე გვმართებს“, „კონკურენცია“. მერე ფორტიდან ის გოგო გამოვიდა, ჩალის ღეროს რომ ალავლავებდა და ჭიშკარი ჩარაზა.

მარტინს ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ფორტის სახურავზე აძვრებოდა, იფიქრა, ვარდებსა და შადრევანს შევათვალიერებ, რაინსაც გავხედავო. თავის ნებაზე რომ მიეშვათ, მარტინი არც ამომშრალ თხრილში დაიზარებდა ჩაძრომას; თხრილში მთელს გაყოლებზე ბეტონის ხავსმოკიდებულ ნატეხებია მიმოყრილი, თხრილის პირზე კი ძველი ალვებისა და მუხის ხეები შრიალებენ. მაგრამ ალბერტი ხელს არ უშვებდა მარტინს და ჩირგვნარის გასწვრივ ასფალტირებული გზისაკენ მიჰყავდა. ბოლდა მანქანის შორიახლო მიწაყრილზე ჩამოძდარიყო და ორთავეს ხელს უქნევდა.

— რა დამთხვეულივით დაქრიხარ! — ისევ დაიყვირა ერთ-ერთმა დედოკომ ფორტის სახურავზე.

— ფრთხილად, ფრთხილად-მეთქი! — დაიძახა მეორემ.

— ახლოს არ მიხვიდე!

ხმა არ ამოუღიათ, ისე ჩასხდნენ მანქანაში. ბოლდა ახლა უკანა სავარძელში მოკალათდა; ჯერაც უდიოდა საგულდაგულოდ მორეცხილი იატაკის სუნი: ერთმანეთში არეული წყლის, თუთქისა და ნიშადურის სუნი. ბოლდა აკი ცოტაოდენ ნიშადურსაც ჩაასხამდა ხოლმე ვედროში.

მარტინი ალბერტთან დაჯდა წინა სავარძელზე და როცა ალბერტს გახედა, ანაზღად შეკრთა: ამ რამდენიმე საათში ალბერტი თითქოსდა დაბერდაო, ახლა იგი თითქმის ისეთივე ბებერი გეგონებოდა, როგორც მასწავლებელი, ან-

და დურგალი. მარტინი გუმანით მიხვდა, ამაშიც ნაცისტებს მიუძღვითო ბრალი და უცებ შერცხვა, რაკი ხეირიანად არც კი იცოდა, ვინ იყვნენ ისინი, მართალია, ეჭვიც არ ეპარებოდა, — ალბერტი არაფრის დიდებით არ მეტყვისო ტყუილს და ნაცისტები მართლაც საშინელი ხალხი იქნებოდნენ, მაგრამ ასე რყო თუ ისე, ამ აზრს ალბერტი ადგა მარტო; უმრავლესობას ესეიგი სულაც არ მიაჩნდა მაინცდამაინც საშინელ ხალხად.

ალბერტმა მკლავზე წაავლო ხელი, მაგრად მოუჭირა და უთხრა:

— სამუდამოდ დაიმახსოვრე ახლა რაც ნახე, აბა ერთი გაბედე და დაივიწყე!

— არა, არა, ყოველთვის შემახსოვრება, — სხაპასხუპით მიუგო მარტინმა.

იმ ადგილას, სადაც ალბერტმა მოუჭირა ხელი, ტკივილი დიდხანს არ გაყუჩებია და მარტინიც გრძნობდა, როგორ ამახსოვრდებოდა ეს ყოველივე; სამუდამოდ ამახსოვრდებოდა მქისი სუნი, ნაკელი, უხილავი მავთულები და უცნაურ პიუპიტრებზე ამოზრდილი ის კლავიშები, ორლანოს რეგისტრებს რომ წააგავდა. მაშასადამე, იქ ხალხს კლავდნენ! — და მარტინის მეხსიერებაში ეს ყოველივე ისევე ჩაიბეჭდა, როგორც ფოვინკელის სარდაფში გატარებული წუთები.

— ღმერთო ჩემო, — აღმოხდა ზურგსუკან ბოლდას, — ბავშვს მაინც ნუ მოგვაშორებ. რასაც მეტყვი, ყველაფერს გავაკეთებ, თავს არ დავზოგავ, ოღონდ კი აქ დატოვე.

— ჰო, — გაუბედავად დაიწყო მარტინმა, — ბრილახიც წამოვა ბიტენჰანში? — მარტინს ჰაინრიხი დაუდგა თვალწინ, რომელსაც აღარც ძია ლეო ეყოლებოდა გვერდით და აღარც ათასი საზრუნავი დააწვებოდა მხრებზე; აგერ ჰაინრიხი კარაქწასმულ პურს ჭამს, ძია ვილი კი, დაცარიელდება თუ არა საკარაქე, ჰაინრიხს გაუღიმებს, ისევ აავსებს საკარაქეს და ჰაინრიხს მიუჩოჩებს.

— წამოვა თუ მარტო ვიქნები, იქ? — ახლა უკვე გადაჭრით იკითხა მარტინმა.

— შენთან ერთად მე წამოვალ, — უპასუხა ალბერტმა, — მეც ბიტენჰანში დავსახლდები, ჰაინრიხი კი სტუმრად ჩამოვა ხოლმე. მანქანით წამოვიყვან, ქალაქში ხომ ყოველდღე მომიწევს საქმეებზე ჩასვლა. სადაა იქ იმდენი ადგილი, ორთავეს გეყოთ, ამასთანავე, ჰაინრიხს არც დედამისი გამოუშვებს, თვითონაც იცი, უჰაინრიხოდ ძალიან გაუჭირდება.

— ჰაინრიხი მარტო ვერ წამოვა, ვილმაც უნდა წამოიყვანო, — მორიდებით დააყოლა მარტინმა და თავი ახალ სკოლაში წარმოიდგინა. უცნობ ბიჭებთან ერთად, იმ სკოლიდან სულ რამდენიმე ბიჭს იცნობდა, ვისთანაც უმბურტოს თამაშობდა ხოლმე.

— ვილმა რა შუაშია?

— სახლში თუ არავინაა, ლეო სცემს ხოლმე ბავშვს და ისიც ტირის, როცა ლეოსთან რჩება.

— არაფერი გამოვა, — თქვა ალბერტმა, — სამი ბავშვი რა სინდისით ჩავუყვანო დედაჩემს? გაიგე, ყოველთვის ხომ ვერ იცნოვრებ ჰაინრიხთან ერთად! ალბერტმა სიჩქარე გადართო, გაჩუმდა და ევანგელიურ ეკლესიას შენოუარა. ცოტა ხნის შემდეგ ალბერტმა ისევ განაგრძო ლაპარაკი. ისე ლაპარაკობდა, აი ცნობათა ბიუროს მოხელე რომ აგიხსნის, — სხვათაშორის, ზან-

ტად. ამ უცხო სიბრძნეს ალბერტი ისე ქადაგებდა, გეგონებოდა უფასო ცნობას იძლევაო; ცნობის ტექსტი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია უკვე და მოხელის ხმას გულგრილობას თუ დაატყობ მხოლოდ.

— ერთ მშვენიერ დღეს ხომ მაინც დაგვმორღები ყველას, მგც, დედაშენსაც, ჰაინრიხსაც, ამასთანავე, ბიტენჰანი სულაც არაა დასაკარგავი. შენთვის იქნება უკეთესი, იქ რო დარჩე...

— ჰაინრიხს არ შევუაროთ? — იკითხა მარტინმა.

— არა, მოგვიანებით გამოგუვლით. ჯერ დედაშენს უნდა დავურეკო, მერე სახლში მივიდეთ. შენი ნივთები გვაქვს წამოსაღები. ახლავე უნდა წავიღოთ ყველაფერი, რაც პირველ ხანებში დაგჭირდება. კარგი ერთი, — მიუბრუნდა ალბერტი ბოლდას, — გეყოფა ფლუკუნი.

მაგრამ ბოლდა მაინც იცრემლებოდა და მარტინს აშინებდა მისი ცრემლი. ერთხანს ხმა არ გაუღია არც ერთს და მანქანაში ბოლდას სლუკუნი ისმოდა მხოლოდ.

თავი XIX

ნელამ თვალები დახუჭა, მერე გაახილა, ისევ დახუჭა, კიდევ გაახილა, მაგრამ ხილვა არ გამჭრალა: ჩოგბურთელში თავქვე მოუყვებოდნენ ხეივანს; მოდიოდნენ წყვილ-წყვილად, სამ-სამნი... თეთრ ტანსაცმელებში გამოწყობილნი ეს ნორჩი გმირები თითქოსდა ვიღაც რეჟისორის ნება-სურვილით გამოჩნდნენ კადრში და ისევ რეჟისორისაგან დამოძღვრებულნი, ამჯერად აღარ ეპირებოდნენ ეკლესიის ჩრდილში შეყოვნებას, რათა საფულედან ფული ამოეღოთ. მხნედ მოაბიჯებდნენ ტანლერწამა გმირები ხეივნის ჩამწვანებულ ბინდბუნდში, მოაბიჯებდნენ და იმათი შემყურე იფიქრებდი, ლერწამთა პროცესია წინდაწინ შერჩეულ მარშრუტს გაუყვანო. მოსიარულე ეს ღეროები ჯერ ეკლესიას შემოუვლიდნენ გარს, გადაჭრიდნენ ქუჩას, მერე კი პარკის შესასვლელთან გაუჩინარდებოდნენ. ნუთუ ეჩვენება ნელას ეს ყველაფერი? ან იქნებ ბანკეტს იხდის ჩოგბურთის კლუბი? ასეა თუ ისე, ტურნირი ნამდვილად არ უნდა ჰქონდეთ: რაიმე მატჩი რომ გაიმართება, ნელა მაშინვე შეიტყობს ხოლმე: გაიგონებს ნაცრისფერი ბურთების რაკარუკს, შეძახილებს... ნელას თვალწინ დაუდგა კორტების ველური სიწითლე, იქვე კაფეში მწვანე ბოთლები აწკარუნდება ხოლმე, მოშორებით კი უჩინარი გემების ანძები ჩაცურდება ქრელ-ჭრელი ალმებით დამშვენებული, ნელ-ნელა გაცურდებიან ალმები, გეგონება, კული-სებიდან ვიღაცის უხილავი ხელი ექაჩებაო და ბოლოს, კვამლის შავ ღრუბლებში გახვეულნი პორიზონტს შეერევიან.

ნელამ მოსიარულე ლერწმების დათვლა დააპირა, მაგრამ მალევე მობეზრდა: ოცზე რომ ავიდა, სათვალავი აერია, იმიტომ რომ მოდიოდნენ და მოდიოდნენ გაუთავებლად, იცინოდნენ, ლაპარაკობდნენ. ტანაშოლტილი და თეთრებში გამოწყობილი სულ უფრო მეტი და მეტი ღერო მოუყვებოდა ხეივანს; მხნედ მოარული ეს ღეროები ერთმანეთს ტყუპისცალებივით ჰგავდნენ, ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ერთნაირად მოხდენილნი, ერთნაირად თეთრნი; ღიმილ-ღიმილით მოაბიჯებდნენ ნადოლტეების სახლიდან და ნელაც ბოლოს იძულებული გახდა დაეჭვებინა, ცხადში ვხედავ ყოველივეს და არა სიზმარშიო, არადა,

ერთი სული ჰქონდა, ვიდრე მოშორდებოდა თვალზე აფარებული ეს სურათი. ალბერტის ნაცრისფერი მანქანა არსად ჩანდა, ის ძველთაძველი ხილვა კი, ასე ხშირად რომ უნახავს უწინ, ნელამ ვერა და ვერ გაიცოცხლა თვალწინ: კარგახანია, რაი აღარ გამოჩენილა ხეივანში, არადა, სულ ახლახან, მოინდომებდა თუ არა მაშინვე გამოატარებდა ხოლმე ხეივანში. აკაციის მონაცრისფრო ხეები ჯერ იყო და მუქი მწვანე ხაზებით დაისერებოდა, ხოლო მიწას, ექვსადეც წვიმის წყალი ჩაგუბდებოდა, ხავსისფერი ლაქები მოედებოდა, მერე ტოტების გასწვრივ ჩანაყოლები ის ზოლები ერთიანად ჩაშავდებოდა, გეგონებოდა, კუბრი გადაუსვესო, ფოთლებს მონაცრისფრო-მომწვანო ფერი გადაეკვრებოდა და ხეივანშიაც რაი გამოჩნდებოდა: ტრამვაის გაჩერებიდან წამოვიდოდა ხოლმე სახლისაკენ; დაღლილ-დაქანცული მოუყვებოდა გზას, სასოწარკვეთილი ჩანდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მაინც მოდიოდა ხოლმე.

ახლა კი ეს ხილვა ველარ მოიწია ნელამ. სამაგიეროდ ხეივანში ნამდვილად უცქერდა მოსიარულე ღეროებს; ამ ამბავს წყალი არ გაუვიდოდა, იმიტომ რომ ნელამ ისიც ნახა, ბოლოს რომ დაცარიელდა ხეივანი; როგორც იქნა, ჩაიარა ამ მოლანდებასავით პროცესიამ და თავისი არსებობის რეალობაც ამით დაადასტურა. აი, რაი კი, აღარ გამოჩნდა ხეივანში. ნელას ისლა დარჩენია, სიგარეტი გააბოლოს და ოქროსფერი ფარჩის საკილოვეს ჩააფრინდეს, რომ ფეხზე შეიმაგროს თავი. ანაზღად მოეჩვენა „ექო მოსწვდაო ჩემს ყურს, ავლავ მესმისო... იურერი, ...ალხი, ...ამშობლო, — სიცრუის მამხილებელი ის ექო, შეჩვენებად რომ დაებედა ნელას; ეტყობა, სტანდარტულ ქვრივთა ფაბრიკაც უშვებს ხოლმე წუნდებულ პროდუქციას — ამდენი ხნის განმავლობაში საყვარელიც ვერ გაიჩინა.

სიგარეტის კვამლი ფანჯრის მინასა და ფარდას შუა ჩამოწვა. ნელას შიოდა, მაგრამ ადგილიდან ფეხი ვერ მოეცვალა, სამზარეულოს გახსენებაზეც კი გულს აზიდებდა. სადღა არ იდგა დაურეცხავი ჭურჭელი: ჭუჭყიანი თეფშები, ჭიქები, ქვაბი, შიგ ჩამხმარი საჭმლის ნარჩენებით; ლამბაქებზე გაღვრილ ყავაში სიგარეტის ნამწვები დაცურავდა და ეს ყოველივე იმას მოწმობდა, რომ სახელდახელოდ ფაცხაფუცხით ესადილათ. ალბერტი არსად ჩანდა. სახლში ისეთი სიჩუმე იდგა, გეგონებოდა ჩაკვდაო ყველაფერი, ზედა ოთახიდანაც კი არ ისმოდა ჩამიჩუმი.

ბიტენჰანი რომ ჩამოიარეს, ნელამ ავტობუსის ფანჯრიდან გამოიხედა, მაგრამ ალბერტის მანქანა ვერსად დაინახა. ვილის ლურსმნები მოეგდო ტუჩებშუა, ხელში ჩაქუჩი ეჭირა და ფეხბურთის კართან მიმდგარი ლურსმანს აქედებდა ძელში. სარეცხი ალბათ გაშრა უკვე და თოკიდანაც ჩამოეხსნათ: „ბრერის თვალწარმტაცი ხეობიდან“ კვლავინდებურად ქროდა სიო, ჭიშკართან ლუდის ბოთლებიანი მწვანე ყუთები ეწყო, ხოლო ალბერტის დედა, ეტყობა, ის წუთი იყო, ყასაბის შეგირდს გაუსწორდა: ბიჭს მოწითალო ფერის შაშხი ჩამოართვა, გაუღიმა და სახეგაბრწყინებულ ბიჭსაც შუბლზე ეწერა, ფეხის ქირა უხვად მომცესო.

ავტობუსს გზაზეც არსად შემოხვედრია ალბერტის ნაცრისფერი „მერსედესი“ და საფოსტო საყვირის ყვიტყვიტით ავტობუსი ხალისიანად მიადგა ქალაქის შემოგარენს...

...გარდასულ დღეთა ექო ნელას ისევ ჩაესმა ყურში, სადღაც სულ ახლოს გაიგონა ბუტბუტი: „...იურერი, ...ალხი, ...ამშობლო, — კვლავ ახმიადა თავ-

მოკვეთილი ტყუილი, თავის დროზე წყევლასავით რომ დაატყდა თავს; მას აქეთ თითქოსდა ათასი წელი გასულიყო და ის რამდენიმე თაობა, რამდენიმე კერპებს რომ ეთაყვანებოდა, რა ხანია, მიწამ შექამა. მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა სამად-სამ დამახინჯებულ სიტყვას;

ადამიანები ამ სამად-სამი სიტყვის გულისათვის დახრცხრცხრცხვდნენ, გათელეს, დახვრიტეს, გაზის საკნებში გამოახრჩვეს.

ნადოლტეების სახლიდან დაცარიელებულ ხეივანში ღეროების ახალი წყება გამოლაგდა: ხუთი ერთნაირი ღერო, ხუთივე ქათქათა; ხუთივე წერწერტა — საზეიმო პროცესიის არიერგარდი. ამ სათადარიგო მოთამაშებებმა ეკლესიას შემოუარეს, ქუჩა გადაჭრეს და პარკის შესასვლელში გაუჩინარდნენ.

კაცმა რომ თქვას, ხანდახან პატერ ვილიბროდსაც სიამოვნებით ესტუმრები; გულს დაგიამებს მისი მშვიდი, შთაგონებული ხმის გაგონება, ძველისძველ სიზმრებთან რომ დაგავანებს ხელად. შურბიგელი რომ შურბიგელია, ზოგჯერ ისიც დაგამშვიდებს; ვინმე თავაზიანი დალაქისა არ იყოს, არც თბილ კომპრესს დაგიგვიანებს, არც სახის მასაჟს დაგზარდება, ერთი სიტყვით, ნეტარებას არ მოგაკლებს, გულს გამოგიკეთებს. ასეა თუ ისე, ეს ამბავი გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე იმ მონაზონთა მონოტონური გალობის მოსმენა, ჯვარცმული ქრისტეს ხატს რომ არ აშორებენ თვალს. მონაზვნები მარადიულ ლოცვებს აღავლენენ და სხვა საზრუნავი არაფერი აქვთ: ამქვეყნიურ ყველა წერილმან საქმეს ხომ ალბერტი მოაგვარებს, ალბერტი იტვირთებს; შემოსავალ-გასავალსაც ის შეამოწმებს, ხარჯებსაც დაიანგარიშებს, მადლიერი მონაზვნები კი ალბერტს სამონაზვნო ყავითა და სამონაზვნო ნამცხვრებით მასპინძლობენ, დღესასწაულებზე გულის ამაჩუყებელ ნობათებს უგზავნიან: მაგალითად, მონასტრის ეზოში დაკრეფილ ყვავილებს, აღდგომაზე — წითელ კვერცხებს, შობაზე — ანისის ნამცხვარს, თვითონ კი ლოცულობენ და ლოცულობენ. სამლოცველოში უღიმღამო, მოქაშული სინათლე იღვრება და ცისფერ ფარდებზეც სარკმლის ცხაურის მრუმე ანაჩრდილი გაწოლილა.

ბევრს კი ეცადა, მაგრამ ნელამ მაინც ვერ დაირწმუნა თავი, რომ პატერ ვილიბროდთან საუბარი სიამოვნებას ანიჭებდა, ხოლო იმის გაფიქრებამ, ალბათ ისევ მომიწევსო შურბიგელის მოსმენა, ნელას გული აუშლვრია. სალონის სურნელოვანი ბინდბუნდი ერთბაშად გაიცრიცა და გაჩახახახებულ მჭლე შუქზე გეზელერის პროფილი ამოიკვეთა. ეს მონიტელიგენტო ვაჟბატონები მზა კოსტუმებივით ყველანი ერთ თარგზე არიან გამოჭრილნი; კოსტუმი თუ დაიცინცხვა, ჯანდაბას, ახალს შეიძენ! აი თურმე როგორები ყოფილან მკვლელები! ვინა თქვა, შეგეშინდება, ისეთი საზარელი შესახედი არიანო?! კოშმარულ სიზმრებში ეს ვაჟბატონები არასოდეს გამოგეცხადებიან, თუმცა, ვერც იმას იტყვი, რიგიანი ფილმისათვის გამოდგებიანო. ეს ხალხი უხეირო სარეკლამო ფილმებისთვისაა ზედგამოჭრილი, სადაც განათებაც არაფრად ვარგა და გმირებსაც, მანქანის საჭესთან მიმჯდარ ამ ხვითოებს, შუქს პირდაპირ სახეში მიანათებენ ხოლმე.

ნელას ისევ მოესმა ექო. გაყალბებულმა სიტყვებმა მშვიდობიანად ვერ გამოაღწია სამლოცველოს. კედლებმა თავწაცლილი სიტყვები გამოაგდეს გარეთ, ხოლო საწყისი ბგერები, „ფ“, „ხ“ და „ს“ ასოები, იქვე დაიტოვეს, როგორც ტყუილის საზღაური.

დაცარიელებულ ხეივანში ვილაც ქერათმიანი ბიჭუნა გამოჩნდა; წითელ

ველოსიპედს ზიგზაგებით ატარებდა ხეებს შორის, ხოლო ნაღობტეების სახ-
ლიდან აღარავინ წამოსულა; ეტყობა, ამოიწურა ღეროების მარაგი.

კარზე დააკაკუნეს და ნელაც შეკრთა უნებლიეთ დაიძახა:
— მობრძანდით!

უჩინებელი

კარის სიოში ბრეზგოტეს სახე გამოჩნდა და ნელაც შემოსწევ მოხვდა, რაც
მოხდებოდა მალე; ოდესღაც შერბრუდერის სახეზე აღბეჭდილი სიკვდილის
დალი, ახლა ამ სახესაც აღბეჭდვოდა. ნელამ გაუღიმა და ეს ღიმილი თვალდა-
თვალ უკანვე გამოასხივა ბრეზგოტემ.

— მობრძანდით, მობრძანდით! — გაიმეორე ნელამ.

— ბრეზგოტე გახლავართ, — გააცნო თავი შემოსულმა. — ალბერტს
ველოდებოდი ბაღში.

ნელას ანაზღად გაახსენდა, რომ ეს კაცი უკვე ენახა სადღაც.

— მე მგონი, ერთმანეთს ვიცნობთ, ასე არაა?

— დიახ, ვიცნობთ. ამ ზაფხულს გავიცანი, ქალაქგარეთ.

ბრეზგოტე ნელასკენ წამოვიდა.

— ჰოო, დიახ, დიახ, — დაემოწმა ნელა.

ბრეზგოტე კიდევ უფრო მოუახლოვდა და სიკვდილის ის ანაბეჭდიც აშ-
კარად გამოეკვეთა სახეზე. ნელას ღიმილი, ეტყობა, კაკალ გულში მოხვდა.

— თქვენ ოლონდ მიბრძანეთ და, იმ გეზელერს აი, ამ ხელებით მივადრ-
ჩობ.

— მართლა?

— თუ გნებავთ, ახლავე მოვკლავ.

— როგორ გეკადრებათ, — დაამუნათა ნელამ, — რა საჭიროა?

მაინც რატომ დაიარებიან ხოლმე ეს თავზეხელაღებულები ასე, რატომ არ
იპარსავენ წვერს? ბრეზგოტეს ჯაგარივით წვერი ყელზე ჩხვლევდა ნელას.
სულაც არ უნდოდა გაეწირა ან გული მოეკლა მისთვის, მაგრამ, ცრემლი მაინც
ვერ შეიკავა. ბრეზგოტე ახლა უკვე უნიანად კოცნიდა და საწოლისაკენ მია-
ჩოჩილავდა. ნელამ უმწეოდ გაასავესავა ხელები, მოვეჭიდებო რამეს, და ანაზ-
ღად ვენტილატორის ღილაკს წაებოტინა. რეზინის ფრთები ტყაპატყუპით
დატრიალდა, ვენტილატორი აზუზუნდა და ამ ზუზუნში უცებ დაინთქა ბრეზ-
გოტეს უცნაური ოხვრა-სლუკუნე. „ისე ვჯიჯგილაობთ, — გაუელვა უცებ
ნელას, — გოგო-ბიჭები რომ იღლაბუცებენ მიტოვებულ გარაჟში; აკი ასე
ცდილობენ თავი დააღწიონ შიშსა და გულის შემძვრელ სევდას, არადა არა-
სოდეს იტყვიან, სიყვარული ჰქვიათ ამას“.

— თავი დამანებეთ, გთხოვთ! — აღმოხდა ნელას.

— კიდევ შევხვდებით ერთმანეთს? ნება მომეცით, გინახულოთ, —
ბრეზგოტეს ხმა გაებზარა, ლამის აქვითინებულიყო.

— კარგი, კარგი, ვნახოთ, ახლა კი წადით.

ნელამ თვალეზი დახუჭა, ყური მიუგდო ბრეზგოტეს ფეხის ხმას და ხე-
ლის ცეცებით მიაგნო ვენტილატორის ღილაკს, — გამოვრთავო, მაგრამ ჩა-
მოწოლილი სიჩუმე ვეღარ იგუა, და ვენტილატორი ისევ ჩართო. ბრეზგოტე-
სეული სუნი ლოყაზე მიეწევა თითქოს: კონიაკის, თამბაქოსა და ოფლის მომ-
ლაშო სუნი. ეს რას მოესწრო?! თურმე ქვრივთა ფაბრიკის წუნდებულ ნაწარმ-
საც შეუძლია გულისშემძვრელი სევდისაგან იხსნას ვინმე თავზე ხელაღებული
კაცი — აკი შეჰპირდა და სიტყვაც მისცა.

ჭუჩაში ალბერტის მანქანა გაჩერდა. ნელამ მარტინის ხმას მოჰკვია, ყური, მაგრამ ეს ხმა ეუცხოვა ახლა, მეტისმეტად მჭექარე მოეჩვენა.

მარტინი ალბერტის ოთახში შევიარდა, მერე ბოლდას სიცილი გაისმა: ნელამ ბრეზგოტესა და ალბერტის ხმებიც გაიგონა. წამით სიჩუმე ჩამოწვა და ნელას ყურს უცებ გარკვევით მოსწვდა ბრეზგოტეს ნათქვამი: „ნელა, ესე იგი, ფრაუ ბახი უკვე შინაა“, არადა ნელას ეჭვიც არ ეპარებოდა რომ ბრეზგოტეს დანახვისთანავე ალბერტი ისედაც მიხვდებოდა ამას.

მერე პინგ-პონგის ბურთები გასინჯეს: იატაკზე ახტუნავენდნენ და ოთახიდანაც წკრიალა რაკარუკი აღწევდა.

— პერანგები რომ გვრჩება?! — დაიძახა მარტინმა, — წიგნებიც ხომ უნდა წავილოთ?

— დაშოშმინდი, — უთხრა ალბერტმა, — მერე ჩამოგიტან ყველაფერს. ოთახიდან კვლავ მოიხმა ბურთების რაკარუკი, მერე კარზე მორიდებით დააკაკუნეს და ალბერტმაც ხმას აუწია:

— მოიცა, ხომ გითხარი, ნუ შეხვალ-მეთქი. აცალე გამოიძინოს, მოგვიანებით ჩამოგვაკითხავს.

— მართლა ჩამოვა?

— ჩამოვა, — უთხრა ალბერტმა. — აბა, რას იზამს?!

ცელულოიდის ბურთები, ეტყობა, ყუთში ჩაყარეს და ნელასაც ახლა ბურთების მიყრუებული რაკუნის ესმოდა, — წინ და უკან დაგორაობდნენ ყუთში. მერე ეს ხმა თანდათანობით მიწყდა, მაგრამ ბალიდან ისევ მოსწვდა მის ყურს: ცოტა ხნის შემდეგ კი ბრეზგოტემ ასე უთხრა ალბერტს:

— მაშასადამე, არაფერს მოიმოქმედებ?

— არაფერს, — უპასუხა ალბერტმა.

ძრავა ამუშავდა. ალბერტის მანქანა დაიძრა, მერე მანქანის ხმა თანდათანობით მიწყდა და სახლში სიჩუმე ჩამოწვა. ნელა მადლიერი იყო ალბერტის, შინ რომ აღარ გაჩერდა და არც მარტინი შემოუშვა მასთან. სამზარეულოდან ჭურჭლის უწყინარი ჩხარუნის მოესმა. ბოლდა, ეტყობა, ჭურჭელს რეცხავდა, თან საზიზღარი ხმით ლილინებდა: „...შენ ხარ ძე ღვთისა, მხსნელი სოფლისა...“

წყლის ჩხრიალ-ჩხრიალსა და ჭურჭლის ჩხარუნში ბოლდას ხმა ჩაიკარგა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაისმა:

— „...ამაღლდი დიდებით...“

გაჭრიალდა კარადის კარი, გაიჩხაკუნა სამზარეულოს საკლიტურმა და ბოლდაც ფრატუნ-ფრატუნით აუყვა კიბეს.

სახლში სიჩუმე ჩამოწვა და მხოლოდ ახლა, ამ ჩამოგუბებულ სიჩუმეში გაიგონა დედამისის ფეხის ხმა: იმ თავის ოთახში პატიმარვით დააბოტებდა. ანაზღად ყურში ისევ ჩაესმა ენტილატორის ნაზი ზუზუნის; ნელამ ენტილატორი გამორთო და უცებ მოეჩვენა, სიჩუმე ყელში ჩამაფრინდაო; გული ამოუჯდა და ცრემლიც ლაბალუპით წამოუვიდა.

თავი XX

საზაფხულო კაფეში დანიშნული პაემანი არ შედგა: ხაბაზთან გადაბარება იმდღესვე გადაწყვიტეს.

სატრანსპორტო კანტორიდან სატვირთო მანქანაც გამოიძახეს, მაგრამ თურმე სულ ტყუილად შეიწუხეს თავი: ფრაუ ბრილახის მთელი ავლადიდება კატას აეკიდებოდა და ძარის მეხუთედ ფართობზეც თავისუფლად დაეტია. ოთახში ვიდრე იდგა, ნაირ-ნაირი გადასაფარებლებითა და ფერადი ქალღღებით შელამაზებული ავეჯი თითქოსდა „არ იყო მაინც და მაინც“ მაგრამ ავეჯი რომ კიბეზე ჩამოზიდეს, მეზობლების ფხიზელ მზერას უკვე აღარაფერი გამოჰპარვია და ისინიც ეჭვის თვალთ უცქერდნენ ამ მოულოდნელ გადასახლებას.

სადარბაზოდან ჯერ მარგარინის დიდი ყუთი გამოიტანეს, სათამაშოებით პირთამდე ავსებული, მერე ჰაინრიხის საწოლი გამოასვენეს — ჯირკებზე დაჭედული ჩვეულებრივი კარი. საწოლზე ძველისძველი, ზღვის ბალახით დაჩურთული ლეიბი იდო, სამშვენისად კი საწოლის გვერდებს რაღაც ფარდის ჩამონატერი გასდევდა. ბოლოს მანქანაზე ორივე სკამი და ის მაგიდაც შეაგდეს, რომელსაც ჯერ გერტი, მერე კარლი, სულ ახლახან კი ლეო ჩამოაყრდნობდა ხოლმე თავის მკლავსა თუ იდაყვს. ტანსაცმლის კარადის მაგივრობას კაუჭებიანი ფიცარი უწევდათ, კედელსა და ბუფეტს შუა რომ იყო გაჭედული, ხოლო მტვრისა და წყლის შეფებისაგან ტანსაცმელს ფიცარზე ჩამოფარებული მუშამბის ნატერი იფარავდა. ერთადერთი ავეჯეული, რასაც ასე თუ ისე, შეეხედებოდა, პაწია ვილმას საწოლი იყო, ფრაუ ბორუსიაკის საჩუქარი — ბავშვი აღარ უჩნდებოდა ფრაუ ბორუსიაკს — და მეწამულისფრად შეღებილი ბუფეტი, ამ ორიოდე წლის წინათ რომ შეიძინეს. რადიომიმღები ლეოს ოთახში დარჩა, ოთახის კარი კი ლეოს გასაღებით ჰქონდა ჩაკეტილი.

რვა წელიწადი იცხოვრეს ამ ოთახში. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაალაგეს, ბევრჯერაც შეათეთრეს, შეალამაზეს, მაგრამ დაცარიელებული ოთახი ახლა ისეთი საცოდავი მოეჩვენა, ლამის გულზე შემოეყარა და უცებ თავზარი დაეცა: ოთახიდან გაზიდული და გარეთ გატანილი ავეჯი ხარახურას უფრო ჰყავდა, დიდი ხნის წინათ რომ უნდა გადაეყარათ. ხაბაზი იქვე იდგა და მითითებებს აძლევდა მუშებს, სიცილისაგან რომ ძლივსძლივობით იკავებდნენ თავს.

— ფრთხილად, — იყვირა უცებ ხაბაზმა, როცა ერთ-ერთმა მუშამ ჭურჭლიან ყუთს დასტაცა ხელი. იერი ისეთი ჰქონდა, იფიქრებდი, ეჭვები ულრღნისო გულს და შუბლზეც ეს ეწერა, ხომ არ შევცდი, ამოდენა ტვირთი რომ წამოვიკიდებო? ერთბაშად ორი ბავშვი დაისვა სახლში, მერედა „ამ ხარახურის შეტანა არ გინდა იმ კოპწია სახლში? სირცხვილით თავს ვერსად გამოჰყოფ.

ჰაინრიხს ვილმას დაშოშმინება დაავალეს. ბავშვი თავგადაკლული გაჰკიოდა, იმიტომ რომ ვილმაც კაცებმა ოთახიდან სათამაშოებიანი ყუთი გაიტანეს. მარცხენა ხელი ჰაინრიხმა ვილმას ჩასჭიდა, მარჯვენათი კი ჩანთაში ჩააწყო სახელმძღვანელოები, ლოცვანი, ტყავის საქალაღე, რვეულები და ფრთხილად ჩატია მთელი თავისი ავლა-დიდებაც: მამისგან დარჩენილი ბროშურა — „რა უნდა იცოდეს ავტოზეინკალმა შეგირდის ნორმაზე ჩაბარებისას“, მამის ფოტოსურათი და რამდენიმე ილუსტრირებული კომიქსი: „ფანტომი“, „ტარზანი“, „ტილ ულენშპიგელი“ და „ბლონდი“. ჰაინრიხმა იმ ქალის სურათიც ჩანთაში ჩადო, ოდესღაც რომ ორ ცენტნერს იწონიდა; სურათზე სახლია აღბეჭდილი, ქალის საპატივცემულოდ რომ „ელიზაბეტის ვილა“ დაერქვა, მოჩანს ქვალორღიანი მღვიმე, ზედა სართულის ფანჯრიდან ვილაც ჩიბუხიანი კაცო იცქირება, სახლის უკან კი ზვრებია გაწოლილი.

მართალია, გარეთ გამოტანილმა ავეჯმა და ბარგი-ბარხანამ, — ასე უცებ გამომზეურებულმა სილატაკემ — ჰაინრიხი კიდევაც შეძრა, მაგრამ არც იმის ცქერა იყო იოლი, თვალის დახამხამებაში რომ დატრიალდა თოახი, რძობოციოდე წუთში ყველაფერს მორჩნენ და გაშიშვლებულ კედლებზე აქა-იქ ახლა მართკუთხედები გამოიხეწა, სადაც ჭერაც არ გახუნებულიყო შპალერის მტვრის ნაცრისფერ ჩარჩოში ჩასმული და მუქი ყვითელი ფერის ეს მართკუთხედები იმ ადგილებს შემორჩა, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მამის ფოტოსურათი ეკიდა, — მისი პირველზიარების სამახსოვრო, ხოლო მოპირდაპირე მხარეს — ბუფეტი და ტანსაცმლის იმპროვიზებული კარადა იდგა. დედამ კუთხე-კუნჭულებიდან ნაგავი გამოხვეტა: მინის ნამსხვრევები მტვრის ბულულა ფთილები, ქალაღის ნაგლეჯები და კიდევ ჩაშავებული, ტურტლივით რაღაც, ღრიჭოებში რომ ჩამჯდარიყო. ხაბაზმა ეჭვის თვალით გახედა მუქ-ყვითელი ფერის შპალერს, გეგონებოდა, იმას ამოწმებს, უკანასკნელად როდის გადაწმინდესო. უცებ აზლუქუნდა დედა და აქანდაზიც იატაკზე მიაგდო. ხაბაზმა დედის დამშვიდება სცადა, ჯერ მხრებზე მოხვია ხელი, მერე კეფაზე მოუთათუნა, მაგრამ ისე უხერხულად ეფერებოდა, ეჭვი შეგეპარებოდა, მართლა თუ ეცოდებოდა. დედამ იატაკიდან აქანდაზი აიღო, მერე ცოცხს დაავლო ხელი, პატარა ვიღმა კი ისევ და ისევ გაჰკიოდა, — იმ თავის სათამაშოების ყუთს მისტიროდა, კარს მიღმა რომ გააუჩინარეს.

— ღეთის გულისათვის, — აღმოხდა ხაბაზს — დაბლა ჩაიყვანე და მაგისი ეტლიც წაიძღვანე.

ხაბაზი აფორიაქებული იყო, თავგზააზნეული, გეგონებოდა, მისივე თაოსნობით წამოწყებულმა ამ ნაუცბათევმა გადასახლებამ ახლა თავზარი დასცაო. ხუთის ნახევარზე ხაბაზმა ხელები დაუკოცნა ვიღმას, მერე იდაყვს ცოტა ზემოთ, მკლავზე ეამბორა, შვიდი საათისათვის კი ქალის მთელი ბარგი-ბარხანა უკვე მანქანაზე ეწყო; მუშები კაბინის საფეხურზე ჩამომსხდარიყვნენ, ხანგანოშვებით ამოიხედავდნენ და დასტვენდნენ ხოლმე, — დაუჩქარეთო.

ჰაინრიხს უცებ გაახსენდა, რომ დიდი ხნის წინათაც მოუწიათ ბინიდან ბინაზე გადაბარგება და მეხსიერებას ბუნდოვანი მოგონებები ამოჰყვა. იმ დღეს ციოდა, წვიმდა და მაშინაც საბავშვო ეტლი უნდა წაეღოთ სადღაც; ჰაინრიხს დედის ხელები დაუდგა თვალწინ, სახელდახელოდ რომ კრიდნენ პურს; სამხედრო მანქანები ტალახში იყო ამოთხვრილი, დედა კი პურს კრიდა, შემთხვევით რომ ჩაუვარდათ ხელში, გეგონებოდა, მანქანიდან გადმოუვარდაო ვიღაცას. ყველაზე ნათლად ჰაინრიხს ღია მწვანე ფერის საველე კარდალა ახსოვდა, სადღაც მშენებლობაზე რომ დაეკარგა გერტს, და ის უეცარი ელდა, როცა ამერიკული პურის დანახვაზე ლამის გული გადაუქანდა: თეთრი, ქალაღივით თეთრი იყო პური, შვიდი წელი, — უსასრულოდ დიდი დრო გავიდა მას მერე, რაც ამ ოთახში შემოსახლდნენ და ჰაინრიხი ახლა თვალდახუჭულიც კი მიაგნებდა იმ ადგილს, სადაც ხიჭვიანი იყო პარკეტი. ტილოს აქ ფრთხილად მოუსვამდნენ ხოლმე იატაკს, ხიჭვებს არ წამოედოს და არ დაიხესო. ლეოს მითითებით იატაკს მასტიკით აპრიალეზდნენ და ჰაინრიხმა ის ადგილებიც ზეპირად იცოდა, სადაც მოფამფალებულიყო პარკეტის ფილები და იატაკიც ჭამდა და ჭამდა მასტიკას, — რამდენიც არ უნდა წაგესვა, მაინც ღრიჭოებში იკარგებოდა, — მაგრამ სხვა ალაგას მასტიკა იოლად შერჩებოდა ხოლმე იატაკს და ერთი გადასმაც ჰყოფნიდა.

ჰაინრიხი მუქი ყვითელი ფერის ლაქას მიაშტერდა: ამ ადგილას ეკიდა მამის ფოტოსურათი.

— რაღას უდგახარ, წადი! — შეუყვარა ხაბაზმა.

ჰაინრიხი ოთახიდან გავიდა, ღერეფანში რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, მაგრამ მერე უკანვე დაბრუნდა და დედას უთხრა:

— რადიომიმღები არ დაგავიწყდეს. ჩვენი ფინჯანიც ყავადანიც იმასთანაა, კონსერვების გასახსნელი დანაც.

— არა, არა, — უბასუხა დედამ, — არ დამავიწყდება, — მაგრამ ჰაინრიხმა ხმაზე დაატყო, რომ რადიომიმღებს, ფინჯანს, ყავადანსა და კონსერვების გასახსნელ დანას აწი ლეო დაისაკუთრებდა, ისევე როგორც დედის ვარდისფერყვავილებიან შავ ხალათს, ლეოს ოთახში რომ ეკიდა ახლა.

ფრაუ ბორუსიაკი კიბეზე იდგა, თვალეებზე ცრემლი მოსვლოდა. ქალმა ჰაინრიხს აკოცა, გულზე მიიხუტა, მერე ვილმას მიეფერა და სლუკუნ-სლუკუნით თქვა:

— კარგი ბიჭი ხარ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

დურგალმა კი, — ისიც იქვე იდგა, — თავი ვააქნია და ჩაიბუზღუნა:

— ამაზეა ნათქვამი: ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო.

ოთახიდან უცებ დედის ყვირილი შემოესმათ:

— შენ აიტეხე ეს ამბავი, შენ და არა მე!

ხაბაზმა რაღაც ჩაიბურღღუნა პასუხად; ოთახის კარი დახურული იყო, — სიტყვებს ვერ გაარჩევდი, მაგრამ ხაბაზის ხმ ნათქვამს დამაჯერებლობა აკლდა.

მუშებმა ამასობაში ლამის იყო და სტვენით აიკლეს ქუჩა; ჰაინრიხი ფანჯარასთან მივიდა და ქვემოთ გადაიხედა. მანქანის ძარა ზემოდან ერთი რაღაც საზიზღარი ურჩხულის გაფატრულ მუცელს წააგავდა, რომელსაც თითქოს დუქნიანად გადაეყლაპა ვიღაც მეძველმანის ხარახურა: ბინძური ძონძები, ფეხებდაბრეცილი სკამები, ერთიმეორეზე ახორხოლებული ბარგი-ბარხანა, რომლის თავზე ჰაინრიხის საწოლი ეგდო. საწოლი ამობრუნებული იდო და ნაცრისფრად შეღებილ იმ კარსაც სააშკარაოზე გამოეტანა თავის წარმომავლობის საიდუმლო; ზემოდან გარკვევით მოჩანდა წარწერა: „ოთახი 547, საფინანსო განყოფილება“. ეს კარი და კიდევ ოთხი ცალი ჯირკი, — ერთ ზომაზე დაკრილი თავზე, გერტმა მოათრია საიდანღაც; გერტს ჩაქუჩიც მოეტანა, ლურსმნებიც და საწოლიც ხუთ წუთში გაუმზადა.

— ესეც ასე... ავ თვალს არ დაენახვება, — თქვა იმ დღეს გერტმა. დაწეჭი და ინებივრე გემოზე.

ჰაინრიხი ახალშექმდილ საწოლზე წამოწვა და ვიდრე ამ ნახევარი საათის წინათ საწოლს ქუჩაში გაიტანდნენ, სულ ასე ეგონა, მართლაც გემოზე ვნებივრობდიო.

მუშები კაბინის საფეხურზე ისხდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ, დროდადრო ამოიხედავდნენ და დაუსტვენდნენ ხოლმე.

— ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, — ასე თქვა დურგალმა, ჰაინრიხს კი ის სიტყვა გაახსენდა, ამ ორი კვირის უკან დედამ რომ მიახალა ხაბაზს, სწორედ ის სიტყვა ეწერა ხოლმე სადარბაზო კედელზე და ჰაინრიხს კიდევ ჩაეცინა იმის გაფიქრებაზე, ის სიტყვა და „თანაცხოვრება“ კაცმა რომ თქვას, ერთი და იგივეაო. დედა ოთახიდან გამოვიდა, ხელში აქანდაზი ეკავა, თვალეები ნამტირალევი ჰქონდა და სახეც ტალეებით დაფოთვლოდა; მუქი წითელი

ფერის ამ ტალებს, აქამდე რომ სხვა ვიღაცებისათვის შეუმჩნეველია, ჰაინრიხი პირველად ხედავდა დედის სახეზე და მუდამ საგულდაგულოდ დევარცხნილი სწორი შავი თმაც დედას აწეწვოდა თითქოს. მერე ოთახიდან ჩაბაზი გამოვიდა და დურგალს ამოუდგა გვერდში; წედანდელმა გაბრაზებამ უტყუარა და ისევ პირგაბადრული იდგა, სახეზე სათნოება მოჰფენოდა.

ჰაინრიხს, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევ ამისთანა პირგაბადრული და სათნო ადამიანების. ასეთი გულკეთილი და სათნო ხალხი სკოლის მასწავლებლებშიც გამოერჯოდა ხოლმე, მაგრამ იმათი ნდობა ხელს არ მოგცემდა. ისევ ის სჯობდა, შორს დაგეჭირა თავი: ხომ თაფლიკაცები იყვნენ ხოლმე, სამღურავეს ვერაფერს იტყოდნენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უსათუოდ აუშვებდნენ ბალანს და იმისთანა ცოფებს დაჰყრიდნენ, — თქვენი მოწონებული. ბოლოს თავგზა აებნეოდათ ხოლმე, აღარ იცოდნენ, კვლავ თაფლიკაცებად დარჩენილიყვნენ თუ ჯავრზე მოსულიყვნენ; აღარც იქით იყვნენ, აღარც აქეთ და იმ მსახიობებს ემგვანებოდნენ, სცენაზე რომ თავიანთი როლი დაავიწყდებოდათ.

— ჩადი დაბლა, შე ლაწირაკო, — იყვირა უცებ ხაბაზმა, — წაილე ეტლი და მომწყდი თავიდან!

— ნუ უყვირი ბავშვს, — ხმას აუწია დედამ მერე აზლუქუნდა და თავი ფრაუ ბორუსიაკის მკერდში ჩარგო. დურგალმა გვერდზე გაიყვანა ხაბაზი. დედამ კი ხმადაბლა დააყოლა:

— წადი, ჩემო კარგო, დაბლა ჩადი.

ჰაინრიხს ერიდებოდა დაბლა ჩასვლა, იმიტომ რომ ქვევით მეზობლებს მოეყარათ თავი. ბრეზგენებიც იქვე იდგნენ და ქუჩაში გამოზიდული ავეჯის თაობაზე ავყიობდნენ: რა ხვითოებიც ეგენი არიან, ქონებაც იმნაირი აბადიათო: რაც კაცია, ქუდიც ისა ჰხურავსო. ეს სიტყვები სათითაოდ აიტაცა ყველამ, ჯერ მერძევე ქალმა გაიმეორა, მერე ხანშიშესულმა პენსიონერმა, უწინ რომ შემნახველ სალაროში მუშაობდა შიკრიკად. ამ უკანასკნელმა ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, გეგონებოდა, განაჩენი გამოიტანათ. თითქმის ყველანი გარეთ გამოსულიყვნენ, ჩურჩულებდნენ, ჭორაობდნენ და ჰაინრიხსაც ესიკვდილებოდა იმათ თვალწინ ჩავლა. უწინ, როცა ჰაინრიხი შავ ბაზარზე ეგზავნებოდა მეზობლებს და რაღაცებს შოულობდა კიდევ, ეს კაცი სულ თვალებში შესცივინებდა ხოლმე, ახლა კი, კარლისა არ იყოს, იგი ზედაც აღარ უყურებდა დედას; არადა, მერძევე ქალი თვითონ იყო ამორალური ყოფაქცევის, ხოლო ბრეზგენებზე დურგალი ასე ამბობდა: ჯანდაბას მაგათი თავი, ეგენი ხომ ბინძური ღორები არიანო; აი დურგალს კი ნამდვილად დაეჭერებოდა, იმიტომ რომ მამასახლისი იყო და სახლში სუყველას კარგად იცნობდა. ეჰ, ახლა რომ მამა ყოფილიყო ცოცხალი, ჰაინრიხის თავს არავის დააჩაგვრინებდა, მოჰკიდებდა მკლავში ხელს და ერთად ჩაუყვებოდნენ კიბეს, ჩაუვლიდნენ მერძევს, პენსიონერს, იმ „ბინძურ ღორებს“... ჰაინრიხს ისე ცხადად წარმოუდგა მამა, თითქოს ცოცხალი ენახაო ოდესმე და თვალზე სიმწრის ცრემლი მოადგა.

— მართალია, — მოესმა პენსიონერის ხმა, — ძველ ხალხს უთქვამს და მართალიცაა: „რაც კაცია, ქუდიც ისა ჰხურავს“.

ჰაინრიხს დასანახად სძულდა ყველა ეს ხალხი, ღვარძლიანადაც ჩაეცინა, მაგრამ ღვარძლმა და სიძულვილმა მაინც ვერ დაუშრო ცრემლი და ჰაინრიხსაც გული აუჩვილდა; ფანჯრიდან ფეხი აღარ მოიცივალა, — არასდიდებით არ

დავენახვებით თვალცრემლიანი. მანქანის ძარაზე შეყრილი ხარახურა შეიყუჟა თითქოს, კიდევ უფრო დაუშნოვდა, ჩაბინძურდა. მანქანა მზის გულზე იდგა, იქვე გამვლელებს მოეყარათ თავი და ჰაინრიხიც გარკვევით ხედავდა ძონტებიან ყუთებზე შეგდებულ ნაცრისფერ კარსა და წარწერას: *კოლხეთის საფინანსო განყოფილება.*

მადლობა ღმერთს, ვიღმა მაინც მიჩუმდა, მაგრამ მუშები კვლავინდებურად დასტვენდნენ ხოლმე და სიგარეტის გადაგდებულ ნამწვსაც მიიპურკებდნენ.

უცებ მოეჩვენა, სამუდამოდ ვარო შეჩვენებული, სამუდამოდ აქ უნდა ვიდგეო ფანჯარასთან, — ზურგსუკან თვალცრემლიანი ქალები და მხდალი ხაბაზი მეგულბოდეს, ქვემოთ კი, ძარაზე, სილატაკის ამ გამოფატრულ ფაშვს ვუყურრო. ყელში ყიყვები მოაწვა, მაგრამ მაინც შეიკავა თავი და ცრემლი უკანვე ჩაიბრუნა; არსაიდან არ ჩანდა ხსნა, დრო თითქოს გაჩერდა და ჰაინრიხსაც ასე ეგონა, სამუდამოდ ვარო შეჩვენებული. ქვემოთ ის ბინძური ღორები ხრუტუნებდნენ რალაცას, მერძევე ქალთან არჩევდნენ საქმეს; ზურგსუკან დურგალი ელაპარაკებოდა ხაბაზს, ხმადაბლა ეუბნებოდა რალაცას და ჰაინრიხმაც ხმაზე დაატყო, დურგალი თავს აქნევსო. ანაზდად გარკვევით გაიგონა ვილაცის ნათქვამი: ამორალურია. მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს ჩატყდება ყინული; ჩატყდება და ჩატყდეს! — უკეთესიცაა!

უნებლიეთ შეკრთა, როცა ქუჩის ხმაურში მანქანის ნაცნობი სიგნალი გამოარჩია. ჰაინრიხმა ქვევით გადაიხედა და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: ეზოში ალბერტის ნაცრისფერმა „მერსედესმა“ შემოუხვია; ნათლად ხედავდა მანქანას, მაგრამ მაინც არ უჯერებდა თვალებს: არა, წყალი არ გაუვა, არსაიდან ჩანდა ხსნა და ჰაინრიხიც სამუდამოდ იყო განწირული, შეჩვენებული... ქვემოთ ბინძური ღორები იდგნენ, ზურგს უკან კი დედა ფლუკუნებდა და სახეც დაფოთვლილი ჰქონდა.

ქუჩაში მუშები აყაყანდნენ, მძლოლი კაბინაში ჩაჯდა და სულ მალე ყურისწამლები, უწყვეტი სიგნალი გაისმა: ეტყობა, საჭეზე ასანთის ღერით გაჭედა სასიგნალე ლილაკი და შეჩვენების ეს უწყვეტი სიგნალიც აქლრიალდა, ქვემოთ კი ბინძური ღორები ბითხითებდნენ.

ალბერტი უკვე კიბეზე ამორბოდა: ჰაინრიხმა ხელად იცნო მისი ფეხის ხმა, მერე კი მარტინის წკრიალა ხმა გაიგონა:

— ჰაინრიხ, ჰაინრიხ, რა ამბავია? რა ხდება?

მაგრამ ჰაინრიხი მაინც არ მოტრიალებულა და ვილმას ღონივრად ჩასჭიდა ხელი, მარტინის შესახვედრად რომ იქაჩებოდა და ხელიდან დასხლტომას ცდილობდა. ჰაინრიხი მაშინაც არ განძრეულა, როცა ალბერტმა მხარზე დაადო ხელი; ჯერაც ვერ დაეჯერებინა, რომ კიბეზე აღარ მოუწევდა მარტოკას ჩასვლა. ჰაინრიხმა ახლა უფრო იოლად შეიკავა ცრემლი, უცებ მოტრიალდა და ალბერტს რომ თვალი გაუსწორა, მაშინვე დარწმუნდა, ყველაფერს მიხვდაო; უსიტყვოდ და ულაპარაკოდ ასეთ რამეს ალბერტი თუ მიხვდებოდა მხოლოდ. ჰაინრიხმა ახლა მარტინს დაასო თვალი: მარტინი ფანჯრიდან იყურებოდა, ათვალეირებდა სააშკარაოზე ასე უეცრად გამოფენილ გაჭირვებას და ჰაინრიხს გაუკვირდა კიდევ, გაუკვირდა და გულზედაც მოეშვა, როცა შეატყო, მარტინი ვერაფერს მიხვდაო; მერე კი თავში მოუვიდა, რომ მარტინი ყრმა იყო ჯერ. ერთი იმათთაგანი, ვისზეც საღვთო წერილშია ნათქვამი: იქმენით ვითარცა ყრმა-

ნი. რა კარგი იყო მაინც, რომ მარტინში ვერაფერი გაივო, ალბერტი კი ყველაფერს მიხვდა!

ეგ კი იყო, მარტინი ლამისდა სიხტად დარჩა და ჰაინრიხსაც ასე ჰკიცხა:

— თქვენ რა, სხვაგან გადადიხართ?

— ხო, — უბასუხა ჰაინრიხმა, — ხაბაზის სახლში გადავსვამქვეთამეს იქ გავათევთ.

ახლა უკვე მარტინიც მიხვდა რაღაცას და ორთავეს იმავე წამს ის სიტყვა გაახსენდა, ჰაინრიხის დედას რომ მოახალა ხაბაზს. ბიჭებმა ზევით აიხედეს: ალბერტი ჯერ დედას გამოელაპარაკა, მერე ხაბაზს, ბოლოს ფრაუ ბორუსიაკსა და დურგალს მიუბრუნდა; უყურებდნენ სუსველის და სულაც არ გაკვირვებიათ, რომ ბრილახის დედას გული ამოუჯდა, ალბერტს მკერდზე მიადოთავი, მერე კი ხელმკლავი გამოსდო და მასთან ერთად დაუყვა კიბეს.

— წამოდი ახლა, — უთხრა ჰაინრიხმა, — დროა.

მარტინმა ზურგჩანთა გამოართვა, ჰაინრიხმა კი გილში აიტატა და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაუყვა კიბეს, ხოლო როცა მერძევე ქალს გაუსწორდა, თვალი თვალში გაუყარა, ჭიქურ მიაშტერდა მის დიდრონ, თაფლისფერ და დამცინავ თვალებს. ჰაინრიხმა ბრეზგენებსაც აჩედ-დახედა: ბინძური ღორები თავიანთი ბინის წინ შეჯგუფებულიყვნენ, უახროდ იცოხნებოდა ჩამრგვალებულ-ჩათქვირული ოთხივე სიფათი და მერძევე ქალის ზურგს უკან ჰაინრიხმა ანაზ-დად იმ კაცს შეავლო თვალი, ვისთანაც იგი თანაცხოვრობდა: ამ კაცს ჰუგო ერქვა და ამორალური დიასახლისის ზურგს ამოფარებულმა ჰუგომ სწორედ იმ წამს მოლოშნა ქარსალი და ხელშიც თევზის ბოლო შერჩა. ბინძურმა ღორებმა დაბარებულვიით დახარეს თავები, მერძევე ქალი კი უტიფრად უცქერდა ჰაინრიხს, ხოლო შემსილაროს ყოფილმა შიკრიკმა ასე უთხრა:

— რაო, ჰაინრიხ, დამშვიდობებაც აღარ გინდა ჩემთან?

ჰაინრიხს ზედაც არ შეუხედავს მისთვის; ფეხდაფეხ საზეიმო პროცესიის მონაწილენი მოსდევდნენ: ალბერტი დედას ელაპარაკებოდა რაღაცას და ორთავე იცინოდა თითქოს, მერე ფრაუ ბორუსიაკი მოდიოდა დურგალთან ერთად, სულ ბოლოში — ხაბაზი და მერძევე ქალმაც წაისისინა: „მთლად მეჭორწილვებივით არ არიან?!“ ჰუგომ კი, — ის იყო წლაპუნს მორჩა, — პირისაყენ ახალი თევზი გააქანა, წამით ოქროსფრად რომ გაიბზინა.

ჰაინრიხი უკვე ხედავდა სინათლის ჩახჩახა ზოლს, გარედან რომ შემოჭრილიყო ღია სადარბაზოში და უცებ ენიშნა, სხვაგან ვართ ფიქრებით: ჯერაც იქ იდგა, ფანჯარასთან; ქვემოთ ბინძურა ღორები ხრუტუნებდნენ რაღაცას, ზურგს უკან კი ქალაჩუნა ხაბაზი გამომდგარიყო და ჰაინრიხიც სამუდამოდ იყო განწირული, **შეჩვენებული**.

ის წამი, ფანჯრიდან როცა გადაიხედა და მანქანის ძარაზე შეყუყუული ხარახურა დაინახა, როცა იგრძნო, სამუდამოდ ვართ შეჩვენებული და თან უწყვეტი სიგნალი ჩაესმოდა, ის წამი ჰაინრიხს სამუდამოდ დაამახსოვრდება. მარტინმა ამასობაში ერთი-ორჯერ ჰკითხა კიდევ რაღაცა, მაგრამ ჰაინრიხს პასუხი არ გაუცია; ფიქრებით ისევ იქ იყო, ზევით, აი, ერთი რამ კი ჰაინრიხმა დარწმუნებით იცოდა: ალბერტი და მარტინი სწორედ იმას მიხვდნენ, რასაც ორთავენი უნდა მიმხვდარიყვნენ. ჰაინრიხი წამის იმ შეათასგდმა იხსნა, ალბერტს როცა ჩახედა თვალებში და როცა მარტინიც დროულად მიხვდა, რაში იყო საქმე.

— ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარ! — არ ეშვებოდა ~~პარტინი~~, — სულ იქ იცხოვრებთ?

— კი, — უპასუხა ჰაინრიხმა, — სულ იქ ვიცხოვრებთ. ~~ვერე ქუდავ, ყველა-~~
ფერი თან მიგვაქვს.

შინჯლიწყინება

მუშები დროდადრო ისევ დასტვენდნენ ხოლმე ქუჩაში, ხაბაზმა კი უეცრად თავი გამოიღო და რიხიანად დასჭექა:

— ჰოო, რა იყო, მოვდივართ, მოვდივართ!

— ჰაინრიხ, — მოესმა ზურგს უკან ალბერტის ხმა, — ეზოში გადი, შენ და ვილმა ჩვენთან ერთად წამოხვალთ ბიტენჰანში.

ჰაინრიხმა გაკვირვებით გამოხედა დედას, მაგრამ დედამ გაიღიმა მხოლოდ და ასე უთხრა:

— წადი, წადი, ასე აჯობებს, კვირა საღამოს კი ბატონი მუხოვი უკანვე ჩამოგიყვანს. ამასობაში დავლაგდებით, ყველაფერს თავ-თავის ადგილზე დაგახვედრებთ. აღარ ვიცი, — მიუბრუნდა იგი ალბერტს, — რანაირი მადლობა ვითხრათ.

ალბერტს არაფერი უპასუხნია, ეგ იყო, თავი დაუკრა და მზერაც უცნაური შეაგება, აი, დედის თვალებში კი უეცრად იმედის ნაპერწკალი აკიაფდა; დედა და ალბერტი თითქოს უსიტყვოდ მორიგდნენო, გეგონებოდა, ერთიმეორეს აღუთქვესო რაღაც და ეს უტყვი აღთქმაც სახეზე აღებეჭდა ორთავეს; სულ რაღაც წამით შეხედეს ერთმანეთს, მაგრამ ამ ერთმა წამმა თითქოს თვალები აუხილა და ორივეს ისეთი რამ მოუვიდა აზრად, გულშიაც რომ არასოდეს გაუვლიათ.

ალბერტმა დედას ხელი გაუწოდა, მერე დედამ ვილმა გადაკოცნა და ჰაინრიხიც ეზოში გაჰყვა ალბერტს. ნაცრისფერი მანქანის დანახვაზე ვილმამ ერთი ამბავი დააწია: უივილ-კივილით აიკლო ეზო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



თარგმანი ბივი ქნელაძე

სარდონს თორმეტი შვილი ჰყავდა —
თორმეტი ვეფხვი,
ცხოვრობდნენ ტკბილად,
ოსი კაცის წესით, ადათით...
თორმეტივენი მტერს შეაკვდნენ
ბრძოლაში ერთხელ, —
საიქიოში წაიმძღვარა
თითომ ათ-ათი!..

უფროსი შვილის ძვლებიდან
(ამბობს ლეგენდა)
სარდონმა ნაზად გამოთალა
ფანდირი თეთრი,
ხოლო უმცროსთა გულის ძარღვნი
ფანდირს ლარებად
გაუბა ფრთხილად და ახსენა
მაღალი ღმერთი!

დიღ-დიღობით ააკვნესებს
სარდონი ფანდირს,
მოხუცის ცრემლი დიდების ჰანგს
ალბობს და ალტობს...
ცხარე წვეთებად იღვენთება
სევდა და დარდი,
თორმეტი სიმი ერთად ტირის, —
თორმეტი სატრფო!..

უსმენენ ამ ჰანგს დღისით მზე და
ღამით ვარსკვლავნი,
მდინარე ლოდზე გარინდდება,
ფრინველნი — ხეზე!..
თან — ზეიმური სიმღერაა,
თან — გულსაკლავი,
სული სულს ეძებს!
ძმა ძმას ეძებს!
ფერი ფერს ეძებს!

ფეხზე დამდგარი უსმენს ამ ხმას
ნართების მოდგმა:
მოყვრის გულს ეს ხმა აიძვდებს,
მტრისას კი — ჰზარავს...
იმ თორმეტივეთ მამულისთვის
მოგკვდებით, პოდა,
ფანდირის ხმაში სული ჩვენი
იმღერებს ნამად!..

ვით მზეს — მოვარე და ვით
მოვარეს — მზე, —
კაცი კაცს შეცვლის,
მაგრამ ხასიათს არ შეიცვლის
ნართთა გმირები;
სულ იგიზგიზებს ჩაუქრობელ
კერათა ცეცხლით
საქმენი ჩვენნი —
საგმირონი, საფანდირენი!..

□



ფანტაზია გოეთეზე

1749 წლის 28 აგვისტოს, საათმა შუადღისა რომ დარეკა, ფრანკფურტელი ბიურგერის სახლში თვრამეტი წლის დედამ მძიმე ტკივილებით შვა ჩვილი, რომელიც ისე გალურჯებულიყო, მკვდრად შობილსა ჰგავდა. თითქოს არ ეწერა დღის სინათლის ხილვა, არ ეწერა ფეხის შედგმა იმ საწუთისოფლო გზაზე, ესოდენ გრძელი და შორი რომ უნდა ყოფილიყო თურმე, ია-ვარდით ფენილი, კურთხეულიც და მძიმეც, აღსავსე ადამიანური ვნებებით, შთამომავლობისათვის საშაგალითო და მისაბაძი, — არამედ, დედის მუცლიდან ახლად მოვლენილი, დედამიწას უნდა მიბარებოდა მაშინვე. კარგა ხანი გამოხდა, ვიდრე საწოლთან მდგარი ბებია შედონებულ მელოჯინეს გასძახებდა: „ელიზაბეთ, იგი ცოცხალია!“ ეს იყო სიხარულის ცხოველი გამოხატულება, ქალის გადაძახილი ქალისადმი, ოჯახური ამბავი და მეტი არაფერი. მაგრამ ეს გადაძახილი მთელ ქვეყანას, მთელ კაცობრიობას ეკუთვნოდა, და დღესაც, ორი საუკუნის შემდეგ, იგი ისევ საწვიმოდ ჭაისმის და გასძახის მომავალ თაობებს: ვიდრე ქვეყანაზე სიცოცხლე და სიყვარული იარსებებს, ვიდრე სიცოცხლეს თავისი თავი ეუყვარება და ტკბილმწარე პირ-ვარამომბეზრებული პირს არ იბრუნებს საკუთარი თავისაგან — იხშიანებს უდიდესი ხარების მაუწყებელი ეს ამოძახილი „იგი ცოცხალია!“

ადამის ძეს, რომელიც ასეთი გაჭირვებით, ღამის გაგუდული, მოევლინა ქვეყნიერებას დედის წიაღიდან, ბედის არნახული ოდრიკალი ელოდა; მას ეწერა თმენით აღსავსე მოწამებრივი ცხოვრება, ზრდისა და განახლების უმძლავრეს ძალთა გაშლა, ადამიანური მოვალეობის სრულად აღსრულება და არსობის ისეთი მწვერვალის მიღწევა, რომლის წინაშე თავს იბრადნენ მეუფენი და ხალხები, და რომლის ბუნებრივი წარმოშობა მან თვით — ერთგვარი

ზეიმური იერით — თავისი გამოკვლევის საგნადაც აქცია. ზაფხულის იმ შუადღიდან ოთხმოცდახამი წლის შემდეგ — ისტორიის რამდენმა ქარტახილმა გადაიქუხა ამ ხნის მანძილზე, რომლებიც მძლავრად შეეჭახნენ მის სულს: შვიდწლიანი ომი თუ ამერიკელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, საფრანგეთის რევოლუცია თუ ნაპოლეონის აღწევება და დაცემა, რომის წმინდა იმპერიის რღვევა, საუკუნის მოქცევა სამყაროს გარეგნული და ატმოსფერული გარდაქმნებით, ბიურგერული, მანქანური ერის დახაწყისი და ივლისის რევოლუცია — დგას ყოვლისმხილველი მხცოვანი, თოვლივით თმათეთრი და ქარმაგი, გუგების გარშემო ასაკის ღარებით, ჩიტისებურ იერს რომ ანიჭებენ მის ყავისფერ, ახლო-ახლო ჩამდგარ თვალებს — დგას თავისი თითქოსდა საგანგებოდ მოუმყუდროებელი სამუშაო ოთახის მაგიდასთან ვაიმარში, სახლში, რომელიც დიდი ხანია საყოველთაო თაყვანისცემის ადგილად ქცეულა, და სკლეროზულ ოცნებებში ჩაძირული, მაგრამ სრულიად ნათელი გონის პატრონი, უკანასკნელ წერილს წერს თავის ძველ მეგობარს, ენათმეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტს ბერლინში:

„უშაღლესი გენია არის ის, რომელიც ყოველივეს მიიღებს, ყოველივეს გაითავისებს, ისე, რომ თავის ძირითად და პრემარით დანიშნულებას, ხასიათს რომ ვეძახით, რაიმე ზიანს კი არ მიაყენებს, პირიქით, უფრო აღამაღლებს და უსაზღვროდ ზრდის მის შესაძლებლობებს... ადამიანის ორგანოები წვრთნის, სწავლის, ფიქრის, წარმატებასა თუ წარუმატებლობის, წახალისებისა და წინააღმდეგობის და ისევ და ისევ ფიქრის მეოხებით შეუცნობლად აერთიანებს თავისუფალი შემოქმედებითი მუშაობის პროცესში შეძენილსა და თანდაყოლილს, და წარმოქმნის მაღლიანობას, რომელსაც მსოფლიო

განცვიფრებაში მოხვავს. — თქვენი ერთგული ი. ვ. ფონ გოეთე“.

რა დიდებული გულუბნეულობაა, რა გულუბნეულო დიდებულება თვითდაკვირვებისა! ამაში არის რაღაც ბავშვურიცა და დეშონურიც, აღმაფრთოვანებელიცა და შემწარავიც. აქამდე ჩვიდმეტი წლით ადრე კი, დაგვიანებული, პოეტურად გამიზნული, ყოველ შემთხვევაში, პოეტურად ნაყოფიერი სიყვარულის ვნებით შეპყრობილი სრულიად ახალგაზრდა, ახლად-დაქორწინებული ქალის — „დასავლურ-აღმოსავლური დივანის ზუღეიკას პროტოტიპის — მარიაანა ფონ ვილემერის მიმართ (მაგრამ ეს მისი უკანასკნელი გატაცება არ გეგონოთ, იგი მხოლოდ სამოცდაათობმეტი წლის ასაკში ეწვია, როცა მისი უდიდებულესობა, საქსონიავაიმარის დიდი საჰერცოგოს უხუცესი სახელმწიფო მინისტრი და მსოფლიოში სახელგანთქმული პოეტი კიდევ ერთხელ უწინდებურად გაბრწყინდა მარიენბადის საცეკვაო დარბაზებში — არშიუობს, ენაწყლიანობს, ელაციცება ლამაზბანებს და სურს დაქორწინდეს არც მეტი — ცნაკლები — ჩვიდმეტი წლის გოგონაზე, მაგრამ აქედან არაფერი გამოდის, რადგან მისიანებმა ეს ამბავი შორს დაიჭირეს, და არც ნორჩ ასულს ჰქონია საამისოდ დიდი სურვილი, თუმცა აღარც შემდგომში გათხოვილა). — მაშ, სამოცდაექვსი წლის თავდავიწყებამდე შეყვარებული პოეტი, რომელსაც ოცნებანარევი სიყვარულით პასუხობს ქალი ამ რომანისადმი კეთილადგანწყობილი მთუღლის თვალწინ, ლექსად წარმოგვიდგენს თავისი არსებობის სურათს, და ეს სურათი ისევე სულისშემძვრელი და შთამბეჭდავია, როგორც გამოთქმა განცვიფრებაში მოსული მსოფლიოს შეხახებ. აი, ეს ლექსიც:

„მხოლოდ ეს გული რჩება ერთგული,
და ქაბუკური გზებით აღსავსე,
ნისლის მანდილით შემობურთული
ბობოქრობს ეტნი თოვლის საფარქვეშ.

აისის სხივის ათინათივით
შეფაკლავ ზვიად მწვერვალთა
კრებას,
და კიდევ ერთხელ იგრძნობს პატემი
მარტის სუნთქვას და აგვისტოს
ვსებას“.

ბობოქარი ეტნი პოეტური ჰიპერბოლიაა. რამდენადაც მას ვიცნობ, მისი გული არც ერთი ქალის მიმართ არ ამოფრქვეულა ბობოქარი ვულკანივით. იგი საერთოდ ვულკანურობის წინააღმდეგი იყო, მეცნიერულადაც კი. მაგრამ:

„ზვიად მწვერვალთა კრება“ — რა ძლიერი, რა მკვებარული, არამედ დინჯი და ქეშმარიტი გამოხატულებაა ამადლებული თვითშეგრძნებისა! რა ბედნიერებაა როცა უფლება გვაქვს თქვა საკუთარ თავზე — მე ვგავარ მძლიავრ, მაღალმწვერვალებიან ქედს, მოწიწების აღმშობელს. უკარებასა და მიუწვდომელს თავისი ზვიადი სიდიდით, მაგრამ ნაზად განათებულს აღფრხის შექით. რომელსაც კი არ აშინებს მკაცრი სიდიადე, არამედ შორცხვად ეამბორება, ასხივოსნებს — აისის სხივი!

არაგერმანელი მკითხველის საყურადღებოდ უნდა ითქვას: ლექსის სტრუქტურა შესატყვისებისათვის „აისის სხივი“ ჭვარედინ რითმას მოითხოვს, აღმოსავლური სახელი „პატემი“ კი, რომელიც თითქოსდა ატყუებს შინაგან სმენას, არ არის ის ფარულად აღთქმული რითმა, უნებურად რომ ამთავრებს ყური. უცაბედი მიგნებით გახარებული და შემკრთალი ერთსა და იმავე დროს, — ეს არის მისი ნამდვილი სახელი, გოეთე, ეს საოცარი, დღეს უკვე იშვიათი მოდგმა, მრავალი უძღური, უჩინო მატარებლის შემდეგ ასერიგად რომ გამოაბრწყინა გვიანმა შთამომავალმა, რომელიც დაჭილდოებული იყო თანდაყოლილისა და შეძენილის ურთიერთშერწყმის შეუადრებელი უნარით, რომელმაც ეს სახელი კაცობრიობის პალადიუმად, ბელოვუნების, სიბრძნის, განათლებისა და კულტურის მთელ სამყაროთა დასახელებად აქცია და თავისი განვითარების განვლილი გზით კეისრის სახელს გაუტოლა: სახელი, რომელშიც ჩრდილოურ-გოთურ (რადგან იგი, ჩანს, „გოთი“ დან უნდა მომდინარეობდეს) ბარბაროსულ ელერადობას ხალაშურივით ახშიანებს მუსიკალური უმლაუტი — აი, ამ სახელს უფაქიზესი გრძნობით ურითმავს მისი მატარებელი გრძნობადი სამყაროს უმშვენიერეს მოვლენას — აისის სხივს.

აქ საქმე გვაქვს დიდებულ ნარცისიზმთან, თვითჭვრეტასთან, რომელიც იმდენად ხერხიწულია და მთლიანად თვითსრულყოფისაკენ თანდაყოლილ შეხამლებლობათა უკიდურესი ზრდისა და გამაზვილებლისკენაა მიმართული, რომ უადგილო იქნებოდა ისეთი უზადრუკი სიტყვას გამოყენება, როგორიცაა „პატემი“ — უკარებასა და მიუწვდომელი „მე“-თი. მისი ქმნადობით მონიჭებული უდიდესი სიხარული, სწორედ ამ სიხარულს უნდა ვუმაღლოდეთ მსოფლიო

ლიტერატურის საუკეთესო, ყოველ შემთხვევაში, უკეთესადვე ავტობიოგრაფიულ რომანს „პოეზია და სინამდვილე ჩემი ცხოვრებიდან“, გამოუთქმელი მომნიშვნელოვანებით რომ გვეხატება გენიოსის ქმნილობაზე: ამაზე, თუ რა განუწყობდაა გადასავლელი ერთმანეთზე ბედნიერება და კეთილდღის ქმნა, როგორ იფურჩქნება უზენაესიდან ხელდასხმული პიროვნება. პიროვნება! გოეთე მას „მიწის შვილთა უდიდესი ბედნიერება“ უწოდა, მაგრამ რას ნიშნავს ეს, რა არის მისი არხი, მისი საიდუმლო, — საიდუმლო კი მას უთუოდ გაჩნია, — მასაც კი არ უთქვამს და არ განუმარტავს, რადგან, მიუხედავად უდიდესი სიყვარულისა მარტვე, სინამდვილის ზუსტად ამსახველი სიტყვისადმი, იგი თქვამდა, რომ ყოველივე არც იტყვის და არც განმარტება. ერთი რომელიც ცხადია: როცა ლაპარაკია „პიროვნების“ ცნებაზე, ჩვენ ვცალდებით წმინდა სულიერის, გონისმიერის „ანალიზის“ ხდერის და ვიჭრებით ბუნებრივის, ელემენტარულის, დემონურ სფეროში, რომელსაც „განცვიფრებაში მოხუცებს მხოლოდ“ და უფრო ზუსტ აზნა-განმარტებას აღარ ექვემდებარება.

შემოთხედვებში ვიღებთ ფონ მუშობლადტში, ძალზე გამჭვირავი გონების პატრონმა, გოეთეს გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ თქვა: „ყველაზე უცნაურია ის, რომ ამ ადამიანმა ყოველგვარი განზრახვის გარეშე, შეუცნობლად, მხოლოდ თავისი არსებობით მოახდინა ჩვენზე უდიდესი გავლენა. ამის მიზეზი, წერდა იგი, მისი, როგორც მოაზროვნისა და პოეტის სულიერ შემოქმედებაში კი არაა საძებარი, არამედ მის უდაოდ და განუმეორებელ პიროვნებაში ძევს“. აქედან აშკარაა, რომ „პიროვნება“ უბრალო სიტყვიერი გამოხატულება გნისათვის ჩაუწყვდომელი მოვლენისა, ამ გამოხატულებისა, რომლის სათავე ფიზიკურის სფეროში უნდა ვეძებოთ და არა ხულიერისაში. ეს უნდა იყოს უდიდესი ყურადღების აღმძვრელი, უდიდესი მიწოდულობის ძალის მქონე, განსაკუთრებული სასიცოცხლო უნარის შემოქმედება — მძლავრი, მაგრამ არა უბეში, არა მარტივი, სიმტკიცისა და შინაგანი სიხუსტისაგან უცნაურად ნაზავი უნარისა, რომლის ჩამოყალიბება წყვედადში მჭმელი ბუნების საიდუმლოებაა.

საუკუნეების მანძილზე გერმანელთა თაობიდან თაობაში გადადის ერთი მოდგმის სიხბული, გადადის შემთხვევით, შეუშინველად, ჩვეულებრივად, ისე, რომ დედა-ბუნება ამით რაიმე განსაკუთრებულ მიზანს არ ისახავს, მაგრამ ნაყოფი კი ერთთა: გენიოსი. „რადგან ერთბა-

შად ვერ შობს გვარტომი“, როგორც ამბობს პოეტი თავისი იფიგენიას პიჩით:

„რადგან ერთბაშად ვერ შობს გვარტომი ვერც გენიოსსა და ვერცა ურჩხულს: მხოლოდ მირვათ ქვეთულსა და ბორცტს მოპყვება ბუნულს... სინარულს, ან შეჩვენება მთელი ქვეყნისთვის“.

გენიოსი და ურჩხული, იგივე მტარვალი, — დაპირისპირებულია ამ ერთმანობაში იგი თანხარ ძალებს ხედავს. რამეთუ იცის, რომ ყოველ სიხარულში საშინელება თვლივს, ბოლო ყოველ გენიოსში — მტარვალი. პროზაულად კი იგივე აზრს ახე გამოთქვამს: „ესა თუ ის გვარტომი, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, ვიდრე საბოლოოდ გადაშენდებოდეს, წარმოშობს პიროვნებას. რომელიც მთელ თავის წინაპართა თვისებებს იკრებს. მათში აქამდე გაფანტულად არსებულ და მხოლოდ მინაშნებულ ყოველგვარ უნარს აერთიანებს და სჭულყოფს“. რა მკაცრი და თვალსაჩინოაა ჩამოყალიბებული ბუნების მეცნიერების ეს ცნობილი კანონი, რომლის აღმოჩენამდეც იგი თავისი ხაკუთარი მოდგმის განვითარების არც თუ ისე ნათელი გზის მაგალითმა მიიყვანა. როგორი იყო ეს გზა? რა პროცესებს მქონდა აქ ადგილი? ყოველივე ფარულად, შეუშინველად მიმდინარეობდა: გვარები ერთმანეთში ირვეიან; ერთმანეთზე ქორწინდებიან ხელოსნების, მჭედლებისა და ყახებების შთამომავლები. მეზობელი მამულიდან მოხული შეგირდი ჩვეულებისამებრ ოხტატის ქალს ირთავს, გრაფის ლაქიისა თუ თერძის ქალიშვილი ნაფიც მიწის მზომელზე ან ნასტუდენტორ მოურავზე იწერს ქვარს — აი: ქრელი ოინები მდორე ცხოვრებისა, რომელიც უცვლელად იმეორებს გზას დაბადებიდან გრდაცვალებამდე, არაფერს განსაკუთრებულს თავის შესვეურთ არ უქადის; მერე თანდათან იწყება ქონებისა და განათლების მოხვეჭა, ქალაქური ცხოვრების პატივის, პატრიცის წოდების მოპოვება, ბოლოს ერთერთი მამასახლისობასაც გამოჰკრავს ხელს. — ახე დაუნათესავდნენ ლინდჰაიმერები ტექსტორებს, სამხრეთ გერმანიიდან ფრანკფურტში გადმოსახლებულ გვარს; ეხენი კი — გოეთეებს, რომლებიც უფრო ჩრდილოეთიდან, ტესურიციის ტყესა და მარცხ შორის მდებარე მიდამოებიდან იყვნენ წარმოშობით.

ჩემის აზრით, სწორედ ლინდჰაიმერების სიხბული იყო საუკეთესო, უჩანსადესი და უბედნიერესი განმსაზღვრელი ელემენტი დიდი პოეტის პიროვნებაში, ლინდჰაიმერებისა, რომლებიც რომის საზღვრების მახლობლად სახ-

ლომენ, სადაც იდენტურობა ერთერთს შერწყმის ანტიკურ და ბარბაროსული საწყისები; ეს არის დიდების, ლინდჰაიმერის ქალის, შემდგომში ქალბატონ ტექსტორის, ერთი უბრალო, ჯანსაღი, შავგვრემანი, დაუდგარი დედაკაცის შემკვიდრეობა. სურათების მიხედვითაც სწორედ მიხვან გამოპყობია პორტს მალაღი შუბლი, თავის ფორმა, იტალიური თავლები, ხმელთაშუაზღვის ბინადართა კანის ფერი; აქედანვე მოსდგამს უძველეს, კლასიკური გემოვნებაც, სრულყოფილი ფორმისაკენ ზტოლვა, გონება-მამვიდლობა, ირონია და მომხიბვლელობა; თავისებური, — ხშირად კრიტიკული, ხშირად კი მკაცრი გაუცხოება გერმანული ხასიათის მიმართ, რომელსაც ამავე დროს ტლანქი, მითითურ-ხალხური საწყისის სახით, როგორც მანს საქსონა და ლუთერის შემკვიდრეობას, ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები მის არსებაში, იმდენად ღრმად, რომ შეიძლება ითქვას: გერმანული ხასიათის ასეთი ცივი და ქედმაღლური კრიტიკა არასოდეს არ ყოფილა უფრო მეტად გერმანული გონების ნაყოფი, ისტორიას არ ახსოვს უფრო მეტად გერმანული ანტიბარბაროსობა...

სხვა მხრივ კი, ეს მოდგმა, რომელსაც ფენომენის, ნახევრადღმერთის გაჩენა ეწერა, ბიოლოგიურად დიდად იმედისმომცემი არ ჩანდა. პორტის პაპა მამის მხრიდან, თერძი ფრიდრიხ გეორგ გოეთე, მოხუცებულობაში ჰქუაზე შეშლიდა. ორი ქორწინებიდან თერთმეტზე შვილი შეძენია, მაგრამ მათგან მხოლოდ სამი გადარჩენილა, დანარჩენები კი აღრეულ ასაკშივე დაღუპულან. უფროსი შვილი, სულით ავადმყოფი, ორმოცდასამი წლისა გარდაიცვალა. პორტის მამა, იოჰან კასპარი, თერთმეტიდან მეთექვსმეტე, საკმაოდ ხანდაზმული მშობლების ნაგვიანვეი შვილი იყო, და ეს ემჩინეოდა კიდევ, განათლებით იურისტი, რომელმაც „საინმპერიო მრჩევლის“ წოდება იყიდა, მეტად უხასიათო, აუტანელი, უმოქმედო კაცი იყო; ანგარებიანი და ძუნწი, ღჭუ პედანტი, ჰირვეული და უხიავი, რომელსაც უმნიშვნელო ორპირი ქარიც კი დიდი გაჭირვებით დამყარებულ წესრიგსა და მყუდროებას ურღვევდამან ცოლად შეირთო თავისზე ორჯერ უმცროსი, ჩვიდმეტი წლის ელიზაბეთი, მამასახლისის და ლინდჰაიმერის მხიარული ასული, და ვერ ვიტყვით, რომ ეს ქორწინება ქალისათვის ბედნიერი ყოფილიყო. რადგან საუკეთესო წლებში დამთხვეული ტირანის მოვლას შეეღია. მისი მამაც, იოჰან ვოლფგანგ ტექსტორი, ჩანს „მხიარული ბუნების“ კაცი ყოფილა, როგორც გოეთე უწოდებდა თავის დედას, ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდობაში მაინც: მოქვიფი,

ქალების მოყვარული, რომელიც არაერთ ვაფთრებულ ქმარს წაუხწრია დანაშაულზე; ამასთან, უცნაური შეხამებაა, მაგრამ — ნათელხილველი და წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოებული: სწავრაში კი (ოთხმოც წლამდე იცოცხლა) იმდენადვე დიწი, ხიტყვაძუნწი, მკაცრი და სერიოზული გამხდარა, რამდენადაც დაუდგარი იყო ახალგაზრდობაში. უკანასკნელი წლები გონებადასუსტებულმა სარეცელში გაატარა.

ელიზაბეთ გოეთემ ექვსჯერ მოიღოგინა, მაგრამ ოთხჯერ უღელური ჩვილი შვა დაბადებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ ისინი კვლავ მარადიულ წყვდიადს უბრუნდებოდნენ; მხოლოდ ვოლფგანგი და მისი ერთი და — კორნელია გადარჩნენ ამ საბედისწერო ზღვარს. კორნელია ძალზე უამური, შესაბრალისი, არაამქვეყნიური არსება იყო; კანის ნერვული დაავადებით გატანჯული, გრძნობაღარიბი, ქალურ მომხიბვლელობის მოკლებული, მისი ძმის აზრით, იღუმენიად უფრო გამოდგებოდა, ვიდრე გახატოვრად; თუმცა მაინც გათხოვდა, მაგრამ სულ მალე მშობიარობას გადაჰყვა, რომელსაც წინასწარი შეშით ელოდა. მხოლოდ ის ერთი, ვოლფგანგი გადარჩა; გადარჩა და შეიძლება ითქვას, ექვსევეს წილი სიცოცხლით იცხოვრა, თუმცა დროდადრო მასაც ლალატობდა ხასიციცხლო ძალები, რომლებმაც ასე უღროოდ მიატოვეს დანარჩენები და რომლებიც მან გასაოცარი მეტაფიზიკური ხიხარებით შეიწოვა.

მისი ერთ-ერთი შვილიშვილი, დანარჩენებით მხოლოდლა ლანდი რომ იყო აღამიანისა, მელანქოლიანარევი ირონიით იტყოდა ხოლმე თავის თავზე: „რას მერჩით? პაპაჩემი ბუმბერაზი იყო, მე კი ბემურაზი ვარ“. მაგრამ ეს ბუმბერაზი ძალზე სუსტი ჯანისა იყო. ჩანს, ათეული წლების მანძილზე მის ჯანმრთელობას ფარული ტუბერკულოზი ღრუნოდა, რადგან სტუდენტობისას, ლაიფციგში, სადაც ის თავდაუნოგავ ცხოვრებას ეწეოდა და ორჯერ — ერთხელ ხიამაყის გამო, მეორედ კი მხოლოდ სევდით შეპყრობილმა, სასიკვდილოდაც კი გაიმეტა თავი, — პირიდან ხისხლი წასკდა და ჯანგატენილი ჰაბუკი (სწავლაშიც თითქმის ხელმოცარული) მამისეულ ხანლს დაუბრუნდა, რითაც მშობლებს მოლოდინი გაუცრუა. ოთხმოცდაერთი წლის ასაკში კი, თავისი ავბედითი ძის სიკვდილის შემდეგ, კვლავ ძლიერი ხისხლის დენა აუტყდა ფილტვებიდან. დაუჭირებელია, მაგრამ მოხუცი, რომელსაც სისხლის გამოშვებით მკურნალობდნენ და ამის გამო ხუთი ფუნტი სისხლი დაკარგა, სასიკვდილო სარეცელიდან აღდგა, რათა თავდაუნოგავი შრომით,

„სულს ხაშტიკაციოთა და ნებახყოფათ“ აენაშ-
დაურებინა ის, რასა ძალაც უკვე თვით ღე-
დაბუნებას აღარ შეხწვდა და „ფაუსტის“ მა-
შინ დაუწერელი მეოთხე აქტი გაეხსულებინა.

გამოქანისთელებული ჭაბუკი, რომელიც
ხანგრძლივმა ავადმყოფობამ რამოდენიმეჯერ
სიკვდილის პირზე მოიყვანა, სწავლას ავრძე-
ლებს შტრასბურგში, სადაც საიდუმლოებით
მოცული ფანტასტიკური მეცნიერებებითა თუ
პოეზითა და ხელოვნებით გატაცებული, ხში-
რად წყდება თავის ძირითად სპეციალობას —
სამართალმცოდნეობას; შემდეგ კი ახალგაზრდა
„ლიცენციატი“ (ანუ „დოქტორი“) ვიცლარში,
ლანის პირად, ხაიმბერგის სასამართლო პალატა-
ში გადის პრაქტიკას (თუმცა სანამდვილეს
მთელ დროს ოცნებასა და სახიფათო თაფ-
ვადახაფლებს, უქნარობასა და საკუთარი თვალ-
საწიერის გაფართოებას ანდომებს). ჯერ დაუღ-
ვანებელი გენიოსის ასეთი დაუღვარბი, მჩქე-
ფარე ცხოვრება ზოგში უკმაყოფილების დი-
შაღს აწვევს, ზოგში კი აღტაცებას, მაგრამ
გამურჩევლად ანადირებს დიდება თუ პატარის,
მოჭყვისა თუ ახალგაზრდის გულს. გამოდის-
ანებელია მისა გადაპრანჭული ჩაცმულობა და
მანერები, აუტანელი თავდაქრებულობა და
ჭაბუკური თავშეუკავებლობა; აღტაცებას აწ-
ვევს მისი ეშის და ღაზითი, ხალასი ნიჭი, თით-
ქმის ფიზიკურად სავრძნობი, ელექტრული ზე-
მოქმედების მუხტი, ასე უხვად რომაა მასში,
გასაოცარი გულუბრყვალობა და გულგუთი-
ლობა ამ თავისთავადაც და სხვებისგანაც განე-
ხივრებულთ, მაგრამ სათნო ჭაბუკისა, რომე-
ლიც მხოლოდ საუკეთესო და უწმინდესი მიხწ-
რაფებებითაა აღსავსე.

მაღლე მომხიბლავი იყო იგი ამ დროს, ხავშ-
ვებისა და უბრალო ხაღის, ბუნების მეგობ-
ბარი, „ზღაღი და ბედურახავით შრატე“, რო-
გორც ბერდერი ახასიათებს, „ახალგაზრდა მე-
დიდური ღორღი, მამლაჟინწასავით რომ და-
ახიჭებს თავისი გამზდარი ფრებებით“ — ასე
გამოაყურებოდა იგი, როცა სიყვარულითა თუ
მხოლოდ სევდით შეპყრობილი, ღრმა მე-
ლანქლილიაში არ იყო ჩაძირული, როცა არ
ცდილობდა, ყოველდღე სულ უფრო და უფრო
ღრმად ჩაესო მახვილი მკერდში. „არ ვიცი
რით ვიზიდავ ადამიანებს“, — წერს თვითონ, —
„რატომ ვუყვარვარ ამდენს“. მაგრამ ჩანს, „მიმ-
წოდველობაში“ მართლაც უმაღლეს მწვერვალს
მიადრია მაშინ, როცა ოცდაექვსი წლის, უკვე
საყოველთაოდ ცნობილი დიდებული ხიმღერე-
ბის, „გოდ ფონ ბერლინინგენის“, „ვერტერის“
და ფაუსტის ბალადის რამდენიმე მომთაბლოებე-
ლი ნაწვევების ავტორი, ახლგაზრდა ბერცოგის
ფავორიტი, პირველად ჩავიდა ვაიმარში —

გავლით, როგორც თვითონ ეგონა, სანამდვი-
ლესი კი თურმე ხამუდამოდ იქ დახარჩუნად.
ვილანდო, ყრმა პრინცი ალმონდელი, უკვე
ორმოცდარი წლის კაცა, საყოველთაოდ აღ-
ტაცებას გამოხატავს, როცა ფრანკფურტელი
სტუმრის ჩამოსვლიდან, ხელეწიანდენიმე დღის
შემდეგ წერს: „ამდენივეს ჩვენს სულს იხე-
სავსე გოეთეთი, ვით ნამის წვეთი დილის
მზით“, და იგი ნოტბის ლექსს უძღვნის გოე-
ტეს: „თვალეზი, როგორც წყვილი ვიშერი“...

აღტაცების გამოშხატველ გრძნობათა ნაკა-
დის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მიწიდუ-
ლობის იმ ძალაზე, მის სულში მოგინგონე იმ
ცხოველყოფელ ალზე, ასეთი სიძლიერით
რომ აშუქებდა მისგან. მან უკან მოიტოვა კვი-
ცობისა და ბედურობის ხანა; უკვე კვრეტს
მეწაზე თავისი მოვლინების მთელ ხიმამებსა
და ხილრმებს და თავის ჭაბუკურ სიყვარულს
ემისთვინდა მიმართავს, რომ მასზე შეუყვარებუ-
ლი ახალგაზრდა ქედმაღალი ბატონი მისდა
უნებლიელ სიბეჭითის, საქველიხა და ბერიო-
ზული საქმეებისათვის წააქეზოს, რახაც წარმა-
ტებით ახერხებს კიდევ.

ვაიმარში გადახასლება, სახელმწიფო სამხა-
შტრში ჩადგომა, ან უფრო ზუსტად, პატარა
სახელმწიფოს მმართველობაში შესვლა უცხო
თვალისათვის თითქოს წმინდა შემთხვევითობა
იყო, მაგრამ შემთხვევითობა, რომელიც ცხოვ-
რების შინაგან კანონზომიერებას ექვემდება-
რებოდა, იმ ძალის ნებას, „უწინაეს წარმმარ-
თველ ძალას“ რომ უწოდებდა გოეთე, არასო-
დენ არ ყოფილა პოეტის ცხოვრება და შე-
მოქმედება უფრო მჭიდროდ გადაჭდობილი
ერთმანეთზე, უფრო განუყოფლად დაქვემ-
დებარებული ერთმანთს, ისე, რომ შემოქმე-
დება მთლიანად გამოცდილება, გაბახება, ლი-
რიული აღსარებაა, ცხოვრება კი შემოქმედო-
ბის ემსახურება, რომელიც თუმცა წინასწარ-
ჩასახული და წინასწარგანსაზღვრულია, მაგრამ
ცხოვრების ცვალებადობებზეა დამოკიდებული.
როცა მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი
წლების შუა პერიოდში გოეთემ მოგზაურობი-
სას ორი კეთილშობილი თანამგზავრის, მისი
თავჯანისმცემლების, გრაფ შტოლბერგების
მეშვეობით პრინცი კარლ აუგუსტი გაიცნო,
იგი დანიშნული იყო ლილი შონენშანზე, ფრანკ-
ფურტელი ბიურგერის მდიდარსა და მომხიბ-
ლავ ახულზე; არ ვიცი, სიყვარული იყო ეს
თუ გატაცება, მაგრამ ბედნიერა საქნრო სუ-
ლის ხილრმეში უბედურად გრძნობდა თავს,
რადგან, მისი აზრით, სისულელდეს ჩადიოდა,
რაც ზიანს მიაყენებდა მის შემოქმედებას; სინ-
დისი ქენჯინდა ბიურგერული ყოფისა და მშვი-
დი ოჯახური ცხოვრების მოლოდინში, სწორედ

ამ ხანდისმა უბიძგა გასაქცევად, როგორც არა-
ერახებელ უწინ. და შვეიცარიაში გამგზავრებაც
იმ ორ ანაღგაზრდა ენთუზიასტ აზნაურთან ერ-
თად. ასეთი გაქცევა გახლდათ. „თავისუფლება
უნდა მოვიპოვო“, — ჩასძახოდა შინაგანი ხმა
და ეს ძახილი ქალღმერთს გადაიტანა. მაგრამ
ეს შინაგანი ხმა, მას რომ ჩასძახოდა თუ მისი
პირით ვიძახოდა, მის საყვარელ გმირს ეკუთვ-
ნოდა, მისი საცოცხლისეული ქმნილების გმირს,
რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ მოუმწიფებელი,
გაბუკურა მომხიბვლელობით იყო აღსავსე, მო-
მავალში კი უდიდესი სულიერი ძვრები ელლოდა,
რომელმაც თვით პოეტი აქცია გმირად. ეს იყო
ფაუსტი, მას ცხოვრების შუაგულში შეჭრა,
ვრცელ სარბიელზე გაჭრა ხწყუროდა, და,
სხვათა შორის, პერცოგის კარზე მოხვედრაც
ეწადა. და აი, გოეთე პერცოგის კარზე სვდებოდა.

საქონია-ვაიმარის პერცოგი კარლ აუგუსტი,
როგორც მისი ბიოგრაფი ამბობს, ამ მოგზაუ-
რობაში ორჯონი შეყვარებული იყო თავის
საცოლზე, პეხენ დარშშტადტის მომხიბლავ
პრინცესა ლუიზაზე, და დოქტორ გოეთეზე.
როცა იხინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ფრანკ-
ფურტში, კარლ აუგუსტი უკვე საპერცოგოს
მმართველი და დაოჯახებული კაცი იყო. მან
ორივე მიიყვანა სახლში — საყვარელი ქალი
და რჩეული, რომელთან ერთადაც შემდეგ თავის
პატარა საბავარო ქალაქსა თუ სოფლებში და-
უსრულებელ ნადირობასა და სხვა ათახგვარ
მეფურ გასართობს ეძღვროდა; მაშინვე ნდობით,
უვლანაირი პატივითა და უფლებამოსილებით
აღჭურვა იგი, რაიც მისი ძველი, გამოცდილი
მრჩევლების აზრით სრულებით არ ეგებოდა ამ
გამოუცდელსა და დაუმსახურებელ, თვითნა-
ბად გენიოსს, ფრანკფურტიდან მოსულ ადვო-
კატსა და მეღვინეს.

კარლ აუგუსტი, ცხადია, სხვა აზრისა იყო.
„თავადაც დარწმუნდებით“, — წერს იგი თავის
გაბოროტებულ პირველ მინისტრს, ვინმე
ფრაჩს, რომელიც პროტესტს აცხადებს და
სამსახურიდან გადადგომით იმუქრება. „რომ
ასეთი ადამიანი ვერ გაუძლებდა სახელმწიფო
საბჭოს მექანიკური სამსახურის მოსაწყვენ კი-
ბებს, როცა გენიალურ ადამიანს ვერ გამოიყუ-
ნებ იქ, სადაც ის მთელი თავისი ნიჭის გაშლას
შეძლებს, ეს გენიის ბოროტად გამოყენებაა“.
ოცდაშვიდი წლის გოეთე მან ხაიდუმლო სამ-
ხედრო მრჩევლად დანიშნა, სახელმწიფო საბჭოში
გადაწყვეტი ნმის უფლება მიანიჭა და 1800
ტალერის ჯამაგირი უბოძა. ოცდაცამეტი წლისა
„ნამდვილ ხაიდუმლო მრჩევლად“, მინისტრად,
მის უდიდებულესობად აქცია და იმავე წელს
იბერატორის აზნაურის წოდებაც გამოსთხოვა
მისთვის, რასაც გოეთე დიდად არ აფუფრთო-

ვანებია. რადგან „ჩვენ, ფრანკფურტულ პატ-
რაციებს, აზნაურებზე ნაკლებად არ მიგვაჩნდა
თავიო“. საერთოდ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ
გოეთეს თავისი „ამაღლებს“ ფრაჩის მიერ
ოოსების ამაღლებას უკმაყოფილებს, საბავ-
კოდ და დაუჭერებლად ეჩვენებოდა. „არასოდეს
არ მინახავს ჩემზე მეტად თავდაჭერებული
ადამიანი“, — ამბობს იგი ერთ პატარა ავტო-
ბიოგრაფიულ ჩანაწერში. „და რაჟი მე ამას
ვამბობ, ესე იგი, ეს ჰეშმარიტებია. არასოდეს
არ მიფიქრია, რომ რაიმესთვის უნდა მიმეღწია,
ყოველთვის მიღწეულად მიმაჩნდა სწავლელი.
ჩემთვის რომ თავზე გვირგვინი დაედგათ, ჩვე-
ულებრივ ამბად ჩავთვლიდი... მაგრამ წინად
მქონდა ყოველი დაწეებული საქმის გასრულე-
ბა, რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო იგი, იმ პა-
ტივისა და ღირსების გამართლება, რაც ჯერ კი-
დევ არ დამემსახურებინა — აი, რითი განსხვავ-
დებოდი ნამდვილი შემოღილისაგან“.

პატივმოყვარე და მოწიმიე ადამიანი სხე არ
ილაპარაკებს საკუთარ თავზე. ეს სიტყვები ბე-
დისაგან განებივრებულ კაცს უფრო ეკუთვნის,
რომელსაც, მართალია, ბუნება წყალობს, მაგ-
რამ თვითონ სურს დაიმსახუროს თავისი წილი
ჩილდო. ერთ-ერთ სურათზე, რომელზეც იგი
უკვე საკმაოდ ხანდაზმულად გამოიყურება, ვი-
დაცას უთქვამს, ამ კაცს, ჩანს, ბევრი განუც-
დიარ. გოეთეს სიტყვებით კი უფრო სწორი
იქნებოდა ამ აზრის აქტიურ ფორმაში გამოთქ-
მა: „ამ კაცს თავი არ დაუზოგავს“.

მართლაც არ ზოგავდა ის თავს, რჩეული
მინისტრი და „მეორე კაცი სახელმწიფოში“,
როგორც ერთხელ აღბათ ოოსების მიწხვავსე-
ბით უწოდა თავის თავს — პერცოგის ბრძენი
მასწავლებელი და აღმზრდელი, ვაიმარის მთავ-
რობის სული და გული. ათი წლის მანძილზე,
რაც მისდამი უხაზდრო ნდობით გამსჭვალულმა
ბატონმა პაღატის პრეზიდენტმა მას ჩააბარა,
იგი პატარა სახელმწიფოს მმართველია, „ყოველი
საქმის სულისჩამდგმელი“, როგორც ვიდაცას
უთქვამს ხუმრობით თუ აღტაცებით; ამასობაში
კი მისი პოეტური დიდება თითქმის ჩაქრა და
თავადაც მთელი მონდომებით ახშობს საკუთარ
თავში უდიდეს ნიჭს, ბუნებრივ მოწოდებას. „ამ
უთვალავი შედრეგნებიდან და ჩანჩქერებიდან —
წერს იგი, — წყალი, რამდენადაც შესაძლებე-
ლი იყო, წისქვილებსა და ხარწყავებზე მივაგ-
დო“. წისქვილები, ხარწყავი არხები, მანუფაქ-
ტურების მოწყობა, რეკრუტთა გაწვევა, გზების
მშენებლობა, თავშესაფრები, მადაროები და
ქვის სამტებლოები, ფინანსები და კიდევ ათასი
რამ — იგი ნამდვილი თავგანწირვით ეძღვრა ამ
საქმიანობას და დროდადრო ასეთი დღეებში
შეუძახებს ხალხე თავს: „ფოლადიანობა“.

კიდე კლდისებრი გამძლეობა!" და მიიღწია კიდევ ზოგიერთ რამეს: ამ პატარა ფეოდალური სახელმწიფოს უბადრუკ შეურნეობაში თანდათან წუნრიგი და ყაჩაღობა მყარდება; საკუთარი თავის შესახებ კი დაასკვნის: „რამდენად უმჯობესი იქნებოდა ჩემთვის, რომ შორს ვიყო პოლიტიკური ელემენტების შეხლა-შემოხლისაგან და შემედლოს მთელი ჩემი არსება მცენიერებასა და ხელოვნებას მივუძღვნა, რისთვისაც ვარ გარენილი ამ ქვეყნად. ძლივს ჩამოვშორდი არისტოკრატებს, რათა მიწის იჯარა და ხაძოვრების ხაკითხები მომეგვარებინა. მე პირადი ცხოვრებისთვის ვარ დაბადებული და ვერ გამოვიგია, რა ხედუკულმართობით ამოვყავი თავი ხანელმწიფოს მმართველობაში, ხელმწიფოს კარზე“. საბოლოოდ კი ასეთი განაჩენი გამოაქვს: „ვინც მმართველობის საქმეებში გაუფრთხილ თავს — თუ თავად არ არის მმართველი — ის ან ფილისტერია, ან თაღლითი, ან შეშლილი“.

მასვე ეკუთვნის ეს შესანიშნავი გამოხატვა: „ხელ ერთია, მცენიერებაში გამოიჩენ გენიალობას, ომში, სახელმწიფოს მმართველობაში თუ ხიმღერების თხზვაში, მხოლოდ ისაა მთავარი, რომ აზრი, ნაკვეთი თუ ნამოქმედარი ცოცხლობდეს და შემდგომი სიცოცხლის ძალა შესწევდეს“. ეს აზრი მიმართულია გენიოსის იმ დროისათვის დამახასიათებელი ცალმხრივი გაგების წინააღმდეგ, რაც მხოლოდ ხელოვნების ქურუმობას გულისხმობდა; ეს არის ადამიანის სიტყვა, რომლისთვისაც მთლიანობაა მთავარი; სიტყვა ინტეგრალური ადამიანისა, რომელმაც იცის, რომ დიდი პოეტი უპირველეს ყოვლისა დიადია და მხოლოდ შემდეგ — პოეტი, და მაინც, აღმოჩნდა, რომ ყოველგვარი თავგანწირული ქმედების მიზანი განურჩეველი არ ყოფილა; რომ ერთი ხაგანი მეორეს ვერ შეცვლის, არ შეიძლება მათი გაიგივება; რომ სევდა და მოწყენილობა შეიპურებს მერანს, რომელიც წინაქვილის ბორბლის დატრიალებას შეეცდება. გოეთესაც სევდა მოეძალა, დაავადდა, აღარ ლაპარაკობდა, ჩამოხშა — და კიდევ ერთხელ გაიქცა, გაიქცა უკანმოუხედავად; ამ გაქცევისათვის მნიშვნელოვანი ბიძგი გამოდგა სერაფიმული, ძალისწამლები სიყვარული სეფექტალ შარლოტი ფონ შტაინისადმი. ეს იყო არც თუ ბოლომდე გასაგები და განსაღი, უცნაური და ექსტატიური, ნახევრადმისტერიული გატაცება, რომელმაც მთელ ათ წელიწადს გასტანა, ხოლო უფრო დიდხანს რომ გაგრძელებულიყო და გოეთეს გაქცევათ არ ეშველა თავისთვის, მასში უტყველად დაწარაღდებოდა ის საღი, ბუნებრივი საწყისი, ურომლისოდაც მის პოეზიას დასუსტება და დაძაბუნება ეწერა.

თუმცა ამ უცნაურ ტრფობას, რომელსაც, ჩანს, არ ეწერა ნამდვილ სახიყვარულო ურთიერთობაში გადაზრდა, არც მთლად უნაყოფოდ ჩაუვლია: ამ დროს შეიქმნა „რიჟიგენია“, „ტასო“ და მაინც, როცა იგი ამბობს, რომ მისი იტალიაში ამ უცაბედი ~~ქვეყნის~~ გაქცევის უმთავრესი მიზანი ~~ქვეყნის~~ შორალური ტკივილებისაგან განკურნება იყო, რომლებიც მას გერმანიაში ტანჯავდა“, ჩვენ ამ ტკივილებს, ტანჯვასა და განკურნების წყურვილს უნებურად შარლოტეს სახელს ვუკავშირებთ, თუმცა თავად პოეტი გარკვეული მიზეზების გამო არაფერს ამბობს ამაზე.

და აი, იტალიაც. მთელი რივი წლის თავისუფლება კლასიკური ცის ქვეშ, სამხრეთელი ხალხის გარემოცვაში, ანტიკური სამყაროსა და დიადი ხელოვნების ქვრტით ტკბობა — ეს განცდები გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ვაიზარელი ბანოვანისადმი ტრადიციულ თაყვანისცემას შეეძლო მიენიჭებინა მისთვის. დღეს ძნელია მთელი საღრმით შევიგრძნოთ ამ განცდის არსი და რაობა. ბედნიერებით, გათავისუფლებით, განახლებით მინიჭებული ადტაცების გამოშხატვლი დაუსრულებელი ამოძახილები — „ის დღე, როცა რომის მიწაზე დავადგი ფეხი, ჩემი ხელახალი დაბადების, აღორძინების დღეა!“ „მეორე ახალგაზრდობა, ხელახალი სიკაბუკე, განახლებული ადამიანი, განახლებული ცხოვრება“, „თითქოს სისხლხორციანდ შევიცვალე“ „და ა. შ. — ასეთი ამოძახილებით მიმართავდა იგი მრავალ ადრესტს, მათ შორის გამოუმშვიდობებლად დატოვებულ შარლოტესაც, — კიდევ ვიშეორებ, დღეს გაგვიძნელებდა-მეთქი ბოლომდე ჩავწვდეთ ამ გარდაქმნისა და განახლების არსს. არც ლიტერატურის თეორეტიკოსებსა და გოეთეს მკვლევარებს გაეგებათ ამისა იმდენი, როგორც თავს გვაჩვენებენ. ჩანს, ყოველივე ამის მიღმა იდგა წინასწარგანზრახული, ნანატრი, სახიცოცხლოდ აუცილებელი გამთლიანება მისი პიროვნებისა, რისკენაც იგი მისწრაფოდა და რაც იტალიაში ჩასვლისთანავე პოვა; მასში არსებული თითქოსდა შეუთავსებელი ბუნებრივი და სულიერი, მცენიერული და მხატვრული, გონებრივი და წნეობრივი მონაცემების ურთიერთშერწყმა ერთ „ნათელ, ცოცხალ, ჰარმონიულ“ მთლიანობად, როგორც თავად ამბობდა. მთლიანობა, — აი, რაზე ფიქრობს განუწყვეტლივ, რა არ შორდება გონებიდან. „ბუნებებს ისტორია, ხელოვნება, წნეობა და სხვა და სხვა — ყოველივე განუყოფლადაა გადამდნარი ჩემს არსებაში... ვგრძნობ, როგორ ერთიანდება ჩემი ძალები“. შინაგან ძალ-

თა ეს გაერთიანება ანტიკურ სამყაროსთან ზი-
არების შედეგია, რომელსაც იგი ერთეულის
თვლით კი არ ვერცხვს. არამედ სწავლობს,
როგორც ბუნების დიდებულ ქმნილებას, რომ-
ლის მიმართ მისი დამოკიდებულება გაცილებ-
ით უფრო ძლიერია, ამავე დროს უფრო ამაღ-
ლებული და თან მარტივი, ვიდრე მისი გატაცე-
ბა კლასიკური, უფრო სწორად, კლასიციზტური
ბელოვანებით, რაც შარლოტესთან მეგობრობის
პერიოდში „იფიგენიასა“ და „ტასოში“ აღი-
ბეჭდა. ეს გატაცება იყო განათლების, მოთვი-
ნიერებულ გრძნობების, ზნეობრივი წვრთნის
ნაყოფი, ქალური მომხიბვლელობის გავლენა
და მთელი თავისი არსით წარმართობის, ბუ-
ნებრიობის უარყოფას წარმოადგენდა, მაშინ,
როცა იტალიაში უოფნის შედეგი სწორედ „ან-
ტიკისა“ და „ბუნების“ ცნებების ურთიერთ-
შერწყმა და გაერთიანება იყო. აქ, როგორც
მოგვიანებით ამბობს იგი, „დღემდე შებოჭი-
ლი და შევიწროებული შეილი ბუნებისა ხელ-
ფხვანსნილი, თავისუფლად იწყებს სუნთქვას“.
მისი შემოქმედებიდან ჩანს, თუ რა დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის წარმართულ
მიმატობასთან, სამხრეთის ხალხის ბუნებრივ
ცხოვრებასთან ზიარებას. სწორედ ამისი ნაყო-
ფია ბედნიერებისა და მთლიანობის განცდა.
„სხვათა შორის, — წერს იგი, — მე გავიცანი
ადაშიანები, რომელთა ბედნიერება საკუთარი
პიროვნების მთლიანობის შეგნებაშია... მეც
მსურს ასეთი ვიყო და უნდა მივადწიო კიდევ
ამას... ისეთ ცხოვრებას, როგორსაც ბოლო
წლებში ვეწეოდი, ნიკედიელი მიკობს“. თითქ-
მის დაუჭერებელია, რომ ამ სიტყვებს სწორედ
ფონ შტაინს სწერს, რომელსაც წინასწარ უნდა
ამოკეთება მათში მომავალი განხეთქილება. უო-
ფელი სიტყვა არსებითად ამ ქალისა და მისი
იდუალური ხეობის წინააღმდეგაა მიმართული.
„ჩემმა აღზრდობამ ისეთი ტვირთი შეიქმნა, რომ-
ელიც აუცილებელ ხიმშიმეს კანიკებს მას,
ელარ მაშინებს ის მოჩვენებანი, რომელთა ტყვე-
ობაში ასე ხშირად აღმოვჩნდებოდი ხოლმე“.
მაგრამ რას უპირისპირებს იგი მოჩვენებობის? —
სიმყარეს. „ვინც დაკვირვებული თვლით იხე-
დება გარშემო, მყარი უნდა გახდეს, უნდა
შეიგნოს სიმყარის ცნება, რაც აქამდე არასო-
დეს არ უოფილა მისთვის ესოდენ ცხოველმყო-
ფელი“. მყარი, წარმართული, კლასიკური, მია-
მიტური და „მთლიანია“ ახლა მისი წარმოდ-
გება სწავარულზეც, და ეს ნათლად ჩანს „რო-
მაულ ელემენტში“. „მწერას სურვილი მოს-
დევს და სურვილს მოაქვს ტკობა“. 1788 წელს
კეთილშობილმა ქალბატონმა შარლოტემ ეს
სტრაქონები დაბეჭდილი იხილა და გაოცებულმა
აღბათ შეცას აღაპყრო თვალეები.

კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც მნიშ-
ვნელოვანი წვლილი შეუძლია მისი პიროვნ-
ების ჩამოყალიბებასა და მოქმედებაში, ხმელ-
თაშუაზღვის სამყაროსთან შეგნება იყო, შეგნება
ამ არაგერმანულ, მჭრელ ქმნილებას სამყა-
როსთან, რამაც გამოავლინა მისი მოქმედე-
ნაზე, შეგნება ისტორიულ სიდიადესთან, დი-
დისაქენ მის ლტოლვას რომ პასუხობდა. უო-
ფელივე ეს ახლა მიახლოებით შეგვიძლია წარ-
მოვიდგინოთ, გამოვიცნოთ, აღვადგინოთ. უბე-
ველია, ეს ურბანისტული გენია, გაწვრთნილი
სულის ტატანი, ევროპელი გერმანელი, რომელ-
შიც მთელი მსოფლიო გამოკვეთილ გერმანულ
იერს ხედავდა. საკუთარი ერთი კი — ევრო-
პულს, საბოლოოდ სწორედ იტალიაში ჩამოყა-
ლიბდა.

და აი, რაც დაცხრა მისი წლის გოეთე ტუ-
რინგის პატარა ხარეზიდვციო ქალაქში ბრუნ-
დება, სადაც პერსუგის დაპირებით მალაღი
ჩინი მხოლოდ პატრებს და ღირსებას აღუთქვამს
მას, დავალებით კი თითქმის აღარაფერს აფე-
ლებს. გარდა თეატრისა და სასწავლო დაწესე-
ბელებათა საერთო ხელმძღვანელობისა, და
ამრავად, საშუალება ექნება, მთლიანად შე-
მოქმედებას მისცეს საფი, აწვიათი ადამიანი
იყო ეს „ფარაონი“, რომელიც თავისი მახვილი
თვლით, უტყუარი ქაღალთი და ფაქტში
გრძნობით შეუცდომლად ვერცხვდა მისი „იო-
სების“ გამორჩეულობას. — გერმანიის პერ-
სუგთა შორის ის თავად იყო გამორჩეული
და საუზრადღებო მოვლენა. მალზე საფულისხ-
მო დეტალია ისიც, რომ თუ გოეთე სამერცო-
გოს პალატისა ან ხაბტოს სხდომაზე დასწრებას
მოისურვებდა, თავად პერსუგისაგან ჰქონდა
მინიჭებული უფლება, მისი უდიდებულესობი-
სათვის განკუთვნილი ადგილი დაეკავებინა. არ
დაგავიწყდეთ, რომ მინისტრობის დროს გოეთემ
მას 600 ჯარისკაციდან 200 წაართვა!

იგი დიუბრუნდა პატარა ქალაქის დახვეწილ
თუ უხეშ, ვიწროშუბლიან, მანჭია, შეზღუდულ
ადაშიანებს; დაუბრუნდა გარდაქმნილი, სული-
ერად განმტკიცებული, სრულქმნილი, გამოც-
დილი და საკუთარ თავში დარწმუნებული, გუ-
ლში კი ერთგვარი დისტანციის გრძნობამ დაი-
ბუდა, რადგან ამიერიდან მარტოსულობისათვის
იყო განწირული. ველარავისთვის გადაუშლია
გული, ვერ გაუზიარებია ფიქრები. თანაქლა-
ქელთა თვალში ის ბანალურად თავდაპირილია,
უცნაურად გამოხატავს თავის აზრებს, მომა-
ბეზრებლად პრეტენზიულია და ძნელად გახა-
გება. ვეღარც ძველ მეგობრებთან პოულობს
საერთო ენას. ყველა გრძნობს მისგან მონაბერ
სიცივეს. ერთ-ერთი სტუმარიანობის შემდეგ,
რომლის დროსაც იგი დამახულობის გასაფანტავად

თავის ნახატებს აჩვენებდა მოსულთ, ვიღაცამ თქვა: „უველანი უხერხულად უგრძობდით თავს“ მისი სიკეთე შემწეალებლური გახდა, თვით კი თავშეკავებული და თავაწიანი. ასე ამბობს შაღური, რომელიც ვაიმარში გატარებული პირველი წამთრის მანძილზე გოეთეს შეუმჩნეველი დარჩა. „მას აქვს უნარი მიიწიდოს ადამიანები და დაავადოს ისინი თავისი დიდი თუ მცირე უურადლებით, თავად კი თავისუფლება შეინარჩუნოს. მისი არსებობა კეთილისმქმნელად მოქმედებს გარშემომყოფებზე, თუთ კი ღვთაებასავით არაფერს არ გახდის“. ეს სატყუები ეკუთვნის განაწყენებულ ადამიანს, რომლის ხედვა გამძაფრებულია.

აქვია შადამ ჰერდერიც, კაროლინა ჰერდერი, მუღლზე ცნობილი მოძღვრის, ხელოვნების ფილოსოფოსისა და ხალხური სიმღერების შემკრების, გოეთეს შტრასბურგელი მენტორისა, რომელიც მან ვაიმარში გენერალ-სუპერინტენდენტის თანამდებობაზე მოიწვია. კაროლინა ამბობს: „მას სრულებით აღარ აინტერესებს თავისი მეგობრები. ვაიმარში მას აღარაფერი დაარწმუნია“. „თუ კიდევ, მთელი ვაიმარის აწრის გამომხატველი აგოვე კაროლინას სიტყვები: „ნეტავ მის ქმნილებებში გრძობის ნატაშალი მაინც იყოს და ყოველ სიტყვაში ურცხვი თავაშვებულობა, ან, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე, უბოდიშო ქთანაღმობა არ გამოსჭვიოდეს“. რა მარჯვედ და ზუსტადაა ნათქვამი! პოეტი თავად სწერს თავის უწინდელ ეგერიას, ფრაუ ფონ შტაინს: „ყოველგვარი სათნოება უხვად მომეპოვება, მაგრამ თავად მე სათნოება მაკლდება“. ძნელია უფრო სხარტად და დამაფიქრებლად გამოხატო მდგომარეობა. იტალიასთან, ანტიკურ სამყაროსთან, ღიღ ხელოვნებასთან წიარებას იგი უფრო მგრძობობიარე არ გაუხდია მის საქციელში ქედმაღლობასთან ერთად რაღაც არაწნეობრივად გაჩნდა: დაუფარავი მგრძობებელობა, მგრძობებელობა ყოველგვარი ქრისტიანული სინდისის ქენჭის გარეშე, ქრისტიანული მორალისა და მისი საზოგადოებრივი ფორმებისადმი ქიუტი დაპირისპირება; წარმართული სასიათი, რის გამოც განსწავლულმა თანაქალაქელებმა — ისინი კი ყველანი განსწავლულები იყვნენ — საძაგელი მეტსახელი „პრიაპი“ შეარქვეს.

სწორედ ამ დროს იყო, პატარა მეყვავილე გოგონა რომ გაიხადა სატრფოდ; ძალზე სანდომიანი და სრულიად გაუნათლებელი, un bel pezzo di carne (ფერხორციანი ტურფა), სახელად ქრისტიანა ვულფიუსი. ამ ამბავმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა შარლოტე ფონ შტაინი — მტრვებული იფიგენია და პრინციცა

ესტე, ხოლო ჩინოსანთა და წნეობის დამცველთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ეს კავშირი, რომელიც მან მხოლოდ მრავალი წმინდა ნორმების უეში დარღვევა იყო, რაც წმინდა ნორმების უხეში დარღვევა იყო, რაც საზოგადოებამ ვერც გოეთესა და ვერც ქრისტიანას ბოლომდე ვერ ანატია. მათ რამდენიმე შვილი შეეძინათ, მაგრამ მხოლოდ ერთმა, აუგუსტმა მიადწრა მონიფულ ასაკამდე. თუმც ამით არც საკუთარი თავისა და არც მამამისისთვის ბედნიერება არ მოუტანია: ეს იყო ავბედიი, ლოთობასა და გარყვნილებას გადაყოლილი, საბრადობელი, დაბადებოთვე განწირული, თავშეუკავებელი, უგრძობი და ხუხტი ნებისყოფის ადამიანი.

მისი მშობლის გარეგნული იერი თანდათან იცვლებოდა, რაც ნათლად ჩანს სურათებიდან, ნახატებიდან, სილუეტებიდან და თანამედროვეთა აღწერიდან. თუ ახალგაზრდობაში აპოლონავით მოხდენილი იყო, ან უფრო ჰერმესს ჩამოგავდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ოდნავ მოკლე ფეხებს), ახალი ხაუკუნის დამაწყისში, რომელსაც მან ერთი სიცოცხლისოდენი გამოსტაცა, მისი სხეული დამძიმდა და მოუხეშავი გახდა, რაც უკვე იტალიაში დაიბეყო. მის ბუნებით სანდომიან სახეს ასაკთან ერთად სიმსუქნე მოეძალა და ლოყები დროდადრო ლაყურებივით ჩამოეკიდებოდა ხოლმე. მაგრამ მხცოვანობაში ისევ ჭაბუკური ელფერი დაუბრუნდა, ოღონდ ახლა უკვე აპოლონს ან ჰერმესს კი აღარ მოგავსებდათ, არამედ იუპიტერს — დიდებული, ნახევრად მეფური, ნახევრად მამობრივი იერით; როგორც გრილპარცერი ამბობს: შესანიშნავი თავი, მაღალი, ტინისებრ შებლზე ჩამოშლილი რხილი, ქერისეგ ზშირი თმა, რომელსაც ყოველდღე გულდასმით იხვევდა და ოდნავ აფრქვევდა პუდრს; ძლიერი, გიშერივით შავი, ცოცხალი აწრით განათებული თვალები, თუ მათი შუქი დაღლილობისაგან არ იყო ჩამქრალი; გემოვნებისანი, დახვეწილი ჩაცმულობა, ოდნავ ძველმოდური და თავშეკავებული. სამაგიეროდ, ასაკთან ერთად სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა ის კრძალულობა, ჭაბუკობაში ესოდენ დახვეწილობას რომ ანიჭებდა მის მიხვრა-მოხვრას. მისი დარბაისლური თავდაპირილობა ერთგვარ დაძაბულობას ქმნიდა ურთიერთობაში და ხშირად მასთან საუბარი არაფრით არ აღემატებოდა ჩვეულებრივ განათლებულ მინისტრთან საუბარს, რის გამოც ბევრი თაყვანისმცემელი, აღფრთოვანებული რომ მოიხწრაფოდა „ვერტერიის“ და „ვილჰელმ მაისტერის“ შემოქმედისაკენ, გაწბილებული და გამოფხიზლებული გაბრუნებულა უკან. მასში სულ უფრო

მეტო სიმკვეთრით იჩენს თავს შამის, იოჰან კას-
პარის შემკვიდრება: მისი ჩლუნგი, პედანტუ-
რი ბუნება და ახირებული წესრიგიანობა,
აკვიტებული კოდექსონერობა და გასაოცარი
მრავალმხრივობა. უეჭველია, გოეთე თავადაც
გრძნობდა ამ განმეორებას, თუმცა მასში ეს
თვისებები გაცილებით მაღალ საფეხურზე იდგა,
და ხიამოვნებით აკვირდებოდა საკუთარ თავში
მოხუცი შამის ბუნების აღორძინებას.

იმ დროს, ე. ი. სამოცდაათსა და ოთხმოც
წლებს შორის, ის უკვე დიდი ხანია მხოლოდ
„ვერტერისა“ და „ფაუსტის“ შემოქმედი კი
აღარ არის, არამედ თითქმის მითითურ ფიგურად,
ევროპული კულტურის უპირველეს წარმომად-
გენლად, ისტორიულ მოვლენად, თავისი დრო-
ის უდიდეს ფიქრთამპურობელად იქცა, რომ-
ლისკენაც უღრმესი მოწიწებითა და კრძალ-
ვით მოიხწრაფვიან თავიანთსმცემლები ევრო-
პის სხვადასხვა ქვეყნებიდან თუ ოკეანის გა-
დაღმადიან, ვინც სათვალეს ატარებდა, შესასვ-
ლელში ტოვებდა, რადგან უველამ იცოდა, რომ
დიდ პოეტს შინის ანარქული აღიზიანებდა,
ვისაც მოგზაურობაში ბევრი რამ ენახა და სათ-
ქმელიც ჰქონდა, გულდასმით მოუსმენდა: „მო-
თხინეთ, ამაზე შეჯერდეთ“, და უოველივებს
დაწვრილებით გამოიძვედა, ხურდა უველაფერი
შეეტყო, შეეწოვა და გაეთავისებინა ის ცოდ-
ნა, რასაც სხვები შემთხვევით ფლობდნენ. ის
ბოშ მართლაც საუბრეთესო ხალარო იყო უო-
ველგვარი ცოდნისა, თუკი ვინმე რაიმე ინტე-
რესს წარმოადგენდა მისთვის და მისი უნივერ-
სალიზმისათვის, სადილად მიიწვევდა, უხვად გა-
უმანპინძლდებოდა და თან უოველივებს წვრილად
გამოჰკითხავდა, ამის შემდეგ სტუმარს შეეძლო
დაეთვალაერებინა ძვირფასი კოდექსოები, რომ-
ლებითაც ასე მდიდარი იყო ფრაუნჰელანზე მდებ-
არე დიდი მერცხოვის ნაჩუქარი, გამოვნებით მო-
წყობილი სახლი, აქ უხვად ნახავდით გრავიურებს,
მედლებს, მინერალებს, ანტიკურ ფასეულობებს:
„მე მაქვს უველა პაპის მონეტა“, იტყოდა
ხოლმე მოხუცი, „მეთქუთმეტე საუკუნიდან
მოყოლებული დღემდე, ეს ხელოვნების ის-
ტორიისათვის მჭირდება, ვიცნობ უველა გრა-
ვიორს, დღემდე დაუძლეველია ბერძნული ქე-
დური ხელოვნების ის სიმადლე, რომელსაც მან
აღექსანდრემდე და მის დროს მიადწია“, ეს
მხოლოდ მცირე პროვინციაა ცოდნის იმ იმ-
პერიისა, რომელსაც იგი განაგებდა და რომ-
ლის ნიშნებს ხათუთად ინახავდა საქალაქდ-
ეში, ყუთებსა თუ ვიტრინებში.

ის იყო უველაზე ფართო გაქანებისა და
მრავალმხრივი ინტერესების დიდიტანტი ამ-
ქვეყნად, ყოველისმცოდნე მოყვარული, და
ინუნშიაც არ აგდებდა ხოლმე, როცა ვინმე

ეტკოდა, რომ ამ მრავალრიცხოვან გატაცე-
ბებს — ბუნებისმეტყველებით, რუსტოლოგით,
მინერალოგიით, გეოლოგიით, ანატომიითა და
სხვით, სახვით ხელოვნებაზე რომ აღარაფერი
ვთქვათ, მისი საკუთრივ გენიის — პოეზიის
დაზარალება შეიძლება მოჰყოლოდა. „რა იცით“,
ფიქრობდა ალბათ, „რომ პოეზიაც გატაცე-
ბაა, ხოლო საკუთრივი კი ხუთ სხვა რამ —
მთლიანობა?“ მან დაწერა „მოძღვრება ფერთა
შესახებ“, რომლის პირველივე მონახაზში მის-
მა მეგობარმა შეიღერმა „მეცნიერებისა და
ადამიანური აზროვნების საყოველთაო ისტორიის
მრავალი მნიშვნელოვანი პრინციპი“ აღმოაჩი-
ნა; მართლაც, ამ ნაწარმოების ისტორიული
ნაწილი, როგორც ავტორს ჰქონდა გამიზნული,
მეცნიერების უველა დარგის ისტორიის ბადა-
ლად, ევროპული აზროვნების ათასწლოვანი
გზის ამსახველ რომანად იქცა.

გაუგონარი აღიარება მას, ცხადია, უპირვე-
ლეს ყოვლისა, მისმა დიდებულმა პოეტურმა
შემოქმედებამ მოუტანა, მაგრამ ახვეე უეჭველია
„გატაცებებისა“ და მეცნიერული გამოკვლევების
მნიშვნელოვანი წვლილი მისთვის ბრძენკაცის,
განუსაზღვრელი მეუფის მაგიური სახელის მი-
ნიჭებაში, რაც არაერთ კორესპონდენციაში პო-
ულობდა გამოხატულებას. ფრანგები მას წერი-
ლებში „მონსენიორს“ უწოდებდნენ, ასე კი,
ჩვეულებრივ, უფლისწულებს მიმართავენ ხოლ-
მე. ერთი ინგლისელი წერდა: „მის უბრწყინვა-
ლესობას, თავად გოეთეს, ვაიმარში“. „ეს ალ-
ბათ იმისა ბრალია“, განმარტავდა მოხუცი, „რომ
მე ბშირად პოეტების თავადს მიწოდებენ“, რო-
ცა იგი გარდაიცვალა, გერმანელები — ისი-
ნიც კი, რომელთაც არაფერი არ წაეკითხათ მი-
სი — ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „გაიგეთ? გარ-
დაიცვალა დიდი გოეთე“, და ეს დაბლოებით
ასე ეღერდა: „გარდაიცვალა დიდი პანი“.

იგი ბშირად ამბობდა, ტალანტს „ხალი ფიზი-
კური ნიადაგი“ სჭირდებოდა და ალბათ საკუთარი
თავი ბყავდა მხედველობაში, მაგრამ იმ ადამი-
ანების „სუსტ კონსტიტუციასაც“ ახსენებდა
ხოლმე, რომელთაც უამრავი მნიშვნელოვანი
რამ შეუქმნიათ, რითაც სისუსტისა და გამძლე-
ობის იმ კავშირზე მიგვანიშნებდა, გენიის გან-
საკუთრებულთვისებას რომ შეადგენს, და კვლავ
საკუთარ თავს თუ გულისხმობდა, მართლაც,
მისი ჭანმრთელობა თითქმის მუდამ ხასწორზე
იყო, თუმცა სატკივარი უოველთვის ნათლად
არ იყო გამოხატული; რამდენიმეჯერ მძიმე და-
ავადებას სიკვდილის პირზეც მიუყვანია, ორ-
მოცდათორმეტი წლის ასაკში წითელი ქარი
შეხვდა, რომელსაც საშინელი კრუნჩხვა-ხველა
ახლდა და კარგა ხანს ნერვული აშლილობაც
დაუტოვა; ოთხი წლის შემდეგ — „გულმკერ-

დის ციება" (თუ ტუბერკულოზი?) ისევ კრუნ-
ჩხვებით, რომ აღარაფერი ვთქვათ სახსრების
ტეხვასა და კენჭის შეტევებზე. რის გამოც ბო-
ჭემიის წყლებზე მოუხდა წასვლა. 1888 წლის
შემოდგომაზე კი, ხამოცდათოთხმეტი წლის ასაკ-
ში, თითქმის საბოლოოდ უმტყუნეს ძალე-
ბმა — მთლიანად საკუთარ თავში ჩაიკეტა. ეს
იყო რვაქცია მარცხენადად აღმადგინის შემ-
დეგ, ხრეწარულთან გამოთხოვება, და თუმცა
ავადმყოფობა ვერ დაადგინეს, თავისი მოქმე-
დებით იგი ლამის მომაკვდიინებელი გამოდგა.

მოკლედ, ძალზე საბიფათო მეგობრობა აკავ-
შირებდა მას სიცოცხლესთან, მაგრამ არ ებუფ-
ბოდა, უყვარდა ამ მეგობრობის თავის სასარ-
გებლოდ შემოტრიალება, თავი ძირმაგარ მი-
წის შვილად, ღრმად ფესვგადგმულ მუხად
წარმოედგინა და ხშირად ტრახახობდა კიდევ
თავისი დღეგრძელობით. ჯანმავარი კაცივით
ცხოვრობდა. პირის გემო და მადაც კარგი
შქონდა. განსაკუთრებით უყვარდა ნამცხვარი
და სხვა ნუგბარი, და დღეგრძელობით გაგებით
თითქმის აღკომოლივიც კი იყო: ყოველდღე, სა-
დიღ-ვახშმად თითო ბოთლ ღვინოს მიირთმევე-
და, საუზმეს კი რამდენიმე სირჩა ტკბილ სახ-
მელს დააყოლებდა ხოლმე. ეს მაშინ სრულიად
წამიერად ითვლებოდა. ხშირად ირონიულად
მოიხხენებდა მათ, ვისაც ნაადრევად დალა-
ტობდა სასიცოცხლო ძალები. ოთხმოცდაერთი
წლის ასაკში იგი ამბობს: „გარდაიცვალა წო-
მერინგი“ (ცნობილი გერმანელი ანატომი), „სულ
რადაც ხამოცდათხუთმეტი წლისა. რა საბრა-
ლონი არიან ადამიანები, რომლებსაც უფრო
მეტ ხანს ვერ გაუტანებიათ! აი, ჩემი მეგობარ-
ი ბენტამი კი ქების ღირსია“ (ინგლისელი
ეკონომისტი და უტილიტარისტი), „ეს უაღ-
რესად რადიკალური შეშლილი თავს მშვენივ-
რად გრძნობს, თუმცა ჩემზე რამდენიმე კვი-
რით უფროსია“.

ამ ხუმრობაში ჩანს გოეთეს ცხოვრებისეული
და ბუნებრივი არისტოკრატიზმი, რაც მისი
თვითშეგრძნების უმნიშვნელოვანეს ელემენტს
შეადგენს. აქედანვე მომდინარეობს ბენტამის
„რადიკალიზმის“ გაქილიკებაც, რაც მას სიგი-
ჟედ მიანიჭა. ერთხელ ერთმა მოსაუბრემ ასეთი
აზრი გამოთქვა მასთან: მისი უდიდებულესობა
რომ ინგლისში დაბადებულიყო, ისიც რადიკა-
ლი გახდებოდა და სახელმწიფო მმართველობაში
ყოველგვარი უფლების ბორცტად გამოყენებას
წინ აღუდგებოდაო. გოეთემ მეფესტოფელური
ნიშნისმოგებით უბახუხა: „ვინ გგონივართ მე?
მე აღმოვაჩენდი ბორცტად გამოყენების შემ-
თხვევებს და თან გამოვააშკარავებდი მათ? მე
ხომ ინგლისში თავად გამოვიყენებდი ბორცტად
ყოველგვარ უფლებას! ინგლისში რომ დავბა-

დებულიყავი, მდიდარი ჰერცოგი ვიქნებოდი.
ან ხულაც ეპისკოპოსი და სამი ათასი ფუნტი
წლიური შემოსავალი შექნებოდა“. მეორე
მოსაუბრემ კი შენიშნა, ხომ შეიძლება მას
„ლატარიაში“ უიღბლო ბილეთი შეხვედროდა,
რაც ასე უხვადაა ცხოვრებაში გოეთემ მიუგო:
„ყველა როდია, ჩემო კარგო, დიდი მოგებისა-
თვის ნაკურთხი. ნუთუ ისეთი უგუნური გგო-
ნივართ, რომ უიღბლო ბილეთი შემეძლო ამო-
მელო?“ ეს ბედთან შეთამამებული კაცის სიტყ-
ვებია, რომელიც გრძნობს საკუთარ უპირატე-
ხობას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ
იგი გერმანიაში თავის დაბადებასა და ცხოვრე-
ბას ბედის ხიძუნწედ მიიჩნევდა იმასთან შე-
დარებით, რაც მას ინგლისში მოელოდა, უმთავ-
რები კი ის შეტაფიზიკური რწმენაა, რომ იგი
ყველა შემთხვევაში სვებედნიერი იქნებოდა,
ყოველგვარ პირობებში — არისტოკრატი, ბედის
ნებიერი და დიდკაცი, ყოველთვის კარგად იგრ-
ძნობდა თავს ამ ქვეყნად, რომლის უკულმართო-
ბებზე წუწუნის მხოლოდ ხელმოცარულთა ხვედ-
რია.

ხშირად იშეირებდა ერთ გამოთქმას, რომე-
ლიც ლოგიკურად სრულიად გაუშართლებელია,
მაგრამ მის ბრძენ ბავთ უცილობელ ჭეშმარი-
ტებად მოსწყდებოდა ხოლმე: იგი ლაპარაკობ-
და თანდაყოლილ დამსახურებაზე. კი მაგრამ,
როგორ? ეს ხომ აშკარა შეუსაბამობაა? განა
შეიქლება დამსახურება თანდაყოლილი იყოს?
ის ხომ უნდა შეიძინო, მოიპოვო; თანდაყოლი-
ლი კი დამსახურებულად ვერ ჩაითვლება, თუ
ამ სიტყვას მის წნეობრივ საფუძველს არ გა-
მოვაცლით. იგი კი სწორედ ამისკენ მიისწრაფო-
და. ეს გამოთქმა ერთგვარი გალაშქრებაა მო-
რალურობის, ყოველგვარი ნების, ბრძოლის.
მიზანწრაფულობის წინააღმდეგ, რაც თავისთა-
ვად საქებარია, მაგრამ არა არისტოკრატიული
და, მისი აზრით, უბერსპექტივო „რადაც უნდა
იყო“, ამბობს ის, „რომ რაიმე შექმნა“. ე. ი.
დამსახურება (და დანაშაულიც) არსებობაშია და
არა მოქმედების ვითარებაში; შთავარია არა
აზრი, ნათქვამი ან ქმედება, არამედ არსებული,
სუბსტანცია. ასე რომ, შეიძლება სიმართლი-
სათვის იღწვოდდე, მაგრამ მაინც არ იყო მარ-
თალი, თუ საამისო თანდაყოლილი უფლება არ
გაგანჩია. აი, ულამაზესი სიტყვები, რომლებ-
შიც მან გამოხატა თავისი რწმენა ბუნებრივი
კეთილშობილების დანიშნულების შესახებ: „ვი-
ლაცამ მითხრა: „ფიქრი რომ ასე მწელი არ
იყოს!“ „საქმე კი იმაშია, რომ ვერავითარი ფიქრა
ფიქრში ვერ გვიშველის; ბუნებით უნდა ვი-
ყოთ ისე შექმნილი, რომ ღირებული აზრები
თავისთავად, დვთის შეიძლებივით გვეცხადებოდ-
ნენ და მოგვცაბოდნენ; აი, ჩვენ აქა ვართ!“.

ბუნება. იგი არაა მამის მემკვიდრე, თუმცა ნაწილობრივ, გარდაქმნილი სახით იმეორებს მის ხასიათს; იგი დედის შვილია, ფრაუ აიას შვილი, მისი მხარული ბუნების, დინდჰაიმერის ან უფრო ზუსტად, იგი დიდი დედის — დედა-ბუნების საყვარელი შვილია, მისი ნებეერაა, მისკენ მიიღტვის, მისი სწამს, მას უმადლის ყოველივეს. მიტომაც გაიზიარა, ჯერ კიდევ ყმაწვილმა, ესოდენი ხიზარულით სპინოზას ფილოსოფია და სიცოცხლის ბოლომდე ამ ბედნიერი შეხვედრის ერთგული დარჩა. იგი ყოველივე არსებულის სრულყოფილებიანა და აუცილებლობის იდეის მქადაგებელია; სამყარო ხაბოლოო მიზნებისა და მიზეზებისაგან თავისუფალი წარმოუდგენია, რომელშიც ბოროტსა და კეთილს არსებობის ერთნაირი უფლება აქვთ. „ჩვენ ვიბრძვით“, აცხადებს იგი, „ბელოვნების ქმნილების სრულყოფიანათვის — თავის თავში და თავისთვის. ისინი კი (მორალისტები) ხელოვნების გარეგან მოქმედებაზე ფიქრობენ, რაც ჭეშმარიტ შემოქმედს არც კი ახსოვს, ისევე, როგორც ბუნება არ ფიქრობს, როცა დომს ან კოლიბრის ქმნის. ე. ი. ხელოვნებისა და ბუნების ქმნილებისათვის მიზნის უქონლობა მისთვის უმადლესი მაქსიმია, და თავის პოეტურ ნიჭსაც „ბუნებად“ მიიჩნევს, ყოველად მოწყალებ დედის ხაჩუქრად, რომელიც ერთნაირად მოიცავს კეთილსა და ბოროტს, სწორედ აქაა ფესვები შესქიპირით მისი აღრეული აღტაცებისა. გავა დრო, და გოეთეს ნატურფილოსოფიური ესთეტიკა და ანტიმორალიზმი უდიდეს გავლენას მოახდენს ნიცშეზე, ამ ამორალურ ფილოსოფოსზე, რომელიც კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს წინ და აღტყინებული შეუდგება კეთილის წინაშე ბოროტის უპირატესობის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და წინსვლისათვის მისი უპირველესი მნიშვნელობის მტკიცებას.

გოეთესთან კი ყოველივე ჯერ კიდევ მშვიდი, ბედნიერ წონასწორობას ინარჩუნებს; ყოველივე ობიექტურად დ პლასტიკურ სახეებშია წარმოდგენილი. მაგრამ თუ ბუნების გაღმერთება — ეს სპინოზასეული პანთეიზმი — სათავეა მისი სიკეთის, მოთმინებისა და უდრტვიწველობის, მისი თანხმობის, მისი შემწყნარებლობისა, იგი სათავეა აგრეთვე მისი სიცოცხის, ენთუზიაზმისა და აღმაფრენის უნარის ნაკლებობის, რასაც მას ბევრი საყვედურობდა; სათავეა იდეებისა და აბსტრაქციისადმი მისი სიძულვილისა, რაც მას მომაკვდინებლად მიაჩნდა. „ზოგადი ცნებები და ზღვარგადასული პატივმოყვარეობა“, — ამბობს ის ერთ-ერთ ნაკვესში, „მუდამ უდიდესი ბოროტების საშიშროებას შეიცავს“. ეს არის დევიზი მისი მტრული დამოკიდებულებისა საფ-

რანგეთის რვოლუციისადმი, რომელიც მას უდიდეს ბოროტებად მიაჩნდა. არც ერთ მსოფლიო მოვლენას ასე მტანჯველად არ უმოქმედნია მასზე, და ეს თითქმის ტალანტალაც კი დაუჭდა, თუმცა თავისი სენსაციური ახალგაზრდული ნაწარმოებით, „ვერტერით“, შეუბრალებლად რომ ანგრევედა მწველი საზოგადოების საძირკველს და წინასწარმეტყველურად ებმალურებოდა მომავალს, თავად შეუწყო ხელი მის მომზადებას.

რევოლუციისთან მისი დამოკიდებულება საოცრად ჰგავს ერაზმ როტერდამელის დამოკიდებულებას რეფორმაციისადმი, რომლის გზის გასაკვაფად მან უზომოდ ბევრი რამ გააკეთა, შემდეგ კი მუშანისტური ზიზღით უარყო იგი. გოეთემ ეს ორი „ძალმომრეობა“ თავის ცნობილ ორპწიარედში ასე დაუკავშირა ერთმანეთს:

„ფრანგული სული, როგორც ერთ დროს ლუთერანული, ჩვენს მრუმე დროში განათლებას უკან ეწევა“.

მშვიდი განათლება — სწორედ ეს საყვარული, კვიტიზმი და ანტიფულკანიზმი აკავშირებდა მას როტერდამელთან, და ეს ორი პწიარი ნათლად მიგვანიშნებს, თუ როგორ მოიქცეოდა და რა პოზიციას დაიკავებდა იგი XVI საუკუნეში: წინ აღუდგებოდა პიროვნების ამბობს და ობიექტური ძალის, ეკლესიის მხარეზე დადგებოდა. და მაინც, აღბათ ისიც ერაზმივით უარს იტყოდა კარდინალის კვერთხზე, პაპმა რომ შესთავაზა დიდ სწავლულს და მან კი მოხერხებულად დაიძვრინა თავი, რადგან აღარც ძველთან სურდა ჰქონოდა რაიმე საერთო, რომლის მიმართ ხულის ხიდრმეში რწმენა დაქარგა, და არც ახალთან, რომელიც ძალზე არაადამიანურად ეჩვენებოდა. გოეთეს პოლიტიკური კონსერვატიზმიც არახაიმედო იყო; როცა 1784 წელს ვინმე ბარონ ფონ გაგერნმა გერმანელ ინტელიგენციას მოუწოდა, კალამი „კეთილის“, ე. ი. კონსერვატიზმის, უფრო ზუსტად, გერმანელი თავადების ახალი კავშირის სამსახურში ჩაეყენებინა, რათა ქვეყანა „ანარქიისაგან“ (დღეს იტყოდნენ: ბოლშევიზმისაგან) ეხსნა, კარლ აუგუსტის ფავორიტმა მის მიმართ გამოჩენილი ნდობიანათვის თავაზიანი მადლობის შემდეგ უპასუხა, რომ მას „შეუძლებლად მიაჩნია თავადებისა და მწერლების საერთო საქმიანათვის გაერთიანება“.

ზუსტად ასეთივე განზე გადგომა, ორივე მხარის მოთხოვნებისაგან თავის არიდება ახასიათებს ერაზმსაც. ძალზე საინტერესოა თავთავიანთი ეპოქების ამ ორი უდიდესი იდამიანის შედარება, დაკვირვება, თუ როგორი იყო

მათი დამოკიდებულება იმ დროის მიმართ, რომელიც ისინი ცხოვრობდნენ. თუმცა ეს შედარება „ქება სისულელისა“ მომხიბლავი ცანაწმის ხეარგებლად არ შეტყველებს. ახე, როგორც როტერდამელის ლიტერატურული დახვეწილობა, მისი მჭერმჭეტველურია, მაგრამ მჭლე გონებასაბვილობა ვერ შეედრება მისივე თანამედროვის—ლუთერის ძალასა და ნერვიას, ბავარიის მიწის მადლსა და უძლიერეს ხალხურობას. ახევე ვერ შეედრება იგი გოეთეს განსწავლულ პიროვნებას, რომელიც თავის თავში აერთიანებს გრაზსა და ლუთერს, ურბანისტულსა და ლემონურ საწყობებს; მისში გერმანულ-ხალხური და ხმელთაშუა ზღვის — ევროპული ხაწყობა სრულიად ბუნებრივ და ნათელ ხინთებს ქმნიან; ეს არის გერმანურისა და გოტიკურული, ილუმინისა და ავალ-ნილულის, უღრმესი განცდებისა და დახვეწილი სიტყვის, პოეტისა და მწერლის, ლირიკოსისა და ფსიქოლოგის არნახული ერთიანობა. მის არსებობაში არის რაღაც ხამაგალითო, რასთანაც გრაზმის დიდებულთა განსწავლულობა, მთელი მისი ნაწყობვალება ახლოსაც ვერ მივა; არის რაღაც სანიმუშო გერმანელებისათვის, რადგან იგი გერმანელობის იდეალს განასაზიერებს. და მე ეს დავძენდი: ადამიანობის იდეალსაც.

და მიიწვ. გველაზე დირსეულ თანამედროვეთა შორის იგი უკმაყოფილების მქარე გრძნობას იწვევდა თავისი „გაუგონარი დამამუხრუჭებელი ძალითა“ და, როგორც ხომარე აღნიშნავდა, ამოუტიკურობით. რითაც დროის უნთუჭუჭმის, ნაცონალურ-დემოკრატიულ იდეას უპარისპირდებოდა. იგი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების, მმართველობაში მანების ჩაბმის, დემოკრატიისა და კონსტიტუციის წინააღმდეგე იყო; სწამდა, რომ „გონიერება მხოლოდ უმცირესობის მხარეზეა“ და დამოუკიდებლად ანორცილებდა თავის გეგმებს ხალხისა და მონარქის წების გაუთვალისწინებლად. თუმცა ცალკეულად ადამიანის მიმართ გულთათლი გრძნობითაც იმსკვამებოდა ხოლმე და მისი დანახვა შედარსქოლდას უფანტავდა. მაგრამ ნაკლებად სწამდა კაცობრიობის, მისი რეფორმული განწყენდეს, მისი ნათელი მომავლისა: გონიერებასა და სამართლიანობის ჩანერგვა ადამიანისათვის შეუძლებელია. ისტორიის ხანწიანი ხან აქვთ გაჯაისრება, ხან იქით, და ბრძოლასა და ხისხლის დვრახს ხოლო არ მოედებო. და უკველივე ეს პენსიონატური ხეველით კი არ იყო ნათქვამი, არამედ ასე სწამდა ხულის ხიდრმეში, კაცობრიობა კი მისთვის უცხო იყო. პირიქით, იგი ძალიან, ბრძოლას მომხრეა. „ვიღრე ერთ-ერთი მხარის უპარატესობა არ გამოაშ-

ქარავლება“. ეს ძალიან წაიგავს ვაგნერის ვოტანის სიტყვებს: „ხალცი ქალები ბოხოქრობენ, ბმაშაღლა მოვუბმოხ ბრძოლისკენ“. იგი აღიარებს, რომ მისთვის „მოსაწყენია ყველასთან უშვილობიანი ერთობა“, რომ „რისხვა სწუროა“, ამ სურვილებს, ცხინს, მრისხანულ მშვიდობისმოყვარეობასა და არაფერს აქვთ ხერთო, ხამაგუროდ აშკარად უნდაურებიათ ლუთერისა და. ახე გასინჯეთ, ბისმარკის იდეებსაც კი. ზევრი რამ შეიძლება ითქვას მისი ბრძოლის უინის, „შეტაკებაში შეტრის“ წყურვილის შეხარბე; იგი მწადაა ძალით დაადუმოს, პირში ხურთი ჩახაროს მოწინააღმდეგეს და „ხანოგოდობისაგან მოკვეთოს ახეთი ადამიანები“. უკველივე აქედან კი, თუ თავს გამოვუტყდებით, ორიოდ ნახიქილა ხისახტკემდე, მისი რეალიზმი კი სწორედ სახტიკო იყო; იგი უარყოფდა მადალი იდეალებით აღფრთოვანებას; მისი გრძნობიერი ბუნება ვლების მამულის გაპარტახებას რეალობად აღიქვამდა, რაც თანგრძნობას აღძრავდა მისში, „მამულის დაღუბვა“ კი ხამადალ ფრაზად მიიჩნდა.

იმ პატრიოტიზმისათვის, რომელთაც ხურდათ გერმანია პოლიტიკური თავისუფლებისათვის საბრძოლველად აღეზარდათ, ყველაზე უარესი და სავალალო ის გარემოება იყო, რომ გოეთეს უცხოობელი სილიადე მის „დამამუხრუჭებელ“ შეხედულებებს ესოდენ დიდ ავტორიტეტულ წონას ანიჭებდა. გერმანიაში ხილიადეს ხშირად ანტიდემოკრატიული, მიმერ-თროპული ხანათი აქვს; აქ დიდ პიროვნებასა და ხალხს შორის ერთგვარი უფსკრული, თუნციშეს ხაყვარელ გამოთქმას მოვიშველიებთ, „დისტანციის პათოსი“ წარმოიშობა ხოლმე, რაც ხხვაგან ახეთი ხიმდაურით არ იგრძნობი — კერძოდ, ისეთ ქვეყნებში, ხალცი ხილიადე არ ქმნის ერთ მხრივ მონობას, ხოლო მეორე მხრივ — „მე“-ს გადაქარბებულ ახსოლუტინაციას. გოეთეს დიდ მხცოვანობას კი ბევრი რამ მქონდა ხერთო სწორედ ახეთ ახსოლუტინისა და პიროვნულ იმპერიალიზმთან; ეს მხცოვანობა მძიმე ტვირთად აწვა ყოველივეს, რაც მის სიახლოვეს ცოცხლობდა და ხუნტკავდა. და მისი გარდაცვალებისას მხოლოდ დიდებული პანის დამტირებელ ფერიათა გოდება კი არ გაისმოდა, არამედ აქა-იქ შვეების გამომხატველი ამოძახილებიც.

მისი აწრით, არათავისუფალი ადამიანები თავისუფლების დამცველებად ვერ გამოდგებიან, თავად კი უდიდეს თავისუფლებას ანიჭებდა თავს — უკვლისმომცველ, მოუხელოებელ, უსაზღვრო თავისუფლებას, მხგავსად პროთეოსისა, რომელიც ყოველნაირ ფორმას ღებულობს, ყოველივეს ცოდნის, ყოველივეს წვდომის, ყოვე-

ლივედ ქცევის წყურვილითა შეპყრობილი. Hic et ubique აქ და ყოველგან): რომანტიული და კლასიკური, გოთიკა და პალადიო, წმინდა გერმანული სული და პატრიოტულ-პოპულარული სულის ქედმაღლური უარყოფა, წარმართული და ქრისტიანული, პროტესტანტული და კათოლიკური, ძველი რეჟიმი და ამერიკანიზმი — ყველაფერს ნახავთ მასთან, ყველაფერია მასში განსხვავებული. მისთვის დამახასიათებელია ერთგვარი ხელმწიფური დაუნდობლობა, სიამოვნებას გვრის თავის მიმდევართა ბედის ანაზარად მიტოვება, ყოველნაირი მრინციპის დამცველთა განქიქება, თავად კი ერთ პრინციპსაც გაიტანს და მის საპირისპიროსაც. დიან, ეს ირონიის ბატონობას ჰგავს; ეს არის ერთი იდეის ხელაღებით უარყოფა მეორისათვის, უდიდესი ნიშილიზმი, ხელგონების (ისევე როგორც ბუნების) ობიექტივიზმი, რომლისთვისაც უცხოა მოვლენათა ურთიერთგამიჯვნა და შეფასება; ეს არის ბუნებრივი და სტიქიური ძალა, არავითარ განსაზღვრას რომ არ ექვემდებარება, ურწმუნობისა და უარყოფის ელემენტები, რაც მას, თუ მის თანამედროვეთ დაეჭვრებათ, წინააღმდეგობრივ აზრებს წარმოათქმევინებდა ხოლმე. ალბათ მართლაც ასე იყო, თორემ რამ ათქმევინა შარლოტე შილერს: „იგი არაფერს არ ემყარება“. ყველა, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია, აღნიშნავს მის გასაოცარ ინდიფერენტულობასა და წარმოუდგენელ ნეიტრალიზმს, მის გაავებულ ალოგიკურობას და დემონურ, ყოველივეს უარყოფელ სულს, ან, უფრო ზუსტად, მის წინააღმდეგობრიობას. მის უფლებასაც მხოლოდ საკუთარ თავს ანიჭებდა, სხვისგან კი ვერ ითმენდა. „თუკი ვინიმე აზრი უნდა მოვისმინო“, ბრძანებდა იგი, „ის დადებითად უნდა იყოს გამოთქმული; წინააღმდეგობრიობა კი თავადაც უხვად მომეპოვება“. ე. ი. მასთან ფრთხილად უნდა ყოფილიყავი და მკაფიოდ, არაორაზროვნად გამოგებატა შენი აზრი; თუმც იმ ვულში კი გაიფიქრებდა, როგორც ყოველთვის: „ნემო კარგებო, ნეტავ ასე ბრძევები არ იყოს!“ საშაგიეროდ, აღარ შემოგედავებოდა.

მაგრამ მისი ბუნების სიმდიდრე და უკიდურესობა, რასაც მხოლოდ შეზღუდული გონების შეძრწუნება ძალუძს, არ უნდა ვაფიციციოთ დემონურ ძალასთან, და იმით ვინუგეშოთ თავი, რომ იგი ტვინის ნაჭყლეტი წიგნი კი არ არის, არამედ ადამიანია მთელი თავისი წინააღმდეგობრიობით — დიდი ადამიანი მისთვის დამახასიათებელი დიადი, ყოველისმომცველი წინააღმდეგობრიობით. მას მოსწონდა საკუთრი თავის „პირწავარდნილ ანტიქრისტელ“ წოდება, არ მალავდა თავის ანტიკურ-ქედმაღლურ სიძულვილს

„ჯვრის“ მიმართ, და მართლაც, მის ბუნების-შვილობასა და ამქვეყნიურობაში ბევრი რამ არას არაქრისტიანული, რაც ნაცნობს თანაგრძნობის რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ პატეტიკურ დამფლეთებში უკიდურესობას აღწევს. მაგრამ ისევე, როგორც ნაცნობს თავგამეტებული შეტევა ქრისტიანული მორალის წინააღმდეგ არ ვულისხმობს ასკეტიზმის უარყოფას, არც გოეთეს უბადადებული წარმართობა არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მის აზროვნებას ეს უდიდესი რვეოლუცია, უფრო სწორად, მუტაცია განსაზღვრავს, რომლის მსგავსი არ ანხოვს ადამიანურ შეგნებასა და მსოფლშეგრძნებას. „ყოველ სატანჯველში რაღაც ღვთაებრივიც არის“, — ვინც ეს სიტყვება წარმოთქვა, ის ქრისტიანია, რაც არ უნდა ჭეშმარიტი იყოს აზრი, რომ თმენა და მორჩილება მისთვის უცხოა:

„თუ ალაპი მატლის ბედს მიშზადებდა, განა იგი მატლად არ გამაჩენდა?“
სრული ჭეშმარიტებაა.
„რას მოაქვს ვნება?
თმენას და მორჩილებას“.

ჩინებულია, იგი გადაჭრით ამტკიცებდა აგრეთვე, რომ ადამიანს ცხოვრებაში ეძლევა არჩევანი უროსა და გრდემლის ბედს შორის. ამასთან, დიდად აფასებდა გმირული მოთმინების უნარს და ერთ-ერთ საუბარში განაცხადა: „უროს ბედი რატომღაც ყველას უფრო სახახელოდ და სასურველად მიაჩნია, ვიდრე გრდემლისა, მაგრამ რა ძალა უნდა ჰქონდეს, რომ ამ გამუდმებულ, მონოტონურ დარტყმებს გაუძღოს!“ იგივე ხომ არ ითქმის „თვითუარყოფის“ შესახებ, რომელიც, რაც დრო გადის, მით უფრო მნიშვნელოვან თემად იქცევა მის შემოქმედებაში, ისევე როგორც შილერისათვის „თავისუფლება“, ხოლო ვაგნერისათვის „გამოსყიდვა“? ალბათ არავის არ მოუვა აზრად, თვითუარყოფა წარმართულ იდეად მიაჩნის და თუმც იგი არ არის პაციფისტი, თუმც ძალისა და ძლიერების უპირატესობის, ბრძოლის მომხრეა, მას კარგად ესმის, თუ რა არის ომი: „ომი ფაქტიურად ავადმყოფობაა, რომლის დროსაც ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად განკუთვნილი სასიცოცხლო ნექტარი მხოლოდ არაბუნებრივი ძალების გამოხაკვებად იხარჭება“.

მის ქრისტიანობას — მისი პიროვნების ბუნებრივ შემადგენელ ნაწილს, რამდენადაც იგი არ დაუჩრდილავს ანტიკურ მუშანიზმსა და გერმანულ ჭიუტობას, პროტესტანტული იერი დაჰკრავს. იგი პროტესტანტია კულტურის მიხედვით; და განა შესაძლებელია „ახალგაზრდა ვერტერის“ მსგავსი ნაწარმოების შექმნა

პიეტისტური თვითშემეცნების ხანგრძლივი სკოლის გაუვლელად? მისი ლუთერანობა ღრმა და ჭეშმარიტია, ეს არის ეროვნულ-პიროვნული ნათესაობა, მონათესავე სულის შეცნობა. ჭერ კიდევ ჭაბუკმა „ფაუსტში“ განასახიერა ბიბლიის მთარგმნელი და შემდგომშიც უდიდეს შეფასებას აძლევს ლუთერის მოღვაწეობას, რაც მან შემკვიდრებდად მიიღო, განაგრძო და სრულყო, და თან დასძენს: „მე მხოლოდ მისი ხინაზის უკეთ გადმოცემას თუ შევცდებოდი“. მაგრამ მისი პროტესტანტობა, ისევე როგორც ყოველივე, რასაც იგი განასახიერებს და რითაც ხუნთქავს, მთლად საიმედო არ არის: იგი ვერ ფარავს კათოლიციზმით აღფრთოვანებას, რაც იმდენად მისი ესთეტიკური უპირატესობით კი არ არის გამოწვეული, არამედ კათოლიკური ცნობრების დემოკრატიულ-თემური ძალით. „კათოლიკე უნდა გახდეს“, ამბობს ის, „რათა ადამიანთა ცნობრებას ეზიარო, გაერიო მათში. მათ დაემსგავსო, შეერთო ბაზარსა და ბრბოს. რა უბადრუკები და შარტოხულები ვართ ჩვენ, პატარ-პატარა, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მცნობრები ადამიანები!“ და იგი ხოტბას ასხამს ვენეციას, არა როგორც თვითმპყრობელობის, არამედ როგორც ხალხის მიერ შექმნილ ძევს. რა იქნა მისი გერმანული არისტოკრატიზმი? სად გაქრა ის პროტესტანტული ნებისყოფა, როცა „ფაუსტის“ ფინალში იმითლა პოულობს შვებას — თუ ხხვა გზა ვერ უპოვია, — რომ პოეტურად დაგვიხატოს საკმევლის სურნელით გაუღწეული კათოლიკური ზეცა, რომელზეც გამოსახულია Mater gloriosa, მებულები, ნეტარი ყრმები, ანგელოზთა გუნდები, Pater profundos და Pater Seraphicus? მაგრამ ეს კიდევ არაფერი, „არჩევით ნათესაობაში“ მისი დათმობა კათოლიციზმის წინაშე კიდევ უფრო შორს მიდის, როცა იგი თავს ნებას აძლევს, პროტესტანტული სამყაროს შუაგულში შექმნას წმინდანი, რომლის ნაწილებს თაყვანსაცემად მის სასწაულმოქმედ ძალაში დარწმუნებული ლუთერანული მრევლი საუდრისკენ მიიღტვის! გარდა ამისა, ამ შედეგში გამეფებულ სტიქიურ ფაქტალიზმს ქრისტიანობასთან არაფერი აქვს საერთო, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ იგი საიქიოშიც გრძელდება, რისაც, უნდა ითქვას, ამ წიგნში არავის არ სწამს. ბოლო ეპიზოდი კი — იძულებით შეუვარებულთა საღათას ძილიდან გამოღვიძება — მხოლოდ შემრიგებლური ნრიკია და სხვა არაფერი.

შეუძლებელია მის გონებას რაიმე განსაზღვრა მოუფლებნოთ, რაიმე ზღვარი დავუდოთ. საკმარისია მივაწეროთ მას არსებობისა თუ აზროვნების ესა თუ ის ფორმა, რისი სრული

უფლებაც გვაქვს, რომ მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ აღმოვაჩინოთ, არა, ის საპირისპიროც არის. ეს წინააღმდეგობრიობა მის ზნეობრივ ყოფაზეც ვრცელდება, მაგალითად, დროსთან მის დამოკიდებულებაზე, ერთ მხრივ იგი თითქოს აუნქარებდა ყველაფერს ხამერმისოდ ხდებს, აცდის დროს, უქმად ფლანგავს, პასიურად მიმყვება მის მდინარებას, მეორე მხრივ კი დრო მისი კერპია, უფრთხილდება მას. არც ერთ წამს არ კარგავს, მოწიწებით ინახავს ამ ძვირფას ხარუქარს, ხელმძღვანელობს რა დევიზით:

„ჩემზე ვრცელი სამემკვიდრო ვის ექნება განა? დროა ჩემი საკუთრება, დროა ჩემი ყანა!“

აი, მეორე დევიზიც: „დრო ერთადერთი ხიმდიდრეა, რომლით ძუნწობაც საქებაარია“. თითქოს პარადოქსალურია, მაგრამ იგივე ითქმის მის მხატვრულ შემოქმედებაზეც: აქ იგი ერთ მხრივ აპოლონური ირონიის მატარებელ, დიდობიექტურ პოეტად წარმოგვიდგება, მეორე მხრივ კი — ლირიკოსად, აღმხარებლად, რომელიც მხოლოდ საკუთარი სულით საზრდოობს, საკუთარს გასცემს; სწორედ ამ რომანტიული ხუბიექტივიზმის წყალობით მოახდინა უდიდესი შემოქმედება საფრანგეთზე. მისი შემოქმედება არსებითად აღსარებაა, უფრო მეტიც — დაუზოგავი მონანიება. მართლაც, როგორ გადაგვიშლის იგი თავის გულს? — მანკიერი და ხუხტი ადამიანების დახატვით. თვითმკვლელი ვერტერი, გამყიდველი კლავიგო, ისტერიული ტასო, თავაწყვეტილი ედუარდი, პირწავარდნილი ბრიყვი ფერნანდო „სტელა“-ში — უნებურად იხადება კითხვა: რა უფლებით დასცინის ყოველივე ამის ავტორი „ლაზარეთის პოეზიას“ და ტირტეული (აღფრთოვანებული) პოეზიისაკენ ისწრაფის? მისი პოეზიაც ხომ ლაზარეთია — ფსიქოლოგიზმი, მონანიება, უადამიანურეს საიდუმლოებათა გამომწვეურება. თვით მაისტერი და ფაუსტიც კი არ გამოდგებიან ნიმუშად ხასიათის ვაჟკაცურობისა და მთლიანობის მხრივ — თუკი ესაა მთავარი.

მაგრამ, თუ ეს მრავალფეროვანი პოეტური სამყარო არც ისე ვაჟკაცურია (შიდერისა გაცილებით უფრო ვაჟკაცურია), ხამაგიეროდ იგი ადამიანურია, უაღრესად წრფელი, გულგია, და ამასთან, თუ სწორედ ამიტომ, აქ ყოველ სიტყვას, ყოველ გულისტქმას გამოუთქმელი ხიბლი მოხდევს, რომლის ბადილსაც იშვიათად თუ შეხვდებით სულიერი შემოქმედების უკიდვანო ოკეანეში. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს

1. თარგმანი აკაკი გელოვანისა.

ყოველივე, უნდა დავახებლო მისი „დემონტი“, პიესა, რომელსაც თუმცა დრამატურგიული და საერთოდ მხატვრული თვალსაზრისითაც მრავალი ნაკლი დაეძებნება, მაგრამ თეატრალური კანონების ეს უგულვებელყოფა საოცრად ეხამება გმირის ხასიათს — ამ არისტოკრატიისა და ამავდროს ხალხის შვილის, დანაშაულებრივად უზრუნველი დიდგვაროვნის, ღმერთებისა და ხალხის დემონურად თავპარიანი რჩეულის ხასიათს, რომლის საბეჭივ კოეტის დრამის მთელი ინტერესის კონცენტრაციას ახდენს და რომელშიც, ჩემის აზრით, გოეთესეული მომხიბვლელობა უმაღლეს მწვერვალს აღწევს. მხედველობაში შექვს მისი დამოკიდებულება კლერპენისადმი, ხალხიდან გამოსული პატარა გოგონასადმი, ტყუპისცალივით რომ ზგავს გრეტკენს; ეს დამოკიდებულება შორსაა ვნებიანობისაგან, იგი სათუთი და ნაზია; ერთ დღეს, გოგონას ბავშვური გაცეხით რომ დატკბეს, ესპანელი დიდებულის სამოსში გამოეცხადება მას, ოქროს ხაწმისის ორდენით მკერდდამშვენებული — ისევ ნარკისიში, ერთტოკა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხულისა და სიყვარულის შორეული, ზღაპრული საუფლოდან მოსული რაინდის მიერ უბრალო, უწყინარი ქალის დამორჩილებაში კოეტა მომთაბრებელ ძალას ხედავს, ძალას, რომელიც ასე ადვილად აძევებს ქალის გულიდან კეთილგონიერ ბიურგერს — მის შეუვარებულსა და საქმროს. აქ ადვილი შეხაცნობია მაცთუნებლის მოწინააღმდეგეობა, მაცთუნებლობა, რომელიც არ ფიქრობს ქორწინებაზე, მარადიული შეუვარებულობა და ვერ თმობს თავისუფლებას.

გოეთეს ცხოვრების რომანი ხომ უიშვიათესი მოვლენაა. მისი გატაცებანი ყოველი განათლებული ადამიანისთვის ცნობილია; ბიურგერულ გერმანიაში გოეთეს სასიყვარულო თავგადასავლები ისევე პოპულარული იყო, როგორც ზევსისა. ეს ფრედერიკეები, ლოტეები, მინები თუ მარიანები დღეს კაცთმოყვარეობის ტაძრის ნიშებს ამშვენებენ, და ეს კარგი საზღაურია იმის წილ. რომ დაუდევარი გენიოსი, რომელიც მუხლს იყრიდა ხალხმე მათი მშვენების წინაშე, სრულდებით არ აპირებდა ამ სასიყვარულო ურთიერთობებიდან სერიოზული დასკვნების გამოტანას თავისი ცხოვრებისა და თავისუფლების საზიანოდ; კარგი საზღაურია მისი ცვალებადი ბუნებისა და გაუტანლობის წილ — მისი სიყვარული ხომ მოკლებული იყო გარკვეულ მიზანს, მისი ერთგულება ორგული იყო, მისი გატაცება მხოლოდ საშუალება იყო და არა მიზანი, შემოქმედების საშუალება. ცხოვრებისა და შემოქმედების ასეთი განუყოფლობა, რაც მასთან გვხვდება, ძნელი გასაგებია მათთვის, ვინც მხოლოდ ცხოვრებას, ადამიანურ ცხოვრებას

აღიქვამს სერიოზულად. იგი კი სწორედ ასეთი ერთიანობისაკენ მოგვიწოდებს. „ვერტერმა უნდა იცოცხლოს, უნდა იცოცხლოს“ წერს იგი ლოტე ბუფსა და მის მეუღლეს. „თქვენ ვერ გრძობთ მას, თქვენ მასზე მხოლოდ საკუთარ თავს ხედავთ, და მე... იმის შეათავსებდაც რომ გრძობდეთ, თუ რას წარმოადგენს ვერტერი ათასობით გულუბნისათვის; არ გაუწევდით ანგარიშს იმ „ზარალს“, რაც მის გამო განიცადეთ“ ისინი კი უველანი დაზარალებულნი იყვნენ, ნებით თუ უნებლიეთ.

ღექსების თხზვა უმაწვილობაშივე დაიწყო: ანაკრეონტისა თუ ფრანგული პოეზიის სტილში, მანერულად, მაგრამ ნიჭიერად და ტრადიციულად. ნამდვილ პოეტად კი შტრაახბურგში ჩამოყალიბდა, მერდერის გავლენის წყალობით, ჰომეროსთან სულესშემძვრელი შებვედრის, მაკფერსონ-ოსიანის, შექსპირის სამყაროსთან ზიარების შედეგად; შექსპირი მთელი სიცოცხლის მანძილზე უხაზღვრო აღტაცებას გვრიდა და საკუთარ თავზე მაღლა აყენებდა. უდიდესი გულენა მოახდინა მასზე ბიბლიამ, როგორც პოეტურმა ქმნილებამ, განსაკუთრებით კი ხალხურმა ხიმდერამ, რომლის ნამიან წაუკოტში, ენის და რიტმის მაცოცხლებელ ნაკალში განბანილი მისი ლირიკა სიჭანსადილ სუნთქავს თავისი ცოდნით, გონიერებით, აუცილებელი კრიტიკული აღდგომი მერდერს შეეძლო იმ ლიტერატურულ-რევოლუციურ ვნებათა წარმმართველი გამხდარიყო, რომლებიც მაშინ, XVIII საუკუნის სამოცდაათიანი წლების გერმანიაში შემოქმედებითი მოწოდების მოლოდინში იყვნენ. მაგრამ მას აკლდა ის, რასაც მისი მოწაფე, ბუთი წლით მასზე უმრწემესი გოეთე ფლობდა და რომელსაც მოუშწიფებლობის გამო თავი მერდერის ბრწყინაველე თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ცთომილად წარმოედგინა მხოლოდ: აკლდა ჯადო, მაღლი. პიროვნების იდუმალი ხიბლი. ის მზე, რომლის გარშემოც გერმანიის სულეერ ცხოვრებას უნდა ებრუნა, გოეთე გამოდგა. ჩემი აზრით, მერდერმა ეს ადრევე იგრძნო და ბოლომდე ვერ დაძლია გარემოებათა ასეთი შეტრიალებით გამოწვეული ფარული შურა. მისი დამოკიდებულება ქაბუქისადმი, რომელიც მხოლოდ მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდა თავის მოძღვარს, მუდამ დაშინავი და გამკრთავი იყო; გაუთავებლად აქილიკებდა გოეთეს გვარს, რომელიც ისევე ადვილი შეხადლებელია მომდინარეობდეს სიტყვიდან „Kote“ — სიბინძურე, როგორც „Gothen“ — გოთებიდან ან Götter — ღმერთებიდან. უწყუნებდა გემოვნებასა და გონებასაზვიდობას, გადაჭარბებულ თავდაპერილობას; ყოველივე ამის გამო თითქმის ვერ გაიჩინა

ჩვედით ერთმანეთისაგან პედაგოგიურ მზრუნველობასა და სიყვარულ-სიძულვილს. ახე გახინჯეთ, შურისძიების უცნაურ გრძნობას. ბოლოს კი, უკვე ასაკოვანმა, დაუფიქრებელი ხუმრობით სამუდამოდ მოიძღურა თაყვანისმცემელი. როცა მან გოეთეს მართლაც მოსაწყენი რევოლუციური დრამის „უკანონო ახულის“ შესახებ თქვა — „მე შენი უკანონო ვაჟი უფრო მომწონს“, ამით ხაზოლოდ დაუხსვა წერტილი ხანგრძლივ მეგობრობას.

დღეს ძნელი წარმოხადგენია ის სენსაცია, ის სულიერი აღმაფრენა, რასაც გამოიწვევდა გენიოსთა იმ გაზაფხულზე, სულიერი და ფორმალური გარდატეხის, „ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქაში, ისეთი ლექსი, როგორცაა „შეხვედრა და ვანშორება“:

„გული აზავთდა, ჩქარა, ქურანი!
ვით სიბრძოლველად, გავსწიოთ მალე!
მიწას არწევდა მწუხრის ბურანი,
და მთის კალთებზე ეკიდა ღამე;
ნისლის ნაბადში გამოხვეული
მუხა გველოდა, ვით გოლიათი,
და ფოთლებიდან ათასი თვალით
მემოგვცქეროდა მუნჯი წყვილი“.

რა ახლებურად, თამამად, მელოდირად და ხატოვნად უღერდა ეს ლექსი; მისი რიტმებიდან ავარდნილი ქარიშხალი დაუნდობლად ფანტავდა რაციონალიზმისტურ პარაკებზე შეფრქვეულ პუდრს! ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა ისტორიულმა დრამამ „გიოც ფონ ბერლიმინგენმა“, შექსპირული მუხტით დატენილმა, გერმანიის წინაისტორიის ამხანველმა მღელვარე ხურათებმა, რომლებშიც ფრიდრიხ დიდმა მხოლოდ უფორმო უმსგავსობა დაინახა, მთელ გერმანიაში კი ნავსმოდებული პოეტური ნორმების რღვევით გამოწვეული აღფრთოვანების გარდა, „ეროვნული კმაყოფილების“ იმ გრძნობის აღმძვრელი გახდა, ახე მომხიბლავად რომაა გადმოცემული „პოეზიასა და სინამდვილეში“, და „ფაუსტის“ პირველი, ჭერ ისევ მელანქოლიური სცენები? ჩვენ არ გვიკვირს, რომ პოეტის მეგობრები გოცებით შლიდნენ ხელებს, როცა ხედავდნენ, როგორ „თვალდათვალ იზრდებოდა გაბუკი“, „ვერტერის ვნებანი“ კი, ეს ეპისტოლარული რომანი ხომ იმთავითვე ვაცდა მეგობრების, თანამოაზრეების, ერთი ლიტერატურული სკოლის ფარგლებს და მთელი გერმანიის ხაზღვრებსაც; იგი მხოლოდ იმ აიტაცა, მხოლოდ იმ აიტაცა მან, ამ მცირეტანხანმა წიგნმა, გრძნობათა მისეული განმაიარებელი და დამანგრეველი ძალით შიშის წარს რომ სცემდა მორალიზტებს, ბუნების პოეზიითა და უხაზღვროებისაკენ კაბუკური

სწრაფვით რომ სუნთქავდა, წარმატების იხეთი ქარიშხალი გამოიწვია, რომელმაც ყოველგვარი ხაზღვრები გადალაბა; იგი ბანგივით მოქმედებდა, მისმა ციებ-ცხელებამ მთელი დასახლებული დედამიწა მოიცვა; ის გვავდა ნაპერწკალს, რომელიც საკმარისია დენთიან ქაქიქში შეხვედეს, რომ უეცარი აფეთქებით უწყაქმუნებელ ტრენტგა გაათავისუფლოს. თითქოს მთელი მხოლოდ მზად იყო ამ ნაწარმოების შესახვედრად. თითქოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხები იდუმალად, ქვე-შეცნეულად ელოდნენ ჭერ სრულიად უცნობი გერმანელი ბიურგერის სწორედ ამ ნაწარმოებს, რომელმაც მთელი მხოლოდის ფარულ სწრაფვას რევოლუციური აფეთქების მსგავსი გზა მიხცა — ეს იყო მიზანში ნახროლი ტყვია, მხსნელი სიტყვა. ნაპოლეონს, ამ „რკინის კაცს“, „ვერტერის“ ფრანგული თარგმანი ეგვიპტეში ლაშქრობისას თან ჰქონია და როგორც თვითონ ამბობს, შვიდჯერ გადაუკითხავს.

გოეთე-მწერალს წარმატების ასეთი ქარიშხალი აღარასოდეს აღარ განუცდია. მის შემოქმედებას, მისი ცხოვრების ამ ძღვეამოსილ კვალს, არახოდეს აღარ რგებია ხალხის იხეთი აღფრთოვანება, დასაწყისში რომ ერგო. ის გულგრილობა, რომლითაც გერმანელი საზოგადოება „ფიგენიასა“ და „ტანოში“ მისი პოეტური ხელოვნების კლასიციზტურ შემობრუნებას შეხვდა, საყოველთაო იყო. ამ ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი მომაჯადოებელი, ფაქიზი კონტრასტი კლასიკურ ფორმასა და პოეტურ გულწრფელობას, სათქმელის გაბედულ შინაარსს შორის მკითხველისათვის მიუწვდომელი დარჩა, მართალია, „ვილჰელმ მაისტერი“ საყოველთაო, განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა იმ დროში, რამაც გერმანიის მაშინდელი კულტურის უმაღლესი სფეროს — რომანტიზმის მოძრაობის უდიდეს წარმომადგენელს ათქმევინა: საფრანგეთის რევოლუცია, ფიხტეს მოძღვრება მეცნიერებაზე და „ვილჰელმ მაისტერი“ ეპოქის სამი უდიდესი მოვლენააო. მაგრამ გერმანული კლასიკური „განვითარების რომანი“, ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მიუხედავად (ამ გზას შტიფტერის და კელერის რომანებზე გავლით „ჩადონსურ მთამდე“ მივყავართ), თანამედროვეებზე შემოქმედების მგზნებარების მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება „ვერტერს“. კიდევ უფრო არასახარბიელო ხვედრი ერგო სამოცი წლის ასაკში დაწერილ ნატურმისტურ, ფსიქოლოგიურ რომანს „არჩევითი ნათესაობა“, თუმცა მასში დახატული სახეები მართალი და ინდივიდუალურად დამაჯერებელია, ამავე დროს ისინი ერთგვარ სიმბოლოებს წარმოადგენენ, რომლებსაც ავტორი

თავისი რთული ჩანაფიქრის შესაბამისად აჩვენებს და გადაადგილებს ერთმანეთის მიმართ. და მაინც სწორედ ეს წიგნი იქცა გოეთეს პროზის ულამაზესი შეფასების საბაზად, შეფასებისა, რომელიც მის ბერლინელ მეგობარს, ქორმაისტერსა და კომპოზიტორს ცელტერს ეკუთვნის. აი, რას სწერს იგი რომანის წაკითხვის შემდეგ გოეთეს: „მაიდანს აქვს რამდენიმე სიმფონია, რომელთა ლაღი, დაუოკებელი მღინარება ძალუმაღ ამიჩქეფებს ხალხს სისხლს ძარღვებში... ასე მემართება, როცა თქვენს რომანებს ვკითხულობ და ასევე დამემართა დღესაც თქვენი „არჩევითი ნათესაობის“ კითხვისას. თქვენ საოცარი ოსტატობით ხატავთ ბუნების ძალებისა თუ ფიგურების ონავარ, ამოუცნობ თამაშს, თუნდაც ამ თამაშში ჩაერთოს უოველივე — უკვე არსებული თუ ის, რაც ეს-ესაა გზას იკაფავს, ამას კი ხელს უწყობს წერის თქვენიული მანერა, რომლის ძალით თქვენი პერსონაჟები, თითქოს წყლის ანკარა ხტიქიაში მოძრაობენო, — პაწაწინა ნაწილაკებით ირევიან ერთმანეთში, ხან ციმციმებენ, ხან ჩამოქედებან, მაგრამ არც გზა ებნევათ და არც ერთმანეთი ეპარგებათ. ასეთი პროზის კითხვისას შეიძლება პოეტად იქცე, და შე ხატუე დავიფიცებ, რომ ვერცერთ ხტრიქონს ვერ დავწერდი ასე“. მხოლოდ მუსიკოსს თუ ხელმწიფებოდა ასეთი ნათელი და კრიტიკული შეფასება გოეთეს პროზის სიზუსტიხა და ცხოველმყოფელობისა, მისი რიტმის ქადოქრობისა, გონივრული ქადოქრობისა, რომელიც ეროსისა და ლოგოსის უგამჭირვალეს ნაზავს წარმოადგენს.

„დასავლურ-აღმოსავლური ღივიანის“ პირველი გამოცემა, რომელიც გოეთეს გვიანდელი ლირიკის ფასდაუღებელ მარგალიტებს შეიცავს, ხაერთოდ არ გაყიდულა და მაკულატურად იქცა. „ფაუსტის“ II ნაწილი კი, რომლის დამთავრებას მსცოვანმა პოეტმა უკანასკნელი ძაღები შეაღია (დამთავრებას და არა გასრულებას, რადგან მისი გასრულება შეუძლებელი იყო), თავად დაღუქა და არ ისურვა, რომ „ამ ძაღზე სეროოზულ ხუმრობებს“ მის სიცოცხლეშივე გახსნობოდნენ მისი მრავალრიცხოვანი და უგულითადენი მეგობრები, მით უმეტეს, ფართო საზოგადოებრიობა, რადგან, როგორც იგი ამბობდა, „ჩვენი ღრო იმდენად აბსურდული და ადრეულია, რომ ღარწმუნებული ვარ, ჩემი უანგარო, დიდი ხნის რუღუნება ამ უჩვეულო შენობის ასაგებად ქეროვნად არ დაფასდება, დამსხვრეული ხომალდით გაირიყება ნაპირზე და ღროს ფერფლი დაფარავს“. როგორც ვხედავთ, მოხუც გოეთეს სრულად შეუნარჩუნებოა გამომსახველობის ჰაბუკური ცხოველმყოფელობა, რასაც ასაკთან ერთად თითქმის

მისტიური ხურნელი, მაღალნიჭიერი და უკვე წარმავალი, არამჭვენიური შემოქმედებითი სიბრძნის მომაჯადოებელი ღირსება შემატება. პოეტის სიტყვები ასეა: „ქეროვნად ვერ დაფასდა ის დაშვრომა, რაც მან მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ უჩვეულოდ შენობაზე“ გასწია. თუ პირველ, უჩვეულოდ დაწერილ ნაწილს ერთგვარი ციტატური პოპულარობა ხვდა, უოველ შემთხვევაში, განათლებულ გერმანელ ბიურგერთა წრეში მაინც, მეორე ნაწილმა, თუმცა იგი დღემდე პატივისცემით სარგებლობს და აღფრთოვანებისა და ფილოლოგიურ კვლევა-ძიებათა ხაგნადაც იქცა, ფართო მკითხველის სიყვარული ვერ მოიპოვა; მან უოველთვის ციფ, გაუგებარ და ამოუხსნელ ადვგორიათა გროვად მიიჩნევდნენ, „ეროვნულ განძად“, რომელმაც ხალხის გულებისაკენ ვერ გაიკვლია გზა. რატომ? ვერასოდეს ვერ გამეგო ეს, ან, უოველ შემთხვევაში, დიდი ხანია, ვეღარ გამოგია, ცხადია, მრავალი წნეობრივი და ესთეტიკური ხასიათის კრიტიკული მოსაზრების გამოქება შეიძლება ამ უბადლო ნაწარმოების (რა შეიძლება იყოს უბადლოებაზე უფრო ხანტერესო!), ამ უკიდვანო, მაგრამ ამავე ღროს თვალსაწვდენი, ეპოქის გონისათვის სრულიად მისაწვდომი ქმნილების. ამ ნახევრად ფერფის, ნახევრად კი მხოფლიო ეპოსის გამო, კაცობრიობის ისტორიის ხამი ათას წელს რომ მოიცავს — ტროას დაცემიდან ვიდრე მისოლუნგის ალყამდე; ენის ყველა წყარო ჩუბჩუბით მოხჩქეფს მანში, მისი უოველი პწკარი მშვენიერია, ბრწყინვალე, გამომსახველი, ზუსტი და სიბრძნით სავსე, გონებაშახვილური, ხელოვნების სიყვარულით ნაკურთხი, მზნე, ლაღი, ღრმაზროვანი და დიდებული, რად ღირს თუნდაც მითოსის იუმორისტული გააზრება ფარხალის ვეღებისა და პენეოსის ეპიზოდებში, ან მშვენიერი ეღენეს მისტერიაში; ამ პოემასთან უოველი შეება ადგვაფრთოვანებს, გვოცებს, სულს გვიღვამს, გეშმარიტი ხელოვნებისათვის ადგვანთებს. სწორედ ამიტომ, ეს მარად უჩვეულო ქმნილება უმაღ სიყვარულს იმსახურებს, ვიდრე მოწინებას, და ხურვილი გიჩნდება, დაწერო „ფაუსტის“ სრულიად უშუალო, არაფილოლოგიური, პრაქტიკულად აუცილებელი, კომენტარი, მრავალ ურწმუნო მკითხველს რომ დააძღვეინებს შიშს ამ პოემის წინაშე, რომელიც მომაჯადოებელია ისეთ ადგილებშიც კი, სადაც ავტორი ძლივსძლივობით ართმევს მას თავს.

მაგრამ „ფაუსტის“ მეორე ნაწილის ცალკეული ეპიზოდები მაინც გამოქვეყნდა გოეთეს სიცოცხლეში, სახელდობრ, ეღენეს ეპიზოდი, და მან გამოხმაურებებიც წაიკოთხა უცხოეთის ყველაზე დიდ—ფრანგულ, შოტლანდიურ, რუ-

სულ, უფროსებში. ფაქტიურად, უოველივე, რასაც იგი ქმნიდა, მის სიცოცხლეშივე მსოფლიო ლიტერატურად იქცა — ასე აღიქვამდა მის შემოქმედებას იმთავითვე მსოფლიოს ავტორიტეტული აზრი; იგი ქმნის ამ ცნებას, განამტკიცებს მას — ნაწილობრივ როგორც ფაქტს, ნაწილობრივ კი — როგორც სამომავლო მოთხოვნას, რაც მსოფლიო მასშტაბებისაკენ პირადად მისი სწრაფვის გამოხატულებაა და ასაკთან ერთად უფრო და უფრო ძლიერდება; ეს ხრულიად ბუნებრივი მოვლენაა ისეთი ავტორისათვის, რომლის მწერლური გზა „ვერტერის“ უოველისმომცველი წარმატებით დაიწყო, ამავდროს, ეს პედაგოგიური მითითებაცაა თანამემამულეთათვის. „ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ თავში ჩაიკეტოს“, — მოუწოდებს იგი თავისიანებს, — „გერმანელმა გულის კარი უნდა გაუღოს მსოფლიოს, რათა შემოქმედება მოახდინოს მასზე. ამიტომაც ვეცნობი ხალისით უცხო ეროვნებათა კულტურას და ამასვე ვურჩევდი უველას. ეროვნული ლიტერატურა ახლა ბევრს ვეღარაფერს იტყვის, გვიხლოვდება მსოფლიო ლიტერატურის დრო და უველამ ხელი უნდა შეგუწყოს მის სწრაფად დადგომას“. თუ როგორ გაუღო მან გულის კარი მსოფლიოს, რა შემოქმედება მოახდინა მასზე, რა მისცეს მას ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, ესპანეთმა, შოტლანდიამ აღმოსავლეთმა, ამერიკამ, რა ძვრები მოახდინა მისმა შემოქმედებამ ამ ქვეყნების, ასევე აღმოსავლეთის და დასავლეთის სხვა ქვეყნების სულიერ ცხოვრებაში — ამ სისტოლათა და დიახტოლათა შესახებ ამ ცოტა ხნის წინ ბერლინელმა ლიტერატორმა ფრიც შტრინმა დაწერა შესანიშნავი, ფართო თვალსაწიერის ნაწარმოები — „გოეთე და მსოფლიო ლიტერატურა“, რომელიც სწორედ იმით ვაზარებს, რომ მასში ნაჩვენებია გოეთეს ევროპეიზმის სუბიექტური და ობიექტური ასპექტები, შთავისებისა და გაცემის თვალსაზრისით.

სავსებით ნათელია, რომ „მსოფლიო ლიტერატურის“ მიხედვით კონცეფცია სწორედ ამ ორმხრივი ურთიერთქმედების შედეგია: ამ იდეის განახორციელებლად არ კმარა მხოლოდ განათლება და უცხოური კულტურისადმი მადლიერების შეგრძნება, არამედ აუცილებელი იყო საკუთარი უპოქმედების ნაყოფიერების გახიგრძელება. გარდა ამისა, ეს ცნება „დიადის“ რიგს მიეკუთვნება, იმ „დიადისა“, რომელმაც ამოღებდა, რომელთან ზიარებაც ფრანკფურტელი ბიურგერების ბიჭის ბედის ვარსკვლავზე ეწერა და რომლის შესახებაც სამოცდაათი წლის პოეტი აღიარებს, რომ „ძალზე გაუჭირდა მისი დაუფლება“, დაუფლება „დიადისა“, სხვადასხვა ქვეყნებსა და ეპოქებში რომ ეძიებს

თავისი მოქმედების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მის ერთ-ერთ გვიანდელ აფორიზმში ნათქვამია:

„ვინაც ვერ შეძლებს, რომ წარმოდგენით დაბრუნდეს წარსულ დროთა წიაღში, — მისი სიცოცხლე უფროსად აღება, მას უცხოვრია უფროსად აღება“.²

სწორედ ამ უზარმაზარი შინაგანი გაქანების, მთელი სამყაროს ენციკლოპედიური დაუფლების საოცარი ნაყოფია „ფაუსტი“; მხედველობაში მსჯეს ისევ ელენენ ეპიზოდი მეორე ნაწილიდან, რომლის შესახებ ემერსონი ამბობს: „ეს უველაფერზე მეტად უზომო ინტელექტი გვაოცებს. ამ ადამიანის გონება იმდენად ძლიერი გამხსნელი საშუალებაა, რომ წარსული და აწმყო მათი რელიგიებით, პოლიტიკითა და მსოფლმხედველობით პროტოტიპებად და იდენტებად იქცევიან“. მაგრამ ეს უსაზომო ინტელექტი, უოველისმომცველი, მომწერსრიგებელი და გადაბზარშავი გონება მხოლოდ წარსულისა და აწმყოს შენივთებას კი არ ემხახურება, იგი თამამად იჭრება მომავალშიც, წინასწარ ჰვრეტს, წინასწარ განსაზღვრავს მყობადს, ხედავს, რისი ჭერი დგება, რისთვისაც „მსოფლიო ლიტერატურა“ მხოლოდ სახელი და სემბოლოა, და რასაც მან ერთხელ „ცნებებითა და გრძნობებით თავისუფალი ვაჭრობა“ უწოდა — ეს კი ლიბერალური პოლიტიკონომიის პრინციპების სულიერ ცხოვრებაზე გადატანას უდრის.

გოეთემ შეიმეცნა XIX საუკუნე, ეკონომიკისა და ტექნიკის ეს საუკუნე, რომელშიც მან შეთვრამეტე საუკუნიდან გადმოაბიჯა და ერთი სიცოცხლისსოდენი მოათია; და ეს შემეცნება გასცდა არა მარტო მისი საკუთარი სიცოცხლის, არამედ საუკუნის საზღვრებს და ბურჟუაზიის შემდგომი ერაც განჭვრიტა. აღსანიშნავი და ამაღელვებელიცაა ის, რომ მისი სიცოცხლის სწორედ უკანასკნელი წლები აღბეჭდილია სიკვდილისადმი შეუპოვრობით, იმ მოვლენათა წინასწარწვდომით, რომელთა „ჭერიც დგება“, იგი ნათლად ჰვრეტს, რა იკაფავს გზას ცხოვრების ზნეობრივ უოფასა თუ ტექნიკურ წყობაში, რისი მოსვლაც უნდა დააჩქაროს უველამ, რადაც არ უნდა დაუჭდეს ეს, თუნდაც გულში დიდი ხნის ნასათუთები, მაგრამ უკვე დრო მოჭპული იდეალების ფასად. მის მცოვანობისდროინდელ რომანში „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები“ მართლაც აშკარად უღერს „თვითუარყოფის“ მოტივი — ინდივიდუალისტური მუშანიშმის გადალახვა აქ ადამიანური და აღმზრდელობითი პრინციპების დამკვიდრების სახელათ ხდება, რაც, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ

² თარგმანი ნანა ღვინეუაძისა.

ჩვენი დროის მონაპოვარია. წიგნში კიაფობენ იდეები, რომლებიც წინ უსწრებენ ბიურჯერულ კუმანიზმს. კულტურის კლასიკურ და ბიურჯერულ გაგებას, რის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებასაც ვოეთე პირველ რიგში თავად უწყობდა ხელს. პიროვნების მრავალმხრიობის იდეა გზას უთმობს ცალმხრიობის საუკუნეს. აქ ნაჩვენებია ინდივიდის შეზღუდულობა, რაც დღევანდელობისთვისაა დამახასიათებელი. მხოლოდ ადამიანთა ერთობლიობა ქმნის სრულყოფილ ადამიანობას; პიროვნება კი ფუნქციად იქცევა, რომლის ღირებულებაც საერთო კულტურაში შეტანილი წვლილითაა განიჭობება. წინა პლანზე დგება თემის, კომუნის ცნება და „ბუნებრივი პროვინციის“ იერუსალიმ-მილიტარისტული ხული, თუმცა პოეტურად შედამაზებულები, ქვას ქვაზე აღარ ტოვებს ინდივიდუალიზმისა და „ლიბერალიზმის“ ბიურჯერული იდეალიდან.

რა საოცარია მისი მხცოვანობა! მთელ თავის ღირსებასთან ერთად მას არ ახლავს გამოფიტვის ან გაყინვის რაიმე ნიშანწყალიც კი; იგი ყოველივეს ცოცხლად აღიქვამს, ცნობსწადილით, სიცოცხლის აზრით და ახლის დამკვიდრების მისწრაფებითაა შებურობილი. XVIII საუკუნის ამ კუშტი და გულშვილი დიდებულის მაგიდასთან გაცილებით უფრო ბშირი იყო ორთქლმანულები და მფრინავი მანქანების პირველ გამოცდებზე, მსოფლიო ტექნიკის უტოპიურ პრობლემებსა და პროექტებზე საუბრები, ვიდრე პოეზიასა და ლიტერატურაზე, და ეს არც არის გასაკვირი „ფაუსტის“ ავტორისაგან, რომელიც უშაღლეს ბედნიერებას ყველაზე უტილიტარისტული ოცნების — ჭაობების ამოშრობის განხორციელებაში ხედავს! მოხუცს არ ბეზრდება მექსიკის ყურის წყნარ ოკეანესთან დაკავშირების სხვადასხვა პროექტების განხილვა, მისი ცონება არ ილღება იმ ურიცხვ სიკეთეთა წარმოსახვით, რაც ამგვარ წამოწყებას მოჰყვება ცივლიზებული და არაცივილიზებული კაცობრიობისათვის. იგი ურჩევს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს, მისი ფანტაზია კი უკვე ხატავს აუკავებულ ხავჭარო ქალაქებს, თანდათან რომ ამოიშრდებიან ხუნებრივი ნავსადგურებით უხვად დაჭილდობულ ამ ხანაპიროზე, მოუთმენლად ელის ყოველივე ამის განხორციელებას, და კიდევ დუნაისა და რაინის შეერთებას, რომელიც მომავალში ყოველგვარ წინასწარდასახულ გეგმას გადააქარბებს და უზარმაზარ წამოწყებად იქცევა; და კიდევ შესამე — უდიდესი იდეის ხორცშესხმას — სუფციის არხის გაყვანას ინგლისელებსათვის. „ყოველივე ამის თუ მოესწრები“. — აღტაცებით წამოიძახებს იგი. — „ღირს კი-

დეგ ორმოცდაათი წელი გაძლო ამ ქვეყანაზე!“ მომავლისაკენ მისი სწრაფვა ყოვლისმომცველია; იგი მთელ სამყაროს სწვდება; მსოფლიო ტექნიკური პროგრესითა და გონებით ამ აღფრთოვანებაში არის რაღაც დიდებული სიფხიზლე, მსოფლიოს გამოფხიზლების უწყილებლობის შეგნება, მსოფლიოს, რომელიც ძველი, სიცოცხლის წინსვლის შემაფერხებელი სატკივრები მოხდალებია :

„შენ ამერიკავ, უკეთესი ვრგებია ხუდრი, ჩვენს წილ მიწას კი დაუბედა ძველთაგან გლოვა; შენ არ გაწვება გულზე მძიმედ ციხე-კოშკები, — ნანგრევთა გროვა...“³

ცახისმაგრეთა ნანგრევები და სხვა ფრთად პატახაცეში გაქვავებული ძეგლები — უოველივე „შეკდარი დგამია“, როგორც ერთგან ამბობს იგი, და ადამიანმა უნდა ჩამოიცილოს ისინი, რათა სიცოცხლე შეიყვაროს. ეს ძეგლები ადამიანის სულის წარხულის ემოციური შემყვიდრებობით დამძიმების სიმბოლოს წარმოადგენენ, რასაც პოეტი თითქმის მომაკვდინებელ სისუფელეს უტოლებს, მან იმთავითვე გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და ნათელი გონების მხარეზე დადგა. „უბადრუკ ადამიანებს“, ამბობს ის კერ კიდევ „განსწავლის წლებში“, „არაფერი ისე არ აშინებთ, როგორც გონიერება; მათ რომ ესმოდეთ, რა არის ყველაზე საზიფათო, სიბრიყვისა შეეშინდებოდათ; მაგრამ გონიერება ხელისშემშლელია და მას თავიდან იშორებენ, სიბრიყვე კი მხოლოდ დამღუპველია, რასთანაც გაცილებით იოლია შეგუება“.

შეუროგდენ ნელ კვდომას და არ გეგოს გამბუდაობა, მოუბმო გონიერებას — კაცობრიობის ამ დამღუპველმა ზნემ განა დღეს თავის უშაღლეს მწვერვალს არ მიაღწია? გოეთე ცნობდა ამ საფრთხეს, ხედავდა, როგორ იზრდებოდა იგი, და სწორედ მას — სისუფელის მეუფებას უპირისპირდებოდა უშაღ თავისი სიდიადით, ვინემ რეფოლუციას, კონსტიტუციას, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებასა ან დემოკრატიას. როგორც ამბობენ, მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „შემოუშვით მეტი სინათლე!“ თუმცა ზუსტად ეს არაფინ იცის. მაგრამ რაც არ უნდა ეთქვა მას სინამდვილეში, მისი გეშპარტად უკანასკნელი — სიკვდილის დამთარგუნველი და სიცოცხლის დამამკვიდრებელი მცნებაა:

„ბოლო წამშიც კი — წინ და მხოლოდ წინ!“

³ თარგმანი ნანა ღვინეფაძისა.



პოეზიის ღაცვა

(ნაწყვეტები)

წროვნების ხანობებზე — გონიერებასა და წარმოსახვაზე ერთი თვალსაზრისი არსებობს, რომლის მიხედვითაც პირველი, რაიმე აზრის მეორესთან ნებისმიერ მიმართებებს განიხილავს; მეორე კი, საკუთარი შუქით აფერადებს ამ აზრებს და მათგან, როგორც ელემენტებისაგან სხვას შეადგენს, რომელთაგან თითოეული საკუთარი მთლიანობის პრინციპს შეიცავს. ერთი *αὐτονομία* ანუ სინთეზის პრინციპია და ობიექტებად ისეთ ფორმებს იყენებს, რომლებიც უნივერსალურ ბუნებასა და თვით არსებობას ახასიათებს; მეორე *ἑτερονομία* ანუ ანალიზის პრინციპი საგანთა მიმართებებს უბრალოდ როგორც ურთიერთობებს განიხილავს, აზრებს კი არა მათ მთლიანობაში, არამედ როგორც გარკვეული ზოგადი შედეგების გამოსაყვან ალგებრულ ფორმულებს. გონიერება უკვე ცნობილი სიდიდეების ჩამოთვლაა; წარმოსახვა — ამ სიდიდეების ღირებულების შეფასება, ცალკე და მთლიანობაში. გონიერება მიხედველობაში იღებს განსხვავებებს, წარმოსახვა — საგანთა მსგავსებებს. გონიერება წარმოსახვისთვის იგივეა, რაც იარაღი აგენტისთვის, სხეული სულისთვის, აჩრდილი არსისთვის.

საერთოდ პოეზიას „წარმოსახვის გამოხატვა“ შეიძლება ვუწოდოთ და იგი ადამიანთან ერთად იშვა. ადამიანი ინსტრუმენტია, რომელზეც იმიტვარადვე შემოქმედებენ მთელი რიგი გარეგანი და შინაგანი შთაბეჭდილებები, როგორც ეოლოსის ქნარზე ნიადაგცვლადი ნიაფი. მაგრამ ადამიანსა და აღმათ უველა მგრძნობიარე არსებაში არის რაღაც ძირითადი, რაც ქნარისგან განსხვავებით მელოდის გარდა ხარმონიასაც ქმნის ბგერებისა და რხევების შინაგანი შეთანხმებით იმ შთაბეჭდილებებთან, რომლებმაც

ისინი წარმოშვა... ჭერ კიდევ თავიანთი არსებობის გარიჟრაჟზე ადამიანები ციკვავდნენ, მღეროდნენ, ჰბაძავდნენ ბუნებრივ მოვლენებს და ამ მოქმედებებში, ისევე როგორც სხვა სახის ქცევებში, რაღაც რიტმსა და წყობას იცავდნენ. და თუმცა ყველა ადამიანი ერთსა და იმავეს უცქერდა, ისინი ერთნაირ წყობას არ ხელავდნენ ციკვის მოძრაობებში, სიმღერის მელოდიაში, სიტყვათშეთანხმებებში თუ ბუნებრივი მოვლენების მიბაძვის პროცესში. ცხოვრების მიმბაძველობის უველა ამ ნიმუშს გარკვეული წყობა თუ რიტმი გააჩნია, რომლისგანაც მსმენელი და მაყურებელი უფრო მძაფრ და წმინდა სიამოვნებას იღებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამისაგან. ამ წყობისადმი მიახლოების გრძნობას თანამედროვე მწერლები გემოვნებას უწოდებენ. ხელოვნების განთიადზე უველა ადამიანი იცავს იმ წყობას, რომელიც მეტნაკლებად უახლოვდება უმაღლესი ალტაცების გამომწვევს; მაგრამ მრავალფეროვნება ჭერ საკმაო არ არის, რათა მისი გრადაციები შეიგრძნობოდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ მშვენიერებისადმი (აღმათ უფლება გვაქვს ასე ვუწოდოთ უმაღლეს სიამოვნებასა და მის გამომწვევ მიზეზს შორის კავშირს) მიახლოების უნარი შეტად დიდია. ისინი, ვისაც მოჭარბებული აქვთ ეს უნარი, პოეტები არიან სიტყვის უნივერსალური მნიშვნელობით; საზოგადოებისა თუ ბუნების მათ გონებაზე შემოქმედების გამოხატვის მანერით გამომწვეული სიამოვნება გადაეცემა სხვებს და ამ კავშირით თითქოს აორკეცებს მონიჭებულ სიამოვნებას. მათი ენა არსებითად მეტაფორულია, ე. ი. ის ამჩნევს საგანთა ადრე გაუგებარ მიმართებებს და ამკვიდრებს მათ, ვიდრე ეს სიტყვები, დროთა განმავლობაში მთლიანი აზრების ხატის ნაცვლად აზრის ნაწილისა თუ კლასების ნიშნები არ გახდება; და მაშინ ამგვარად დარღვეული ასოციაციების განსახლებლად ახალი პოეტები რომ არ ჩნდებოდნენ, ენა აღარ

* შემოქმედება.
** განსჯა.

არსებებდა ადამიანთა ურთიერთობის უველი უკეთესობილესი მიზნებისათვის. ამ მსგავსებებსა თუ მიმართებებზე კარგად თქვა ლორდმა ბეკონმა, ისინი „სამყაროს მრავალ საგანზე დამჩნეული ბუნების ნაფუნურებია“*. მათი შეცნობის უნარი მას უველი ცოდნისთვის საერთო აქსიომების საწყობად მიაჩნია. საზოგადოების განთიადზე უველი ავტორი უცვილობად პოეტიცაა; რადგან თვითონ ენა პოეზია; და იყო პოეტი, ნიშნავს შეიცნო ჭეშმარიტება და სილამაზე — ერთი ხიტყვით ის საუკეთესო, რაც ვვაქვს არსებულ მიმართებებში ჭერ არსებობასა და აღქმას შორის და შემდეგ აღქმასა და გამოხატვას შორის. უველი თვითმყოფადი ენა თავის სათავესთან თვითონ წარმოადგენს ციკლური პოემის ქაოსს; ლექსიკის სიუხვე და გრამატიკული განსხვავებანი მომდევნო დროთა საქმეა და პოეზიის კმნილებათა მარტივ კატალოგიზაციასა და ფორმირებაში მდგომარეობს.

მაგრამ პოეტები, ან ისინი, ვინც კმნის და გამოხატავს ამ ურღვევ წყობას, მხოლოდ ენისა და მუსიკის, ციკვისა და არქიტექტურის, ქანდაკებისა და ფერწერის შემოქმედნი კი არ არიან; ისინი კმნიან კანონებს, აარსებენ საზოგადოებას, იგონებენ ხელოსნობას და არიან მოძღვარნი, რომლებიც მშვენიერსა და ჭეშმარიტთან აბლოებენ უჩინარი სამყაროს იმ ნაწილობრივ შემეცნებას, რომელსაც რელიგია მქვია. აქედან, უველი თვითმყოფადი რელიგიები აღეგორიულია ან აღეგორიულობისაკენ იბრება და იანუსის მსგავსად ორი სახე აქვთ — ცრუ და ჭეშმარიტი. იმის მიხედვით, თუ რა დროს იშენენ ან რომელი ერის შვილები იყვნენ, პოეტს ადრეულ ხანაში კანონმდებელს ან წინასწარმეტყველს ეძახდნენ; არსებითად პოეტი ორივე ამ ფიგურას შეიცავს და აერთიანებს, რადგან ის არა მარტო ხედავს აწმყოს და იმ კანონებს აღმოაჩენს, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს იგი, არამედ აწმყოში მომავალს ჭვრეტს და მისი აზრები მომდევნო დღეთა უვაილებინა და ნაყოფის ჩანასახებია. იმას კი არ ვამტკიცებ, რომ პოეტები წინასწარმეტყველები არიან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ან, რომ მათ ასევე დარწმუნებით შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ მოვლენათა ფორმა, როგორც ამ მოვლენათა ხული; ამგვარი პრეტენზია ცრურწმენას აქვს, რომელიც პოეზიას წინასწარმეტყველების ატრიბუტად თვლის და არა პირიქით. პოეტი მარადიულის, უსასრულოსა და მთლიანის ნაწილია; ჩანაფიქრთან დაკავშირებით კი დრო, ად-

გილი და სიმრავლე არ არსებობს მისთვის. გრამატიკული ფორმები, რომლებიც გამოხატავენ დროს, პირს და ადგილს, იცვლება პოეზიის საჭიროების მიხედვით ისე, რომ წინასწარ აუენებს მას; ციტირების საშუალებით რომ მოძღვედეს ამ ეხვის ზომები, ამის დასტურად გამოდგებოდა ესქილეს ხორები, იოხეს წიგნი და დანტეს „სამოთხე“. ამ აზრის კიდევ უფრო დამაჭერებელი ილუსტრირებაა ქანდაკების, ფერწერის და მუსიკის კმნილებანი.

პოემა მარადიული ჭეშმარიტებით გამოხატული ცხოვრების მართალი ხატია. მოთბრობასა და პოემას შორის ის განსხვავებაა, რომ მოთბრობა ურთიერთდაკავშირებული ფაქტების თავმოყრაა, რომელთაც საერთო მხოლოდ დრო, ადგილი, ვითარება, მიზენი და შედეგი აქვთ. სულ სხვაა მოქმედების განვითარება ადამიანის ბუნების იმ უცვლელი ფორმების მიხედვით, რომელიც შემოქმედის გონებაში არსებობს და რომელიც თვითონაა სხვათა აზრების ხატი. პირველი კერძო შემთხვევაა და მიესადაგება მხოლოდ დროის განსაზღვრულ პერიოდს და ისეთ შემთხვევათა გარკვეულ კომბინაციებს, რომელიც შეიძლება აღარასოდეს განმეორდეს; მეორე უნივერსალურია და თავისთავში შეიცავს ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი უველი შესაძლო მოტივისა თუ კმედების ჩანასახს. დრო, რომელიც კერძო ფაქტების ამსახველი, პოეტურობას მოკლებული პროზის მშვენიერებასა და ღირსებას ანადგურებს, ძალას მატებს პოეზიას და მარადიულობას ანიჭებს მის ჭეშმარიტებათა ახალ და წარმტაც თვისებებს. აქედანაა, რომ კონსპექტების შემდგენლებს ისტორიის ჩრჩილებს ვეძახით, ისინი ხომ მთელ პოეზიას აცამტვერებენ ისტორიაში. გარკვეულ ფაქტებზე აგებული მოთბრობა სარკეა, რომელიც აბუნდოვნებს და ამახინჯებს სილამაზეს; პოეზია კი ალამაზებს დამახინჯებულს.

ზოგი ადგილი ნაწარმოებში შეიძლება პოეტური იყოს, მაგრამ ნაწარმოები, მთლიანობაში პოემა მაინც არ იყოს; შეიძლება მთლიანი იყოს ერთი წინადადება, თუმცა ის დაუკავშირებელ ნაწილებს შორის აღმოგვიჩინოს; თვით ერთ სიტყვასაც კი შეუძლია უკვდავი აზრის ნაპერწკლად გაიფლოს. უველი დიდი ისტორიკოსი — ჰეროდოტი, პლუტარქე, ლივიუსი პოეტიც იყო, და თუმცა მათი გეგმები, განსაკუთრებით ლივიუსისა, ხელს უშლიდა ამ უნარის უმაღლეს დონემდე აუვანას, ისინი ხაგნისადმი დამოკიდებულებას იმით ასწორებდნენ, რომ უხვად ასურათებდნენ თავის თბრობას ცოცხალი სახეებით.

ახლა, როცა გავარკვიეთ, თუ რა არის პოეზია და ვინ არიან პოეტები, მოდი, შევუდგეთ საზოგადოებაზე მათი გავლენის შეფასებას.

* De Augmentis Scientiarum. cap. I, lib. III. ბეკონის „ტრაქტატი“ „მეცნიერების წარმატებები“ მელის შენიშვნა).

პოეზიას თან უოველთვიხ სიამონება სდევს: უკველა სულდგმული, ვისაც ის ფრთას შეანებს, აღმაფრენანარევი სიბრძნის მისაღებად გადაიშლება. ჰომეროსმა თავისი პერსონაჟებით თავისი დროის იდეალი გამოხატა; უეჭველია, რომ მის მკითხველს უჩნდებოდა სურვილი გამხდარიყო აქილევსი, ჰექტორი თუ ოდისევსი; მის უკვდავ ქმნილებებში სიღრმემდღა გაშიშვლებული მეგობრობის სიწმინდე და სილამაზე, პატრიოტიზმი და ბიზნის ერთგულება; მსმენელთა გრძნობები უნდა დახვეწილიყო და გამძაფრებულიყო ამ მნიშვნელოვანი და წარმტაცი სახეებით, ხანამ აღტაცებიდან ისინი მიბაძვაზე არ გადავიდოდნენ, მიბაძვიდან კი თავისი თავის გაიგივებაზე აღტაცების საგნებთან. რა თქმა უნდა, ეს პერსონაჟები შორს არიან ზნეობრივი სრულყოფისგან და ისინი ვერ ჩაითვლებიან მისაბაძ, ჰკუთის სასწავლებელ ნიმუშებად. უველა ეპოქა, ამა თუ იმ საპატრიო სახელწოდებით, კერპად აქცევს მისთვის დამახასიათებელ შეცდომებს. ნახევრად ველური საუკუნეების სათაყვანო შიშველი კერპი შურისძიება იყო; უცნობი ბოროტების საბურველიანი ხატია თავისმოტუება, რომლის წინაშეც დღეს ქედს იხრიან ფუფუნება და მოყვირებულობა. მაგრამ პოეტი თანამედროვეთა მანკიერებას დროებით სამოსელად მიიჩნევს, რომლითაც უნდა მორთოს თავისი ქმნილებანი და რომელიც ვერ დაფარავს მათი მარადიული მშვენიერების პროპორციებს. ეპოსისა და დრამის პერსონაჟის სული ისევეა შემოსილი, როგორც სხეული უძველესი აბჯრითა ან თანამედროვე მუნდირით და თანაც ამ ტანზე ადვილი წარმოსადგენია უფრო გრაციოზული ტანსაცმელიც. ეს შემთხვევითი სამოსი ვერ მალავს შინაგანი ბუნების სილამაზეს, რადგან მისი სულის შინაგანი მშვენიერება გადაეცემა თვით ამ სამოსს და მიუთითებს იმაზე, თუ რა იმალება ამ სამოსს მიღმა. დიდებული ფორმა და გრაციოზული მოძრაობები თავს იჩენს უველაზე ბარბაროსულ და უგემოვნო ტანსაცმელშიც. ძალიან ცოტაა ისეთი დიდი პოეტი, რომელიც გაშიშვლებული სიმართლითა და სიდიადით გვიჩვენებდეს თავისი ჩანაფიქრის მშვენიერებას. უეჭველია, რომ კოსტიუმები, ჩვეულებები და სხვა საჭიროა, რათა მოკვდავთა ყურმაც ადვილად გაიგოს ეს ასტრალური საგალობელი.

პოეზიის უკვდავებაზე კამათს იმ საშუალების არასწორი გაგება იწვევს, რითაც პოეზია ადამიანთა ზნეობრივ სრულყოფაზე ზემოქმედებს. ეთიკა აწესრიგებს პოეზიის მიერ გამოშუშავებულ ღირებულებებს, ამუშავებს სქემებს და საზოგადო და საშინაო ცხოვრების ნიმუშებს გვთავაზობს; შესანიშნავი დოქტრინების ნაკლებობა როდია იმის მიზეზი, რომ ადამიანებს ერთ-

მანეთი სძულთ აბურად გადებენ, ადამიანთა ღირებენ, ატყუებენ თუ სჩაგრავენ ირაციონალურად. პოეზია სხვანაირად, დვთაებრად მოქმედებს — ის აღბიწლებს და ამდიდრებს, გვიღონ გონებას და მას ათასობით უცნობ აზრებსა და იდეებზე გადააქცევს. პოეზია საბურველს წდის სამყაროს მშვენიერებას და ნაცნობში უცნობ თვისებებს და გვანახებს; ის კვლავ ალადგენს უველაფერს, რასაც წარმოსახვას და ნეტარების შუქით განათებული მისი ხატები მარად რჩება მათ სულში, ვინც ერთხელ მიიწე იხილა ისინი, როგორც მოგონება უველა აზრსა და ქცევაზე გაბატონებულ ნაზსა და ამალღებულ არსზე. ხიყვარული ზნეობის ამოუხსნელი საიდუმლოა, ის საკუთარი ბუნების მიტოვება და სხვისი აზრების, ქცევების, პიროვნებების მშვენიერებებთან შერწყმაა. ნამდვილად ვარვისი რომ იყოს, ადამიანს წარმოსახვის მძაფრი უნარი უნდა ჰქონდეს; უნდა შეეძლოს თავისი თავი წარმოიდგინოს სხვის ან სხვა მრავალის ადგილას. უნდა გაითავისოს თავის მსგავსთა ტკივილი თუ სიამოვნება. წარმოსახვა ზნეობრივი სრულყოფის მძლავრი საშუალებაა და პოეზია შედეგს მიუზღვრე ზემოქმედებით წარმართავს. პოეზია აფართოებს წარმოსახვის სფეროს მარად ახალი აღტაცებით, რომელიც სხვა აზრებს იწიდავს და იმსგავსებს და რომელიც ახალი საზრდოს მოლოდინში სულ ახალ-ახალ საცაევებს ქმნის. პოეზია ისე აძლიერებს ამ უნარს, რაც ადამიანის ზნეობის ორგანოდ გვევლინება, როგორც ვარჯიში სხეულს...

ჰომეროსისა და ციკლური პოეტების შემდეგ ქვეყნად ათენელი დრამატული და ლირიული პოეტები გაჩნდნენ, რომელნიც იმ საუცხოო ეპოქაში მოღვაწეობდნენ, როცა განსაკუთრებით განვითარდა არქიტექტურა, მუსიკა, ცეკვა, ქანდაკება, ფილოსოფია და საზოგადოებრივი ცხოვრება...

...თუმცა კომედიისა და ტრაგედიის შერევა თანამედროვე პრაქტიკაში ზოგჯერ ბოროტად გამოიყენება, ის უეჭველად აფართოებს დრამის შესაძლებლობებს, მაგრამ კომედია, ამ შემთხვევაში, უნდა იყოს საყოველთაო, იდეალური და ამამალღებელი, როგორც ეს „მეფე ლირშია“. სწორედ ეს პრინციპი გადაბრიადა სასწორს „მეფე ლირის“ სასარგებლოდ „ოიდიპოს მეფესა“, „აგამემნონსა“ და თვით იმ ტრილოგიებთან შედარებით, რომელთა ნაწილიც ეს ტრაგედიებია, ქოროების პოეზია რომ არა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში, რომელიც ალადგენს წონასწორობას. და თუ „მეფე ლირი“ გაუძლებს ამ შედარებას, ის შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიოს დრამატული ბელოვნების უველაზე სრულ-

ყოფილ ნიშნულად, მიუხედავად იმ ვიწრო ფარგლებიანა, რომელშიც იყო მოქცეული მისი ავტორი ღრამის ფილოსოფიის უცოდინარობის გამო, თანამედროვე ევროპაში რომ გაბატონდა. კალდერონი თავის Autus-ში შეეცადა შეეცადა შექსპირის მიერ უგულვებელყოფილი ღრამის მაღალი მოთხოვნები, ისეთი როგორცაა ღრამისა და რელიგიის ურთიერთკავშირი და ღრამის თანხლება მუსიკითა და ცეკვით; მაგრამ მას უფრო მნიშვნელოვანი გამოეპარა და ადამიანური ვნებების ცოცხლად წარმოდგენის შეცვლით დამახინჯებული ცრურწმენის მკაცრად განსაზღვრული მარადიული იდეალიზმით უფრო მეტი დაკარგა, ვიდრე შეიმატა.

...საყოველთაოდაა ცნობილი სცენური განსახიერების კავშირი ადამიანთა ქცევის გაუმჯობესება-გაუარესებასთან; სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეზია მისი საუკეთესო და უნივერსალური ფორმით დაკავშირებულია ქცევებისა და ჩვევების სიკეთესა და ბოროტებასთან. გარყვნილება, რასაც თეატრს აბრალებენ, იწყება იქ, სადაც პოეზია მთავრდება; თუ ქცევის ისტორიას მივმართავთ, დავინახავთ, რომ ერთის გაძლიერებისა და მეორის დაკნინების ტრადიციები ისევე უსუსტად შეესაბამება ერთმანეთს, როგორც მიწეზი და შედეგი.

ათენსა და ყველგან სხვაგან, სადაც კი სრულყოფას მიაღწია, ღრამა თანაარსებობდა საუკუნის წინებობრივ და ინტელექტუალურ სიდიადესთან. ათენელი პოეტების ტრაგედიები სარკეებია, რომელშიც მაყურებელი საკუთარ თავს ხედავს, გადაცმულს და ყველაფრისგან განძარცვულს, გარდა იდეალური სრულყოფისა და იმ ენერგიისა, რაც ადამიანს მიაჩნია რაღაცად, რაც მას უყვარს, აღაფრთოვანებს და რისკენაც ის მიისწრაფის. წარმოსახვას დიდი ცვლილებებისა და ვნებების თანაგრძნობა აძლიერებს, რადგან ეს იმდენად მძლავრი ვნებებია, რომ მათი აღქმა თვით აღქმის უნარს ამძაფრებს. სიბრაღული, აღშფოთება, შიში და მწუხარება კეთილ გრძნობებს აღვიძებს; ამაღლებული დამახულობის შემდგომ შეცოცხლები სიმშვიდე გვეუფლება და ცხოვრების ყოველღღაღურ აურზაურში თან მიგვყვება...

საზოგადო ცხოვრების დაკნინებას ღრამაც თანაურგძნობს. ტრაგედიები ძველი ღრამის შედეგების ცივი მიბაძვა ხდება; ისინი მოკლებულ არიან ხელოვნების სხვა მონათესავე დარგების თანხლებას და ხშირად მათ სწორი ფორმაც კი არ აქვთ. ისინი წარმოდგენენ სუსტ ცდას შეგვასწავლონ რაღაც დოქტრინები, რომლებიც ავტორს წინებობრივ ჭეშმარიტებად მიაჩნია და რომელიც სხვა არა არის რა, გარდა იმ დიდი მანკის ან სისუსტის მოჩვენებითი განდიდება, რომლითაცაა დაავადებული ავტორი თავის

მსმენელებთან ერთად. აქედან ჩნდება კლასიკური და საოჯახო დრამები. ედისონის „კატონი“ პირველის ნიშნულს წარმოადგენს, მეორის მაგალითები კი იმდენად მოავალირიცხოვანია, რომ ჩამოთვლა გირსი პოეზიას ვერ დავეულორჩილებთ ამგვარ მიზნებს. ეს სხვა ელვის მარად გაშიშვლებული ხმალია, ქარქაშს დასწევს, თუკი ჩავაგებთ. ასე რომ, როგორც ვხედავთ ყველა შემოთმობსენიებულ ღრამატულ ნაწარმოებს საოცრად აკლია წარმოსახვა; ისინი გვიბატავენ გრძნობებსა და ვნებებს, რომელნიც წარმოსახვის ნაკლებობის გამო მხოლოდ კაპრიზია და ავხორცობა. ჩვენი ერის ისტორიაში ღრამის ყველაზე დიდი დაქვეითება ჩარლზ II-ის მეფობაში მოხდა, როცა პოეზიის ერთადერთი ფორმა თავისუფლება და სიკეთეზე მეფის ძალაუფლების გამარჯვების მაღიდებელი ჰიმნები გახდა. მხოლოდ მილტონი ანათებდა მისი გენიის შეუფერებელ ამ ეპოქას. ამგვარ პერიოდში, ღრამატული გამობატვის ყველა ფორმა ანგარიშის პრინციპითაა გაუღენთილი და პოეზიაც არსად ჩანს. კომედია კარგავს თავის იდეალურ უნივერსალობას...

დანტეს პოეზია ღრამის მდინარეზე გაღებულ ნიღბია, რომელიც თანამედროვე და ანტიკურ სამყაროს აერთებს. დამახინჯებული წარმოდგენა უზილავ ძალებზე, რასაც დანტე და მისი მეტოქე მილტონი აიდვალდებდნენ, მხოლოდ ნიღბი და მოსახხამია, რომლითაც მათ მარადიულობაში შეაბიჯეს. ძნელია იმის თქმა, თუ როგორ ესმოდათ მათ საკუთარსა და ხალხის რწმენებს შორის არსებული განსხვავება. დანტე, ყოველ შემთხვევაში ცდილობს ხაზი გაუსვას ამ განსხვავებას, — რიფიუსს, რომელსაც ვირგილიუსი „justissimus unus“ უწოდებს, ათავსებს სამოთხეში და ერეტიკულად ანაწილებს ჭილდოსსა და სასჯელს. მილტონის პოემა თვითონაა იმ სისტემის ფილოსოფიური უარყოფა, რომლის მთავარი და პოპულარული დამცველიც უნდა ყოფილიყო ის უცნაური და ბუნებრივი კონტრასტი. „დაკარგულ სამოთხეში“ არაფერი შეედრება სატანის მძლავრსა და დიდებულ სახეს. მცდარია აზრი, თითქოს ის ჩაფიქრებული ყოფილიყო როგორც ბოროტების პოპულარული განხანერება. შეურიგებელი სიძულვილი, უდრეკი ვერაგობა და დაუძინარი გამომგონებლობა მტრისთვის უხასტიკესი წამების მისაყენებლად — აი ესაა ბოროტება. ეს შეიძლება ებატოს მონას, მაგრამ მეფეს, — არახოდეს; დამარცხებულთან ის გამოისყიდება იმით, რაც კი აკეთილშო-

* სამართლიანობის საუკეთესო დამცველი (ლათ.)

ბილებს ამ დამარცხებას, გამარჯვებულთან შე-
სამჩნევი ხდება უვლელაფრით, რაც კი სახელს
უტენს მის გამარჯვებას. მილტონის დემონი
ზნეობრიობით ისევე აღმატება მის ღმერთს
როგორც თავისი მიწნისთვის შეუპოვარი, უში-
შარი მებრძოლი, იმას, ვინც უეჭველი ტრიუმფის
ცივი ხელშეუბებლობით აღჭურვილი მტერს
თავს ატენს საზარელ შურისძიებას არა იმის-
თვის, რომ იმან მოინანიოს და უარი თქვას თა-
ვის დატინებაზე, არამედ, რათა იგი მიიქცა-
ნოს ახალ სატანჯველთან მილტონმა იმდენად
შებლალა არსებული შენედეულება (თუ შეიძლება
ამას შებლალვა ეწოდოს), რომ ღმერთს არა-
ვითარი ზნეობრივი უპირატესობა არ მიაწერა
დემონთან შედარებით. აშკარა მორალიზების ეს
თამამი უარყოფა მილტონის გენიოსობის უვ-
ლაზე დამაჯერებელი საბუთია. მან საღებავებით
აურია ადამიანის ბუნების ელემენტები და შემ-
დეგ ჭეშმარიტების ეპიკურ კანონთა შესაბამისად
განაღვა გრანდიოზულ ტილოზე ისე, რომ გა-
რე სამყაროსა და გონიერ ეთიკურ არსებათა
ქცევები უოველთვის იწვევენ მომდევნო თაობა-
თა თანაგრძობას. „ღვთაებრივმა კომედიაში“ და
„დაკარგულმა სამოთხეში“ სისტემაში მოიყვანეს
თანამედროვე მითოლოგია, გაივლის დრო და
კიდევ ერთი ცრურწმენა შეიქმნება იმ მრავალ-
თა გვერდით, რომლებიც იშვინენ და გაქრნენ
დედამიწიდან, განმმარტებლები საქმის ცოდნით
შეუდგებიან ძველი ევროპის რელიგიის შესწავ-
ლას, რომელიც მხოლოდ იმიტომ არ იქნება და-
ვიწყებული, რომ გენიოსმა აწიარა მარადიუ-
ლობას.

პომეროსი პირველი, დანტე კი მეორე ეპი-
კური პოეტი იყო, რომელთა ნაწარმოებებს თავისი
და თავის მომდევნო ეპოქათა ცოდნასთან,
გრძნობებთან, რელიგიასა და პოლიტიკურ მდგო-
მარეობასთან გარკვეული და ნათელი კავშირის
დაღი ესვა და რომლებიც ვითარდებოდნენ ეპო-
ქის განვითარების შესაბამისად. ლუკრეციუსმა
თავისი მქროლავი ხულის ფრთები გრძნობიერი
სამყაროს ნაღველით დაამძიმა; ვირგილიუსი მი-
სი გენიოსთვის შეუფერებელი თავმდაბლობით
მიმბაძველობაზე ფიქრობდა, თუმცა ხელახლა
ქმნიდა იმას, რასაც ბაძვდა და მიმბაძველთა
მრავალრიცხოვანი გუნდიდან, მიუხედავად ტკბი-
ლი გალობისა, ვერც აპოლონ როდოსელმა, ვერც
ქვანტუს კალაბერმა სმირნიდან, ვერც ნონუსმა,
ლუკან სტაციუსმა თუ კლაუდიანმა ვერ შეას-
რულეს ეპიკური ჭეშმარიტების ვერც ერთი მოთ-
ხოვნა. მილტონი მესამე ეპიკური პოეტი იყო.
რადგან თუკი „ენეიდასაც“ კი ვერ მივაკუთვ-
ნებთ ეპიკურის წოდებას მისი უმაღლესი მნიშ-
ვნელობით, ეს მითუმეტეს შეეხება „გამძვინვა-
რებულ როდანდს“, „განთავისუფლებულ იერუ-

სალიმს“, „ლუიზიადებს“ და „ფერიების დედო-
ფალს“.



მაგრამ მოდი ნუ ვუღალატებთ პოეზიის დაც-
ვის მიზანს და ნუ გადავალთ მისი კრიტიკული
ისტორიისა და საზოგადოებაზე მისი გავლენის
შესწავლაზე. საქმარისია მივუთითოთ პოეტების
შეგავლენაზე, სიტყვის ვიწრო თუ ფართო გა-
გებით, მათ საკუთარსა და მომდევნო ეპოქებ-
ზე და მივუბრუნდეთ ჩვენი მტკიცების საწინა-
აღმდეგოდ მოყვანილ ზოგიერთ აზრს, რომელიც
გამოთქვა „პოეზიის ოთხი საუკუნის“ ავტორმა.

კიდევ ერთი საბუთის მოყვანით ცდილობს იგი
უარი ათქმევინოს პოეტებს სამოქალაქო გვირ-
გვინზე და ისინი მოაზროვნეებსა და მეცნიერებს
მიაკუთვნოს. ის აღიარებს, რომ წარმოსახვის
პროცესი განსაკუთრებული სიამოვნებაა, მაგრამ
ამტკიცებს, რომ გონიერება უფრო სასარგებლოა.
ამ მტკიცების საფუძველზე, მოდი ვნახოთ თუ
რა მიიჩნევა სარგებლობად...

უეჭველია, სარგებლიანობის მომხრეებს, ამ
შეზღუდული აზრით, თავისი ადგილი გააჩნიათ
საზოგადოებაში. ისინი პოეტების ნაკვალევს
მიმყვებიან და მათი შემოქმედების ნიმუშები
უოველდღიურ ცხოვრებაში გადააქვთ. ისინი
ქმნიან სივრცეს და უზრუნველყოფენ დროს.
დიდად ღირებულია მათი ცდები ვიდრე ისინი
იფარგლებიან ჩვენი ბუნების ქვენა მოთხოვნე-
ბით უმაღლესი მოთხოვნებისთვის ზიანის მიუ-
ყენებლად. მაგრამ როცა სკეპტიკოსი არღვევს
ძლიერ ცრურწმენებს, დაე მანაც, ზოგი ფრანგი
მწერლის მსგავსად, არ გაიშეტოს ის მარადი-
ული ჭეშმარიტებანი, რომელიც წარმოსახვას
ახასიათებს. როცა მქეპნიკოსი ამსუბუქებს და
პოლიტიკური ეკონომისტი აიოლებს შრომას,
მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ამ მოღვაწეობამ
ადამიანთა პირველი მოთხოვნილების, წარმოსახ-
ვის ნაკლებობის გამო შეიძლება მკვეთრად და-
აპირისპიროს ფუფუნება და გაჭირვება. ისინი
ახორციელებენ გამოთქმას: „უოველ მქონეს მი-
ეცემა და დაუბზავდება, ზოლო უქონელს ისიც
წაერთმევა, რაც აქვს“, მდიდარი უფრო მდიდრ-
დება, ლატაკი — ლატაკდება და სახელმწიფო კი
მშვიდად მიცურავს ანარქიის სცილასა და დეს-
პოტიზმის ქარიბდას შორის. ასეთია ანგარიშია-
ნობის ბატონობის გარდუვალი შედეგები.

ჭეშმარიტი სარგებლობა, სიამოვნების, სიტყ-
ვის უმაღლესი მნიშვნელობით, წარმოება და
უზრუნველყოფაა. ისინი, ვინც აწარმოებენ და
იცავენ ამ სიამოვნებას, პოეტები, ან პოეტი-
ფილოსოფოსები არიან. ...როგორი იქნებოდა

* თ. პიკოკი.

მსოფლიოს წინეობრივი სახე, რომ არ ყოფილიყვნენ დანტე, პეტრარკა, ბოკაჩიო, ჩოსერი, შექსპირი, კალდერონი, ლორდი ბეკონი და მილტონი. რომ არ გაჩენილიყვნენ რაფაელი და მიქელანჯელო, რომ არ ეთარგმნათ ძველებრალული პოეზია; რომ არ აღორძინებულიყო ბერძნული ლიტერატურის შესწავლა, რომ არ მოედწია ჩვენამდე ქანდაკების უძველეს ძეგლებს და რწმენის გაქრობასთან ერთად ძველი მსოფლიოს რელიგიური პოეზია რომ გამქრალიყო...

ჩვენ ბევრად მეტი წინეობრივი, პოლიტიკური თუ ინტორიული სიბრძნე გაგვაჩნია, ვიდრე მათი პრაქტიკული გამოყენების უნარი. მეტი მეცნიერული და ეკონომიკური განათლება, ვიდრე საჭიროა იმ პროდუქტის სწორი განაწილებისათვის, რომელსაც ისინი ამრავლებენ. აწროვნების ამ სისტემებში პოეზია დაგროვილი ფაქტებისა და ანგარიშების ქვეშაა მოქცეული. არ იგრძნობა იმ ცოდნის ნაკლებობაც, რომელიც შეაფასებდა, თუ რა უფრო ბრძნული და საუკეთესოა წინეობაში, მმართველობასა და პოლიტიკურ ეკონომიაში, ან ყოველშემთხვევაში, რა უფრო ჭკვიანური და უმჯობესია იმაში, რასაც დღეს აკეთებენ და რასაც უძლებენ ადამიანები. ჩვენ გვაკლია შემოქმედებითი უნარი, რათა წარმოვიდგინოთ ის, რაც ვიცით; გვაკლია სულგრძელობა განვახორციელოთ წარმოდგენილი. გვაკლია ცხოვრების პოეზია; — ჩვენი ანგარიშები უსწრებენ ჩვენს ჩანაფიქრებს; იმაზე მეტი შევქამეთ, რისი მონელებაც შეგვიძლია. მეცნიერების განვითარებამ, რომელმაც გაზარდა ადამიანის ბატონობა გარე სამყაროზე, პროპორციულად შეზღუდა შინაგანი სამყარო პოეტური უნარის უქონლობის გამო და ადამიანი, რომელმაც დაიმონა ხტიქია, თვითონაც მონად იქცა. რას უნდა მივაწეროთ, თუ არა მექანიკური მეცნიერებების განვითარებას, რომელმაც თანაფარდობა დაარღვია ყველანაირი ცოდნის საფუძვლის შემოქმედების საზიანოდ, რომ შრომის გაიოლებამ კიდევ უფრო გაზარდა უთანასწორობა ადამიანებს შორის? და რამ დაამძიმა, თუ არა აღმოჩენებმა, ადამის მოდგმის უბედურება? ამგვარად პოეზია და ადამიანი, რომელიც აშკარადაა განსახიერებული ფულში, სამყაროს ღმერთისა და მამონას წარმოადგენენ.

მართლაც რომ ღვთაებრივია პოეზია. ერთსა და იმავე დროს ის ცოდნის ცენტრი და მთელი სფეროა; მოიცავს ყველა მეცნიერებას, მასთან ყველა მეცნიერებას აქვს საერთო. ის აწროვნების ყველა სისტემის ფესვი და ყვავილია; ისაა ყველაფრის წყარო და ყველაფრის დამამშვენებელი. როცა მას ანადგურებენ, პოეზია აღარ იძლევა ნაყოფსა და თესლს და ცხოვრების

მწირი ხიდან საზრდო და ახალი ულორტები ქრება.

პოეზია ყველაფრის საუკეთესო და სრულყოფილი სახეა, ის იგივეა, რაც სურნელება და ფერი ვარდისთვის, უჭკობა სილამაზის ფორმა და ბრწყინვალება ანატომიისა და ზრწნისათვის. რა იქნებოდა ღირსება, სიუვარული, პატრიოტიზმი, მეგობრობა, რა იქნებოდა ჩვენი მშვენიერი სამყარო, რა იქნებოდა საფლავთან გოდება და რა გვანუგეშებდა სიცოცხლეში, პოეზიას რომ არ მოეტანა შუქი და სითბო იმ მარადიული ადგილებიდან, სადაც ვერ აღწევს ანგარიშის ზუსტობა უნარი? გონიერებისაგან განსხვავებით, პოეზიას ჩვენი გადაწყვეტილები-სამებრ ვერ მოვიხმართ. შეუძლებელია განცხადება „ახლა მე შევთხოვ ლექსს“, მითუმეტეს ვერ იტყვის ამას დიდი პოეტი, რადგან გონება შემოქმედების პროცესში მინავლებულ მუგუზალსა შგავს, რომელიც ცვალებადი ნიავის უჩინარი შემოქმედებით განათლება ხოლმე. ეს ძალია შიგნიდან მოდის, როგორც ყვავილის ფერი გაფურჩქვნის შემდგომ და ჩვენს ცნობიერებას არ შეუძლია მისი მოახლოებისა თუ გაქრობის წინასწარმეტყველება. ეს ძალია ხანგრძლივი და ისეთივე სუფთა და ძლიერი რომ იყოს, როგორც სათავეშია, გრანდიოზულ შედეგებს მივიღებდით; მაგრამ როცა ლექსის წერას იწყებს პოეტი, შთაგონების ძალი უკვე კლების გზაზეა და ყველაზე დიდებული პოეზიაც კი, საწყისი განწრაზვის სუსტ ანარეკლს თუ წარმოადგენს.

პოეზია უბედნიერეს და უბრწყინვალეს გონებათა უბრწყინვალესი და უბედნიერესი წუთების მატიაწეა. ზოგჯერ თითქოს რაღაცას მოგვაგონებს ხოლმე აზრისა და გრძნობის გაელვება, თუ ის რაიმე ადგილს, პიროვნებას უკავშირდება ან ჩვენს გონებას შეეხება; ეს წარმოუდგენლად აგვამაღლებს და აგვიტაცებს, მიუზღდავად იმისა, რომ ყოველთვის მოულოდნელად ჩნდება და ქრება. ასე რომ, მის შემდგომ დარჩენილ სურვილსა თუ სინანულშიც კი მხოლოდ სიბარუღია, რადგან ეს თვითონაა პოეზიის ნაწილი. პოეზია ჩვენს ხულში რაღაც ღვთაებრივის შემოფრენაა, მისი ნაკვალევი ზღვის ქარივით მხოლოდ ნაპირის ქვიშაზე თუ აღიბეჭდება ნაოჭის სახით. ეს და ამის მსგავსი მდგომარეობა მხოლოდ უაღრესად მგრძნობიარე და წარმოსახვის განსაკუთრებული უნარის მქონეთა ხვედრია; მათი გონება ებრძვის ქვენა სურვილებს. ძირითადად ამგვარ ემოციებთანაა დაკავშირებული ღირსება, სიუვარული, პატრიოტიზმი, მეგობრობა, და ვიდრე ამის განცდის უნარი გააჩნია, ადამიანი თავს იმად თვლის, რაც სინამდვილეშია — სამყაროს უმცირეს ნაწილაკად. პოეტები, როგორც დახვეწილი არსებები, სულის მხოლოდ ამგვარ მდგომარეო-

ბას როდი განიცდიან, მათ შესწევთ ძალა თავისი შემოქმედების ნიმუშები ზეციური სამყაროს შემოქმედელი ფერებით შეაფერადონ: წარმოდგენილი სცენისა და ვნების ერთ სიტყვას, ერთ შტრიხს შეუძლია შეარხოს და გააცოცხლოს წარსულის მძინარე, ყინულად ქცეული, დასამარებელი ხატის ჭადოსნური სიმი. ამგვარად, პოეზია უკვდავსა ხდის ყველა საუკეთესოსა და ულამაზესს; ის ატყვევებს ცნობრების წარმავალ ჩვენებებს და ენისა თუ ფორმის საბურავით შემოსილებს სიხარულის დამატკბობელ ამბებად უგზავნის კაცობრიობის ნაწილს, რომლის სულსაც განუცდია მსგავსი გრძობები, მაგრამ რომელთაც არ ძალუძთ მინი გამომედავენება. პოეზია, ადამიანის ღვთაებრიობის წუთებს უკვდავყოფს.

...ინგლისის ლიტერატურა, რომლის მძლავრი განვითარება მიუდამ მოსდევდა ან თან ახლდა ეროვნული ნების დიდ და თავისუფალ გამოვლინებას, ხელახლა აღსდგა, თითქოს ხელახლა იშვაო. მიუხედავად გონებაშეზღუდული შურისა, რომელიც ცდილობს დაამციროს თანამედროვე მონაპოვარი, ჩვენი საუკუნე ღირსსახსლოვარი ინტელექტუალური მიღწევების საუკუნეა და ჩვენ ისეთ ფილოსოფოსთა და პოეტთა შორის ვარსებობთ, რომლებიც შეუდარებლად მაღლა დგან: სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლებისთვის უკანასკნელი ეროვნული ბრძოლის შემდეგ

გამოჩენილებთან შედარებით, პოეზია აზრისა და საზოგადოების კეთილშობილი ძალებისთვის გამოვლიძებული ხალხის ყველაზე ერთგული მაცნე, მიმდევარი და თანამებრძოლია. ასეთ დროს დაგროვილი ენერჯია საშუალებას უჭამლევს შევიშუშავოთ და გამოვთქვათ მძაბრნი და უნიანი აზრი ადამიანისა და ბუნების საღიღებლად. ვისაც ეს ძალა გააჩნია, ხშირად ნაკლებად შეესაბამება სიკეთის იმ სულს, რომლის დესპანიც არის. მაგრამ მაშინაც კი, როცა განუდგებიან და უარყოფენ, ისინი იძულებული არიან ემსახურონ მათი სულის ტახტზე მჯდომ ამ ძალას. შეუძლებელია წაიკითხო თანამედროვე ყველაზე ცნობილი მწერლების ნაწარმოებები და არ შედრკე იმ ცეცხლის წინაშე, რომელიც თითოეულ სიტყვაში ანთია. ისინი თავისი უოვლისმომცველი, ყველგან შემღწევი სულით ზომავენ ადამიანის ბუნების სიღრმეებს და ყველაზე მეტად ალბათ თვითონვე უკვირთ მისი ძლიერების გამოვლენა, რადგან ეს უფრო საუკუნის სულია და არა მათი. პოეტები მიუწვდომელი შთაგონების ქურუმები არიან, აწმყოში ისინი მომავლის გიგანტურ ანარეკლებს ამჩნევენ და წარმოთქვამენ სიტყვებს, რომლებიც თვით მათთვისაც გაუგებარს გამოხატავს. პოეტები საყვირებივით ბრძოლისკენ მოუწოდებენ, მაგრამ თვითონ არ ეხმით ამ მოწოდების. ესაა ძალა, რომელიც თვითონ არ იძვრის, სხვებს კი ამოძრავებს. პოეტები მსოფლიოს უკვირგვინო კანონმდებლები არიან.

სამუელ ტაილორ კოლრიჯი

საუბარი მაგიდასთან

(პროზა და პოეზია)

პროზაზე ამბობენ, იგი სათანადო ადგილზე დასმული მართებული სიტყვებიაო; პოეზია კი მაშინ უმართებულესი სიტყვების ზუსტი შერჩევაა. მართებულობა ორივეგან შეფარდებითია. პროზაში ნაგულისხმევი აზრი სიტყვებმა უნდა გამოხატონ და მეტი არაფერი; დიდი შეცდომა იქნებოდა, თუკი თვითონ სიტყვები მიიქცევდნენ მკითხველის ყურადღებას, დაწვეწილი სტილის პროზის კითხვისას, როგორცაა, მაგალითად, საუთის პროზა, ერთ გვერდს ლაღად მიხდევს მეორე, შესანიშნავად გესმით ავტორისა და ერთხელაც ვერ შენიშნავთ კომუნიკაციის მედიუმს, თითქოს თვითონ ავტორი გესაუბრებოდათ

მთელი ამ ხნის განმავლობაში. მაგრამ, ჩემი აზრით, ლექსი უფრო მეტს მოითხოვს; აქ თვითონ სიტყვები, საშუალებები უნდა იყოს მშვენიერი და მათ უნდა მიიქციონ ყურადღება — მაგრამ ზომიერად და არც ისე მომაბეზრებლად, რომ დაინგრეს ერთიანობის ის შეგრძნება, რასაც ლექსი გვანიჭებს. ეს ზოგადი წესია, თუმცა, რა თქმა უნდა, იცვლება კიდევ პროზისა და პოეზიის ნაირსახეობისდა მიხედვით. ზოგჯერ პროზა შესაძლოა პოეზიას დაუახლოვდეს, როგორც მქვერმეტყველება, და ამდენად გამოხატვის საშუალებებიც უფრო გულდასმით უნდა შეიჩრეს; ზოგი ლექსი კი უფრო მარტივ თხრობას წააგავს და შესაბამისად იქ სტილიც

უნდა გამარტივდეს. მაგრამ პოეზიაში ყველაზე
დიდი მნიშვნელობა მთლიანობის შთაბეჭდი-
ლების ეფექტს ენიჭება და ცალკეულ ნაწილთა
შეტისშეთი სისავსე და ბარაქიანობა ამ ეფექტს
უდავოდ გაანეიტრალებს. ვანა მოიძებნება ისე-
თი ვინმე, მიუბიძგასიდან ას პწკარზე შეტს
რომ წაიკითხავს და ისიამოვნებს? უოველი წყვი-
ლი-ტაეპი თუ ოთხსტრიქონიანი სტროფი იმ-
დენად სრულყოფილია თავისთავად, რომ გაგი-
ჭირდებათ მათი ერთმანეთთან დაკავშირება,
როგორც სენეკასთან, აქაც არ ხდება შერწყმა.

შექსპირი, მილტონი

შექსპირი სპინოზისდარი ღვთაებაა — მარა-
დიული შემოქმედი, მილტონი — მარტოსული
წინასწარმეტყველია და ისე მიაქროლებს ცეც-
ხლოვან ეტლს, რომ ცხენები სრბოლის მომთოკ-
ველ რკინის ლაგამსაც გრძნობენ. შექსპირის
პოეზიას ინდივიდუალობა აკლია, არ ასახავს
მის პიროვნებას; ჯონ მილტონი კი „დაკარგული
სამოთხის“ თვითოეულ პწკარში ჩანს. შექსპირის
გარითმული ლექსები უაღრესად დამუხტული
ბასრწახნაგებიანი ეპიგრამებია. თეთრი ლექსით
დაწერილ დრამებსა და მისეულ სიტყვაშრავლო-
ბაშიც კი — ყველგან იგრძნობა გამაერთიანე-
ბელი სიახლე. შექსპირის სილიადეს სრულად
შევიცნობთ, თუ მას მისი დროის სხვა დიდ
დრამატურგებს შევადარებთ და მკაფიოდ დავი-
ნახავთ, თუ რაოდენ აღემატება იგი სხვებს.
მისი რიტმიც იმდენად სრულყოფილია, გარწ-
მუნებთ, ვერ შეიგრძნობთ ფრაზის მთელ ძა-
ლას, თუ კითხვისას წაიბორძიკეთ. შექსპირისე-
ული ნახევარტაეპისა თუ დაუსრულებელი
პწკარის შემდგომი აზრობრივი პაუზა დაახ-
ლოებით იმდენსაცე დროს მოითხოვს, რამდენ-
საც მთელი ლექსის წაკითხვა.

ფაუსტი, გოეთე, შილერი

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გოეთეს ფაუსტს არ
ვიცნობდი, თუმც, რა თქმა უნდა, მარტოსი
შვე წაკითხული მქონდა, ჩავიფიქრე და გეგ-
მაც კი დავსახე შემეჭმნა დრამა, რომელიც
იგივე უნდა გამხდარიყო ჩემთვის, რაც ფაუსტი
გოეთესათვის. ჩემი ფაუსტი მაიკლ ხკოტი იყო,
ფაუსტზე უკეთესი და უფრო ცხოვრებისეული.
ენტუზიაზმითა და სიცოცხლით აღსავსე მაიკლი

კოლეჯში ტრიალებდა ერთგულ მოწაფეთა შო-
რის და თავის აზრებსა და აღრბენებს ავრცე-
ლებდა, რომელთაც შემდგომ უფრო აღრმავებ-
და; ის ყველას შთააგონებდა, რომ ძალაუფლე-
ბის მოპოვების ერთადერთი გზა — მუშაობისა და
მისი საიდუმლოებების შესწავლა იყო. ცოდნა
მას ცოდნისთვის კი არ უნდოდა, არც რაღაც
უდიდეს ჯილდოდ მიიჩნევდა მას, ცოდნა მარ-
ტოოდენ ძლიერების მოსაპოვებლად სწყუროდა.
ეს შხამი მის გონებას დასახამიდან წაშლავდა.
ფაუსტის თემად თავდაპირველად ცრუმეც-
ნიერებების შედეგები იყო ჩაფიქრებული, ან
ზიზლი და დაკნინება ცოდნისა, რომელსაც ძირ-
შივე ჩახშობილი სწავლის მძაფრი სურვილი
იწვევს. მაგრამ ცოდნა ცოდნისათვის, რაღაც
წმინდა მიზნებისათვის, არასდროს არ შობს ამ-
გვარ ცრუმეცნიერებას, არამედ აღძრავს სიყვა-
რულს მისდამი, როგორც მდაბალი და გამოუ-
სადეგარი მიზნისადმი. ფაუსტში არ ჩანს არც
მიზეზი და არც განვითარება, ის თავიდანვე
მზა ჯადოქარია. ეჭვი პირველი სტრიქონიდანვე
შეგაპყრობთ — შეუთავსებელია მგრძნობიარო-
ბა და ცოდნის წყურვილი. ჩინებულია მეფის-
ტოფელიცა და მარგარიტაც, ოვით ფაუსტი კი
მოსაწყენი და უაზრო. აუერბახის სარდაფები
ერთ-ერთი საუკეთესო სცენაა, ალბათ ყველაზე
კარგიც. კარგია ბროკენზე სცენაც, ყველა სიმ-
ღერა მშვენიერია. და ნაწარმოებს მაინც აკლია
მთლიანობა; სცენები ჯადოსნური ფარნის მარ-
ტივ სურათებს მოგვაგონებს და ნაწარმოები-
დიდი ნაწილი ერთფეროვანია. ენა გამჭვირვალე
და დახვეწილია.

გერმანელი თუ ინგლისელი ახალგაზრდებან
იმ ნაწილს, ლორდ ბაირონს რომ ეთაყვანებოან,
გოეთე ურჩევნია შილერს; თუმც დამერწმუნეთ,
გოეთე არასდროს გაბატონებულა და ვერც
გაბატონდება გერმანელი ხალხის გონებაზე, რო-
გორც შილერი. შილერის ინტელექტუალურ პი-
როვნებაში ორი ფაზაა გაერთიანებული: ერთი
„უაჩაღების“, რომელსაც ვერ დავაყენებთ
შექსპირის პიესების გვერდით, მაგრამ უმჭვ-
ლად ძლიერია, როგორც ნაწარმოები მატერი-
ალურ განდიდებაზე. ეს პიესა ერთობ გულწრფე-
ლია და ღრმადაა გაუღენთილი ავტორის სუ-
ლით. ამის შემდეგ შილერი წყვეტს მსგავსი
დრამების წერას და ერთადერთ სწორ გზას
ირჩევს — იწყებს თავის გრანდიოზულ ისტო-

რიულ დრამას „ვალენშტაინს“. ეს მძაფრი ენე-
ბების დრამა კი არა, — შილერის არ იყო ამ-
გვარი წერის ოსტატი — არამედ უფრო დიფუ-
ზური ისტორიული ნაწარმოებია, სადაც ავტო-
რის მრავალმხრივ შესაძლებლობებს სრული გა-
ქანების საშუალება მიეცა. „ვალენშტაინი“ მისი
უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. ის არ მგავს
შექსპირის ისტორიულ დრამებს — ეხოლენ
თვითმყოფად ნიშნებს. თქვენ შეგიძლიათ აი-
ღოთ ნებისმიერი სცენა და ის უდიდეს სიამოვ-
ნებას მოგანიჭებთ, „დონ-კისოტის“ მსგავსად,
რასაც თავიდან ბოლომდე ერთი-ორჯერ თუ წა-
იკითხავთ, ცაღკეულ თავებს კი მრავალჯერ
დაუბრუნდებით. შილერის გონების სიმტკიცესა
და ორიგინალობას თავისი თეორიების კვალი
დაატყვეს როგორც გოეთემ, ისე სხვა მწერ-
ლებმაც. „ვალენშტაინის“ შემდგომ ყველა ნა-
წარმოებში იგრძნობა შილერის გემოვნებისა და
შემოქმედების პრინციპების მერყეობა. მას აზ-
რად მოუვიდა, ხელახლა წარმოედგინა მოქმედ
პირებს მოკლებული და ქორითი ამეტყველე-
ბული ბერძნული ტრაგედია „მესინელი პატარ-
ძალი“ და მასში მრავალი ღირიული ლექსის
ჩართვაც მოიწადინა. შილერი ზოგჯერ აბუჩად
იგდებდა „ყაჩაღებს“ და თავისი ახალგაზრდო-
ბის სხვა პიესებს, ნაცვლად იმისა, რომ ისინი
თავისთავად შესანიშნავს, თუმცა არასრულყოფი-
ლად ნაწარმოებებად ელიარებინა. უმშვენიერე-
სია გოეთეს ბალადები და ლირიკა. ძნელია ამ
მხრივ მისი დამსახურებული შექება. მე მომ-
წონს „ვილჰელმ მაისტერიც“ — გოეთეს საუ-
კეთესო პროზაული ნაწარმოები. და მაინც ვერც
გოეთესა და ვერც შილერს ვერ შევადარებთ
ლესინგის პროზას, რომლის მანერა უდავოდ
სრულყოფილია.

ერთ დროს, დიდი ხნის წინათ, დაფინებით
მთხოვეს შეთარგმნა „ფაუსტი“ და მეც იმდე-
ნად გამიტაცა ამ წინადადებას რომ უფრადლე-
ბით წავიკითხე იგი; მაგრამ მაკელსკოტზე დაწე-
რის სურვილი განმიახლა. დიდხანს ვყოყმანობ-
დი, ვფიქრობდი, რომ უფლება არ მქონდა შე-
თარგმნა ინგლისურად და ამდენად მხარი და-
მეჭირა ენისთვის, რომელსაც ვულგარულად და
შეურაცხყოფელად მივიჩნევდი. თქმა არ უნდა,
არ გავმბდარვარ „ფაუსტის“ მთარგმნელი.

დუმილი ყოველთვის ხიბრძნეს არ ნიშნავს.
ერთხელ სუფრას ვუსხედით მე და ერთი კაცი.
ხმისამოუღებლად მისმენდა, თავს მიქნევდა და
მეც ჭკუით აღსავსე მეგონა, სადილის ბოლოს
ცომში შემწვარი ვაშლები შემოიტანეს და ერთი
უნდა გენახათ, როგორ აღგზნებული წამოიჭრა
ეს კაცი: „ეს ხომ ჩემი საყვარელი სასუსნა-
ვია“. ნეტავი ერთი სპურჯაიძის ჩაახედა მის
ტვინში.

ზოგიერთი ეპითეტებს ისე ექცევა, როგორც
პატარა ბიჭები ლათინურ ლექსებს. მახსოვს,
როცა პირველად ვნახე „კლაიდის ჩანჩქერები“,
სიტყვა ვერ ვპოვე ჩემი გრძნობის გადმოსაცე-
მად. ბოლოს ვილაცამ, ჩემთან ერთად რომ მო-
ხულიყო, ჩაილაპარაკა: „რა დიდებული რამ
არის!“ ეს იმდენად კარგად იყო ნათქვამი, რა
მე მას მივუბრუნდი და ვუთხარი: გმაღლობთ,
ბატონო! ეს ზუსტად რომ შეხაფერისი სიტყვაი-
მეთქი. — მაშინ მან ბრყველად დაუმატა: „იფ,
რა ლამაზია!“.

ერი ხალხის ერთიანობაა. მეფე და პარლამენ-
ტი გათვალსაჩინოებული ერთიანობა. მეფე და
პერებიც ისეთივე განუყოფელი ნაწილებია ამ
აშკარა ერთიანობისა, როგორც უბრალო ხალხი.





დროდადრო თეატრის ცნო-ვრებაში დგება უამი, როდესაც იგი წყვეტს პროგრესს და იუინება ერთ წერტილში. ამ მომენტს თეატრალური კრიზისს უწოდებენ ხოლმე ასეთ კრიზისს განიცდიდა 70-იანი წლების ფრანგული თეატრი. მის შესახებ პრესაში წერდნენ: „1988 წელმა ფრანგულ თეატრს ვერ მოუტანა მნიშვნელოვანი გამარჯვება. პარიზში და პროვინციაში ნაწვენები იყო ბევრი ახალი პრემიერა, საინტერესო რეჟისორული და აქტიორული გადაწყვეტით, მაგრამ არც ერთი სპექტაკლი არ გამხდარა მოვლენა ან მხატვრული აღმოჩენა ქვეყნის თეატრალური ცხოვრებაში. პრესა განუწყვეტლივ „წუწუნებდა“. თანამედროვე სპექტაკლების შესახებ სარისხვით და ხანაც მოთმინებით წერდნენ. 1970 წლის იანვარში ჟურნალ „ნუველ ლიტერერში“ დაიბეჭდა კრიტიკოს მ. გალეს სტატია, რომელშიც ავტორი ცდილობდა უარყოფით თანამედროვე თეატრის უამედობა.

„კრიზისი რომ რეალურად არსებობდეს — აღნიშნავდა ავტორი — ფრანგული თეატრი დიდი ხანია არსებობას შეწყვეტდაო. ასეთი ოპტიმიზმის მიუხედავად იგი ათი დახასიათებული სპექტაკლიდან არც ერთს არ ამღევდა უპირატესობას, თუმცა კლასიკოსთა რეპერტუარზე დაურდნობით შექმნილი სპექტაკლებიდან გამოყოფდა პლანშონის „სიღს“ (კორნელის მიხედვით) და აღტაცებით აღნიშნავდა, უკმათოდ მოიპოვა წარმატებაო. მოგვიანებით კი კრიტიკოსები წერდნენ, რომ ფრანგი რეჟისორი როჟე პლანშონი სამართლიანად იმსახურებდა აღვილს ჟან-ლუი ბაროსა და ჟან ვილარის გვერდით.

ნიკიერი რეჟისორისა და დრამატურგის როჟე პლანშონის ცხოვრება და შემოქმედება ჩვენს ქვეყანაში არ არის შესწავლილი. დაბეჭდილია მხოლოდ საბჭოთა კრიტიკოსების მ. შაენკოსა და ტ. იაკიმოვიჩის რამდენიმე სტატია მისი დადგმების შესახებ. ამიტომ, ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს მოკლედ მოვუთხროთ საინტერესო შემოქმედის შესახებ.

როჟე პლანშონმა 1988 წელს, პიერ კორნელის პიესის მიხედვით დადგა „სიღი“, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია. პიესა შინაარსობრივად გადაკეთებული და გამოწეული იყო თეატრალური კრიზისისა და სხვა თეატრალური პრობლემების წარმოსაჩენად. სპექტაკლმა მაყურებლისა და კრიტიკის გამოცდას გაუძლო და

დიდი მოწონება დაიმსახურა. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი წერდა: „პლანშონს სურს დაგვაჭეროს, რომ სპექტაკლში დაგვანაბა თეატრალური კრიზისი, მაგრამ მოხდა პირიქით. სპექტაკლი თავისი სიმშვენიერით და სიძლიერით კრიზისის უარყოფას უფრო ქადაგებს და ამტკიცებს, რომ თვით საშინელი თეატრალური კრიზისის დროსაც კი შეიძლება ნამდვილი ნაწარმოების შექმნა“.¹

როჟე პლანშონმა კორნელის პიესის სრულიად ახალი ინტერპრეტაცია მიაწოდა მაყურებელს. სცენაზე პაროდირდებოდა ის მწერლები, დრამატურგები და რეჟისორები, რომელთა ნაწარმოებები და სპექტაკლები ხუხტია. ავტორების დასასჯელად სცენაზე ჩნდებოდა პორტრეტების მთელი გალერეა (ანბანის მიხედვით), რომელთა რიცხვშიც აღმოვიგინებთ დაწყებული შედიოდნენ ბეკეტი, იონესკო, თვით კორნელი, პლანშონი და სხვ. პიესის გმირები ტყვიას ესროდნენ პორტრეტებს, ე. ი. აწამებდნენ მათ და სჭიდნენ „ხუხტი“ ნაწარმოებებისათვის. სპექტაკლის სათაურიც ამაზე მიგვანიშნებს: „დადგმა პიერ კორნელის ცნობილი პიესისა „სიღი“ და ავტორთა სიყვდილით დასჯა“. მინიატურულ სკეტჩებში პაროდირებული იყო ვოდევილი, სხვადასხვა თეატრალური ჟანრი, თანამედროვე თუ კლასიკოსი დრამატურგი“.² გმირები თითქოს კომიქსების ფურცლებიდან ჩამოდიოდნენ და სვამდნენ უამრავ კითხვას: რა არის თეატრი, როგორი უნდა იყოს იგი, რატომ ხდება თეატრი ბურჟუაზიული და სხვა და სხვა. ციტატები და რეპლიკები ამოღებული იყო ფრანგული ჟურნალებიდან „ელი“, „ექსპრესი“ და სხვ. კითხვაზე, თუ რა არის თეატრი, პასუხი სხვადასხვაგვარი იყო: „შესასვლელი“, „გასასვლელი“, „შესასვლელი და გასასვლელი ერთდროულად“, „თეატრი ენაა, სიტყვები, უსტები, საგნები, დეკორაციები, მოქმედებები, ყველაფერი რაც ემსახურება ასახვას“ და სხვ.

თვით პლანშონი გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნავდა: „ამჟამად ჩვენი თეატრი საშინელ კრიზისს განიცდის, რომელიც ხუთი-ექვსი წლის წინ დაიწყო. ჯერ კიდევ მაშინ ვგრძნობდით, რომ რაღაც დამთავრდა, მაგრამ არ ვიცოდით, რა გზას დავდგომოდით...

¹ За рубежом, № 8, М., 1968, Маенко, стр. 143.
² Ybid.

„წამება „სიღისა“ არის სპექტაკლი 1969 წლის თეატრალური კრიზისის შეხახებ, იმ ესთეტიურ და სოციალურ წინააღმდეგობებზე, რომელნიც დაკავშირებულია თეატრთან და მაყურებელთან“. სპექტაკლის „ბურღესკური“ ტონის შეხახებ კი შენიშნავდა: „არის წუთები, როცა მხოლოდ ხუმრობით შეიძლება ლაპარაკი. სპექტაკლისათვის სერიოზული „იერი“ რომ მიმეცა, უაზრო სირთულეებს წავაწყდებოდი. ასეთი ხერხით კი შემიძლია თავს ნება მივცე ვთქვა ყველაფერი...“

„ნუველ ობსერვატორი“ წერდა „სიღის“ შესახებ: „ეს იყო თეატრალური ხელოვნების ნაშრომი დღესასწაული“.

ამ მოკლე ინფორმაციებიდან ნათლად ჩანს როგორ აღაწერა პლატონის პოპულარობა თავის ქვეყანაში. იგი თანამედროვე ფრანგული თეატრის ცხოვრებაში მართლაც მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ფიგურას წარმოადგენს. გარდა რეჟისორის ფუნქციისა მას უამრავი როლი აკისრია, არის ცნობილი დრამატურგი და ხშირად თამაშობს საკუთარ პიესებში. არტურ ადამოვის შემდეგ მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის „პოლიტიკური დრამის“ განვითარებაში, არის „სახალხო თეატრის“ (TNP) შეუდარებელი ნოვატორი.

1957 წლიდან როგორც პლატონი ვილერბანის (ლიონი) „ტეატრ დე ლა სიტეს“ ხელმძღვანელია. ამ მოვალეობას იგი დღემდე კეთილხინდობიერად ემსახურება.

როგორც პლატონის რეჟისორული მრწამსის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა თეატრის ორმა დიდმა კორიფემ: ჟან ვილარმა (სახალხო ეროვნული თეატრის — TNP-ფუძემდებელმა) და პოლიტიკური თეატრის მამამთავარმა ბერტოლტ ბრენტმა.

საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პლატონზე „ბერლინერ ანსამბლმა“. იგი არტურ ადამოვისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: „ბრენტის თეატრის ნახვის შემდეგ საშინელი უიმედობა დამეუფლა, რადგანაც ვერ წარმომედგანა ასეთი ძლიერი სპექტაკლების შემდეგ მგზვრებინა ჩემი უხუსური დადგმები“.1 ან კიდევ: „ბევრი რომ ვისწავლე მისგან (ბრენტისგან), მისით ეხელმძღვანელობდი და ვიკაფავდი გზას“.2 როგორც პლატონი მართლაც ხელმძღვანელობდა ბრენტის უდიდესი თეატრალური გამოცდილებით, მდიდარი რეჟისორული პრაქტიკით, ენთუზიკით და ბოლომდე მის ერთგულ მიმდევრად დარჩა. პლატონის შეხახებ ხშირად ამბობენ, რომ იგი ყველაზე დიდი „ბრენტისტია“ თანა-

მედროვე რეჟისორებსა და დრამატურგებს შორის.

„სახალხო თეატრში“ ჟან ვილართან მუშაობის პერიოდში (1958-1959 წ.) როგორც პლატონმა შეისისხლხორცა მისი დევიზი — „თეატრი უკლასათვის“. ეს წლები პლატონის შემოქმედებაში უდიდესი გარდატეხის წლები იყვნენ. იგი ჟან ვილართან ერთად იბრძოდა თეატრსა და მაყურებელს შორის კონტაქტების აღსადგენად, რადგანაც მეორე მსოფლიო ომმა ხალხთა მასები დააშორა თეატრს. მხოლოდ „სახალხო თეატრების მოძრაობამ“ შეძლო ამ პრობლემის გადაჭრა. „თეატრი უნდა გახდეს მაყურებელთა სკოლა“, „თეატრი უნდა იყოს ყველასათვის მიხაწვდომი და გასაგები“, — აღნიშნავდა პლატონი

„ვილერბანის „ტეატრ დე ლა სიტეს“ პირველი მაყურებლები იყვნენ მუშები, რომლებიც თეატრში ადრე არასოდეს დადიოდნენ. მათ ჩვენს თეატრში მოსწონდათ ისტორიული ეპოპეის მრავალფეროვნება, პოლიტიკური სიუჟეტები, ბრძოლები მოწინააღმდეგე ბანაკებს შორის, დინამიზმი, ვესტერნი, ის რეალისტური მხურათები, რომელნიც მათაც შეიძლებოდა გადახედოდათ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, ის რაც მაყურებელს იტაცებდა კინოში, იქონა თეატრში“.

1974 წლის ავინიონის ფესტივალზე კი პლატონმა აღნიშნა: „არსებობს ისეთი მაყურებელი, რომლის აზრსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მხატვრებისათვის, ვიდრე ზოგიერთები ფიქრობენ. მაყურებელს, რომელიც მოწყურებულია ნაშრომად აღმოჩენებს, უკეთ ვბოულობთ გასტროლების ანდა სპექტაკლების შემდეგ გამართული დისკუსიების დროს“.

როგორც პლატონის შემოქმედების ქვაკუთხედს წარმოადგენს რეჟისორული მოღვაწეობა. მისი პირველი რეჟისორული ნაბიჯები იწყება 50-იან წლებში, პარიზის პატარა კლუბებში, სადაც ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად (კლოდ ლოში, ალენ მოტე, იზაბელ სადუაიანი, რობერტილიბერი) დგამს ერთმომქმედებიან პიესებს. ეკონომიური უსახსრობის გამო მათ ვერ მოამზადეს ბევრი სპექტაკლი და ვერც ლიონის თეატრალურ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა.

პარიზში ყოფნისას ახალგაზრდა პლატონი თეატრების ხშირი სტუმარი იყო. მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა თეატრალური ჯგუფის „გრენიე უსენოს“ (უზენოს სხვენი) დადგმებმა: „პარადი“, მოლნარის „ლილიომი“, დიუმას „სამი მუშკეტერი“ და სხვ.

მაღე იგი ლიონს უბრუნდება და დრამატულ ხელოვნებაში სტაფირებას გადის იუბერ უინიუს-

12 Les Lettres Franqaises, Cahier 5, 6, P. 1960.

3 E. Copfermann, Le Théâtre de R. Planchon, P. 1977, p. 120.

4 T.D.C. № 145, P. 1945, p. 3.

თან დიდი გულმოდგინებით ეწაფება ყველაფერს, რაც კი თეატრთანაა დაკავშირებული. და აი, პირველი წარმატებაც...

1950 წელს მაკონში გამართულ ფესტივალზე როსე პლანშონმა მაყურებელს უჩვენა სპექტაკლი „ჩექმები და გახამებული საყელღები“ (კურტელინის პიესის მიხედვით), რისთვისაც პარიზი დაიმსახურა.

რ. პლანშონის თეატრალური ჯგუფი თანდათან გაიზარდა. მას შეუამხანაგდნენ შან ბუიზი (ამჟამად ცნობილი რეჟისორი და მსახიობი), ჯულია დანკური, ჟორჟ ბარიე.

1951 წელს ლიონის მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ ფესტივალზე პლანშონმა დადგა „მეფეთა ლამე“ — შექსპირის მიხედვით.

შენობის უქონლობის გამო პლანშონი დასოსათვის პატარა კლუბებსა და მანსარდებს ქირობდა. ერთ ასეთ კლუბში დადგა ბენ ჯონსონის „ვოლფონე“. კლუბის პატრონს სპექტაკლი არ მოეწონა და პლანშონს კლუბში მუშაობა აუკრძალა. განუხორციელებელი დარჩა კოკტოს „ანტიგონე“, შექსპირის „უინძორელი მხიარული ქალები“ და სხვ.

როსე პლანშონს ყველა დროის შემოქმედი აინტერესებდა. ერთნაირი გატაცებით კითხულობდა იგი იონესკოსა თუ ანტუანს, ადამოვს თუ რასინს.

1953 წლიდან პლანშონის რეჟისორული რეპერტუარი უფრო და უფრო გაიზარდა. მან დადგა სპექტაკლები: გელდეროდის „ბალადა დიდ შაკაბრზე“, კალდერონის „ცხოვრება სიზმარია“, რენე შარის „კლერი“, ადამოვის „პროფესორი ტარანი“, მარლოს „ედუარდ II“, ბრეტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“, კლანსტის „გატეხილი დოქი“.

1957 წელს ლიონის მუნიციპალიტეტმა როსე პლანშონი დანიშნა „ტეატრ დე ლა სიტეს“ ხელმძღვანელად. თეატრის სეზონი გაიხსნა შექსპირის პიესით „მენრი IV“ (დამდგმელი რეჟისორი რ. პლანშონი). ამავე წელს მან დადგა დიუმას „სამი მუშკეტერი“, მოლიერის „ჟორჟ დანდენი“, მარივოს „ხიყვარულის მეორე საოცრება“.

1960-1963 წლებში პლანშონის რეჟისორულმა მოღვაწეობამ მწვერვალს მიაღწია. მან სცენაზე გააცოცხლა მოლიერის, რასინის, შექსპირის, მალოს, ბენ ჯონსონის, კორნელის, ჩეხოვის, გოგოლის, თანამედროვე დრამატურგების ბრეტის, იონესკოს, ადამოვის პიესები.

1960 წელს პლანშონის დასი გაემგზავრა იტალიაში, ხადაც „ტეატრ პიკოლოს“ სცენაზე წარმოადგინა მოლიერის „ჟორჟ დანდენი“, გოგოლის „მკვდარი სულელები“, ბრეტის „შვეიცი მეორე მსოფლიო ომში“.

1963 წლიდან იწყება „ტეატრ დე ლა სიტეს“ გასტროლები ვარშავაში, ბუქარესტში, სოფიაში, ბუდაპეშტში, ამსტერდამში, მოსკოვში, ლენინგრადში, ალჟირში, კონსტანტინოპოლში. მკუხარე ტაშით შეხვდა მაყურებელი რეჟისორის შესანიშნავ ნამუშევრებს.)

1968 წელს რეჟისორმა ძველი რეპერტუარი განაახლა პიესებით: „ტროილუსი და კრესიდა“ (შექსპირი) „ბერენიკე“ (რასინი). ისევ გასტროლები: — ამჟერად მამბურგში, კოპენჰაგენში, სტოკჰოლმში, ციურიხში, ვენაში, მილანში, რომში, სტრასბურგში, ლონდონში, 1968 წელს კი ამერიკაში. პლანშონის მიერ დადგმულ პიესებს ყველგან დიდი ინტერესით ხვდებიან და ჯეროვნად აფასებენ რეჟისორის დამაჯერებელ ოსტატობას, დაუშრეტელ ფანტაზიას.

1969 წელს „სიტეს“ სცენაზე იდგმება რასინის „ბერენიკე“, რომელიც სიღისაგან განსხვავებით სულ სხვა ამბლუაშია გადაწყვეტილი. თუ „სიდში“ რეჟისორი გვესაუბრება თეატრის კრიზისის შესახებ, აკრიტიკებს ზოგიერთ თანამედროვე დრამატურგს, „ბერენიკეში“ არ იგრძნობა კრიტიკული მიდგომა თანამედროვეობისადმი. „რეჟისორი არ ასხვადრებს ტექსტს, არ ამატებს რეპლიკებს, პირიქით შედმიწევნით მიბუვება მას. იგრძნობა სერიოზული რეჟისორული ნამუშევარი“.² ჟურნალი „ნუველ ობსერვატორი“ წერდა: „საფრანგეთი ისევ შეიცნობს რასინს „ბერენიკეს“ წყალობით“. პლანშონი რასინის სამყაროს არაფერს ამატებს, მხოლოდ მის კონკრეტიზაციას ახდენს. რეჟისორის მიზანი იყო მთელი სიმძლავრით ეჩვენებინა რასინის ტრაგედის თეატრალური ბუნება, რომელსაც ხანდახან „ელეგიასაც“ უწოდებენ.³ რაც შეეხება დრამატულ კოლიზიას, პლანშონი არ ეთანხმება ტრადიციულ გადაწყვეტას. რასინმა დაგვიხატა იდეალური ხანე მონარქისა, რომლისთვისაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობა მაღლა დგას პირად გრძნობებზე. პლანშონის „ტიტუსს“ კი დასაწყისშივე უნელდება ბერენიკეს სიყვარული და დრამატიზმი კულმინაციას აღწევს, როცა რომისადმი სამსახური უბრალოდ საბაბად იქცევა, რათა გაწვევით მოსახერხებელი ხახიყვარულო ძაფები. ფრანგი კრიტიკოსების აზრით მიხაღები იყო რასინის ახალი „ხორცშესხმა“. მაგრამ ძირითადი მაინც ის არის, რომ პლანშონმა შეძლო დაეხატა ნამდვილი რასინი, ჩამოეშორებინა მისთვის ქრესტომათიული და ტრადიციული ჩარჩოები, ამავე დროს არ გადაეტ-

^{1,2} За рубежом, № 8, М., 1968, стр. 143.
³ Ibid.

ვირთა მოდერნისტული ელემენტებით, არ აზრო-
ლოდა „მოდის ეპოქას“.

პლანშონი, როგორც „პოლიტიკური დრამის“
წარმომადგენელი, ხშირად ღვამს პოლიტიკური
ხასიათის სპექტაკლებს.

საინტერესოა შექსპირის პიესების: „შენრი
IV“, „რიჩარდ III“, პლანშონისეული გადაწვე-
ტა. მან მაყურებელს შესთავაზა დიდი პოლიტი-
კური ლექცია ვესტერნის რიტმში, გაამძაფრა რა
სოციალური და პოლიტიკური ხასიათის სცენები.
ჩააბა იგი დღევანდელი ქვეშარიტების ძიებაში.
და თუ პლანშონმა ისევ შექსპირი აირჩია, მხო-
ლოდ იმიტომ, რომ მისი აზრით დიდი ინგლი-
სელის შემოქმედებაში აღწერილი სოციალური
უთანხმობებანი და მათგან გამომდინარე კონ-
ფლიქტები აქტუალურია მისი ეპოქისათვის, გარ-
და ამისა შექსპირი „თანამედროვე“ დრამატურგია.

როგე პლანშონმა ახალი გააზრებით წარმოად-
გინა სცენაზე მოდიერაცი. მოდიერტი, არა გასარ-
თობი და თავშესაქცევი — არამედ მგზნებარე
პატრიოტი და იმდროინდელი საზოგადოების
მანკიერებათა წინააღმდეგ მებრძოლი.

1974-1975 წლებში რ. პლანშონი მუშაობს თა-
ნამედროვე დრამატურგების ნაწარმოებებზე.
წარმატებით ღვამს ა. ადამოვის პიესებს: „პროფე-
სორი ტარანი“, „სიარულის მნიშვნელობა“, „პა-
ოლო-პაოლი“, „გაზაფხული-71“, „დიდი და პა-
ტარა მანევრები“. ამოუწურავია პლანშონის რე-
ჟისორული შესაძლებლობანი.

რ. პლანშონს რეჟისორულ საქმიანობაში გან-
საკუთრებულ დახმარებას უწევს მხატვარი —
დეკორატორი რენე ალიო. რ. ალიოს ლაკონური
და სიმბოლური დეკორაციების მეშვეობით სცე-
ნას ეფექტურობა ემატება, მოქმედებებს კი სიმ-
ძაფრე. მაგალითად, სპექტაკლში „ტროილუსი
და კრესიდა“ ომინ სცენას გამოწაფდა. შუა
სცენაზე მოთავსებული უზარმაზარი ხორცის სა-
კეპი მანქანა წარწერით: „რა მზეცობაა ომი“¹
რეჟისორი და მხატვარი ხშირად სესხულობენ
სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებს კინემატოგ-
რაფიული ხელოვნებიდან, რამდენადაც კინომ
მაყურებელი შეაჩვია სწრაფ რიტმს. გოგოლის
„მკვდარი სულები“ ინსცენირებისას, ხურათებს
შორის (სულ თხუთმეტი სურათი) აჩვენებს მულ-
ტიპლკაციური ფილმები რუსულ ტყეებზე, მდი-
ნარებზე, პატარა სოფლებზე.²

მაღე როგე პლანშონი თავად იწყებს დრამა-
ტურგიული ნაწარმოებების შექმნას. თანამედრო-
ვე ეპოქაში აღარავის მიანია უჩვეულოდ რეჟი-
სორის შექრა დრამატურგიის „სფეროში“. ეს
თავისებურ „ხენადაც“ კი იქცა. თანამედროვე
რეჟისორების უმეტესობა (პატრის შერო, მარ-
სელ მარეშალი და სხვები) წერს პიესებს და

ხანდახან თამაშობს კიდევ საკუთარ დადგმებ-
ში. უან-ლუი ბაროს შენიშვნით ეს სიახლე უძ-
ველესია, ძველი დრამატურგები ხომ მსახიო-
ბებიც იყვნენ.

პლანშონის დრამატურგიული დერჟუტი შედ-
გა 1962 წელს პიესით „ფარდული“. მისი დრა-
მატურგიული ძიების საგანს წარმოადგენს მშრო-
მელი მასების — მუშებისა და გლეხების ფსი-
ქოლოგიური სამყაროს გადმოცემა ახალი რეა-
ლისტური ხერხებით.

„რეალისტი ხელოვანისათვის მთავარია სინამ-
დვილის ობიექტურ კანონზომიერებათა ცოდნა
და მხატვრული ასახვის კრიტერიუმების მიგნე-
ბის უნარი, რომელსაც თვით ხალხი და ცხოვ-
რება აწებს, — აღნიშნავდა ბრეხტი, — ამ
კრიტერიუმების საშუალებით მწერალს ენიჭება
შემოქმედებითი თავისუფლება“.³

პლანშონის რეალისტურ პიესებს — „ფარდუ-
ლი“, „უილ დე რე“, „გულქვა“, „თეთრი თათი“,
„შავი ლორი“, „ქარში“, „ლურჯები, თეთრები,
წითლები ანუ თავისუფლების მაძიებელი
ისევე დიდი ინტერესით ეცნობა მკითხველ-
როგორც მის სპექტაკლებს მაყურებელი.

პიესების ერთი ნაწილი ავტობიოგრაფიული
ხასიათისაა. ისინი წარმოადგენენ ლარიბი ფრან-
გი გლეხების ცხოვრების ქრონიკას, რომელთაც
ავტორმა ქვეტექსტად დაურთო მეორე მსოფ-
ლიო ომის შემდგომდროინდელი საფრანგეთის
პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა.

პოლიტიკური ფაქტების წარმოსაჩენად ავტო-
რი იყენებს პირობითობას. პიესებში გაკვრითაა
ნახსენები ინდო-ჩინეთის ომი, დიენ-ბიენ ფუს
ამბოხება და სხვა ისტორიული მოვლენები.
პლანშონის პიესების საერთო გმირია ისტორია
და ხალხი.

დრამატურგმა თავის ნაწარმოებებში მძაფრად
დაგვანაბა კაპიტალისტური წყობის ლპობადი
ბუნება, სადაც ადამიანი ადამიანისათვის ყვე-
ლაზე დიდი მტერი გამხდარა, ძმა ძმას არ ინ-
დობს და მამა შვილს, სადაც მთელი საზოგადო-
ება მხოლოდ ჭუნგლების კანონით ცხოვრობს.

მოხუცი შოსონი („ფარდული“), ლიონელი
გლეხი, ნახევარი საუკუნის მანძილზე იბრძვის
მიწის ნაკვეთის გაზრდისათვის, მაგრამ ხან კო-
ლონიური ომები და ხანაც ამბოხებები ხელს
უშლის მიწნის განხორციელებაში. პირქუში და
ეგოისტი ბერიკაცი გადაწვევებს დაეპატრონოს
ძმის ფერმას. მას გიჟად აცხადებს და პრივას
გონებასუსტთა თავშესაფარში ათავსებს. გულქ-

¹ 2 За рубежом, № 8, М., 1968, стр. 143.

³ E. Copfermann, Le Théâtre de R. Plan-
chon, p. 222.

ვა შოსონი შეიღსაც არ უთმობს მონაპოვარს. შეიღი კი, რომლისთვისაც უცხოა მიწის სიყვარული, ქალაქში გარბის ბედის საძიებლად. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი გლეხების წარმოშობის მიზეზები ბურჟუაზიულ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ. გლეხობის უიმედო მდგომარეობას უსამართლო ომებმაც შეუწყო ხელი, ამიტომაც გალატაკებულ გლეხობას ერთადერთ რეალურ იმედად ფული მიაჩნია.

პლანშონს მომავლის ადამიანებად მაინც დაბალი ფენის წარმომადგენლები მიაჩნია. ასეთად გვევლინება, შოსონის შეიღიშვილი პოლი, რომელიც მამა-პაპის სიკვდილის შემდეგ სოფელს უბრუნდება და მიტოვებულ სახლ-კარს პატრონობს.

ღრმა რეალისტური ანალიზის ხერხით გვინატრავს დრამატურგი ბურჟუაზიული სამყაროს შეიღს — ეილ დე რეს („ეილ დე რე“). ამ პერსონაჟის ფსიქოლოგიის გადმოცემით მწერალს სურს შეგვახსენოს, რომ ადამიანი და ცხოველი სულიერი სრულყოფის სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ცოცხალი არსებია.

პიესის სიუჟეტად ავტორმა გამოიყენა შემადრწუნებელი ისტორიული ამბავი, რომელიც 1448 წელს მოხდა პუატუში. ეილ დე რე, უზარმაზარი საგრაფოს პატრონი ერთ ალქიმიკოსს დამეგობრება, რათა ცდების საშუალებით ხალხისათვის დაემტკიცებინა ეშმაკის არსებობა და ითხოვდა უოველ კვირა თოთო ბავშვი შეეწირათ მისთვის. გრაფი თურმე ხალხს არწმუნებდა, რომ სიკვდილის წყალობით მათ გაათავისუფლებდა მძიმე და ჯოჯობეთური ცხოვრებისაგან. პიესაში გამოკვეთილია პლანშონის პოზიცია რელიგიისადმი. ცრურწმენებს, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, შეეწირა უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე. თითქმის ეილ დე რე გაუთავებელი სისხლისმღვრელი ომების სიმბოლოა.

პლანშონმა ერთ პიესას „შავი ღორი“ დაარქვა. სიმბოლური ნიშნის გამოყენებით ავტორმა წარმოაჩინა ფრანგი გლეხის გედეონის ადვირახსნალი და უზნეო ცხოვრება, რომელიც განუწყვეტლივ ღოთობს და შეურაცხყოფას აყენებს სოფლის ქალებს. პლანშონი დასცინის თანამედროვე გლეხთა ტრაგიკულ ყოფას, რომელთათვისაც უცხოა მიწის სიყვარული, მიწაზე დაუღადავი შრომით მოპოვებული სიხარული. ცხოვრების მიზანი მათთვის მხოლოდ დროსტარება გამხდარა.

ბურჟუაზიული მანკიერებანი არა მარტო საერო, არამედ საეკლესიო ცხოვრებაშიც იჩენს

თავს. ლოთარინგიელი მღვდელი („გულქვა“) კლავს თავის საყვარელს მუცლიდან ამოცლის ჩვილს, ნათლავს და მასაც ასალმებს სიცოცხლეს.

საეკლესიო პირს, დაუნდობელი სატყველის გამო სამღვდელოება კი არ ჰქონს, ტირიქით ხელს აფარებს და უდანაშაულოდ მიიჩნევს. გაქრა ადამიანის უკანასკნელი იმედი და რწმენა. მაგრამ ავტორი ოპტიმისტია და სწამს, რომ მშრომელი ხალხის წიაღში არსებობენ ჭანხალი ადამიანები, რომლებიც უდიდეს სოციალურ ძალას წარმოადგენენ და რომელთაც შეუძლიათ დადებითი შემოქმედება მოახდინონ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

„მე მინდოდა მერვენივინა გლეხების ცხოვრება ომის პერიოდში და დამენახებინა, როგორ ემსგავსებინა ქალათებს ისინი“, — ამბობს პლანშონი პიესების შეხახებ.

„პლანშონის დრამები არის ახალი, მისაწვდომი, შთამბეჭდავი და რეალიზმით სავსე“, — აღნიშნავს საბჭოთა მეცნიერი ტ. იაკიმოვიჩი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როგორც პლანშონმა თავისი პიესები განახორციელა სცენაზე და ზოგიერთ მათგანში ითამაშა კიდევ სრულყოფილი და ქვეშაობად მალაღმბატურული სახეები შექმნა პლანშონმა პიესებში „ფარდული“ (თამაშობს მოხუც შოსონს), „შავი ღორი“ (ანსახიერებს გედეონს) და სხვ. იგი შეეცადა თავისი გმირებისათვის ისტორიული და ფსიქოლოგიური დამატებლობა მიენიჭებინა.

პლანშონის მხატვრული მეთოდი ობიექტისადმი მეცნიერულ მიდგომას ეყრდნობა: იგი აკვირდება და სწავლობს ხინამდვილეს, მოიხწრაფის განზოგადებისა და ტიპიზაციისაკენ.

მისი რეალიზმის უკეთ წარმოხაჩენად დავეყრდნობით ფ. ენგელსის სიტყვებს. „ჩემი შეხედულებით, რეალიზმი გულისხმობს, გარდა დეტალებით სიმართლის გადმოცემისა, ტიპურ ვითარებაში ტიპური ხასიათების სწორ რეპროდუქციას“.¹

როგორც პლანშონის მიზანია მოგვეცეს სინამდვილის რეალისტური სურათი, მისი მხატვრული ინტერპრეტაცია. მან ახალი ამოცანები და პრობლემები დასახა თანამედროვე რეალისტური დრამატული ხელოვნების წინაშე.

როგორც პლანშონი დღესაც აგრძელებს ნაყოფიერ დრამატურგიულ და რეჟისორულ მოღვაწეობას, ქმნის ახალ გმირებს, ახალ მებრძოლ პერსონაჟებს.

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „რჩეული მწერლები“, თბილისი, 1949, გვ. 447.





ცნობილია, გოეთეს პოეტურმა შემოქმედებამ როგორც კვალი დაამჩნია მთელს შემდეგდროინდელ მხატვრულ აზროვნებას. გოეთე, როგორც მოაზროვნე არ შემოიფარგლება მხოლოდ მხატვრული შემოქმედებით, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მისი, როგორც მეცნიერის უმრავლესი ნააზრვეი დროთა მდინარებამ გვერდზე გადადო და მეცნიერება სულ სხვაგვარად განვითარდა, ვიდრე გოეთე ვარაულობდა. მთავარი კი მაინც ერთია — ორივე შემთხვევაში (გოეთე — როგორც პოეტი და გოეთე — როგორც ბუნებისმეტყველი-მეცნიერი) იგი საკუთარი ფილოსოფიური კონცეპციიდან გამოდიოდა, რომელიც სათავე დაუდო მის მთელ მხატვრულსა თუ მეცნიერულ შემოქმედებას.

დიდი პოეტის მოღვაწეობის პერიოდში ბუნებისმეტყველება უკვე იმაგრებდა თავის ხერხემაღს და უკვე ფხვნიდა მთელი ჩანახაზის სახით არსებობდა ბუნებისმეტყველების აღიარებული გეზი და ფორმები, რომელსაც უნდა გამოეყოლა მომავალი საუკუნეების მეცნიერული აზროვნება. გოეთე მაშინდელ ბუნებისმეტყველთა უდიდეს შეცდომას მოვლენების აბსტრაქტიზაციაში ხედავდა. მისთვის ბუნებაზე დაკვირვება და ბუნების შემეცნება გრძნობადი შთაბეჭდილებებით იწყება, ხოლო შემდეგ გრძელდება შემეცნების ის ქაჭვი, რომელსაც შემდეგ ნაირად აყალიბებს: „რადგან რაიმეზე თავისი შეფლება ბევრს ვერაფერს მოგვცემს, ყოველი შეხედვა გადადის დაკვირვებაში, ყოველი დაკვირვება გააზრებაში, ყოველი გააზრება — დაკვირვებაში, ასე რომ, შეიძლება ითქვას: ყოველი დაკვირვებულზე ხედვა სინამდვილისა უკვე თეორიულ მსჯელობას ნიშნავს. მაგრამ ეს უნდა გაეთდეს ცნობიერად, თვითშემეცნებით, თავისუფლებითა და უფრო გაბედული სიტყვა რომ ვინმაროთ, ირონიის ამოქმედებით. ასეთი მოქნილობაა საჭირო თუ გვსურს, აბსტრაქციამ, რომელიც გვაფრთხობს, ზიანი არ მოგვიტანოს და ცდის შედეგიც, როგორც ვიმედოვნებთ, ქმედითი და სასარგებლო გამოდგეს“.

გოეთე, გარკვეულწილად თვითონ მიდის აბსტრაქციის საზღვართან, მაგრამ მხოლოდ საზღვართან. მისთვის ამ საზღვრის გადალახვა ნიშნავს ცნებებისა და აბსტრაქტული იდეების უსაზღვრო, უნაპირო და უხასრულო სფეროში ჩაძირვას.

მას შემდეგ, რაც ნიუტონმა თავისი უდიდესი ქმნილებით „Philosophie naturalis principia mathematica“ სათავე დაუდო აბსტრაქციის ახლებურ ფორმას, მეცნიერებამ წარმატებით გააგრძელა თავისი გზა. დღემდე სწორბაზოვნად და თანმიმდევრობით განვითარდა და დღესაც გრძელდება დედამიწის იმ სურათის გარდაქმნა, რომელიც გოეთეს „ფაუსტში“ ადამიანის ეშმაკთან შეკვრას უნდა მომყოლოდა. კაცობრიობის ისტორიამ სხვა განჩინებანი გამოიტანა. მეცნიერული აზროვნების იმ მიმართულებებში, რომლებსაც თავის დროზე გოეთე ებრძოდა, დღეს თავის უმაღლეს ძალმოსილებას მიაღწიეს, ტექნიკურმა პროგრესმა ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა.

ყველაფერმა ამა გოეთეს მეცნიერულ მოღვაწეობაზე წარმოდგენები შეცვალა. ბევრი მისი მოსაზრება დღეს მხოლოდ ისტორიული ღირებულების შემცველად იქნა მიჩნეული, მაგრამ ხდება ისეც, რომ ხშირად გოეთესეულმა ამა თუ იმ მოვლენის ხატი მეცნიერული აზროვნების ისტორიის საწყისისათვის, და არა მხოლოდ საწყისისათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია.

გოეთეს მდიდარი შემოქმედებითი შემკვიდრეობა და მისი ქვეშეპირი ღირებულება იმულებულს გვხდის, შედაპირულად არ განვეწყოთ მისი ამა თუ იმ ნააზრვეისადმი და სიღრმისეულად განვიხილოთ მის მიერ მოწოდებული მოვლენების მისეული კონცეპცია.

მხედველობაში მაქვს გოეთეს შრომა ფერთა თეორიის შესახებ.

„ფერები სინათლის შემოქმედებაა, შემოქმედებაც და განსაცდელიც“. ფერი, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი, გოეთეს აზრით, სრულად ვერ უნდა იხსნებოდეს სივრცე-დროითი და ფიზიკურ-ქიმიური პროცესებით. ის უფრო გლობალურია და თავის არსში სივრცე-დროითსა და ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებსაც მოიცავს.

ნუთუ ნიუტონისეული გეომეტრიული ოპტიკა, ეს უდიდესი აკადემიური შრომა, კლასიკური ფიზიკის ეს ძირთაძირი ანუ შორს დგას ქვეშეპირებისგან (თუმცა აქ მხოლოდ ნიუტონისეულ გეომეტრიულ ოპტიკაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. აქ გოეთე, აღბათ, თანამედროვე ტალღურ-კორპუსკულარულ თეორიასაც დაუპირისპირდებოდა, ამ თეორიის არსებობის შესაძლებლობა რომ განეკვერიტა). ნუთუ მშვენიერსა და ობიექტურად არსებულს შორის ამდენი განსხვავებაა?

„დღემდე, შესაძლოა, მხოლოდ ადრეობაში მოგვინათ ფერმწერი ფიზიკოსის თეორიას ფერთა შესახებ, ისე, რომ მასში არავითარი სახარებადლო არ ენახა, მაგრამ მხატვარი სწორედ დიდმა ბუნებრივმა განცდებმა, დიდმა შეცვალა-რეობამ და პრაქტიკულმა აუცილებლობამ გაიყვანეს საკუთარ საგალ გზაზე. იგი გრძნობდა შევეთრ კონტრასტებს, რომელთა შეერთებისას ფერთა შარბონია იქმნებოდა. ფერთა ცნობილ თავისებურებებს იგი აღნიშნავდა მსგავსი შეგრძნებების სახელებით — თბილი და ცივი ფერები, სიშორისა და სიახლოვის გამომხატველი ფერები და მან მრავალი სხვა მსგავსი შესაბამისი აღნიშვნა მოიხატა, რომელთა საშუალებითაც თავისებურად აუხლოვებდა ყველა აღნიშნულ მოვლენას ბუნების კანონებს. შესაძლოა, ამით მტკიცდება კიდევ ის დაშვება, რომ ბუნების ფერადოვანი მოვლენები, ისევე, როგორც მაგნიტური, ელექტრული და სხვანი, დაფუძნებულია ცვალებადობაზე, პოლარობაზე — ხელ ერთია, რა სახელიც გნებავთ, ვუწოდოთ ამ მოვლენებს — ორობითი თუ მრავლობითი — ერთიანის, მთლიანის გამოვლინებისას.

აქ იმალება ის სათავე, საიდანაც გოეთე ნიუტონისეულ კლასიკურ ოპტიკას უპირისპირდება. თუ მშვენიერებად მივიჩნევთ იმას, რაც ობიექტურ რეალობაში არ არსებობს, მაშინ, გოეთეს აზრით, რა საჭიროა ადამიანისეული ის ორგანო თუ აპარატი, „რომლის საშუალებითაც მშვენიერი (ხაზი ჩემია — დ. ი.) ნაწარმლები არა თუ მიხაწვდომი ხდება განცდისათვის, სასიამოვნოდ და აუცილებელიც კია თავისი ჩუმი მშვენიერებით“.

ამგვარად, გოეთეს შემოქმედებაში საფუძველი ეყრება ექსპერიმენტულ და თეორიულ შრომას, რომელიც შემდგომ „ქრომატიკის“ ან „ფერთა თეორიის“ ფუნდამენტური ნაშრომის სახით ჩამოყალიბდა. თვითონ გოეთე ამ შრომას, საკუთარი შემოქმედების საუკეთესო ნაყოფად თვლიდა და თავის პოეზიაზედაც კი მალა აყენებდა, (თუნდაც ეს ფაქტი გამოდგება იმის ერთ დამატებით საბუთად, რომ ამ შრომას საკადრისი ყურადღება მივუზღოთ). ყოველივე ამის მიუხედავად, მეცნიერება ნაკლებად დაინტერესდა გოეთეს მოღვაწეობის ამ ასპექტით (თუ არ ჩავთვლით მცირეოდენსა და უმნიშვნელო გამოწვევებს, რომლებიც ძირითადად კრიტიკული მასალების სახით არსებობს), ოპტიკამ კი თავისი არსებობა მეცნიერებაში ნიუტონისეულ გეომეტრიულ ოპტიკაზე დაყრდნობით გააგრძელა.

ნიუტონის ოპტიკაში სინათლედ გარკვეული მასის მქონე კორპუსკულებს მიიჩნევდნენ. კორპუსკულების რაოდენობა განსაზღვრავდა ამა თუ

იმ ტერს შესაბამისად. შემდგომი განვითარება ნიუტონისეულმა ოპტიკამ ბიუჯენის ტალღურ ოპტიკაში ბპოვა, როცა სინათლის განხილვა დაიწყო ტალღური პროცესებით. უფრო მოგვიანებით კი, როცა შეიქმნა ცენტრის თეორია და მაქსველმა თავისი ელექტრომაგნიტური ველის განტოლებები გამოიყვანა, სინათლე განიხილეს, როგორც ელექტრომაგნიტური ტალღა, როგორც მატერიის გარკვეული სახე. აინშტაინმა და პლანკმა კი ელექტრომაგნიტური თეორია კვანტური თეორიის სიმალღერებიდან დაგვანახეს.

ასეთი ავტორიტეტების დახმარების შემდეგ, შესაძლოა, მართლაც, მოგვეჩვენოს, რომ გოეთეს „ფერთა თეორია“ არ უნდა იყოს „მკაცრი“ მეცნიერების ყურადღების ღირსი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, ალბათ, ჩაუყრიდა კიდევ ფუნდამენტს რომელიმე მათემატიკურ კონსტრუქციებზე აგებულ ლოგიკურ, თანაც მკაცრად ემპირიულ თეორიას ფერთა შესახებ, მაგრამ აქვე არ უნდა დავიფიწყოთ, რომ გოეთეზე, როგორც მეცნიერზე საუბრისას საქმე გვაქვს ისეო ექსპერიმენტატორთან, რომლის სახელთანაა დაკავშირებული შრომების ციკლი — „მცენარეთა შეტამორფოზა“, „ექსპერიმენტი ცხოველთა სხეულის ფორმის აღნაგობის შესახებ“, „შედარებითი ანატომია“, „ექვსი მალისაგან აგებული თავისქალა“ და სხვანი, რომელიც შემდგომ ერთიანი შრომის სახით — „ორგანული არსებების შექმნა და გარდაქმნა“ — იქნა ჩამოყალიბებული.

როგორია გოეთესეული შემეცნების მეთოდები და პრინციპები? რასაკვირველია, მისი შემოქმედების, მისი მსოფლმხედველობის განხილვისას ჩვენ ვერ დავეყრდნობით მკაცრად აგებულ ლოგიკურ კონსტრუქციებს, რომელთა ბაზისი, როგორც წესი, ცნებაა ხოლმე (თუმცა, არც ცნების შემოტანაა გოეთესათვის უცხო). აქ საქმე გვაქვს ისეთი კატეგორიის მოაზროვნესთან, როგორსაც, როგორც თვითონ ამბობდა, „ფილოსოფიისათვის, პირდაპირი მნიშვნელობით, ორგანო არ გააჩნდა“. და თუ გოეთეს შემეცნების მეთოდები ვერ ეტევა ფილოსოფიური ეთიკის, ან უფრო ზუსტად, ფილოსოფიური მეცნიერებისათვის ჩვეულ აკადემიურ ნორმებში, ამით ფილოსოფია არა თუ აგებს, არამედ იგებს, იმდენად, რამდენადაც ამ მეცნიერების ქეშმარიტი არსებობის სხვა ასპექტი იხსნება.

საინტერესოა, რომ გოეთეს მსოფლმხედველობა ემპირიულიდან არის ამოხული, მისი შემეცნების მეთოდებიც მკაცრად ემპირიულია. გოეთე იღვას ეძებს დაკვირვების კონკრეტული გზებით. აქ ნიშანდობლივია მისი ესოდენ გაბმურებული კამათი შიღერთან. როდესაც შიღერი „პრაქტიკმცენარის“, „თაურმცენარის“ არსებობაზე იტ-

უვის „ეს ცდა კი არა, იდეაო“, გოეთე პასუხობს: „ჩემთვის ურთოდ სასიამოვნოა ის ამბავი რომ შე არა თუ გამაჩნია იდეები ისე, რომ მათ შესახებ არაფერი ვიცო, თვალთაღ კი შემიძლია მათი დანახვა“. კ. პ. სვახიანი ამის შესახებ შენიშნავს: „გოეთე არა თუ ამტკიცებს ორგანიკის აზროვნებას, არამედ აგებს კიდევ მას“.

საკირია ითქვას, რომ გოეთესათვის ბუნების შეცნობის პროცესში წამოჭრილი ბუნებრივი კითხვა — „ბუნების ვრცელი თუ შეზღუდული განხილვისას უოველთვის საკუთარ თავს შეკითხვას ვუსვამდი — ვინ დადებდა აქ, ბუნება თუ თვითონ შენ“, — წუდება ასეთნაირად — „უველაფერი, რაც გააჩნია სუბიექტს, გააჩნია ობიექტსაც და კიდევ ცოტა რამ. უველაფერი, რაც გააჩნია ობიექტს, გააჩნია სუბიექტსაც და კიდევ ცოტა რამ“.

ამგვარად, უოველი არსებულნი შეცნობადია და ამდენად, ცდისშიერიცაა, და როგორც თვითონ ამბობს — „ცდა შეიძლება გაფართოვდეს უსასრულობამდე“, რამეთუ „ვის ძალუძს იმის თქმა, რომ განიცდის რაღაცას, თუ ეს რაღაცა განცდას (ხაზი ჩემია — ლ. ი.) არ ექვემდებარება“.

უოველივე შემოთქმულიდან გოეთე გვევლინება რაციონალური ემპირიზმის წარმომადგენლად, რომლისთვისაც შეგნებულ ცდაში დაკვირვება და აზროვნება განუყოფელ კავშირშია და ბუნებაც თავის ობიექტურ არსს ცდის საშუალებით გვიხსნის. ცდა შუამავალია სუბიექტსა და ობიექტს შორის.

აქ აღბათ, აუცილებელია, ვახსენოთ გოეთეს „პროტო-ფენომენი“, რომელიც მის მსოფლმხედველობაში გვევლინება ცდებისა და ექსპერიმენტების საძირკვლად. „პროტო-ფენომენი“ ობიექტური რეალობაა, რომლის შესაცნობადაც ადამიანს დასჭირდა ცდის ჩატარება. „პროტო-ფენომენის“ კვშმარტი სახის გამოსავლინებლად გონება უამრავ მანიპულაციას ატარებს. ცდას აყენებს გარკვეულ პირობებში (შეზღუდვებში), შემდეგში, უფრო იოლი რომ გახდეს შემთხვევითობის გამორიცხვა, ადგენს კავშირებს, გამოკვავს ცდაში არსებულ მიზეზ-შედეგობრიობა. ეს უველაფერი განსჯის სფეროა და თვით განსჯაც ერთადერთ მიზანს — „პროტო-ფენომენის“ შეცნობას ემსახურება, რომელსაც გოეთე „ძირითად ფაქტორსაც“ უწოდებს.

„ის, რასაც ჩვენ ცდის დროს ვაკვირდებით და შევნიშნავთ“, — გვიუვება გოეთე „ფერთათეორიის“ 175-ე პარაგრაფში, ხშირად მხოლოდ შემთხვევებია, რომლებიც შესაძლოა საერთო ემპირიულ რუბრიკებში მოვაქციოთ, თუ უურადლებას გავამახვილებთ. უკანასკნელი შეცნიერულ რუბრიკებში ერთიანდება, რაც თავის მხრივ

თავისთავად გაუენებს შემდგომ სწორ გზაზე. შედეგიც ისაა, რომ უფრო ახლოს ვეცნობით ხდომილების ცნობილ გვერდობულ პირობებს. ამ მომენტიდან დაწყებული ხელ-ხელა უველაფერი უფრო მაღალ წესებზე უკანონებს ემორჩილება. ეს წესები უკანონობის საშუალებით განჭვრეტას უხსნიან თავს და არა განსჯას (სიტყვებისა და მიმოთქმების მეოხებით). მათ ჩვენ პროტო-ფენომენს ვეძახით, რამეთუ ხდომილებაში მათზე მაღალი აღარაფერია“

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის გოეთეს ფენომენოლოგიის მოკლე ფორმულირება, რომელიც, საბედნიეროდ, თვითონვე მოგვცა.

შემეცნების პროცესი გოეთესათვის, როგორც ვთქვით, მკაცრად ემპირიულია. რომელიმე ერთ ცდისეულ ფაქტზე დაკვირვებისას იმდენი გარეშე ფაქტორი იჩენს თავს, რომ ადამიანს, ერთი შეხედვით, უჭირს, თავი გაართვას ამას და ამოიკითხოს თუნდაც ერთი ობიექტური კანონი ამ პროცესებში. ამიტომ ექმნით გარკვეულ შეზღუდვებს — ექსპერიმენტს ვაყენებთ გარკვეულ პირობებში. ცდაზე პირდაპირი, უშუალო დაკვირვება არ გვაძლევს სასურველ შედეგს. შედეგშიც ვერ ვხედავთ, ობიექტურ აუცილებლობას და, ამდენად, ვერც კანონზომიერებას ამ პროცესისას, ვინაიდან არ ვიცით, ცდის პირობებში რომელ გარემობას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა. უოველივე ამისათვის აუცილებელია, პროცესი რაღაც ხელოვნურ შეზღუდვებში მოვაქციოთ, ანუ, როგორც ბუნებისმეტყველები იტყვიან, ცდას დავადოთ პირობები. ამ შემთხვევაში უკვე აღარ იქნება ძნელი გასაგები, ამ პირობებიდან რომელი თამაშობს არსებითს, ხოლო რომელი მეორეხარისხოვანსა და მესამეხარისხოვან როლებს აქედან გამომდინარე, ცდაზე დამკვირვებელს აღარ უჭირს, გამოარჩიოს აუცილებელ ხდომილებაში შემთხვევითობის როლი და, რაც უფრო ახლოს ეცნობა იგი პროცესის მიმდინარეობის პირობებს, მით უფრო მკაფიო ხდება, უამრავი ერთმანეთში გადახლართული კანონზომიერი ძალებიდან რომელია პროცესის განმსაზღვრელი კანონი. სწორედ ამ კანონით არსებულ ხდომილებას უწოდებს გოეთე „პროტო-ფენომენს“, „წმინდა ფენომენს“, „ძირითად ფაქტორს“. „პროტო-ფენომენში“ თეორია და ცდა არა თუ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღარც კი არსებობენ. ამდენად, „პროტო-ფენომენი“ ბუნების კვშმარტი კანონის ტოლფასია. ამიტომაც ამბობს გოეთე, რომ ხდომილებაში „პროტო-ფენომენს“ იქით აღარაფერია და, თუ დავიწყებთ რაიმეს ძებნას, იმ ბავშვს დავემსგავსებით, რომელიც სარკეში ჩაიხედავს და მერე სარკეს გადააბრუნებს, ვინალო უკეთ დავინახო,

მის უკან რა ხდება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბუნების ზემოქმედებით კანონის შეცნობისას უარი უნდა ეთქვას, გოეთეს მიხედვით, წმინდა ემპირიზმსაც და არა მარტო წმინდა რაციონალიზმს, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ვინაიდან ცდა ამ შემთხვევაში წინდაწინ დასახული მიზნის გახსნას ემსახურება, ამდენად ქირს ობიექტური რეალობის ამოცნობა.

სამყაროს შეცნობაში გოეთეს პოზიცია ასეთია: „უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმის შეგნება, რომ ყოველივე არსებული უკვე თეორიაცაა. ცის სილაჟვარდუ თავად ხსნის ქრომატიკის ძირითად კანონს. მიზანშეწონილი იქნებოდა ფენომენების იქით აღარაფერი მოგვეძებნა: ისინი თავად წარმოადგენენ მოძღვრების არსს“.

ასე რომ, განსჯისმიერი კანონზომიერება კი არ ასახავს ფაქტს, არამედ თვით ფაქტი მიგვანიშნებს მასში არსებულ კანონზომიერებაზე, გონება კი მხოლოდ ზუსტად კითხულობს ამ კანონზომიერებას და მთელი პროცესის (ხდომილებებისა და მისი კანონზომიერების) ასახვას იძლევა. იმისათვის კი, რომ გონებამ შეძლოს, ამომწურავად მოგვეცეს ფაქტის ასახვა, საჭიროა ისეთი პირობები შევქმნათ, რომ ბუნებამ თვითონ ილაპარაკოს თავისთავზე, ამ შემთხვევაში „პროტო-ფენომენმა“ გვამცნოს თავისი არსებობა. (და არა ისე, როგორც ნიუტონი ფიქრობდა, საქმეში განსჯა ჩავრიოთ და აბსტრაქციამდე მივიდეთ).

აი, ამ პრინციპებზე დაყრდნობით შეისწავლიდა გოეთე არაორგანულ სამყაროს არაორგანულ ბუნებისმეტყველებლაში მისი ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპი არის „პროტო-ფენომენი“. ამ ღერძზე ტრიალებს მისი „ფერთა თეორიაც“.

თვითონ გოეთე „ფერთა თეორიას“ თავისი შემოქმედებითი შრომის მწვერვალად მიიჩნევს. სიცოცხლის ბოლოს იგი ეკრძანს ეუბნება: „ის, რასაც ჩემი პოეტური შემოქმედება მოიცავს, არ აღმავსებს სიამაყით. უამრავი შესანიშნავი პოეტი ჩემი თანამედროვეა, ჩემამდე კიდევ უფრო უკეთესები ცხოვრობდნენ და, რასაკვირველია, ჩემს შემდეგაც იცხოვრებენ, მაგრამ მე ჩემს საუკუნეში ერთადერთი ვარ, რომელმაც იცის ფერთა ურთულესი თეორიის ირგვლივ მთელი სიმართლე. — ამ ამბავს არ შემიძლია დიდი მნიშვნელობა არ მივანიჭო. ეს აწრი მე სხვებთან შედარებით უპირატესობას მანიჭებს“.

„ქრომატიკის“ პირველივე წინადადების კითხვისას ვეცნობით იმ მეთოდოლოგიურ პრინციპს, რაც გოეთესეული „ფერთა თეორიის“ ამოხადებაა: ნებისმიერი სხეულის არსის გაგებაში ჩვენ უძლურნი ვართ არსის ხედვისა. ვხედავთ

მოძრაობას, მოქმედებას, რითაც სხეული მიხითავისთავადობით არსებობს და ჩვენთვის გახაგები და მისაწვდომი ხდება და ამ მოქმედებათა მთელი სიმრავლე უცნობლად ყოველი საგნის არსსაც მოიცავდა“. ასეთი დაკვირვების საფუძველზე შეიქმნა „ქრომატიკის“ პირველი ნაწილი — „ფიზიოლოგიური ფერები“.

გოეთე უარყოფს მეცნიერებაში ნიუტონის-დროიდან დაშვიდრებულ აზრს, რომ ფერა — ეს არის თეთრი სინათლის შემადგენელი კომპონენტი, რომ სამკუთხა პრიზმაში გატარებისას თეთრი სინათლე იშლება სპექტრის ფერებად. მისი აზრით, სიბნელე, სიშავე ისეთივე ობიექტური რეალობაა, როგორც სინათლე და, ამდენად, სიბნელის ფაქტი არ არის სინათლის არარსებობის იდენტური, იგი ყოფიერების ისეთივე სრულფასოვანი წევრია, როგორც სინათლეა და სწორედ ამ სიბნელე-სინათლის, წყვილიაღისა და ნათელის ურთიერთობა, მათი შერწყმა, გარკვეული აზრით, წარმოშობს ფერს. სინათლე-სიბნელე, ნათელი და ბნელი გოეთესათვის ისეთივე დიალექტიკური დაპირისპირებაა, როგორიცაა „მიზიდვა და განზიდვა, დიდი და მცირე, ქმედება და უკუქმედება, აქტიურობა და პასიურობა, ვნებიანი და მოშაკვდავი, კაცი და ქალი“. ასეთივე წყვილიაღისა და ნათელის დიალექტიკური ერთობა, რომელსაც „არსებობაში მოძრაობა შემოაქვს, ცხოვრებაში კი ზალინი“.

გოეთეს მიხედვით, ასე იბადება ფერი, რომელიც ისეთივე ობიექტური რეალობაა, როგორც თვითონ სინათლე. ასევე იბადება თეთრი სინათლაც (ნაცრისფერიც), რომელსაც თანამედროვე ფიზიკაში მიიჩნევენ ფერების შემცველ ელექტრომაგნიტურ ტალღად, ან უფრო სწორად, იმ ერთობად, რომელშიც შედის სხვადასხვა ტალღის სიგრძის მქონე ელექტრომაგნიტური ტალღები და რომელთაგან თითოეული იძლევა განსაზღვრული ფერის შეგრძნებას.

ის ობიექტური გარემო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ამბობს გოეთე, არის წყვილიაღი და სინათლის ქმედება მატერიალურ გარემოზე გვაძლევს მათი გარკვეული სახის ურთიერთქმედებას, რის საფუძველზეც წარმოიშობა ფერი. ის ვითომდა წინააღმდეგობრივი ფაქტი, რომ თეთრი სინათლის ტალღის სიგრძე სწორედ სპექტრის ფერების ტალღის სიგრძეთა გარკვეული მათემატიკური წესით აღებული ჯამია, სულაც არ არის წინააღმდეგობრივი არგუმენტი გოეთესათვის, ვინაიდან ის არ აიგივებს თეთრ სინათლეს, საზოგადოდ, სინათლესთან. მისთვის სინათლე სუბსტანციური ცნებაა, რომელიც თვითონ არის უმცირესი ელემენტი და არავითარ დაშლას არ ექვემდებარება. ნებისმიერი სინათლე — ეს სიბნელესთან შერწყმული, ასე

ვთქვათ, „ჩრდილოვანი სინათლე“ და არავითარი ჩრდილოვანი სინათლეების ჯამს, რა წესითაც არ უნდა იყოს იგი აგებული, არ შეუძლია, მოგვცეს უფრო „ნათელი სინათლე“, უფრო „კაშკაშა სინათლე“. ნიუტონის პრინციპულ შეცდომას გოეთე არა ცდის შემდგომ განსჯაში, არამედ თვით ცდის დაყენების არსში ხედავდა. პრიზმაში სინათლის გავლა ნიშნავს, რომ სინათლემ თვითონ პრიზმაში უკვე ცვლილება განიცადა, როგორც კი მასში გაიარა და სპექტრის გაჩენაც, გოეთეს აზრით, ამ ფაქტთანაა დაკავშირებული. ამაში დასარწმუნებლად შეგვიძლია პრიზმიდან თეთრ ქაღალდს შევხედოთ. ჩვენ ვერ დავინახავთ ვერანაირ ფერს.

ამ ფაქტის ახსნას ნიუტონი გვაძლევს თავის ლექციების ციკლში — „ლექციები ოპტიკაში“, სადაც განიხილავს შემოთნახსენების მსგავს ცდას. როდესაც პრიზმით თეთრ ქაღალდს ვუყურებთ, ვერავითარ სპექტრის ფერებს ვერ ვხედავთ. ნიუტონის აზრით, ეს ხდება იმიტომ, რომ მეზობელი ზონების სპექტრის ფერების შედღებასთან გვაქვს საქმე, რაც საბოლოო ჯამში ჩვენი მხედველობის არეში გვაძლევს საგნის ნამდვილი ფერის ანარეკლს. სპექტრის ფერების ჩაქრობა (შედღება) — არ ხდება მხოლოდ საზღვრებთან, სადაც წარმოიშობა კიდევ სპექტრის რამდენიმე ფერი. აი, ამ საზღვრებზე ლაპარაკობს გოეთე და ისევ და ისევ მიიჩნევს, რომ საზღვრებზე ფერის წარმოშობა ნათელისა და ბნელის შერწყმით ხდება, ხოლო თვითონ თეთრი კედლიდან წამოხული და პრიზმაში გავლილი სინათლისათვის მას არც დაშლა სჭირდება და არც შედღება, რადგან, მისი აზრით, როგორც უკვე ვთქვით, აქ არც დაშლას აქვს ადგილი და, მითუმეტეს, არც შედღებას.

თანამედროვე ფიზიკა, მიუხედავად იმისა, რომ სინათლის დისპერსიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თეორიად თვლის, დღესდღეობით წააწყდა წინააღმდეგობებს, როგორცაა ბენზემის ანდა ედვინ ლენდის ცდები,¹ წინააღმდეგობებს,

¹ ბენზემის ცდა მდგომარეობს შემდეგში: როდესაც შავ-თეთრ ზოლებიან დისკოს გარკვეული სიჩქარით ვაბრუნებთ, მიიღება ფერთა ობიექტური ნიუტონისეული სპექტრი და მისი დაწახვსა უოველგვარი ოპტიკური ხელსაწყოთა გარეშეც შეიძლება).

თანამედროვე ამერიკელმა ფიზიკოსმა ედვინ ლენდმა სუსტი ფერადი ფილტრებით გადაღებული ორი შავ-თეთრი ფოტოსურათის ეკრანზე დაპროექტებისას (ისეთივე სუსტი ფერადი ფოტოფილტრებით) შეძლო ამ ორი გამოსახულების შერწყმა და მიიღო გამოსახულება, რაც გადაღებულ ობიექტს ქონდა შებრუნებული გან-

რომლებიც სპექტრულ ანალიზში, ფოტოგრაფიაში, მოლოგრაფიაში არსებობს აქამ უნდა ითქვას, რომ ნიუტონის სპექტრის ფერები არ ეთანადებიან გოეთეს სპექტრს. გოეთეს სპექტრი ძირეულად განსხვავდება ნიუტონის სპექტრისაგან. ეს არ უნდა ვთქვათ ამ ორ მოაზროვნისათვის ფერთა სხვადასხვა სპექტრის მხოლოდ სუბიექტურად აღქმული ერთი ობიექტური რეალობა იყოს. სრულიადაც არა, პირიქით, „გარეგან გრძნობებში ჩვენ არ ვცდებით, ჩვენ განსჯა ვვატყუებთ“, — ამბობს გოეთე. ნიშანდობლივია, რომ გოეთეს სპექტრში სამი ძირითადი ფერი ფიგურირებს და მხოლოდ მათი ნაზავი იძლევა სხვა ფერთა გამას. ეს ძირითადი ფერებია: უვითელი, ლურჯი და წითელი. ნიუტონის სპექტრი კი, როგორც ცნობილია, შვიდი ძირითადი ფერისაგან შედგება (საინტერესოა, რომ გოეთეს „ქრომატიკის“ ამ კვანძურ საკითხს მიმდევრები გაუჩინდნენ მომდევნო საუკუნეებში ესენი იყვნენ ფერმწერი პუანტელისტები, რომლებმაც წითელი ფერიც ამოგადეს ძირითადი სპექტრიდან და დატოვეს მხოლოდ ლურჯი და უვითელი).

„ქრომატიკის“ ფერთა ფიზიოლოგიური ნაწილი მართლაც უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა. ეს მეცნიერების შემდგომმა განვითარებამაც დაგვანახვა. იგი საფუძვლად დაედო მომდევნო თაობების ფიზიოლოგთა შრომებს (პურკინე, მიულერი). „ქრომატიკის“ ფიზიოლოგიურმა ნაწილმა სათავე დაუდო ახალ მიმდინარეობას ადამიანის ფიზიოლოგიაში — ფერადი მხედველობის ფიზიოლოგიას. თვით გოეთე ჭეროვნად აფასებს თავისი „ფერთა თეორიის“ ამ ნაწილს. იგი წერს: „ფერთა შესახებ მოქმედების თავსა და ბოლოს ფიზიოლოგიური ფერები წარმოადგენს და თხრობის თავშივეა მოცემული. ცოტა ცოტაობით ისინი აღიარებას მოიპოვებენ თავისი შესაძლებლობებისა და მნიშვნელობების მიხედვით, თვალის უამრავი წამიერი შეცდომების ნაცვლად, როგორც უწინ თვლიდნენ ამას, ისინი ნორმად იქცვიან და გახდებიან უოველივე ხილულის ძირთაძირი... როგორც უველა დანარჩენი ორგანო, მხედველობაც საშუალო გაღიზიანებასაა შეგუებული. სინათლე, წყვდიადი და მათ შორის აღმოცენებული ფერები ელემენტარული მოვლენებია, რომელშიაც თვალი ეძებს და ქმნის ახალ სამყაროს. აი, ამ ძირითადი დებულებებიდან გამომდინარეობს უოველივე დანარჩენი. ვინც ამ დებულებას მიიღებს და მისით სარგებ-

ლაგებით. ნიშანდობლივია, რომ ცდების დაყენებისას ორივე მეცნიერი გოეთეს „ფერთა თეორიის“ მიხედვით აყენებდა დაკვირვებას.

ლოხასაც ისწავლის, იოლად აითვისებს ჩვენ მიერ მოცემულ თეორიას¹.

რაც შეიძლება ითქვას გოეთეს დამოკიდებულებაზე ფერის — როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენისადმი, — აქ მისი პოზიცია სრულიად განსაზღვრულია. მისთვის ფერი ისეთივე ობიექტური რეალობაა, როგორც ის საგანი, რომელიც ამა თუ იმ ფერის მატარებელია. მისი აზრით, სწორედ ფერის ობიექტურად მშვენიერი ბუნება განსაზღვრავს ადამიანში აღძრულ გრძნობასა და განცდებს. ფერის თავისთავად მშვენიერებას მოჰყავს რეზონანსში აღქმის აპარატი, რომელიც მშვენიერებას შეიგრძნობს. გოეთეს მიხედვით, შესაძლოა, ფერი, მართლაც, გარკვეული ფიზიკურ-ქიმიური პროცესებით აღწევდეს ჩვენამდე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი არსებობა უხილავი ფიზიკურ-ქიმიური პროცესებით განისაზღვრებოდეს და მისი მშვენიერება მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიური პროცესების სუბიექტური განცდა იყოს. გოეთეს აზრით, ადამიანში უთუოდ არსებობს ის ორგანო, რომელიც ფერის, სინათლის ქვეშარტ მშვენიერებას შეიმეცნებს. ქიმიური და სივრცე-დროითი პროცესები წარმოადგენენ ინფორმაციის ფიზიკურ მატარებელს ამა თუ იმ ფერის შესახებ. ადამიანის ცნობიერება მისთვის დეტექტორია, რომელიც ბუნების მთელი თავისი ქვეშარტი არსებობის სურათ-ხატს გვაძლევს და ის, რომ მშვენიერების „აღქმის ორგანოს“ „მუშაობის პრინციპი“ ჩვენთვის გაუგებარია, სრულიად არ ნიშნავს მის არარსებობას.

„უხილავი ფიზიკის უდიდესი ბოროტება სწორედ ისაა, რომ მან ექსპერიმენტი თითქოსდა გამოყო ადამიანისაგან და ბუნების შემეცნებას მხოლოდ ხელოვნური აპარატებით ცდილობს, ამით კი ბუნების შესაძლებლობებს ზღუდავს. ზუსტად ასევე ხდება გაანგარიშების დროსაც. ბევრი რამ არის ქვეშარტიად ისეთი, რისი გაანგარიშებაც შეუძლებელია, ასევე ბევრი რამ არის, რასაც ვერ მივიყვამთ გადამწყვეტ ექსპერიმენტამდე“.

როგორც ჩანს, გოეთეს ფერის აღქმის მხატვრულ-ესთეტიკური აქტი გამოჰყავს ფიზიკის კომპეტენციიდან. მაგრამ მიიჩნევს თუ არა იგი ამ აქტს ფიზიოლოგიის კომპეტენციის საგნად, ამის თქმაც ძნელია.

შევეცდები, დავაკონკრეტო. გოეთეს პოზიციიდან რომ განვიხილოთ, დაპარაკია ფერის აღქმის აქტზე და იმ ფიზიოლოგიური აპარატის მექანიზმზე, რომლის მოქმედების შედეგადაც ფერის სურათ-ხატი მიიღება. ჭერჭერობით ნუ შევეცდებით იმ ფიზიოლოგიურ პროცესს, რომელიც აღქმის შემდგომ იწყება და გარკვეულ მხატვრულ-ესთეტიკურ განცდებს აღძრავს, რაც

თავის მხრივ, გარკვეულწილად განწყობასაც ვაპირებებს. განვიხილოთ პროცესი, როდესაც კონკრეტულად ფერი აღქმენა და უაღიბდება მხედველობითი ხატები. დაშვებები უფროებს საგანს, იგი მას ფერებში ხედავს. როდესაც იგივე საგანს მივანდობთ ხელსაწყოს, დამკვირვებელს ეძლევა სასუნაღ ამ ხელსაწყოს მიერ რეგისტრირებული რალაც კონკრეტული ფიზიკურ-ქიმიური და სივრცე-დროითი პროცესის გარკვეული ჩანაწერი. აქ მხედველობიდან გვჩნდება ის, რომ ქვეშარტიად მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური და სივრცე-დროითი პროცესი, შესაძლებელია, ისეთი ინფორმაციის მატარებელი იყოს, რომელსაც ხელსაწყო ვერ აღწევს, რადგანაც მას ამ ინფორმაციის მიმღები დეტექტორი არ გააჩნია, მას შეეწყვეს უნარი, დააფიქსიროს ამ ინფორმაციის მატარებელი პროცესის რალაც მიახლოება. თვით ინფორმაციის მიხედვად კი ხელსაწყო უძღურია, აქ მას ადამიანი უნდა შეენაცვლოს. ამიტომ შეუძლია ადამიანს კონკრეტულ პროცესებში ჩადებული ინფორმაცია „გაშიფროს“ და ფერი აღქვას.

რასაკვირველია, მაშინვე იბადება წინააღმდეგობრივი არგუმენტი. თუ ფერი თავისთავადია და არ წარმოადგენს ფიზიკურ-ქიმიური და სივრცე-დროითი პროცესების პარდაპირ შედეგს, რატომაა, რომ თვალის ნებისმიერი გაღიზიანებადობა იწვევს რალაც მხედველობით წარმოადგენას, ან ხშირ შემთხვევაში რთულ მხედველობით წარმოადგენებას კი, რატომ არის, რომ ეს მხედველობითი ხატები მაინც მიიღება, მაუნდავად იმისა, რა ხერხით ხდება მხედველობითი ნერვის გაღიზიანება, თვითონ სინათლით, მექანიკური გაღიზიანებით, ელექტრული დენით, შთაგონებით თუ თვითშთაგონებით. ეს ფაქტი გოეთესათვის ცნობილია. იგი წერს, არსებობს მთელი რიგი „არაბუნებრივი პროცესები, რომლის დროსაც თვალი იმყოფება სინათლის შთაბეჭდილებაში ყოველგვარი გარეგანი ფერის გარეშე“. ამ საკითხის შესახებ გოეთეს თავის „ფერთა თეორიის“ პირველ დიდაქტაიკურ ნაწილში ამბობს:

„თავის არსებობას თვალი ხინათლეს უნდა უმაღლოდეს. ცოცხალის უამრავი განუსაზღვრელი ორგანოებიდან სიცოცხლისათვის სინათლე იმ ორგანოს უხმობს, რომელიც მისი მსგავსი უნ-

1 მაგალითისათვის დავასახელოთ ფოტოგრაფირება. შავ-თეთრი ფოტოგრაფია ფერადმა ფოტოგრაფიამ შეცვალა, ფერადი ფოტოგრაფია კი პოლოგრაფიამ. ფერადმა ფოტოგრაფიამ შავ-თეთრისაგან განსხვავებით სხვა ინფორმაციაც დააფიქსირა, პოლოგრაფიამ კი საგნის სივრცული ხატი მოგვცა. ამდენად, მოცემულ ეტაპზე არ შეიძლება ეიმსჯელოთ მხოლოდ ტექნიკური

და გახდეს. ასე იქმნება თვალი — სინათლე-ზე — სინათლისათვის, რამეთუ შინაგანი სინათ-ლე მოიწევს გარეგანის შესახვედრად“.

ან სხვაგან:

„აქ ჩვენ ვინსენებთ ძველ ინდურ სკოლას, რომელიც ყოველთვის მრავალმნიშვნელოვნად აცხადებდა: მხოლოდ მსგავსით ხდება მსგავსა-შემეცნება“.

აქ გოეთე ფიგურალურად გვაძლევს მისი დროისათვის ტემპარიტად დასაფასებელ წარ-მოდგენას სინათლის მოქმედებით გამოწვეულ თვალის ევოლუციურ წარმოშობაზე. სინათლის მოქმედებით თვალის ევოლუციური განვითარე-ბა არაერთგზის დამტკიცდა მეცნიერულად. ხოლო ის ფაქტი, რომ „თვალი იქმნება სინათ-ლეზე — სინათლისათვის“ გვაძლევს ზემოთ დასწული შეკითხვის პასუხსაც. აქ არ უნდა აგულისხმებოდეს მეცნიერების მიერ შესწავლი-ლი ფაქტი იმის შესახებ, რომ რომელიმე გრძნო-ბის ორგანოს უნარი შესწევს, ნებისმიერ გალი-ზიანებადობას ერთი, კონკრეტული და სრულიად განსაზღვრული წესით უპასუხოს: აქ ცოტა მეტი უნდა ვიგულისხმოთ: „შინაგანი სინათლე მოიწევს გარეგანის შესახვედრად“ „შინაგანი სინათლე“ ამ შემთხვევაში სინათლის შინაგანი, სუბიექტუ-რი არსებობაა. სუბიექტური, მაგრამ აბსოლუ-ტურად რეალური, რომელიც მეცნიერული კვლევის ცალკე ობიექტს უნდა წარმოადგენდეს.

„როდესაც ფერადოვანი ერთობა თვალს ობი-ექტის სახით გარედან ეძლევა, თვალი შემზარის მას, რადგანაც ამ დროს მას ეძლევა მისივე სა-კუთარი მოღვაწეობის ჯამი უკვე არსებული რე-ალობის სახით“.

ნათელია, რომ აქ ლაპარაკია ორ სხვადასხვა ფიზიკურ პროცესზე. როდესაც შედეგში ერთი და აგივე განცდა მიიღება — ფერის განცდა.

ერთ შემთხვევაში ადგილი გვაქვს დანახვას-თან, ანუ პროცესთან, რომელიც ფიზიკურ რე-ალობაში ხდება — „ფერადოვანი ერთობა თვალს ობიექტის სახით, — გარედან ეძლევა-ამ შემთხვევაში თვალის მუშაობის აქტივ გა-მართლებულია — მას ეძლევა მისივე საკუ-

თარი მოღვაწეობის ჯამი უკვე არსებული რე-ალობის სახით“.

მეორე შემთხვევაში დანახვას არა აქვს ად-გილი. აქ ხდება თვალის ან მექანიკური გალი-ზიანება, ან შთაგონება, ან უფიქრობა, ან პალუცინაცია და ა. შ. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფერის არა აღქმას (დანახვის ხაშუალებით), არამედ განცდას. ეს განცდა ისეთივეა, როგო-რი განცდაც რეალური ფერის აღქმის აქტს მოსდევს. ამრიგად, გადავდივართ განცდათა სფე-როში, ანუ ამ შემთხვევაში სინათლის შინაგანი, სუბიექტური არსებობის სფეროში. ეს უკვე თვისობრივად ახალი რამეა. ამ სფეროში უნდა ვეძებოთ ფერის მხატვრულ-ესთეტიკური განც-დის სათავეებიც. მხატვრულ-ესთეტიკურ განც-დაში კი ჩვენ ბუნება გვხმარება.

„ბუნების ტენდენციაა — მთლიანობიდან თა-ვისუფლებამდე მიგვიყვანოს. მოცემულ შემ-თხვევაში ჩვენ უშუალოდ ვიღებთ ბუნებრივ მოვლენებს ესთეტიკური საჭიროებებისათვის“.

ბუნება მოიცავს ყველა შესაძლებლობას, რომ ადამიანმა მხატვრულ-ესთეტიკურ ტკბობაში სა-კუთარი თავისუფლება შეიმეცნოს და ამ თავი-სუფლებით წარსდგეს ისევ იმავე ბუნების წინა-შე, რომელმაც თავისუფლების იმპულსები მისცა. მხატვრულ-ესთეტიკური განცდა სწორედ ის გზაა, რამაც ადამიანი თავისი ნამდვილი, პირფ-ნული ყოფის უმაღლეს იერარქიამდე — თავი-სუფლებამდე უნდა მიიყვანოს. ამ მიზნისაკ-კი ბუნება უბიძგებს ადამიანს, ბუნების მშვენიე-რების შემოუსაზღვრავი ძლიერება, ის წესრიგი და ჰარმონია, რომელიც ბუნებაში სუფევს. ადა-მიანმა არ უნდა დაიმუნჯოს არც ერთი ორგანო, თუ სურს, სრულად ჩაწვდეს ბუნების ერთიან წესრიგს.

„გოეთესაგან დღესაც შეგვიძლია ვისწავლოთ, რომ რაციონალური ანალიზის სასარგებლოდ არ უნდა მოვშოთ შემეცნების ყველა დანარჩენი ორგანო, რომ პირიქით, საჭიროა სინამდვილეს მივწვდეთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ორგა-ნოთი და გვჯეროდეს, რომ ეს სინამდვილე მაში-ნაც უმთავრესს — „ერთს, კეთილს, ტემპა-რიტს“ გამოხატავს. იმედია, რომ მომავალი ამას ჩვენს დროსა და თაობაზე უკეთ განანორციე-ლებს“ (ვ. ჰაიზენბერგი).



საშუალებების შესაძლებლობით და ის ადამიან-ბის შესაძლებლობების აღნტურად მივიჩნით.



მეოცე საუკუნის მსოფლიო მხატვრობა წარმოუდგენელია იუგოსლავიელ პრიმიტივისტთა შემოქმედების გარეშე, რომელთაც ისეთივე გზები გაკვალეს ხელოვნების შეუცნობ სამყაროში, როგორც თავის დროზე იმპრესიონისტებმა და პოსტიმპრესიონისტებმა.

ამ მხატვრების ფერთა და ხაზთა სიღიადემარტო მათი აზროვნებისა და ხედვის სიახლეში კი არ გამოიხატება, უმთავრესი კიდევ ისაა რომ ეს დიდოსტატები ჩვეულებრივი გლეხები არიან, — ზოგი მიწასა და კუდიან გუთანს, ზოგიც ხელეჩოსა და ხვეწსაა მიჯაჭვული; ამის გამო, წელიწადის უმეტეს დროს ფიზიკურ მუშაობას ანდომებენ, ხოლო, როგორც ზორან მარკუში წერილში „სერბიის სახალხო პრიმიტივისტები“ წერს: „მხატვრობა მათ ესმით, როგორც ზამთრის შესვენება“. ამასთან მიუთითებს, რომ პრიმიტივისტთა ხელოვნება ალტამირის დროიდან მოდის.

მარკუშს მხედველობაში აქვს ალტამირის მღვიმის კედლების ნახატები ესპანეთში, მაგრამ ამ ნახატებს უკან, ბუნებრივია, გულისხმობს ლა-მადლენის, ლიასკოს, ფონ-დეგამისა და სხვა მღვიმეთა ნახატებს ესპანეთსა და საფრანგეთში.

„ხლებინის სკოლაში“, სადაც დასაბამი მიეცა მსოფლიოში ცნობილ იუგოსლავიელ პრიმიტივისტთა ხელოვნებას, სახელი გაუთქვა არა მარტო ერთ დროს უცნობ სოფელს, მთელ იუგოსლავიასაც კი, მაგრამ ხლებინი მარტო არ დარჩენილა და აი, შემდგომ ბელგრადის ჩრდილოეთით, სოფ. იპარიჩში, უზდინსა და კოვაციჩაში ისეთი მხატვრები აღიზარდნენ, რომელთაც ისევე გაუთქვეს სახელი მშობლიურ სოფლებს, როგორც ხლებინის სკოლიდან გამოსულმა სახალხო პრიმიტივისტებმა და მათ შორის მსოფლიოში აღიარებულმა მხატვარმა და ამ სკოლის დამაარსებელმა ივან ბენერალიჩმა.

დაახლოებით ნახევარი საუკუნის უკან აღმოცენდა ეს ხელოვნება იუგოსლავიაში და, თუ ერთ დროს იქ სულ რამდენიმე მხატვარი იღვწოდა, დღეს ისინი ათასამდე არიან. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობაში როდია: ყოველი მათგანი საკუთარი ხედვითა და ხელწერით ხასიათდება და ამასთანავე თითქოს რაღაცითაც კი მგავს ერთმანეთს.

პრიმიტივისტ მხატვართა ასეთი აღწევება, სამყაროს ასეთი არნახული ხედვა, ასეთი კომპოზიციები და ფერთა შეხამება ჭერ არ იცის

ხელოვნების ისტორიაში. 1978 წელს თბილისელ დამთვალეობებს სამხატვრო გალერეის შენობაში საშუალება მოქონდათ ეხილათ ამ სასწაულებრივ მხატვართა უზადო, უტოლო და განუმეორებელი ხელოვნება.

ექვსი მხატვარი: ივან გენერალიჩი, ივან რაბუზინი, ვანგელ ნაუმოვსკი, მათია სკურენი, ემერიკ ფეიეში და ილია ბოსილი ახალი სამყაროს ჩვენებით წარუდგა მაღალგემოვნებიან ქართველ საზოგადოებას.

მას შემდეგ ათ წელზე მეტმა დრომ განვლო და შთაბეჭდილება ჭერაც არ განელებულა.

შეუძლებელია დავივიწყოთ ივან გენერალიჩის ჭვარცმული მამალი, მისივე ზამთრის ფონზე მოცემული მშობლიური სოფლის სურათები; ივან რაბუზინის მწვანე ფერთა განუმეორებელი პარმონია ანუ იგივე მწვანე ფერთა მუსიკა; მისი წინა და უკანა პლანთა აღრევა ანუ სოკოებივით უამრავი მრგვალი ხეები და შით უკან „ფეხზე ამდგარი“ უვავილთა ვეება ჭამები, ხოლო ცის ლურჯ ფონზე უფრო დიდი, რაღაც უვავილის მსგავსი უზარმაზარი მცენარე და თეთრი ღრუბლები, მფრინავი ბუშტებივით რომ დაფრინავენ ჰაერში და კეპლებივით დაფარფატებენ ცასა და დედამიწას შუა.

გვანსოვს ილია ბოსილის ზღაპრულ ფრინველთა სამყარო, ბროკენის ჩრდილებივით რომ გაუდიდება მხატვარს;

გვანსოვს ვანგელ ნაუმოვსკის განუცნებელი ფორმები, ფერთა, ხაზთა, რეალურისა და ირეალურის არნახული შერწყმა, მათი ურთიერთკავშირი; ირეალურ სამყაროში მოცემული ჩვეულებრივი ადამიანები და მცენარეები და, რაც მთავარია, მხატვრის გონებიდან გამომხობილი ზღაპრული ფორმები და სახეები.

უველაფერი 1981 წლის 18 სექტემბერს დაიწყო, როდესაც ზაგრების სამხატვრო პავილიონში გაიხსნა იუგოსლავიის აკადემიურ მხატვართა, მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა გაერთიანების შესამე გამოფენა. ეს თარიღი მიჩნეულია იუგოსლავიელ პრიმიტივისტთა ხელოვნების დაბადების დღედ, რამეთუ აქ გამოფენილ იქნა ხლებინელი გლეხების ივან ბენერალიჩისა და ფრანკო მრბაზას სურათები.

გამოფენას არათუ წარმატება მოჰყვა, სულ მალე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამ გამოფენის მონაწილეთა მხატვრობა თანამედროვე ფერწერის ერთ-ერთ მიმართულებადაც კი იქცა. მთელს იუგოსლავიაში შეიქმნა სამხატვრო სა-

ზოგადობის ფართო ქსელი, ხოლო საგანმანათ-
ლებლო საზოგადოების „გლენთა ერთიანობის“
ინიციატივით დაარსდა „გლენ მხატვართა მუღ-
მივი გამოფენა“, რომელიც დღესაც აგრძელებს
არსებობას და თავს უყრის ყველა თვითნას-
წავლ მხატვართა ნამუშევრებს.

1952 წლის პირველ ნოემბერს გაიხსნა პირ-
ველი გამოფენა, რომელიც იმთავითვე აღგი-
ლობრივი ხელოვნების მუზეუმად იქცა და მას
„პრიმიტიული ხელოვნების გალერეა“ ეწოდა...

მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა და
იუგოსლავიელ პრიმიტივისტ მხატვართა შემოქ-
მედებამ არათუ ახალი აღმოჩენებითა და გა-
მარჯვებებით გაკვალა ხელოვნების რთული გზე-
ბი და გზაჯვარედინები, საშუალოდ დაივანა
მსოფლიოს ათობით მუზეუმებსა და კერძო პირ-
თა კოლექციებში.

ამათგან განსაკუთრებული პატივი და დიდუ-
ბის გვირგვინი წილად ხვდა ივან ბენერს-
ლიჩს, მხატვარ-გლენკაცს, ცოცხალთა შორის
მსოფლიოს სახალხო პრიმიტივისტთა აღიარე-
ბულ ბელადს.

მონოგრაფია „ივან გენერალიჩის ზღაპრული
სამყარო“ — ერთდროულად გამოიცა იტალია-
ში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში,
ბელგიაში, საფრანგეთში, ნიუ-იორკში და, რა
თქმა უნდა, იუგოსლავიაში. ამერიკის გაზეთებ-
მა ეს წიგნი ამერიკული სეზონის გამოცოცხლე-
ბად მიიჩნიეს...

ივან გენერალიჩი დაიბადა ხორვატიაში, სო-
ფელ ხლებინაში, 1914 წლის 21 დეკემბერს.
ნისლში ჩაკარგული სოფლის სახელი მანამდე
არავის სმენოდა. მათა და ტერეზია გენერალი-
ჩები ისეთსავე თიხით შელესილსა და ისლით
დახურულ ქოხში ცხოვრობდნენ, როგორც სხვე-
ბი. მათი პატარა ვაჟიშვილი ამ ქოხის ხარკმილიდან
აუურადებდა ფრინველთა ჭიკჭიკსა და ცხოველ-
თა ბლავილს; ბაყაყების ორკესტრსა და ქარის
მუსიკას, ციურ ექობებს. და ყველაფერმა ამან
გაადვიდა მისი სამყარო და აავსო იგი დაუვიწყარ-
ი სოფლური შთაბეჭდილებებით, რაც შემდეგ
თავის ბრწყინვალე ტილოებზე უკვდავყო.

მხატვარს არასოდეს იზიდავდა ქალაქის ხმა-
ურიანი ქუჩები, რამეთუ კარგად იცოდა სოფლუ-
რი იდილიისა და წმინდა კატერინას ეკლესიის
ზარების ექოთა ფასი. და ყველაფერი ეს ერ-
ჩინა თვით პარიზის, ლონდონისა და ნიუ-იორ-
კის ხმაურიან ქუჩებს.

ივან გენერალიჩის ნახატებს წლობით ელო-
დებიან მსოფლიოს ცნობილი საგამოფენო დარ-
ბაზები, კერძო პირები და ყველა, ვინც თავ-
ვანს სცემს მხატვრის საოცარ შემოქმედებას.

ტილოების ფასზე, რა თქმა უნდა, არავინ

დავობს; მისი რაოდენობა ჭეშმარიტად ასტრო-
ნომიულ სიდიდეს აღწევს.

უნივერსალურია შემოქმედის გრძნობა და ფი-
ლოსოფია.

სიყვარული, ბედნიერება, ტკივილები, ვნებები
და განწყობები, რომელთაც მისი ფერებით გად-
მოსცემს შუშებზე, ~~გასაგებანს~~ ყველა ადამიანი-
სათვის. მხატვარი გულახდილად პასუხობს კით-
ხვებზე, რა არის ბედნიერება და რას მოგვა-
გებს ცხოვრება თითოეულ ჩვენთაგანს.

1958 წელს პარიზში მოწყობილი გამოფენის
შესახებ ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი მარსელ
ალანი წერდა: — „გენერალიჩი ჩამოვიდა პარიზ-
ში არა როგორც დამპყრობი, მაგრამ მან მაინც
განგვარა და დაგვატყვევა თავისი პატარა
სამყაროთი, რომელიც მან ჩამოიტანა და ჭეშმა-
რიტად მხოლოდ მას ეკუთვნის... იგი დაბადა
და შექმნა მიწამ. ჩვენ მის ნახატებზე ადამიან-
თა და ცხოველთა გულახდილ საუბარს ვხედავთ...“

მხატვრის ტილოებზე მართლაც ასახულია
მცენარეთა და ცხოველთა შეუცნობი სამყარო.
მაყურებელი გრძნობს ბერბარის ძალასა და
ბორცნეულობას, მის ძარღვებში აუცილებულ
სისხლის ხმაურს. მისი ადამიანები იმითომ კი
არ მოსულან ამა ქვეყნად, მიწიერი სამყარო და
სივრცე რომ შეავსონ, ისინი ღვთაებრივი გრძნო-
ბებით არიან გასხივოსნებულნი და თავიანთი ყო-
ფით სიკოცხლის ცხოველმოსილებას გვაუწყებენ.

ივან გენერალიჩი თავად ამბობს: — ახალ-
გაზრდობაში მე ვცდილობდი ბუნების იმდაგვა-
რად ასახვას, როგორც ის არის სინამდვილეში,
მაგრამ ეს ვერ შევძელი და დავხატე ისე, რო-
გორც ვიგრძენი და მოვახერხე... ისინი ჩემი
შინაგანი სამყაროდან მომდინარეობენ.

მხატვრის გულახდილობაში მაშინ დავრწმუნ-
დებით, როდესაც მის ნახატებს შევაკვლევთ
თვალს. აი, თუნდაც საოცარი სურათი — „ხლე-
ბინელი მონა ლიზა“, რაღაც ზღაპრული, არარ-
სებული ფრინველი, რომლის სხეული ბუმბულით
კი არა, თითქოს თეთრი ფოთლებითაა დაფა-
რული.

აგერ მიხივე „რქიანი ცხენი“.

რად დაჭირდა მას შექმნა „ციცხლმოდებუ-
ლი სოფელი“? ერთმანეთისათვის დაეპირისპი-
რებინა სოფლის სიმშვიდე და გნიასი, სიღამაზე
და საშინელება, როდესაც ასეთი ლურჯი ცა,
ასეთი მეწამული მთები და კამკამა ტბა მხოლოდ
მშვიდი და მალალი გრძნობებისთვის განაწყო-
ბენ ადამიანს?

თავდაცვ ზომ მშვიდი და იობის მოთმინების
კაცი ჩანს; ჩანსო, ვამბობთ იმითომ, რომ სახება
მისი მხოლოდ იმ ფოტოსურათზე გვინახავს, რო-
მელიც ერთ-ერთ იუგოსლავიურ უურნალშია და-

ბეჭდილი.

დგან ერთი ჩვეულებრივი, სვეტს მიუყრდნობილი, სათვალეებიანი, სამოცდაათ წელს მიღწეული კაცი, ძალზე უბრალო, ლურჯად შეღებილი საკუთარი სახლისა (№ 58) და ფიცრული ღობის ფონზე და ისეთი მშვიდი თვალებით იყურება, როგორც მის ნახატებზე მოცემული ზოგიერთი მამაკაცი, გარინდებული ხეები და წითელი ცხოველები...

ანტონ ბახუნევი მხოლოდ ორი წლითაა უფროსი ივან გენერალიჩზე. ხამხედრო სამსახურმა ხორვატელი კაბუკი ზაგრებში ჩაიყვანა და სამუდამო სამუოფელიც იქვე დაიდო. როგორც შემოქმედი, პრინციპისათა უველაზე ძლიერ ფრთას განეკუთვნება.

— ბავშვობაში ძალიან ავად ვიყავი, — იგონებს მხატვარი-პრინციპისტი, — ავადმყოფობისა და სიდუხჭირის გამო წილად არ მხვდა სკოლაში სიარულის ბედნიერება. ვიჭექე სახლში და მუდამ რაღაცას ვხატავდი: ქათმებს, უვაცილებს, უველაფერს, რისი დანახვაც კი სარკმლიდან შემეძლო.

ჩემს მომავალზე ფიქრმა ძალიან შეაწუხა მშობლები და, რაკი დღენიადაც ვხატავდი, ხელობის შესასწავლად მღებავთან შეგირდობა გადამიწყვიტეს...

დრო იყო, როცა მხატვარი რკინიგზაზე მუშაობდა და ვაგონებზე ჩვეულებრივ წარწერებს აკეთებდა. ორთქლმავლების ხმაურში თავს ახსენებდა მშობლიური სოფელი, რომელსაც, როგორც ბავშვობის მოგონებებს, ხატავდა ტილოზე, „ხატავდა იმ დიდი ადამიანის ხელებით, რომელსაც მკერდში ბავშვის გული უცემს“.

როგორც არაერთი იუგოსლავიელი პრინციპისტის ნახატებში, ბახუნევიანაც ორანჟის გავარდარებული, თითქოს აღმურში გახვეული პანაქება ბატონობს. რა თქმა უნდა, სხვა ხასხასა ფერებიც ბევრია, იდილიურ ხეებსა და გორაკებს რომ ქმნიან და ფარშევანგის სილამაზით გადმოგვცემენ ბუნებას, მაგრამ მეტი შთაბეჭდილებისათვის მხატვარი თავის პალიტრას შავი ფერითაც კი ამდიდრებს, როდესაც წერს შავ ცხენზე ამხედრებულ შიშველ ქალს და ზებრასავით აკრელებულ ზოდებიან ხეებს. მისთვის უცხოა ფართო მონასმები და ჩვეულებრივი, მრგვალი ფუნჯის გამოყენებით ქმნის მსხვილი წერტილოვანი დამუშავებით შექმნილ ტილოებს, ერთის შეხედვით პუანტელიზმის ხელწერას რომ მოგვაგონებენ...

პალ ხონოშანი წარმოშობით უნგრელია, ხელობით — ხის ოსტატი. აშუამად ვოევოდინის ავტონომიური ოლქის ქალაქ ნოვი-სადში ცხოვრობს და, მუშაობისაგან თავისუფალ დროს, პას-

ტულით ქმნის თავისი ბავშვობის სტილიზებულ და იდეალიზებულ სამყაროს, რომელიც დღემდე არ ასვენებს მხატვარს.

როგორც თავადაც ამბობს, ბავშვობა მისი ცხოვრების უველაზე სანუკვარ მოგონებად დარჩა. ერთ დროს მხიარულმა და ლამაზ ბიჭუნამ, ძმასთან ერთად სიმარტოვას უსიკრძოლო წლები გადაიტანა. მიზეზი ამისა იყო მშობლების წასვლა საკუთარი სახლიდან სამუშაოს მოძიების მიზნით. ბუნებრივია, ასეთმა ცხოვრებამ მძლავრი ანარეკლი ვპოვეს როგორც მხატვრის ხელოში, ისე მის მშვენიერ ტილოებზე.

თავისი პირველი ნახატი სოფელზე თბილისი ტერაზიმდე შეყვარებულმა კაცმა 1934 წელს შექმნა, ისიც მეუღლის რჩევით.

მოცალეობამ და მოწყენილობამ ნაყოფი გამოიღო — მხატვარმა უბრალო ხელოსანში ბრწყინვალე შემოქმედი და მთავროვნე აღმოაჩინა.

დღეს მის ნამუშევრებს მოვლილი აქვთ საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, ფილიპინების, შვეიცარიის, შვეციის, ბელგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხატვრო-ხაგამოფენო დარბაზები...

მილიციის ყოფილმა თანამშრომელმა დუშან ევტოვიჩიმ თავისი მშვენიერი ნამუშევრების კრებარტი მხატვრის სახელი მოიპოვა. მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც მისი ნახატები იფანებიან როგორც მის სამშობლოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

სერბიის მთიან რაიონში ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის შედეგად ქლექტორილმა მხატვარმა სრულიად შემთხვევით მოჰკიდა ხელი სამხატვრო ფუნჯს და იმ დღიდან ფერწერის საიდუმლოებას აზიარა საკუთარი თავი.

მან შექმნა ნახატების მთელი ციკლი, რომლებზედაც სოფლური ყოფის სცენებია აღბეჭდილი. მათზე ჩვენ ვხედავთ რელიგიურ რიტუალებსა და ქორწილს, ბაზრობას ან ერთად თავშეყრილ გლეხებს და უველაფერი ეს ქმნის მისი სოფლის დაუფიქვარ სურათებს.

მილიციაში მუშაობის დროს მას ხშირად უხდებოდა ჩხუბსა და აჟალმაჟალში ჩარევა, რომელიც გლეხებს შორის ხდებოდა...

— თუ ორი ჩხუბობს, — ამბობდა ევტოვიჩი — იქ უცბად თავს მოაყრის თხუთმეტი ბუზიყლაპია და დოყლაპია. ბუნებრივია, ჩემს ნახატებზედაც შეიძლება ნახოთ მსგავსი სცენები და, ასე გასინჯეთ, გატეხილი თავებიც კი.

ხლებინელი გლეხი და მხატვარი დრბბან ბაში 1948 წლიდან ხატავს. თავდაპირველად ტუშით ასახავდა გლეხებისა და ახლო მეზობელთა ცხოვრებას; მალე ივან გენერალიჩის დახმარებით გაეცნო მუშაზე ხატვის საიდუმლოებას და

მას შემდეგ ყვავილთა ისეთ სამყაროსა და ფერს ქმნის, რამაც მის ბრწყინვალე ნახატებს სამუდამო ბინა დაუდო იტალიის, შვეიცარიის, გერმანიისა და ნიდერლანდების საგამოფენო დარბაზებში, ხოლო მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საგანგებო წიგნიც კი დაიწერა.

ხატავს გამუდმებით და ხწორედ ფერწერის სიყვარულის გამო არასოდეს მიუტოვებია მშობლიური სოფელი, ახლობლები და მეზობლები. იგი გულდაგულ ისწრაფვის, რათა თანამედროვე ცხოვრებამ სახე არ უცვალოს სოფელს და დავიწყების კიდობანს არ გადასცეს ყველაფერი, რასაც დღევანდელობა შექვია; ამიტომაც ჩქარობს მხატვარი და დღენიდავ უკვდავყოფს მას.

ლურჯი, ფლტრამარინის ცა, დათოვლილი სახურავები, ტაძრის გუმბათი, უხაზღვრო სივრცე და პერსპექტივაში მოცემული შიშველი ხეები და გორაკები: სხვაგან — შეკრული, მოყვითალო ძნები, — ასეთია მისი პალიტრა, მისი სამყარო, მისი ფიქრის საგანი, მისი საზრუნავი...

ნახევარი საუკუნის მიჯნას გადაცილებულმა ფრანკო ფილიპოვიჩმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ხატვა. ივან გენერალიჩის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე. ხლებინელი მხატვრებისაგან განსხვავებით, იგი ქმნის გლუბური ცხოვრების ხამხიარულს და სახუმაროს სცენებს.

— მე მიუვარს იმ ადამიანთა ხატვა, რომელთაც ვიცნობ: განსაკუთრებით მახარებს, როდესაც ისინი ამ ნახატებზე საკუთარ თავს ცნობენ. მინდა ყველაფერი აღვბეჭდო სურათებზე, რაც კი ჩემს გარშემო არსებობს; მართო მიწახთან მორკინალად რომ დავრჩე და არ ვხატო, არავის ვეცოდინებო, და რაკი ეს ნახატები დიდხანს იცოცხლებენ ჩემს შემდეგ, ისინი ადამიანებს მოაგონებენ ჩემი ცხოვრების შესახებ, — ამბობს მხატვარი-პრიმიტივისტი.

ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ ფრანკო სოფლის მეურნეობაში ჩაება და თავისუფალ დროს თავს ადევნებდა ივან გენერალიჩის ხატვას. მალე თავადაც შეუდგა შუშებზე ფერების მოწესრიგებას და მათზე ასაბა მშობლიური სოფლის — ხლებინის სურათები, იქაური შუკები და ასობით სახლი იყო მისი ნახატების ხაერთო ფონი.

ფრანკო ფილიპოვიჩი გვიამბობს: — მთელი სიცოცხლე გავატარე სოფელში და არასოდეს მიფიქრია იქიდან წასვლა. ვამუშავებ მიწას — საიმედო პურს, ხოლო თავისუფალ დროს ვხატავ, რასაც გარშემო ვხედავ ან სხვათაგან ვისმენ. არ მჭირდება სიუჟეტების გამოგონება: ისინი ჩემს სოფელში იმაზე მეტია, ვიდრე მე მინდა.

რომელ გლუბსაც არ უნდა თხოვო, ჩამოგითვალთ გლუბური სამუშაოების ყველა სახე,

ისინი შეუსვენებლივ დაგისახებენ ორასს...

თავის ერთ-ერთ სურათზე ფრანკო ფილიპოვიჩს ახახული აქვს პურის მკას სურათი, რომელზედაც თავად მხატვარი და მისი ცოლი არიან წარმოჩენილნი. როგორც სხვა იუგოსლავიელი პრიმიტივისტი, ფრანკო ფილიპოვიჩი და ძლიერი ლურჯით გვიხატავს ქვას-მეწაფეს კვ უხვად იყენებს წითელსა და ყვითელ ფერებს, რომელთაც მშვენივრად უხამებს მწვანე ხეებს.

ეს ნახატი უნებურად გვაგონებს დრაგან გაუის „პურის მკას“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ მყვირალა ყვითელი და წითელი ფერებია ნახშირი, ხოლო ცა თითქმის ერთნაირად არის დამუშავებული ორთავე მხატვართან.

ივან ვეჩენაიჩი ხორვატიის სოფელ გოლის მკვიდრია; არის მხატვარი პრიმიტივისტი, მისტიკური თემებისა და ამავე დროს ნათელი ფერების გადმოცემის დიდოსტატი. სოფლურ თემებში ბიბლიურ სცენებს ურთავს, ამიტომ მის ნახატებზე დიდი მოთხოვნილებაა კოლექციონერთა და გალერეის მფლობელთა შორის.

ერთ-ერთ ნახატზე მოცემულია ხის ტოტზე გაკრული ქრისტე. თუ რატომ ჩაიფიქრა ასე, ივან ვეჩენაიჩი უბასუბა, რომ ქრისტე მისთვის გლუბური ცხოვრების სიმბოლოა და ისიც ისევე იტანჯება, როგორც გლეხი. მისი სიტყვებით: ჩვენში გაწამებულ ადამიანზე ამბობენ: „იტანჯება, როგორც ქრისტეო“.

ივან ვეჩენაიჩი სრულიად ახალი, როგორც ვთქვით, მისტიკური თემები შემოიტანა იუგოსლავიელ პრიმიტივისტთა შორის. მისივე თქმით: ქრისტეს ქვარცმა და საიდუმლო სერობა ბევრმა მათგანმა დახატა, მაგრამ ეს უკანასკნელი მან იმ ტყეში გადაიტანა, რომელსაც იქაური გლეხები ძალიან კარგად იცნობენ.

„საიდუმლო სერობა“, განაგრძობს მხატვარი, დაკავშირებულია ჩვენს სოფელთან, ბუნებასთან და ჩვენი გლეხების ცხოვრებასთან. ჩემი ნახატების მისტიკაც ეს არის...

ივან ვეჩენაიჩი ხატავს მხოლოდ შუშაზე. იყენებს წითელ, ყვითელ, ლურჯსა და შავ ფერებს.

დამუშავების სტილითქ ქეთა შიშველი და კლაკნილი ტოტებით, ძალიან გვანან ერთმანეთს ივან გენერალიჩის, დრაგან გაუისა და ივან ვეჩენაიჩის ნახატები; ოღონდ ამ უკანასკნელის ხეები — მათი ყვითლად და იისფრად განათებული ტოტები — გარედან შავი ჩრდილითაა შემოსაზღვრული. მხგავსება შეიგრძნობა აგრეთვე ივან გენერალიჩისა და ივან ვეჩენაიჩის ზღაპრულ ფრინველებს შორის.

ქალთაგან თავის ხამშობლოს დიდება მოუტანა მარია ბალანმა, ემერიკ ფიციშმა კი განადიდა ხერბიის სახელი.



0856 3380500



დრამატიკული